

780  
1989

ISSN 0134-9848

1989/3

03060-035060

# საქართველო

საქართველო  
საქართველო

✓278  
(3)







არნოლდ ბიოკლინი. მედუზა



არნოლდ ბიოკლინი. ზღვის დუმილი



# საუნაო

1989/ 3

მარტი

ნაკვეთი

საქართველოს  
განათლების



## შინაარსი

### პროზა და პოეზია

ჯონ ზაულზი, აბანოზის კოშკი, ინგლისურიდან თარგმნა მალიკო ხელაშვილმა	8
სტანაპ კენეშა, ლექსები, ბულგარულიდან თარგმნა მედეა კახიძემ	34
იური ბონდარენკო, არჩებანი, რომანი, დახასრული, თარგმნა გივი ციციშვილმა	89
გელორუსული პოეზიიდან, თარგმნა თეიმურაზ ჭანგულაშვილმა	102
ფრანც პრეშერნი, ლექსები, ხლოვენიურიდან თარგმნა ედემ კვირტიამ	108
აბათა კრისტო, მოთხრობები კრებულიდან პარკარ პაინი იძიებს, ინგლისურიდან თარგმნა მედეა მგალობლიშვილმა	201
გორის პასტერნაკი, ლექსები, თარგმნა ვახტანგ გოგოლაშვილმა	218
მოდსაქსონი ანაწოვი, შორეული გზის ნათელი, დახაწესი, თარგმნა დოდო ვადაკორიამ	255

### წაკითხები

ვიკენტი ვერესაევი, „სიცოცხლით სავსე სიცოცხლე“, კარი II, დახაწესი, თარგმნა ავთანდილ ჭოხაძემ	274
ნატა ჯანელიძე, სიმბოლოს სემანტიკური სტრუქტურა რ. მუზილის ნაწარმოებში „მოწარმე თიორლესის სულიერი აფორიზმება“	292
ანტონიო მაკადო ი რუისი, „ხუან დე მაიკონა, მახვილგონივრული სენტანციები, ესკიზები და მოგონებები ერთი ავოკრიფული პროფესორისა“, ესპანურიდან თარგმნა მერი ტიტვინიძემ	301
ლუდვიგ იუსტი, არნოლდ ბიოკლინი, გერმანულიდან თარგმნა ჯერა კახაძემ	313
გამოსათხრობარი	319



საქართველოს მშენებელთა კავშირი  
სსრკ-ის ლიტერატურის მრეწველი ალმანახი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა  
მთავარი სარედაქციო კოლეგია

თბილისი  
გეგმვისა და  
პროექტების

მთავარი რედაქტორი:  
**მ. თ. ნიშნიანიძე**

სარედაქციო კოლეგია:

ელზა ახვლედიანი  
ჯეგალ აქიაშვილი  
გიორგი ბაქანიძე  
მზია ბაქრაძე  
ბაჩანა ბრეგვაძე  
გურამ გოგიშვილი  
ნანა ღარჩია (პ. გ. მდივანი)  
მაგალი თოფა  
ნოდარ ქაჩაბაძე  
ზურაბ კიკნაძე  
ვახუშტი კობახიშვილი  
მუხრან მაჭავარიანი  
როზან მიშინოვილი  
გიორგი ნიშნიანიძე  
ოთარ ნოზია  
დალი ჟანჯიკიძე  
რუსუდან ქეკელაძე  
იორაბ ქვერთაძე  
ნიკო ყიასაშვილი  
გივი შაანაზარი  
გივი ძნელაძე (მ. რედ. მოადგილე)  
დავით წერაძიანი  
ნუგზარ წერეთელი  
თამაზ წიფიშაძე  
რაჭო ჭიჭიშვილი

გარეკანზე: გიორგი ნიშნიანიძე, პალეოგრაფი

მხატვარი ა. თოდრაძე, მხატვრული რედაქტორი ა. ვართაგავა, ტექნოლოგიური კ. იმნაიშვილი  
გამომცემი ნანა ბარათაძე

ბეჭდის მისამართი: თბილისი, 380007, დავით აღმაშენებლის ქ. № 2  
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22.  
განყოფილებათა გამგეები — 72-26-30

გად. წარმ. 13. 01. 89 წ., ხელმოწ., დასაბუთებად 18. 04. 89 წ., ქალაქის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>  
საბუღ. თ. 23,7. სასტ. თ. 28. საღებავის გატ. 28,7. ტირ. 10 000, შეკვ. № 86.

ფასი 1 მან. 80 კპ.

საქ. კ. ც. კ. გამომცემლობის შრომის წითელი დროშის  
ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის 14.



# ჯონ ფაულზი

## აბანოზის კოშკი

ინგლისურიდან

თარგმნა მაღიკო ხელაშვილმა



19061

ცნობილი ბრიტანელი პროზაიკოსის ჯონ ფაულზის (John Fowles, დაიბადა 1926 წ.) „აბანოზის კოშკი“ („The Ebony Tower“, 1974 წ.) ეხება ცხოვრებისა და ხელოვნების ურთიერთმიმართებას. ეს ვრცელი მოთხრობა, რომელიც თავდაპირველად მისი გმირის — დევიდ უილიამზის უცარ თავგადასავლად აღიქმება, თავისებური გამოხატვაა მწერლის ფილოსოფიური, ეთიკური და ესთეტიკური ძიებებისა.

...Et par forez longues et lees  
Par leus estranges et sauvages  
Et passa mainz ielons passages  
Et maint peril et maint destroit  
Tant qu'il vint au santier tot droit...

(CHRÉTIEN DE TROYES, „YVAIN“)<sup>1</sup>

დევიდი შუადღით ჩამოვიდა კოტმინეში, წინა დღით შერბურში შეჩერდა, მერე ავრანშს მიაღწა მანქანით და სამშაბათ ღამე იქ გაათია. ამან საშუალება მისცა დარჩენილი გზა დღისით გაეგლო და მოხიბლულიყო მონ-სენ-მიშელის შორი და სიზმარივით წარმტაცი შპილებიანი კლდეებით, სენ-მალოს და დინანის ქუჩებში ეხეტიალა და მერე სექტემბრის საუცხოო დარში სამხრეთისაკენ დაშვებულიყო. გზად იქაური სოფლები უნდა გაეგლო. თვალს იტაცებდა მშვიდი პეიზაჟები, მოვლილი ხეხილი, ნაყოფით დამძიმებული მფშვინავი ბალები. ორჯერ გაჩერდა და ქალაქზე გადაიტანა ფერთა სასიამოვნო შეხამება — სხვადასხვა ტონის აკვარელის პარალელური ზოლები, და მკაფიოდ მონიშნა მასშტაბი. თუმცა რაღაცა მსგავსება იყო პირველწყაროსთან — ერთი ფერადი ზოლი მინდვრის ასოციაციას იწვევდა, სხვა კიდევ — მზით განათებული კლდისას, ანდა, შორით რომ მოჩანდა, იმ გორაკს მიაწინებდა, მაგრამ დევიდი არ ხატავდა. ვიდრე ისევ გზას დაადგებოდა, ჩაიწერა, რა რიცხვი იყო, რომელი საათი და — ამინდი.

1., ბევრი იარა, იარა, ტყე გაიარა უვალი,  
რა აღარ ნახა იმ ტევრში, საშიშიც და იღუმალიც,  
რა შიშის ზარი დაეცა, რას არ უქადდა უღრანი,  
და ბოლოს, უცებ, თავის წინ გზა დაინახა, — ვიდოდა  
ბილიკი სწორი, — იმ ღრეთი, იმ ტევრით გამოვიდოდა...

(ქრეტიენ დე ტრუა „ივეინი“)

საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. სახ. ინსპუბ.  
ბ. გლიოთეკა



ცოტა არ იყო, სინდისი ქენჯნიდა, რომ თავს ასე კარგად გრძნობდა აქ, მარტო, და არა ბეტთან ერთად, თან იმის მერე, რაც წაიკინკლავდნენ, აქ წამოსვლამდე; არადა მშვენიერი დღე. ცოცხალი შთაბეჭდილებები და, რაღა თქმა უნდა, თავისი მგზავრობის მიზანზე ფიქრი, ერთ და იმავე დროს სიამოვნება და ღელვას რომ ჰგვრიდა და თანდათან ახლოვდებოდა, ეს ყველაფერი ეცოლო კაცის თავისუფლების სასიამოვნო ილუზიას უქმნიდა. მერე კი უფრო უფრო მდინარე მილი ხომ პემპონის, ბრეტანის ამ ლამის უვალი, უზარმაზარი მშენებლობის გავლით მთლად ზღაპარს ჰგავდა: მწვანე და ჩრდილიანი გზები, აქა-იქ მზე რომ ეფინებოდა, უთვალავ ხეთა კენწეროებიდან ჩამოდვრილი მზე. ფიქრები მოხუცის ბოლოდროინდელ ცხოვრებაზე და მისი შემოქმედების ბრწყინვალე ხახაზე ერთბაშად დაღაგდა. რამდენიც არ უნდა წაეკითხა და რაც არ უნდა წარმოესახა, თვალთ ნანახს ვერაფერი შეეცვლიდა. ამიტომაც, თუმცა ჯერ მასთან არ ჩასულიყო, დევიდმა უკვე იცოდა, რომ ამაოდ არ დასდგომოდა გზას.

ტყეში მივარდნილ, უფრო ვიწრო გზისკენ გადაუხვია — *voie communale*<sup>2</sup> და ერთი მილიც არ გაეგლო, რომ მიმანიშნებელ წარწერას აკიდა თვალი. *Manoir de Coëtminais. Chemin privé.*<sup>3</sup> აქ თეთრი კიშკარი ნახა, ის კიშკარი უნდა გაეღო და დაეხურა. ამის მერე ნახევარი მილიც გაიარა ხეების კაშპაროვანში და იმ ადგილას, გამეჩხერებული ტყიდან მზით გაჩახჩახებული ამწვანებული ბაღი რომ ჩანდა, კიდევ ერთი კიშკარი დახვდა. კიშკარზე ფირფიტა იყო, დევიდს ღიმილი მოჰგვარა წარწერამ, ფრანგული სიტყვების „*Chien méchant*“<sup>4</sup>-ის ქვეშ ინგლისურად ეწერა: „წინასწარ შეუთანხმებლად მომსვლელთ მკაცრად ეკრძალებათ შემოსვლა“. თითქოსდა იმის დასტურად, რომ წარწერა საღალატოდ არ ეკიდა, კიშკარს შიგნით კლიტე ედო, ეტყობოდა, არ ახსოვდათ და იმ დღეს მას არავინ ელოდა. წამით დაიბნა; იქნება იმ ბებერ ტინკას კიდევაც დაავიწყდათ ჩემი ჩამოსვლა. ჩრდილში შევიდა და იტ დადგა, მზით განათებულ ბაღს გასცქეროდა. არა, შეუძლებელია, არ დაავიწყდებოდა — წინა კვირას იყო, დევიდმა ბარათი რომ გამოუგზავნა, თავისი ჩასვლის ამბავს ახსენებდა და წინასწარ მადლობას უხდიდა. სადღაცა ახლო ჩიტი სტვენდა რაღაც საკვირვლად, გეგონება, უხეიროდ უკრავსო თუნუქის საღამურზე. მიიხედ-მოიხედა, მაგრამ ჩიტი ვერ დაინახა. ეს ინგლისური არ იქნებო, გაიფიქრა, და ამაღ რაღაც ბუნდოვნად გაახსენა, რომ თვითონ იყო ინგლისელი. ქოფაკი კი ნამდვილად ჰყავდათ თუ არა, ვინ იცის... მანქანასთან დაბრუნდა, ძრავა გამორთო. კარი ჩაკეტა, მერე ისევ კიშკართან მივიდა და ეზოში გადაძვრა.

ბაღის გავლით ხეივანში მიდიოდა. დაბერებული ვაშლის ხეები მწიფე კოდლიხვით და წითელი სიდრით იყო დახუნძლული. არსაიდან ხმა. არც ძაღლი და არც ძაღლის ყეფა. უზარმაზარი მუხები და წიფლნარი ზღვასავით ჩანდა და შიგ კუნძულივით მოჩანდა მზით განათებული მდელი და *manoir*, მთლად ისეთი კი არა, რანაირსაც დევიდი ელოდა. ალბათ იმიტომ, რომ მაინც-დამაინც კარგად არ ლაპარაკობდა ფრანგულად. საფრანგეთს კი პარიზს იქით კარგად არ იცნობდა და ამაღაც თარგმნა *manoir* ინგლისურად სიტყვა-

<sup>2</sup> სათემო გზა (ფრანგ.).

<sup>3</sup> კოტმინეს კარ-მიდამო. კერძო გზა (ფრანგ.).

<sup>4</sup> ავი ძაღლი (ფრანგ.).



სიტყვით ციხე-დარბაზად. სინამდვილეში ეს ნაგებობა შეძლებული ფერმერის სახლს უფრო ჰგავდა, არისტოკრატიული არაფერი ემჩნეოდა ფასადს — ეანგისფერი ბათქაში, ჯვარედინი მოწითალო თხელი ღირეები და მუქი კაფისფერი დარბაზები. აღმოსავლეთით შენობას სწორკუთხა ნაგებობა ჰქონდა მდებარეობა. ეტყობა, გვიან მიუშენებიათ. მთლიანობაში სახლს რაღაც ხელოვნური ჰქონდა; ძველებური და შეკრული შენობა სითბოსა და ძალას გაჟღერებდა. ეგ იყო მხოლოდ, რომ დევიდი რაღაც უფრო მეტად დიდებულს ელოდა.

სახლის სამხრეთით ხრეშმოყრილი ეზო იყო, კედლის ძირში — ნემსიწვერები და ორი ბებერი ხვარა ვარდი, სახურავზე გაფანტული თეთრი მტრედები, ყველა დარაბა დახურული — იქაურობას ეძინა. მაგრამ სადარბაზო კარი, გერბიანი ქვის ფარით, რომელზეც წარწერა დიდი ხანია წაშლილიყო და თანაც სახლის დასავლეთ ბოლოსაკენ მიქცეულიყო, ღიად დაეტოვებინათ. დევიდმა ფრთხილად გაიარა ხრეშმოყრილი გზა და კარისაკენ გაემართა. კარზე კიდევ, არც ჩაქუჩი იყო და არც ზარი; საბედნიეროდ, არც ავი ძალღი ჩანდა საღმე, შეიხედა და დაინახა ქვის ფილებმოგებული პოლი, მუხის მაგიდა მიედგათ ძველებურ ხის კიბესთან, რასაც შუასაუკუნეებისდროინდელი გამრუდებული მოაჯირი ჰქონდა და საიდანაც ზედა სართული ჩანდა. პოლის სიღრმეში სხვა კარი მოჩანდა, და ისიც ღია, იმის იქით კი — მზით განათებული ბალი. დევიდმა ცოტა ხანს შეიკადა, ყოყმანობდა, მიხვდა, რომ ადრე ჩამოვიდა, და მთავარ, მასიურ კარზე დააკაკუნა. ერთ-ორი წამი გავიდა, გასაგებია, არავინ გამოეხმაურებოდა — დევიდმა ზღურობს გადააბიჯა. მარჯვენა მხარეს გალერეასავით გრძელი სადარბაზო ოთახი დაინახა. ძველებური სვეტები აქა-იქ დაენგრიათ, მაგრამ მთავარი საყრდენები მაინც დარჩენილიყო და მოურიდებლად ისახებოდა თეთრი კედლების ფონზე შავად. აქაურობა ცოტათი ტიუდორულ შთაბეჭდილებას ახდენდა და უფრო მეტად იყო ინგლისური, ვიდრე ფასადის შემხედვარეს ეგონებოდა. მოიხიბლებოდით ამ დარბაზით, ერთ და იმავე დროს სავსეც რომ იყო ავეჯით და ხალვათიც გეჩვენებოდათ. აქ იყო ძველებური მოჩუქურთმებული ავეჯი. ლარნაკები ყვავილებისა, რამდენიმე სავარძელი და ორი დივანი, ვარდისფერი და წითელი ძველი ხალიჩები და, ცხადია, სურათები... მაგრამ საკვირველი მხოლოდ ის იყო, რომ ასე შეიძლებოდა შემოსვლა და ყველაფრის ნახვა — დევიდმა ხომ იცოდა, თავისი სურათების გარდა მოხუცს შესანიშნავი პატარა კოლექციაც რომ ჰქონდა. პრესიდან უკვე ცნობილი იყო ამ ჩინებულ მხატვართა სახელები. ენსორი, მარკე, ის პეიზაჟი დარბაზის ბოლოში დერანის ერთი „ცივი“ ტილოთაგანი უნდა იყოს, ბუხრის თავზე კი...

მაგრამ ხომ უნდა გაიგონ, რომ ჩამოვიდა. დევიდმა კიბესთან ახლო, ქვის იატაკზე გაიარა და ოთახის ბოლოში, ღია კართან შეჩერდა. წინ ფართო მდელს, ყვავილების კვლები, ბუჩქები და დეკორატიული ხეები იშლებოდა. მდელს ჩრდილოეთით მეტად მაღალი კედელი იცავდა და დევიდმა სახლის წინა მხრიდან შეუმჩნეველი. ჩარიგებული პატარა შენობებიც დაინახა. ოდესღაც მათ თავლებად და ბაგებად თუ ხმარობდა ფერმერი. მდელს შუაგულში ვარჯწაჭრილი კატალპა ხარობდა და უზარმაზარ, მწვანე სოკოსა ჰგავდა. კატალპას ჩრდილქვეშ ბალის მაგიდა და სამი წნული სავარძელი მოსაუბრეებივით იდგნენ, ცოტა მოშორებით კი ცხელ ბალახზე ორი შიშველი ქალიშვილი დაინახა. ერთს თითქმის ბალახი ჰფარავდა. გულაღმა იწვა და ალბათ ეძინა. მეორე, რომელიც უფრო ახლო იყო, პირქვე იწვა. ნიკაპქვეშ ხელები ამოედო და წიგნს კითხუ-



ლობდა; ფართოფარფლებიანი ჩალის ქუდი ეხურა, ქუდს მუჭი წითელი ფერის რეფსი ჰქონდა შემოვლებული, ორივე ქალიშვილს ტანი ნამზეური უჩანდა, ძალზე ნამზეური, ალბათ აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ ოცდაათიოდე იარდის მოშორებით უცხო კაცი იდგა. მანქანის ხმა ტყის სიწყნარეში როგორ არ მოესმათო, გაიფიქრა დევიდმა, მაგრამ თვითონ ხომ დათქმულზე ადრე ჩამოვიდა, აკი წერილითაც ატყობინებდა, საღამოთი ჩაიზე მოგისწრებოდა. ესეც უნდა რომ თქვას, ჯობდა ხეირიანად მოეძებნა კარებზე ზარი და დაუფიქრებოდა შესახურთაგანი გაიგონებდა და გამოვიდოდა. რამდენიმე წამში გონებაში აღიბეჭდა ქალიშვილების უმოძრაო სხეულების ლბილი ტონები, მწვანე კატალპის ჩრდილი და ბალახის სიმწვანე, მრუმე ჭიაფერი ქუდის რეფსისა, მოშორებით ვარდისფერი კედელი და ჩარიგებული ხეხილი. მერე მოტრიალდა და ისევ მთავარი შესასვლელი კარისაკენ წავიდა, ნანახმა უფრო გაართო, ვიდრე შეაცბუნა. ისევ ბეტი გაახსენდა: რა აღტაცებას მოჰგვრიდაო ეს სანახაობა, ცოცხალი ლეგენდა უზნეო ბებერი ფავნუსის თავდავიწყებასა და სიამეებზე...

კარის წირთხლთან შეამჩნია ის, რაც მაშინვე ვერ დაინახა — ბრინჯაოს მომცრო ზარი ქვის იატაკზე იდო. ხელში აიღო, დარეკა, მაგრამ ერჩია არ დაერეკა — გამაყრუებელი ხმა გაისმა, თითქოს გაკვეთილებზე უხმობსო ბავშვებს, და იმწამსვე დაარღვია სახლის მყუდროებაცა და მზით განათებული მიდამოს სიმშვიდეც. მაგრამ ამას არაფერი მოჰყოლია, არც ფეხის ხმა ზევით, არც კარის ჭრიალი იმ გრძელი ოთახის ბოლოში, დევიდი რომ იდგა. ისევ ზღურბლზე შეიცადა. ალბათ ნახევარი წუთი გავიდა, მერე ერთ-ერთი ქალიშვილი — დევიდმა არ იცოდა, რომელი — ბაღში გამავალ კარში გამოჩნდა და მისკენ გამოემართა. ახლა მას ბამბის ქსოვილის სადა გაღაბიან<sup>5</sup> ეცვა. მოხდენილი, თხელი, თითქმის საშუალო სიმაღლის, ოცი წლისაზე ცოტა მეტი ხნის, წაბლისფერ თმას ოდნავ ოქროსფერი დაჰკრავდა, სახის სწორი ნაკვთები ჰქონდა, საკმაოდ დიდი თვალებიდან მშვიდი მზერა გამოსჰქვიოდა და ფეხშიშველა იყო. ყველაფერზე ეტყობოდა, ინგლისელი იქნებოდა. მისგან ოციოდე ნაბიჯის მოშორებით, კიბესთან შედგა:

„დევიდ უილიამზი?“

დევიდმა დამნაშავე კაცის იერით გაშალა ხელები: „მელოდებოდით?“

„დიახ“.

ქალიშვილს ხელი არ გაუწოდებია ჩამოსართმევად.

„შაბატიეთ. ქურდივით შემოვედი. ჭიშკარი დაკეტილი დამხვდა“.

ქალიშვილმა თავი გააქნია. „უნდა გამოგელოთ, არ იყო დაკეტილი. ვწუხვარ, არ იცოდით“. ოღონდ მაინცდამაინც არ ემჩნეოდა, რომ წუხდა. არც დაბნეული ჩანდა. „ჰენრის სძინავს“.

„ჰოდა. ღვთის გულისათვის, ნუ გააღვიძებთ“. დევიდმა გაიღიმა. „მე ცოტა ადრე მომიხდა ჩამოსვლა. ვიფიქრე, იოლად ვერ მოვძებნი-მეთქი“.

ქალიშვილმა შეხედა; გასაგებია, ამ კაცს იმედი აქვს: კეთილად მომეჩვენაო ეს ქალიშვილი.

„გააფთრება იცის, დღისით თუ ძილი არ დააცადეს“.

დევიდმა გაიცინა.

<sup>5</sup> კოჭებამდე გრძელი სამოსი, როგორსაც არაბეთის ქვეყნებში იცვამენ.



„ხომ იცით, მისი წერილი მე სიტყვასიტყვით გავიგე — ღამით შეგიფარებთო... მაგრამ თუ...“

ქალიშვილმა იქით, ღია კარისაკენ გაიხედა, მერე ისევ სახეში შეხედა დევიდს; მის გულგრილ მზერაში კითხვასავით გამოკრთა:

„თქვენი ცოლი?“

დევიდმა აუხსნა, რომ სენდის ჩუტყვავილა ჰქონდა და უწყვეტად წინ სიციხეში აუწია. „ცოლი პარასკევს ჩამოფრინდება პარიზში, აქედანვე დაბრუნდება უკეთ გახდება. მე მას იქ დავხვდები“.

ისევ დაკვირვებით შეხედა დევიდს.

„ხომ არ გაჩვენოთ თქვენი ოთახი?“

„თუ არ შეწუხდებით...“

„არა“.

ოდნავ შესამჩნევად ანიშნა, გაჰყოლოდა, და კიბისკენ შეტრიალდა. უბრალო, თეთრი და საოცრად თავდაჭერილი იყო, მოახლესავით, სულ არა ჰგავდა იმ ქალიშვილს, ცოტა ხნის წინათ რომ ნახა დევიდმა.

„მშვენიერი ოთახია“. თქვა დევიდმა.

სიძველისაგან ჩამუქებულ მოაჯირს მოჰკიდა ხელი და კიბეს აუყვა.

„მეთხუთმეტე საუკუნისაა. ასე ამბობენ“. მაგრამ არც დევიდისთვის შეუხედავს, არც ოთახისთვის, არც აღარაფერი უკითხავს, გეგონება, ეს კაცი შორს კი არა, სულ რაღაც ხუთი მილის მოშორებით ცხოვრობდა და ახლა სხვათა შორის შემოიარაო.

კიბის თავზე ქალიშვილი მარჯვნივ შეტრიალდა, დერეფნისაკენ, დერეფნის გულში სელის გრძელი ჭილოფი ეგო. მეორე კართან მივიდა და გამოაღო, შიგ შეაბიჯა, სახელურისათვის ხელი არ გაუშვია, ისე, და დევიდს სასტუმროს დიასახლისივით შეხედა, თითქოს მდგმური იყო, ვისაც ღამე უკვე გაეთია აქ. დევიდმა უცებ გაიფიქრა, იმასაც გავიგონებ, რამდენი უნდა გადავიხადო ამ ოთახისთვის.

„გვერდითი კარი სააბაზანოსია“.

„ჩინებულა, მე ჩავალ, მანქანას მივხედავ“.

„როგორც გენებოთ“.

ქალიშვილმა კარი დაკეტა. გაღაბის მიუხედავად, თითქოს რაღაც დარბაისლურიც ჰქონდა, ვიქტორიანული. დევიდმა მოკეთესავით გაუღიმა, როცა ორივე დერეფნის გავლით ისევ კიბისკენ გაემართა.

„თქვენ რა...?“

„ჰენრი თავეს მეძახის“.

როგორც იქნა, ოდნავ შეეცვალა სახე, რაღაცნაირად გულგრილი თუ გამომწვევი გაუხდა, დევიდს ეს ზუსტად ვერ გაეგო.

„დიდი ხანია იცნობთ?“

„გაზაფხულს აქეთ“.

მოუნდა, რომ ამ ქალიშვილს სიმპათიაც კი გასჩენოდა ახლა მის მიმართ.

„ვიცი, მაინცდამაინც არ გიყდება ჩემნაირი კაცის სტუმრობაზე“.

ქალიშვილმა მხრები აიჩეჩა:

„თუ თავზე ხელი არ გადაუსვა კაცმა, ყეფას იწყებს“.

ერთი რამ ცხადი იყო, რაღაცის თქმას ცდილობდა. შესაძლოა მიხვდა, რომ დევიდმა ბაღში დაინახა და ახლა უნდოდა გაეგებინებინა, მიმსვლელთაგან თუ რა ძალიან შორს ეჭირა თავი. არც იმის მიხედვით იყო ძნელი, რომ მასპინძლის



ძოვალეობას კისრულობდა, და მაინც ისე იქცეოდა, ვითომ ამ სახლთან არაფერი ესაქმებოდა. კიბე ჩაათავეს და ქალიშვილი ბალისკენ შეტრიალდა.

„აქ გამოხვალთ? ნახევარი საათის მერე? ოთხზე გავალვიძებ“.

დევიდმა ისევ გაიღიმა. „გავალვიძებო“, მომვლელივითა თქვა, თითქოს ამბობდა, ვისაც რა უნდა ის იფიქროს კაცზე, ვისაც მე „ჭენარის“ მას ვეძახიო.

„ძალიან კარგი“.

„თავი ისე იგრძენით, comme chez vous,<sup>6</sup> კარგი?“

ერეკლესი  
გმზღმმმმმმ

ცოტა ხანს შეყოვნდა. გეგონება მიხვდა, ცივად და ქედმაღლურად რომ ეჭირა თავი. თითქოს კიდევაც მოერიდაო. ოდნავ შესამჩნევად, გულთბილად გაუღიმა, მერე დაბლა დაიხედა. შეტრიალდა და უსიტყვოდ გაემართა ბალისკენ. კარში გავლისას გაღაბიბა მზეზე გამჭვირვალდა; შიშველი ლანდი აისახა. ძაღლზე უნდა მეკითხაო, გაიფიქრა დევიდმა, მაგრამ ალბათ თავადაც მიხვდებოდაო, დაასკვნა და სცადა გაეხსენებინა, სად, რომელ უცხო სახლში მიიღეს ამაზე უფრო ცივად... გეგონება, ბევრ რამეს ელოდა აქ მოსვლისას, არადა, სულაც არ იყო ასე. ასე თუ ისე, ამ ქალიშვილს თუ შეხვდებოდა აქ, არ იცოდა. იმასაც მიხვდა, რომ მოხუცი ალბათ ასეთ რამეს, ვთქვათ და, სტუმრის მიღებას, უკვე დიდი ხანია აღარავითარ ყურადღებას არ აქცევდა.

ბალი გაიარა და ჭიშკრისაკენ წავიდა. კარგია მაინც, რომ ამ კლიტეზე უთხრა. გამოსწია თუ არა. უცბად გაიღო, მანქანა ადგილიდან დაძრა, ეზოში შეიყვანა და სახლის წინ, წაბლის ჩრდილქვეშ დააყენა. მერე იქიდან ჩანთა, პორტფელი და ჭინსები გადმოიღო, საკიდრითურთ, და სახლში შევიდა. კიბეზე ასვლისას უკან, ღია კარში გაიხედა, ბალისკენ. მაგრამ ქალიშვილები იმ აღარ ჩანდნენ, დერეფანში, ზევით, ორ სურათთან შეჩერდა. დევიდმა ისინი მოსვლისთანავე შეამჩნია, ოღონდ მაშინ ვერ გაიხსენა მხატვრის გვარი... მაგრამ ახლა, ჰო, რა თქმა უნდა, მაქსიმელიენ ლიუსი. იღბლიანი ბებერი, ეს სურათები მანამდე შეიძინა, სანამ ხელოვნება სიხარბისა და მომხვეჭელობის საგნად, დასაბანდებელ კაპიტალად იქცეოდა. დევიდს უკვე დაავიწყდა, ცივად რომ მიიღეს.

ოთახში სადა ავეჯი იდგა, განიერი საწოლი, ამბირის სტილის, ოღონდ საკმაოდ უხეში და ცოტა მიაშიტურიც კი, კიისაგან უკვე ლამის დაფქული კაკლის ხის კარადა, სკამი, ძველი სავარძელი — გახეხილი მწვანე გადასაკრავით, მოოქრულ ჩარჩოში ჩასმული ლაქებიანი სარკე. ოდნავ ნესტის სუნი ტრიალებდა, თითქოს ობი მოსდებიაო აქაურობას; ავეჯი ალბათ აუქციონზე შეიძიხეს. საწოლზემოთ კი, ამ ოთახისთვის ლამის აქლემი და გალიაო, ლორანსენი ეკიდა, ავტორის ხელმოწერით. დევიდმა სცადა კავიდან ჩამოეხსნა, რომ სიხათლეზე კარგად ენახა, მაგრამ ჩარჩო კედელში ჩახრახნილი აღმოჩნდა. გაიღიმა და თავი გადააქნია; რატომ ბეტი არ არის აქ, რომ იმასაც ენახაო.

ლონდონის გამომცემლობაში დევიდი გააფრთხილეს — კერძოდ, გამომცემლობის უფროსმა, ვინც ეს მივლინება მოიფიქრა, უთხრა, კოტმინეში მისულ კაცს, დაკეტილ ჭიშკარზე უფრო დიდი დაბრკოლებები დაუხვდებოა.

მოხუცი გულფიცხია, ზოგთა სახელის ხსენებასაც მოერიდეთო. საუბრისას უხეშია და ჭირვეული. აი, ამისდა მიხედვით. ეს თავისებური, „დიდი ადა-

<sup>6</sup> როგორც შინ (ფრანგ.).



მიანი შეიძლება არამზადადაც მოგეჩვენოთ. ანდა პირიქით, ბიბლიცა აქვს, თუკი ვინმე მოეწონაო. როგორღაც თითქოს ბავშვივით არის, მიაშიტიცო, და უმატა გამომცემელმა. გარდა ამისა, ინგლისზე და ინგლისელებზე კამათს ერიდეთ, მის სამუდამოდ გადასახლებაზე ლაპარაკსაც მოერიდეთ, არც ის ჯეჯერის, როცა გადაკვრით შეახსენებენ, რომ შესაძლოა რაღაც გაუშვას ხელში და ბოლოს: გაგიყვებით უნდა, რომ მასზე წიგნი გამოვცეთ. დევიდმა კი უფრო ტყუილებს, არ დაიჭეროს, ვითომ ამ კაცისთვის სულ ერთი იყოს, თუ რა აზრისა არიან მასზე მის ქვეყანაში.

კაცმა რომ თქვას, დევიდის მოგზაურობა მაინცდამაინც დიდ აუცილებლობასთან არ იყო დაკავშირებული. მშვენივრად იცოდა, რაც უნდა ეთქვა წერილში, იცოდა როგორ დაეწერა შესავალი და კატალოგებში დაბეჭდილ ესეთაგან უმთავრესი უკვე ხელთა ჰქონდა. პირველ რიგში, 1969 წელს გამართული ტეიტის რეტროსპექტივისა... ბრიტანეთის ოფიციალური ხელოვნების დაგვიანებული ზეთისხილის შტო, აგრეთვე პარიზის ორი ამასწინანდელი და ერთიც ხიუ-იორკის გამოფენისა, მაირა ლივის მცირე მონოგრაფია „თანამედროვე ოსტატების“ სერიიდან და მიმოწერა მეთიუ სმიტთან; რამდენიმე ჟურნალში გამოქვეყნებული მეტნაკლებად გამოსადეგი ინტერვიუები. საჭირო იყო ზოგიერთი ბიოგრაფიული დეტალის დადგენა, მაგრამ ამის მოგვარება წერილობითაც შეიძლებოდა. უამრავი შეკითხვაც არსებობს, ცხადია, ხელოვნებას რომ შეეხება, მაგრამ მოხუცი არც არაოდეს ამქლავებდა დიდ მზადყოფნას ამ შემთხვევებში, სავარაუდო ის უფროა, და ამის დასტური წარსულიც იყო, რომ არსებითს არაფერს იტყოდა, ღვარძლიანად მიედ-მოედებოდა ანდა, უბრალოდ, უხეში იქნებოდა. დევიდს მაინც ხელსაყრელი შემთხვევა ეძლეოდა შეხვედროდა ადამიანს, ვისაც ამდენი დრო შესწირა და რომლის ხელოვნებითაც, ასე თუ ისე, გულწრფელად იყო აღტაცებული... რაღა თქმა უნდა, ასეთ კაცთან შეხვედრა სასიხარულოა და ბოლოს, რაც უნდა იყოს, უდავოდ დიდი მხატვარია. ბეკონებსა და სათერლენდებს თუ ამოუყვანებ გვერდში, ოლონდ, დღესდღეობით იგი ამათზე მაღლაცა დგას. რჩეულთა შორის, შეიძლება ითქვას, ყველაზე საინტერესოც არის, თუმცა, რომ გეკითხათ, თავის თავზე ალბათ მხოლოდ იმას იტყოდა, ამ წყეულ ინგლისელებთან რა მესაქმებო.

დაიბადა 1896 წელს, სლეიდის სტუდენტი იყო, სტირისა და ტონკის სკოლის იქ ბატონობის დიდებულ დღეებში, თავგამოდებული პაციფისტი, როცა არმიაში გაწვევის დრო დადგა, 1916 წელს; 1920 წელმა პარიზში მოუხსწრო (ინგლისთან საბოლოოდ გაწყვიტა სულიერი კავშირი), მერე ათი წელი თუ უფრო მეტიც ძიებებში გაატარა — იმხანად რუსეთიც კი შეტრიალდა სოციალისტური რეალიზმისაკენ, საარვისო მიწა სიურრეალიზმსა და კომუნიზმს შუა, კიდევ ათიოდე წელი გავიდა, კიდრე ჰენრი ბრესლის სერიოზულად აღიარებდნენ თავის ქვეყანაში. ეს მაშინ, როცა მისი სურათების გამოფენა გაიხსნა ესპანეთის სამოქალაქო ომის თემაზე და რომლებსაც უელსში შექმნა, სადაც „გაძევებიდან გაძევებულივით“ ცხოვრობდა ხუთ წელიწადს მეორე მსოფლიო ომის დროს. მხატვრების უმრავლესობასავით, ბრესლიც ბევრად წინ უსწრებდა პოლიტიკოსებს. 1942 წელს ლონდონში მისი 1937-1938 წლების სურათების გამოფენამ ბრიტანელებისათვის უცებ სხვა აზრი შეიძინა: ახლა ამათაც იცოდნენ უკვე, რა არის ომი და რა მწარე უგუნურებაა საერთაშორისო ფაშიზმის იოტისოდენად დაჭერებაც კი. უფრო გონიერებს ესმოდათ, რომ ესპანეთის აგონიის მისეულ გამოხატვაში არაფერი იყო წინასწარმეტყველური.



მხატვრის ხელოვნება სულით გოიას უბრუნდებოდა მხოლოდ, ეს იყო და ეგ. მაგრამ მისი ძალა და ოსტატობა, ხაზის საოცარი ფლობა დიახაც არ იწვევდა რაიმე ეჭვს. ბრესლის, როგორც პიროვნებას და როგორც „ძნელი“ ინდივიდის რეპუტაციას, ბეჭედი დაესვა. ლეგენდამ მის სიძულვილზე ყველაფერ ინგლისურისა და იმის მიმართ, რაც ასე თუ ისე ბურჟუაზიული იყო, მეტადრე თუ საკმე ეხებოდა ხელოვნებაზე ოფიციალურ შეხედულებებში. მანდარინისტრაციულ ჩარევას, უკვე მაგრად მოიკიდა ფეხი იმ დროს, როცა იგი პარიზიდან დაბრუნდა, 1946 წელს.

შემდგომ ათწლეულში არაფერი მომხდარა ისეთი, რითაც შეიძლებოდა მისი პოპულარობა უფრო და უფრო გაზრდილიყო. მაგრამ მხატვრის სურათებით უკვე კოლექციონერები დაინტერესდნენ და მისი გავლენიანი თაყვანისმცემლებიც უფრო მომრავლდნენ პარიზსა და ლონდონში, თუმცა, ყველა ევროპელი ფერმწერივით, ისიც დაზარალდა იმით, რომ ნიუ-იორკი ამადლდა ხელოვნების ფასეულობათა მსოფლიო არბიტრამდე. ინგლისში ბრესლის არასოდეს მიუმართავს თავისი ესპანური სურათებისათვის დამახასიათებელი პირქუში, „შავი სარკაზმისთვის“; და მაინც ბრესლის ავტორიტეტი იზრდებოდა იგი სულ უფრო ოსტატდებოდა. მისი შიშველი ფიგურებისა და ინტერიერების უმრავლესობა სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა; დიდი ხნით დამარხულმა ჰუმანისტმა ზედაპირს ამოაღწია ლამის, თუმცა, როგორც ყოველთვის, საზოგადოებას ახლაც უფრო მეტად მისი ბოქემური ცხოვრება აინტერესებდა, მისი ღრეობებისა და ქალების ამბები, რომლებსაც ყვითელი პრესა, ფლიტ-სტრიტის შოვინისტური ფრთა ავრცელებდა და გუნებას უშხამავდა. მაგრამ ორმოცდაათიანი წლების მიწურულში ამგვარი ცხოვრების წესი მოძველდა, მიმზიდველი აღარ იყო და წარსულს ჩაბარდა. მითქმა-მოთქმა თუ მართალი მისი ცოდვილი ცხოვრების შესახებ, ისევე როგორც სიძულვილი თავისი ქვეყნის მიმართ, უკვე თავშესაქცევი და... ავთენტიკურიც გახდა ბილწი გონების პატრონთათვის, რომელთაც ხელს აძლევდა, ერთმანეთში აერიათ დიდი ხელოვნება და მხატვრის ათასნაირ ფერებში დახატული ბიოგრაფია, ვან გოგის ყურის ამბავს იმოწმებდნენ და ახშობდნენ ყველანაირ ცდას ხელოვნება სალი აზრის უმაღლეს გამოხატულებად მიეჩნიათ და არა დაშაქრულ მელოდრამად. ოლდონდ, ისიც უნდა ითქვას, რომ თვითონ ბრესლი მაინცდამაინც არ უარყოფდა იმ როლს, რომელსაც მიაწერდნენ; თუკი ხალხს სურდა სენსაციებით ეარსება, იყოს ასე. მაგრამ ექსპიზიციონიზმის შეტევების მიუხედავად, ძალიან გამოიყვანა და ამას ახლო მეგობრები თუ ამჩნევდნენ.

1963 წელს მან ძველი manoir იყიდა კოტმინეში და დატოვა თავისი საყვარელი პარიზი. ერთი წლის მერე გამოვიდა ილუსტრაციები რაბლესთვის — მისი ბოლო სიტყვა წმინდა გრაფიკულ ხელოვნებაში; მცირე ტირაჟით გამოცემული, იგი საუკუნის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ წიგნად იქცა ამგვარ გამოცემათა შორის. იმავე წელს შექმნა პირველი სურათი სერიისა, რომლითაც საბოლოოდ დაიმკვიდრა საქვეყნო დიდება. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს ეთანხმებოდა იმ შეხედულებას, თითქოს მისტიკური ახსნა შესაფერი ახსნა იყო მისი ხელოვნებისა, — მის არსებაში კიდევ ბუდობდა, და საკმაოდ დოზითაც, მემარცხენეობა, იმისათვის, რათა თავი შეეკავებინა და თავდადებული მიმდევარი არ ყოფილიყო ამა თუ იმ რელიგიისა. — დიდ ტილოებს, პირდაპირი და მეტაფორული მნიშვნელობითაც, სადაც მწვანე და ლურჯი ტონები კარბობდა და რაც მის ახალ სტუდიაში გაჩნდა. ფესვები



გადგმული ჰქონდა სხვა ჰენრი ბრესლიში. ვისზეც გარე სამყარომ გუჟანი-  
თაც კი არაფერი იცოდა. თითქოს საკუთარი თავი უფრო გვიან აღმოაჩინა,  
გაცილებით გვიან. ვიდრე იმ მხატვართა უმრავლესობამ, რომლებიც ზიკითა  
და გამოცდილებით მისი თანაბარნი იყვნენ. თუ მთლად განდევნილად არ იქ-  
ცა. უკვე აღარც *enfant terrible*<sup>7</sup> იყო მხატვართა შორის. ერთხელ  
როგორღაც თვითონვე დაარქვა თავის ნახატებს „ზმანებები“<sup>8</sup> და მათი სა-  
ფუძვლოდ. და ეს იმ სიურრეალისტური კომპონენტის გამო, ოცნანი წლე-  
ბიდან რომ შემორჩა, და ამაზე შეეცყო, რომ ანაქრონიზმები უყვარდა. ერ-  
თხელ კიდევ გობელენები შეარქვა თავის ტილოებს. არადა, ობიუსონის  
*atelier*<sup>9</sup> მართლა იყენებდა მის ესკიზებს. ბრესლის ეკლექტიკოსადაც მი-  
იჩნევდა ზოგი — „ნაყოფი სემიუელ პალმერისა და შაგალის წარმოუდგენელი  
შეუღლებებისა“, ასე გამოთქვა თავისი მოსაზრება ერთმა კრიტიკოსმა ტეიტის  
რეტროსპექტივის მიმოხილვაში — რაც მთელი მისი კარიერის მანძილზე შე-  
იძინებოდა. თუმცა კოტმინეში გადმოსახლებამდე ცოტა ხნით ადრე გაირკვა  
ეს საბოლოოდ; ზოგი ნოლანთან მსგავსებაზე მიაჩნებოდა. მიუხედავად იმი-  
სა, რომ მისი სურათები ნაკლებად გასაგები, უფრო მისტიკური და არქექტიპ-  
ულია... „კელტური“ — ამ სიტყვას ხშირად ხმარობდნენ ბრესლიზე ლაპარა-  
კისას, ტყის მოტივების, იდუმალებით მოცული ფიგურებისა და კონტრასტე-  
ბის გამო.

ბრესლიმ ნაწილობრივ თვითონაც დაადასტურა ეს, როცა ვილაცამ ჰკით-  
ხა, — და გაუმართლა კიდევაც, რადგან ამჯერად თითქმის გულწრფელი პასუ-  
ხი მიიღო. — ვინ არიან ისინი, ვის მიმდევრადაც მიგაჩნიათო თავი, ბრესლიმ  
მიუგო: პიზანელო და დიას დე ლა პენიო, უთქმელადაც ცხადია, რომ დიასი-  
სა და ბარბიზონის სკოლის ხსენება თავის მიმართ ირონიას ნიშნავდა. მაგრამ  
როცა კვლავ პიზანელოზე ჰკითხეს, ბრესლიმ დაასახელა მისი „წმინდა ევს-  
ტათის ხილვა“ ლონდონის ეროვნული გალერეიდან და აღიარა, მთელი სი-  
ცოცხლე თანა მდევდა, არ მასვენებდაო. თუ ეტყოდნენ, ამ სურათის გავლენა  
ერთი შეხედვით ნაკლებად შეინიშნებო. მაშინვე მიუგებდა, პიზანელო და  
მისი მფარველები მეთხუთმეტე საუკუნის გარიჟრაჟზე არტურის ციკლით იხი-  
ბლებოდნენო.

მოხუცი მხატვრის შემოქმედების სწორედ ამ ასპექტმა ჩამოიყვანა კოტ-  
მიხეში დევიდ უილიამში (დაიბადა 1942 წელს, იმ წელს, როცა პირველი წარ-  
მატება ხვდა ბრესლის ინგლისში) 1973 წლის სექტემბერში. ტეიტის გალე-  
რეის რეტროსპექტივამდე ბრესლის მიმართ გამორჩეული ინტერესი არა ჰქო-  
ნია. ოღონდ მაშინაც ძალზე აოცებდა მისი ხელოვნების მსგავსება ინტერნა-  
ციონალური გოთიკის ხელოვნებასთან, ან, უფრო სწორად, სტილთან, ეს კი  
ყოველთვის აინტერესებდა მას, როგორც მკვლევარს. ორი წლის მერე წე-  
რილიც დაწერა ამის თაობაზე და ბრესლისაც გაუგზავნა, მაგრამ პასუხი არ  
მიუღია. ახლა მით უფრო საოცარი იყო, რომ გამომცემლებმა შესთავაზეს  
დაეწერა ბიოგრაფიული და კრიტიკული წინასიტყვა წიგნისათვის „ჰენრი ბრე-  
სლის ხელოვნება“ (თანაც ატყობინებდნენ, რომ თვითონ მხატვართან შეთან-  
ხმებით სთავაზობდნენ ამის დაწერას).

ამგვარად, მოხუც ოსტატს მისთვის სულ მთლად უცნობი ახალგაზრდა

<sup>7</sup> საშინელი ბავშვი (ფრანგ.).

<sup>8</sup> სახელოსნო (ფრანგ.).



კაცი არ ეწვეოდა. დევიდ უილიამსს მშობლები, ორივე, დედაც და მამაც, არ-  
ქიტექტორები ჰყავდა, ცოლ-ქმარს საკმაოდ ფართო ერთობლივი პრაქტიკა და  
სახელი ჰქონდა, თავიანთ ვაჟს ადრევე შეამჩნიეს თანდაყოლილი ნიჭი, ფერის  
მახვილი აღქმის უნარი. დევიდი ისეთ გარემოცვაში იზრდებოდა, სადაც მხო-  
ლოდ მხარდაჭერას თუ ჰპოვებდა. თავის დროზე შევიდა სამხატვრო კოლე-  
ში და აქ საბოლოოდ ფერწერის შესწავლას მიჰყო ხელი. პირველი სტუდენ-  
ტი იყო, შესამეკურსელი უკვე ქმნიდა ისეთ ნაწარმოებებს, როგორც რომ იყი-  
დებოდა; *rara avis*<sup>9</sup> მხოლოდ ამ მხრივ არ ყოფილა იგი; თავისი მეგო-  
ბარი სტუდენტებისაგან ცოცხალი აზროვნებითაც გამოირჩეოდა: ისეთ  
ოჯახში აღზრდილს, სადაც ყოველთვის და გულდასმით ბეჭდონენ თანამედ-  
როვე ხელოვნების საკითხებზე, კარგად შეეძლო ლაპარაკი და კარგადაც წერ-  
და. ასევე კარგად შეისწავლა ხელოვნების ისტორია, ამაში ძალიან დაეხმარა  
ხშირი სიარული ტოსკანაში, სადაც მშობლების მიერ შეძენილ ფერმაში ცხოვ-  
რობდა, და ცხადია, დაეხმარა თავისი გულმოდგინებაც. ესმოდა, რომ ილბა-  
ლი სდევდა თან და ისიც იცოდა, რომ გარკვეული წრის და ბუნებით ნაკლე-  
ბად დაჯილდოებულ თავის ტოლ-სწორებს ალბათ შურდათ მისი. ყოველთვის  
სურდა მოსწონებოდათ და გამოიმუშავა მანერა, რითაც ერთმანეთს უთავსებ-  
და ტაქტს და სიმართლეს. შესაძლოა ყველაზე საოცარი მაინც ის იყო, რომ  
სტუდენტობის ეამს მას ყველა იცნობდა და ყველას უყვარდა. ასე იყო მერეც,  
როცა მასწავლებელი და ლექტორი გახდა, და მერეც. იმათაც, ვინც მისი,  
როგორც ხელოვნებათმცოდნის, კრიტიკის მსხვერპლნი ხდებოდნენ ხშირად,  
არ სძულდათ იგი, ასე თუ ისე, არასოდეს მიმართავდა კრიტიკას კრიტიკის  
გულისათვის და მხოლოდ იშვიათად თუ ვერ გამონახავდა საქებას სიტყვებს  
ამა თუ იმ მხატვარზე ან გამოფენაზე.

კოლეჯის დამთავრების მერე თვითონვე, ისე რომ არავის ურჩევია, კორ-  
ტოლდის ინსტიტუტში შევიდა ერთი წლით. ამის მერე, ორი წლის მანძილზე  
ფერწერასა და ზოგად ესთეტიკაში კითხულობდა ლექციებს. თავის შემოქ-  
მედებაში იგი ოპ-არტისა და ბრიჯიტ რაილის გავლენას განიცდიდა და კარგა-  
დაც გამოადგა ეს გავლენა. ერთი იმ ახალგაზრდა მხატვართაგანი გახდა, ვის  
ხანატებსაც ყიდულობდნენ, როცა ხელი არ მიუწვდებოდათ თვითონ რაილის  
სურათებზე. მერე (1967 წელს) ერთ თავის შესამეკურსელ სტუდენტ ქალი-  
შვილს დაუახლოვდა, შეუყვარდა, დაქორწინდნენ და მშობლების შემწეობით  
სახლი იყიდეს ბლექჰითში. დევიდმა გადაწყვიტა თავად გაეკვლია გზა ცხოვ-  
რებაში, რომ მხოლოდ ფერწერა იქნებოდა მისი საარსებო წყარო. მაგრამ  
ალექსანდრას, თავისი პირველი გოგონას დაბადებამ, სხვა გარემოებებთან  
ერთად — ერთ-ერთი ისიც იყო, რომ იმ ხანებში, როცა რაილის გავლენას თავი  
დააღწია, საკუთარი თავის, როგორც მხატვრის მიმართ, თითქოს ცოტა ეჭ-  
ვი გაუჩნდა — აიძულა შემოსავლის სხვა წყაროც ეძებნა. სტუდიაში მასწავ-  
ლებლად დაბრუნება აღარ უნდოდა. მაგრამ ლექციებს ისევ მიუბრუნდა. ოლ-  
ონდ, მთელი დატვირთვით არა. სრულიად შემთხვევით რეცენზიების წერა  
შესთავაზეს; დათანხმდა და ერთი წლის მერე საკმაოდ შემოსავალი ჰქონდა  
იმისათვის, რომ ლექციებზე უარი ეთქვა და იმ დღიდან მოყოლებული ასე  
ცხოვრობდა.

მისი საკუთარი შემოქმედება უკვე საკმაოდ რეპუტაციას იხვეჭდა — ოპ-

<sup>9</sup> იშვიათობა (ლათ.).



არტით გატაცებამ უკვე გაუარა და გამოფენებზე სულ უფრო ხშირად შეამჩნევდით სურათებზე ასეთ წარწერას — „გაყიდულია“. მართალია, ისევ აბსტრაქტულ მხატვრად რჩებოდა. ამ ზედსართავის საყოველთაოდ მიღებული გაგებით (ფერმწერ-კოლორისტად, თუკი თანადროულ ჟანრებს მოეწვედნენ). მაგრამ იცოდა, რომ ბუნებისაკენ იხრებოდა და შორდებოდა თავისი „რაილის“ ეტაპს. მისი ფერწერა გამოირჩეოდა ტექნიკური მკაფიოობით, გაბნეულობის უქონლობით, რისი სიყვარულიც მშობლებისაგან დაჰყვა, და ტონების შესამჩნევი სიღბოთი. უხეშად რომ ვთქვათ, ეს სურათები ძალიან უხდებოდა საცხოვრებელი სახლების კედლებს. და ამის გამოც (დევდიმა იცოდა ეს და არ ეუხერხულებოდა) იყიდებოდა. სხვა მიზეზი კიდევ ისიც იყო, რომ მხატვარ-აბსტრაქციონისტთა უმრავლესობისაგან განსხვავებით, დიდ ტილოებზე არასოდეს მუშაობდა. შესაძლოა ეს თვისებაც დედისა და მამისაგან გამოჰყვა; ატლანტიკითა მხატვრებისათვის დამახასიათებელ სწრაფვას მონუმენტურობისადმი, თანადროული ხელოვნების მუზეუმების უზარმაზარი დარბაზებისათვის შექმნილ ტილოებს დევდიმ ექვემდებარებოდა თვალთ უყურებდა. არც იმ კატეგორიის ხალხს ეკუთვნოდა, ვისაც თითქმის ეთაკილებოდა. მცირე ზომის გამო იმათი სურათები ოჯახებში რომ ეკიდა და კერძო მფლობელთა თვალს ახარებდა.

პრეტენზიულობა სძაგდა. ოღონდ პატივმოყვარეობას მოკლებულიაო, ვერ იტყოდით. ფერწერა ისევ მეტ შემოსავალს აძლევდა, ვიდრე წერა და ეს ძალიან ბევრს ნიშნავდა მისთვის, ისევე როგორც, ასე ვთქვათ, ის მდგომარეობა, რაც თავისი თაობის მხატვართა შორის ჰქონდა. არად აგდებდა სახელისა და დიდებისაკენ სწრაფვას, თუმცაღა ფხიზლად ადევნებდა თვალს კონკურენტებს და იმათ პრესასაც. თავს არ იტყუებდა; ესმოდა, როგორც მიმომხილველს, რომ უნდა იცოდნენ იმათი ფასი, ვისიც ყველაზე მეტად გეშინია.

ცოლქმრული ცხოვრება კარგად მიდიოდა. იმ ხანმოკლე პერიოდის გამოკლებით, როცა ბეტი აჯანყდა „მუდმივი დედობის“ გამო და ქალთა თავისუფლების მოძრაობის დროშებს მიჰყვა. მაგრამ ამაღ გაუარა, რადგან იმხანად ორი საბავშვო წიგნი გამოვიდა მისი ილუსტრაციებით, მესამეზე უკვე მოელაპარაკნენ და ახლა მეოთხეზე დებდა ხელშეკრულებას. დევდიმ ყოველთვის აღტაცებული იყო მშობლების ქორწინებით. ახლა მისიც იმავე გზით მიემართებოდა, ის და მისი მეუღლე მეგობრები იყვნენ და მხარს უბამდნენ ერთმანეთს. როცა ბრესლიზე წიგნისთვის შესავლის დაწერა შესთავაზეს, ესეც იმის ხიშნად ჩათვალა, რომ საქმე კარგად მისდიოდა.

კოტმინეში ჩამოსულს მხოლოდ ერთი რამ აშინებდა: იცოდა თუ არა ბრესლიმ, რომ ესეც ფერმწერია ან, უფრო ზუსტად — ამა და ამ მიმართულების ფერმწერი და თანაც ხელოვნებათმცოდნე. გამომცემლმა თქვა, რომ მოხუცს ასეთი კითხვებით არ მიუმართავს მისთვის. ის წერილი კი, მას რომ ეხებოდა, უხაზავს, მისი აზრით „კარგად იკითხება“. მაგრამ ყველაზე მეტად მაინც გამოსაცემი წიგნის ფერადი რეპროდუქციების ხარისხი აინტერესებდა. ბრესლის შეზღუდულება იმაზე, რომ სრული აბსტრაქტულობა ხელოვნებაში მცდარი გზაა, ფართოდ იყო ცნობილი, ამიტომ იგი ალბათ დროს არ დაკარგავდა დევდიმის შემოქმედების გასაცნობად. მაგრამ შესაძლოა ახლა უფრო შემწყნარებლაც ეკიდება აბსტრაქტულ ხელოვნებას — თუმცა 1969 წელს ლონდონში ყოფნისას ცეცხლის წვიმა თუ ემეტებოდა ვიქტორ პასმურისთვის. უფრო საფიქრებელი კი ის არის, რომ ლონდონის ხელოვნების სამყაროს მოშორებული, გუმანითაც



ველარ ხვდებოდა, საკუთარ უბეში გველი რომ ჰყავდა შეფარებული. დევიდს იმედი ჰქონდა, კამათს აიცილებდა, თუ არადა, არ დანებდება. შეეცდებოდა გააგებინოს მოხუცს, რომ თანამედროვე სამყარო ასეთ ვიწრო შეხედულებებს კარგა ხანია უკვე გასცდა. დასტურად ამისა ისიც კმარა რომ დევიდმა მიიღო გამომცემლობის წინადადება. ბრესლი „მუშაობდა“ და ის, რომ იგი ემოციურადაც და სტილისტიურადაც სულ სხვაგვარად მუშაობდა. ანტონიო მანტუა იმათგან (დე სტილის, ბენ ნიკოლსონისა<sup>10</sup> და სხვებისგან, მათ შორის არქიტექტურატი პასმურისგან), ვისაც მავანი და მავანი უფრო მაღლა აყენებდა. მეოცე საუკუნის ხელოვნებისათვის სულაც არ იყო არსებითი.

დევიდი ახალგაზრდა იყო. თმენით აღჭურვილი, კეთილმოსურნე და ცოდნისმოყვარე.

იმ ნახევარი საათით ისარგებლა სანამ „ჰენრის“ გააღვიძებდნენ, და ქვევით ჩავიდა, რომ სურათები დაეთვალიერებინა. ხანდახან სარკმლიდან ბალისკენ იხედებოდა. მდელიოზე კვლავ არავინ ჩანდა და სახლშიც ისეთივე სიჩუმე იდგა, ჩამოსვლის ეამს რომ დახვდა დევიდს. გრძელ დარბაზში მხოლოდ ერთი სურათი ეკიდა ბრესლისა, მაგრამ სხვაც ბევრი იყო მოსახიბლი. პეიზაჟი, როგორც დევიდმა პირველ ნახვისთანავე ივარაუდა. დერენისა იყო. ეს სამი შესახიშხავი ნახატი — პერმეკეა, ენსორი და მარკე. ადრეული ბონარი. ფანქრის ხერვული მონახაზი, თავისებურად შესრულებული ნახატი. ხელმოუწერელია, მაგრამ ცხადია, დიუფია. შემდეგ მოდიოდა დიდებული იავლენსკი (წარმოუდგებელია, რანაირად ჩაიგდო ხელში?), ოტო დიქსი. გრავიურის საცდელი ანაბეჭდი, ავტორის ხელმოწერით, და იქვე, გეგონება შესადარებლად, ნევენსონის სურათი. ორი მეთიუ სმითი, ერთი პიკაბია; პატარა ნახატი ყვავილებით — ადრეული შატისი უნდა იყოს, ოლონდ, მაინცდამაინც ძალიან არა ჰგავს... კიდევ ბევრი ნახატი და სურათი იყო, რომელთა ავტორების დასახელება დევიდს არ შეეძლო. უკიდურესი მიმართულების გამოკლებით აქ ისე იყო წარმოდგებილი ადრეული, მეოცე საუკუნის ხელოვნება, რომ ბევრი მცირე მუზეუმი რაღას არ იღონებდა, ოლონდაც ხელში ჩაეგდო ასეთი კოლექცია. ბრესლი, ცხადია, ომამდელ ხელოვნებას ამჯობინებდა და საამისოდ სახსრებიც ჰქონდა. ერთადერთი ბავშვი იყო ოჯახში და როცა 1925 წელს დედა გარდაეცვალა, სოლიდური თანხა მიიღო მემკვიდრეობით. მამამისი, ერთი იმ ვიქტორიანელ ჯენტლმენტაგანი, რომლებიც არაფერს აკეთებდნენ და განცხრომით ცხოვრობდნენ, 1907 წელს დაიღუპა ხანძარმოდებულ სასტუმროში. მაირა ლივის წიგნის მიხედვით, ისიც, თუმცა დილექტანტურად, სურათების კოლექციას უყრიდა თავს.

თავისთვის ბრესლიმ ყველაზე საპატიო ადგილი და სივრცე ამოარჩია — აქ, დარბაზში, ქვით ამოყვანილი ძველებური ბუხრის თავზე ეკიდა უზარმაზარი „ნადირობა მთვარიან ღამეში“. ალბათ ყველაზე ცნობილი სურათი იმათ შორის, რაც კოტმინეში შექმნა; სწორედ მის განხილვას აპირებდა დევიდი, მასზე უნდა დაეწერა წვრილად, ვიედებოდა, ისე უნდოდა კვლავ მისი ნახვა, მოცალეობის ეამს, კარგად... იქნება კიდევ იმისთვისაც, რათა საბოლოოდ დაეჯერა, რომ არ ცდებოდა სურათის შეფასებაში. თითქოს რაღაც შვებაც იგრძნო:

<sup>10</sup> პოლანდიელ მხატვართა და არქიტექტორთა ჯგუფი (1917-1931). გამოსცა ჟურნალი „სტილი“.



ამჯერადაც ისეთივე კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა სურათი — პირველად იგი ოთხი წლის წინათ ნახა ტეიტის გამოფენაზე — მეტიც, უკეთესიც ჩანდა იმაზე, რაც მეხსიერებაში ჩარჩენოდა და რეპროდუქციებზე ენახა ისევე როგორც ბრესლის არაერთ სურათში, აქაც ცხადად შეიმჩნეოდა, რომ აღრე ბევრი ემუშავა იკონოგრაფიაში, კარგად შეესწავლა უჩელოს „ლამით ნადირობაც“ და მისი გავლენით შექმნილი მრავალი სურათიც მომდევნო საუკუნეებში კი გაფიქრებინებდათ, რომ მსგავსებისა არ ეშინოდა და გათვითცნობიერებული ჰქონდა რისკიც... როგორც ბრესლის ესპანური სურათები გამოწვევა იყო დიდი გოიას აჩრდილისა — ავტორი უბრალოდ კი არ ბაძავდა მას, პაროდირებასაც ახდენდა. — აქაც, უჩელოს გახსენება ეშმოლის მუზეუმიდან, ერთგვარად აღრმავენდა და აძლიერებდა იმ სურათის შთაბეჭდილებას, რომლის წინაც დევდი იჯდა. ეს ფაქტიურად საჭირო დაძაბულობას ანიჭებდა მას: იდუმალებისა და შეუცნობლობის მიღმა (არც მწევარ-მეძებრები, არც ცხენები, არც ნანადირევი... რალაც ღამეული ფიგურები ხეებშუა, მაგრამ მაინც ეს სათაური უხდება) და უამრავი ზედაპირული დეტალის ახლებურად გააზრების მიღმა ორთავე იყო — პატივისცემაც და თითქოს დაცინვაც ძალიან ძველი ტრადიციისა. შეიძლება მთლად დაბეჭითებით ვერ ეთქვა, რომ შედეგრიად, საღებავი ზოგ ადგილას ღვეთივით იყო, აშკარად გამიზნული *impasto*<sup>11</sup>, თუკი ახლო დააკვირდებოდი; მთლიანობაში ერთგვარად სტატიკურია, აკლია ღია ფერები (თუმცა, ეს ალბათ ისევ მხოლოდ უჩელოს გახსენებაა). მაინც იგი მრავლისმეტყველი და საყურადღებოა, იმის შემდგომი პერიოდის ბრიტანელ მხატვართა რომელი სურათის გვერდითაც უნდა დააყენო, გამოირჩევა. სულ სხვაა, მაგრამ ალბათ ყველაზე უფრო საოცარი მაინც კიდევ ის არის, რომ ეს სურათი, ისე როგორც მთელი სერია, უკვე ხანში შესულმა კაცმა შექმნა. „ხადირობა მთვარიანში“ 1965 წელს დახატა ბრესლიმ, მაშინ იგი სამოცდამეცხრე წელში იყო გადამდგარი. იმის მერე ერთი რვა წელი გავიდა კიდევ.

ანაზღად, გეგონება, ჰაერში გაისმა კითხვა და პასუხად, ბაღში გამავალ კარში, თვითონ ხორცშესხმული მხატვარი გამოჩნდა.

„უილიამზ, ძვირფასო“.

წინ წაძოვიდა და ხელი გაუწოდა, ღია ცისფერი შარვალი ეცვა, ლურჯი პერანგი — ოქსფორდისა და კემბრიჯის<sup>12</sup> მოულოდნელი გაელვება, ყელზე წითელი აბრეშუმის ყელსახვევი, თმა მთლად თეთრი ჰქონდა, წარბები კი ჯერაც ჭალარაშერეული; ბოლქვივით ცხვირი, პირი — ვერ გაიგებდით, თითქოს პირვეული; გაუტეხელ სახეზე მონაცრისფრო-ცისფერი გუდალა თვალე-ბი, მეტად მხნე მიხრა-მოხრა, თითქოს იცოდა, რომ მალე წაერთმეოდა ძალა; მოძცრო ტანის და უფრო მოხდენილი იყო, ვიდრე დევდის ფოტოსურათებით წარმოედგინა.

„ჩემთვის აქ ყოფნა დიდი პატივია, სერ“.

„სისულელეა“. იდაყვზე ოდნავ წაჰკრა ხელი დევდის; წარბებქვეშიდან და ჩამოშლილი ჭალარიდან გამომცდელად და ქედმაღლურად, დამცინავი ლი-მილითაც კი გამოხედა. „იზრუნეს თქვენზე?“

„დიახ, ყველაფერი მშვენივრადაა“.

<sup>11</sup> ფერწერული ხერხი, როდესაც საღებავი სქლად ედება ნახატს.

<sup>12</sup> ცისფერი — კემბრიჯის, ხოლო იისფერაშერეული ლურჯი — ოქსფორდის უნივერსიტე-ტის სტუდენტთა სპორტული ფორმა.



„კარგია, თავი თუ ძალიან არ ჩაგაცივდათ. ეგ ცოტა ვერ არის კარგად“. მოხუცი დოიხჯმემოყრილი იდგა. ეტყობა, სურდა უფრო ახალგაზრდა და მხნე შესახედაობა ჰქონოდა, დევიდის კბილასავით. „თავი ღიზი სიღალი ჰქონია. მაშ მუ ის აუტანელი იტალიელი ვყოფილვარ... შეურაცხმყოფელი...“

დევიდმა გაიცინა. „მე მართლა შევამჩნიე რაღაც...“

ბრესლიმ თვალები გადაატრიალა და ჰერს ახედა. „ჩემო ძვირფასო, წარმოდგენაც არა გაქვთ. ამდენ ხანს, ამ ასაკის ქალიშვილები... კარგი, ჩაიხე რას იტყვით? ჰო? ჩვენ ბაღში ვსხდებით“. კარისაკენ რომ მიდიოდნენ, დევიდმა „ნადირობა მთვარიანში“ შეათვალიერა ისევ და ხელი გაიშვირა მისკენ: „ძალიან მიხარია, რომ კიდევ ვნახე. ვნატრულობ, დაბეჭდვისას არაფერი დაიკარგოს“.

ბრესლიმ მხრები აიჩეჩა. თითქოს არ ენალვლებათ, ან თითქოს მისთვის სულ ერთი იყო პირში შეაქებდნენ თუ არა. ისევ გამომცდელად შეხედა დევიდს.

„თქვენ? ექსტრა კლასისააო, გამიგია“.

„არა, რას ამბობთ“.

„წავიკითხე თქვენი წერილი. იმ ყმაწვილებზე არაფერი გამეგო მანამდე. კარგი მასალაა“.

„მაგრამ მცდარი?“

ბრესლიმ იდაყვზე მოჰკიდა ხელი.

„მე ხომ მეცნიერი არა ვარ, კაბუკო. ბევრი ისეთი რამ არ ვიცი, რაც თქვენ ალბათ დედის მუცლიდან დაგყვათ. ეს არაფერი, რას იზამ. ამას უნდა შეურიგდეთ, ჰა?“

ბაღში გავიდნენ.

ის ქალიშვილი, თავის რომ ეძახდნენ, ისევ ფეხშიშველა, თავისი თეთრი არაბული სამოსით, სახლის იქითა მხრიდან მდელისაკენ მოდიოდა და ჩაი მოჰქონდა ლანგრით. კაცებისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

„აკი გითხარით“, ჩაიბუტბუტა ბრესლიმ, „მაგას ერთი უკანა ადგილის კარგი აქრელება არგებს“.

დევიდმა ბაგე მოიკვნითა, რომ არ გასცინებოდა. კატალპის ძირში, მაგიდასთან მისულმა, მეორე ქალიშვილი შეამჩნია, მდელობზე იდგა. იმ მხარეს, ჩშირი ბუჩქნარი რომ ეფარებოდა და სახლიდან არა ჩანდა. მთელი ამ ხნის მანძილზე, ეტყობა, კითხულობდა; როცა მათკენ წამოვიდა. დევიდმა დაინახა, რომ წიგნი ისევ ხელში ეჭირა. წითელრეფსიანი ჩალის ქუდი კი ბალახზე დაეტოვებინა. თუ თავი უცნაური ჩანდა, ეს არსება რაღაც უაზრობა იყო. თავზე უფრო პატარას, უფრო გამხდარსა და სუსტს, გამხდარი პირისახე და ბუღუღა, ინით შეღებილი წითელი ხუჭუჭა თმა ჰქონდა. ზრდილობის წესების მორჩილება იმაზე თუ ემჩნეოდა, რომ რაღაცა ეცვა — შავი პერანგი, ოღონ, კაცისა თუ ბიჭისა, გარკვევა ჰქონდა. ისეთი მოკლე, რომ ჰა და ჰა. წელამდე ძლივს სწვდებოდა. ქუთუთოებიც შავად შეეღება. კონკისძველასა ჰგავდა, ნევრასთეხიულ საფროზობელას კინგზ როუდის ჯურღმულებიდან.

„ეს ენია“, თქვა თავგამა.

„მეტსახელად გონჯი“, თქვა ბრესლიმ.

ბრესლიმ ხელით ანიშნა დევიდს, ჩემ გვერდით დაჯექითო.



დევდი ყოყმანობდა, რადგან იქ ერთი სკამილა იყო, მაგრამ გონჯი ბალახზე დაჯდა მოუხეშავად. მეგობართან ახლო. შავი პერანგის ქვეშ აშკარად უჩანდა წითელი ტრუსი. თავგმა ჩაის დასხმა დაიწყო.

„ამ მხარეში პირველად ხართ, უილიამზ?“

შეკითხვა თავაზიანი საუბრის საბაბს იძლეოდა; თუმცა დევდი გულწრფელად იყო აღტაცებული ბრეტანიითა და მისი ლანდშაფტით. მოხუცი ეტყობოდა, მოეწონა ეს; სახლზე დაიწყო ლაპარაკი, იმაზე, თუ როგორ აღმოჩნდა მანქანა რად შეაქცია ზურგი პარიზს. მხიარულად ყვებოდა თავის თავზე, რაღას აღარ ამბობდნენ ჩემზე და განდევნილობაც დამაბრალებსო. ეტყობოდა, სიამოვნებდა სხვა კაცთან საუბარი. ლამის ზურგშექცევით იჯდა ქალიშვილებისაკენ, არც ამჩნევდა მათ და დევდის სულ უფრო და უფრო ეჩვენებოდა, რომ მისი აქ ყოფნა არ უხაროდათ ქალიშვილებს, ოღონდ ვერ გაეგო რად, მოხუცის ყურადღება მთლიანად რომ მისკენ იყო მიქცეული და თავისი აქ ჩამოსვლითაც ბუნებრიობა დაარღვია, თუ იმის გამო, რომ ყველაფერი, რასაც მოხუცი ლაპარაკობდა ახლა, ადრე უკვე მოსმენილი ჰქონდათ და არაფერი იყო მათთვის ახალი. ბრესლი ისევ თავისას ამბობდა — განდევნილის რეპუტაციის უარსაყოფად უნდოდა ლაპარაკი და გაიხსენა ადრეული ბავშვობა უელსში, 1914 წლამდე, და იქაური პეიზაჟები. დევდიმა იცოდა, რომ ბრესლი დედით უელსელი იყო, რომ ომის წლებში იგი ბრეკონშირის საგრაფოში ცხოვრობდა, მაგრამ ის კი აღარ იცოდა, რომ მოხუცი სათუთად ინახავდა გულში ამ მხარის სიყვარულს და ენატრებოდა უელსის გორაკები.

მიკიბულ-მოკიბულად ლაპარაკობდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ და უთანაბროდ. თითქოს კიდევაც გაჩერებდათ და გეკითხებოდათ კიდევ იმავე დროს. უცნაურ, ძველისძველ სლენგს ხმარობდა, წამდაუწუმ მიმართავდა უხამს სიტყვებს, გეგონება, დიდი ინტელექტის კაცი კი არა, ვილაც ექსცენტრული გადამდგარი ადმირალიაო (ამ შედარებამ დევდის ცოტათი ღიმილი მოჰგვარა). საოცარი და უადგილო იყო მისთვის ძველი ეარგონის ხმარებაც და ის მანერულობაც, ძველი ბრიტანეთის არისტოკრატები რომ მიმართავდნენ, უადგილო იყო იმ კაცისთვის, ვისი ცხოვრებაც უარყოფა იყო იმისა, რასაც ეს მაღალი კლასი ამტკიცებდა. ასევე პარადოქსული ჩანდა გვერდზე გადავარცხნილი, შუბლზე შეჭრილი თეთრი თმა, რასაც, ეტყობა, ჭაბუკობიდან მიეჩვია. ასეთნაირად დიდი ხანია ახალგაზრდობა აღარ ივარცხნის თმას პიტლერის გამო. ვარცხნილობა ახალგაზრდულ იერს კი მატებდა, მაგრამ წითელ, ქოლერიკულ სახესა და გაბუხებულ თვალებზე მაშინვე შეატყობდით ხნოვანებასაც და იმასაც, რომ უბირი არ გახლდათ. ეტყობა, იმაზე უფრო ახირებული მოხუცის შთაბეჭდილების მოხდენა სურდა, ვიდრე მართლა იყო, თუმცა იცოდა კიდევაც, რომ ვერავის მოატყუებდა ამით.

ეს ქალიშვილები ასე გაჩუმებულნი მაინც რომ არ ყოფილიყვნენ — გონჯი უფრო მოხერხებულადაც კი მოკალათდა, ზურგით მეორე ქალიშვილის სკამს მიეყრდნო, წიგნი აიღო ხელში და კითხვას შეუდგა — დევდი საკმაოდ კარგადაც იგრძნობდა თავს, თავს თავისი ელევანტური სამოსი ეცვა, იჯდა და უსმენდა, მაგრამ მისი გონება სხვაგან ქროდა, შეიძლება მიღეს ერთ-ერთი სურათის პერსონაჟი ეგონა თავი. თუ დევდი მის მზერას დაიჭერდა, ქალიშვილს სახდომიანი სახე ეცვლებოდა, თითქოს სურდა გამოეხატა, მეც აქა ვარ და საუბარს ვისმენო, რითაც უფრო ცხადი ხდებოდა, რომ ასე არ იყო. დევდის ცხოვრებისმოყვარეობა ემატებოდა, უნდოდა სცოდნოდა. კიდევ რა სიმართლე



იფარებოდა იმის მიღმა, რაც აქ აშკარად ჩანდა ახლა. გამომცემელთან საუბრის მიხედვით იცოდა, რომ მოხუცი მარტო ცხოვრობდა, უფრო სწორად, ხანშიშესულ ფრანგ ეკონომთან ერთად და სულ არ ელოდა, რომ აქ სხვა ვინმესაც ნახავდა. ქალიშვილებსა და მოხუცს შორის ჩაის სმისას მამაშვილური ურთიერთობა შეიმჩნეოდა, სხვა არაფერი. მხოლოდ ერთხელ იყო, რომ გონჯმა თავისი ბრჭყალები გამოაჩინა.

დევიდმა პიზანელო და მანტუაში ამას წინათ აღმოჩენილი ფრესკები ახსენა, იცოდა, ეს სახიფათო თემა არ იყო. ბრესლის ენახა რეპროდუქციები და დიდი ინტერესით ისმენდა იმ კაცის სიტყვებს, ვისაც დედანში ენახა ისინი. ფრესკულ ტექნიკას რაც შეეხება, უმეცარი ვარო, აღნიშნა, თუმცა თავიდან არ დაიჭერა დევიდმა; მაგრამ ის იყო დაიწყო ლაპარაკი სირთულეებზე, arriciato, intonaco, sinopie-ზე<sup>13</sup> და ასე შემდეგ, რომ ბრესლიმ შეაწყვეტინა.

„გონჯო, ძვირფასო, დაანებე თავი მაგ ოხერი წიგნის კითხვას და მოუსმინე“.

აიღო ის წიგნი გონჯმა, ძირს დადო და ხელები გულზე დაიკრიფა. „უკაცრაგად“.

ეს დევიდს ეხებოდა, მოხუცისთვის არც შეუხედავს, ხმაზე აშკარად ეტყობოდა მოწყენა. თითქოს ეუბნებოდა, მომაბეზრებელი ხართ, მაგრამ რაკი ეს დაჟინებით მოითხოვს, მეტი რა გზააო.

„თუ ბოდიშს იხდი, ღმერთო ჩემო, მოიხადე, როგორც საჭიროა“.

„არ ვიცი, თუ ჩვენც გვეხებოდა“.

„რას ჩმახავ“.

„ოღონდ, მე მაინც გისმენდით“.

გონჯი ცოტათი კოკნის<sup>14</sup> კილოზე ლაპარაკობდა, უხეში ხმა ჰქონდა, დაღლილი.

„ნუ ხარ ასეთი თავხედი“.

„გისმენდით“.

„ჩმახავ რაღაცას“.

ქალიშვილი დაიჭლანა. თავეს შეხედა. „ჰენრი-ი!“

დევიდმა გაიღიმა: „რა წიგნია?“

„თავი დაანებეთ, მეგობარო, თუ შეიძლება“. გონჯისკენ დაიხარა მოხუცი და თითი დაუქნია.

„ასეთი რამ არ გამეორდეს, იცოდე“.

„კარგი, ჰენრი“.

„ბოდიშს ვიხდი, ძვირფასო მეგობარო. განაგრძეთ“.

ამ პატარა ინციდენტს თავის მოულოდნელი რეაქცია მოჰყვა. იმან მალულად, ბრესლის ზურგს უკან დაუქნია თავი დევიდს: ამით იმის თქმა სურდა, ვითომ არაფერი, ყურადღება არ მიაქციოთ, თუ ურჩევდა, მიდით, ილაპარაკეთ, რომ მართლა დიდი ჩხუბი არ ატყდესო, დევიდს ვერ გაეგო. მაგრამ როცა ისევ დაიწყო ლაპარაკი, მოეჩვენა, რომ ქალიშვილი ცოტა მეტ ინტერესს იჩენდა საუბრისადმი. შეკითხვაც კი მისცა, ეტყობა, რაღაც იცოდა ამ მხატვარზე, ალბათ მოხუცმა უამბო პიზანელოზე.

<sup>13</sup> ტერმინები, რომლებიც ფრესკის ხელოვნებას ეხება: გრუნტი, ბათქაში, ჟანგბიწა (იტალ.).

<sup>14</sup> ლონდონის განაპირა კვარტალების სასაუბრო მეტყველება



ცოტა ხნის მერე ბრესლი ადგა და დევიდი თავის „სამუშაო ოთახში“. ბა-  
ლის იქითა ერთ-ერთ შენობაში მიიწვია. ქალიშვილები არც შერხეულან. კე-  
დელში დაყოლებულ თაღვან ჭიშკარში გავლისას დევიდმა მოხედა გამხდარ,  
ნამხეურ პატარა ფიგურას, შავი პერანგი რომ ეცვა, და დაინახა, ისევე წაფ-  
ნი ეჭირა ხელში. იმ ზრეშმოყრილ ბილიკზე გავიდნენ, მარცხნივ რომ მიემართ-  
ებოდა შენობებისკენ, და მოხუცმა თვალი ჩაუკრა დევიდს.

„ყოველთვის ერთი და იგივეა. მიდი ერთი და იცხოვრე ამინთანა მუქებ-  
თან. პროპორციის ყველანაირი გრძნობა დაგეკარგება“.

„სტუდენტები არიან?“

„თაგვი. იმ მეორეს, ღმერთმა იცის, რად მიაჩნია თავი“.

მაგრამ აშკარად არ უნდოდა მათზე ლაპარაკი; თითქოს ისინი ფარვანები  
არიან, სანთლის შუქზე მოფარფატენი და მისი ტრფიალნიო. შენობებზე ლა-  
პარაკს მოჰყვა, წინათ ასეთი არ იყო, მე გადავაკეთეო. მთავარ სახელოსნოში  
შევიდნენ, ძველად აქ ბედელი ყოფილა და ზედა მხარე მოეშალათ. გრძელი  
მაგიდა, რომელზეც უწესრიგოდ ეყარა ნახატები და ქაღალდები, მიდგმული  
იყო ჩრდილოეთის კედელში გაჭრილ ფართო ფანჯარასთან, ზრეშმოყრილ ეზოს  
რომ გადაჰყურებდა. იქვე, მეორე მაგიდაზე ფუნჯები ეწყო და ირგვლივ საღე-  
ბაგების ნაცნობი სუნი იდგა. სახელოსნოში დიდი სივრცე ეჭირა ახალ სურათს,  
რომლის სამი მეოთხედი უკვე დამთავრებული იყო, ზომით ექვსი თორმეტ  
ფუტზე იქნებოდა და საგანგებო დგამზე იყო დამაგრებული მოძრავი კიბი-  
თურთ, რათა მხატვარი სურათის წვეროს მისწვდომოდა. ისევ ტყე. ოღონდ  
შუაგულში ძდელთი და უფრო მეტად დასახლებულიც, სხვა სურათებთან  
შედარებით. ეს ისე ძალიან აღარ გაგონებდათ იდუმალ წყალქვეშა სამყაროს.  
მუქი ლურჯი, თითქმის შავი ცა ღამისა, თუ დახუთული, ჭექა-ქუხილის მაუწყ-  
ებელი დღის — ადამიანის თავზე უბედურების დატეხვის განცდას ბადებდა  
თითქოს. ამჟერად უკვე უშუალოდ იგრძნობოდა (დევიდი მიეჩვია იმას, რომ  
გავლენა უნდა აღმოეჩინა უთუოდ) ბრეიგელების მთელი ოჯახის გავლენა და  
ცოტაოდენი მსგავსებაც თავის სურათთან — „ნადირობა მთვარიანში“, დარ-  
ბაზში რომ ეკიდა. დევიდმა ღიმილით გადახედა მხატვარს.

„რა უნდა დაარქვათ?“

„კერძესე?“<sup>15</sup> შეიძლება. მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცი“, მოხუცი თავის სუ-  
რათს მიაშტერდა. „დამალობანას მეთამაშება, ხომ იცი, თავის დროს ელის“.

„მე კი მგონია, ძალიან კარგია უკვე“.

„ამიტომაც მკირდება, რომ ქალები იყვნენ ჩემ სიახლოვეს. მომენტის  
შერჩევის გრძნობა, სისხლდენა და ასე შემდეგ. ცოდნა იმისა, როდის უნ-  
და იმუშაო და როდის არა. წარმატების ცხრა მეათედი“, დევიდს შეხედა.  
„მაგრამ თქვენ თვითონაც იცით ეს ყველაფერი. მხატვარი ხართ. პა?“

დევიდმა სული განაბა, სცადა სწრაფად, სრიალით გადაეელო თხელ ყი-  
ხულზე; ბეტზე დაიწყო ლაპარაკი, ერთი სტუდია გვაქვს ორთავეს და ერთად  
ვმუშაობთო, იცოდა, რასაც გულისხმობდა ბრესლი. მოხუცმა ხელები გაშალა,  
თითქოს ეუბნებოდა, ამას რა სჯობიაო; მაგრამ, საკუთარ შემოქმედებაზე მიაშ-  
ბეო, დევიდს თავაზიანობის გამო არ ჩასციებია. შეტრიალდა და ფანჯარასთან  
მიდგმულ ტაბურეტზე ჩამოჯდა. მერე ხელი წაავლო ფანქრით შესრულებულ

<sup>15</sup> სახალხო დღესასწაული ბელგიასა და ნიდერლანდებში. ჩვეულებრივად ამა თუ იმ თე-  
მის ძეგლი წმინდაბის დღესთან დაკავშირებული.



ნატურმორტს — მაგიდაზე მიმოყრილ ნარშავასა და ბაბუაწვერას ველურ ყვავილებს. სურათი შთამბეჭდავი იყო, გულმოდგინედ შესრულებული, თუმცაღა ცოტა უსიციოებლო.

„თაგვისაა, უკვე ეტყობა საკუთარი ხელწერა. არა? როგორ ფიქრობთ?“  
„ზაზი მშვენიერია“.

ბრესლიმ უზარმაზარ ტილოზე ანიშნა. „უფლება მიქცის მთქმარებოდა, შავ სამუშაოზე“.

დევიდმა წაიბუტბუტა: „ასეთ დიდ ტილოზე...“

„ქკვიანია, უილიამზ. არ შეცდეთ და არ დასცინოთ“. — მოხუცი ისევ სურათს ჩააცქერდა. „უკეთესი მოპყრობას იმსახურებს, ეგ რომ არა, მართლა თავს ვერ გავართმევდი“.

„მჯერა, თვითონაც ბევრ რამეს სწავლობს აქ“.

„ნომ იცით ზალხის ლაპარაკი, უზნეო ბებერიო. მაგ ხნის კაციო... და რას აღარ ამბობენ ჩემზე“.

დევიდმა გაიღიმა: „უკვე აღარაფერს ამბობენ“.

ბრესლის ვითომ არც გაუგონიაო.

„ფეხებზე მკიდია, ყოველთვის ფეხებზე მეკიდა. რაც უნდათ ისა თქვან“. და სიბერეზე დაიწყო ლაპარაკი, ნახატიკენ შეტრიალდა. დევიდიც გვერდით ედგა და უყურებდნენ; ახალგაზრდებს ჰგონიათ, მხატვრის წარმოსახვა და წვდომის უნარი ასაკთან ერთად ატროფირებას განიცდის, მაგრამ ცდებიანო, წარმოთქვა. მას მხოლოდ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალა აკლია. რაც ჩაბაფიქრის ხორცშესხმაში უშლის ხელს, საბრალო ბებერ ჯონ ტომასივით. სხვის შეუწევნელად რომ ველარას ხდებო. ამ იძულებით აღიარებაზე მოხუცი აშკარად შეცბა.

„რომაული შეწყალება“.<sup>11</sup> იცით რომელია? მიხრწნილ მოხუცს ახალგაზრდა ქალი ძუძუს აწოვებს, ამაზე ძალიან ხშირად ვფიქრობ“.

„არა მგონია, ეს მხოლოდ ერთი მხრისთვის იყოს ზელსაყრელი“. დევიდმა ყვავილების ნატურმორტზე მიანიშნა. „ერთი განახათ, რანაირად ასწავლიან ინგლისში ახლა ხელოვნებას“.

„თქვენ გგონიათ?“

„დარწმუნებული ვარ. სტუდენტების უმრავლესობამ ზატეაც კი არ იცის“.

ბრესლიმ ხელი გადაისვა თეთრ თმაზე; ისევ ბავშვური, გულის ამაჩუყებელი გამოხედვა ჰქონდა. გეგონება, თავდაჯერება აკლიაო. დევიდი მიხვდა, რომ ცდებოდა ადრე, ამ კაცის უხეში მანერებისა და ლაპარაკის მიღმა მორიდება და სიწრფელე იგრძნო უნებლიეთ; მოხუცმა, ეტყობა, გადაწყვიტა მინდობოდა მას.

„ალბათ უნდა ამებარგებიანა და გამეშვა შინ. ვერ გამიბედიია“.

„განა მას არ ეკითხება ეს ამბავი?“

„რა, არაფერი უთქვამს? როცა ჩამოხვედით?“

„ძფარველი ანგელოზივით აქცეოდა“.

„ქანდარაზე შემჯდარი კრუხი უფროა“.

რადაც სარდონიკული ნალველით წარმოთქვა ეს სიტყვები: ახსნას არ

<sup>11</sup> პეტერ პაულ რუბენსის (1577-1640) სურათი „მამის მოყვარული რომაელი ქალი“ რომლის სიუჟეტიცა ლეგენდა ახალგაზრდა რომაელ ქალზე, პერზე, რომელმაც საკუთარი ძუძუთი გამოკვება მამა საპყრობილეში, რათა შიმშილით სიკვდილისაგან ეხსნა იგი.



მოპყოლია, მოხუცი წამოდგა, თითქოს უცბად ძალა მოემატაო, და მობო-  
დიშებით დევიდს მკლავზე შეახო ხელი.

„ეშმაქმა წაიღოს, ჩემს შამფურზე ასაგებად ჩამოვიდნენ, ჰა?“

სურათზე მუშაობას რითი იწყებთო, ჰკითხა დევიდმა.

„მარცხითა და შეცდომებით. ბევრს ვხატავ, ნახეთ“.

მაგიდის ბოლოსკენ წაიყვანა დევიდი. გაუბეღაობისა და თანდათანობით  
იგივე, უცნაური სინთეზი ეტყობოდა ესკიზებს, სწორედ ასეთი კილოთი ლაპა-  
რაკობდა თავგზე. თითქოს ეშინოდა კრიტიკის და თან გუჟანით იმასაც გრძნობ-  
და, არც უამისობა შეიძლებაო.

ეს ახალი სურათი, ეტყობა, მისი ადრეული ბავშვობის მოგონებებიდან  
იშვა; ბაზრობაზე წაიყვანეს მაშინ, ახლა აღარ ახსოვდა კარგად, სად იყო ეს  
ბაზრობა. ხუთი თუ ექვსი წლის ბიჭს ოცნებად ჰქონდა გადაქცეული იქ წას-  
ვლა. დიდი სიხარული ერგო — ეს დაუძლეველი სურვილი დღემდე ახსენებდა  
თავს — ყველა კარავთან, ყველა ფარდულთან უნდოდა მისულიყო, ყველაფე-  
რი ენახა და გაესინჯა. მერე ჰეჰა-ჰუხილი ატყდა, რაც დიდებისთვის სულაც  
არ იყო მოულოდნელი. ბიჭს კი თავზარი დაეცა და საშინლად იმედგაცრუე-  
ბული დარჩა. დევიდმა ესკიზებს გადახედა — იმაზე უფრო გულმოდგინედ  
იყო შესრულებული, ვიდრე ეგონა. ვარიანტებიც უამრავი, ამდენს არ ელოდა,  
ბაზრობის ყველა გარეგანი ნიშანი თანდათან იშლებოდა და საბოლოო ვარი-  
ანტში კვალიც აღარ რჩებოდა. სქემატურობის თავიდან ასაცილებლად მოხუ-  
ცი გამუდმებით ცვლიდა კომპოზიციას და სრულყოფდა დეტალებს. გეგონება,  
ერთი რამ ამოძრავებდა მხოლოდ, თანდათან წაეშალა ტლანჭი ნატურალიზმი  
და კონცეპტუალური კავშირი. მაგრამ სიუჟეტით უცნაური სიღრმე იშლებოდა,  
თითქოს გავიწყდებოდათ შუაგული ნახატიცა. მეტაფიზიკური ასოციაციები,  
ხათელი ცთომილები უსასრულო წყვილიადის ფონზე და სხვა დანარჩენი კი  
ძრავალგზის გამეორებას ჰგავდა. მთლიანად სურათს ზედმეტად პირქუში დი-  
დებულების ნიშანი აჩნდა; მაგრამ ტონი, ხასიათი, მტკიცების ძალა ექვსაც არა  
ბადებდა და ეს საკმაოდ უფრო მეტიც იყო იმისათვის, რომ დევიდს დაეძლია  
თავისი შეხედულება ფერწერაში კონკრეტული სიუჟეტების წინააღმდეგ.

საუბარი თანდათან უფრო ფართო ხასიათს იღებდა: დევიდმა მოახერხა  
მოხუცი წარსულში გადაეყვანა — ოციანი წლების საფრანგეთში ცხოვრებასა  
და ბრაკთან და მეთიუ სმიტთან მეგობრობას დაბრუნებოდა. ბრაკის მიმართ  
ბრესლის თავყვანისცემა უკვე დიდი ხანია საიდუმლოება აღარ იყო, მაგრამ  
მოხუცს აშკარად სურდა დარწმუნებულიყო, რომ დევიდმაც კარგად იცოდა ეს.  
ბრაკის შედარება პიკასოსთან, მატისსთან და „კომპანიასთან“ დიდი ადამიანის  
დიდ ბიჭებთან შედარებასა ნიშნავსო, თქვა.

„იმათ იცოდნენ ეს, თვითონაც იცოდა. საერთოდ, ყველამაც იცის, ოხერი  
საზოგადოების გარდა“.

დევიდი არ შეჰკამათებია. პიკასოს სახელი ფაქტიურად გინებასავით გაის-  
მა ბრესლის პირიდან, საერთოდ კი, საუბრისას, ცდილობდა თავი შეეკავებინა  
და უხამსი სიტყვები არ წარმოეთქვა. უმეცრების ნილაბი ვარდებოდა და თან-  
დათან აშკარავდებოდა ბებერი კოსმოპოლიტის სახე. დევიდს ეჭვიც კი გაუჩ-  
ნდა, რომ საჭმე ქაღალდის ვეფხვთანა ჰქონდა, ან იმ კაცთან მაინც, მის გაჩენამ-  
დე არსებულ სამყაროში რომ ცხოვრობდა ჯერაც. მოხუცის აგრესიული აფეთ-  
ქებები სასაცილო, დრომოკმულ წარმოდგენებს ემყარებოდა, იმას, რასაც შე-  
უძლია ადამიანები შეაცბუნოს, რაც აფრიალებული წითელი ძონძივით აცო-



ფებს მათ; საწყენია, მაგრამ ბრესლისთან საუბარი მატადორის შებმასა ჰგავდა ბრმა ხართან. მხოლოდ თვითკმაყოფილი ბრიყვი თუ წამოეგებოდა ასეთი ხარის რქებს.

სალამოს ექვსი ხდებოდა უკვე, სახლში რომ დაბრუნდნენ. <sup>თორევე ქალი-</sup>შვილი ისევ სადღაცა გამქრალიყო. ბრესლიმ დევიდი პირველ ქაჭულზე, სადარბაზო ოთახში შეიყვანა, რათა სხვა სურათებიც ენახა. <sup>უნდა დოქტორებს ამბობ-</sup>და, ვილაცების შეფასებას მოჰყვა. ერთ ცნობილ მხატვარზე თქვა, მეტისმეტად მარტივიაო.

„ძალიან იოლად კი ხატავს, ეშმაკმა წაიღოს, შეუძლია ერთი დუქინი სურათი დახატოს დღეში. მაგრამ ზარმაცია. ამაღ უშველა. კაი გაიძვერა“.

და როცა დევიდმა ჰკითხა, რისთვის ყიდულობდითო, მოხუცმა გულწრფელად უპასუხა:

„ფულისთვის, ძვირფასო. კაპიტალია. არასოდეს მიფიქრია, რომ ჩემი საკუთარი ნახატები როდისმე დიდი შემოსავლის წყაროდ იქცეოდა. აბა ამაზე რას იტყვით, როგორ გგონიათ, ვინ არის?“

ყვავილების პატარა ნატურმორტთან შეჩერდნენ. პირველად ნახვისას დევიდმა იგი მატისს მიაწერა. მან თავი გაიქნია.

„იმის მერე სულ რაღაც აბდაუბდას ხატავდა“.

მაგრამ არც ამ კარნახმა უშველა, ძნელი იყო მიხვედრა. ასეთ კოლექციაში... დევიდმა გაიღიმა.

„გნებდებით“.

„მირო. 1915“.

„ღმერთო ძლიერო“.

„დასანანია“.

ბრესლიმ თავი გააქნია, თითქოს იმ კაცის საფლავთან იდგა, თავისი ნიჭის აყვავების ხანაში რომ გარდაიცვალა.

ბევრი სხვა პატარა შედეგრიც იყო აქ, რომელთა ავტორებს დევიდი თვითონ ვერ დაასახელებდა: სერიუზიე, ფილიეეს შესანიშნავი პეიზაჟი გოგენის სტილში... მაგრამ როცა დარბაზი გაიარეს, ბრესლიმ კარი გამოაღო.

„აქ კი ჩემი ყველაზე დიდი მხატვარია, უილიამზ. ნახავთ. ვახშმობის მერე“.

კარი სამზარეულოში გადიოდა: მაგიდასთან ლოყებჩაცვნილი თმაქალარა კაცი იჯდა და ბოსტნეულს არჩევდა. ახლებურ სამზარეულო ქურასთან მდგარმა ხანში შესულმა ქალმა მოიხედა და გაიღიმა. დევიდს გააცნეს: ჟან-პიერი და მატილდა, ისინი სახლის საქმეს უძღვებოდნენ და ბაღს უვლიდნენ. დიდი გერმახული ქოფაკიც იყო იქ, წამოიწია, მაგრამ კაცმა ჩააჩუმა. მაკმილანს<sup>17</sup> ეძახდნენ. რაღაცნაირად ვილონთან<sup>18</sup> იყო შერიტმული; ბრესლიმ ჩაიციხა და თქვა, ეგეც „დიდი ოხერია“ და იმისთვისო. მოხუცი ფრანგულად ალაპარაკდა, პირველად მთელი სალამოს მანძილზე, საოცრად შეცვლილი ხმით და სწრაფად, თავისუფლად. ინგლისურივით იცისო, გაიფიქრა დევიდმა; მაგრამ შეიძლება ინგლისური უფრო უცხო იყო ახლა მისთვის. დევიდი მიხვდა, მენიუზე ლაპა-

17. პარლოდ მაკმილანი, ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, 1957-1963 წ.წ. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი.

18. ფრანსუა ვიიონი (ვილონი). შუა საუკუნეების დიდი ფრანგი პოეტი, მოხეტიალე და ავანტიურისტი.



რაკობდნენ. ბრესლი ქუჩას მიუახლოვდა, ქვაბებს სახურავებს ხდიდა და შე-  
მოვლაზე მყოფი ოფიცერივით კერძებს სუნავდა. მერე, ქარიულაბია ამოიღეს  
და გასინჯეს, ეან-პიერმა რალაცის მოყოლა დაიწყო. ეტყობა, თვითონ დიპტი-  
რა ქარიულაბია იმ დღით, ძალლიც თანა ჰყავდა და როცა თევზი ნაპირზე იფარ-  
თხალდა, — უნდოდა პირი ეტაცაო. ბრესლი დაიხარა და თითქმის დაეშურა,  
კბილები ქურდებისთვის შეინახეო. დევიდმა სიხარულით გაიფიქრა, ყოველი  
კარგი, როცა ჩამოვედი, ბედზე აქაურობას გაშორებული ყოფილათ ქოფაკი.  
სამხარეულოში ვიზიტის რიტუალში შედისო, გაიფიქრა. შინაურობა და სიმ-  
ყუდროვე. ფრანგი ცოლ-ქმრის წყნარი სჯა-ბაასი სასიამოვნო კონტრასტულო-  
ბას ქმნიდა იმ ცოტათი არაჩანსად გარემოსთან, რასაც დევიდი ქალიშვილების  
აქ ყოფნის გამო გრძნობდა.

თავი შინაურულად იგრძენითო, დარბაზში შებრუნებისას უთხრა ბრესლიმ  
დევიდს. თვითონ მას რამდენიმე წერილი აქვს დასაწერი. ვახშობის წინ, რვის  
ნახევარზე შეხვდებიან და აპერიტივს დალევენ.

„თქვენთან მეტისმეტი ოფიციალობა არ არის საჭირო, იმედია?“

„თავისუფლების სახლია, მეგობარო. თუ გსურთ, შეგიძლიათ მთლად დე-  
დიშობილა მოხვიდეთ“. თვალი ჩაუკრა. „ქალიშვილებს არ ეწყინებათ“.

დევიდმა ჩაიცინა. „გასაგებია“.

მოხუცმა ზელი ასწია, მისალმებასავით, და კიბისაკენ გაემართა. შუამდე  
არ იყო მისული, რომ ჩამოსძახა:

„სამყარო მხოლოდ შიშველი მკერდი როდია, ჰა?“.

ერთ-ორ წუთს გარინდებული იდგა დევიდი, მერე ისიც მალლა ავიდა, თა-  
ვის ოთახში. ღრმა სავარძელში ჩაჯდა და წერა დაიწყო. ენანებოდა და განი-  
ცდიდა, რომ არ შეეძლო სიტყვასიტყვით ჩაეწერა მოხუცის საუბარი; მაგრამ  
ეს ორი საათი ძალიან სასარგებლო გამოდგა, ალბათ კიდევ ბევრი ასეთი საა-  
თი იქნებაო. ცოტა ხნის მერე წერას მორჩა, ადგა და საწოლზე წამოწვა. თავ-  
ქვეშ ხელებამოწყობილი ჭერს მიაჩერდა. ღია დარბაზების მიუხედავად, ოთახი  
დახუთული იყო და ძალიან თბილოდა. საოცარია, ბრესლიმ, როგორც პიროვ-  
ნებამ, ბოლოს ცოტა იმედი გაუცრუა; ცოტა არ იყოს, კარბი პოზა. ბებრული  
თვალთმაქცობა და ქილიკობა მეტად დიდი დისონანსია ადამიანსა და მის ხე-  
ლოვნებას შორის; თანაც, ალოგიკურია — დევიდმა სცადა არც ეფიქრა ამაზე.  
— მაგრამ მაინც ცოტათი სწყინდა, რომ მოხუცმა არაფერი ჰკითხა მის სურა-  
თებზე. ცხადია, ეს აბსურდია, მხოლოდ რეაქციაა აშკარა მონომანიაზე; შურის  
ნატამალიც იყო... საკმაოდ დიდებული, ძველებური სახლი, ამხელა სტუდია,  
სურათების კოლექცია, რალაც ბუნდოვანი მინიშნება უზნეობაზე. — მეტადრე  
თავის სახლზე, ბეტზე და ბავშვებზე გაფიქრებისას რომ წამოუტივტივდებო-  
და გონებაში; განმარტოებულობა და გაუცხოება, რაც აქ სუფევდა, გულ-  
წრფელობის საოცარი აფეთქებები, პატიანა... ნაყოფიერი სოფლური მიდამო,  
დღისით რომ გამოიარა, ამდენი მოწყეული ვაშლი, ასე უხვად.

მაგრამ ბეტის მიმართ არ იყო მართალი, ბოლოს და ბოლოს პასუხისმგებ-  
ლობა მან უფრო იგრძნო, ვიდრე დევიდმა, როცა ორშაბათ დილით სენდის  
ჩუტყვავეილამ სერიოზულად შეაშინათ, და ბოლოს ლამის წაიჩხუბეს კიდევაც.  
ბეტის დედა საგანგებოდ ჩამოვიდა, რომ ამათი წამოსვლისას ბავშვებთან დარ-  
ჩებილიყო და კარგადაც მოუვლიდა მათ... მზად იყო საამისოდ; იგი დევიდის  
მხარეზე დადგა. მაინც უარზე იყო ბეტი, ხასიათი ჰქონდა ასეთი, დათმობაზე  
ძალიან ძველად წავიდოდა და თანაც, დევიდი ეჭვობდა, რომ ცოტა სინდისიც



ქენჯნიდა მას, იმიტომ რომ ერთ ხანს, ლუიზის დაბადების მერე ბავშვების ტირაბიას აუძხედრდა. თუნდაც ყველაფერმა კარგად ჩაიაროს, ბავშვს ჩუტყვავილა არ გაუერთულდეს, მაინც ვერ წამოვალ, ვერ მოვისვენებო, დივანა ბეტმა; მაგრამ დევიდი უნდა გაემგზავროს, ბოლოს და ბოლოს ეს მისი სამუშაოა. არდევში წასვლა კი, ბრეტანის მერე რომ აპირებდნენ, ვიდრე მისწრება. საბოლოოდ, როცა დევიდი ორშაბათ საღამოს საუთჰემპტონის უნივერსიტეტის სკოლაში შეთანხმდნენ, თუ დევიდს ხუთშაბათს კოტმინეში დეპეშას არ გამოუგზავნიდა, მეორე დღეს ბეტი პარიზში ჩავიდოდა. დევიდი მაშინვე გაქანდა თვითმფრინავის ბილეთისთვის და შინ მხოლოდ ბილეთი კი არა, ყვავილები და შამპანურიც მოიტანა. სიდედრმა შეაქო ამისთვის. ბეტი გულგრილად შეხვდა. მართალია, მარტო სიარული არ ეხალისებოდა, მით უმეტეს ეს მგზავრობა, და გუნება წაუხდა, მაგრამ ასე თუ ისე დევიდმა მშობლის პასუხისმგებლობა უფრო იოლად აიცილია. თუმცა ბეტის ბოლო სიტყვები იყო — „პარიზში გაპატიებ“.

კიბის გვერდით მდებარე კარი, რომელშიც წელან ბრესლი შევიდა, წუთით გაიღო და დევიდს მუსიკის ხმა მოესმა, რადიო იყო, ან მაგნიტოფონი, და ვივალდის ჰგავდა. მერე ისევ ისე მიჩუმდა ყველაფერი. დევიდმა იგრძნო, აქ ის უცხო კაცი იყო და მაინცდამაინც სასურველ სტუმრად არ ითვლებოდა. ფიქრით ისევ იმ ორ ქალიშვილს გადასწვდა. ცხდია, სულაც არ უკვირდა, თუ მოხუცს გვერდით უწვებოდნენ, ისე როგორც ბებერ კაცებთან წვებიან ხოლმე, ალბათ კარგად უხდიდნენ სამსახურისთვის. ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც; იციან, ეტყობა, რა ფასშიც იყიდება მისი სურათები, რომ აღარაფერი ვთქვათ კოლექციებაზე, რითაც კარგად მოიგებდა აუქციონზე. დევიდმა შეამჩნია, ქალიშვილების იქ ყოფნა აღიზიანებდა. რაღა თქმა უნდა, თავიანთი საქმე იციან და სარგებლობენ მოხუცი კაცის სისტემით, გუმანით გრძნობდა, აქ რაღაცა საიდუმლო იყო და არავის სურდა რომ მასაც სცოდნოდა რაიმე იმ საიდუმლოზე.

ისევ ბეტის აქ ყოფნა ინატრა. ის ეგრე რიგად არ ერიდებოდა ხალხის წყენას, ყოველთვის უფრო უშუალოდ იყო და ამ ქალიშვილებისგანაც უფრო მეტ ამბებს ის გაიგებდა.

კარგია, რომ ქვევით ჩასვლამდე ბოლოს და ბოლოს ცოტა მოწესრიგდა. ჩაიცვა ჭინსები, პერანგი და ყელზე შარფი შემოიხვია. თავის საყვლოაწეული პირისფერი ბლუზა და დარიჩინისფერი გრძელი ქვედა კაბა ეცვა. სასტუმრო ოთახში ტრიალებდა; სუფრას შლიდა. ქალი ენთო, გარეთ მწუხრი წვებოდა. ოთახში შესვლისას დევიდმა ბრესლის ქალარა კეფა დაინახა. ბუხართან, დივანზე იჯდა, გვერდით კი გონჯი მისჯდომოდა და ხუჭუჭა თავით ეხებოდა მის მხარს. ქალი დივანის ზურგს მიყრდნობოდა. ფეხები სკამზე ჩამოეწყო და რობელილაც ფრანგულ ჟურნალს ხმამაღლა კითხულობდა. შავი ატლასის კაბა ეცვა, ხაოკასხმული, ესპანურ სტილში. მხრები შიშველი ჰქონდა. გონჯის მხრიდან მოხუცს ხელი ქვევით ჩაეცურებინა და მის მკერდზე ედო. დევიდის შესვლისას არც განძრეულა. თავისუფალი ხელი ასწია მხოლოდ და თავზე მიანიშნა.

„დალიეთ რამე, მეგობარო“.

ბრესლისაც გამოეცვალა სამოსი; ღია ფერის საზაფხულო პიჯაკი და თეთრი პერანგი ჩაეცვა და იისფერი შარფი გაეკეთებინა. გონჯმა თავი მოაბრუნა. შავი თვალებით მოხედა დევიდს. წითელი ტუჩები დაბრიცა. მერე ნელა მოძ.



ყვა წაკითხულის თარგმნას ინგლისურ ენაზე. დევდმა გაიღიმა, წამით უხერხულად შეყოვნდა და მაგიდისკენ წავიდა, სადაც თავი ტრიალებდა. თავმა ცივად მიანება თავი საქმეს.

„რა მოგართვით?“

„რასაც თქვენ დალევთ“.

„ნუაიი-პრატ?“

„შესანიშნავია“.

სამზარეულოში გამავალ კართან ძველებური, ჩუქურთმიანი armoire<sup>19</sup> იდგა, შიგ ელაგა ჭიქები. ბოთლები და ყინულიანი სათლი.

„ლიმონი?“

„თუ შეიძლება“.

დევდმა ხელი წაავლო ჭიქას და უყურებდა, როგორ ამზადებდა ქალი კოქტეილს თავისთვისაც: ხილის ცოტაოდენი შუშხუნა სასმელი და ბოლოს ვისკი... ფრთხილად ასხამდა, გარკვეული პროპორციებით, ორი თითით მალლა ასწევდა და გახედავდა ჭიქას, რომ კარგად ენახა, სადამდე იყო, ვიდრე ამდენივე სოდიანსაც დაუმატებდა და შეავსებდა. თხელი ქსოვილის ბლუზა, რომელიც ძველებური მაქმანისასა ჰგავდა და შიგ შიშველი სხეული ილანდებოდა, გრძელსახელოებიანი იყო, მაჯებთან შევიწროებული, ედუარდის ეპოქის სტილის საყელოთი, საკმაოდ მკაცრი და სადა, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ როგორც დევდმა შეამჩნია, შიგნით არაფერი ეცვა, სანამ ქალიშვილი ჭიქებს ავსებდა. დევდი მის პროფილს აცქერდებოდა; მშვიდი გამომეტყველება ჰქონდა, მიწრა-მოხრაზე ეტყობოდა, დიასახლისის როლს შეჩვეოდა. დევდს ვერ გაეგო, რად უნდა დაეცინა მოხუც კაცს მისთვის; კარგი გემოვნება და ჭკუა ბოლოს და ბოლოს ბევრად უფრო მეტად ფასობს, ვიდრე სიშტერე. პრერაფაელურიც არაფერი ეტყობოდა ახლა, სამოცდაათიანი წლების ერთი მარილიანი, მიმზიდველი გოგონაა... და ურთიერთობაშიც უფრო უბრალო ჩანდა, ვიდრე ის რაღაც უაზრო. ვნებიანი თოჯინა, დივანზე რომ იჯდა და ისევ იმ ფრანგულ ქურხალს კითხულობდა, დროდადრო მოხუცი გამოთქმას შეუსწორებდა და გონჯი ხელახლა იმეორებდა იმ სიტყვას. თავმა კოქტეილი მიუტანა მათ, მერე ისევ დევდთან დაბრუნდა. დევდმა ჭიქა მიაწოდა და უცებ ქალიშვილის დაკვირვებული მზერა იგრძნო; დაძაბული უყურებდა, თითქოს ნახევრად იცოდა კიდევ მისი ფიქრები. უსიტყვოდ ასწია ჭიქა, თქვენ გაგიმარჯოთო, თითქოს ეუბნებოდა დევდს. და მოსვა. ერთი ხელით მეორე ხელის იდაყვს შეეხო. ბოლოს გაიღიმა.

„კარგად მოვიქეციით?“

„ჩიხებულად. ძალიან ბევრი რამ გავიგე იმ საუბრიდან“.

„დააცადეთ“.

დევდმა გაიცინა. უკვე ძალიან მოსწონდა ქალი. სწორი სახე, მშვენიერი, პროპორციული ნაკვთები და ლამაზი პირი ჰქონდა; მეტად ნათელი მონაცრისფრო თვალები ნამზეურ სახეზე კიდევ უფრო ღია უჩანდა; დილანდელი განდეგილობაც არ გამოკრთოდა იმ თვალებში, ოდნავ, თითქმის შეუმჩნევლად შეღებილი ქუთუთოებით ცოტათი სლავური იერი ეძლეოდა, პირდაპირ გიყურებდათ და ეს კი ყოველთვის მოსწონდა დევდს. თავისი დილანდელი შეხე-

<sup>19</sup> ბუფეტი (ფრანგ.).



დულეზა ეცვლებოდა, უკვე აღარ სჯეროდა, თითქოს ანგარების მიზნით იყვნენ მოხუცთან ეს ქალიშვილები.

„თქვენი ერთი სურათი მაჩვენა, ნარშავეები, ჰო? შთამბეჭდავია“.

წუთით თვალები დახარა თავმა, ჭიქას დახედა, ეტყობა, ~~ქალაქის~~ <sup>ქალაქის</sup> თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ გაეხედა. მერე ისევ შეხედა.

„მე თქვენი გამოფენა მომეწონა, რედფერნში, გასულ შემოდგომა“.

გაკვირვებისაგან დევიდი შეკრთა, ცოტა თუ იყო მოჩვენებრივობა ამ შეკრთომაში. ისევ გაიღიმა.

„ამას მართლა ვერ ვიფიქრებდი“.

„ორჯერ ვნახე“.

„სად სწავლობდით?“ ჰკითხა დევიდმა.

„ლიდზში. კარგად დავამთავრე. მერე, ორი სემესტრი — ზსკ-ში“<sup>20</sup>

გაოცებული მიაშტერდა. „ღმერთო ჩემო, თქვენ არ უნდა...“

„მე აქ უფრო მეტს ვსწავლობ“.

მზერა მოაშორა დევიდმა. ცხადია, მისი საქმე არ იყო, მაგრამ მაინც შენიშნა — რაც უნდა იყოს, ასპირანტად მიღება ძნელად მისაწვდომ ზელოვნების სამეფო კოლეჯში სახუშარო საქმე არ არის და ასე იოლად ვინ დათმობსო.

„არა უშავს, არა ვნანობ, ჰენრიმ იცის, რომ ესეც მისი ილბალია, რომ მასთანა ვარ“.

ეს სიტყვები ღიმილითა თქვა, მაგრამ არც ირონია იგრძნობოდა და არც თავმომწონეობა და დევიდს კიდევ ერთხელ და უფრო მეტადაც შეეცვალა დილახდელი შეხედულება: ქალიშვილმა თვითონვე წარუდგინა თავისი თავი ისეთად, როგორიც იყო, ღირსეულ და სერიოზულ პიროვნებად. ვაჟი მიხვდა, ძალიან ცდებოდა, როცა ვაგლახად ფიქრობდა მასზე; დევიდს ჩამოსვლისას, ეტყობა, სხვაგვარად მოაჩვენეს თავი. მაშინვე წარმოიდგინა, მართლა რა დიდი დახმარების გაწევა შეეძლო ქალიშვილს სტუდიაში მოხუცისთვის; სექსუალურ სამსახურს კი ალბათ მხოლოდ ის მეორე ქალიშვილი თუ უწყევსო, გაიფიქრა.

„ახალი სურათი შესანიშნავია. საოცარია, როგორ ახერხებს — საიდანა აქვს ამდენი ძალა“.

„სხვა არაფერზე ფიქრობს, მხოლოდ თავის თავზე. ძირითადად“.

„აქ ამას სწავლობთ?“

„ვუყურებ“.

„მითხრა, რომ ძალიან მადლიერია თქვენი“.

„ბავშვივით არის, მართლა. სათამაშოები სჭირდება, ვთქვათ, სიყვარული, რომ აილოს და ნამსხვრევებად აქციოს მერე“.

„მაგრამ თქვენი გადარჩა, არ დამსხვრეულა?“

მხრები აიჩეჩა. „ზოგჯერ კიდევაც ავყვებით თამაშში. თავს ისე ვიჭერთ, თითქოს მოწონებით ვუყურებთ მისი, როგორც უზნეო კაცის რეპუტაციას. რალაც ჰარამხანასავითაა“.

დევიდმა გაიღიმა. ძირს დაიხედა.

„გამოგიტყდებით, რამდენჯერმე გავიფიქრე, მართლა ასეა-მეთქი თუ არა“.

„ამას წინათ სტუმარი გვყავდა — ათი წუთიც არ იყო გასული მისი ჩა-“

<sup>20</sup> ზელოვნების სამეფო კოლეჯი.



მოსვლიდან — წუხელ სამჯერ ვიცხოვრეო ამათთან, ჩვენზე უთხრა. არ შეიმჩნიოთ, რომ არა გჯერათ, რაც ამ სფეროს შეეხება“.

დევიდმა გაიცინა.

„გასაგებია“.

„იცის, არავინ უჯერებს, მაგრამ ეს არ არის მთავარი“.

„მივხვდი“.

ქალიშვილმა ვერმუტი მოსვა.

„რაიმე ილუზია რომ არ დარჩეს — ენი და მე უარს არ ვეუბნებით იმ მცირეოდენ სიამოვნებაზე, რისი თავიც ჯერ კიდევ აქვს“.

პირდაპირ, სახეში უყურებდა დევიდს, გულახდილობის მიღმა თვალებში გაფრთხილებაც ჰქონდა. ორთავემ თავი დახარა, დევიდმა წამით მკერდზე შეაფლო თვალი, ბლუზაში რომ ილანდებოდა, და მაშინვე განზე გაიხედა. კეკლუცი არ იყო, ეტყობოდა. გარეგნობაში ნატამალიც არ გააჩნდა იმ თვალშისაცემაში ვნებიანობისა, მის მეგობარს რომ ემჩნეოდა. თავდაჯერა ისე მკაცრი ჰქონდა, რომ მისი სილამაზე, მისი ოდნავ დაფარული სიშიშველე ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავდა; და მაინც, და იქნებ ამიტომაც, უფრო მეტად შესამჩნევი ხდებოდა იგი.

ქალიშვილი ლაპარაკობდა. „სულ არ ეხერხება თავისი აზრის სიტყვებით გადმოცემა, თვითონაც შეამჩნევდით ამას. ეს იმიტაც არის გამოწვეული, რომ ძალიან დიდხანს ცხოვრობდა საზღვარგარეთ. მაგრამ აქვს რაღაც მეტად ღრმაც. ყველაფერი უნდა დაინახოს და იგრძნოს. პირდაპირი მნიშვნელობით. ყვავილებში ჩაფლული ქალიშვილები მისთვის არ ემარა“.

„ახლა ვხედავ, რომ მართლა იღბალი ჰქონია“.

„ეს ისე გითხარიო, სხვათა შორის“.

„ესეც კარგად მესმის“.

ქალმა ცალი თვალთ მალულად გაიხედა მოხუცისკენ და ისევ დევიდს შეხედა. „თუ უხეშად დაგიწყით ლაპარაკი, არ აღელდეთ. არც უკან დაიხიოთ. ეს არ უყვარს. მაგრად იდექით. არ აღელდეთ“. გაიღიმა. „მაპატიეთ, ჭკუას გარიგებთ. მაგრამ მე ძალიან კარგად ვიცნობ მას“.

დევიდმა ჭიქაში დარჩენილი კოქტეილი შეაჭანჭყარა, ლიმონი ფსკერზე ჩაეშვა.

„კაცმა რომ თქვას, არ ვიცი, რად დამართო აქ ჩამოსვლის ნება, თუკი იცის რაზე ვმუშაობ“.

„ამიტომაც გაფრთხილებთ. მკითხა და ვუთხარი, სულ ერთია, ასე თუ ისე, მაინც გაიგებდა“.

„ღმერთო ჩემო“.

„ნუ დელავთ, რამდენიმე გესლიან სიტყვას წამოისვრის და ალბათ ამით გაათავებს. ყურადღება არ უნდა მიაქციოთ.“

დევიდს გული დაუმძიმდა.

„მე მგონია, რომ ჩემი აქ ყოფნით ძალიან გაბეზრებთ თავს“.

„იმიტომ ხომ არ გგონიათ, რომ დღეს ისე მოუამულები შეგხვდით? დიდი თავაზიანობა არ გამოგვიჩენია, არა?“

იღიმებოდა და დევიდმაც გაიღიმა.

„რაკი თვითონვე ამბობთ“.

„ჩვენ ძალიან გვიხარია თქვენი ჩამოსვლა. ოღონდ არ არის საჭირო ჰენრიმ ეს აშკარად დაინახოს“.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა



„ახლა ყველაფერი გასაგებია“.

თავს რაღაც ეშმაკური გაუკრთა თვალებში.

„ენსაც უკეთ უნდა იცნობდეთ. მასთან ურთიერთობა უფრო ძნელია, ვიდრე ჩემთან“.

მაგრამ ენზე ლაპარაკი ამით გათავდა. სამზარეულოს კარი გაიღო და ფრანგი ეკონომი ქალის ქალარა თავი გამოჩნდა.

„Je peux servir, mademoiselle?“<sup>21</sup>

ერყენუღი  
ზიზლიმთეკა

„Oui, Mathilde. Je viens vous aider“.<sup>22</sup>

თავი სამზარეულოში გავიდა. გონჯი უკვე ფეხზე იდგა და ბრესლის შველოდა ადგომაში. ისე უაზროდ ამოკრილი კაბა ეცვა, მთელი ზურგი შიშველი უჩანდა. ხელჩაკიდებული მოდიოდნენ იქითკენ, სადაც დევიდი იდგა. გონჯის სასაცილო სიარული საცქერლად ღირდა. თავისი თეთრობიანი, დარბაისელი პარტნიორის გვერდით რაღაც გამაღიზიანებლად არაბუნებრივი ჩანდა, ციღამტკაველასავით იგრიხებოდა. დევიდს ექვი შეეპარა, რომ როდისმე უკეთ „გაიცნობდა“ მას.

გრძელი მაგიდის მხოლოდ ერთ ბოლოში გაშალეს სუფრა, ბრესლი სუფრის თავში დაჯდა. გონჯი მარჯვნივ მიუჯდა მას. მოხუცმა დევიდს მიმართა: „უილიამზ, ძვირფასო“.

ანიშნა, გონჯის მარჯვნივ დამჯდარიყო. მატლდა და თავი შემოვიდნენ: მომცრო საწვწე, crudités<sup>23</sup> კერძი, ძეხვი და კარაქი შემოიტანეს. წვნიანი ბრესლისთვის იყო. ბრესლი იდგა. ძველებური თავაზიანობით იცდიდა, სანამ თავი თავის ადგილზე დაჯდებოდა. დასვა იგი, დაიხარა და ნაზად აკოცა კეფაზე. ქალიშვილებმა ერთმანეთს გადახედეს. გარეგნობისა და კკუის სხვადასხვაობის მიუხედავად, დაახლოებული ჩანდნენ და ერთმანეთისა უსიტყვოდ ესმოდათ. თავმა წვნიანი დაუსხა ბრესლის, მოხუცმა დიდი ხელსახოცის ბოლო პერანგის ორ ღილშუა ჩაიტანა და მუხლებზე გადმოიფინა. გონჯმა უსიტყვოდ ანიშნა დევიდს, ჯერ თქვენ გადაიღეთო. ეკონომი ქალი ოთახის კუთხისაკენ გაემართა, რომ ნავთის ლამპა აენთო, მერე მოიტანა და მაგიდაზე, დევიდის წინ, ცარიელ ადგილზე დადგა. სამზარეულოში გასვლამდე ხელით ამოძრთველს მისწვდა და სინათლე ჩააქრო. ზევითა დერეფანში კი ისევ ანათებდა ძვრთალად უჩინარი ნათურა და შუასაუკუნეებისდროინდელი კიბის ლამპაზი დიაგონალის სილუეტს აჩენდა სიბნელეში. ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივები მკრთალად ანათებდა ხეთა კენწეროებს, ლამპის რძისფერი სინათლე ეფიხებოდა მაგიდასთან მსხდომთა სახეებს; თავმა უიარლიყო ბოთლიდან ღვინო დაუსხა დევიდსა და მოხუცს და მერე თავისთვისაც დაისხა. გონჯი, ეტყობა, არ სუამდა; საკმელსაც მაინცდამაინც არ ეტანებოდა. იჯდა. შიშველი — მზით გარუჯული იდაყვები მაგიდაზე ეწყო, თეფშიდან უმ ბოსტნეულს თუ გადაიღებდა. ცოტას მოციცქნიდა და დროდადრო თავისი შავი თვალებით თავს გადახედავდა. დევიდს თითქოს არც ამჩნევდა. ყველა ჩუმად იყო. თითქოს ელოდნენ, როდის იწებებდა ბრესლი ლაპარაკის დაწყებას. მაგრამ დევიდზე ეს არ მოქმედებდა, რაკი შიოდა, და ახლა უფრო ლაღად გრძნობდა თავს, იმის მერე რაც მოპირდაპირე მხარეს მჯდარმა ქალიშვილმა კარგად გააცნო

<sup>21</sup>. შეიძლება მოგართვათ? (ფრანგ.).

<sup>22</sup>. დიახ, მატლდა. ახლავე მოგეხმარებით (ფრანგ.).

<sup>23</sup>. უმი ბოსტნეული (ფრანგ.).



ვითარება. ლამპის შუქზე იჭაურობა შარდენისა თუ ჯორჯ დე ლატურის ტილოებს ჰგავდა. გარშემო სიმშვიდე იყო, ანაზღად გონჯს თითქოს რაღაც გადისცდა სასულეში. კინალამ დაიხრჩო, დევიდმა მზერა ესროლა



ეროვნული  
გზამკვლევი

„იდიოტი ხარ“. ჩაიბუტბუტა თავმა.

„ბოდიშს ვიხდი“.

ამაოდ სკადა პირი მაგრად მოეკუმა, სკამის ზურგს მიყრდნობოდა და სიცილი შეეკავებინა; მერე უცებ თავის თეთრ ხელსახოცს წამოავლო ხელი, სახეზე მიიფარა და სკამიდან წამოხტა. ხუთი თუ ექვსი ნაბიჯი გაიარა და ზურგშექცეული დადგა. ბრესლი ისევ მშვიდად მიირთმევდა წვნიანს. თავმა დევიდს გაუღიმა:

„თქვენზე არ გაუცინია, არც იფიქროთ“.

„ერთი კარგად უნდა მისცხო უკან“. ჩაიბუზღუნა ბრესლიმ.

გონჯი კი ისევ იდგა და თავისი გრძელი, შიშველი ბერბემალი და წითურბუსუსებიანი საფრთხობელა კისერი ამათყენ მოეშვირა. მერე გაცლა ამჯობინა და ბუხრისკენ გაემართა. სიბნელეში.

„თავი თქვენი თავყვანისმცემლია, უილიამზ. არ გითხრათ?“

„დიახ. ჩვენ უკვე დავაარსეთ ურთიერთთავყვანისცემის კომპანია“.

„ძალიან მომთხოვნია ეს ჩვენი თავი“.

დევიდმა გაიღიმა.

„პითაგორას კვალზე. არა?“

მოხუცი თავის წვნიანს ზვრებდა. დევიდმა თავს შეხედა. თითქოს შველასა სთხოვდა.

„ჰენრი გეკითხებათ, აბსტრაქცია თუ გიტაცებთ“.

დევიდმა გაიგონა, სავსე კოვზს ჩაშტერებულმა მოხუცმა სწრაფად რომ ჩაილაპარაკა. „ობსტრუქცია“.

„დიახ. ვშიშობ, რომ... ეს მართალია“.

შეცდომა დაუშვა და ამას მანამდეც მიხვდა, სანამ თავის სწრაფ მზერას დაიჭერდა. მოხუცმა ჩაიციინა.

„მერედა, რაღად გვეშინია, მეგობარო?“

დევიდმა დაუდევრად მიუგო: „ეს, უბრალოდ, რიტორიკული ფიგურაა“.

„ძალიან გონებისძიერიო, გამიგია, თავი ამბობს, აღფრთოვანებას იწვევსო.“

„Als ich kann“.<sup>24</sup> — ხმადაბლა თქვა დევიდმა.

ბრესლიმ ისევ შეხედა: „როგორ?“

მაგრამ ანაზღად გონჯი გაჩნდა თავის სკამს უკან. ხელში სამი ვარდისფერი კრიზანთემა ეჭირა, იმ ლარნაკიდან ამოვლო, დევიდმა ბუხრის თავზე რომ შეამჩნია. ერთი ცალი დევიდის ხელთან დადო, მეორე — მოხუცისა და მესამე კიდევ — თავისთვის. მერე სკამზე დაეშვა დასჯილი ბავშვივით და ხელები მუხლებზე შემოიწყო.

ბრესლიმ მამაშვილურად მოუთათუნა ხელი მხრებზე.

„რას ამბობდით, უილიამზ?“

„რაც შემძლია იმას ვაკეთებ“, და სწრაფად დაუმატა. „კვალს რაც შე-“

<sup>24</sup> ვცდილობ, რაც შემძლია (გერმ.).



ეხება, მე უფრო იმის კვალს გაყვებოდი..." და მიხვდა, რომ ისევ დაუშვა შეცდომა. მაგრამ უკვე გვიანდა იყო.

"ვის კვალს. მეგობარო?"

"ბრაკის?"

ეს აშკარა შეცდომა იყო. დევიდს სუნთქვა შეეკრა.

"თქვენ მის კუბისტურ სისულელეს გულისხმობთ?"

"ჩემთვის სისულელე არ არის, სერ. ჩემთვის აზრი აქვს".

მოხუცს ერთხანს არაფერი უთქვამს. წვნიანი მიირთვა კიდეც.

"ახალგაზრდობაში ყველა ნაბიჯები ვართ". დევიდმა გაილიმა, უნდოდა ამაზე რაღაც ეთქვა, მაგრამ ენას კბილი დააჭირა. "ესპანეთში ბევრი მხეცობა მინახავს. ენით აუწერელი. ხდება ომში. მარტო ისინი კი არ სჩადიოდნენ, ჩვე-ხებიც". ერთი კოვზი წვნიანიც შეხვრიბა, მერე დადო კოვზი, სკამს მიეყრდნო და დევიდს მიაჩერდა. "გათავდა ბრძოლა, მეგობარო. გეგონათ, გულგრილად მოძიდებდით ბოლოს? ჩემთან ეს არ გამოვა".

"როგორც კიდეცაა გამაფრთხილეს, მისტერ ბრესლი".

მოხუცი უცებ მოეშვა, თვალები აუციმციმდა.

"მით უმეტეს. თუ იცოდით, ჩემო ბიჭო".

დევიდმა თვლები გაშალა; იცოდა, თავგმა მოხუცს მიმართა:

"კიდეც გონდათ წვნიანი, პენრი?"

"ძალიან ბევრი ნიორი აქვს".

"გუშინაც ამდენი ჰქონდა".

მოხუცმა რაღაც ჩაიბურტყუნა და ღვინის ბოთლს წაავლო ხელი. გონჯმა ხელი ასწია და თავისი მოუხეშავი თითებით თმის ვარცხნას მოჰყვა ისე, გეგონება ეშინია, არ დაეტკეპნოსო. მერე ოდნავ შეტრიალდა დევიდისკენ, ხელი არ ჩამოუღია დაბლა.

"მოგწონთ ჩემი ტატუირება?"

იღლიაში მუკლურჯად უჩანდა ზიზილა.

ვახშმობის გათავებამდე დევიდი, თავგთან უსიტყვო შეთანხმებით, ცდილობდა ხელოვნებაზე საუბარს მორიდებოდა. კერძებიც შევლოდა; ქარიყლაპიას quenelles<sup>25</sup>, beurre blanc<sup>26</sup> საწებლით, რაც მისთვის ახალი რამ იყო, და pré salé<sup>27</sup> ცხვრის ხორცი. ლაპარაკობდნენ ფრანგულ სამზარეულოზე და გურმანებზე, ბრეტანზე და ბრეტონელის ხასიათზე. დევიდმა შეიტყო, რომ კოტ-მინე ზემო ბრეტანშია და არა Basse<sup>28</sup>-ში, ესე იგი არა Bretagne Bretonnante<sup>29</sup>-ში, რაც უფრო დასავლეთითაა, და სადაც ჯერ კიდევ ლაპარაკობენ ბრეტონულ ენაზე; "Coët" ტყეს ან ხეს ნიშნავს და "minais" — ბერებისას. გარეშემო ტყეები ოდესღაც სააბატოს ეკუთვნოდა თურმე, მაგრამ ამ წარსულ ამბავს თავი დაანებეს და სიტყვა Coët-ზე შეჩერდნენ. ლაპარაკობდნენ ძირითადად თავი და დევიდი, თუმცა დროდადრო თავი ბრესლის მიუბრუნდებოდა, რათა დაემოწმებინა, ან რაღაცა ეკითხა კიდეც. გონჯს თითქმის არ ამოუღია ხმა. დევიდმა იგრძნო, რა სხვაობაც იყო ამ ორი ქალიშვილის უფლებებს

<sup>25</sup>. გუფთა (ფრანგ.).

<sup>26</sup>. ზეთის თეთრი... (ფრანგ.).

<sup>27</sup>. დამარილებული (ფრანგ.).

<sup>28</sup>. ქვემო (ფრანგ.).

<sup>29</sup>. ბრეტონის ბრეტანში (ფრანგ.).



შორის. თავს თავისთავადობისა და თავისი სიტყვის თქმის ნება ეძლეოდა. გონჯს კი ითმენდნენ, ეგ იყო და ეგ, როგორც თანდათან გამოირკვა, ოდესღაც ისიც სწავლობდა თურმე ხელოვნებას, ოღონდ გრაფიკას და არა ფერწერას. ერთმანეთს ლიდზში შეხვედრიან, მაგრამ ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თუ თქოს თვითონ არაფრად მიაჩნდა თავისი ცოდნა. ამ საზოგადოებას ის მხარს ვერ უსწორებდა.

მოხუცი დაშოშმინდა, ეტყობა, კმაყოფილი იყო საკუთარი თავით, მაგრამ სურდა, რამდენადაც შეიძლებოდა, დევიდს ისეთივე სჩვენებოდა, როგორიც ვახშმობამდე იყო. მაგრამ თუ თავი ახერხებდა საუბარი მშვიდად წარმართულიყო, ის ველარ მოახერხა რომ ბრესლის არ დაეღია, თვითონ ცოტას სვამდა, დევიდმაც იმედი დაკარგა მოხუცს მიჰყოლოდა. Armoire-დან მეორე ბოთლი გადმოიღეს და ტრაპეზის გათავებამდე ისიც გამოცალეს ბრესლის თვალებში დაებინდა. სიმთვრალე არ ეტყობოდა, ჭიქა ისე ეჭირა, ხელი არ აჰკანკალებია: მარტო გამოხედვაზე ეტყობოდა, რომ ძველი დემონი შესწდომოდა. უფრო და უფრო მოკლე პასუხებს იძლეოდა, ძნელად თუ ვისმე უსმენდა უკვე. თავგმა დაიჩივლა, ფილმებს არა ვნახულობთო, და საუბარი ამაზე გაღაიტანეს. დევიდს ენახა რამდენიმე ფილმი ლონდონში ამ ცოტა ხნის წინათ. მოხუცმა უცებ გააწყვეტინა.

„კიდევ ერთი ბოთლი, თავგო“

ქალიშვილმა შეხედა, მაგრამ ბრესლიმ მზერა აირიდა.

„ჩვენი სტუმრის პატივსაცემად“.

თავი მაინც ყოყმანობდა, მოხუცი ცარიელ ჭიქას მიაჩერდა, ასწია და მაგიდაზე დადგა. უცბად არა, არც გაბრაზებით, მაგრამ ცოტათი მოუთმენლად, თავი ადგა, armoire გამოიღო, ამ წუთებში, ეტყობა, დათმობაზე წასვლა ჯობდა, ვიდრე შეგონება. ბრესლი სკამის ზურგს მიეყრდნო და დევიდს მიაჩერდა. შუბლზე თეთრთმაჩამოწეულსა და გაღიმებულს, ლამის უწყინარი მზერა ჰქონდა. გონჯი მაგიდისკენ იყურებოდა, მერე თქვა:

„ჰენრი, შეიძლება წავიდე, ცოტას მივწვები?“

მოხუცი ისევ დევიდს უყურებდა, „რატომ?“

„წიგნს წავიკითხავ“.

„ეშმაკის ფეხი ხარ“

„თუ შეიძლება“.

„კარგი, დამეკარგე“.

ზედაც არ შეუხედავს გონჯისთვის. თავგმა ერთი ბოთლიც მოიტანა, გონჯმა ვედრებით შეხედა მეგობარს, თითქოს მისი თანხმობაც სჭიროდა. თავგმაც ოდნავ დაუქნია თავი და იმავე წუთში დევიდმა ბარძაყზე იგრძნო გონჯის თითები, მაგიდის ქვეშიდან, ეტყობა, იმის ნიშნად, გამხნევდითო. მერე წამოდგა, ოთახი გაიარა და კიბეზე ავიდა. ბრესლიმ ბოთლი დევიდისკენ მისწია, თავაზიანობის გამო არა, უფრო გამოწვევა იყო.

„გმადლობთ, მე მეყოფა“.

„კონიაკი“ კალვადოსი?“

„არა, გმადლობთ“.

მოხუცმა ჭიქა შეივსო.

„მარიხუანა?“ კიბისკენ მიახედა დევიდი. „აი, რისი წაკითხვა უნდა გონჯს“.

თავგმა მშვიდად თქვა: „უკვე დაანება თავი, მშვენივრად იცი“.



მოხუცმა ბლომად მოსვა ღვინო.

„მე მგონია, ახალგაზრდა ჯეჟის კოლოფები ყველაც ეწევით“.

„მე ეს არ მეხება“, თითქოს სხვათა შორის ჩაურთო დევდიმა.

„ლოგარითმული სახაზავის ხმარებაში გიშლით ხელს?“

„შეიძლება, მაგრამ მე მათემატიკოსი არა ვარ“.

„მაშ რას ეძახით მაგას?“

ერეკენული

თავი თვალებდახრილი იჯდა. დევიდის შველა მუდმივად იმით თუ მიეშველებოდა, რომ უსიტყვო მოწმესავით მჯდარიყო. არ ღირდა თავის მოჩვენება, თითქოს გასაგები არ იყო, თუ რას გულისხმობდა მოხუცი, როცა სიტყვა „მაგას“ იხმარა. დევიდი ბრესლის დაჟინებულ მზერას წააწყდა.

„მისტერ ბრესლი, ჩვენი უმრავლესობა ფიქრობს, რომ ტერმინმა — „აბსტრაქცია“ აზრი დაკარგა. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ჩვენი წარმოდგენა რეალურობაზე ძალიან შეიცვალა ბოლო ორმოცდაათ წელიწადში“.

მოხუცი თითქოს დაფიქრდა ამაზე, მაგრამ დიდხანს არ.

„მე ეს ღალატად მიმაჩნია. უდიდეს ღალატად ხელოვნების ისტორიაში“.

ღვინისაგან ლაწვები შეუფაქლდა და ცხვირი გაუწითლდა, თვალები მიეღულა, ისევ ისე იჯდა, მოწოლილი, მხოლოდ ოდნავ შეატრიალა თავისი სავარძელი, რომ დევიდისთვის პირდაპირ ეცქირა. ამით ქალიშვილთანაც უფრო ახლო აღმოჩნდა. სადილზე დევიდი ბევრს ელაპარაკებოდა თავს, ყურადღებას იჩენდა მის მიმართ... ახლა მიხვდა, რომ მოხუცი ალბათ თვალს ადევნებდა მათ მანამდეც, სანამ სატრაპეზოდ დასხდებოდნენ ახლა კი სურდა ეჩვენებინა, რომ თვითონ იყო ქალიშვილის ბატონ-პატრონი.

„წყვეული საჭურისის ტრიუმფი“.

აი ასე.

„მაგრამ მაინც ეს ჯობია სისხლიანი დიქტატორის ტრიუმფს?“.

„ჩმახვია. სიფიცხე. პიტლერიც სიფიცხეა, ან არარაობა“.

დევიდისთვის არ შეუხედავს, ისე თქვა თავგმა: „ჰენრის მიაჩნია, რომ აბსტრაქტული ხელოვნება ადამიანისა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობისაგან გაქცევაა“. დევიდმა კინალამ გაიფიქრა, თავიც ბრესლის მზარეზეაო, მაგრამ მიხვდა, თარჯიმნის როლს რომ კისრულობდა მხოლოდ.

„მაგრამ, ფილოსოფიას ხომ სჭირდება ლოგიკა? გამოყენებით მათემატიკას არ სჭირდება წმინდა ფორმა? და ხელოვნებასაც ასევე არ უნდა ჰქონდეს თავისი საფუძვლები?“

„სისულელეა. აბდაუბდა. საფუძვლები არა, საჯდომები“. მოხუცმა ქალიშვილისაკენ გაიქნია თავი. „ორი კერტი და... რაც მერეა. ასეთია რეალობა. თქვენი რალაც სულელური თეორიები და პედერასტული ფერები კი არა, მე ვიცი, რის წინააღმდეგაც მიდიხართ ყველა, უილიამზ“.

თავგმა იმავე თანაბარი, სრულიად მშვიდი ხმით თარგმნა:

„თქვენ გეშინიათ ადამიანის სხეულისა“.

„უბრალოდ, შეიძლება მე უფრო მეტად გონება მაინტერესებს, ვიდრე სასქესო ორგანოები“.

„ღმერთმა უშველოს, საწყალი თქვენი ცოლი“.

დევიდმა მშვიდად თქვა: „მე მგონია, ჩვენ მხატვრობაზე ვლაპარაკობდით“.

„რამდენი ქალი გყოლიათ, უილიამზ?“

„ეს არ არის თქვენი საქმე. მისტერ ბრესლი“.



დაძაბული პაუზა, მოხუცის მიშტერებული მზერა, ვიდრე პასუხს გაიზარებდა. ფარიკაობის სცენასა ჰგავდა, შენელებული გადაღებით.

„კასტრაცია. ესეც თქვენი თამაშის წესები. დანგრევა“.

„აბსტრაქტულ ხელოვნებაზე უფრო საშინელი დამანგრეველებიც არსებობენ“.

„ბოდვაა“.

„მიდით ერთი და უთხარიტ ეს პიროსიმას მცხოვრებთ. ანდა დამწვარა“.

მოხუცმა რალაც ჩაიბუზღუნა. ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

„მეცნიერებას სული არა აქვს. უმწეოა, ვირთხაა ლაბირინთში“.

ბრესლიმ კიკა გამოცალა და მოუთმენელი ეესტით მოითხოვა, ისევ შეესო თავს, დევიდი ჩუმად იჯდა და იცდიდა, თუმცა ერთი სული ჰქონდა წამომხტარიყო და ეკითხა, რისთვის მომიწვიეთო კოტმინეში. გრძნობდა, შეეძლო აეწყვიტა, მიუხედავად იმისა, რომ გააფრთხილეს. საუბარი უკვე უხეშ გიხებასა და პირად შეურაცხყოფაზე გადადიოდა და დევიდმა იგრძნო, რაიმე გოხივრულის თქმა, ანდა თავის დაცვა, ცეცხლზე ნავთის დასხმა იქნებოდა მხოლოდ.

„ვიცი ეს ხალხი...“ მოხუცი სავსე ბოკალს მიაშტერდა, სიტყვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა. „ულალატეს ციხესიმაგრეს. გაყიდეს. ავანგარდს ეძახით თქვენ თავს. ექსპერიმენტატორები. თქვენი რა ვთქვა. ეს სახელმწიფო ლალატია, მორჩა და გათავდა. სამეცნიერო შეჭამადი. მიდი რა, და წისქვილის ღარზე დადე ყველა“.

„აბსტრაქტული მხატვრობა უკვე ავანგარდი აღარ არის. და ჰუმანიზმის საუკეთესო პროპაგანდა შემოქმედების თავისუფლებას არ ემყარება? ხომ ასეა?“

ისევ პაუზა.

„თხლეა, ცარიელი ლაპარაკი“.

დევიდმა თავს ძალა დაატანა და გაიცინა: „მაშ უკან, სოციალისტური რეალიზმისკენ? სახელმწიფო კონტროლისაკენ?“

„თქვენ რალა გიწევთ კონტროლს, უილსონ?“

„უილიამზ“, გაუსწორა თავმა.

„მოეშვით ამ ლიბერალურ ყბედობას. მთელი ჩემი ცხოვრება ამის მეტი რა გამიგია. თამაში წესების დაცვით. ნალდი ლაჩრობა“. უცებ თითი მიაშვირა დევიდს. „საამისოდ უკვე ძალიან ბებერი ვარ, ჩემო ბიჭო. ძალიან ბევრი რამე ვნახე. ძალიან ბევრი ხალხი შეეწირა წესიერებას. მოთმინება. საჯდომები რომ სუფთა ჰქონდეთ“.

ლვინო ბოლომდე დალია, ზიზლით გამოცალა და ისევ ბოთლისკენ წაიღო ხელი, ბოთლის ყელი კიკას მოხვდა და ისე დიდხანს ასხამდა, ლვინო დააქცია. თავმა პირთამდე სავსე კიკა ასწია და თავის კიკაში გადაისხა კოტაოდენი, მერე მშვიდად გადაშმინდა სველი მაგიდა მოხუცის წინ. დევიდი ჩუმად იჯდა. იგრძნო, დამშვიდდა, მაგრამ შემცბარი იყო.

„კარგ ღვინოებს, იცით, როგორ აყენებენ? შარდს ასხამენ შიგ. ღვინის კასრში ასხამენ შარდს“. ხელი უკანკალებდა, ისე მიიტანა პირთან კიკა, მერე დაუშვა. ლაპარაკში სულ უფრო გახშირდა პაუზები. „ათი ინგლისელი ერთი ფრანგის ერთ ნეკადა ღირს“. კიდევ პაუზა. „ზეთის საღებავი არა, პიგმენტი, მჩორეა, რა, თუ რამედ ვარგა წავიდეს ერთი. მონელება. აი რა გამოდის, ეს



არის თქვენი საფუძველი. და არა თქვენი წყეული კარგი აბსტრაქტული გემო-  
ვების რაღაც-რაღაცა“. ისევ გაჩერდა, გეგონება, კიდევ უნდა რაიმე თქვასო  
და საბოლოოდ კიდევ ამოთქვა. „გამოსაწმენდადაც კი არ ვიხმარ მაგათ“.

მძიმე სიჩუმე ჩამოწვა. ტყიდან კივილი მოისმა, ბუკიონი ქალიშვილი  
მაგიდიდან ცოტა მოშორებით იჯდა, ხელები კალთაზე ეწყო და თვალები და-  
ეხარა. თითქოს მზად იყო დაუსრულებლად ელოდა, როდესაც გაფრთხილებდა მოხუ-  
ცი ამ უთავბოლო ლაპარაკს. ალბათ ხშირად უხდება ასეთი საშინელები ბოჭე-  
შური მიეთმოეთის ატანა, როცა ღვინოს თავისი გააქვს, გაიფიქრა დევიდმა.  
ეს ყველაფერი ისე ძველია, რილასთვის არის საჭირო ნეტავ ხელახლა ბრძოლა,  
როცა უკვე დიდი ხანია გადაიჭრა ეს საკითხი, de facto და de jure<sup>30</sup>,  
დიდი ხნით ადრე, ვიდრე დევიდი გაჩნდებოდა ამ ქვეყანაზე. ყველა ფორმა  
როდის არის ბუნებრივი, და ფერი კიდევ — მორჩილი მისი... ამაზე ბჭობა და  
კამათი აღარა ღირს. ეს იგივეა, რაც აინშტაინის ფარდობითობის თეორიაზე  
ისევ კამათი. ატომი ხომ გახლიჩეს მაინც. გამოყენება კიდევ სხვაა, შეიძლება  
იკამათო, მაგრამ პრინციპზე — არა. ასე ფიქრობდა დევიდი; და სახეზეც კარ-  
გად შეეტყო ზოგი რამ, რაზეც ახლა ფიქრობდა. თანაც კარგადაც დალია, მე-  
ტი, ვიდრე ყოველთვის სვამდა.

„იმედი გაგიცრუეთ, უილიამზ? წასულია ამის საქმეო, ფიქრობთ, არა?  
In vino<sup>31</sup> იხრჩობს თავსო?“

დევიდმა თავი გაიქნია. „არა, მხოლოდ გადამეტებით გაფასებდით“. ისევ  
სიჩუმე.

„მართლა ფერმწერი ხართ, უილიამზ? თუ, უბრალოდ, გამოფიტული ლაქ-  
ლაქა ვინმე?“

დევიდმა არ უპასუხა. ისევ სიჩუმე. მოხუცმა კიდევ მოსვა ღვინო.

„თქვით რამე“.

„სიძულვილი და გაბრაზება ის ფუფუნება არ არის, რისი ნებაც შეიძლე-  
ბა თავს დავრთოთ და მთლად მას მივეცეთ, ვინც გინდა ვიყოთ“.

„მაშინ, ღმერთმა გიშველოთ“.

დევიდმა ოდნავ გაიღიმა. „არც მისი სახელი უნდა ვახსენოთ ტყუილუბ-  
რალოდ“.

თავი წამოიწია და ღვინო დაუსხა ბრესლის.

„იცით, როცა ახალგაზრდა ვიყავი, რას ნიშნავდა ყვრიმლის მიშვერა?  
რას ეძახდნენ იმ ყმაწვილს, ვინც ყვრიმალს უშვერდა?“

„არა“.

„სალოსს. თქვენ ხართ სალოსი, უილსონ?“

ამჯერად თავგმა საჭიროდ არ ცნო შეეხსენებინა, რომ უილიამზი ეთქვა  
და არა უილსონი, დევიდმა კი საჭიროდ არ ცნო ეპასუხა.

„ჩაიმუხლე და შარვალი გაიძრე. ეს ყველაფერს გადაჭრის, არა?“

„არა, მაგრამ, არც შიში გადაჭრის“.

„არც რა?“

„დაკარგვის შიში... რის წართმევაც არ შეიძლება“.

მოხუცი გაშტერებული შეპყურებდა.

„რისი თქმა უნდა, რა ოხრობის?“

<sup>30</sup>. ფაქტიურად და იურიდიულად (ლათ.).

<sup>31</sup> ღვინოში (ლათ.).



თავმა მშვიდად აუხსნა: „იმის თქმა სურს, რომ შენი ხელოვნება და ხელოვნებაზე შენი აზრი საფრთხეში არ არის, ჰენრი. ყველას ეყოფა ადგილი“.

დევიდისთვის არ შეუხედავს თავს, მაგრამ ცოტა წინ გადაიხარა და ჰენრისგან განზე გაიწია. იდაყვი მაგიდას დაადო და ნიკაპი ხელისგულს ჩამოაყრდნო. წაშით ტუჩებთან მიიღო თითი, დევიდს ანიშნა, გაჩუმდითო, და დევიდმაც აღარ უპასუხა ბრესლის. გარედან უცერად მაკმილანის ყველა მოძრაობა, გზავებითა და გააფთრებით ყეფდა, ეკონომი ქალის ქმრის ხმაც გაიგონეს, ძალღს დაუყვირა. მოხუცსა და ქალიშვილს არცკი გაუგონიაფ, იმათთვის ლამის ამ ხმაურში უჩვეულო არა იყო რა. დევიდს კი მეტად სიმბოლურად მოეჩვენა, ხიფათით სავსე, მოხუცის სულის დაძაბულობის ეჭოდ მოესმა ლამის ეს ხმები.

„ახლა ასეთი მოდაა, ჰა?“

ქალიშვილმა დევიდს შეხედა. თვალები აუციმციმდა.

„ჰენრის აზრით, არ შეიძლება მოითმინო ის, რაც გგონია, რომ მეტად ცუდია“.

„ეს ძველისძველი ამბავია. იჯექი ფხიზლად იმ წყვეულ ინგლისურ ლობეზე. მიეცი ადოლფს ხმა“.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა და მერე უცებ თავმა დაიწყო:

„ჰენრი, არ შეიძლება ტოტალიტარიზმის იდეებს ისევ ტოტალიტარიზმის მეთოდებით შეებრძოლო. ასე შენ მხოლოდ იმათ გამრავლებას ეხმარები“.

შეიძლება მოხუცის ამჯერად დაბნეულ ცნობიერებას მისწვდა ის, რომ ქალიშვილი დევიდის მხარეს დადგა. მოხუცმა იქით გაიხედა, მაგიდის იქით, სადაც უკვე ბინდი წვებოდა. როცა ბოლოს ღვინით შეუვსო ჭიქა, თავმა ბოთლი მარცხნივ მოიღგა. ჰენრი მას ველარ მისწვდებოდა.

„რალაც მინდოდა თქვენთვის მეთქვა“, წარმოთქვა ჰენრიმ.

ძნელი მისახვედრი იყო, რისი თქმა სურდა, პირადად თქვენი შეურაცხყოფა არც მიფიქრიაო, თუ დამავიწყდა, რა მინდოდაო თქვენთვის მეთქვა.

დევიდმა წაილულულა: „დიახ, გასაგებია“.

მოხუცმა ისევ შეხედა მას. პირდაპირ უკვე უჭირდა ცქერა.

„რა გქვიათ?“

„უილიამზი. დევიდ უილიამზი“.

ღვინო დალიე ბოლომდეო, უთხრა თავმა.

მაგრამ მოხუცს ვითომც არ გაუგონია.

„მე და სიტყვები ვერ კრიგდებით. არასოდეს მეხერხებოდა“.

„გასაგებია. მე მესმის რისი თქმაც გინდათ“.

„თუ არა გძულს, არ გეყვარება, არ გეყვარება და, ვერ დახატავ“.

„გასაგებია“.

„რა დაწყევლილი გეომეტრიაა. არ ვარგა. ყველამ სცადა, მაგრამ ვის რაში არგია“. დევიდს ახლა სასოწარკვეთილი დაძაბულობით შესცქეროდა, ლამის ხარბადაც, ეტყობოდა, ფიქრის ძაფი გაუწყდა კიდევ.

თავმა უკარნახა: „შექმნა იგივეა, რაც ლაპარაკი, ესეც სიტყვაა“.

„არ შეიძლება უსიტყვოდ წერო. ხაზები“.

ქალიშვილმა ოთახი მოათვალიერა. ძალიან მშვიდად ლაპარაკობდა:

„ხელოვნება მეტყველების ფორმაა. მეტყველება იმას უნდა ემყარებოდეს, რაც ხალხს სჭირდება, და არა გრამატიკის აბსტრაქტულ თეორიებს. არაფერს. გარდა თქმული სიტყვისა, რეალური სიტყვისა“.

„კიდევ ერთი რამ იდეები. არაფერია“.



დევიდმა დაბნეულად დაიქნია თავი.

თაგვმა განაგრძო: „ცალკე იდეები სახიფათოა, იმიტომ, რომ ადამიანის არსებობის ფაქტს უარყოფს. ერთადერთი პასუხი ფაშიზმისა ისაა, რომ ადამიანის არსებობა ფაქტი არის“.

„მანქანა. რა ჰქვია იმას, კომპიუტერი“.

„გასაგებია“, თქვა დევიდმა.

„ტაშისტი. ფოტრიე. კაბუკი უოლსი. დამფრთხალე <sup>ერქუნული</sup> <sup>ცხვრები</sup> <sup>პუკ</sup>“, გაჩერდა. ისევ სიჩუმე „ის იანკი, რა ჰქვია?“

დევიდმა და ქალიშვილმა ერთხმად უთხრეს, მაგრამ ვერ გაიგონა. თაგვმა ისევ გაუმეორა მისი სახელი.

„ჯექსონ ბოლოკი“, <sup>32</sup> ბრესლიმ ისევ გაშტერებით გაიხედა სიბნელისაკენ. „წყვეული ყუმბარა თუ არ სჯობია იმ ჯექსონ ბოლოკს“.

არაფერი თქვეს. დევიდი ძველებურ მაგიდას აკვირდებოდა; ჩაშავებული მუხის ხისა იყო. გახეხილი და დაკაწრული, საუკუნეთა პატინით დაფარული; რამდენი კაცის ხმა დარხეულა აქ საუკუნის მანძილზე, და მუქარისა და უღმრთელობის ტალღა უკუუქცევიათ. გეგონება, ჟამისთვის ასე ჩვეულებრივი რამე იყოს ეს უკუქცევა.

შერე მოხუცმა ილაპარაკა, საკვირვლად სუფთა, მკაფიო ხმით, თითქოს აქამდე მთვრალი კი არა, ვითომ მთვრალი ყოფილიყო და ახლა უბრალოდ, თავი მოუყარა იმას, რაც ითქვა, და უაზრო სიტყვებით შეაჯამა.

„აბანოზის კოშკი — აი რას დავარქმევ ამას“.

დევიდმა ქალიშვილს გახედა, მაგრამ თვალი აარიდა. წერტილის დასმა ახლა უკვე მეტი რამ იყო, ვიდრე ბრესლის სიტყვების ახსნა და ისიც ცხადი შეიქნა, რომ ბრესლი მართლა მთვრალი იყო; დევიდი ხედავდა, რომ დაბნეული თვალებით ეძებდა ჭიქასა თუ ჭიქებს იქვე, მაგიდაზე, თავს ძალა დაატანა და ფხიზელივით გაიწოდა ხელი, მაგრამ თაგვმა ხელი დაუჭირა, ჭიქა თვითონ აიღო და ფრთხილად ჩაუდო ბრესლის ხელში. მოხუცმა ძლივძლივობით მიიტანა პირთან და უნდოდა ერთბაშად დაეცალა. ნიკაპზე ჩამოეღვარა, ღვინო თეთრ პერანგზე მიეშხეფა. თაგვი დაიხარა, თავისი ხელსახოცი აიღო და გულზე მიათარა.

ნაზად უთხრა: „ძილის დროა“.

„კიდევ ცოტა ხანს“.

არა“. ბოთლში ჯერ ისევ იყო ღვინო, თაგვმა აიღო და თავის სკამთან, იატაკზე დადგა. „გათავდა“.

მოხუცმა თვალებით დევიდი მოძებნა.

„Qu'est-ce qu'il tout ici?“ <sup>33</sup>

ქალიშვილი წამოდგა, იდაყვზე მოჰკიდა ხელი, რომ ადგომაში მიხმარებოდა. მოხუცმა თქვა:

„დავიძინოთ“.

„ჰო, ჰენრი“.

მაგრამ ისევე ისე იჯდა, ოდნავ წახრილი, ძალიან ბებერი და გაშტერებული. ქალიშვილი მოთმინებით ელოდებოდა. სევდიანი თვალები შეხვდა დევიდის მზერას, საკვირვლად სერიოზული, გეგონება, ეშინიოთ ვაჟის თვალებში თავისი როლის თამაშის გამო ზიზლის დანახვის. დევიდმა ანიშნა, ხომ არ

<sup>32</sup> ლაპარაკია ამერიკელ მხატვარ ჯექსონ პოლოკზე (1912-1956).

<sup>33</sup> ეს აქ რას აკეთებს? (ფრანგ.).



დაგეხმაროთო. ქალიშვილმა თავი დაუქნია, მაგრამ თითი ასწია: ჯერ არაო. წამის მერე დაიხარა და მოხუცს საფეთქელზე აკოცა.

„წავიდეთ. შეეცადე როგორმე ადგე“.

ახლა მოხუცი მორჩილი და მორცხვი ბიჭვით მაგიდას ჩაეჭოდა. ცეზდა და უჭირდა დგომა. კინალამ მაგიდას დაემხო ზედ. დევიდი სწრაფად მივიდა ახლო, ჰენრი უცებ ისევ ჩაემხო სავარძელში. ამჯერად ურჯევში წყნა. კიბისკენ როცა მიდიოდნენ, მაშინლა მიხვდნენ, რა მძიმე ლუწუ მუცელს თვალები დაეხუჭა. თითქოს გონებაც მიხდომოდა, და მხოლოდ ფეხებს, გეგონება რაღაც ალლოთი, ან ძველისძველი ჩვეულებით, ადგამდა ისევ. თავგება ყელსახვევი შეუხსნა, მერე პერანგის საყელო, და ბოლოს კიბეზე აიყვახეს, იმ დიდ ოთახში შეიყვანეს, დასავლეთით რომ ჰქონდა ფანჯარა.

დევიდმა შეამჩნია, ოთახში ორი საწოლი იდგა, ორსაწოლიანი და ერთსაწოლიანი, გონჯი ერთ საწოლზე იწვა, დევიდის დანახვაზე წამოდგა. ისევ ის შავი კაბა ეცვა, ოღონდ ზემოდან გადაეცვა თეთრი ჯემპრი. თვალი ჰკიდა. კედლებზე აქაც სურათები და ნახატები ეკიდა, დასავლეთით მიქცეულ სარკმელთან ახლო, მაგიდაზე, კილები ეწყო ფერადი ფანქრებით.

„ო, ჰენრი, უზნეო ონავარო“.

თავგება მოხუცის ჩაქინდრულ თავზემთ შეხედა დევიდს:

„ახლა ჩვენ თვითონ მოვუვლით“.

„გჯერათ, რომ შეძლებთ?“.

ბრესლიმ ჩაიბურღლუნა:

„საჭირო ოთახი“.

ქალიშვილებმა გვერდით კარისკენ წაიყვანეს. სამთავე სააბაზანოში გაუჩინარდა და დაბნეული დევიდი მარტოკა დარჩა. და მერე უეცრად საწოლის თავზე დაკიდებულ სურათს შეხედა. ბრაკი, რეპროდუქცია მანამდე უკვე სადღაც ენახა. ეტყობა „კერძო კოლექციაში“ ითვლებოდა, ოღონდ არ ელოდა, რომ იგი ბრესლისთან იქნებოდა. წელანდელი საუბარი გაახსენდა: რა უგუნურება იყო მაინც, თავის დასაცავად ბრაკის სახელის ხსენება მოხუცთან და იმის აღნიშვნა, რომ რაღაც საერთო ჰქონდა მასთან. გონჯი სააბაზანოდან გამოვიდა და კარი გამოიხურა. კიდევ ერთი ირონიაო... ერთი მხრივ ის სურათი, რომელსაც ნებისმიერ აუქციონზე ექვსციფრიანი რიცხვით შეაფასებდნენ. მეორე მხრივ კიდევ ეს საეჭვო საფრთხობელა, ოთახის მეორე ბოლოში რომ იდგა ახლა და მას უყურებდა. სააბაზანოდან ისმოდა, მოხუცს ალბინებდა.

„ყოველ საღამოს ასეთია?“

„ხანდახან“. ოდნავ გაიღიმა გონჯმა. „თქვენ არაფერ შუაში ხართ. სხვების გამო“.

„იქნებ გახდაში მივეხმარო?“

გონჯმა თავი გაიქნია. „ნუ ლელავთ. მართლა, ამ ამბავს უკვე მივეჩვიეთ“. დევიდს იმის თქმა სურდა, აღტაცებული ვარო ორივეთი, და იმით, რასაც თქვენ აკეთებთო, მაგრამ სიტყვები ვერ მონახა.

„მაშ... მშვიდობის ღამე უსურვეთ... მართლა, რა ჰქვია, არცკი ვიცი“.

„დაი... დაიანა. ძილი ნებისა“.

„თქვენცა“.

გონჯმა მაგრად მოკუმა პირი და თავი დაუქრა. დევიდი გავიდა. თავის ოთახში შესულმა პიუჟამა ჩაიცვა, დაწვა და დეტექტივი აიღო. გზაში იყიდა.



დაძინება ჯერ აღრეა, მზად უნდა იყოს, ვინიცობა იმისი შველა დასჭირდეთ კიდევ; თან მაინც არ ეძინებოდა, თუმცა ძალიან დაღლილი იყო. კითხვაც კი არ შეეძლო, აღრენაღინს ჯერ არ ემოქმედა, არ დაემშვიდებინა, საღამო მეტად საკვირველი გამოვიდა; და პირველად გაუხარდა, რომ ბეტი არ ახლდა, არ წამოჰყვა. იტყოდა, მეტი აღარ შემიძლიაო, თავდაჭერა უმტყუნებდა. თუმცაღა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამისთანა შეხლა-შემოქცევა მხოლოდ ყველა სისუსტე აშკარა გახადა. არსებითად ეს პირველად მოხდა. ბოლო თავგეს, დაიანას, რა ყოჩაღად ეჭირა თავი, საკვირველად კარგად შეძლო ბრესლის ხელში დაჭერა. ძალიან კარგი ქალიშვილია, ის მეორეც, ერთი შეხედვით ვერ შეატყობ, მაგრამ ეტყობა, რაღაცა უფრო კარგიცა აქვს, თავდადება და მამაცობაც. თავგის სიტყვები გაახსენდა, იმისი მშვიდი, შესაშური თავდაჭერა და საღი აზრი, გონიერება, საინტერესოა, რა შთაბეჭდილება დატოვა დევიდმა დაიანაზე? გაახსენდა თავისი და ბეტის სკეპტიკური, თითქოს ხუმრობით ლაპარაკი, მართლა ისეთი თუ არის ბრესლი, რანაირი რეპუტაციითაც სარგებლობსო, ბეტის სიტყვები, თუ ორჯერ მაინც არ მომითათუნა ხელი, ფულს ისევ გამოვითხოვო... რაც უნდა იყოს, ამ მხრივ მაინც თითქოს გაირკვა ეს პიროვნება, საამბოები კი, გაგიხარია აქვს, ინგლისში დაბრუნებისას სცადა დეტექტივისათვის დაედო გული.

ერთი ოცი წუთი მაინც გავიდა იმის მერე, რაც დევიდმა ქალიშვილები თავიანთ ტირანს დაუტოვა. სახლი მდუმარებაში ჩაიძირა. მაგრამ ვიღაცა გამოვიდა ბრესლის ოთახიდან, მსუბუქი ნაბიჯის ხმა მოესმა, იატაკის კრიალი თავის ოთახთან, მცირე შეყოვნება და შემდეგ წყნარი კაკუნი გაისმა კარზე.

„დიახ“.

კარებში თავგის თავი გამოჩნდა.

„დავინახე, სინათლე გენტოთ. ყველაფერი რიგზეა. სძინავს“.

„ვერც კი მივხვდი, რომ ძალიან დათვრა“.

„ხანდახან ასეც ხდება, მეტის უფლებას როცა ვაძლევთ, თქვენ კი კარგად გეჭირათ თავი“.

„ძალიან მიხარია, წინასწარ რომ გამაფრთხილეთ“.

„ხვალ მოინანიებს. ცხვარივით მშვიდი იქნება“. გაიღიმა. „საუზმე ცხრაზე? ან, როგორც გინდათ. რამდენ ხანსაც გინდათ, იძინეთ“.

წასვლა დააპირა, მაგრამ დევიდმა შეაჩერა. „მაინც რისი თქმა უნდოდა იმ სიტყვებით, აბანოზის კოშკიო?“

„ო“, გაიღიმა თავგმა. „არაფერი, ასეა, როცა თავისას რეკავს“. თავი გადახარა. „ისა თქვა, რომ სპილოს ძვლის კოშკი ახლა შავმა აბანოზის კოშკმა შეცვალა“.

„აბსტრაქციამ?“

თავი გაიქნია. „ყველაფერმა, რაც კი ახალ ხელოვნებაში მისაღები არ არის მისთვის და ბუნდოვანია, რადგან ხელოვანს ეშინია, გასაგები რომ იყოს... თქვენ იცით ეს. სადღაც აქუჩებს ყველაფერს კაცი, როცა ძალიან ბებერია და ჩხრეკის თავი უკვე არა აქვს? მაგრამ თქვენ არ გეხებათ ეს ამბავი. არ შეუძლია გამოხატოს, რასაც ფიქრობს, თუ ვიღაცას არ აწყენინა“. ისევ გაიღიმა და ისევ ისე, კარებში იდგა. „ო'კეი?“

დევიდმაც გაუღიმა და თავი დაუქნია.

თავი წავიდა, მაგრამ მოხუცის ოთახში არა, დერეფნის ბოლოს. მალე წყნარად გაჩხაკუნდა საკეტი. კარგი იქნებოდა ცოტა დიდხანს ელაპარაკათ.



ძველი სამყარო, სადაც ზოგი ასწავლის და ზოგი სწავლობს — ზოგიერთი სტუდენტი შენ მოგწონს და ზოგს შენ მოსწონხარ. რაღაცნაირად კოტმინეს ატმოსფერო იმ დღეებს ახსენებდა. როცა ბეტი ჯერ არ იყო მის ცხოვრებაში; იმით კი არა, თითქოს თავისი სტუდენტები მოსწონდა ან იმ ქალიშვილებს დასდევდა ზშირად. სულის სიღრმეში ცოლიან კაცად დევიდს მანამდეც ეგონა თავი, სანამ იგი ცოლს შეირთავდა.

ცოტა ხანს კიდევ იკითხა დევიდმა, მერე სინათლე გამოჰქროდა, მანამდე გორც იცოდა, მაშინვე ჩაეძინა.

თავი კვლავ მართალი იყო. მოხუცი რომ ინანიებდა, ეს უმაღლეს იგრძნო დევიდმა, როგორც კი ქვევით ჩავიდა ზუსტად ცხრა საათზე. ბრესლი ბალიდან შეძოვიდა ჰოლში, სწორედ იმ დროს, როცა კიბის ძირში იდგა და ჰოქმანობდა. არ იცოდა, სასაუზმოდ საით წასულიყო. იმ კაცის კვალობაზე, ვინც მთელი ცხოვრება უზომოდ სვამს და მერე კი ცდილობს ძალა როგორმე აღიდგინოს, ბრესლის საკვირვლად მხნე და ლაზათიანი შესახედაობა ჰქონდა, ღია ფერის შარვალი და მუჭი ლურჯი სპორტული პერანგი ეცვა.

„ჩემო ძვირფასო, გამოუთქმელად ვწუხვარ წუხანდელის გამო. ქალიშვილებმა მითხრეს, აღმაშფოთებლად უხეში ვიყავი თურმე“.

„სულაც არა, რას ამბობთ“.

„გავილეშე უბედურად, მეტი რომ აღარ შეიძლება“.

დევიდმა გაიღიმა. „აღარც გვახსოვს“.

„დაწყევლილი ჩვევა მაქვს, ვერაფრით ვერ ვისწავლე, როდის უნდა გავჩერდე“.

„ნუ წუხხარ“.

დევიდმა გამოწვდილი ხელი ჩამოართვა.

„დიდსულოვნებაა, მეგობარო“. მოხუცს მისი ხელი ეჭირა, თვალებში დაცინვა გამოუკრთა. „მე ალბათ დევიდი უნდა დაგიძახოთ. გვარით მიმართვა ახლა უკვე ძველმოდურია. ასე არ არის?“

„ძველმოდურიო“, ისე თქვა. გეგონება, რაღაც ახალი გაბედული სლენგიაო.

„დიახ, ასეა“.

„შესანიშნავია. მაშ ასე, მე კი ჰენრი ვიქნები. ჰა? წავიდეთ ახლა, ვისაუზმოთ. დილაობით სამზარეულოში ვჭამთ“.

ქვედა სართულზე, ოთახისკენ რომ მიდიოდნენ, ბრესლიმ თქვა: „ქალიშვილები პატარა „déjeuner sur l'herbe“<sup>34</sup>-ს გვთავაზობენ. კარგი აზრია, პიკნიკი, არა?“ გარეთ მზე კაშკაშებდა, ხეებზემოდ ნისლი ირეოდა. „ვამაყობ ჩემი ტყით, ერთ რამედა ღირს“.

„ძალიან კარგი“.

ის ორი ქალიშვილი, ეტყობა, უკვე წასულიყო პლელანში, უახლოეს სოფელში, სანოვაგისთვის... თითქოს განგებ, — ან დევიდს ასე მოეჩვენა, — რომ მოხუცს იოლად შესძლებოდა სინანული გამოეთქვა. საუზმის მერე გაიყვანეს, თავისი კარ-მიდამო აჩვენა დევიდს, ბრესლი ამაყად უთითებდა თავის ბაღზე, ალბათ დიდი ხანი არ იყო, რაც მცენარეების დარგვა და მოვლა შეესწავლა და თავს იწონებდა ამით. სახლის აღმოსავლეთით ჟან-პიერს მიადგნენ.

<sup>34</sup> „საუზმე ბაღებზე“ (ფრანგ.). მანეს ცნობილი სურათი.



მიწას აფხვიერებდა; დევდიმა მოხუცისა და ეკონომის ქმრის საუბარს მიუგდო ყური: დაავადებულ ლირიოდენდრონზე ლაპარაკობდა ორივე. იმაზე, თუ როგორ მოეცლოთ მისთვის, და დევდიმა კიდევ ერთხელ იგრძნო და გაუხარდა, რომ მოხუცის წუხანდელი ღვარძლი მთავარი არ იყო ბრესლისთვის ცხოვრებაში. ბრესლი ეტყობა, კარგად მიეჩვია კოტმინეს და აქტურ ჰავას; და მოგვიანებით, როცა ბაღიდან გამოვიდნენ, ხეხილისკენ წავიდნენ და ბებერ მსხლის ხესთან შეჩერდნენ, სადაც დევდის მაშინვე შეათვალიერა ეგვიპტეში მწიფე ხილი. მოხუცმა უფრო მეტიცა თქვა — აღიარა რომ სულელი იყო, მთელი ცხოვრება თითქმის ქალაქში გაატარა და სოფლად ყოფნის დიდ სიამისთვის ძალიან ცოტა დრო დარჩა. დევდიმა მსხალი ჩაკბიჩა და ჰკითხა, ასე გვიან რად მიხვდითო ამას. ბრესლიმ ზიზლით ჩაიფრუტუნა, რა ვიცოდით. შერე ხიდან ძირს ჩამოვარდნილ ნაყოფს ხელჯობი დააჭირა.

„ძუენა პარიზი, მეგობარო. იცით ეს ლექსი? გრაფი ჯონ უილმონტ როჩესტერი, არა? „რა გასაჭირიც უნდა დაადგეს ცხოვრებაში კაცს, მაინც მონახავს რაღაც მიწას და თესლს ჩათესავს“. ზუსტია. ყველაფერს ამბობს“.

დევდიმა გაიღიმა. გზა განაგრძეს.

„ცოლი უნდა შემერთო. ეშმაკმა წაიღოს, უფრო იაფად იქნებოდა“.

„სამაგიეროდ ბევრს დაკარგავდით“.

ისევ ზიზლით ჩაიფრუტუნა: „ერთიც ის არის, რაც ბევრი, პა?“

ამ სიტყვების ირონია ვერც კი იგრძნო ბრესლიმ: ერთის თავიც რომ აღარა ჰქონდა; და თითქოს მისი სიტყვის დასტურად, ბრესლის სახლის გზაზე გამოჩნდა და გარე სამყაროს შემოჰყვა პატარა თეთრი „რენო“. საჭესთან თავი იჭდა. სარკმლიდან ხელი დაუქნია, მაგრამ არ გაჩერებულა. ბრესლი და დევდიმ სახლისკენ წავიდნენ. მოხუცმა მანქანაზე მიუთითა.

„თქვენი მშურს, ბიჭების. ჩემს ახალგაზრდობაში ასეთი ქალიშვილები სად იყვნენ“.

„მე კი მეგონა, ოციაწ წლებში უფრო მომხიბლავი ქალები იყვნენ“.

მოხუცმა ხელჯობი ამართა და ასე უარყო დევდის აზრი.

„სისულელეა, რასა როშავთ. მეგობარო. არც კი იცით. ნახევარი სიცოცხლე უნდა დაგეხარჯა იმაზე, რომ შენთან დაწოლილიყო. ნახევარი სიცოცხლე კი უნდა გენანა, რომ დაითანხმე. ან კიდევ უფრო უარესიც. შეიძლება ვიღაცისგან რაღაც შეგყროდა. ძალღური ცხოვრება იყო. არ ვიცი, როგორ ვიტანდით.“

მაგრამ დევდის აზრი არ შეუცვლია, იცოდა, სწორედ ამას ელოდნენ მისგან. გულის სიღრმეში მოხუცი კაცი არაფერზე არა ნანობდა; შეიძლება მხოლოდ რაღაც შეუძლებელზე, რაღაც სხვა ცხოვრებაზე ატარებდა გულში სიხახულს. ადრეული წლების სექსუალური მგრძნობელობა როგორღაც კიდევ ეძლეოდა მოხუცის სხეულს; ძალიან კარგი შესახედავი არასოდეს ყოფილა, მაგრამ რაღაცა დაუცხრომელი, დემონური რამ ჰქონდა ბრესლის, თითქოს ერთგვარი გამოწვევა ერთქორწინებისა. შეეძლო წარმოედგინა ბრესლი იმ წლებში, მარცხიანი და გულგრილი ყველა თავისი მარცხის მიმართ, მეტისმეტად ეგოისტი საწოლშიც და საწოლის მიღმაც; აუტანელი, და ამიტომ სჯეროდათ მისი. და ახლა ისინიც, ვისაც არა სჯეროდა, — და ასეთებიც მრავლად იყვნენ, — დაშოშმინდნენ: ბრესლიმ ყველაფერს მიაღწია, სახელს, დიდებას, ქალებსა და თავისუფლებას — ყოფილიყო ისეთი, როგორიც ყოველთვის იყო, ეგოიზმი იქცა მის შარავანდედად. თავისი სამყარო ჰქონდა, და იმ



სამყაროში ყველა იმის ახირებას ასრულებს ეწერა მხოლოდ, სხვა სამყარო კი სადღაც შორს დარჩა. მოიტოვა ხეების მწვანე ზღვის იქით. დევდიისნაირებს, თავიანთ ცხოვრებას (როგორც თავიანთ შემოქმედებას) ლოგიკური პრაქტიკის ასპექტში რომ ქვრეტენ და მომავალ წარმატებებსაც ახლანდელი გოხივრული არჩევანის შედეგად თვლიან. მთლად მართალ რამედ არ მიაჩნდათ ეს და ისიც იცოდნენ, რომ წარმატებას წესების დაცვით ვერ მიაღწევენ, რომ „შანსი და რისკიც თამაშობს აქ როლს; ისევე როგორც, ვთქვათ, „მოქმედების ფერწერა“ და „მომენტის ფერწერა“ თუნდაც თეორიულად, მაგრამ მაინც შეადგენს თანადროული ხელოვნების სპექტრის მეტ ნაწილს. ოღონდ, თავის მიერ შექმნილი სახე რაღაცნაირად გონებას ჩარჩა: მაღალ მწვერვალზე იდგა ბებერი, კმაყოფილი სატირი, საშინაო ფლოსტებში, და საღ აზრსა და ანგარიშს დიდი სიამოვნებით უთვლიდა წყევლას.

თერთმეტზე უკვე გზაში იყვნენ. ქალიშვილები კალათებით ხელში მიუყვებოდნენ ტყის გრძელ ბილიკს, დევდი კი მოხუცთან ერთად მიჰყვებოდა მათ, დასაკეცი ლურჯი შეზღონგი ეჭირა ხელში, ალუმიინის ჩარჩოიანი, რასაც ბრესლი აგდებულად ეძახდა გადასატან დივანს მოხუცებულთათვის; მაგრამ თავგმა დაჟინებით მოითხოვა, რომ წამოეღოთ. ბრესლი მიდიოდა, მკლავზე ლაბადა გადაეგდო და თავზე ძველი, ფარფლებიანი პანაშა ეხურა; სანდომიანი ფეოდალივით იყო, თავის ხელჯობით ჩრდილობიან ადგილსა თუ შზიან მდელოებზე უთითებდა გზადაგზა და „თავისი“ ტყის შესანიშნავ ხედებს აჩვენებდა. ისევ დევდიის ვიზიტს შეეხო საუბარი. ირგვლივ მდუმარება, საკვირველია, რომ ჩიტები ასე ცოტა იყო; როგორ უნდა გადაიტანო მდუმარება ტილოზე? ანდა თეატრი? როდისმე თუ შეუმჩნევია დევდის, რომ ცარიელი სცენა თავისებურია?

დევდი ახლა უფრო იმაზე ფიქრობდა, ეს ყველაფერი წინათქმაში აესახა. „ყველა, ვისაც ბედნიერება ხვდა წილად ოსტატთან ერთად გაეგლო გზა...“ არა, „ჭენრი ბრესლისთან ერთად, იმის საყვარელ პეშპონის ტყეში, რომელიც ახლაც შთაგონების წყაროა მისთვის...“ ნისლი გაიშალა, საოცრად თბილოდა, აგვისტოს ამინდი უფრო იდგა, ვიდრე სექტემბრისა, საუცხოოდ დღე იყო. ასე წერა არ ივარგებს, მაინც სიამოვნებდა მოხუცის ასეთი შეცვლა ახლა, თავაზიანობა; წუხანდელი საბრძოლო ნათლობა სასიკეთოდ რომ შეცვლოდა, კოტმინეს სერიაში ასახული შუასაუკუნეების ბრეტონული ლიტერატურის სული, სიმბოლოებს რომ თავი დაეანებოთ, საყოველთაოდ ცნობილი იყო. თუმცაღა დევდის არ შეეძლო დაედგინა, რამდენად დიდი იყო მართლა ეს გავლენა, რადგან თვით ბრესლის არ გამოუთქვამს ამაზე რაიმე აზრი, მით უმეტეს — საჯაროდ. კოტმინეში წამოსვლამდე ბევრი რაღაც გადაიკითხა, მაგრამ ახლა ის თავისი ცოდნა არ გამოუმჟღავნებია; და აღმოაჩინა, რომ ბრესლი იმაზე უფრო წიგნიერი და ერუდირებულია, ვიდრე მისი ლაკონური და ნაწყვეტ-ნაწყვეტი მეტყველების მიხედვით შეიძლებოდა გეგარაუდათ, მოხუცმა ჩვეულებისამებრ, უთავბოლოდ აუხსნა თავისი მოულოდნელი გატაცება მეთორმეტე და მეცამეტე საუკუნეების რომანტიკული ლეგენდებით, ბრიტანის კუნძულის საიდუმლო (თითქოს ველური ჩრდილოეთია და რაინდებიც იგივე კოვბოები არ არიან), მთელ ევროპას რომ მოედო მისი ფრანგი თანამოსახელე ბრეტანის წყალობით; უეცარი გატაცება სასიყვარულო, ავანტიურული და მაგიური ამბებით, ოდესღაც თვალუწვდენელი ტყის ამბავი, როგორც მოქმედების უმთავრესი ადგილისა. პომპენის ტყისა.



რომლითაც ახლა მიდიოდნენ და რომელსაც კრეტიენ დე ტრუასთან ბროსელიახდის ტყე ჰქვია; შუა საუკუნეების ხელოვნების დახურული ბაღის გაჩეხა-გამოჩეხა, დაუძლეველი ნაღველი, სიმბოლურად ასახული ამ მოხეტიალე მხედრებში და თან გატაცებულ ქალწულებში, დრაკონებსა და გრძნეულებში, ტრისტანში და მერლინში და ლანსელოტში...

„ეს ყველაფერი სისულელეა“, თქვა ბრესლიმ. „მიეფიქრეთ, რომ იცით, დევიდ. ის, რაც ძალიან საკიროა. რაც დაგაფიქრებს. სტიმულს მოგძლევს, ეს უფრო ზუსტი ნათქვამია“. მერე მარი დე ფრანსზე და „ელიდიუკზე“ გადავიდა. „ეშმაკმა დალაზვროს, ძალიან კარგი ზღაპარია. რამდენჯერმე წავიკითხე. რა ერქვა იმ შვეიცარიელ გაიძვერას? იუნგი, არა? იმის ოინებს ჰგავს. პროტოტიპები და ბევრი ასეთი“.

წინ მიძავალმა ქალიშვილებმა უფრო ვიწრო და ჩრდილიან გზაზე გაუხვიეს. ბრესლი და დევიდი ორმოციოდე ნაბიჯის მოშორებით მიჰყვებოდნენ მათ. მოხუცმა ჯოხი აიქნია.

„თუნდაც ეს ორი ქალიშვილი. ლამის „ელიდიუკიდან“ არის ორივე“.

შინაარსის მოყოლას მოჰყვა. მაგრამ შეუცნობლად თუ გააზრებით, მისი თხრობის მანერა ნოელ კაუარდის ფარსს უფრო ჰგავდა, ვიდრე შესანიშნავ შუასაუკუნეობრივ ლეგენდას მტანჯველ სიყვარულზე, და ორჯერ თუ სამჯერ, როცა უსძენდა, დევიდმა ბაგე მოიკვნითა, რომ არ გაელიმა. თანაც ორივე ქალიშვილის გარეგნობა — გონჯს წითელი ბლუზა ეცვა, შავი ბამბის შარვალი და რეზინის ელინგტონები, თავს მუჭი მწვანე ჯერსი (დევიდმა შეამჩნია, რომ ბიუსტჰალტერი, ეტყობოდა, მაინცა ჰქონდა და ხანდახან კიდევ ხმარობდა) და ღია ფერის ჯინსი — ოდნავაც არ ეხამებოდა „ელიდიუკის“ ქალების გარეგნობას. დევიდი ახლა უფრო და უფრო კარგად ხვდებოდა, რომ თავი მართალი იყო, როცა თქვა: ლაპარაკი და სიტყვები სულ არ ეხერხება, რასაც არ უნდა შეეხოს თავის საუბარში, სრულებით სხვა აზრს იძენს ის, რასაც ეგ იტყვისო. როცა უსმენდი, უნდა გხსომებოდა, როგორ გამოხატავდა საკუთარ თავს ფუნჯით; სხვაობა კი ძალიან დიდი იყო, თავისი ხელოვნებით რთულსა და მგრძნობიარე ადამიანს გიხატავდათ, ლაპარაკით კი ამას ვერა და ვერ ახერხებდა. თუმცა ასეთი შედარება ბრაზს მოჰგვრიდა, მაგრამ სამეფო აკადემიის ძველი ყაიდის წევრს უფრო მოგაგონებდათ, გარდასულ დროთა შნოიან ქომავს, ვიდრე ქეშმარიტი ხელოვნების თავგამოდებულ მომხრეს. ეტყობა, ესეც ერთი დიდი მიზეზი იყო თვითგაძევების: მოხუცმა, ცხადია, იცოდა, რომ მის პიროვნებას სამოცდაათიანი წლების ინგლისში უკვე ფასი ვერ ექნებოდა. მხოლოდ აქ ყოფნით შეძლებდა თავისი სახელის შენარჩუნებას. დევიდს ძალიან მიმზიდველად ეჩვენებოდა ეს ყველაფერი, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა ამის შეტანა წინათქმაში. თვით ამ ტყესავით, ძველისძველი საიდუმლოებები ჰქონდა მოხუცსაც.

ქალიშვილებს მიუახლოვდნენ, ამათ მოლოდინში რომ შეჩერებულიყვნენ გზაზე. ზუსტად არ იცოდნენ სად იყო ის ტბორი და ტყის რომელ ბილიკზე გადასულიყვნენ საპიკნიკო ადგილამდე მისასვლელად. ერთი მუხა უნდა ეხახათ. ზედ საღებავი ესვა ოდნავ, ერთ ადგილას. თავს ეგონა, რომ უკვე გასცდნენ იმ მუხას, მაგრამ მოხუცმა თქვა, ჯერ ადრეაო. და მართალიც აღმოჩნდა. ასი იარდი რომ გაიარეს, ის მუხაც გამოჩნდა, გზიდან გადაუხვიეს და ხეებსა და ხეებშუა დამრეც ფერდობებზე დაეშვნენ. თანდათანობით ტყე ხშირდებოდა, და უკვე წყლის ლივლივით კი დაინახეს; ერთ-ორ წუთში ტბის



ბალახოვან ნაპირთან მივიდნენ. პატარა ტბა უფრო იყო, ვიდრე ტბორი, ოთხას იარდზე და უფრო მეტზეც გაწოლილიყო იმ ადგილიდან, სადაც გაჩერდნენ, და აქეთ იქით კი, ორთავ მხარეს, ზიგზაგიანი ნაპირი ჰქონდა. შუაგულ ტბორში ათამდე გარეული იხვი დაცურავდა. ტყე კი თითქმის ზედ წყალთან იყო და გარშემო — არც ერთი სახლი; სარკესავით დამდგარიყო წყალი, სათუთად ლურჯი, სექტემბრის იმ ღია სინათლეში. აქაურობა ბრტყილ ტყეში დის მხატვრობაში ბრესლის ორჯერ აესახა და დევიდს იგი „უკვე ნაწილობრივ გილად, ძეჯა vs ეჩვენა. მომხიბლავი ადგილი იყო, სასწაულით გადარჩენილი და ხელუხლებელი. განმარტოებით მდგარ ერთ სოჭის ზეს მიუახლოვდნენ, ბრესლისთვის შეზღონგი დადგეს, ეტყობა, ძალიან ესიამოვნა, მაშინვე ჩაჯდა და ფეხები გაშალა. მერე სთხოვა მათ, საზურგე ცოტათი უფრო ზევით ასწიეთო.

„ქალიშვილებო, მიდით, ბრიჯები გაიხადეთ და იბანავეთ“.

გონჯმა ჯერ დევიდს შეხედა და მერე განზე გაიხედა.

„გვერიდება“.

„განა თქვენ კი არ ჩახვალთ წყალში, დევიდ? მაგათთან ერთად“.

დევიდმა თავეს შეხედა, მაგრამ იმან კალთებისაკენ დახარა თავი. დევიდი ცოტა დააბნია ამ შეთავაზებამ. ცურვაზე ხმაც კი არ დაუძრავთ აქ წამოსვლისას.

„იქნებ... ცოტა ხნის მერე?“

„ხომ ხედავთ“, თქვა გონჯმა.

„რა, სისხლისდენა ხომ არა გაქვს?“

„ო, ჰენრი, ღვთის გულისათვის“.

„ცოლიანი კაცია, ჩემო ძვირფასო, გეგონება, ეგ არ უნახავს“.

თავი გაიმართა და დევიდს თითქოსდა ბოდვით და ცოტა დამცინავადაც შეხედა.

„საბანაო სამოსი არაეთიკურია. ჩაცმულები უფრო აუტანლები ვჩანვართ, ვიდრე ისე“.

მაგრამ დაცინვა იმით შეარბილა, რომ მოხუცს გაუღიმა. დევიდმა წაილულლულა:

„რა თქმა უნდა“.

თავმა გონჯს შეხედა.

„მეჩეჩზე გავიდეთ, ენ, ფსკერი იქ უფრო მყარია“. პირსახოცი აიღო და ადგილიდან ლაიძრა, მაგრამ ახლა გონჯს თითქოს შერცხვა, გაბრაზებით შეხედა კაცებს.

„ჩიტების ყველა ძველ და აუტანელ მოყვარულებს კი მათი ფარულად ჰვრეტა ეხერხებათ“.

მოხუცმა გადაიხარხარა, გონჯმა ენა გამოუყო მას. მერე მაინც, პირსახოცით მეგობარს მიჰყვა.

„დაჩეკით, გეთაყვა, თქვენ გასულელებთ. რცხენია, აბა ისე მაგას რა ვუთხარი“.

დევიდი გამხმარ ბალახზე დაჯდა. ასე ეგონა, მთელი ეს ამბავი საგანგებოდ მოიგონეს, რათა რაღაცა გამოცდასავით მოეწყოთ მისთვის, თუმცაღა გუშინდელი საღამოც ამის დამადასტურებელი იყო. დღეს ეს ორი ქალიშვილიც შეითქვა თითქოს: ჩვენი ჯერია, შეგაცბუნოთო. მეჩეჩი, ვიწრო და ბალახიანი კონცხი, სამოც იარდზე მაინც იჭრებოდა ტბორში. როგორც კი ქალიშვილებმა ზედ გაიარეს, ველურმა იხვებმა ტლაშუნით აიქნიეს ფრთები,



ტბორზე აფრინდნენ და ხეებზემოთ გაუჩინარდნენ. ქალიშვილებმა მეჩეჩი გაიარეს და გაჩერდნენ, თავმა ჯერსეს გახდა დაიწყო, როცა გაიძრო, ისევ ჯარგ პირზე გადააბრუნა და ბალახზე დააგდო. მერე ბიუსტპალტერი გაიხსნა. გონჯმა სარკესავით წყალს გახედა. დევდის და მოხუცს შეეძლო მზერა, ფეხზე გაიძრო და შარვლის ერთი თასმა შეიხსნა. ამასობაში თავმა ბრიჯი გაიხადა ტრუსთან ერთად, მერე გააცალკევა, სხვა ტანსაცმელთან ერთად დააწყო და წყალში შევიდა. გონჯმა მეორე თასმაც შეიხსნა და ბლუზა გაიძრო. სხვა ძეტი არაფერი ეცვა. სანამდე ესეც წყალში შევიდოდა, კაცებს გამოხედა, ხელები გაშალა და სასეიროდ დაიგრიბა, სტრიპტიზის მოცეკვავესავით. მოხუცმა ისევ გადაიხარხარა და ხელჯოხის წვერით დევდის მკლავს შეეხო. თავის ტახტზე იჯდა მოხუცი. სულთანით, და ორი ახალგაზრდა შიშველი მონის ცქერით ტკბებოდა, ტბორის შუაგულ, ლაქვარდისფერი წყლისაკენ მიდიოდნენ. დაფერდებით, და ნამზეური ზურგი მოუჩინდათ. მერე თავმა ჩაყვინთა და კროლით გაცურა, საკმაოდ კარგად. გონჯი უფრო ფრთხილად იყო, უცბად ჩასვლა ვერ გაბედა, თავისი ძვირფასი ხუჭუჭა თმის დასველებას ერიდებოდა; ბოლოს ფრთხილად შევიდა წყალში და ძალიან ნელა გაცურა ბრასით.

„აფსუს, რადა ხართ ცოლიანი, მაგათ ერთი კარგი მაგარი კაცი უნდათ“.

საუზმობისას დევდი უფრო თავისუფლად გრძნობდა თავს. ანდა მანამდეც რას დაიბნა. აი, ბეტი რომ ყოფილიყო აქ... შიშვლებს თვითონაც უბახავიათ, ძალიან ხშირად, კვირის ბოლოს, ლამის კიდევაც ეძებდნენ ხოლმე ისეთ პლაჟებს, საცა არავინ იქნებოდა, და ახლაც, ბეტი რომ ყოფილიყო, ისიც მაშინვე გაიხდიდა და მიჰყვებოდა ამ ქალიშვილებს.

მოხუციც თითქოს ეხმარებოდა, კარგად ეგრძნო ახლა თავი და სანამ ქალიშვილები წყალში იყვნენ, თვითონ დაიწყო ლაპარაკი, ან, უფრო სწორად, თითქოს უნდოდა ეჩვენებინა დევდისთვის, მართლა ვნანობო, ათასნაირ კითხვას აძლევდა, მაგრამ იმაზე არა, რას ანდა როგორ ხატავდა დევდი. ასეთ ლაპარაკს მოხუცი გაუბოლდა. ეკითხებოდა, რანაირად „დაადგა ამ გზას“, მის ცხოვრებაზე, ახლობლებზე, ბეტზე, ბავშვებზე. მიიწვია კიდევაც დევდის მთელი ოჯახი: ჩამოიყვანე ერთ მშვენიერ დღეს თქვენი ცოლი და თქვენი ბავშვები, გამიხარდება, მიყვარს პატარა გოგონები... საკმაოდ პატივმოყვარე კი იყო და ესიამოვნა დევდის მოხუცის ეს მიწვევა. ის რაც გუშინ, სადილის მერე მოხდა, თუმცა შუასაუკუნეობრივ კონტექსტში კი მოჰყვნენ გზაში ამაზე ლაპარაკს, რაღაც წამება იყო დევდისთვის. ცხადზე ცხადი შეიქნა ახლა ის ამბავი, რომ გამოცდას გაუძლო; და სურდა გაეგო, იმის გარდა, რომ რჩევა მისცა, კიდევ რითი დაეხმარა თავი მას. შეიძლება, დილით გაღვიძებულ მოხუცს რამდენიმე სიტყვა უთხრა შინაურულად, მართალი სიტყვა, და შეახსენა, რომ მისი სახელი, ამჟამად მაინც, ცოტა დევდის ხელშიც იყო.

ამასობაში ქალიშვილები წყლიდან ამოვიდნენ, შეიმშრალეს და კონცხზე გვერდიგვერდ დაწვნენ. ეს გამოცდა დევდისათვის ლამის წყალქვეშა რიფივით იყო; და ახლა, რაკი ხიფათს გასცდა, მყუდრო და წყნარ ლაგუნაში ეგონა თავი, ერთი ექოც — ამჯერად გოგენისა; ყავისფერი მკერდი და ედემის ბალი. რა საკვირვლად უხდება ერთუროს კოტმინე და აქაური ცხოვრების ხირო, ეს წამები, ოდნავ რაღაცით მითიური და თითქოს უქამო, არა



ამ დროის, და ერთი ასეთი წუთიც დადგა — ქალიშვილები ადგნენ. მორიდებასა და თავდაპერაზე აზრი შეიცვალეს თუ მოხუცის ირონიის თავი არ ჰქონდათ. აიღეს და ამათქვენ ასე, ისევ შიშვლები წამოვიდნენ. შეცბუნება არ ეტყობოდათ, მათ ქცევაში ნუდისტური კოლონიის მცხოვრებთათვის სიკვრიველი გულგრილობა შეინიშნებოდა.

„ჰეი, მოგვშივდა“, თქვა გონჯმა.

ეროვნული

გზაში

„მეუძოსავი, პატარა ბიჭს ასე უფრო მეტად ჰგავდა. ქალიშვილებმა ჩაიჩოქეს და კალათებიდან სანოვაგე ამოალაგეს. დევიდი ბრესლის მიეხმარა ჩრდილში გადამჯდარიყო, გოგენი ვაქრა; ახლა მანემ დაიკავა მისი ადგილი.

ცოტა ხნის მერე, ჭამის დროს, ქალიშვილების შიშველი სხეულები რაღაც უფრო ბუნებრივს ჰგავდა. მოხუციც უფრო დაწყნარდა თითქოს. უკვე აღარ ლაპარაკობდა უხამს რაღაცებს, სახეზე მშვიდი წარმართული კმაყოფილება ემჩნეოდა. კარგი ფრანგული პური და ნამცხვარი ბლომად მოეტანათ პლელანიდან ქალიშვილებს. ღვინო არ იყო, მოხუცი მინერალურ წყალს, „ვიშის“ სვამდა, ქალიშვილები — რძეს; დევიდს ბოთლით ლუდი დაუდგეს. გონჯი ფეხმორთხმით დაჯდა. რაღაცა ჰქონდა ნეგროიდული, აბორიგენული, პერმაფროდიტული. შესაძლოა ნამზეური, მუჭი კანისა და ეგზოტიკური ეარცხნილობის გამო იყო ეს. მაინც გულზე არ ეხატა დევიდს, თუმცა არ იცოდა რის გამო... მაგრამ თუ თავი ერთგვარად გონივრულ სიკეთესა და წყალობას ავლენდა, გონჯს თითქოს რაღაც უაზრობისა და უზნეობის ნიშატი ესვა. გადაკრულად არც არაფერს ამბობდა, მაგრამ სხვების თანდასწრებით თავისი სიშიშველე, ეტყობოდა, სექსუალურად აღაგზნებდა და ართობდა კიდევ. სხვებთან ამას „თავდაპერასაც“ დაარქმევდით. შეიძლება, მაგრამ ამასთან, ძლივს რომ ფარავდა თავისი ცეტური ცთუნების მურაზს, სხვა რაღაც იყო — მორალური შეკავება არა, ცხადია, არამედ თითქოს მინიშნება, რომ დევიდი მუქთად, არაფრისთვის, რაღაცას იღებს და დევიდიც თითქოს ამასვე გრძნობდა, გეგონება, ვალში იყო და კიდევაც უნდა ეჩვენებინა, თუ რა შეეძლო. დევიდის აქ ყოფნა ცოტა მოსაბეზრებელიც კი იყო გონჯისთვის, დევიდმა კი არ იცოდა, რაღა უნდა გაეგო გონჯზე გარდა იმისა, რომ ცოტა არ იყოს, თავხედი, „ნარცისიზმისკენ“ გადახრილი, და ცხოვრებაში თავის ყველა მარცხს იმით ფარავს, რომ თავისებურად ცხოვრობს. ეტყობოდა, მეგობრის გულწრფელობისა და მშვიდი ხასიათის ხარჯზე ცხოვრობდა; ის კი იცოდა ალბათ, რომ აქ მას ითმენდნენ, ეგ იყო და ეგ.

დევიდს თავისი გარეგნობითაც არ ეხატა გულზე, რაღა თქმა უნდა. თავეს, სინაზის მიუხედავად. უფრო ქალური ფიგურა ჰქონდა, გრძელი ფეხები და ლამაზი, პატარა მკვრივი მკერდი. მიწაზე იდაყვდაყრდნობით იჯდა დევიდის პირდაპირ, ფეხებშეკეცილი, როცა მიტრიალდებოდა რაღაცის ასაღებად. დევიდი მალულად შეავლებდა თვალს იმის სხეულს, ისე რომ თავეს არ დაენახა, თითქმის ბანალურ რაღაცებზე ლაპარაკობდნენ; და კიდევ ერთხელ, კოლქმრული ცხოვრების ღალატის ჩრდილმა გაიბრინა დევიდის გონებაში — ის კი არა, რომ ღალატი მართლა გაიფიქრა, მაგრამ კოლიანი რომ არ იყოს, ბეტი რომ... ერთი სიტყვით, ბეტის ბრალიც არის ზოგი რამ, ხშირად ვერ უგებს დევიდს. მეტისმეტად პრაქტიკულია. თავი კი, ასეთი თავდაპერილი, მიმზიდველი და თანაც გულწრფელი ქალიშვილი — ვითარების დიასახლისი (დევიდმა დაინახა ის, რასაც თავის შემოქმედებაში ესწრაფოდა — მარტო-



ობა და სიწრფელე), ჭკვიანია და ასეთ რაღაცებს არ ატყევა და არც გაამ-  
ელავებს. არა, განა სასურველი არ არის ბეტი, კარგია, რომ კოტმინეს მერე  
შეხვდებიან საფრანგეთში ერთმანეთს, მარტო თვითონ, უბავშვებოდ (ბეტის  
უსიტყვო თანხმობა ისევ დედობაზე, მესამე ბავშვზე, ამჯერად ვაჟზე)... ოლ-  
ონდ, ცთუნება მაინც იყო. ან რატომ არა, ოლონდ რაც არის თვითონ, ის რომ  
არ იყოს, ანდა თუკი შესთავაზებენ... ერთი სიტყვით, ასეთი რამე უსრულ-  
გამორიცხულია, ანდა მეტად საეგებისო.

გონჯი ადგა და შეზლონგის ზურგი

საცა თავისი კანს მზე ხვდებოდა, ბრინჯაოსფერი გადაჰკრავდა, ხოლო  
საცა ჩრდილი ხვდებოდა, მქრქალდებოდა, ოლონდ უფრო უნაზდებოდა. კერ-  
ტები და ილლიის ფოსო. ფეხის ერთ თითზე ნაიარევი აჩნდა. ოდნავ, თითქოს-  
და ახლართული, ნამჯასავით თმა უშრებოდა, ცოტა კიდევაც დაუდევარი. მომ-  
ცრო, ნატიფი, გეგონება Quattrocento<sup>35</sup>. ქალიშვილის სამოსს, მის გრძელ  
კაბებს შეცდომაში შეჰყავდით და ეწინააღმდეგებოდა იმას, რასაც ცხოველუ-  
რი საწყისი ჰქვია. გვერდულად იჯდა დევიდისკენ, სახე ტბორისკენ ჰქონდა  
მიქცეული და ვაშლს თლიდა. მერე მოხუცს და დევიდს მიაწოდა. ამალელებ-  
ლად ფაქიზი იყო და სუფთა.

ჭეხრისთვის სიესტის დრო დადგა. გონჯი ადგა და შეზლონგის ზურგი  
დაუშვა. მერე მოხუცის გვერდით ჩაიჩოქა და რაღაცა უჩურჩულა. ბრესლიმ  
წელზე მოხვია ხელი, მერე მხარზე მოავლო ნელა და თავისკენ მიიზიდა ქა-  
ლიშვილი; ის კი დაიხარა და იმის ბაგეს ბაგე შეახო. მოხუცმა მუცელზე და-  
იკრიფა ხელები. გონჯმა კი თვალებზე წითელი თავსაფარი დააფარა. უჩანდა  
მხოლოდ ლამაზი პირის მოხაზულობა, ბოლქვივით ცხვირი, ვარდისფერი.  
ქალიშვილი წამოდგა, ცოტა ხანს მოხუცს უყურა, მერე მობრუნდა და თავგსა  
და დევიდს სასაცილოდ დაეჯღანა.

თავგმა დევიდს გაუღიმა და ჩაიჩურჩულა: „თავისუფლების პერიოდი,  
ახლა ჯობია გავეცალოთ“.

წამოდგნენ. ქალიშვილებმა პირსახოცები აიღეს, გონჯმა ერთ-ერთი კა-  
ლათიდან თავისი წიგნი ამოიღო და ახლა სამივე მეჩეჩისაკენ წავიდა, ნაპირი-  
დან ოცდაათიოდე იარდის იქით. საიდანაც აქ ოდნავი ხმაურიც არ აღწევდა.  
პირსახოცები ქალიშვილებმა ძირს დააგეს და პირქვე დაწვნენ, ფეხები ტბის-  
კენა ჰქონდათ მიქცეული და ხელზე ნიკაპდაყრდნობით იწვნენ. დევიდი ჯერ  
ხუთ-ექვსი ფუტის მოშორებით დაჯდა იმათგან, მერე წამოწვა და იდაყვს და-  
ეყრდნო. საკვირველია, რად გაახსენდა ერთი სურათი: ორი პატარა ბიჭი ელი-  
საბედის დროინდელ შეზღვაურს უსმენს. გონჯის წიგნის ყდას დახედა: „მოგ-  
ვი“, ალბათ ასტროლოგიააო, სხვას აბა ეს რას წაიკითხავსო.

მაგრამ ახლა გონჯმა უცებ გაუღიმა მას.

„ნანობთ, რომ ჩამოხვედით?“

„არა, რას ამბობთ, ღმერთო ჩემო“.

„დაიანამ ძიამბო. გუშინდელ საღამოზე. ბოდიშს ვიხდი. ვიცოდი, რითაც  
დამთავრდებოდა და ვერ გავუძლებდი“.

დევიდმა გაიღიმა. „თვითონ ვითხოვდი წასვლის ნებართვას, რომ მცოდ-  
ნოდა“.

„საბრალო დაი, ყოველთვის ასე მიმიტოვებია ჰენრისთან ერთად“.

საბრალო დაიმ გაიღიმა და თავი დახარა.

<sup>35</sup> მეოთხმეტე საუკუნისა (იტალ.).



დევიდმა ჰკითხა: „კიდევ რამდენ ხანს დარჩებით აქ, როგორ ფიქრობთ?“  
გონჯმა უხალისოდ მიუთითა თავზე: მაგის საქმეა, რასაც ეგ იტყვისო.  
იმან კი მხრები აიჩეჩა.

„მე მომავალზე არ ვფიქრობ“.

„როგორც ფერწერის ყოფილი მასწავლებელი...“

„ვიცი“.

გონჯი ერთხელაც დაეჯღანა დევიდს.

„მარტო საღი აზრი ვერ გიშველის“.

„თაგვმა თქვა: „არა, საქმე ეგ კი არ არის“.

„ძნელია დაშორება?“

„ეტყობა, შემთხვევის ამბავია, ხომ იცით, როგორცა ხდება. აქ მე შემთხვევის წყალობით მოგვხვდი და ალბათ შემთხვევა თუ წამიყვანს ისევ აქედან“.

„რა შემთხვევით?“

თაგვმა გონჯს გადახედა: ირონიაც ერია ამ გადახედვაში.

„მიდი, უამბე“.

„სულელური ამბავი კია“. თაგვმა თვალი აარიდა დევიდს.

დევიდმა წაიბუტბუტა: „სმენად ვიქეცი“.

თაგვმა ნიკაპს ხელი გაუშვა და ბალახი მოზიდა; მკერდზე ჩრდილი ეფინა; მხრები შეარხია.

„შარშან ზაფხულში, აგვისტოში, აქ ვიყავი, საფრანგეთში, ერთ მეგობართან ერთად, ისიც სტუდენტია, მოქანდაკე. ნეოლითის ეპოქით არის გატაცებული და შემხვედრი მანქანებით მივიწვევდით კარნაკისაკენ“. დევიდს შეხედა. „შეგალითური ავენიუ, არა? რაღაც შემთხვევით რენიდან არცთუ მოშორებით ოცდამეოთხე გზატკეცილზე პლორმელელმა მასწავლებელმა ჩაგვსვა მანქანაში. ვუთხარი: ინგლისელი სტუდენტები ვართ, ზელოვნებასა და მხატვრობას ვსწავლობთ, თვითონ იმან ჰენრი გვიხსენა და იმაზე გვიამბო. ჩვენ, რა თქმა უნდა, ეს სახელი ვიცოდით და ბევრი რამეც გაგვეგონა, მე ისიც კი ვიცოდი, რომ აქ, ბრეტანში ცხოვრობდა სადღაც“. წამოიწია და ცოტათი თედო წაძოსწია. ღრმული ჰქონდა ზურგზე და ნამზეური, ნაზი ლაწვები. თავი გაიქნია. „არა, მაინც რამ მოგვაფიქრებინა, ავმდგარიყავით და ვწვეოდით მას, ასე მოვხვდით პემპონის ტყეში. იქ დავბანაკდით, მეორე დილას, ასე, თერთმეტზე ვეწვიეთ ჰენრის, თავი ისე დავიჭირეთ, ვითომ ჰიშკარზე წარწერა ვერც კი შევამჩნიეთ. ველოდით, პანლურს ამოგვეკრავდნენ და გაგვაგდებდნენ და თითქმის არ შევცდით. მაგრამ ავიშვით, რაღა გაგვაჩერებდა. ძალიან გვიყვარს თქვენი მხატვრობა, მთელი თაობის აღმაფრენა ხართ-თქო და ასე შემდეგ. უცებვე დაიჭერა, ან რანაირად გავბედეთ?... ერთი სიტყვით, გესმით რაც იყო. ეს ყველაფერი ჰიშკართან ხდებოდა. შეგვიშვა შიგ და ბევრი რამეც გვაჩვენა სახლში. სურათები გრძელ დარბაზში. სიცილს ძლივს ვიკავებდით, ისე ლაპარაკობდა, ბებერ შერეკილს გვაგონებდა“. თაგვმა ბალახზე ხელი გაშალა, ამათ შეხედა. „მერე სტუდია. მე ვნახე, რასაც აკეთებდა. შეიძლება თქვენც იგრძენით რაღაც ასეთი გუშინდელ დღეს. გავშტერდი. ეს სხვა სამყარო იყო“. ისევ ნიკაპით დაეყრდნო ხელს და ხეებს მიაჩერდა. „სამი წელი გიჩიჩინებენ, რა არის კარგად ხატვა, და რაც მეტს სწავლობ, მით უფრო ცოტა რამე იცი. მერე ასეთ შერეკილ ბებერს შეხვდები და ხედავ, ყველაფერს სულ სხვანაირად აკეთებს. და შენი პატარა მიღწევები და გამარ-





ჩვევები — არარაობაა თურმე ყველა“. შემდეგ ჩქარა თქვა. „ბოდიშს ვიხდი, მე იმის თქმა არ მინდა, რომ თქვენც იგივე იგრძენით, მაგრამ პირადად მე ასე დამემართა“.

„არა, ზუსტად მესმის, რასაც გულისხმობთ“.

თაგვმა გაილიმა. „თქვენ არ უნდა დაგემართოთ ეს, თქვენ უფრო კარგი, ბევრად კარგი ხართ“.

„მეუფეება, რომ ასეა, მაგრამ ეს სხვა საქმეა“.

„აი რისი თქმაც მინდოდა. ჰო, კიდევ ამ ამბის ბოლო ის არის, რომ ტომი თავისი ფოტოაპარატის მოსატანად წავიდა. ზურგჩანთები ხომ გარეთ გვქონდა. ჰენრიმ მითხრა, ძალიან მიმზიდველი „გოგო“ ხართო, რატომ არა ვარ ახალგაზრდაო. მე გავიცინე, და უფრო ხნიერი რად არა ვარ-მეთქი, ვუთხარი. უცებ ხელი გამომართვა და მაკოცა. კარგა ძველმოდურად, თან ისე უცბად. ტომი დაბრუნდა და რამდენიმე ფოტოსურათიც გადაიღო. მერე უეცრად ჰენრიმ გვკითხა, სადილად ხომ არ დარჩებითო. მაგრამ ვიფიქრეთ, რომ ეს ლამაზი ქესტი იყო მოხუცის მხრივ და აუცილებლად უარი უნდა გვეთქვა მისთვის. სისულელეა. ლამაზ ქესტებს არასოდეს მიმართავს იგი უმიზეზოდ. მიზეზი კი, შეიძლება შევამჩნიე მაშინ, თვალებში, თანაც, ვიცოდი, ტომს წასვლა უნდოდა. ერთი სიტყვით, ყველაფერი ჩაიშალა. ხომ იცით, რახაირადაც ხდებოდა, შორდები კაცს, გგონია, რომ იგი შენთვის არავინაა, მერე კი სულ სხვა რამესა ხვდები. მაგრამ გვიან არის, როცა მიხვდები“. სოჭის ხეს გახედა. „მე მგონია, მიხვდა მაშინ, რომ უბრალოდ ვიხუმრეთ, რომ მაიხცდამაიხც დიდად არ გვაინტერესებდა იგი, მართლაც ასე იყო, მხოლოდ მისი დიდი სახელი გვიზიდავდა. სულელურად კი მოვიქცეთ. ნადირობა ცნობილ პირებზე“. ცოტა ხანს გაჩუმდა. „უცნაურია. წასვლის მერეც კი ვგრძნობდი რაღაც უზერხულობას. დაბრუნება და აქ მოსვლა მსურდა“.

ერთხანს გაჩერდა. გონჯი იდაყვებით მიწას დაეყრდნო და თავს შეხედა.

„ორმა სემესტრმა გაიარა. ცხრა თვემ; ლონდონში ბედნიერი არ ვიყავი. ტომსაც დავშორდი. ვგრძნობდი, კოლეჯი არაფერს მაძლევდა. მაგრამ კოლეჯი არ იყო მთავარი, რაღაც ხდებოდა ჩემ თავს“. ისევ მოზიდა ბალახი. „როცა ცნობილ ვიხმესა ხვდები, იმის საქმესაც უკვე სულ სხვა თვალთ უყურებ. შეუძნებელი აღარა გრჩება. აგვისტოს იმ დღეს ვერ ვივიწყებდი, რა საძაგლად მოვექცეთ კაცს, ვისი ბრალიც არსებითად ის თუ არის, რომ ლაპარაკი არ ეხერხება და მარტოხელაა, და... კიდევ ბევრი რაღაც სხვა აზრები მქონდა, ჩემს მუშაობას რომ ეხებოდა. ერთხელაც ავდექი და წერილი მივწერე. ჩემზე, იმასაც ვწერდი, რომ ვინანე მერე, სადილად რომ არ დავრჩი-მეთქი. ისე არ უნდა წავსულიყავით. ვეკითხებოდი, ხომ არაფერი გჭირდებათ სახლში ვთქვით, საღებავების შეზავება ანდა სხვა რამე-მეთქი“.

„ახსოვდით, ვინ იყავით?“

„ერთი ფოტოც გავუგზავნე, იმ ფოტოთაგან, რომმა მაშინ რომ გადაგვიღო. მე და ჰენრი გვერდიგვერდ ვდგავართ“. თაგვმა თავისთვის გაიცინა. „ეს ისეთი წერილი იყო. გავგზავნე თუ არა, სირცხვილისაგან თითქოს დავიწვი. ვიცოდი, არ მიპასუხებდა“.

„მაგრამ, გიპასუხათ“.

„დებეშით. „ლამაზი ქალიშვილი ყოველთვის გამოდგება, როდის?“

გონჯმა თქვა: „საყვარელი ბებერი, პირდაპირ ურტყამს“.

თაგვმა შუბლი შეიკმუხნა. „მიაპიტურად ჩამოვედი, რაღა თქმა უნდა, ეი“.



ცოდი მისი წარსულიც და რეპუტაციაც. მაგრამ ვიფიქრე, ამას თავს გავართმევ-  
მეთქი. ძალიან მკაცრად დავიჭერ თავს, ვაგრძნობინებ, რომ შვილიშვილად  
ვერგები და თუ არაფერი გამომივიდა, წავალ-მეთქი“. თავი დაიხრია.  
„მაგრამ ჰენრის ერთი არაჩვეულებრივი თვისებაცა აქვს. მაგიური რაღაც მა-  
ლა. მხატვრობაზე რომ არაფერი ვთქვათ. შეუძლია... ყველაფერი გააღოს. შენს  
არსებაში ისე, რომ თვითონ აღარაფრად აღარ ჩააგდო... რაღაც ასეთი...“  
ნია, ვთქვათ, მოახერხებს და შენი სიშიშვლის არ შეგრცხვება, და პირიქით,  
პირობითობის შეგრცხვება. ერთხელ ასე თქვა, გამონაკლისები არ აღგენენ წე-  
სებს, ისინი არიან გამონაკლისები წესებიდანო“. სიტყვები აშკარად არ ჰყოფ-  
ნიდა, თავი ასწია და გაიღიმა. „ამას ვერავის ვერ აუხსნით, ჩვენსავით უნდა  
იყოს ვინმე, რომ ეს გაიგოს“.

გონჯმა თქვა: „ასე თუ ისე, ძიძაობას და მოვლას უფრო ჰგავს“.

სიჩუმე ჩამოვარდა, მერე დევიდმა იკითხა: „ენ, თქვენ რანაირად მოხვედით  
აქ?“

თაგვმა მიუგო: „ცოტა გამიძნელდა, ვერავისთვის გამეცა ხმა, ლიდზში  
ერთად ვცხოვრობდით და იმის მერე არ დაგვიკარგავს ერთმანეთი, ვიცოდი  
ენს მაინცდამაინც არ მოსწონდა, ხელოვნების მასწავლებლის დიპლომზე რომ  
მუშაობდა და როგორც კი ეს ფაქტულტეტი დაამთავრა...“

„აქ ერთი კვირით ჩამოვედი, ჰა-ჰა“.

დევიდმა ენის სასაცილო სახეს შეხედა და გაიღიმა.

„ყოველ შემთხვევაში, აქ უფრო საინტერესოა, ვიდრე სადმე ხატვის სწავ-  
ლება?“.

„და მეტსაც გიხდიან“.

„ჰენრის შეუძლია თავს მისცეს ამის ნება“.

თაგვმა თქვა: „ხანდახან კიდევ ვუბრუნებ ფულს, არავითარი შეთანხმება  
არა გვაქვს ამ მხრივ. ფულს დასტა-დასტად გადმოგვიყრის, ას გირვანქას, ორას  
გირვანქას, რენში თუ წავალთ, მაღაზიისაკენ გახედვასაც ვერა ვბედავთ მაგისი  
მიშით, სულ უნდა რამე გვიყიდოს“.

„კეთილია“, თქვა გონჯმა. პირაღმა დაწვა, ბიჭური პატარა მკერდი, მუქ-  
კერტებიანი, ბულულა თმა, წითელი ფერის, მუხლი ასწია, მოიფხანა და ისევ  
დაუშვა.

თაგვმა თქვა: „მუშაობა საკვირველი იცის, მოთმინებას არამც და არამც  
არ დაკარგავს, თუ ფუნჯით მუშაობს, მაშინაც, როცა ფანქრით ხატავს, ზოგჯერ  
ლამის გავგიჟდე, თუკი რაიმე არ გამომდის, თქვენ ხევთ ზოგჯერ? ჰენრი კი აგ-  
დებს, გადააგდებს, მაგრამ ყოველთვის რაღაც სინანულით, სამუშაო წმინდა  
საქმედ მიაჩნია, მაშინაც როცა არ გამოსდის, ხალხთან კი სხვანაირია“, გა-  
ჩუმდა, თავი გაიქნია. „სახელოსნოში სულ ჩუმად არის, ხმას არ იღებს, მუნ-  
ჯივით, თითქოს ეშინია, რომ სიტყვა რაღაცას გააფუჭებს“.

გონჯმა მალლა ცას შეჰლაღადა: „მართლაც რა სიტყვებს აღარ ხმარობს“,  
და მოხუცის მიბაძვით წარმოთქვა: „სისხლდენა გაქვს თუ?“ რა არის ეს,  
გეკითხებით“, და ხელი ისე აღმართა, თითქოს რაღაცას იშორებს და გახსე-  
ნებაც არ უნდაო.

„მისთვის ეს კომპენსაციაა“.

გონჯმა ენა გააწვლაპუნა თანხმობის ნიშნად.

„ვიცი, საბრალო ბებერი გარეწარი, მისთვის ეს ალბათ საშინელებაა“,  
ვერდზე გადატრიალდა და თავს შეხედა: „უცნაურია, არა, დაი? სექსზე რომ



ფიქრობს ისევ, თუმცა ბებრულად, რაღაც სასაცილოდ, მაგრამ ფიქრობს. დევიდს შეხედა. „იცი, როცა მე პირველად... შენი ასაკის ბრიყვებს იხსენებდა ასე შემდეგ. მაგრამ ეგ ალბათ სენსაციური იქნებოდა. ახალგაზრდობაში ეგ... ღმერთო, მაგისი ამბები რომ მოგასმენინათ“. ისევ დაეჭლანა დევიდს. „ძველ და კარგ დროზე, რა გვიამბო ამას წინათ, იმ ერთ საღამოს, დაი?“

„სისულელეა, რაღაცას თხზავდა“.

„ოხრობა, მე კი მგონია, არ ტყუოდა“.

თაგვმა თქვა: „კონტაქტი იყო, სექსი არა. მოგონებები, ადამიანური ურთიერთობა. ამის თქმა სურდა იმ საღამოს“.

დევიდი ქალიშვილებს შორის სხვაობას ჩახვდა. ერთი ცდილობდა თავიანთი ცხოვრების სექსუალური მხარის დაფარვას, მეორე კი შეახსენებდა ამას, უცებ ალლოთი მიხვდა, რომ გონჯი სარგებლობს მისი აქ ყოფნით და მკაფიოდ ავლენს სხვაობას მეგობართან, ამაში კი დევიდი მის მხარეს დადგა.

„დიასახლისი და მისი ქმარი გაგებულნი ხალხია ალბათ“.

თაგვმა თვალები დახარა და ბალახს ჩააცქერდა: „არავის უთხრათ, მაგრამ, იცი, თუ არა, რა ცხოვრება გაიარა ჟან-პიერმა ორმოციანი წლების ბოლოს და ორმოცდაათიანი წლების მიჯნაზე?“ დევიდმა თავი გაიქნია. „ციხეში იჯდა მკვლელობისთვის“.

„ღმერთო შეგვიწყალებ“.

„მამა მოკლა. ოჯახში რაღაც ჩხუბი ჰქონდათ მიწის თაობაზე. ფრანგი გლეხები. მათილდა მერე აიყვანა ჰენრიმ ეკონომად, როცა პარიზში დაბრუნდა 1946 წელს. ჟან-პიერზე ყველაფერი იცოდა. მათილდამ მითხრა თვითონ. ჰენრი კეთილია. ჟან-პიერსა და მათილდას მხარში ამოუდგა“.

გონჯმა ჩაიფრუტუნა: „მეტადრე მათილდას“.

თაგვმა დევიდს შეხედა: „გახსოვთ ის ზორზოხა მენატურე ქალი ზოგიერთ მის ომის შემდგომ სურათში?“

„ღმერთო ჩემო, ვერც კი ვიფიქრებდი“.

„მათილდაც კი ერიდება ამაზე ლაპარაკს. მხოლოდ იმას თუ იტყვის, „მესიე ანრიმ“ ცხოვრების რწმენა ჩამინერგა, მოთმინებას და ცდას მიმაჩვიო. თანაც, ეგ ერთადერთი ვინმეა, ვისაც ჰენრი არასოდეს, არასოდეს უბრაზდება. ერთხელ ვახშმობისას რაღაცაზე გაუწყრა ენს. მაშინვე სამზარეულოში შევიდა. ხუთი წუთის მერე, შევდივარ და ვხედავ. ჰენრი იქა ზის, მაგიდასთან და იქა ვახშმობს, თან მათილდას უსმენს, ხმამაღლა რომ კითხულობს თავისი დის გამოგზავნილ წერილს. გეგონება, მღვდელია და ქალი კიდევ — მისი მრევლიდახაო“. თაგვმა გაიღიმა, „ლამის შეგშურდეს“.

„თქვენ არა გხატავთ?“

„ხელი უკანკალებს უკვე. ენის ერთი თუ ორი პორტრეტი აქვს დახატული. მშვენიერი შარჟივითაა. ხომ იცი, ცნობილი ივეტ ჟილბერი, ლოტრეკის აფიშაზე. იმის პაროდიაა“.

გონჯმა თითები სავარცხელივით ჩამოისვა ხუჭუჭ თმაზე და მალლა ასწია. „თან ისე ჩქარა გააკეთა. ოცდაათ წამში, ჰა, ერთ წუთში, მეტი არც დასჭირებია, არა, დაი? ფანტასტიკურია. მართლა“.

ისევ პირქვე დაწვა და ხელები ნიკაპქვეშ ამოიღო, მუჭი წითელი ფერის ფრჩხილები ჰქონდა.

თაგვმა ისევ დევიდს შეხედა. „თქვენს ნარკვევზე თუ გელაპარაკათ?“

„მხოლოდ ისა თქვა, რომ ჩემ მიერ ჩამოთვლილი სახელები არ გაუგია. პიზანელოს გარდა“.



„არ დაუჯეროთ. თუ მხატვრობას ეხება საქმე, არაჩვეულებრივი მეხსიერება აქვს. მისი რამდენიმე ესკიზი შევინახე. როცა ვინმეს ნახატზე უნდა ლაპარაკი და ვერ გაგებინებთ, ვის გულისხმობს — მაშინ ქალაქზე გადმოქვს და როგორც ვნმა თქვა, ელვასავით, რაღაც წამებში, თანაც მთლიანად, არაფერს ტოვებს“.

„ეს მამხნევებს თითქოს“.

„არასოდეს დაგთანხმდებოდათ წიგნზე, რომ ჭეშმარიტებასთან ახლოს არ იყო“.

„მე კი ლამის საგონებელში ჩავვარდი“.

„ყოველთვის იცის, რას აკეთებს. იმაზე უკეთ, ვიდრე გგონიათ. მაშინაც, როცა აღმაშფოთებლად იქცევა, იცით, ერთხელ რენში წავიყვანე — მაშინ ენი არ იყო აქ — რომ „სიკვდილი ვენეციაში“ გვენახა. რაღაცნაირად მეგონა, მოეწონებოდა. სანახაობითი მხარე მაინც. პირველი ოცი წუთი ისე იჯდა, ოქრო იყო. მერე ის მომხიბლავი ბიჭი გამოჩნდა ეკრანზე. ჰენრის ჯერ არაფერი უთქვამს. მეორეჯერაც რომ გამოჩნდა, ამბობს: „რა მშვენიერი გოგონაა, ბევრ სურათში უთამაშია?“

დევიდმა გაიცინა. თავის თვალებშიც სიცილი გაკრთა, გაუნათდა სახე და ახლა თავის ასაკზე უფროსი სულაც არა ჩანდა.

„წარმოუდგენელი გინმეა. დაიწყო კამათი, გოგოა თუ ბიჭიო, ზმამალლა, ინგლისურად, რაღა თქმა უნდა. მერე პედერასტებს მიაღვა და ახალ დეკადანსს. გარშემო ხალხი ანმაურდა. გაათავეთ ლაპარაკიო. ეუბნებოდნენ, მერე იმათ დაუწყო ჩხუბი ფრანგულად. არ ვიცოდი, რენში ამდენი ჰომიკი თუ იყოო და...“ თავგმა რევოლვერით მიიღო ხელი საფეთქელზე. „ატყდა ერთი აურზაური, ვიდრე პოლიციელები მოვიდოდნენ. ავდექი და იქიდან ძლივს გამოვიყვანე. სახლში მოსვლამდე მთელი გზა იმაზე მელაპარაკებოდა, „კინემა“ — კინოს ასე ეძახის — დუგლას ფერბენკს უფროსითა და მერი პიკფორდით დაიწყო და დამთავრდაო. ვერაფერს გააგებინებ, ბოლო ოც წელიწადში ათი ფილმიც არ უნახავს. მაგრამ ყველაფერი იცის როგორც გუშინდელ საღამოს, თქვენთან, რაც უფრო დამაჯერებლად ეუბნებით, მით უფრო არ გისმენთ“.

„თამაშობს ვითომ?“

„თავისებურად, თავის სტილში. აქვს რაღაცა მეტად გულწრფელიც. გეგონება, იმის თქმა უნდა, თქვენხელა კი არა ვარ, მოხუცი ვარ. რაცა ვარ, ეს ვარ და გაგიგებთ, თუკი მინდა, მაგრამ არ გაგიგებთ, თუ არ მინდაო“.

გონჯმა თქვა, „ლაპარაკიც ხომ ეგეთი იცის, მე მეუბნება, მსუბუქი ყოფაქცევის ქალსა ჰგავხარ, ისე იქცევით. მე მეცინება და ვეუბნები, „ჰენრი, ისეთი ქალები სადღა არის, მაქმანიან კორსეტებთან და აბრეშუმის პერანგებთან ერთად ძველ დროს ჩაბარდნენ-მეთქი, მაგრამ რა გინდა, ამაზე უფრო უარესს გეტყვის, არა, დაი?“

„მაგრამ არც ისეთი სულელი და უაზროა მაგისი ეგეთი ლაპარაკი. ძალიან უნდა, რაღაც უფრო სასაცილო დაგინახოთ მის არსებაში. უფრო სწორად, რაღაცა უფრო საძულველი“.

„რომ ვაპატიოთ?“

სიჩუმე ჩამოვარდა, შემოდგომის მზე აჭერდა. წითელ-წითელი პეპელა-ადმირალი ფარფატებდა. თავის მხარზემით აფრინდა ნელა. დევიდმა იცოდა, რასაცა გრძნობდა ახლა ორთავე: ძველი დღეები ენატრებოდათ, სამხატვრო კოლეჯი, გულის გადაშლის სურვილი გასჩენოდათ. ბედზე ჩივილისა; მასწავლებლის



კაცთმოყვარეობის შემოწმება უნდოდათ და იმის გამოცდა, თანაგრძნობა თუ შეუძლიაო; აღსარების თქმა სურდათ და ნუგეშისცემა.

თავი ბალახს დაჰყურებდა, ისე თქვა: „იმედი მაქვს, ეს ყველაფერი არ შეგაცბუნებთ“.

„მიხარია, ასე საღად რომ მსჯელობთ ბრესლიზე“.

„აი ამაში კი ეჭვი გვეპარება ზოგჯერ“. მერე დაუმატა: „უკნებუ კიდევ გამართლოთ მეტსახელები, რაც მან დაგვარქვა“.

დევიდმა გაიღიმა, „მე მგონია, მშიშარა არ უნდა იყოს“.

„ჰო, თუ იმას ვიგულისხმებთ, რომ გამოვიქეცი“.

„მაგრამ ხომ თქვით, რომ აქ უფრო მეტი გაიგეთ“.

„ცხოვრებაზე კი, მაგრამ...“

„მუშაობაში ხელი გეშლებათ?“

„თავიდან მინდა ყველაფრის დაწყება, ჯერ არ ვიცი“.

„მაშ თავივით სულ არ იქცევით“.

გონჯმა თქვა: „მე არაფერსაც არა ვნადვლობ, ბებერ პენრისთან ბრძოლა მიჯობს ორმოც ყუყუჩთან კოლეჯში ბრძოლას“.

თავმა გაიღიმა და გონჯმა მხარზე წაჰკრა ხელი.

„შენ რა, არაფერი,“ მერე დევიდს შეხედა. „გულწრფელად რომ ვთქვა, რა ცხოვრებით არ მიცხოვრია, სტუდენტობისას. ნარკოტიკებიც გამისინჯავს, მართალია, ძლიერი არა. იცით თქვენ, ვილასთან არა ვწოლილვარ, დაიმ იცის. იმდენ ოხერ გარეწართან ვყოფილვარ, მართლა“, ფეხი თავის ფეხს წაჰკრა. „ხომ ასეა, დაი?“ თავმა თავი დაიქნია. გონჯმა დევიდს იქით, იმ ადგილისკენ გაიხედა, სადაც ახლა მოხუცს ეძინა. „ამასთან მაინც გაოხრებული ქალი არა მგონია თავი, ეს მაინცა გრძნობს, რაცა ვარ მართლა, არასოდეს დამავიწყდება ერთი ჯეელი. დიდი ვინმე იყო... და იცით, რა მითხრა?“ დევიდმა თავი გაიქნია. „ასე ძვალტყავა რაღა ხარო?“ თავზე ხელი შემოირტყა. „არა, მართლა, ღმერთის წინაშე, რაც მე ამბავი გადამხდენია. და ეს საბრალო მოხუცი პენრი ცრემლიანი თვალებით და მადლიერებით შემომცქერის, როცა გამოსდის“. თავი დახარა, თითქოს მიხვდა, რომ ზედმეტი თქვა, მერე კი გაიცინა და დევიდს შეხედა. „საშუალება გეძლევათ დიდი ფული იშოვოთ „News of the World“-ში“.

„მე მგონია, საავტორო უფლება თქვენ გეკუთვნით“.

დაკვირვებით შეხედა დევიდს: ერთ და იმავე დროს, კითხვაც იყო და დაცინვაც ამ შეხედვაში. მუქი თავლისფერი თვალები ჰქონდა, პატარა სახეზე ყველაზე უფრო მომხიბვლელი თვალები იყო. თუ ახლოდან შეხედავდით, სინაზესაც შეამჩნევდით და მიხვდებოდით, რომ პირდაპირი ხასიათის პატრონიც იყო; და დევიდი მიხვდა, რომ იმ ორმოც წუთში, ლანჩის მერე, რაღაც სიმართლე გაიგო გონჯზე. ხვდებოდა, რომ უხეში სიტყვების მიღმა სიკეთე და გულწრფელობა იფარებოდა — ის გულწრფელობა არა, რაც თავგსა ჰქონდა, თავისუფლად მოაზროვნე ბურჟუაზიულ წრეში რომ იზრდებოდა და ჯეუა და ნიკიც ჰქონდა უთუოდ; არა, მისი სიწრფელე უფრო იმ ხალხის სიწრფელე იყო, ვინცა შრომობს; ძნელი გზის გავლით მოპოვებული სიწრფელე. და რა ცხოვრებით არ შეძენილი, გასაგები იყო, ერთმანეთს რაღაც მეგობრობდნენ; ერთმანეთის მსგავსებიც იყვნენ და ავსებდნენ კიდევ ერთმანეთს. შეიძლება მათი სიშიშვლის შემხედვარეს უჩნდებოდა ასეთი აზრი, მზისა და წყლის, და წყნარი

36 „მსოფლიოს ამბები“, ინგლისური საკვირაო გაზეთი, ბულოვარული, დაარსდა 1843 წელს. სენსაციურ ამბებს აქვეყნებს ცნობილ ხალხზე.



ხმების, მიკარგული ტბორის ჩუმი ნაპირის წყალობით, მაგრამ გრძნობდა, რომ რაღაც უხილავად უფრო და უფრო ახლობელი ხდებოდა მისთვის ეს სამი უცხო ცხოვრება და თითქოს ერთ დღე და ღამეს კი არა და მეტ ხანს იცნობდა სამივეს. ისინი კი, ვისაც აქამდე იცნობდა კარგად, რაღაც ფარულად იხუცდნენ უკან და ქრებოდნენ თითქოს, ნაღდად კი მხოლოდ დღევანდელი დღე არსებობდა; გუშინდელი და ხვალისდელი დღე მითებად იქცა. კიდევ რაღაცა უპირატესობის გრძნობაც იყო; ღამის მიღმური, მეტაფიზიკური ეჩვენებოდა ის, რომ იგი იმ ეპოქაში, იმ გარემოში იმყოფებოდა. მოვლენათა ასეთ სწრაფ მსვლელობას რომ დასაშვებს ხდიდა — და ბანალურად თუკი იტყოდა, კიდევ ის, რომ თავისი პროფესიისთვის ასეთი კარგი შემთხვევა ებოძა. ერთი მეგობრებს დაენახათ ახლა ამათთან ასე მჭდომარე, და ამ დროს ბეტზე გაიფიქრა.

გონჯმა რომ შეხედა, განზე გაიხედა და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. მერე თავგმა მიმოიხედა, რაღაც უხერხულად ხვდებოდა, რომ აღსარება მეტისმეტად გულახდილი გამოდიოდა. წყალს გახედა, მერე მეგობარს.

„წავალ, გავცურავ“.

„ო'კეი“.

თავი წამოჭდა. ზურგი დევიდისკენა ჰქონდა შექცეული. გონჯმა გაიღიმა.

„თქვენც გეპატიებებით“.

დევიდმა ადრევე განჰვრიტა ეს და ისიც იცოდა, რას იზამდა, სოჭის ხეს შეხედა, სადაც ჩრდილში მოხუცი იწვა.

„თუკი არავის გავაჯავრებ“.

წარბები მალლა ასწია გონჯმა, თითქმის გრაუჩო მარქსივით.<sup>37</sup>

„მხოლოდ ჩვენ თუ გაგვაჯავრებთ“.

თავი მიტრიალდა და უკან მსუბუქად მიართყა ხელი. მერე ადგა და წყლისკენ წავიდა. სიჩუმე, გონჯი ისევ იწვა, ბალახს დაჰყურებდა. ბოლოს ხმადაბლა თქვა.

„ტყუილუბრალოდ იკარგება, არა?“

„ეტყობა იცის რას აკეთებს“.

გონჯს მშრალად ჩაეცინა.

„ხუმრობთ“.

დევიდი წყალში ჩამავალ თავს გაჰყურებდა. დაიანა, ტანკენარი და მოხდენილი, რაღაც მაგარს დაადგა ფეხი და უკან დაიხია, ვიდრე უფრო ღრმად შევიდოდა.

„თქვენ ფიქრობთ, რომ აქედან წასვლა საჭიროა?“

„აქ მე მხოლოდ დაისთვისა ვარ“, გონჯმა თვალეხი დახარა. „საოცარია, მაგრამ სწორედ დაია აქ ზედმეტი. მე დ მოხუცი ჰენრი დლითი დღე ცხოვრობთ რაღაც ცხოვრებით. იცით, რასაც ვგულისხმობ, ძალიანაც რომ მოვიწოდოთ, უცოდველები ვერ ვიქნებით, დაი სულ სხვაა“.

ქალიშვილმა წყალში ჩაყვინთა და გაცურა.

„და, არ იცის ეს?“

„არა, არ იცის. სულელია. ჰკვირანი ქალიშვილები ხანდახან არიან ასეთები, ო'კეი, ჰენრის კარგად ხედავს, ეგ არის მხოლოდ, თავის თავს რომ სულ

37. ამერიკელი კომიკოსი, კირკის მსახიობი (დ. 1895).



ვერა ზედავს“. ახლა გონჯი თვითონ ცდილობდა დევიდისთვის არ შეეხედა; ლამის კიდევაც რცხვენოდა მისი. „იქნებ სცადოთ და ესაუბროთ. თუნდ ამ საღამოს, ჰენრის ადრე დაეძინებთ, დაის ვილაცა სჭირდება უცხო გარემოდან“.

„რადღა თქმა უნდა... შევეცდები“.

„ოკეი“, ცოტა ხნით გაჩუმდა, მერე უეცრად წამოდგა და ისევ ჩაცუცქდა. ჩაიცინა, „მოსწონხართ, ამბობს, ჩინებული მხატვარიაო. ~~მარტო მწვენიერდა~~ თავს, თამაშობდა გუშინ შუადღით“.

„მითხრა“.

გონჯმა შემფასებლურად შეხედა წამით, მერე წამოდგა: გეგონება ვენერააო, მოკრძალებით მიიღო მკერდზე ერთი ხელი, მეორე — წელს ქვემოთ.

„ჩვენ არ გიყურებთ“, თქვა და ტბისკენ გაემართა. დევიდი წამოდგა, გაიხადა და მიჰყვა. წელამდე ხავსიან წყალში იყო, როცა გონჯს გაუთანაბრდა. ამან ღიმილი შეაგება, ერთი შეკივლა და ცურვით გასწია. წამის მერე დევიდმაც ჩაყვინთა და იქით გაცურა. სადაც დაის თავი მოჩანდა შორით.

ხუთი საათის მერე, მაგიდასთან ვახშმად რომ ისხდნენ, ისევ ამ თავს უყურებდა და სხვა ვერაფერზე ფიქრობდა უკვე. ვახშმობამდე თავს მხოლოდ ერთხელ მოჰკრა თვალი, გონჯთან ერთად სამზარეულოში ტრიალებდა. ახლა შავი ბლუზა ეცვა, სხვა ქვედა კაბა, ნარინჯ-ყავისფერზოლიანი, ღამე და შემოდგომა, ოდნავ გაშლილი თმა ზევით ჰქონდა აწეული და კლასიკური ელევანტურობის იერს მატებდა. ემჩნეოდა, შთაბეჭდილების მოზდენა სურდა და კარგადაც გამოსდიოდა, რაც უფრო მეტად აკვირდებოდა, რაც უფრო მეტად სწავლობდა მას, მით უფრო მეტად მოსწონდა; მოსწონდა მისი ხასიათიც, გემოვნებაც, შეხედულებაც და ქალურობაც. დევიდი მიხვდა ამას, მაგრამ მაღავედა... მარტო ქალიშვილს კი არ უმაღავედა — საკუთარ თავსაც: რადგან უკვირდა, ვერ გაეგო, რად იზიდავდა ასე ძლიერ — რატომ იყო, რომ ფიზიკურისა და ფსიქოლოგიურის აი ასეთი შეთავსება, შეკავშირებული და თანაც აშკარა, დაოკებული და აწყვეტილიც (ახლა თვითონაც სჯეროდა, რასაც გონჯი ამბობდა) ასეთ ძლიერ გამოძახილს პოულობდა მის ბუნებაში. საკვირველია, ეს ყველაფერი უცებ რა ძალით დაგატყდება თავს, არცკი იცი, რომ თურმე მანამდეც ატარებდი, თან დაგქონდა და წაგლეკა ახლა. ეჩვენებოდა, რომ მოჯადოვდა, დაატყვევეს, და გადაწყვიტა, ალბათ, ბეტი არ არის აქ და იმიტომო. მეტისმეტი სიახლოვის გამო, აღარც ახსოვდა, რა იყო მამაკაცის თავისუფლება: შეიძლება მხოლოდ ახლა შეიგრძნო თავი პიროვნებად, აი ამ ჩავლილი დღის გამო, კიდევ და კიდევ რომ იხსენებდა და უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა. მეტისმეტად რთული და თანაც უბრალო იყო ეს დღე: ისე სავსე ახალ-ახალი შთაბეჭდილებით და თანაც ისე პრიმიტიული, ატავისტური და უჟამო, გარდა ამისა, როგორც საკუთარ სახლში, ისე მიიღეს, შინაურვით, და ამასაც გრძნობდა.

ქალიშვილებთან ერთად ცურვამ ნდობა შემატა; მერე მიხვდა, რომ ასეც უნდა მოქცეულიყო. ვაჟკაცივით — გონჯის გულისთვის, და უფრო ჭკვიანი თავის მიერ გონჯის მეგობრად არჩევასაც ამით გაამართლებდა. ნაპირიდან ასიოდე იარდის მოშორებით დაეწია თავს. ათი ფუტი თუ აშორებდათ ერთმანეთს და ლაპარაკობდნენ ტბაზე, წყალზე და წყალში ყოფნის სიამეზე. დევიდმა დაინახა, გონჯმა ნაპირისკენ გაცურა. ბრესლის ალბათ ისევ ეძინა სოჭის ძირში, მერე ამათაც გაცურეს ერთად იქითკენ, სადაც გამხდარი ფიგურა იდგა და პირსახოცით



ტანს იმშრალეზდა. წყლიდან თავვთან ერთად ამოვიდა და გონჯმა თავისი სველი პირსახოცი გაუწოდა. მზის ათინათი, ზეთა სიხშირე, გუმანით გრძნობა, რომ შემოგზედეს... მაგრამ ქალიშვილების ისე არ ერიდებოდა, როგორც თავისი სითეთრისა, დევიდთან შედარებით ყავისფერი სხეული ჰქონდათ ენა და დიანას.

მაშინვე არ ჩაუცვამს, ჯერ თავის სამოსთან დაჯდა, რომ ცოტა მზე მოხვედროდა, და ხელებით მიწას დაეყრდნო. ქალიშვილები ისევ მჯდომნე იყვნენ. გზე, თავი მისკენ ჰქონდათ, ფეხები — წყლისკენ მიქცეული. ტბისპირა ღრმა სიმშვიდე, უწყნარესი განმარტოება; თუმცა მთლად არა, გაღმა ნაპირზე, ხეებშუა რაღაცა მოძრაობდა — მეზადური, ანკესის მოქნევა. მქრალი ცისფერი, დევიდი ჩუმად იჯდა და გრძნობდა გონითს — აბსტრაქტულ? — ნეტარებას; რაღაც პირველყოფილი კაცის ლტოლვას, პოლიგამიურს, ორი შიშველი სხეულის მიმართ, შეიხივით. მოხუცის განგებ წამოსროლილი ფრაზა, თუ რა სჭირდებოდა ამ ორ ქალიშვილს, ზმანებას უღვიძებდა. ვალდებულება ავიწყდებოდა... უმძაფრებდა იმ გულისთქმას, რისი დათრგუნვაც მართებდა, რაღაც თორმეტობდე საათის წინ თითქმის წაშალა ორთავე. ყურადღების ღირსად არც თვლიდა, ახლა კი ის, რაც საუზმის დროს საეგებისოდ ეჩვენებოდა, უფრო ახლობელი და ნაღდი ხდებოდა, და შეუძლებელი თითქოსდა აქ არა იყო რა. მხატვარი რომ რამდენიმე დღეს, ანდა კვირას თავგამეტებით მუშაობს, მაგრამ ერთ-ორ საათში ხანდახან უფრო მეტს აღწევს ხშირად. — რაღაც ასეთი იგრძნო დევიდმა. ცხადია, იცოდა, რად იყო ასე; დრო ცოტა ჰქონდა, პროზატული რეალობა ელოდებოდა — გრძელი გზა პარიზში, თუ პარიზთან ახლო, დღე-ღამის მერე, დანიშნულ საათს. მოხუცი კაცის გენიალობა ისიც არის, რომ ქალაქს გაექცა, მივარდნილ და იდუმალ ადგილს შეეფარა და კელტების ამ ძველ, მწვანე მხარეში მაცოცხლებელი ძალა შეიმატა; ბედნიერი ბერიკაცი, ათვისების, აღქმის უნარი არ დაუკარგავს და ღრმად ამორალურიც არის თანაც, სახელისა და დიდების წყალობით ცხოვრებაში საბოლოო მყუდრო თავშესაფარი გამონახა და მშრალ სიყვარულსაც იღებს ამათგან. დევიდმა მიიხედა, ბრესლის ისევ მკვდარივით ეძინა. ქალიშვილები მიჩუმდნენ და ისე იწვნენ, არაფერი უშლიდა ხელს ეცქირა მათთვის, და შესაძლოა, ესეც იცოდნენ. თავიანთი მდუმარებით მის მორიდებასაც ინდობდნენ, რადგან ლაპარაკი იმას ნიშნავდა, რომ შეეხედათ დევიდისთვის, და ესეც იმათი საიდუმლო უპირატესობა იყო. უცებ თითქოს უხეში რაღაც მიეძალა, მისი ბუნებისათვის სრულებით უცხო: თუ როგორ ხმარობს კაცი ძალას, რაღაც ნაზი და თან გამომწვევი იყო ამათ უმწეობაში და ამან ააფორიაქა.

ადგა და ჩაიცვა. უამბობს ბეტს, რადგან ყველაფერს უამბობს საერთოდ, ადრე თუ გვიან; მაგრამ მხოლოდ იმის მერე, როცა ერთად იქნებიან.

ნელა წავიდნენ სახლისაკენ, ახლა — ტყის გავლით. ქალიშვილებს მოუხდათ, სხვა გზით წასულიყვნენ, დევიდისთვის ეჩვენებინათ დანგრეული ფერმის სანახები და მდელიოზე მაყვალი დაეკრიფათ. მაყვლით და ვაშლით ძველებური კარგი ინგლისური ღვეზელი გამოდისო. მოხუცმა, „საძაგელი რაღაცაა“ და ვერ ვიტანო. თქვა. ბუზლუნებდა, მაგრამ ღვარძლიანად არა. თავისი ჯოხის კაუჭით კიდევაც ეხმარებოდა შტოების მოწევაში. ერთ თხუთმეტ წუთს ბავშვებით გატაცებით კრეფდნენ მაყვალს. სევდიან მოგონებად ესეც დარჩება დევიდს. — როცა ღვეზელს გამოაცხობენ, თვითონ აქ აღარ იქნება უკვე, მაგრამ შეცდა, იმიტომ რომ გონჯმაც და თავგმაც სამზარეულოს მიაშურეს შინ მისვლისთანავე. თავი ცომს ზელავდა, გონჯი კიდევ — გულს აკეთებდა, თქვენთვის ვაცხობთო, საგანგებოდ, დევიდს უთხრეს, თითქოს თავიანთი ბრალი უნდოდათ



წაეშალათ, რომ რაღაცნაირად მამაკაცური თავმოყვარეობა შეუღლებს, შეუფერებელ მდგომარეობაში ჩააყენეს თითქოს. ამან ააღელვა.

მაყვლოვანიდან ცოტა ხანს თავგთან ერთად მოდიოდა, მოხუც და გონჯი უკან მისდევდნენ. რაღაც მოულოდნელად თავს თითქოს შერცხვამ გეგონება, მიხვდა, რომ გონჯმა რაღაც უთხრა მასზე — დევდი გრძნობდა, ლაპარაკიც უნდოდა თავს და თან ეშინოდა კიდევ, ზედმეტი არა მოსვლოდა, რაღაც კოლეჯზე ისაუბრეს, იმაზე, რად წამოვიდა იქიდან, მაგრამ მბრძანებელმა კლასის ლაპარაკობდნენ, ზოგადად. ცხადი შეიქნა, რომ კოლეჯში იგი კლას-ტროფობიის მაგვარ რაღაცას განიცდიდა, ძალიან ბევრმა რჩეულმა ნიქმა მოიყარა თავი და ძალიან ცოტა სივრცე იყო, დაიბნა, როცა დაინახა, რას ანდა როგორ აკეთებდნენ სხვები. ასე თუ ისე, თავისი ბრალია. დევდიმა სულ სხვა ქალიშვილი დაინახა თავის წინ ახლა: იოლად აგზნებადი, თვითკრიტიკული და მეტისმეტად სინდისიერი, ისეთივე, რაც ის ნახატი, მისი ნახატი, გუშინ რომ ნახა დევდიმა. თავის მომავლით, ზელოვანის მომავლით თითქოს ძალიან შეშფოთებული რომ არ იყო, ამის გამოხატვაც უნდოდა თავს; ყოველ შემთხვევაში, არ უნდოდა, რომ ამ ლაპარაკით დევდისთვის თავი მოეხერხებინა. უფრო ზოგად თემაზე დაიწყეს საუბარი, სამხატვრო სწავლებაზე, დევდს თითქოსდა აფრთხილებდნენ, თავისთავადი პიროვნება ვარ. სულ სხვა ვარ, გონჯით კატალიზატორივით არ ვმოქმედებ და ამიტომაც გაცილებით ძნელია ჩემი გახსნა-გაგებაო. თავი კიდევაც გაჩერდა და მიტრიალდა, დაელოდა, რომ გონჯი და ჰენრი დასწეოდნენ. დევდს ექვიც არ შეჰპარვია — იმისათვის კი არ გაჩერდა, რომ არა სურდა ჰენრის მასზე ეეჭვიანა — საუბარი არ გამოვიდა და უფრო იმიტომ. მაგრამ მიმზიდველობა ამის გამო თავს დევდის თვალში არ დაჰკარგვია.

შესაძლოა აქეთობისას არაფერი ისე კარგად არ გამოხატავდა დევდის გუნებას, როგორც იმაზე ფიქრი — სახლში მისვლისას დახვდებოდა თუ არ დახვდებოდა ბეტის დეპეშა. რა აზრი ჰქონდა თავის მოტყუებას, მართლა ჰქონდა იმედი, ბეტის ჩამოსვლა პარიზში რაიმე მიზეზით — ოღონდ სენდის უფრო ავად გახდომის გამო არა — დაბრკოლდებოდა, შეიძლებოდა ბეტს უბრალოდ გადაედო გამომგზავრება ერთი-ორი დღით. დევდს კი მეტიც არ უნდა, სწორედ ერთი დღე, მეტი არა. მაგრამ ამ სურვილს ასრულება არ ეწერა: დეპეშა არ მოსულა.

მაგრამ, თითქოსდა კომპენსაციასავით, ბრესლისთან კიდევ ერთი და საბოლოო, tête à tête<sup>38</sup> და კარგი ლაპარაკის საშუალება მიეცა. ბიოგრაფიული კითხვების უმრავლესობაზე ბრესლიმ თავისებურად უპასუხა, მაგრამ დევდი გრძნობდა, რომ ძირითადად მართალს ამბობდა. ხანდახან კი გულწრფელადაც ლაპარაკობდა. დევდიმა სთხოვა აეხსნა აშკარა პარადოქსი — მოხუცის პაციფიზმი 1916 წელს და მისი მუშაობა სანიტრად ინტერნაციონალურ ბრიგადაში ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს.

„შიშის ბრალი იყო ჩემო მეგობარო, ასეა. მთელი ხარახურის კოლექცია მქონდა. დიდად არ დაგიდევდით. სისულელე იყო, რასელმა მომაქცია.<sup>39</sup> მის საუბრებს და საჯარო ლექციებს ვისმენდი. რა ჰქვია, რა გული აქვს. ეგეთები აღარც მინახავს“. მისი საძინებლის ფანჯარასთან მიდგმულ მაგიდასთან ისხდნენ,

38. პირისპირ.

39. ბერტრან რასელი (1872-1970). ინგლისელი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, საზოგადო მოღვაწე.



იმათ უკან ორი საწოლი იდგა. დევიდმა სთხოვა, ბრაკი მაჩვენეთო, და მოხუც-  
მა უთხრა, ადრე ბრაკისა სხვადა მქონდა, სხვა სურათიცო, მაგრამ გავყიდე, რად-  
გახ კოტმინე ვიყიდე და აქაურობა გადაიკეთეო. დევიდს გაუღიმა. „წლები კი  
შიდის და მე, იცით, ვფიქრობ, იქნება შიში არც იყო-მეთქი. საბოლოოდ, ხომ  
უნდა გაირკვეს და ამოიგდო თავიდან. გასაგებია რასაც ვამბობ?“

„დიახ, გასაგებია“.

მოხუცი ფანჯარაში იყურებოდა; ხეებში ჩამავალი მზე ღრუბლებში იშლება.

„ძალიან მეშინოდა, ყოველთვის, მძულდა ომი, მაგრამ უნდა მეხატა. მხო-  
ლოდ ამან გამაძლევინა“. გაიღიმა. „სიკვდილისა არ მეშინოდა. ღმერთს ვევე-  
დრებოდი კიდევ სიკვდილს. ზოლო ტკივილი ახლაც მახსოვს, არ მაგიწყდება.  
მიხდოდა მისი დაფიქსირება, მოსპობა. მაგრამ კარგად მაინც ვერ გამოვსახე“.

„შეიძლება თქვენ ფიქრობთ ასე. სხვებს კი ასე არა გვგონია“.

მოხუცმა თავი გაიქნია.

„ეგ საკენკი ბელურებს დაუყარეთ. მნახეთ რა სულელი“.

დევიდმა სცადა მოხუცის ცხოვრების ამ მტკივნეულ ხანაზე აღარ ელაპა-  
რაკათ და საკუთარი წამლის შეთავაზებაც კი სცადა. თუკი იგი უარყოფს იმ  
პარალელებს, რასაც დევიდი თავის ნარკვევში შეეხო, მაშ, ის რაღაა, რომ  
ქალიშვილები აღფრთოვანებულები არიან მისი მეხსიერებით, იმით, რომ ყვე-  
ლა მხატვრის სურათი ახსოვს? ბრესლიმ ცერად გამოხედა და ცხვირზე წაივ-  
ლო ხელი.

„პატარა ძუენებმა გამცეს, არა?“

„სანამ გეძინათ, ხელებს ვუგრეხდი“.

მოხუცმა დაბლა დაიხედა და ხელით მაგიდის კიდეს შეეხო.

„კარგი სურათი არასოდეს მაგიწყდება, დევიდ“. ისევ ბალისკენ გაიხე-  
და. „სახელები — კი, მაგრამ რა არის სახელები. კუთხეში მიგდებული ვიოლი-  
ნოს რაღაც ნატეხი, სხვა არაფერი“. ცერით რაღაც იდუმალად ანიშნა ბრაკზე  
და თვალი ჩაუკრა. „გამოსახულება ხომ რჩება; ეს არის ყველაფერი“.

„ისე რომ, შემიძლია ბიბლიოგრაფიიდან არ ამოვიღო ჩემი თავი?“

„ჩამოხრჩობილი. ვერონელი არა. მე ვფიქრობ ფოქსი.<sup>40</sup> კარგად არ მახ-  
სოვს“.

მოხუცი პიზანელოს „წმ. გიორგისა და პრინცესას“ ფრესკის ერთ დეტალზე  
ლაპარაკობდა. კოტმინეს სერიის ყველაზე უფრო მუქ, სევდიან სურათს სა-  
ფუძვლად რომ დაედო და სათაური არა ჰქონდა. შეიძლებოდა „კმუნვა“  
დაგერქმიათ; ტყე, ჩამოხრჩობილთა ფიგურები და იქვე ცოცხლები,  
რომლებსაც თითქოს იმათი შურდათ.

„ფოქსს ვერ ვიხსენებ“.

„მარტვილთა წიგნი“ ფოქსის — მელასი. ხეზე გრავიურა. ძველი ეგზემ-  
პლარი გვქონდა სახლში. შიშსა მგვრიდა. ექვსი-შვიდი წლისა ვიყავი. უფრო  
შიშისმომგვრელი იყო. ვიდრე რეალობაა. ესპანეთი“.

დევიდი ერთხელაც წავიდა რისკზე.

„ასე უხალისოდ რად ავლენთ თქვენს წყაროებს?“

ეტყობა, შეკითხვა მოეწონა მოხუცს. გეგონება, დევიდი ხაფანგში მოემ-  
წყვდათ თავის შეკითხვით.

„ჩემო კარგო, ეხატავდი, რომ მეხატა. მთელი ცხოვრება, და თქვენნაირი ჭკვი-“

<sup>40</sup> ჯონ ფოქსი (1517-1587). ავტორი წიგნისა „მარტვილთა წიგნი“, რომელიც 1563 წელს გამოქვეყნდა პირველად.



ანებისათვის თავის გამოჩენის შანსი რომ არ მიმეცა. მონელეაა, არა? რაღაო. მეკითხავთ. რად ვაკეთებ ასე? გაუსვლელად. ყაბზობისაგან შეიძლება მოკვდეს კაცი. რაში მეკითხება. რა ოხრობად. საიდან მოდის ჩემი აზრები, არც არასდროს მეკითხებოდა. ეგრე ხდება, თავისთავად; მორჩა და გათავდა. ისიც არ ვიცი, როგორ იწყება. არც მინდა ვიცოდე<sup>41</sup>. ისევ ბრაკისკენ გაიქნია თავი, უკან. „ბებერი ჟორჟს ერთი ფრაზა ჰქონდა. Trop de racine. ჰა? ძალიან ბევრი ფესვია. საწყისის. წარსულის. ყვავილი კი არ არის. აი ეს, კედელზეა ჩასტეკებული. faut couper de racine. გადაჭერითო ფესვები, ამბობდა ხშირად“.

„მხატვრები ინტელექტუალური არ უნდა იყვნენ?“

ბერიკაცმა გაიღიმა.

„უჯიშოები. ცხოვრებაში ერთი კარგი მხატვარიც კი არ შემხვედრია, რომ ინტელექტუალური არ ეგონოს თავი. ბებერი პიკასო. საშინელი ვინმეა. კბილებ-აკაწკაწებული რომ გიყურებს. კაციჭამია ზვიგენს უფრო ვენდობი და მაგას კი არა“.

„მაგრამ გასაგები ხომ არის ის, რასაც ხატავდა?“

მოხუცმა ჩაიფრუტუნა და თავისი უთანხმოებაც ამით გამოხატა. „თვალის ახვევია. ჩემო კარგო. Fumisterie.“ მთლიანად. მერე დაუმატა. „ძალიან სწრაფად მუშაობდა. მთელი სიცოცხლე. გადაიმეტა. ასულელებდა ხალხს“.

„მისი „გერნიკა?“

„კარგი საფლავის ქვაა. ეპიტაფია. ყველა ნაძირალას; ვისაც თავის დროზე ფეხებზე ეკიდა, რა ხდებოდა ესპანეთში, საშუალებას აძლევს ახლა თავისი კეთილშობილი გრძნობა გამოთქვას“.

ხმაში სიმწარე იველია; ცხელი და წყნარი წითელმა ცეცხლმა გაიელვა. ძველი ტკივილი ახსენებდა თავს. დევდიმა იცოდა, საუბარი აბსტრაქციონიზმს, რეალიზმს და ესპანეთზე მოგონებებს უბრუნდებოდა. მოხუცის გულაცრუება პიკასოს მიმართ გასაგები ხდებოდა. მაგრამ ბრესლიმ თვითონ დაიხია უკან.

„Si j'enesse savait<sup>42</sup>... იცით?“

„რა თქმა უნდა“.

„სულ ეგ არის. მიდით და ხატეთ. აი ჩემი რჩევა. ჭკვიანური საუბრები კი იმათ დაუთმეთ, ვისაც არაფრის თავი არა აქვს“.

დევდიმა გაიღიმა და თვალები დახარა. ცოტა ხნის მერე წასასვლელად წამოდგა. მაგრამ მოხუცმა შეაჩერა.

„მიხარია, რომ ქალიშვილებს შეეთვისეთ. დევდი. მინდოდა მეტქვა. მაინც მაგათთვის გართობაა“.

„კარგი ქალიშვილები არიან“.

„ქმაყოფილები ჩანან თითქოს. არა?“

„ჩივილი მე არ გამიგია“.

„ახლა უკვე ბევრს ველარაფერს შევთავაზებ. მხოლოდ ჯიბის ფულს, როცა სჭირდებათ“. მოხუცი გაჩერდა, თითქოს რაღაცას ელოდა. „ამაზე კიდევაც მეჩოთირება ლაპარაკი“.

„ლრმად მჯერა, რომ ამისათვის არ არიან აქ“.

„კარგი იქნებოდა, რეგულარულად რომ მიმეცა რაღაც, თქვენ რას იტყვით?“

41. სიცრუე. მისტიფიკაცია.

42. ახალგაზრდობამ რომ იცოდეს... (ფრანგ.). დასაწყისი ფრანგული ანდაზისა: ახალგაზრდობამ რომ იცოდეს, სიბერეს რომ შეეძლოს“.



„თაგვსა ჰკითხეთ. რატომ არ ეკითხებით?“

მოხუცი ისევ ფანჯარაში იხედებოდა. „მეტისმეტად ფაქიზია და, მერიდე-  
ბა ფულზე მაგასთან ლაპარაკი“.

„ხომ არ გინდათ მე ვკითხო და გავარკვიო?“

ბრესლიმ ხელი ასწია. „არა, არა, მეგობარო. მე მხოლოდ თქვენზე ზრუნავ  
მიხდა. როგორც მამაკაცი მამაკაცს, ისე გელაპარაკებით, ხომ არ გინდათ?“

„ცოტა კი მიკვირს“.

„თაგვს კი არა ჰგავს მართლა“.

მოხუცი ყოყმანობდა, მერე ქალაღი აიღო, დაწერა Mouse, ასოებით  
რალაც აჩვენა, და ვიდრე დევდი „ჩაავლებდა“, მაშინვე დაკმუჭნა...

„არ იცის. ძალიან მეშინია თაგვის დაკარგვის, ძალიან ვცდილობ არ შე-  
ვიძინო“.

„მე მგონია, ხვდება“.

მოხუცმა თავი დაიქნია და მხრები აიჩეჩა, გეგონება, იმის თქმა უნდოდა,  
ბოლოს ბედი და დრო გადაწყვეტსო ყველაფერს; და მეტიც აღარა უთქვამთ  
რა.

ამაზე ფიქრობდა დევდი, როცა მალე თავის ოთახში შევიდა და აბაზანა-  
ში ჩაჯდა: რა ააბლოებდა ამ ადამიანებს, ერთმანეთს სულ რომ არა ჰგვანდნენ,  
გაუგებრობაც იყო მათ შორის, ბოლომდე არ თქმაც, გულწრფელობის ფასა-  
დის მიღმა... არა მგონია, ამ სამთა ცხოვრება, საცა ლამაზი და ახალგაზრდა თა-  
ვისუფალი ქალებიც არიან, დიდხანს გაგრძელდესო. ეჭვიანობაც იქნება და  
უპირატესობის მინიჭებაც ხან ერთისათვის, ხან მეორისთვის... ამ კარჩაკეტილ,  
გარიყულ სამყაროში, დევდის რეალურსა და ყოველდღიურ სამყაროს რომ  
სულ არ ჰგავდა: ბლექჰითი, ხმაური, პიკის საათები, საღამოები, მეგობრები,  
გამოფენები, ბავშვები, შაბათობით მაღაზიებში სიარული, მშობლები... ლონ-  
დონი, მომხვეჭელი და ხელგაშლილი, გადარეულად შეიძლება მოგენატროს  
ასეთი მხარე. ბეტს უნდა მოელაპარაკოს და უელსში ანდა დასავლეთით მონა-  
ხონ სადმე წყნარი ადგილი სენტ-ივზის გარდა, სადაც ერთ-ორ კარგ მხატვარს  
პოზიორების მთელი დასი დასდევს, მუდამ თან.

საბრალო ცვედნები, ვინც არაფერს ქმნის...

საბოლოოდ დევდის მოხუცის ბუნებრივი უბეშობა დაამახსოვრდება, მაგრამ  
საუბარში და საქციელში გამელავნებულ უბეშობას ბოლოს და ბოლოს მაინც  
შეჟავებარ შეცდომაში. როგორც ზოგიერთი მხედის აგრესიულობას, რადგან,  
კაცმა რომ თქვას, მშვიდობა და სივრცე სწყურია და იმიტომ არის აგრესიული,  
და არა იმიტომ, რომ ძალა გამოიჩინოს. მოხუცის გროტესკული სახე მხოლოდ  
მისი არსის გარეგანი გამოვლენაა. თავისუფლების ველზე გასვლა, ნამდვილად  
იგი manoir-ში კი არ ცხოვრობდა, არამედ ტყეში. მთელი თავისი ცხოვრება,  
ეტყობა, ასეთ სამალავს ეძებდა თავისთვის; მეტისმეტად მორიდებული, მოკრ-  
ძალებული, თავს აიძულებდა ხალხში ისე მოქცეულიყო, სულაც სხვაგვარი ჰგო-  
ნებოდათ, ალბათ ამიტომაც წამოვიდა ინგლისიდან; კაცმა რომ თქვას, რამოდენა  
ეროვნულობა შერჩა ასეთი ხანგრძლივი გადმოსახლების მერე და ფრან-  
გული კულტურის შეჭრის მუქარას რა მედგრად უძლებდა. კოტმინეს სერიისა-  
თვის დამახასიათებელ რალაცა მეტად ინგლისურზე შეაჩერა ყურადღება დე-  
ვიდმა, როცა წერილის შესავალზე ფიქრობდა და გადაწყვიტა, ამ საკითხს უფ-  
რო გავაღრმავებ და გავაძლიერებ კიდევაც მერე ჩემს წერილშიო. ეს უკვე



ბრესლის პიროვნების გასაღებადაც ეჩვენებოდა. ბებერი განდევნილი, თავისი სიშმაგისა და კოსმოპოლიტიზმის ბრწყინვალე თეჯირს მოფარებული, შესაძლოა რობინ ჰუდით, უბრალოდ და მოუშორებელი მაინც თავის სამშობლო ქვეყანაში იყო.



სტუმარმასპინძლობისათვის შესაფერის მორიდებასა გრძნობდა ყველა ვახშობისას. თუმცა ჰენრიმ მანამდე უკვე გადაკრა ვისკი, ახლა მხოლოდ ორი ჭიქა ღვინო შესვა და ისიც წყალში გაზავებული. დაღლილი ჩანდა, დაქანცული, წუხანდელი ქეიფის გამო. სიბერე ცხადად ემჩნეოდა და დევიდს ეჩვენებოდა, რომ ქალიშვილები ლამის განგებაც აჩენდნენ უფსკრულს ბერიკაცსა და თავიანთ შორის. გონჯი სალაპარაკოდ მოიმართა და დევიდს პედაგოგიკის ფაკულტეტზე სწავლის ტანჯვა-წამებაზე უამბობდა, სლენგსაც კარგა ბლომად ხმარობდა და თავის ელიფსურ ინგლისურსაც. მოხუცი ისეთი სახით შეჰყურებდა, გეგონება, ძალიან უკვირს მისი ასეთი გამოცოცხლება... და საგონებელში ჩავარდნილა. ეტყობა, ნახევრად არც ესმოდა და ვერ იგებდა, რისი თქმა სურდა გონჯს, რას ებებოდა: მიკროსწავლებას, სისტემათა ხელოვნებას თუ ფსიქოთერაპიას; სხვა პლანეტიდან მოღწეულ აზრებად ისმენდა თითქოს. დევიდი გრძნობდა, რა გამოცანის წინაშე იდგა ბრესლი, მეოცე საუკუნის ადრეული წლების ხელოვნების ტიტანური ბრძოლის ველზე გასულივით რომ აზროვნებდა ისევ და ხვდებოდა, რომ წარმტაცი თეორია და რევოლუციური პრაქტიკა მასობრივი სწავლების ტექნიკამდე დავიდა, იმ „მოღვაწეობად“ იქცა, ინგლისურსა და მათემატიკის შუა რომ დადგა. Les Demoiselles d'Avignon<sup>43</sup> და პლაკატის საღებავების ბილიონობით ქილა.

ყავა დალიეს, მოხუცი თითქმის ხმას არ იღებდა. თავგმა ურჩია, დაიძინეო, „სისულელეა, მინდა ახალგაზრდებს გისმინოთ“.

თავგმა წყნარად უთხრა, „არ არის საჭირო, ძალიან ხარ დაღლილი“.

ჰენრი ცოტა ხანს ბუზლუნს მოჰყვა, დევიდს შეხედა, კაცისაგან მხარდაჭერის იმედი ჰქონდა, მაგრამ დევიდმა არა თქვა რა. თავგმა ბერიკაცი ზევით აიყვანა. როგორც კი თვალს მიეფარნენ, გონჯი მოხუცის სკამზე, მაგიდის თავში გადაჯდა, დევიდს კიდევ დაუსხა ყავა. ამ სალამოს ისე ძალიან ეგზოტიკურად აღარ ეცვა — შავი კაბა კეიტ გრინეუეის სტილში, ვარდისფერ-მწვანე პაწაწინა ყვავილებით დაჩითული. შინაურულად და უბრალოდ იყო, ეს უფრო მეტად უხდებოდა მას, ან, უფრო სწორად, იმას, რაც დევიდს მოსწონდა ენში.

„ზევით ავალთ, როცა დაი დაბრუნდება. უნდა ნახოთ დაიანას სურათები“, თქვა გონჯმა.

„სიამოვნებით“.

„შტერია, თვითონ ერიდება ჩვენება“.

დევიდმა ყავას მოურიცა. „მაგის მეგობარს რა დაემართა?“

„ტომს?“ გონჯმა მხრები აიჩეჩა. „ო, ჩვეულებრივი ამბავია. ვერ შეურიგდა იმ ამბავს, რომ სამეფო კოლეჯში დაიანა მიიღეს და ეგ კი არა, ეგონა, მას მიიღებდნენ“.

„ხდება ხანდახან“.

„ერთი იმ ბიჭთაგანი იყო, ვისაც ჰგონია, ყველაფერი იცის და ყველაფერი იმისათვის არის; კერძო კოლეჯები და ამისთანები. მე პირადად, არ მიყვარდა

43. „ავინიონელი ქალიშვილები“ — პიკასოს სურათი (ფრანგ.).



ეგ ბიჭი, მეტისმეტად თავდაჯერებული ვინმე იყო, მხოლოდ დაი ვერ ამჩნევდა ამას<sup>11</sup>.

„დაიანამ იღარღა?“

გონჯმა თავი დაიქნია, „აკი ვთქვი, გულუბრყვილოა-მეთქი. ზოგ რამეში“, ცოტა ხანს გაჩუმდა. კოვზს შეეშვა და დაკვირვებით შეხედა დევიდს ლამპის შუქზე, საოცრად გულწრფელი მზერა ჰქონდა.

„შეიძლება ერთი დიდი საიდუმლო გაგანდოთ, დევიდ?“  
დევიდმა გაილიმა: „რა თქმა უნდა“.

„ის რისი თქმაც დღისითვე მინდოდა“. კიბისკენ გაიხედა, მაშინვე ისევ დევიდს შეხედა და ხმას დაუწია. „ჰენრის უნდა რომ დაი ცოლად გაჰყვეს“.

„**т. лѣтѣхъ**“.

„ეს ისეთი უაზრობაა. მე...“

„ကတိကဝတ်, သာသနာ“။

გონჯმა თავი გაიქნია. „თქვენ არ იცნობთ მას, ბევრ რამეში ჩემზე ძალიან  
ქვეიანია, არადა, მართლა, ზოგჯერ ისეთ უგუნურ რამეს გადაწყვეტს, თუნდაც  
ძთელი ეს ამბავი“. ნალვლიანად გაიცინა. „ორი გადასარევი ქალიშვილი, ეტ-  
ყოზა შევიშაღეთ, და ამაზე ხუმრობითაც კი აღარ ვხუმრობთ, თ'კეი, თქვენთან  
კი გავერთეთ ამ შუადლით, მაგრამ კვირების მანძილზე ეს ერთადერთი შემ-  
თხვევაა“.

„დაიძ ჟარი ჟთხრა?“

„ასე ამბობს, მაგრამ ჯერ ზომ მაინც აქ არის, არა? თითქოს ფიქრობს, მა-  
მასავით არისო თუ რაღაც ასეთი“. გონჯმა ისევ თვალებში შეხედა დევიდს.  
„არადა, გასაოცარი ვინმეა დაი. დევიდ. მართლა, ვერც წარმოიდგენთ. დედა-  
ჩემი და მამაჩემი იელოვას ერთ სექტაში არიან — ერთი სიტყვით,  
სულ გაგიჟდნენ სახლში ისეთი არეულობაა. ზოგჯერ მგონია, არცა მაქვს  
სახლი. დაი რომ არა, ვერ გავძლებდი. შარშანვე გამიჭირდა, კიდევ კარ-  
გი რომ მიწერ-მოწერა გვექონდა“. დევიდს რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ  
გონჯმა განაგრძო: „ძალზე ცვალებადია“. მერე ხელი გაშალა, ოთახს მოაფ-  
ლო, „ეს ყველაფერიც კი მიზეზია იმისათვის, რომ ცოლად არ გაჰყვეს, გიჟია.  
ცხოვრება ასე გაიფუჭო და ვერც ვერაფრით ისარგებლო“.

„თავის ტოლებს აქ ვერ შეხვდება“.

„შეც მავას ვამბობ“. გონჯი იდაყვს დაეყრდნო, მაგიდის იქით იყურებოდა, დევიდისაკენ. ისევ ხმადაბლა ლაპარაკობდნენ. „თუნდაც შეხვდეს, ზედ არ შეხედავს, წინა ევირას, მაგალითად, რენში წავედით, რალაცები უნდა გვეყიდა ორი ფრანგი ყმაწვილი აგვეღვენა, კაფეში, სტუდენტები, ზომ იცით, ლაპარაკით, ხუმრობათ, ცუდი ბიჭები არ იყვნენ, ენას აღარ ვაჩერებდით, დაიმ უთხრა, არდადეგებზე ჩამოვედით და ჩემს ნათესავთან ვცხოვრობთო აქ“. გონჯი დაიჭლანა. „მერე, ერთ დღეს აღგნენ და სანახავადაც მოვიდნენ ჩვენთან“. თითები სავარცხელივით გაიყარა თმაში. „ფანტასტიკურია, არც დაიჭერებთ, დაიმ უცებ უშიშროების ოფიცერივით თუ რალაც ამისთანასავით დაიჭირა თავი, რანაირად მოექცა, რა უკმეხად გაუშვა ის ბიჭები! და მაშინვე შევიდა შინ და გაიხადა, ჰენრი მარტოა და გართობა უნდაო, იმის თქმა მინდა, იცით, რასაც ვგულისხმობ... ფიზიკურს არა, მოხუცისთვის ეს, დიდი ხანია, უკვე ძნელია, უბრალოდ... იცით, დევიდ, სექსი, ღმერთმანი, ეს ყველაფერი მინახავს მე, და უარესიც, მაგრამ დაიანა სხვა არის, ლიდზში ის სიმწარე იგემა და, ამიტომაც არ შეიძლება მაგის ჩემთან ყოფნა. ჰგონია, რომ ან ასეა, როგორც ჰენრისთან, ანდა როგორც მე ვცხოვრობდი, არ ესმის, მართლა რანაირად უნდა იყოს, ან რა უნდა იყოს“,



„თქვენ...“

მაგრამ დევიდმა ველარ დაამთავრა შეკითხვა. ვერ გაიგო, აპირებდა თუ არა თვითონ გონჯი აქედან წასვლას. ზევიდან კარის დახურვის ხმა მოესმა. გონჯი თავის ადგილზე დაჯდა და დევიდი მკრთალად განათებული კიბესკენ შეტრიალდა, რომ იმისთვის შეეხედა. ვისზეც ახლა ლაპარაკობდნენ. თავმა ზელი დაუქნია მათ, სინათლის იმ ტბორს, რომელშიც ისინი იმყოფებოდნენ. მოხდენილი მშვიდი და აუღელვებელი, სულ სხვა. იმასთან შედარებით, რაც ახლა ითქვა მასზე. ისევ დევიდის პირდაპირ დაჯდა და ცოტა შევებით ამოისუნთქა.

„დღეს კარგად იქცეოდა“.

„როგორც იწინასწარმეტყველეთ“.

ორი თითი გადააჭდო თავმა ერთმანეთს, თვალი არ ეცესო.

„რაზე ვლაპარაკობდით?“

„შენზე.“

დევიდმა დაუმატა. „იმაზე. სურათებს თუ მაჩვენებთ თქვენსას“.

დაიანამ თავი დახარა. „სანახავი ბევრი არ არის“.

„რაც არის“.

„უფრო მეტად ჩანახატებია. ფერწერაში თითქმის არ ვმუშაობ“.

გონჯი წამოდგა.

ქალიშვილებმა ერთმანეთს შეხედეს, ერთი წამით; გამოწვევა და შიში შეხვდა თითქმის ერთმანეთს. ეტყობა, ადრეც იკამათეს ამაზე და ბოლოს, ის, ვისაც ეშინოდა, ღიმილით წამოდგა.

დევიდი ქალიშვილებს აჰყვა ზევით, დერეფნის გავლით თავის ოთახს გასცდნენ და სახლის აღმოსავლეთ მხარეს მოექცნენ. იქ ერთი დიდი ოთახიც იყო. საწოლიც იდგა იმ ოთახში. მაგრამ სასტუმროს უფრო ჰგავდა; სტუდენტის ოთახს დაარქმევდი, კედლებზე რომ ორიგინალებისა და შესანიშნავი სურათების მაგივრად რაღაც უბრალო, ხელოსნური რამ და რეპროდუქციები ყოფილიყო. გონჯი კუთხეში, ფირსაკრავთან მივიდა და ფირფიტების შერჩევა დაიწყო. თავმა თქვა, „მოდით აქ“.

გრძელ სამუშაო მაგიდაზე ტუში და აკვარელი დახვავებულიყო. დაბრილ სახაზავ დაფაზე, დაუმთავრებელი ნახატი იდო. მაგიდა საოცრად სუფთა იყო, წესრიგში, და სულ არა ჰგავდა იმ მაგიდას, ბერიკაცის სახელოსნოში რომ ნახა დევიდმა... ასეთივე სუფთა „დაზგა“ ჰქონდა თვითონაც თავის სახლში. თავმა თაროდან საქალაქო ჩამოიღო და მაგიდაზე დადო, მაგრამ ჯერ არა ხსნიდა.

„ლიდზში ყოფნისას ბოლოს აბსტრაქტულ ხელოვნებას მივდედდი, სამეფო კოლეჯშიც ამისათვის შევედი. ესენი კი უფრო წარსულისაკენ მიბრუნებაა“. ოდნავ, მორცხვად გაიღიმა. „მე მგონია, ვცდებოდი, ადრე ბევრ დროს და ყურადღებას რომ არ ვუთმობდი“.

ტექნიკის მხრივ სურათი კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა. მაგრამ თვით-დყოფადობა აკლდა. სასიამოვნო თავდაჯერა, რასაც იგი ურთიერთობაში ავლენდა. სურათზე სიცივეს გაგრძნობინებდათ. რაღაცა მეტად საგულდაგულო და voulu<sup>44</sup> იყო. საოცარია, რომ ოდნავადაც არ ემჩნეოდა ხაზის ბრესლისეული გაქანება, თავისუფლება, ძალა, სიმაგრე. ეს შედარება იმიტომაც მოუვიდა აზრად, რომ ნახატი. თავმა ადრე რომ ახსენა — გონჯზე შარეი, ლოტრეკის სტილში, ამ საქალაქოში აღმოჩნდა; ნაჩქარევად იყო შესრულებული, მაგრამ

44. საგანგებო, განზრახ გაკეთებული, ხელოვნური (ფრანგ.).



ცოცხალი ხაზის ინსტინქტური ოსტატობა ეტყობოდა. დევიდმა ქათინაურები უთხრა. ცხადია სტანდარტულ შეკითხვებს აძლევდა. გასაგებია რისი გამოხატვაც გინდოდათო. და სად უფრო კარგად გამოვიდაო, რა ადგილი, გონჯი ახლა გვერდით ედგა. დევიდს ეგონა პოპ-მუსიკას გაიგონებდა. მაგრამ შოპენი იყო, თან ხმადაბლა. მხოლოდ ფონისთვის.

იმ საქალაქო აკვარელით შესრულებული ნახატებიც იყო, მაქსტანტუმი<sup>45</sup> ლი არა. მაგრამ ფერები ისე შეერჩიათ, დევიდს გაახსენდა, თვითონაც არჩევდა. ეს ნახატები მოეწონა: შეხამება, კონტრასტები, ძიება, ფანქრით შესრულებულ მეტად პედანტურ ეტიუდებს ესა სჯობდა. თავი კარადასთან მივიდა, გამოაღო და იქიდან ოთხი ტილო გადმოიღო.

„ჰენრის ვუმალავ, მაპატიეთ, თუ დევიდ უილიამზის ცუდ სურათებად მიიჩნევთ მათ“.

დასაკიდ ადგილს ეძებდა. ფანქრით შესრულებული ნახატი ჩამოხსნა კედლიდან და დევიდს მიაწოდა. გვენ ჯონი<sup>46</sup> მხოლოდ ახლა მიხვდა ვისი პორტრეტიც იყო:

ჰენრი, დაახლოებით დევიდის ასაკში, ხის სკამზე მჯდარი, გამართული, ცოტა თეატრალური და დიდებული. მიუხედავად საყოველღეო სამოსისა; ახალგაზრდა. შმაგი მოდერნისტი ოციანი წლების ბოლოს. თავმა დახრილად მიახატა ლამპის შუქი ამორჩეულ ადგილს. დევიდმა ნახატი მაგიდაზე დადო.

ეს ტილოები სულ არა ჰგავს დევიდისას, შეიძლება მხოლოდ იმით, რომ დაბვეწილი, ზუსტი აბსტრაქცია იყო ესეც და თანაც უფრო მცირე ზომისა, (თვითონაც ამ ზომას არჩევდა). ვიდრე ამ მანერით შესრულებული სურათების უმრავლესობა. შესაძლოა ვერც შეემჩნია თავისი გავლენა, თავს რომ წინასწარ არ ეთქვა, მაგრამ ნახატის ხარისხის, პრობლემების სხარტი გადაწყვეტის არდნახვა არ შეიძლებოდა, დევიდი ამაში კარგად ერკვეოდა.

„ახლა კი მესმის. რადაც მიგიღეს სამეფო კოლეჯში“.

„ერთ დღეს თუ ვხატავ, მეორე დღეს ველარატერს ვახერხებ. აღარ გამოდის“.

„ასეც უნდა იყოს“.

გონჯმა თქვა. „განაგრძეთ, უთხარით რომ შესანიშნავია“.

„ამას ვერ ვიზამ. შური მძლევეს“.

„თითოში ხუთასზე მეტს არ ითხოვს“.

„ენ, სისულელეებს თავი დაანებე“.

დევიდმა თქვა. „ესეც ვნახოთ. ეს ბოლოა, ესკიზის გვერდით“.

იმ ესკიზზე ხვიარა ვარდი იყო გამოსახული, კედელს ეკვროდა; ვარდისფერი, ნაცრისფერი და კრემისფერი ზოლები იყო გადახლართული ერთმანეთში. საზიფათო პალიტრა — მაგრამ ზიფათის აცდენა შეძლო თავმა. თვითონაც კი შეეშინდებოდა ამ ფერების ერთად ხმარება. შიგ ჩაქსოვილი სანტიმენტალიზმით, ნახევარტონების გარეშე. მის ზოდიაქოში ის ფერები ჯარბობდა. რაც დღევანდელ სამოსში იყო: შემოდგომისა და ზამთრის ფერები.

ოცი წუთი და უფრო მეტიც მხატვრობაზე ლაპარაკობდნენ: დევიდმა თავის მეთოდზე უამბო მათ და იმაზეც, თუ როგორ „ზრდიდა“ თავის იდეებს, როგორ დააინტერესა კვლავ ლითოგრაფიამ. ხშირად ისე ლაპარაკობდა, როგორც ოდესღაც სტუდენტებთან, თუმცა ეს ჩვევა კარგა ხანია დაკარგა უკვე. ბეტთან, ცხადია, ახლო იყო, ძალიან ახლო და არაფრის ახსნა არ სჭირდებოდა, თავისთავად.

<sup>45</sup> ინგლისელი მხატვარი ქალი (1876-1939). ცხოვრობდა საფრანგეთში.



ვად ყველაფერი კარგად ესმოდა; თან მათი სტილი ერთმანეთს სულაც არა ჰგავდა. დევიდი ხვდებოდა — კარგად გრძნობდა — რისი გამოხატვა უნდოდა თავს. აქ მართლა იყო მსგავსება, მაგრამ როგორც ქალი, იგი სტრუქტურასა და ფერების შერწყმას ანიჭებდა უპირატესობას და არა ფორმას. თავის აბსტრაქციებში ბუნებრივი ფერების გამას მიმართავდა და არა ზელოვნურს. თვითონვე თქვა, ჰენრის გავლენა ერთ რაღაცაში შემეტყო, მას მიაჩნდა, რომ დევიდის დახატვა შეიძლებაო. თავს დიდხანს ატანდა ძალას, დაეჭვებოდა, რომ ეს მართალი არ არისო და ამასობაში ბევრს მიაღწია.

დასხდნენ, დევიდი სავარძელში. ქალიშვილები დევიდის პირდაპირ, დივანზე. კიდევ ბევრი რამ შეიტყო ქალიშვილებზე, მათ ოჯახებზე. მეგობრებზე, ჰენრიცა და აქაურობაც დროებით თითქოს დაავიწყდათ. ყველაზე მეტს ისევ გონჯი ლაპარაკობდა, სასაცილოდ უამბობდა თავის მეტისმეტად ფანატიკოს მშობლებზე, თავის მეამბოხე ძმებზე და უმცროსი დის ცხოვრებაზე. თავის საშინელ ბავშვობაზე და სიყმაწვილეზე ექტონის გარეუბნის ავარდნილ ქუჩებში. თავი მაინცდამაინც ბევრს არაფერს ამბობდა თავის ოჯახზე, ეტყობოდა, მხოლოდ ეს ერთი ჰყავდათ მის მშობლებს; მამამისი მანქანათსაშენი პატარა ქარხნის მფლობელი და მმართველია სუინდენში. დედამისი „არტისტული“ მიდრეკილების ქალია და თავისი ჰობი — ანტიკვარული მალაზია აქვს ჰანგერფორდში, გასაოცარი სახლი აქვთო, ჩაურთო გონჯმა. ჯორჯიანულ სტილში, ბრწყინვალეა. დევიდს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ თავს შეძლებული ოჯახი ჰქონდა; მისი მშობლები მეტად ინტელიგენტები არიან და ხავსმოდებულ პროვინციელებს არ ეკუთვნიან; და რომ ქალიშვილს არ უყვარს მშობლებზე ბევრი ლაპარაკი.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა; დევიდი სიტყვებს ეძებდა, რათა ბუნებრივად გადაეტანათ ლაპარაკი აწმყოზე ანდა მომავალზე, რომ უცებ გონჯი წამოხტა, დევიდთან ახლო მივიდა და თქვა:

„ძე დასაძინებლად მივდივარ, დევიდ. თქვენთვის არ არის აუცილებელი, დაიანა ლამის ჩიტია“.

ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა და წავიდა. ეს ისე უცებ და ისე აშკარად მოხდა, რომ დევიდი დაიბნა. ქალიშვილი, რომელთანაც იგი დატოვეს, არ უყურებდა; ისიც მიხვდა, რომ ასეთი წასვლა გათამაშება იყო.

დევიდმა იკითხა: „დაიღალეთ?“

„ძე არა, თქვენ თუ არ დაიღალეთ“, უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. მერე დაიმ წაილულლულა, „ჰენრის საშინელი სიზმრები აქვს. ერთი ჩვენგანი მის ოთახში იძინებს ყოველთვის“.

დევიდი სავარძლის ზურგს მიეყრდნო.

„თქვენამდე მაინც როგორ იყო, ხომ არსებობდა?“.

„ორი წლის წინათ. მიატოვა ერთმა თავისმა მეგობარმა ქალმა. შვედი იყო. რაღაცნაირად უღალატა ჰენრის. ფულისთვის. კარგად არ ვიცი. ამაზე თვითონ არასოდეს ლაპარაკობს. მატყურობდა ამბობს, ფულისთვისო“.

„ესე იგი, ერთხანს მაინც ახერხებდა მართო ყოფნას?“

ნართაულად ნათქვამს მიხვდა ქალიშვილი, ოდნავ გაიღიმა.

„შარშან ძალიან ცოტას ხატავდა. მართლა სჭირდება ვილაციის დახმარება სახელოსნოში“.

„და როგორც გავიგე, ამ დახმარების იმედი მომავალშიცა აქვს?“ მტკიცება უფრო იყო ეს და არა შეკითხვა. და ქალიშვილმა თვალები დახარა.



„ენმა გიამბოთ რაღაცები“.

„ცოტა, მაგრამ თუ...“

„არა, უბრალოდ...“

შეტრიალდა. დივანზე ფეხები შეიკეცა და სამკლაურს მიეყრდნო. თითებით შავი ბლუზის ღილს აწვალებდა. ბლუზი ხამი აბრეშუმისა იყო, რდნავ პრილა; მანუეტებსა და საყელოზე ოქროსფერი წვრილი არშია დამკვეთებზეა.

„რა გითხრათ ენმა?“

„ის, რომ ძალიან წუხს“.

კარგა ხანს ხმა არ ამოუღია; მერე ხმადაბლა დაილაპარაკა:

„იმაზე, რომ ჰენრის უნდა ცოლად შემირთოს?“

„დიახ“.

„თქვენ გაგაკვირვათ ამ ამბავმა?“

დევიდი შეყოყმანდა. „ცოტა“.

„მე ჯერ არ გადამიწყვეტია“. მხრები შეარხია. „როცა ქალი აკეთებს იმას, რასაც ცოლი გააკეთებდა...“

„იქნებ პირიქით?“

„მე მას ვკირდები“.

„მთლად ამას არ ვგულისხმობდი“.

თავი გაჩუმდა. დევიდი ხვდებოდა, რომ ისევ იბრძოდა ორ სურვილშუა — ლაპარაკიც უნდოდა და თან ეშინოდა, როგორც მაშინ. მაყვლოვანი რომ გამოიარეს, მაგრამ ამჯერად ალაპარაკდა.

„ამის ახსნა ძნელია. დევიდ რაც მოხდა, ცხადია, მე არ შემიძლია ფიზიკურად მიყვარდეს იგი. მშვენივრად მესმის, რომ მისი ჩემდამი სიყვარულიც რაღაცხაირად ეგოიზმის გამოვლენაა. ესეც არის. ვილაცამ ხომ უნდა იზრუნოს ბერიკაცზე. მაგრამ ისიც მართალია, რომ უკვე დაიღალა თავის თავზე შექმნილი მითით, თავაშეცებული ბებერიო. მხოლოდ უცხო თუ იტყვის მასზე, სინამდვილეში, ჰენრი მარტოხელა. შეშინებული მოხუცია. არა მგონია, კიდევ დახატოს რაიმე. თუკი წავალ აქედან, ჩემმა წასვლამ შეიძლება მოკლას, მართლა“.

„მაინც ასე რად უნდა იყოს, ან გათხოვება, ანდა წასვლა?“

„არ არის ასე. უბრალოდ, ვგრძნობ, რომ არ შემიძლია მივატოვო ახლა, ახლა, რა მოხდა, თუკი ამით იგი უფრო ბედნიერია“.

ისევ აწვალებდა ღილს აბრეშუმზე. თავი ოდნავ დაეხარა; დამნაშავე ბავშვის იერი ჰქონდა თითქოს. მშვენიერი, დაუდევრად აწეული თმა, შიშველი კოჭები და ტერფები. დაჯდა და ხელები მუხლებზე შემოიხვია.

„ენმა ისიც თქვა, რომ გეშინიათ, ვინმემ არ თქვას, ფულის გამო“.

„მითქმა-მოთქმის არ მეშინია, იმის მეშინია, რასაც ამდენი ფული მომიტახს“, მიუგო თავგმა. „თვითონ ხომ იცის, რაცა ღირს მისი კოლექცია. ბრაკი მაქტს<sup>46</sup> გადაეცემა, მისი სიკვდილის მერე. მაგრამ უამისოდაც უამრავია, იმის თქმა მინდა, რომ მეტიმეტად ბევრი ფულია. და თვითონ იცის ეს“.

„რა ვნება შეიძლება მოგაყენოთ იმ ფულმა?“

თავგმა ჩაიკინა. „მე მინდა მხატვარი გავხდე, და არა ფულიანი ქვრივი“, მერე წყნარად თქვა. „წარვედ ჩემგან, კოტმინე“.

„მანსარდაზე მხატვრების შეყუჟვა უკვე მოდაში აღარ არის“.

„მაშ არავითარი ბრძოლა?“

<sup>46</sup> თანამედროვე ხელოვნების გალერეა პარიზში, დაარსდა 1964 წელს.



„კარგად არ ვიცი, ვის მხარეზე ვარ ამ კამათში“.

დაიანამ ისევ გაიღიმა. დევიდისთვის არ შეუხედავს.

„მე მხოლოდ ოცდასამი წლისა ვარ. მე მგონია, ასეთ ასაკში ადრეა იმის დაჯერება, რომ აღარასოდეს მოგიხდება სხვაგან ცხოვრება, ან სხვა ცხოვრება“.

„ბევრია საცდუნებელი?“

მაშინვე არ უპასუხა.

„მთელი ეს გარე სამყარო, აქაურობის მიღმა რაც არის, როგორც კი აღარ მიხდება წასვლა, ავტომობილები, ხალხი, თავგადასავალი, ჩემი მშობლები, უბრალოდ, უნდა ავდგე და მათ სანახავად წავიდე: უკვე რამდენჯერ გადავდე წასვლა, რაღაც აბსურდია. გეგონება, თილისმით შემკრესო, თქვენი ჩამოსვლისაკი მეშინოდა. მართლა აღტაცებული ვარ თქვენი გამოფენით, და მაინც ისე მიხდოდა თავი დამეჭირა, თითქოსდა სულაც არ მომწონდით. მხოლოდ იმიტომ, რომ იქიდანა ხართ და მეშინოდა, ავირეოდით, თქვენ გესმით“.

ერთი თავისი სურათი დატოვა კედელზე, დივანის უკან, დევიდი ხვდებოდა, რომ პატივმოყვარეობის გამო არ მოიქცა ასე, ახლა ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ენი მართალი იყო, მართალი იყო, რაც თავგზე თქვა, თავის ცივი თავდაჯერება პირველ სალამოს, ისევე როგორც გულგრილობა მათი გაცნობის პირველ წუთებში, პოზად ეჩვენა, კედელზე დარჩენილი სურათი თითქოს შეხსენება იყო იმისა, რომ მათ შორის რაღაც საერთო იყო, და თანდათან კიდევ იზრდებოდა ეს საერთო, დევიდს უკვე არ ეჩოთიებოდა ლაპარაკისას პაუზები.

„თქვენმა მშობლებმა იციან, რაც ხდება?“

„მთლად არა, მაგრამ ისინი ენის მშობლებს არ ჰგვანან, შემძლია ყველაფერი ვუთხრა და გაიგონ“... მხრები შეარბია „საქმე ეს არ არის, ამ ტყის სამყაროს მოშორებაზე ფიქრი მაწვალებს, სადაც თითქოს შეუძლებელი არა არის რა, უბრალოდ, მიჭირს გადაწყვეტა, რაიმესი“, ჩუმი შრიალი გაისმა, ფარფალით გარე უვლიდა ლამპის შუქს ლამის პეპელა დაიანამ შეხედა და მერე კალთაზე დაიხედა, „თანაც არ ვიცი, შეიძლება კარგი მხატვარიც გახდეს და... კარგადაც იცხოვრო?“

„უკეთესად ვერ დახატავთ, თუ თავს აიძულებთ, კარგად არ იცხოვროთ“.

„ის უნდა გავაკეთო, რასაც სხვები ელიან ჩემგან“.

„ის უნდა გავაკეთოთ, რასაც საჭიროდ მიიჩნევთ, სხვები კი ეშმაკს წაუღია“.

„არ ვიცი, უკან როგორ დავიხიო, ეს არის ჩემი უბედურება, სანამ ბოლომდე მივალ, შეჩერებას ვერ ვახერხებ, არ შემძლია“.

„კოლეჯიდან ხომ წამოხვედით?“

„კოლეჯის საქმე სულ სხვა იყო, ჩემი ბუნებისთვის უცხო რამ ხდებოდა, ცდილობდნენ დამეჭერა, რომ მე არ ვიყავი ის, რაცა ვარ, მაგრამ რა გამოვიდა, ახლა მე უწინდელზე უფრო ცუდადა ვარ“.

ცოტა ხანს ჩაფიქრებული იყურებოდა, კვლავ ფეხებაკეცილი იჯდა, დაიანას უკან, იატაკზე იდგა ლამპა და მხოლოდ მისი შუქი ანათებდა ოთახს, დევიდი თითქმის არ აშორებდა თავს ჩრდილში მოქცეულ დაის პროფილს, ლამის მდუმარება იდგა, შინაც და გარეთაც, მთელ სამყაროში, და გეგონება, მარტო-კა იყვნენ იმ სამყაროში, დევიდი ხვდებოდა, რომ უფრო შორს წავიდა, ვიდრე ეგონა, რაღაც იდუმალსა და მანამდე მისთვის უცნობ მხარეში, და მაინც საკვირველად ბუნებრივი ეჩვენებოდა ყველაფერი, ეს უნდა მომხდარიყო, მი-



ზეზები იყო ამისთვის. ოღონდ მცირე, რომ აღრევე სცოდნოდათ და ახლა გა-  
ერკვიათ.

„ის... ამბავი ცუდად დამთავრდა?“

„დიახ“.

„მისი ბრალისა?“

„არსებითად, არა. ძალიან ბევრს ველოდი მისგან. შური უკიდურესად მცირე  
კოლეჯში მე მიმიღეს“.

„ენმა მიაგმო“.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

დევიდმა თქვა: „საუბარს რაღაც ვერა ვშველი“.

„როგორ არა“.

„ბანალურად ვლაპარაკობ“.

„არა“.

ისევ სიჩუმე, თითქოსდა ტყეში იყო ორთავე და უხილავი ჩიტების ჭიკ-  
ჭიკი ესმოდათ. იმათი უჩინარი გადაფრენა.

თავდა თქვა, „ენს შესანიშნავი თვისება აქვს, თავი ანაცვალოს სხვას. იმედს  
არ კარგავს. დადგება დრო. გამოჩნდება ისეთი კაცი, ვინც დააფასებს. უცნა-  
ურობის მიუხედავად“.

„აქ თუ მარტო დაგტოვებთ ენი, რა შეიძლება მოხდეს?“

„ამაზე ფიქრიც მეძნელება“.

„რატომ?“

ისევ დააყოვნა პასუხი.

„ვგრძნობ, ენს ვეჭიდები... ის მაკავშირებს რეალურ სამყაროსთან“. მერე  
დაუმატა, „ვიცი, ვიყენებ მის ერთგულებას. ასე თუ ისე, ენის არეულ ცხოვ-  
რებასაც, მუდმივი სტუდენტი“. დივანის საზურგეს გადაუსვა ხელი, „ხანდა-  
ხან ეჭვი მეპარება, მაქვს თუ არა საერთოდ რამე მოწოდება, ანდა ნიჭი“.

ხმაძილლა თქვა ის, რაზედაც ერთ-ორჯერ დევიდმაც გაიფიქრა მთელი დღის  
ძახილზე; გრძნობდა, დაიანა სადღაც მართალს ამბობდა, როცა თავს იმცირებ-  
და, გონჯზე უარესი მე ვარო, ეტყობა. ჰენრისთან ფიზიკური ურთიერთობა მი-  
სი „უცოდველი“ ბუნებისთვის მეტისმეტად მძიმე იყო, ამ მხრივ იგი ენზე  
უფრო უზნეოდაც მიიჩნევდა თავს. თანაც მართლა უჭირდა, ის ურთიერთობა  
რომ არა ჰქონდა, რასაც ქალის ბუნება მოითხოვდა...

დევიდმა წყნარად უთხრა, „ეტყობა, უიმედოდ ხართ, თუკი ამაზე ლაპა-  
რაკის უფლება მაქვს“.

„სერიოზულიც არა ვარ, ამის თაობაზე კიდევ ვილაპარაკეთ მე და ენმა,  
ჩვენ...“ მაგრამ აღარ დაამთავრა.

„ჩემი აზრით, თქვენი ასეთი საოცარი პატიოსნება საკუთარი თავის მიმართ  
სახიფათოა, ხომ გესმით, ალღოს უნდა მიჰყვეთ“.

„მაინცდამაინც არა მჯერა ჩემი ალღოსი“.

„რატომ?“

„თუხდაც იმიტომ, რომ ოჯახში ერთადერთი ბავშვი ვიყავი. ვერავის ვადა-  
რებდი საკუთარ თავს, ჩემი ტოლების არ მესმოდა. თავიდან ენთანაც ასე და-  
მემართა. ერთ ჰერქვეშ ვცხოვრობდით თვეების მანძილზე, მაგრამ არ მომ-  
წონდა, ლამის ქუჩის ქალად მიმაჩნდა. მერე ერთ დღეს იმის ოთახში შევედი,  
რომ რაღაც მეტხოვა და ტიროდა — იმის დას რაღაც შეემთხვა, რაღაც არეუ-  
ლობა მოხდა ოჯახში, ვილაპარაკეთ. ყველაფერი მიაგმო თავის თავზე და იმის



მერე ძველს უკვე აღარ ვიხსენებდით“. ცოტა ხანს არაფერი უთქვამს. „ტომ-  
თახ — პირიქით. ჯერ შემეცოდა. ვხვდებოდი, არა სჯეროდა საკუთარი თავის.  
ხდება ასე, ვინც ღირსი არ არის, იმას სულითაც და სხეულითაც მიეცემა, ხოლო  
ხშირად იცო, რომ ოქროს გული აქვს კაცს და მაინც ზურგს აქცევს“. მერე და-  
უმატა, „ვცადე. ტომის მერე, კოლეჯში. ერთ პირველკურსელთან. კარგი ბი-  
ჭი იყო. მაგრამ... მხოლოდ საწოლი სჭირდებოდა. მარტო მისივე თავის და-  
ხსნა“.

გმზღოოოოოოოო

„შეიძლება მეტისმეტს ითხოვთ“.

„ისეთ კაცს ვეძებ ვინც გამიგებს?“.

„ეს ადვილი არ უნდა იყოს. მით უმეტეს, რომ იმალებით“.

თავი გაიქნია. „იქნებ არც მინდა, რომ გამიგონ. აღარ ვიცი“.

ისევ გაჩუმდნენ. ქვედაკაბაზე დაიხედა. ახლა, როცა მის მეტაფორულ სი-  
შიშველეს ხედავდა, დევიდს მისი ტბაზე სიშიშველე გაახსენდა და მიხვდა, სიტ-  
ყვები ძალას კარგავდა. რა გულწრფელი და თბილიც არ უნდა იყოს სიტყვა.  
მაინც ვერ შეცვლის იმას, რასაც ვითარება ითხოვს. ლამბასთან ისევ აფარფატ-  
და პეპელა. გარედანაც მოეკვრნენ სარკმელს სხვა პეპლები, მოყვითალო-მო-  
ყავისფრო ნაზი ლაქები. შეუძლებელის სწრაფვა რომ ეწადათ. ფსიქეები, მინის  
სიმკაცრე, უღმობელობა; ჰაერივით გამჭვირვალე და ფოლადივით შეუღწევ-  
ელი. ისევ დაილაპარაკა დაიმ:

„უცნობი ხალხის მეშინია. სასაცილოა, ამას წინათ მე და ენი რენში წავე-  
დით. ორი სტუდენტი-იურისტი აგვეკიდა — გიამბოთ ენმა?“

დევიდს შეხედა. და ამან თავი გაიქნია.

„ძალიან შემეშინდა. კოტმინეზე არაფერი გაიგონ და ჩამოსვლა არ მოინ-  
დომონ-მეთქი. შემეშინდა, გეგონება. ქალწული ვიყო ან მონაზონი. რალაც  
ძალა გჭირდება, რომ ხალხს გაეცნო. მერე სირთულე იწყება და არევ-დარევა,  
ან, შეიძლება მე თვითონ ვართულებ“.

დევიდმა ღიმილი შეიკავა: დაიანამ თვითონვე უარყო თავისი აზრი. შეიძ-  
ლება თავადაც იგრძნო ეს.

დაიანამ წაილულლულა: „აქ მყოფებზე არ ვლაპარაკობ“.

დევიდმა წყნარად მიუგო: „გამონაკლისი არც მე უნდა ვიყო“.

დაიანამ თავი დაუქნია. მაგრამ არაფერი თქვა. თითქოს დივანს მიეჯახვა,  
მზერა ველარ მოეწყვიტა საკუთარი ხელებისათვის, რომ დევიდისათვის შეეხე-  
და.

„თქვენი გაცნობა მინდოდა. შარშან, ნოემბერში. გამოფენის მერე, რომ  
მოვსულიყავი და მელაპარაკა ჩემს მუშაობაზე“.

დევიდი წინ დაიხარა. „მერედა, რატომ... რა ძნელი რამეც ეს იქნებოდა“.   
შუადღისას დაიანასთან საუბრისას გაიგო, რომ სამეფო კოლეჯში მის მასწავ-  
ლებელს კარგად იცნობდა.

დაიანამ ოდნავ გაიღიმა. „ისევ და ისევ იმიტომ, რის გამოც ახლაც თავს  
ვიკაევებდი“. მერე დაუმატა, „და იმის გამოც, რომ კარგი მხატვრის ცხოვრე-  
ბაში მე ერთხელ უკვე ჩავერიე მიუწვევლად“.

დევიდმა თითქოს დაინახა, რა შეიძლებოდა მომხდარიყო მაშინ; დაიანას  
ერთი სიტყვა. ერთი დარეკვა და ერთმანეთს შეხვდებოდნენ. მეტად იოლად.  
მაგრამ მერე რა იქნებოდა — იგივე რაც კოტმინეში, ოღონდ ლონდონში? ეს  
არ იცოდა. იცოდა მხოლოდ, რომ ის ზიფათი, რაც მაშინ იყო მოსალოდნელი.  
ძლიერდებოდა, უფრო აშკარა და თითქოს აუცდენელიც ხდებოდა ახლა. როცა



ახლო გაიცნო ქალი, მიხვდა, რაღაც არა თქვა მაშინ თავისი სიტყვა: მორიდების გამო კი არა — სიამაყე იყო მიზეზი. გამოფენის კატალოგში დევიდის ფოტოსურათიც იყო. იქვე ისიც ეწერა, რომ ცოლიანია და ბავშვები ჰყავს. შესაძლოა ამის გამოც; უკვე მაშინ ეშინოდა სირთულეების — ამის აცდენის ერთ გზა კი ისიც არის, რომ არასოდეს დაადგე ამ გზას.

„ფიქრობთ, რომ მაშინ უნდა გენახეთ?“

„გვიანდა არის სინანული“.

ისევ გაჩუმდა ორივე, მერე ქალიშვილი დაიხარა და თავის მუხლებს შუბლით შეეხო. რამდენიმე წამს დევიდს თითქოს შეეშინდა, რომ დაიანა ატირდებოდა, მაგრამ არა. უცებ გუნება შეიცვალა. ან შეიძლება გადაიყარა რაღაც ფიქრები, ტახტიდან ფეხები ჩამოიღო და წამოდგა. დევიდი უყურებდა, როგორ მივიდა თავის მაგიდასთან. საქალაქდეს დახედა და მერე ფანჯრიდან გახედა ლამეს.

„მაბატიეთ, აქ ამისთვის არ ჩამოსულხართ“.

„ძალიან მინდა გიშველოთ“.

დაიანამ საქალაქდეს შეკვრა დაიწყო. „უკვე მიშველეთ, იმაზე მეტად, ვიდრე გგონიათ“.

„ვითომ?“

ერთ-ორ წუთს ქალს არა უთქვამს რა.

„როგორ ფიქრობთ, რა უნდა ვქნა?“

დევიდი შეეყოყმანდა. მერე გაიღიმა. „ვინმე იბოვოთ ჩემნაირი? უცოლო? თუ, რა თქმა უნდა, ამაოდ და შეუძლებლად არ მიგაჩნიათ“.

დაიანამ საქალაქდეს შავი ყაითნით ბოლომდე შეკრა.

„მერე ჰენრი?“

„რემბრანდტსაც კი არა აქვს უფლება, ვინმეს ცხოვრება დაამსხვრიოს“.

„არა მჯერა, რომ უკვე არ არის დამსხვრეული“.

„ამას იმიტომ ამბობთ, რომ გებრალეებათ თავი“.

„მხდალი ვარ“.

„არც მხდალი ხართ“. დევიდმა შეხედა, ისევ ლამეს უყურებდა დაიანა. „ვიცი, ძალიან ეშინია თქვენი დაკარგვის. თვითონ მითხრა. ვახშობამდე. მაგრამ მთელი სიცოცხლე კარგავს ქალებს. მე მგონია, უფრო იოლად გადაიტანს, ვიდრე ფიქრობთ“. ცოტა ხნის მერე დაუმატა, „იქნებ იოლი გზა გამოვნახოთ, ისეთი ვინმე მოვეუძებნოთ, სახელოსნოში გამოადგეს“.

ახლა დევიდს მოღალატე ეგონა თავი; მაგრამ კარგი საქმისთვის მოღალატე. დაიანამ საქალაქდეს ასწია და ისევ თაროზე შემოდო, მერე სკამი მაგიდისკენ გამოსწია, შუაგულისკენ. მაგრამ თვითონ ისევ საზურგეზე ედო ხელები, გახზე გაიხედა.

„შეუძლებელი არ არის, დევიდ, მაგრამ ასეთ კაცს სად ვიპოვი?“

„ამის პასუხი თქვენვე იცით“.

„არა მგონია, კოლეჯში ისევ მიმიღონ“.

„მაგას იოლად გავარკვევ მე. როცა ლონდონში დავბრუნდები“.

ქალიშვილი დივანის უკან დადგა და დევიდს შეხედა.

„შეიძლება რომ მოგწეროთ? თუ მე...“

„ჰენრის აქვს ჩემი მისამართი. როცა კი გინდათ. მართლა“.

ქალმა თვალები დახარა. დევიდი მიხვდა, თვითონაც უნდა ამდგარიყო. საქალაქდეს შეკვრა იმას მოასწავებდა, რომ საღამო უკვე დასრულდა და გვიან



იყო, — დაიანა აღარ დამჯდარა. მაგრამ დევდი გრძნობდა, რომ ქალს არ უნდოდა მისი წასვლა, და არც თვითონ უნდოდა წასვლა; რომ ახლა უფრო მეტად ვიდრე ოდესმე, გულწრფელობისა და რჩევა-დარიგების მიღმა, მოძღვარისა და სტუდენტის ურთიერთობის მიღმა, უთქმელი დარჩა სიმაართლე თავის მოჩვენება, სათქმელის ბოლომდე არ თქმა, გრძნობის ბოლომდე არ გამჟღავნება ჰაერს შერჩა; ლამპის უკან ჩრდილში მდგარი დაიანას ფიგურა კედელს სიჩუმეც, კედელთან მიდგმული საწოლიც და ძველი სახლის ათასწლეულის ჩრდილში ამას შეტყვევებდა. დევდს უკვირდა კიდევ, ასე სწრაფად რომ მოვიდა მასთან ასეთი გრძნობა... გეგონება, სადღაც იყო, უამისოდ, რაღაც უთმენლად შემოიჭრა, გადალახა ბარიერები, დაბრკოლება, პირობითობის სამოსს აცლიდა სიმაართლეს, სურვილს; დევდს სწყუროდა ეს სიმაართლე, გამართლებას უძებნიდა სურვილს, ქალიშვილის ფიქრებს ხვდებოდა, ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც ძალიან სურდა, და თითქოს ჰკრეტდა იმასთან ყოფნას. ხვალინდელი დღე შორს არ იყო, ეს ყველაფერი გათავდებოდა და გაუსაძლისი ხდებოდა უკვე ამაზე ფიქრი. უნდა შეძლოს და ჩაეკიდოს ამ უეცრად მოვარდნილ გრძნობას, მაგრამ რცხვენოდა, ხვდებოდა, რაღაცნაირად თავისი სახე დაკარგა და გამომჟღავნდა, როგორც შიშველი მეფე.

წაილულულა: „დროა წავიდე“.

დაიანამ გაუღიმა; ბუნებრივად, მეტად უბრალოდ, თითქოს მიუხედა დევდს ფიქრებს.

„ჩვევად მაქვს ძილის წინ ბაღში სიარული, მოდივით“.

„ეს მიბატიყებაა?“

„პირობას გაძლევთ. ჩემზე აღარ ვილაპარაკებ“.

ფარული დაძაბულობა გაქრა. ქალიშვილი შეღებულ კამოდთან მივიდა, იქიდან შალის ჯემპრი ამოიღო, მოტრიალდა და გადაიცვა. ჩაცმისას, კისერთან თბა ამოიწია, გაიღიმა, თითქოს მხიარულად.

„ფეხსაცმელი არ დაგისველდეთ. საღამოობით ბევრი ნამია“.

„ო'კეი, ნუ წუხხართ“.

ჩუმად დაეშვნენ კიბეზე და ბალის კარისკენ გაემართნენ. სადარბაზოდან ვერ გავიდოდნენ, რადგან მაკმილანი ყეფას ატეხდა. დევდმა შეიცადა. სანამ ქალი ველინგტონებს ჩაიცვამდა, და მერე გავიდნენ. სახურავზემოდ მთვარე ამოცურდა ნისლში, მქრქალი ვარსკვლავები და ერთი კაშკაპა პლანეტა ჩანდა. ერთი ფახჩარა განათებული იყო; პენრის ოთახთან დერეფანში ნათურა ენთო. ბალახზე გაიარეს, ეზო გადაჭრეს და სახელოსნოს გასცდნენ. ეზოს ბოლოში ჰიშკარს ხეხილის პატარა ბაღში გაჰყავდით. იქ, ხეებშუა, გათიბული ბილიკი იყო; შორით ტყის ბნელი კედელი ჩანდა. ბალახზე ნამი მარგალიტივით კიაფობდა, მაგრამ თბილოდა და ჰაერი არ იძვროდა, ზაფხულის მიწურულის ღამე იყო: აჩრდილებივით იდგნენ ვაშლის ხეები, უფეროები; კრიჭინები გაბმით კრიჭინებდნენ. დევდმა მალულად შეხედა ქალიშვილს, თავდახრილი მიდიოდა, ჩუმად, ერთგული თავისი დაბირებისა. მაგრამ დევდი მიხვედრილიყო, აქ იყო ახლა ის სიმაართლე, წელან უთქმელი. იცოდა და მთელი არსებით გრძნობდა ამას. დევდმა სვლა გააჩეთა: დაელაპარაკა.

„ასე მგონია, მთელი თვეა აქა ვარ“.

„გრძნეულების ბრალია ცოტა“.

47. ინგლისელი პოეტის ა. ტენისონის (1809—1892) ლექსების ციკლის პერსონაჟი.



„თქვენ ასე ფიქრობთ?“

„ლეგენდების ბრალია. მე უკვე აღარ მეცინება იმ ლეგენდებზე“.

თითქმის ჩურჩულით ლაპარაკობდნენ, ქურდებივით, უხილავ ძაღლს არ გაეგონა. დევიდს უნდოდა გაეწოდა ხელი და ხელზე შეხებოდა.

უკანასკნელი დაძაბვა და სიახლოვის ცთუნების ძლევა, „ის ისევე მრევა, მოხეტიალე რაინდი მოვა“.

„ორი დღით და მერე კი წავა“.

ითქვა სიმართლე. არადა, ისე მიდიოდნენ, გეგონება, არ ითქვა რამე, ხუთ წამს მაინც.

„დაიანა, მე ვერა ვბედავ გიპასუხოთ“.

„მე არც ველოდი პასუხს თქვენგან“.

დევიდს პიჯაკის ჯიბეში ედო ხელები და დაჭიმული მიდიოდა.

„ორი ცხოვრებით რომ ცხოვრობდეს კაცი...“

დაიანამ წაილულლულა: „მოჩვენებაა, წუთის ამბავი“. მერე — „კოტმბეში ყოფნის ბრალია“.

„სადაც ყველაფერი შესაძლებელი არ არის“, თქვა დევიდმა და დაუმატა: „სამწუხაროდ“.

„მე იმდენი ვიფიქრე თქვენზე, როცა გავიგე, რომ ჩამოდდიოდი. ერთი რა-მე კი არ მეგონა — რომ თქვენი წასვლა არ მენდომებოდა“.

„მეც ასევე ვარ“.

„მართო რომ არ ჩამოსულიყავით, ასე არ იქნებოდა“.

„დიახ“.

ისევ ის უცნაური რამ იგრძნო. თითქოს დრო ქრებოდა და ყველა საზღვარი იშლებოდა; თითქოს ჯადოსნურსა და ზღაპრულ სამყაროში იმყოფებოდა. თავის თავს ისევ შეამჩნია — ფიქრი ისევ ერეებოდა, წინ უსწრებდა.

და ბეტზე გაიფიქრა, ის ბლეკპითშია, სულ სხვა სამყაროში და უკვე სძიხავს; სჯეროდა, იმის გვერდით სხვა მამაკაცი არ იყო ახლა. მართლა, შიში ის იქნებოდა, რომ ამაში ეჭვი შეჰპარვოდა. რა ბავშვობაა: თუკი თვითონ შეუძლია, უღალატოს, მაშინ იმასაც შეუძლია. სადაა ლოგიკა, სხვა სიამებებს ხომ არც ერთი არ იკლებს: გემრიელ საჭმელს, კარგ ჩასაცმელს, გამოფენებს. არ გმობდნენ სხვებს სექსუალური თავისუფლების გამო, არც თავიანთ მეგობრებს გმობდნენ. პირიქით, მიაჩნდათ, რომ ასეთ რამეზე არ შეიძლება ერთი აზრი არსებობდეს, ერთგულება გუნებისა და გემოვნების ამბავია; ისევე როგორც ამა თუ იმ საჭმლის სიყვარული. ანდა ვთქვათ, რაიმე ქსოვილის მოწონება, რომელსაც ერთად არჩევენ ფარდებისთვის. ვისაც როგორ მოსწონს, ისე იცხოვროს, ახლა, ვისთანაც უნდა, იმასთან იცხოვროს. მაშ დღევანდელი შემთხვევა რატონ უნდა იყოს გამონაკლისი? რატომ უარყოს იგი და თავის არტიტულ სულის ძახილს რატომ არ მიჰყვეს, მოხუცთან ცხოვრების ტვირთი რად არ უნდა შეუძსუბუქოს ახლა დაიანას? მიიღე ის, რისი მიღებაც შეგიძლია. თუმცა ეს ისედაც ცოტაა: სითბო, მოხვევა, მეორე სხეულს ცოტა ხანს შერთვა. მხოლოდ რაღაც წამიერი შვება. და საშინელი გამოფხიზლება ამის მერე, ძლიერი ნგრევის გრძნობა იმისი, რასაც სათუთად და ფრთხილად აგებდი.

ბაღის ბოლოში მივიდნენ და ჭიშკართან შეჩერდნენ. ამის იქით ტყის მრუ-მე გზა ილანდებოდა.

დაიანამ თქვა, „ჩემი ბრალია. მე...“

„თქვენ?“



„ზღაპრები, მძინარე მზეთუნახავებზე“.

„ბოლო მაინც კეთილი იყო, ერთად იყვნენ“.

მაგრამ მაშინვე გაიფიქრა: გაუძლებდა კი თუნდაც ერთი პატიოსანი უფ-  
ლისწული ცდუნებას. ჯვრისწერა შეუძლებელი რომ ყოფილიყო? გაღიშვილი  
იცდიდა და არას ამბობდა, უფრო სწორად, ყველაფერი თქვა დუმლით. დაბრ-  
კოლება უკვე არ არის, თუკი გინდა.

დევდიმა სწრაფად კოცნა იზრახა. მაგრამ როგორც ჯიფილიძის ნაგვს შეეხო და მისი სხეულის სითბო იგრძნო მოხვევისას, მიხვდა, სწრაფად კოცნა არ გამოვიდოდა. იმის იმედი, რომ ეროტიკას აირიდებდა, მაშინვე გაქრა. დაიანას ემოციურადაც იზიდავდა და ფიზიკურადაც; თვითონ დევდიმაც გაგიჟებით უნდოდა იგი. ჭიშკარს მიეყრდნენ, ქალიშვილი მიეკრა მას, დევდიმი გრძნობდა მის თეძოებს, ენას, მთელ სხეულს, რასაც იგი სთავაზობდა და არ უცდია, თავი შეეკავებინა. დაიანამ თვითონ მოაშორა ბაგე მის ბაგეს, თავი უცებ მიაბრუნა და სახით მიეკრა. ისევ ეხვეოდნენ ერთმანეთს, დევდიმა კეფაზე აკოცა. ასე იდგნენ და ერთ წუთს მაინც ხმას არ იღებდნენ. ერთხელ თუ ორჯერ ზურგზე ნახად მიეფერა და ლამესა და ხეებს გაბედა; მოეჩვენა დევდიმს, რომ ახლა თვითონ კი არა, სხვა იდგა აქ და თვითონ შორიდან უყურებდა საკუთარ თავს, თუ იმ ვიღაცა სხვას. ბოლოს დაიანა ფრთხილად გაიწია და თავდახრილი შეტრიალდა ჭიშკრისკენ, ზურგით — დევდიმისკენ. დევდიმა მხრებზე მოხვია ხელი, მიიზადა და ისევ აკოცა თმაზე.

“ဒီသီတင်းကျွတ်”

„თვითონ მინდოდა“.

„მარტო ამის გამო კი არა, ყველაფრისთვის“.

დაიხანამ თქვა: „მართლაც ხომ არის? არსებობს გრძნობა“.

„ღრგან“.

გაჩუბდნენ.

„როცა ვლაპარაკობდით, სულ ვფიქრობდი, თუ ჩემთან ყოფნას მოინდო-  
შებს შე თანახმა ვიქნები და ყველაფერს ეს გადაწყვეტს-მეთქი. ახლა ვიცი,  
თითქოს ძალიან უბრალოა“.

„սկզբնում ոչ ոք”.

„შეტისმეტად ბევრია ეს „რომ“. და დაუმატა: „რა ირონიია, კითხულობ ტრისტანისა და იზოლდას ამბავს, ტყეში წვანან, შუაში კი მანჯილი უდევთ, შუა საუკუნეების შესლილი ხალხი, მთელი ეს ყბედობა უბიწოებაზე, და მერე...“

დაიანამ ხელი გააშვებინა დევიდს, რამდენიმე ნაბიჯი წადგა და ჰიშკარ-  
ით ახლო, ბოძთან გაჩერდა.

„ദുർഗ്ഗാദേവത, ഏക ദൈവതം“.

„არაფერია, დევიდ. თავს მოვერევი, ახლავე“. თქვა მან, „და თუ შეიძლება, ბოდიშს ნუ იხდით, მე მესმის“.

დევიდს უნდოდა ეთქვა რაღაც. მაგრამ სიტყვებს ვერ პოულობდა; ან, ისეთ სიტყვებს პოულობდა, რაც ვერაფერს ხსნიდა, ფიქრები ისევ აერია, სექსზე კი აღარ ფიქრობდა, ან იმაზე, რომ დაიანა ზიბლავდა მას. არამედ იმაზე, რაც ერთმა მისმა სიტყვამ დაანახვა... და ახლა უეცრად გახსენდა პიზანელის ის შედეური, „წმ. გიორგი და პრინცესა“, რომელიც ერთხელ გააჩნია. შესაძლოა უდიდესი არა, მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესო და მისტერიული მოელ ევროპულ ხელოვნებაში. იმ საღამოს ბერიკაცთან შემთხვევით შეეხნენ და ილაპარაკეს სურათზე; რაინდობის წმინდა მფარველის მიერ თვალის გასაოცარი



არიდება. დაბნეული მზერა. და აღშფოთებული. ბრაზიანი შეხედვა მსხვერ-  
ალის. ვინც მან უნდა გამოიხსნას, გადაარჩინოს — ტრაპიზონის პრინცესისა.  
ახლა მას ბეტის სახე ჰქონდა. დევიდი მიხვდა იმას, რასაც მანამდე ვერ ხვდე-  
ბოდა.

ქალიშვილის თხელი ფიგურა. მისკენ მოტრიალებული გველქაბი დახა-  
ზეაზე გაშეშებული. უღონო და სუსტი ღიმილი მის სახეზე. დაიანამ ჩაქნა მკერდი-  
წოდა.

„ჩავთვალთ. რომ ეს არ მომხდარა?“

დევიდმა ხელი ჩაავლო და უკან. სახლისკენ გაემართნენ.

„იმდენი რამის თქმა შემიძლო“. წაილულლულა დევიდმა

„ვიცი“.

დაიანამ ხელი მოუჭირა: „მაგრამ. თუ შეიძლება, არაფერი თქვათ.“ მი-  
დიოდხენ მათი თითები ერთმანეთს გადაექდო; უნებურად და მაგრად. თითქოს  
შიში ჰქონდათ, რომ სადაცაა გააშორებდნენ; თითქოს ამ ხელებმა იცოდნენ.  
რა სულელები იყვნენ მოკვდავნი. ან თუ არა, რა მოკვდავი იყო ამათი სურვი-  
ლები, მათი სიტყვები, ისევ წარმოიდგინა მისი შიშველი სხეული ბალახზე.  
მისი ხაზები. მისი ბაგე და მორჩილება. ქორწინების მახე. როცა ფიზიკური —  
სიყვარულში გადადის, ნაცნობი თამაში. განცდები, ხელოვნებისა და მეცნიერე-  
ბის ორივესთვის უსაფრთხო ცოდნა. როცა სასოწარკვეთილ უმეცრებას და ცო-  
დხის მძაფრ სურვილს ივიწყებ. მიცემა. მიღება.

დევიდს ხელი უნდა გაეშვა, რათა ბალიდან ეზოში გასასვლელი კიშკარი  
გაეღო და დაეკეტა. ურდულმა გაიფლარუნა და სადღაც სახლის წინ მაკმილანი  
აყეფდა. ისევ ხელი მოჰკიდა ხელზე დაიანას. როცა ჩუმად გაუარეს საბელოს-  
ნოს. დევიდმა ჩრდილოეთისკენ მიქცეულ სარკმელში დაუმთავრებელი ტი-  
ლოს „კერმესის“ გრძელი შავი ჩრდილი დალანდა. ისევ ბალი. გაავეებული  
ძალი ადარ ჩერდებოდა. სახლთან მივიდნენ და სიტყვის უთქმელად შევიდნენ  
შიგ. დაიანამ ხელი გამოართვა, დაიხარა და ფეხზე გაიძრო. ზევითა დერეფნიდან  
ხათურის მკრთალი შუქი აღწევდა. დაიანა გაიმართა და დევიდმა მის დაჩრდი-  
ლულ თვალებში შეხედვა სცადა.

დევიდმა თქვა: „ეს არაფერს გადაწყვეტს. მაგრამ მინდა ახლა თქვენთან  
ვიყო“.

ქალიშვილი კარგა ხანს უყურებდა. მერე მზერა მოაშორა და თავი გა-  
იქხია.

„რატომ არა?“

„მოგზაურმა რაინდებმა არ უნდა დაკარგონ თავიანთი აბჯარ-აბგარი“.

„და იმ აბჯარ-აბგარის ყალბი ბზინვაც?“

„რაღა ყალბი“.

დევიდმა მხოლოდ გამოთქვა ის. რაც წელან, აქეთ წამოსვლისას. გადაქდო-  
ბილ თითებში და ღუმელში იფარებოდა. სხეულებით მეტს ამბობენ. ვიდრე  
სიტყვებით. რაც ახლა ხდება. უფრო მეტია. ვიდრე ის. რაც ხვალ-ზეგ მოხ-  
დება.

დევიდმა თქვა: „ხომ იცით. მხოლოდ იმიტომ კი არ...“

„ამიტომაც“

დევიდი კიდევ ეძებდა სიტყვებს.

„იმის გამო. რომ შევუოყმანდი?“



დაიანამ თავი გაიქნია და თვალებში შეხედა. „მე არასოდეს დამავიწყდებათ. ეს ორი დღე“.

მერე უეცრად ნაბიჯი წადგა მისკენ და ხელი მოჰკიდა ხელზე. — შეაჩერა. რომ არ მოხვეოდა, უცებ აკოცა დევიდს და კიბისკენ წავიდა. ასვლისას ერთხელ მოიხედა. და ნახა, დევიდი მიჰყევებოდა. ჰენრი, რომელიც ჰყავდა, დერეფანში არ მოუხედავს. ისე განაგრძო სიარული, და მძევლებთან შეხერდა.

„ცოტა ხანს მაინც მოგეხვიოთ“.

„უარესია“.

„მაგრამ ერთი საათის წინ თქვენ...“

„მაშინ სხვა იყავით, და მეც სხვა ვიყავი“.

„იქნებ ის სხვები იყვნენ მართლები“.

დერეფნის ბოლოს თავის ოთახის კარს გახედა დაიანამ.

„სად იქნებით ხვალ ამ დროს, დევიდ?“

„მე მაინც მინდა თქვენთან ყოფნა“.

„გებრალებით“.

„მინდობართ“.

„გაათიოთ ღამე ჩემთან და დაივიწყოთ?“

„ასე უხეშად რა საჭიროა?“ წყენით ჰკითხა დევიდმა.

„იმიტომ, რომ უხეშები არა ვართ“.

„მაშ უხეშადაც არ იქნება“.

„მაგრამ უარესი იქნება, მერე ვერ დავივიწყებთ“.

დევიდი ახლო მივიდა და მხრებზე დაადო ხელები.

„მოიხედეთ, სიტყვები ართულებს ყველაფერს. მინდა გაგხადოთ და...“

რალაც წამში მოეჩვენა, რომ პასუხი იპოვა. გულის სიღრმეში დაიანა კვლავ მერყეობდა. დევიდს ჰკუთხა აკარგვინებდა დაიანას სიბნელოვე. სიჩუმე, არაფერი უშლიდათ ხელს და მარტო იყვნენ — იმ ოთახამდე სულ ერთი-ორი ნაბიჯი და სიბნელოში სამოსლის ჩქარა. შმაგად გახდა. ფლობა, ჩაძირვა, შვება.

დევიდისკენ არ შეტრიალებულა, ხელი ასწია და მის მარჯვენა ხელს, მხარზე რომ ედო, მაგრად მოუჭირა. მერე წავიდა. ჩურჩულით, რალაც სასოწარკვეთით თქვა დევიდმა მისი სახელი. მაგრამ დაიანა მიდიოდა; უნდოდა დაძვრა, ფეხის გადადგმა, და საბედისწეროდ ვერ იძროდა. თითქმის ადგილზე გაიყინა. უყურებდა, დაიანა თავის ოთახში შევიდა და მოხურა კარი; და დარჩა მარტო, გაწაძებული, უარი უთხრეს, დაითხოვეს, და მაშინ, როცა ასე არსებით გადაწყვეტილებას დაადგა. ისიც თავის ოთახში შევიდა და სიბნელოში გაჩერდა, გაყოფებული, რომ დაკარგა შანსი; მოოქრულ ჩარჩოში ჩასმულ ძველ სარკეში დაიანა თავისი თავი, რალაც ბუნდოვნად. კაცი კი არა აჩრდილია. საშინელება ის იყო, რომ კიდევ ელოდა რალაცას, გრძნობამორევით, გამალებით ცდილობდა გარკვევას... ასეთი ფსიქიკური მოვლენები ხანდახან არის — კითხვისას, თუ წარმოსახვისას რალაცისა, და ველარ ამჩნევ, როცა ბოლოს მართლა ზდება ის რალაცა მისი არსებობის ერთი მხარე უკვე სასოწარკვეთით ცდილობდა მარცხის გაიოლებას — ჭირვეული უარი მივიღეო; მეორისთვის კი საშინელი დაკარგვა იყო, გულის გამგმირავი — არად ჩაადგეს, თითქოს გახლიჩეს, უსაზღვროდ აწყენინეს... და მოატყუეს მთელი არსებით სურდა



დაიანა, მაგრამ გვიანდა იყო; საშინლად წვავდა რაღაცა, რაც არ არსებობდა, გადაშენებულ ფრინველს რომ ჰგავდა. იდგა ასე და ხვდებოდა, რომ რაც ხდებოდა, იმაზე უფრო მეტი იყო, ვიდრე სექსი, ლოგიკის საპირისპირო რამ რაღაცა, ეს იყო პროცესი, რომელიც არაფრიდან წარმოშობს ახალ მზეებს, სამყაროებს, ევოლუციებს, მეტაფიზიკური რამ იყო. ქალიშვილისგან დამოუკიდებლად არსებული; გამოუთქმელი ტკივილი და თავისუფლების აღკვეთა გმრთავის შემოქმედებით მარიტ ბუნებასაც მხოლოდ ახლა მიხვდა და ჩასწვდა.

თავის სიცოცხლეში პირველად შეიცნო, რომ არსებობა კი არა, ცხოვრება სწყუროდა.

ჯერ კი, ახლა, აქ. შურისძიების მძაფრმა სურვილმა მოიცვა — დაესაჯა თავისი თავიც, ქალიშვილიც, ასე ახლო რომ იყო, აქვე, და ღამე ლონდონში მყოფი ბეტიც. ის სიტყვა, რაც დაიანამ თქვა... თითქოსდა ისევ დაიანა ტახტზე მჯდარი, თავჩაქინდრული — ქიშკართან, დაბლა, კიბეებთან, სიბნელეში გამომკრთალი ამისი სახე... გაუსაძლისია, გაუსაძლისი, გაუსაძლისი.

დერაფანში გავიდა ისევ, ჰენრის ოთახის კარს შეხედა და დერეფნის ბოლოსკენ გაემართა. დაუკაკუნებლად უნდოდა შესვლა, მაგრამ კარი არ გაიღო. სახელურს ისევ მოჰკიდა ხელი და რამდენიმე წამს ასე იდგა, მერე დააკაკუნა, არავინ არ შეეხმია.

თავისი კარის გაღების ხმაზე გაელვინა; ღამე ღია დატოვა იგი. ცხრის თხუთმეტი წუთი იყო. საწოლთან გონჯი მოვიდა და როცა დევიდი წამოჯდა, ჭიქით ფორთოხლის წვენი მიაწოდა. რამდენიმე წამს ვერ გამოერკვა, მერე ყველაფერი გაახსენდა.

„ადრე გეწვიეთ, მესიე“.

„გმადლობთ“.

ფორთოხლის წვენი მოსვა. გონჯს ყელიანი ჯემბრი და მუხლებამდე ქვედაკაბა ეცვა, რაც უჩვეულო. საქმიან იერს აძლევდა. დაკვირვებით შეხედა დევიდს. მერე უცებ, გაუფრთხილებლად, ფეხთით ჩამოუჯდა, ხელში ქალაღდის ფურცელი ეჭირა. ბარათი იყო, წაიკითხა:

„ჰენრის უთხარი, საყიდლებზე წავიდა და ლანჩის მერე დაბრუნდება-თქო.“

გონჯმა მზერა კედელზე, კარისაკენ გადაიტანა, განგებ, რათა დევიდისათვის არ შეეხედა თვალებში და მოთმინებით ელოდა ახსნას.

„უკვე წავიდა?“

„ასე გამოდის თითქოს, არა?“ გონჯი იცდიდა, მაგრამ რაკი დევიდმა ხმა არ ამოიღო, იკითხა: „მაინც რა მოხდა?“

დევიდი ყოყმანობდა. „რაღაცა უთანხმოება“.

„ო'კეი, რაზე?“

„მე მირჩევნია დაიანამ თვითონ გაამბოთ“.

მაგრამ გონჯისთვის მისი უბეში კილო ბევრს არაფერს ნიშნავდა. ღრმად ამოისუნთქა.

„ილაპარაკეთ?“ დევიდმა ისევ არაფერი თქვა. „მინდა ვიცოდე, ასე უეცრად რად წავიდა“.

„ცხადია რაღაც. ჩემი ნახვა არ უნდოდა“.

„კი მაგრამ, რატომ არ უნდოდა, ღმერთო ჩემო?“ გონჯმა ყვედრებით ესროლა მზერა. „გუშინდელი დღე ისეთი იყო — ბრმა ხომ არა ვარ“. განზე გაი-



ხელა. „დაის არ უყვარს უცნობებთან ლაპარაკი, საოცრება უნდა მოხდეს, რომ ასე დაუახლოვდეს“.

„გვრეც გავიგე“.

„თქვენ კი, ილაპარაკეთ და მორჩა“. გონჯმა ისევ გამგმირავად შეხედა დევიდს. „ღმერთმანი, ცუდად მოიქეციო. თქვენ იცით, უფროსად ვინ არის ლაპარაკი. ერთი კარგი ჩველი სჭირდება მას, მხოლოდ ერთი — ვინც იცის, და გააგებიან, რომ ყველაფერი რიგზე აქვს და აღელვებს კაცს“.

„ეფიჭრობ, ეს იცის“.

„მაშინ რატომ წავიდა ასე?“

„იმიტომ, რომ ერთმანეთისათვის სათქმელი აღარაფერი გვაქვს“.

„ერთი ლამიაც ვერ დაივიწყეთ თქვენი ოხერი პრინციპები“.

ხელში ჭიქა ეჭირა დევიდს და უყურებდა. მერე თქვა: „ცდებით“.

ენმა დაფინებით შეხედა. მერე შუბლზე მიირტყა ხელი.

„ღმერთო ჩემო, შეუძლებელია, დაის არ...“

დევიდმა წაილულლულა, „არ უნდოდა“.

გონჯი წინ გადაიხარა და თავზე შემოიკდო ხელები.

„ხელი ჩამიქნევია“.

„არ არის საჭირო, ახლა ყველაზე მეტად სჭირდებით, უფრო მეტად, ვიდრე როდისმე“.

წამის მერე გონჯი ისევ გაიმართა, დევიდს შეხედა და ცალცხად გაიცინა. მერე საბანკვეშ მის ფეხს შეეხო.

„მაბატით, თვითონ რომ ვერ მიეხვდი ამას“.

საწოლს მოსცილდა და ფანჯარას მიუახლოვდა; დარაბები გამოაღო, იდგა და ქვევით რაღაცას უყურებდა. არ შემობრუნებულა, ისე დაილაპარაკა:

„ბებერი პენრი?“

„ძველებურად“. დევიდს შიშველი ეგონა თავი, პირდაპირი და მეტაფორული აზრითაც; და მაინც გრძნობდა, კიდევ უფრო ეძალებოდა გაშიშვლებისა და და ბევრი რამის თქმის სურვილი.

„ესე იგი, არაფერი არ მომეჩვენა?“

დევიდი იდაყვზე დაყრდნობილი იწვა და ზეწარს უყურებდა.

„არ მეგონა, თუ ასეთი რამე საერთოდ ხდება“.

„აქაურობის ბრალია, თავი ზღაპარში გგონია, როცა პირველად მოდიხარ აქ. მერე თანდათან ხვდები, რომ თურმე მახეში ხარ“.

ცოტა ხანს გაჩუმდა. „ღმერთო ჩემო რა დომხალია, არა?“ დილის ლურჯ ცას გახედა. „ეს ბებერი სადისტი, იცით, თქვენ და დაი ისეთი შესაფერისი წყვილი ჩანდით, თქვენ ერთმანეთი გჭირდებათ“. ყვედრებითა და ბრაზით შეხედა. „დევიდ, არ უნდა დაგეხიათ უკან, თუნდაც ერთხელ, თუნდაც ბებერი გარეწრის ჭიბრზე, თუნდაც ჩემთვის“.

„თქვენნაირი გამბედაობა არა გვაქვს, ენ. საქმეც ეგ არის.“

„ო, რა თქმა უნდა, მე რა კეთა მომეთხოვება“.

დევიდმა მშვილად მიუგო: „სისულელეა“.

გონჯა ისევ საწოლთან მივიდა, დევიდს უყურებდა.

„როცა მოხვედით, არ მოგეწონეთ, ხომ ასეა?“

„შთაბეჭდილება ხშირად იცვლება“.

გონჯმა თვალებში გამომცდელად და დაკვირვებით შეხედა. ღიმილზე და-







ნეულად“ გელაპარაკეთ. წლების ბრალია, ბებერი ვარო... მხატვრობაში წარმატებაც კი უსურვა დევიდს; მაგრამ ამან ვერ გაუქარწყლა ის მწიარე შეგრძნება, რომ მიწვევის მიღებისას ფარსს თამაშობდა. ველარასოდეს ჩამოვა აქ. ვერ ჩამოიყვანს ბეტს. როცა დევიდი უკვე მანქანასთან იდგა, ერდმანქანის ხელი ჩამოართვეს. ენს ორივე ლოყაზე აკოცა და როგორღაც მოანებრა ჩურჩულით ეთქვა:

ერეკენული

„უამბობთ... რაც ეილაპარაკეთ?“ ენმა თავი დაუქნია და მკაცრად უთხრა:

ენს სახე დაემანქა და ჩაიციხა: „ჰე, ეგეთებიც კი არა ვარო“, მაგრამ თითქოს გამოწვევა გამოკრთა მის თაფლისფერ თვალებში და ბოლო წამს დევიდს ჩაელიმა.

მოგზაურობა ცუდად დაიწყო: ჭიშკრიდან გასულს სამასი იარდიც არა ჰქონდა გავლილი კოტმინეს კერძო გზაზე, რომ მანქანას წინ გადაუბრინა რალაცა მურა-ყავისფერმა. თავესა ჰგავდა. მაგრამ თავზე ძალიან დიდი იყო, და უცნაურად დაკლაკნილი. გველსაც ჰგავდა. მაგრამ იმაზე მეტად პატარა იყო. მაშინვე თითქოს ბორბლებში გაქრა. დევიდმა სვლა შეანელა და უკან გაიხედა: უკაცრიელი ტყის გზის გუდრონზე პატარა მუქი ლაქა ჩანდა. კოტა ცხოებისმოყვარეობამ, მაზოხიზმმა და არწასვლის სურვილმა გადმოიყვანა მანქანიდან და იმ ადგილისაკენ წავიდა. უკან, სინდოფალა იყო. დევიდის მანქანის ერთ ბორბალს ზედ გადაევიდა. მკვდარი იყო, გასრესილი თავის გარდა, და პატარა თვალები ჯერ ისევ ავად უყურებდა დევიდს. ღია პირიდან სისხლი წვრილად გადმოსდიოდა. რალაცა წითელ ყვავილივით. დევიდი ერთ წუთს იქ იდგა და მერე დაბრუნდა მანქანასთან. ესეც გასაღები იმ მთელი დღისა.

რენის გზაზე სულ ეგონა, რომ სადღაც გზის პირას გაჩერებულ თეთრ „რენოს“, და „რენოსთან“ იმის ფიგურასაც დაინახავდა. მანამდე ჰქონდა იმედი. სანამ გზატკეცილზე არ გავიდა, რომელიც სამხრეთიდან უვლიდა ქალაქს, მხოლოდ მაშინ შეიგრძნო სასოწარკვეთილმა, რომ ველარასოდეს ნახავდა დაიანას. ეს უფრო დასჯას ჰგავდა, ამ დილით დაიანას გაუჩინარება სწორედ ამას ადასტურებდა: ბრალი ამასა ჰქონდა. დევიდს, ოღონდ ძალიან გვიან მიხვდა ამას. გაახსენდა, ბაღის ჭიშკართან დაიანამ ხელი რომ გააშვებინა და მოსცილდა დევიდს; თვითონაც როგორ გაუშვა და საბედისწეროდ შეყოყმანდა სახლში შესვლისას — მაშინაც კი, დაიანა გრძნობდა, დევიდი ფრთხილობდა, თითქოს ითხოვდა კიდევ, მისი სიტყვა ყურად არ ეღოთ. არ გაამართლა დევიდმა, არც როგორც თანამედროვე მამაკაცმა. არც როგორც შუა საუკუნეების რაინდმა. სიახლოვე უნდოდა და სიახლოვეზე უარი თქვა.

თავში რა და რა სცენარის აღარ მოსდიოდა დევიდს ის თვითმფრინავი, რომლითაც ბეტი მოდიოდა—დაიმსხვრევა. დევიდი ცოლიანი არასოდეს არა ყოფილა. ანდა იყო, მაგრამ ვითომ დაიანა იყო ბეტი. დაიანა ჰენრის გაძევა. ჰენრი ძალიან მალე მოკვდა და დაიანა ლონდონში ჩადის, არ შეუძლია უდევდოდ სიცოცხლე და დევიდმაც ბეტი მიატოვა. მთელი ამ ფანტაზიის დასასრული კოტმინეში იყო. შრომის, სიყვარულისა და მთვარიანი ბაღის სრული ჰარმონია აუფევდა იქ.

ისეთი ამაო და ფუჭი ფანტაზია იყო, მოზრდილ ბიჭსაც რომ არ შეეფერებოდა, უღიმღამო და შოკისმაგვარი. დაიანას წასვლის მერე პირველი წუთების რეალობა თუმცაღა უკვე ცნობიერებაში ჩაიძირა, დევიდი საგონებელში ჩავარდა მაინც, ასე რად მოუვიდა, რად აღელდა ძალიან და რად აირია, რანაირი გულდაჯერებული ყოფილა თურმე მანამდე. კარგად გაიგო რაც დაკარგა, უსუსური აღმოჩ-



ნდა, რადგან ცოდვა დაუშვებლად მიაჩნდა. ჰენრიმ კი იცოდა, რომ ცოდვა გამოწვევაა ცხოვრებისა. უგუნურება კი არა — ვაჟკაცობის და ფანტაზიის აქტი. ცოდვას ჰენრი ატყობდებოდა და ალღოთი სჩადის, დევიდმა კი შიშის გამო არ ჩაიდინა. არ ჩაიდინა. როგორც ენმა თქვა, თუნდაც ბებერი გარეშის ჩიბრზე. საშუალებები უბნევდა გზას და აწამებდა. და არა ის, თუ რა იქნებოდა. ის აწამებდა, რას ფიქრობდნენ სხვები მასზე და არა რა ფიქრობდა საკუთარ თავზე; თავისი პატივმოყვარეობის, ეგოიზმის, შეგრძნებების შიში, რასაც „პატიოსნებისა“ და „პირიანობის“ ცნებებით ნილბავდა... ამიტომაც იყო, რომ იდუმალი სიამითაც კი ჰკრეტდა თავის თავს, და ასე ფიქრობდა საკუთარ თავზე — მაგრამ ეს მხოლოდ შელავათია თავის თავისთვის. ამგვარად, უკიდურესი პატივმოყვარეობა (მხატვრისთვის, თან უგუნურებაც) ისე ამაო არ ყოფილა, ამით აიხსნება, თავის შემოქმედებაში ბოლომდე ართქმას და გამომსახველობითობის სისადავეს ასე რომ აფასებს, თავისი კრიტიკულ-სიტყვიერი ლექსიკის გამართლება აბსურდის გზაა, რასაც იგი წარმოსახვაში მიმართავდა. როცა ხატავდა და ფიქრობდა თავის სურათზე, ეს ყველაფერიც იმასვე მოწმობს: გამოწვევის ეშინია.

არადა სწორედ ეს მოხდა: გამოწვევა, მორალურსა და სექსუალობას გაუდენილი, ეს მახეს ჰგავდა, ამას უკვე კარგად ხედავდა, აშკარა რიტებს გაუარე წყალში მაშინ, როცა მოხუცს იმ სლამოს ელაპარაკე, მერე კი თავი დაიბრმავე, გადიდგულდი, ასე ვთქვათ, სიფაქიზე და დახვეწილობა გამოიჩინე. გინდოდა მათ მოსწონებოდი. ყველაზე დიდი წყალქვეშა კლდე კი ცისფერ ლავუნას იქით გელოდა თურმე.

რაც უფრო მეტად შორდებოდა იქაურობას, მით უფრო აღარ შეეძლო თავის გამართლება. ის ამშვიდებდა, რომ შეეძლო პირდაპირ შეეხედა ბეტისთვის — მაგრამ ასეთი ჩილდოც არ ერგება, არ არის ღირსი, ბოლოს და ბოლოს ერთგულიც ხომ იმითომ დარჩა, რომ გასაღები ვიღაცამ გადაატრიალა. მეტიც, ეს ვითომდა უცოდველობა თუკი რაღაცას ნიშნავდა დევიდისთვის, მით უფრო მეტი ბრალი ჰქონდა, რადგან: მერყეობდა, თავს არიდებდა, იშორებდა.

კოტმინე სარკე იყო და ის ცხოვრება, რომელსაც იგი უბრუნდებოდა, სარკეში იყო ასახული და იკვეთებოდა უმოწყალოდ... და საცოდავი ჩანდა ახლა ეს ცხოვრება, უფერული, უშფოთველი, უსაფრთხო, რისკის არქონა — ესაა მისი მთავარი ძარღვი, ამიტომაც მიდიოდა მანქანით ახლა ასე ჩქარა, ჩვეულებრივზე უფრო ჩქარა. ქალაქებშუა გზებზე დიდი მოძრაობა არ იყო, დრო ჭერ ბევრია, ის თარსი თვითმფრინავი მხოლოდ შვიდის მერე ჩამოფრინდება, როცა ასე ჩაკლავ რისკს და ყველა შანსზე და გამოწვევაზე უარს ამბობ, კაცი კი არა, რობოტი ხარ, ბერიკაცის საიდუმლო ის არის, რომ სძულს, როცა საკუთარ თავსა და იმას შუა, რასაც ასახავს, რაღაცა დგას: საქმე ის კი არ არის, რა მიზანი აქვს ხელოვანს, როგორი სტილი, ან ტექნიკა, ან რა თემას ემსახურება იგი, არამედ ის, თუ რამდენად სრულად, გაბედულად შეუძლია მისდიოს კვალში საკუთარი თავის მუდმივ გარდაქმნას.

თანდათანობითა და უღმობლად დადიოდა შეგნებამდე ის აზრი, რომ გუშინდელი ძარცხი, უბრალოდ, სიმბოლო იყო, და არა არსის არსი, თავის შეცდომა, რაც დაემართა, ტრივიალური ამბავი იყო, სექსუალური კომედიის რაღაც ფრაგმენტი, მაგრამ ეგზისტენციური და დიდი შანსი აქამდე არა ჰქონია, და არცა სცადა გამოყენება ასეთი შანსის, ადრე თუ რაღაც ეგვიტებოდა, როცა ხატავდა, არსებითი მაინც იცოდა, იცოდა, რომ ხატვის გარეშე არ შეეძლო, და ისე რო



გორც ყველა ზელოვანს, ეგონა, როდისმე მაინც შექმნიდა იმას, რაც დროს გაუძლებდა. ახლა იგი რაღაც საშინელ ბოლოს ზედავდა. დაიბადა ისეთ ხანაში, რომ მომავალი თაობები ზელოვნების ისტორიაზე ლაპარაკისას ამ პერიოდს უდაბნოს დაარქმევდნენ. როგორც კონსტებლი, ტერნერი და როსკინის სკოლა ფუჭ აკადემიზმადღა იქცა შუა საუკუნეში და უფრო გვიან ზელოვნება ყოველთვის იყო ტალღასავით. მიქცევა და მოქცევა იცის, გქნებ-მეტყუას საუკუნის ბოლო ყველაზე დიდი გამოქვაბულის ღრმულია მისი ~~ფუჭი~~ <sup>გქნებ-მეტყუას</sup> იცოდა, ამაზე რასაც იტყოდა ბერიკაცი: ეგრე იქნება, ან, ეგრე იქნება, თუ არ მიადექი და ზოტბაშესხმული ფასეულობები და მოჩვენებითი გამარჯვებები არ ამხილე.

სიტყვა „აბსტრაქცია“ შეიძლება უკვე თვითონაც ამხელს თავის თავს. მხატვარს არ უნდა — და შიშის გამოც, — რომ მისი ცხოვრება მის ფერწერაში აისახოს. ანდა იქნებ იმიტომ, რომ ეს ცხოვრება დათმობაზე წასვლად იქცა. პირობები შეიქმნა და ღრუ რეალობას კარგი გემოვნებითა და ოსტატობით ფარავდა. გეომეტრია, არარაობის დამფარავი უსაფრთხოება.

რაც ბერიკაცს ჯერ ისევ ჰქონდა, ეს — წარსულთან დამაკავშირებელი კიბლარი იყო. ერთი ნაბიჯით დახვეა და — პიზანელისთან იდგა უკვე. სულიერად მაინც, ყოველ შემთხვევაში. დევდიმა კი წიგნებს მისცა თავი, ზელოვნება საზოგადოებრივ ინსტიტუტად მიაჩნია. მეცნიერება — კომისიებზე კამათის საგნად, სწორედ ეს აშმაგებდა მოხუცს. დევიდი და მისი თაობა და ისინიც, ვინც მათ მოჰყვებიან, ტყვეობაში დაბადებული მხეცებივით მხოლოდ გალიების გისოსებიდან თუ გაზედავენ მოხუცის მწევანე თავისუფლებას. დევიდი მიხვდა, რაც დაეძმართა ამ ორ დღეში: საცდელი მაიმუნივით. საშუალება მისცეს ერთხელ მაინც მოეკრა თვალი დაკარგული საკუთარი თავისთვის. მეტისმეტი მოდის მიყოლა, ოფიციალურად დაშვებული ფუქსავატობა. თანამედროვე ზელოვნების მოჩვენებითი თავისუფლება — ყველა ამას შეცდომაში შეჰყავდა იგა; ასეთი თავისუფლება იმედების გაცრუებიდან და გულგატეხილობიდან წარმოიშვა, თავისუფლების კი არადა. არათავისუფალი რაობის უკვე დამარხული, თუმცა ჯერ კიდევ გაუქრობელი შეგნებიდან. ზელოვნების სწავლების მთელ უახლეს ისტორიას ბრიტანეთში ამ ეტაპზე ეს ახასიათებს. ყბადაღებული სადიპლომო გამოფენები, სადაც ზელოვნების ფაკულტეტის სტუდენტებს სუფთა ტილოების გარდა არაფერი გამოაქვთ — ამაზე მეტად განა რა უნდა ადასტურებდეს სწავლებაში თვალთმაქცობას, ფარისევლობას და მოსწავლეთა უნუგეშო სულიერ გაკოტრებას. თავად ცხოვრების სახსარს ვერ შოულობენ თავიანთი ზელოვნებით და სხვებს ასწავლიან ზელოვნების საფუძვლების პაროდირებას; აჭერებენ, თითქოს გენიოსი მრავალი წლის შეუპოვარ, უსასრულო შრომასა და მართობაში კი არ იბადება. არამედ ერთ ღამეში, მხოლოდ ერთი ექსპერიმენტით; გეგობება, ცილინდრიდან თეთრი ბოცვერივით მოვლენილი წამიერი გამარჯვება ამართლებდეს ასობით და ათასობით უბარის ბოროტად მოტყუებას; მთელი სამხატვრო სწავლება რაღაც აშშორებული სისტემაა. უსასრულო, როტული შარადა; როცა სკოლები ცრუობენ...

შესაძლოა, იგივე ხდება ზელოვნების სხვა სფეროშიც. — მწერლობაში, მუსიკაში. დევიდმა არ იცოდა ეს. ის იცოდა, რომ სული სტკიოდა. ვერ იტანდა თავისსავე თავს. კასტრაცია, საჭურისის ტრიუმფი, ზედავდა. რაც იფარებოდა ბერიკაცის უხეში იერიშების მიღმა, „გერნიკაზე“ გესლიანი დაცინვის მიღმა, ბუხებისა და რეალობის არად მიჩნევამ საშინლად დაამახინჯა მხატვრისა და მა-



ყურების ურთიერთობა: ახლა მხატვრები ინტელექტუალებისა და თეორეტიკოსებისთვის ნატავენ. ხალხისთვის არა, და რაც ყველაზე უარესია, თავის თავისთვისაც არ ნატავენ. რალა თქმა უნდა, ამას მოსდევს დივიდენდები — ფული თუ პოპულარობა, მაგრამ ადამიანის სხეულისა და მისი ბუნებრივად აღქმის უგულებელყოფა ბიწიერების წრესთან, მორევთან, არარაობა-არყოფნასთან მივიდა, და მხატვარიც და კრიტიკოსიც ერთ რალაცაშეკრთნებულ ბიახ: რომ მხოლოდ ისინი არსებობენ და ნიშნავენ რამეს. კარგი საფუძველი ყველა ნაძირალასთვის, ვისაც ფეხებზე ჰკიდია ყველა.

ასეთებს ფარივითა აქვთ აფარებული: ყველა ახალ მიმდინარეობას „ლიად“ ვეგებებითო, და ივიწყებენ აღქმისა და პროგრესის საოცრად მზარდ სისწრაფეს და იმასაც, თუ რა ჩქარა გადავიდა ავანგარდიზმი art pompier<sup>51</sup>-ში, თავხედურსა და უხამს ხელოვნებაში. და მხოლოდ ცალკეულ მხატვართა აბსტრაქტული შემოქმედების ბრალი კი არა, ომისშემდგომი სკოლების უწყვეტი ჯაჭვის ბრალია ეს: აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი, ნეობრიმიტივიზმი, ოპ არტი და პოპ არტი, კონცეპტუალიზმი, ფოტორეალიზმი... il faut couper la racine,<sup>52</sup> კარგი, მაგრამ ასეთ ხელოვნებას, უფესვებოს, ორბიტაზე გასულს გაყინულ სივრცეში, — აზრი არა აქვს უკვე. ახლანდელი მხატვრები რალაც მღრნელებს, ლემინგებს თუ ჰგვანან. თავისდა დასალუპავად Lebensraum-ს<sup>53</sup> რომ მოსდევდნ არქტიკულ ზღვებში და უძირო ღამეში, თავიანთი ილუზიის გარდა, ბრმანი არიან ყველაფრისადმი.

აბანოზის კოშკი.

მის უღიმღამო გონებას თითქოს საოცრად აყოლილი ცა მოიღრუბლა. როცა იგი ილ-დე-ფრანსს მიუახლოვდა და შარტრის მოსაწყენ გზაზე გავიდა, რომელსაც აქეთ-იქიდან მომკილი ყანები მიუყვებოდა, ზაფხული მოკვდა დაიწყო შემოდგომა. ერთი წელი იცოცხლა მხოლოდ: ყველაფერი გადაყვითლდება, სასაცილოაო, თავის თავს უთხრა და, გულდამძიმებული იყო მაინც.

ბოლოს პარიზის გარეუბანს მიაღწია. მიხვეულ-მოხვეულ ქუჩაში უნდა გაეკვლია გზა, საკუთარ სულში ფათურს თავი ანება, ექვსი იყო დაწყებული, როცა ერთ ოტელთან გაჩერდა, ორლის ახლო. ოტელს თითქოს არა უშავდა რა. პარიზში შესვლა ბეტს და დევიდს არ უნდოდათ, არდეში უნდა წასულიყვნენ, იქ ერთ მეგობარს კოტეჯი ჰქონდა; კიდევ ერთი დღე მგზავრობა ელის. მაგრამ მანამდე შეისვენებს, ხვალინდელი დღის შიში ჰქონდა, კარგს არაფერს უქადის იგი, არანაირად.

მზაპი მიიღო და თავი აიძულა შესავალი წერილის მონახაზი გადაეკითხა წიგნისათვის „პენრი ბრესლის ხელოვნება“, ვიდრე ჯერ ისევ ცინცხალი ჰქონდა შთაბეჭდილება, და ენახა, თუკი რაიმე იყო შესაცვლელი, და რასა სჭიროდა ყურადღების გამახვილება. უიმედოა, ფრაზები და სჯა-ბაასი, სულ ორი დღის წინ ასე ძალიან რომ მოსწონდა... სისულელეა, აბდაუბდა, ბანალურობა, პროფესიული ყარგონი, პრეტენზიულობა, კოტმინეს რეალობა ამ მყვირალა სიტყვების მიღმა წამოიმაართა, საწოლზე მიწვა და თვალები დახუჭა, კოტა ხანში წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და გარეთ დაიწყო ყურება. ნრავალი წლის მანძილზე პირველად იგრძნო, რომ საცაა, უკვე იტირებდა, აბსურდი, აბსურდი, მოკვდება, კიდევ თუ არ ნახა, საწერი ქალაღდი მოიძია, მაგრამ

51. ბანალუოი, შაბლოზური ხელოვნება.

52. უნდა გადაჭრა უფსვი.

53. საოსებო სივრცე.



ვერსადა ნახა, ასეთ ოტელეებში ქაღალდი არ არის, აქ ერთი ლამის გასათევად და ჩერდებიან თავისი ბლოკნოტი ამოიღო, მაგრამ მხოლოდ ჩამოჭდა და ზედ დააშტერდა, წერა ვერ შეძლო, ამისი თავი არა ჰქონდა, იმ მხატვარი-ვით, — როცა ხატავს, მაგრამ იცის, სურათი არ გამოდის და უნდა, რომ მოშორდეს, არც მოიხედოს, და თავის თავშიღა ჩაიკეტოს, რადგან უკვე სხვა არაფერი შეუძლია.

ერეკლესი

საფუძველთა საფუძველი კი იმის შეცნობა იყბა, რომ ასეთი ღარჩება მუდამ, არ შეიცვლება; როგორც ადრე ხატავდა, მერეც ისე დახატავს, დაივიწყებს ამ ღლეს და იპოვის მიზეზს, რათა სხვა ახსნა მოუძებნოს ყველაფერს. გადარეულ მგზავრს დაარქმევს თავის თავს და შელავათს მისცემს. კრილობა შეზორცდება, და ბოლოს კანი ისე გადაეჭიმება, გეგონება, არც არაფერი მომხდარიყოს საღმა აზრმა შეიწირა, მართლა არ დაიჭერა შანსისა და შემთხვევა ვერ გამოიყენა; მოგვიანებით ეტყვის თავს, რომ კარგად მოიქცა მაშინ, ძალიან გონივრულად; ცეცხლის ალი, მას რომ მოხვდა, ოცნებაა, წარმავალი რაღაც სიზმარი, რეალობა კი კიდევ ერთი იდეა და ჩანახატია, რაზეც ფიქრობს და რაც საჩელოსნოს კარადაში შეყრილ მის ძველ ესკიზებთან დევს.

ეს მერე, მაგრამ მანამდე დევდიმა იცოდა, რომ უარი თქვა (თუნდ აღარასოდეს ენახა დაიანა) ისეთ შანსზე, მის ცხოვრებას რომ შეეცვლიდა, ხოლო ის, როგორ გაუძლებს დროს და ხარისხობრივად რა იქნება, რასაც შექმნის, ამ ამბის მიღება-აღიარებაზეღა ჰკიდიო, დაგვიანებულ, მაგრამ მწვავე შურს გრძნობდა ბერიკაცის მიმართ, რაღა თქმა უნდა, ყველაფრის თავი და თავი მაინც ის არის, რითაც დაიბადე: ან გაქვს ქარბი და მკაცრი ეგოცენტრიზმი, გაქვს უნარი ერთმანეთს გააშორო ფიქრი და გრძნობა, ანდა არა გაქვს, დევდიდს არ ჰქონდა, აუტანელი და შურისმაძიებელი უსამართლობა კი ის იყო, რომ ხელოვნება ღრმად ამორალურია, როგორც გინდა ისე ეცადე, საშველი მაინც არ არის, მაინც წაგებულნი ხარ, ყველაფერი ღორებს და არა იმას, ვინც იმსახურებს, კოტმინემ შეუბრალებლად დაანახვა, რომ როგორიც გაჩნდა, ისეთივეა და ისეთივე იქნება: წესიერი და სამუდამოდ წყალ-ღვინო კაცი.

ეს აზრი დიდხანს ღრღნიდა უჩუმრად, ვიდრე გონებას ჩაებეჭდა, ფანჯარასთან იდგა, გარეთ ფინჯილავდა, სახურაეების დაღვრემილი ზღვის თავზე თითქოს ცა გაიყო; მიაშტერდა, წაშლილი პარალელი, რასთანაც ახლო იყო თვითონ, და ლივლივა ხაზი, რაც შეიძლება ყოფილიყო.

ორლიში ჩამოვიდა და გაიგო, რომ თვითმფრინავი ნახევარი საათით იგვიანებდა, პითროუში ნისლია თურმე, დევდიდი ვერ იტანდა აეროპორტებს, იმ ბევრ ხალხსა და გულგრილობას, უცხოობას, რაღაცა საფრთხეს; მოსაცდელი დარბაზის ფანჯარასთან იდგა და სევდიან შორეთს გაჰყურებდა, მწუხრი, კოტმინე სხვა სამყაროში იყო; ერთი და მარადიული დღის სავალი გზა, სცადა და დაენახა, წარმოესახა, რას აკეთებდნენ ახლა, დაიანა სუფრას შლის, ენს ფრანგულის გაკვეთილი აქვს, სიჩუმეა, ტყე, მოხუცის ხმა, მაკმილანის ყეფა, იტანჯებოდა იმ კაცივით, ვინც დაკარგვის საშინელებას უძლებს; იმის დაკარგვის არა, რაც ჰქონდა, არამედ იმის, რაც შეიცნო, რას ამბობდა დაიანა, რას გრძნობდა იგი, რას ფიქრობდა, ეს ტკივილი ღრმად მსკვალავდა, უფრო ღრმად, ვიდრე ხელოვნებაზე, ანდა თავის ხელოვნებაზე და თავის ბედზე ფიქრი, კოტმინე რამდენიმე საშინელ წამში თავისი თავიც დაიანახა და კაცი.



ბრიობის სახეც ნათლად დაუდგა თვალწინ. თითქოს რაღაც შინაგანი ხმა, რაღაც მბუტბავი. იმედი ხსნისა, გადარჩენის, თავისუფლების ეს იმედი აქეზებდა. რათა დაეწვა ხომალდები, დაბრუნებულიყო. გაქცევით ეშველა თავისათვის. მაგრამ ხომალდებზე, ძველი და დიდი მხატვრებივით რომ უბღუბდნენ ცეცხლს, ყველანაირ ცეცხლს, მისი გრძელი ჩრდილი იყო; უმოძრაო, წინ მიმართული, შინისაკენ მიბრუნებული, ახალგაზრდა ინგლისელი ქართველი და შორს, დასაფრენი ბილიკის სინათლეებისკენ მიეპყრო მზერა.

თვითმფრინავის ჩამოსვლა გამოაცხადეს და იქითკენ წავიდა, საიდანაც ბეტს დაინახავდა. ბეტის ბარგი მანქანაში ჰქონდა დევიდს, თვითონ წამოიღო, ამიტომ იყო. პირველ მგზავრებთან ერთად რომ გადმოვიდა ბეტი თვითმფრინავიდან, ხელი დაუქნია. დევიდმა ხელი ასწია. ახალი პალტო, სიურპრიზი დევიდისათვის, ტანის ოდნავ რხევა, რომ ეჩვენებინა, დაენახა დევიდს. მხიარული პარიზი: თავისუფალი ქალი, თანაც დახეთ, უბავშვებოდ.

დღევანდელი დღის უღმობელოებით მოდის, სახეზე მშვიდი სიამოვნება აღბეჭდვია. სულაც არ უკვირს მისი დანახვა. ცხადია, უნდა დახვედროდა. დევიდმაც ასეთივე რწმენა გამოიხატა სახეზე.

ბეტი მისგან რამდენიმე ნაბიჯზე ჩერდება:

„ჰელო“.

ტუჩებს იკვნეტს.

„ერთი ისეთი საშინელი წუთი მქონდა“

ჩერდება.

„როცა ვიფიქრე, ჩემი ქმარი აღარ იყავი“

რეპეტიცია გაუვლია. დევიდი იღიმება.

ტუჩებში კოცნის.

ერთად მიდიან, ბავშვებზე ლაპარაკობენ.

რაც ხელში შერჩა, იმას ნებდება დევიდი: აბსტრაქციას.

დევიდს ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს ფეხებს ძლივს ადგამს, თითქოს სულ ახლახან ოპერაცია გაუკეთეს და სიარულის ეშინიაო; დაბინდულ ცნობიერებაში რაღაცა სხლტება და შეუბრალებლად უკან იხევს. სახის მოზაზულობა, მოოჭროსფრო თმა, მოხურული კარი. მე თვითონ მიხდოდა, როგორც ძილში. ეს იზმრა, მაგრამ არ ახსოვს რა. ჩაბშობილი კივილი, გათელილი დღე.

ბეტი: „ძვირფასო, შენ როგორღა ხარ?“

„სოცხალი ვარ“





ბ უ ლ გ ა რ უ ლ ი დ ა ნ

თარგმნა მედეა კახიძე

### პროზა

ყამი მტვრად აქცევს  
მთასა და მწვერვალს  
შრება წყალი და  
რკინას ქამს ეანგი.  
რა ვქნათ!  
რაგვარად შემოვინახოთ.  
ალერსის სიბოლ,  
გრძნობა გულისა?  
მე ვუფრთხილდები  
გრძნობებს, როგორც  
ლიცლიცა ქურჭელს,  
ვით მყიფე მინას  
და ჩაეშვს უმწეოს.

არა და დრო თავს დამკაბჭახებს  
ელვა-ქუხილით.  
ვაიელის ხანი,  
ბელს შეგახებ უფრო გულგრილად,  
შეგბედავ როგორც სიცარიელეს.  
რას იზამ, ეანგი  
ქამს თვით რკინასაც,  
ნურაფერს მეტყვი.  
არ გინდა სიტყვა!  
ერთს გათხოვ:  
ვიყვარდე.  
ველავე ვიყვარდე.  
უფრო ვიყვარდე!

### სათუთნი

განა ყოველთვის  
პირველები გარშვიან ბოლმე,  
უმწეო ხალხის მისაშველებლად  
ყოჩაღები და დაკუნთულები.  
ისინი ჩხუბში  
რომ გადევნენ,  
ბშირად შესაფერ წუთებს უცდიან.  
მოძალადეებს,  
თავბედებს,  
ბრიყვებს,  
ან მოსაკლავად შემართულ დანას  
ყველაზე ბშირად  
წინ უდგებიან,

უფრო ნაზად და კულსათუთად  
გამოზრდილები.  
ისინი ჩვენში იწვევენ სიცილს,  
დაუფიქრებლად როცა გარბიან,  
შეტრაცხუფილ ქალის საშველად.  
ისინი თავით არღვევენ კედელს.  
სხვათა შეცდომის გასასწორებლად,  
მაგრამ სათუთად  
მგრძნობიარე, შათი სულები  
ქცნება ადვილად  
ნაადრევი ყვავილის მსგავსად.  
და გულგრილობის მსხვერპლნი  
ხდებიან.



როს დაჰკრავს ჟამი  
ჩაჰბერავენ უკანასკნელ შეტევის  
საყვირს,  
ყველამ ქუდები მოიხადეთ.

არ ელოდნენ ისინი საყვირს.  
არამედ იყვნენ თურმე სათუთნი  
სათუთნი, როგორც თოთო ბაღში.



## პოეზია

შენ პატრონი ხარ  
პაწაწა მინდვრის,  
თუ გსურს დატოვე ველურად იგი  
თუ გსურს მობანი მიწა ყამირო,  
გათხარე ბელით,  
თესე სინაზე და სიძულვილი,  
და მერე მომკე მზურვალე რკინით.  
მე პატრონი ვარ  
პატარა მინდვრის...  
მეფერის სუნთქვა და  
ვეცემი ხნულში.  
რომ კვლავ წამოვდგე  
და მზურვალე ბელისგულებით  
მიმოვაბნო ხნულში მარცვლები.  
კვლავ კვალში ვდგევარ,  
რადგან დღე მიდის  
ხოლო ეს ჩემი მცირე მინდორი  
სიდიდით სჭარბობს თვით დედამიწას,  
ჩემი მარტოხმა გაითოშება  
თქვენი ვულების სითბოს ვარეშე-  
ხალხო!  
ჩემი ფრინველი  
კლდის არწივი არ გახლავთ იგი  
ჩიორაა და დასაჯდომად  
სჭირდება ტოტი.  
მას სურს იყნოსოს  
პურის სურნელი

და ბუზრის კვამლი,  
ჩემს ჩიტს სჭირდება  
ხის ქვეშ შეყუჟულ  
შეყვარებულთა ალერსის ცქერა.  
კიდევ ის უნდა  
დაღლილი კაცი ეწეოდეს  
სიგარეტს შვებით,  
ქალი აკვანში არწევდეს თოთოს.  
ჩემს ჩიტს სჭირდება  
კარგი მსმენელი  
ბაღში ტკბილი ხმით  
რომ იგალობოს.  
ადრე მიყვარდა  
ფარჩა - სტავრის მოსასხამები.  
მდიდრული სტავრა  
კაბა კონტად ნაოქასხმული.  
ოქროს წკრიალი.  
აწ კი ვიძარცვავ  
ბრძნულად ყოველს  
რაც ზედმეტია.  
ვიდრე სიტყვა არ გამობრწყინდება.  
ვიდრე ჭიუტად  
არ მოვიძევ აზრის იმ ფორმას  
რომ სიტყვამ გასჭრას  
ვით მახვილმა, ვით ორღესულმა  
ოპ. რომ შემეძლოს  
რომ შემეძლოს ყოველთვის ასე.

## სამართალი

ხან იგვიანებს სამართალი  
როგორც წერილი  
რომელსაც უკვე არავინ ელის.  
რადგანაც  
წლობით დაყოვნდა გზაში.  
ადრესატი კი  
სამუდამოდ წავიდა სხვაგან.

ჯოგჯერ ისედაც  
ხდება ხოლმე,  
რომ სამართალი  
კაცს ესტუმრება.  
როგორც თივას წვიმა შხაპუნა.  
რომელსაც უკვე  
აღარ ძალუძს აყვავილება!



მე, თვალთუხილავ  
ჯავშანს ვატარებ.  
ჩემი თარია  
ჩემივე მძიმე სვედრი და ტვირთი.

მწამს სამართალი იცოცხლებს მარად,  
ოღონდაც სულზე უნდა მოგისწროს  
ოღონდ,  
არ უნდა დააგვიანოს!



### შეგარეგული ცოლ-კმარი

ეროვნული  
გიგლირთქვა

როგორც ორი ხე  
ერთმანეთთან შებერებული  
აყურადებენ როგორ ქრება  
თვალს და ხელს შუა  
წუთისოფელი.  
მათი მზე უკვე გადიწვერა.  
მზე განა ათბობთ, მხოლოდ უნათებთ  
ის ერთი ჩიტიც გაუფრინდათ  
უკვე ტოტიდან.  
ისინი ღუშან,  
ალარ დარჩათ სათქმელი რადგან.  
საკმარისია მათი მზერა  
შეხედეს ერთმანეთს  
იციან რა სურთ.  
მათ ერთნაირი გასჩენიათ  
ხელზე ლაქები.  
ორივე უკვე  
ერთნაირად დაქანცა გზებმა,  
დაბერილ ძარღვებს  
არ უღელვებთ ჩამცხრალი სისხლი,

როგორც ორი ხე  
ერთმანეთზე გადაქდობილი  
ისინი ისე შეზრდიან ერთურთს.  
ერთი მათგანი წაიქცევა  
ვიცი პირველი,  
კერძი გახდება  
ბალახის და კიანჭველების  
ის აქ დამრჩომზე აღარ იფიქრებს,  
თავს კარგად ივრძნობს.  
მაგრამ ბრალი მას, ვინც აქ დარჩება,  
იბორიალებს მიწაზე ვით  
მეხდაცემული,  
ღლითა და ღამით სიცოცხისგან  
ანათროლოები,  
მოკვდება, თითქოს  
ხმლით უწყალოდ იყოს დაქრილი.  
მაგრამ შენ ამბობ,  
რომ იქამდე გზა ჯერ შორია,  
შორია, მაგრამ სიმართლევე ხომ  
შორიდანაც შესაზარია!

### ღირსეული ადამიანები

ისინი როგორც ალმასები  
ისე ბრწყინავენ,  
გვხვდებიან ძალზე იშვიათად  
ვით ალმასები.  
ისინი ქვებში და ქვიშაში მიმოზნეულან,  
და უსასრულო არის მათი  
შუქურ-ნათელი.  
ჩემთვის ისიც კი საკმარისია,  
რომ არსებობენ ისინი ქვეყნად,  
სწორედ ისეთნი, როგორიც მე ვარ  
ჩვეულებრივნი და მიწიერნი.  
ჩემთვის ისიც კი საკმარისია  
ზოგჯერ ეკლებით მოკირწყლულ  
რომ ფეხს მიწყოფენ.  
არ ვიცი სისხლი მივივის ხოლმე

თუ გული გულს სცნობს.  
ქვეშეცნეულად  
ვცნობ გულალალ ადამიანებს.  
მათი თვალების სითბო ალბათ  
იღვრება ჩემში,  
და ამის საბაბს  
მაძლევს მათი უბრალოება.  
ვინ იცის იქნებ, უცხო სიკეთემ  
მეც გამიქარწყლოს  
ტანჯვა-ტკივილი.  
და არ ვკითხულობ  
ბევრნი არიან თუ ცოტანი  
ამნაირები.  
გზაზე ჩემთვის ისიც კი საკმარისია,  
რომ არსებობენ  
ისინი ქვეყნად!



### გაქცევა

როცა გუნება მიმძიმდება  
და სევდა მიპყრობს,  
მწარე ღიმილით ვტოვებ სამყაროს,  
ჩითვის კაბაში გამოკრული და  
ფეხშიშველი სულს ვგავარ ბოთლში  
ღობეს უეცრად გადავევლები.  
მინდორში ვბტები,  
რომელ მინდორსაც  
კაცის თვალი არ შეჩებია.  
აქ ყველაფერი სხვაგვარია,  
უცნაური და მოულოდნელი,  
და ახლებურად არის შექმნილი,  
სულ სხვა დროში და სხვა ვარემოში.  
ვით მზესუმზირა  
მზეც იმკვარად თავს ატრიალებს,  
მდინარეები ისევ უკან უბრუნდებიან  
ციცოველა და ანკარა წყაროს,  
გვიმრები ჰყვავის დიდმშვენრერი,  
თაფლის სურნელი ასდის კბილებს,  
სულს ვგავარ ბოთლში გიგანური  
მოუხელთებელს.  
ცვალებად ღრუბელს,  
ნიავეს ვგავარ უცებ მოვარდნილს.  
ვარ გაბნეული ყველა საგანში,  
რომელიც ჯერ არ დაბადებულა.  
გაციკროვნებულ ციდან მოწყვეტილ  
შუქურას ვგავარ,  
და მაგიწყდება, რომ ამ მინდორს  
ჰქონდა  
მესერი...

### ლექსები მამულზე

ზოგიერთისთვის ის არსებობს  
მხოლოდ იმიტომ,  
გადათქერონ და გადათელონ,  
უმუჯლუგუნონ,  
წაქცეულს შედგნენ  
და უღმობლად გადაუარონ.  
სხვებისთვის ისე პატარაა მათი სიდიდე  
ვერც კი ეტევა მის სიმცირეში:

მიწაა სულ მთლად! — ერთი მუჭა —  
ველურ ბორცვებზე მიმობნეული, —  
ან თუნდაც ერთი გადაწიტება!..  
მაგრამ ეს მიწა ირწყევა და  
ირხევა გრძნობით,  
როგორც ყურს მოჰკრავს  
დუნაზე ნათქვამ სიმღერას,  
ეს მიწა გვიწვავს ფეხისგულებს  
ვით ნაკვერჩხალი,  
და მუხლს მოუყრის მშობელ მიწას  
თვით ვოევოდაც,  
დენთიანი და სისხლიანი ტუჩებით  
კოცნის  
ვით მშობელ დედას, ჯვარს უწმინდესს  
პურსა და სატრფოს.  
ეს მიწა-წყალი არწივების საბუდარია!  
ამ მიწა-წყალის სიყვარულით  
ვარ გულდამწვარი.



შენ რომ გაგთოკონ, ჩაგქოლონ ქვებით  
და ზერზემალში გადაგტეხონ  
შეუბრალებლოდ.  
ძალას მოვიკრებ, სიძულვილად <sup>ეროვნული</sup>  
გადავიქცევ, <sup>გმირული</sup>

ჩემს უოქმელ ბაგეს  
შხამიანი დასცდება წყევლა.  
შემეკუმშება გული როგორც  
შურდულში კენჭი.

ვისაც ერთხელაც არ მომიკლავს  
ჩიტი ნიბლიაც.  
ასე პატარა, ასე მშიშარა  
ვიქცევი რისხვად,  
თუ ენის მოკრას მომიხჯიან  
შენს ხსენებაზე  
დავდგები შუა მოედანზე.  
შენი სახელის ძახილს დავიწყებ.  
და თუ მეტყვიან,

„გაიქეცი გადარჩებიო!“  
ფეხებს წარვიკვეთ,  
ხელებგაშლილი დაგემხობი,  
დაგეფარები.  
იქნებ როგორმე  
ჩემი მკერდით გადაგარჩინო,  
ჩემო სამშობლო!





## თავი მეცამეტე

ტყეში ჯერ ფრონტის გასწვრივ გარბოდნენ, მერე ჩქარი ნაბიჯით გაუყვნენ გზას. შესასვენებლად არ ჩერდებოდნენ, — მარჯვნიდან განუწყვეტელ გრგვინვად მოისმოდა მახლობელი ბრძოლის ხმები, ზოგჯერ ტყის პირს აფეთქებათა გრუხუნის შეძრავდა ხოლმე, მარცხნიდან კი დილის სიჩუმე გამოძახილით ეხმიანებოდა ნისლით მოცულ ულრან ტყეს.

ხელშეხვეული ილია მომართულივით მიაბიჯებდა წინ, არც ბრძანებებს იძლეოდა, არც ვინმეს აჩქარებდა, არც დანარჩენებს გამოხედავდა ხოლმე. ოფლიანი გიმნასტურა ბეჭებთან ჩამუქებოდა, ბრუნების ჩექმებზე, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ ახალი იყო, შემხმარ ტალახსა და მტვერს წიწვის ფენები მიჰკრობოდა, გახსნილი ბუდე წარამარა ედებოდა ბუჩქებს, მარჯვენა თეძოზე ეთრეოდა და იქიდან დამბახის სახელური მოჩანდა.

ვლადიმირი უკან მიჰყვებოდა. ლოდით აწვა გულზე ილიას შეუღწეველი სიმშვიდე, ეს მდუმარე განცალკევება, რომელიც ყველას დაუფლებოდა, ვინც მას მისდევდა, დამორჩილებული ვოროტიუკის ბრძანებას, რომელმაც რამდენიმე საათის სიცოცხლე აჩუქათ იმის ცდისათვის, რომ ალყიდან გამოეთრიათ ქვემეხები. „როგორ გამოვათრიოთ? უცხენებოდ? ხელით? მერე გერმანელად?“ სულ უფრო დაეინებოთ, აბეზრად უტრიალებდა გონებაში ფრაზა, რომელიც იქ, მაღლობზე უთხრა ვოროტიუკმა ტელეფონით დივიზიის მეთაურს, რომ პოლკის ბატარეა დაიღუპა, და ვერ გაეგო არტილერიისტებს იცავდა ამ ფრაზით თუ ასე უფრო ადვილად გაიმართლებდა თავს მსროლელთა ბატალიონების უკანდახვევისათვის და ასე უფრო ადვილად გაიმართლებდა გერმანელების მიერ სადგურის ხელში ჩაგდებას.

— ილია! — დაუძახა პირგამშრალმა ვლადიმირმა, ფეხს აუჩქარა, დაეწია და ძლივძლივობით ამოთქვა: — უქვემეხებოდ ვერ დავბრუნდებით. მაგრამ არც იდიოტები უნდა ვიყოთ: სამ ქვემეხს ზურგით ვერ გამოვათრევთ ალყიდან. რა ვქნათ?

— უნდა დავიხოცოთ, — გულცივად უთხრა ილიამ, და ვლადიმირი განაცვიფრა გაწელილმა ღიმილმა, რომელმაც ოფლში გახვითქული ლოყა დაუშვანკა. — რომელი ტყვია უფრო ტკბილია, პა? გერმანული თუ რუსული. პა? — გაიმეორა ვოროტიუკის ნათქვამი, რომელიც ეტყობა, არა და არ შორდებოდა თავიდან. — არა, ცოცხლები იმას არ ვჭირდებით. მან უკვე მოახსენ-



ნა უფროსობას, რომ გმირულად დავიღუბეთ, ტანკების მუხლუხებით გაჰყლეთილენი, და მხოლოდ ამიტომ დაიკავეს ტანკებმა სადგური. ჩვენი სიკვდილი მისი გამართლებაა, ვალოდკა, ვოროტიუკი არასოდეს უკან არ იხევს. ჩვენ ქვემეხებთან ერთად დავიღუბეთ, გაიგე?

— მეც მაგას ვფიქრობ.

ყველაფერი დღესავით ნათელია, ვალოდკა, ჩვენ ვაგვიმარტეს.

ილიამ ჭუჭყიანი ბინტით შეხვეული მარცხენა ხელისაგან ოფლი ჩამოიწურა. გაზინთული შეწებებული თმა ამას წინათ აკურატულ, ახლაც გათხერილი ქუდის წინაფრის ქვეშ წემალა. მერე უცებ მკვეთრად შემობრუნდა უკან და იქით გაიხედა, საიდანაც ხრინწიანი ძაბილი მოესმა:

ლეიტენანტო, ლეიტენანტო!

ამ ძაბილზე ყველანი შეჩერდნენ. სულს ძლივს იბრუნებდნენ იმით შემოებულნი, რომ სადღაც, ეტყობა, გერმანელები აღმოჩნდნენ. უკან იხედებოდნენ, იარაღს იმარჯვებდნენ, რათა უკანასკნელად გამოეყენებინათ. გაისმა შემოთხუთებული ხმები:

— რა მოხდა? ვინ იძახის? ეჭვი, რა მოხდა?

ხოლო ის ორი, სულ უკან რომ მოდიოდნენ, მარცხნივ გადავიდნენ, თხილის ბუჩქებისაკენ. სოკოსავით ჩასკვნილი სერჟანტი შაპკინი გამხეცებით ურტყამდა ლაზარეს მუცელში გერმანული ავტომატის ლულას და თან მუჭარით უბრძანებდა: „ხელები, ხელები!..“ — ის კი, თითქოს ეწინიო, ხელებს მალ-ლა სწევდა და ღულუნა ბანით ფრთხილი, პირფერული ხითხითით ულაზართოდ ეუბნებოდა:

— გამოჰკარი, გამოჰკარი ჩახმახს, მესროლე, მომკალი, თუკი შენ, ქრისტე-კაცო, სიმართლე იცი! მაგრამ ვაითუ შენი სიმართლე შარვალსა ჰგავს და შიშველ უკანალს გიფარავს!

— არამზადავ! — შესძახა ბრაზისგან აკანკალებულმა შაპკინმა და კიდევ უფრო ძლიერ ამოჰკრა ავტომატის ლულა მუცელში. — უპ, შე მოლაღატვე! რაები მოუჩმახე მაიორს? ნდობის მოპოვება გინდოდა? ლეიტენანტის ჩაგდება გინდოდა, შე ბოროტმოქმედო, შენა? გინდოდა ყველანი ჩავვარდნილიყავით? აბა, ძმებო! აქ მოდიო! — ბრძანება გასცა შაპკინმა და ცისფერი თვალები მრისხანედ შეავლო შეჩერებულ არტილერიისტებს. — ლეიტენანტო, აქ მოდი! დაე ამ გათახსირებულმა ყველას უთხრას, რას გვემართლებოდა! ყველას უთხრას!..

ადგილიდან არავინ იძროდა, დაძაბული იდგნენ და ღუმდნენ. სულს ძლივს იბრუნებდნენ და გაფაციცებით იყურებოდნენ აქეთ-იქით. არავის არ ჰყოფნიდა ნებისყოფა, ამ შურისმაძიებლური სიძულვილისთვის მიეხარჯათ დარჩენილი ძალ-ღონე, გულში რომ უდუღდა შაპკინს, ვინც უეცრად შეიგნო, თუ რა მოხდა მალლობზე.

ხალისიანი, ყოველგვარი ხუმრობისათვის მზადყოფი ბავშვური სახე შეწლოდა, შუბლზე წურწურით ჩამომდინარე ოფლი აძგიბულ წარბებში უჩერდებოდა. იგი განრისხებული გაჰყვიროდა:

— სული რომ გააფრთხოვინო, იმის ღირსია, ლეიტენანტო! მაგან შენ ჩაგაგდო, თავსლაფი დაგასხა, ბატარეის მეთაურო. შური უნდოდა ეძია შენზე, ვიცი, რისთვისაც! სხვისი გარჯით სურდა სამოთხეში შესულიყო ამ მურდალს! თურმე ყველაზე მამაცი ყოფილა ჩვენ შორის, უნდოდა ტანკს ჩავარდნოდა



და ბრძანებას შეუშლია ხელი! აბა, ხელები მაღლა, მაღლა, თორემ მთელ ჯერს დაგაყრი მუცელში, შე გათახსირებულს!

გამბაგებული, ზიზღით აღვსილი, ხიშტივით ურტყამდა ლაზარეს მუცელში ავტომატის ლულას. „საიდან აქვს ავტომატი? სად არის მისი გერმანული კარაბინი?“ ფიქთან მიმწყვდელ ლაზარეს ხელები მაღლა აეშვირა და თვალს არ აშორებდა შაპკინის მოხრილ თითს, რომელიც, როგორც ეჩვენებოდა, ყელს უფრო შესამჩნევად აწვებოდა ჩახმანს, და, აცახცახებული, ცდილობდა სახეზე ჩვეულებრივი უპირატესობა შეენარჩუნებინა, თან საქციელ წამხდარი ისროდა სიტყვებს:

— შენი დამცველია, ბატარეის მეთაურო, ერთი თვალი ჩაუკარი — მომკლავს... შენდა სასიხარულოდ, ფრიცივით ამაწვევინა ხელები, ამნაირი ხალხი უნდა დააფასო. შენ თვითონ ხომ ხელი ჭტკივა!...

ილიამ მოკლედ და რიხიანად წარმოთქვა ბრძანება, რომელმაც ექოსავით გაიფლერა ტყის სიმყუდროვეში:

— თავი დაანებე მაგ მძორს! შაპკინ!

და მოწყურული თვალები შეავლო ლაზარეს, მის გაბანჯგვლულ ყბებ-ვანიერ სახეს, მის კუნთმაგარ გულმკერდს, რომელზედაც ლილისფერი სვირინგი ჰქონდა გამოსახული, გიმნასტურის გაღებლილი საყელოდან რომ მოუჩანდა, დეკეულის ტყავის ჩექმებს, მგლის მუხლებამდე რომ სწვდებოდა, უხალისოდ უთხრა შაპკინს, რომელსაც ავტომატი მაშინვე არ დაუშვია:

— კიდევ მექნება დრო მაგის სიმამაცის შესამოწმებლად.

ილიას ამ დაყოვნებულ ხმაში იყო გარეგნული სიმშვიდით დაფარული მტკიცე გადაწყვეტილება შურისძიების გადადებისა, და ვლადიმირმა იგრძნო, რომ თურმე მთლიანად მაინც არ იცნობდა ილიას, მის ვულღრო და თავმოყვარულ სიჭიუტეს.

— ჩემი ჩავდება უნდოდა ამ ბრიყვს ვოროტიუკის წინაშე, — მკაცრად თქვა ილიამ, როცა ისინი კვლავ გაუყვნენ ტყეს არტილერიისტთა გაწელილი მწყრის წინ. — რა სუ-ულელია! რა საშიში არააობა! — მან ხელის მკვეთრი მოძრაობით გასწია თეძოსაკენ დამბაჩის გაბსნილი ბუდე და კვლავ სიმკაცრით თქვა: — ერთსა ვთხოვ ღმერთს: თუ რამე მოხდა... ორი ტყვია მაგისტვის და-მახლევინა და ერთი ჩემთვის... — ილიას გაეცინა და თეთრი მიჯრილი კბილები გამოუჩნდა. — ეს ბ... უნდა დადიოდეს ქვეყანაზე — აარა!...

— ჯანდაბას იქით წასულა შენი ღმერთი! — შეიკურთხა ვლადიმირმა, რომელსაც ილიას ნაწყვეტ-ნაწყვეტი, გულცივი სიცილი ეხამუშა. — მე და შენ ღმერთი ვერ გამოგვათრევენებს ქვემეხებს!

— ყველაფერი შეიძლება მოხდეს, — თქვა ილიამ.

მისი მოელვარე შავი თვალებიდან გამოსჰვიოდა ქედუხრელობა, მაღლობზე მაიორ ვოროტიუკთან შეურაცხყოფელი ახსნა-განმარტების შემდეგ რომ გაუჩნდა, ეს თითქოს უცნობი ილია იყო, გათელილი, ლაჩრობაში, ოფიცრის უსუსურობაში ბრალდებული, ოფიცრისა, რომელმაც ახალი თანამდებობა ვერ გაამართლა, და მთელმა ამ დამამცირებელმა უსამართლობამ პოლკის მეთაურისა, რომელსაც არავითარი მიზეზის ცოდნა არ სურდა, საკუთარმა დანაშაულმაც, იმის გამო, რომ რკინიგზის გადასასვლელის უბანზე ტანკები ვერ შეაჩერეს, ვოროტიუკზე გაბრაზებამაც, ეს უბანი მოშიშვლებული რომ დატოვა და ბატარეა არც ოცეულით გაუმაგრებია, არც ქვეითთა ათეულით აღყიდან ქვემეხების გამოთრევის ამ ბრძანებამაც, რის შესრულებაც შეუძლებელი



იყო, წუხანდელი ბრძოლის ადგილზე დაბრუნებამაც — ყოველივე ამან სულთ ხორცამდე შეძრა ილია. მის თვალებში ჩამდგარი განაცრებული მძვინვარება, ნებისმიერი მოქმედებისათვის მზადყოფნა, ოღონდ კი თავისი დაემტკიცებინა და თავისადმი წინანდელი პატივისცემა აღედგინა, ნერვული, სისხლის გამყინავი დენივით გადაეცემოდა ვლადიმირს და ილიასთან აფრთხებდა, რათა ორივეს გადაედგათ უკანასკნელი ნაბიჯი უსაზომო წყვდიადისაკენ, სადაც ჯერ კიდევ შეიძლებოდა მომხდარიყო სასწაული, რაღაც სპონტანური შემთხვევითობა. მაგრამ ილია სულ მთლად გაუცხოებული ჩანდა. — გასწავლული, უსიამო, გაცხარება იგრძნობოდა მის ხმაში, როცა უცებ მტრული, ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიცილით თქვა:

— უკან გაიხედა. სად მოდის ლაზარევი? მე არ მინდა უკან მივიხედო... რა სისულელეა ყოველივე ეს, ვალოდკა, რა სისულელეა!..

უკან მიხედვისა აღბათ იმიტომ ეშინოდა, რომ არ უნდოდა ვინმეს დაენახა მისი უჩვეულო, აცახცახებული სახე. ამ ნაწყვეტ-ნაწყვეტი, მოქვითინე სიცილით და კბილთა ღრეკით დამახინჯებული. ილიამ ვერ შეძლო თავი შეეკავებინა, ქედმაღლური თავდაჯერებულობა დაჰკარგა და ეს ახალი, უჩვეულო იერი რამდენიმე წლით უბერებდა სახეს.

— უკან გაიხედე-მეთქი, შენ გეუბნები! — გაღიზიანებული ბრძანების კილოთი შესძახა ილიამ. — სად არის ლაზარევი?

— ჩვენ მოგვდევდა. რად გინდა, ილია?

— გაიხედე-მეთქი, გეუბნები!

ქუთუთოებზე ჩამომდინარე ოფლი საშუალებას არ აძლევდა ვლადიმირს დაენახა ტყის თავზე გადმომდგარი ივლისის მზე, რომელიც ხეტა კენწეროებში გამოსჭვიოდა და ფიქვების ვარჯებს შავად აჩენდა ნელ-ნელა გაკრეფილი ნისლიდან. ადრიაწი მოციმციმე ნამის ნაირფერი ქაოსი იყო ყველგან — ბალახში, ფოთლებზე, თხილის მკრქალ მწვანე ბუჩქებზე. ირგვლივ ცხოველ ნაპერწკლებს აფრქვევდა ტყე, თითქოს სპილენძის ზარებივით წკარუნებდნენ სველი ბუჩქები, და ამ გაბმულ წკარუნში, შორეულ აფეთქებათა გრილში, ტენიანი წიწვის მწკლარტე სუნში, ცვრით გარეცხილ ჩექმებს რომ მიჰკრობოდა, ვლადიმირმა დაინახა ბატარეიდან გადარჩენილი ხუთი ჯარისკაცი, გაგრძელებულ მწკრივად რომ მოაბიჯებდნენ უკან ორთქლადენილი გიმნასტურებით, სულ ბოლოს მოდიოდა ლაზარევი, რომელიც პილოტურიდან იღებდა გზაში მოკრეფილ ჯერ კიდევ მოუსვლელ თხილს და ნაჭუჭებს ძირს აფურთხებდა.

— მწკრივის ბოლოშია და თხილს აკნატუნებს, ბრიყვი, — თქვა ვლადიმირმა, ნაძალადევად გაიღიმა და დასძინა: — იცი, რა? მოდი ყურადღებას ნუ მიაქცევ ამ საძაგელ კაცს!

— სულ ბოლოს მოდის. მაშ ასე. გასაგებია, — მიუგო ილიამ, რომელიც სხვა რამეზე ფიქრობდა, თვალი მოჭუტა, თითქოს რაღაცას ნიშანში იღებსო, და ჰკითხა: — შენ იცი, რომ ლაზარევი მე მითვალთვალებს?

— როგორ თუ გითვალთვალებს?

— ჰოი, მიამიტო, გამოუსწორებელო მიამიტო! დაინახე, როგორ ეჩურჩულებოდა კაპიტანი გუჟავინი? შეამჩნიე, ერთად რომ მოდიოდნენ?

— მერე რა?

— ჩემო მიამიტო! არასოდეს დაფიქრებულხარ, სად არის მამაჩემი?

— მაგას არა აქვს მნიშვნელობა, თუ რას ვფიქრობდი, ყოველ შემთხვევაში, რაღაცას ვხედებოდი.



- ბედნიერი კაცი ხარ, მშვენიერი ბიოგრაფია გაქვს.
- სისულელეებს თავი დაანებე, ილია.
- მაშ კარგად მომისმინე, ვალოდკა! — ილია მარჯვენა ხელით დაეყრდნო მხარზე ვლადიმირს, ღენტის კვამლით გამჭვარტლულ მის სამხრეთულ მაშ ასე. მე რაღაც იდიოტური გრძნობა თუ... წინათგრძნობა მაქვს... თუ მთელი ამ კატავასიის შემდეგ რომელიმე ჩვენგანი ეოცხალი გადარჩება, დედებს, არავითარი სიბრაღულის მომგვრელი წერილმანები არ მივწეროთ.
- ერთი ღმერთზედაც თქვი რამე... „ღმერთს ვვედრებ“...
- არა! ახლა ყველაფერი გათავებულია, არაფერი აღარ მინდა... ყველაფერი მძულს! მძაგს! წარმოგიდგენია — ჩვენ ლაჩრებად გვთვლიან! საძაგლობაა!.. ნაწყვეტ-ნაწყვეტად თქვა ილიამ და პაერი ღრმად შეისუნთქა. — მაგრამ ვნახოთ, ვნახოთ!.. დაე გვიშველოს თავად ღმერთმა, ეშმაკმა, სატანამ, ანგელოზმა, უკეთურმა სულმა!.. გაიგე, გაიგე? ჰო, კარგი, ჯანდაბას ყველაფერი, სიკვდილზე საშინელი რაღა იქნება! — დამცინავად შეაწყვეტინა ილიამ თავის თავს: — ნადიასთან მაინც თუ გამოვივიდა რამე?
- რომელ ნადიასთან? ა, ჰო... ა-არა, ილია, მაშინ ხომ ბრძოლა დაიწყო.
- შენი უბიწოება და სიწმინდე გულს მიწუხებს, ვალოდკა, ძვირფასო მეგობარო!..

კიდევ იმ წუთებში დაამახსოვრდა ილია, როცა ბოლოს და ბოლოს მაკიდნენ ტყეში ნაცნობ ადგილას, სადაც ორი დღის წინ რკინიგზის გადასასვლელისაკენ მიმავალი გზის მახლობლად მინდორში ქვემეხთა ორთვალეებისათვის საფარი გაეთხარათ: აქ დარჩენილიყო მძიმე თვლების ნაკვალევი ქვიშაზე, ცხენების ნაფლოქვარი ძირს დაფენილ წიწვზე. აქვე შემოესმათ ტყის პირიდან გერმანელთა ხმამაღალი ლაპარაკი, ბარების ჩხაკუნი, სიცილი, ბრძანებისთანავე მიწაზე დაეცნენ, ტევრში შეფორთხდნენ და ფიჭვებქვეშა ბუჩქებში იწვნენ დაღამებამდე, იმ უკანასკნელ წამამდე, რომელიც გააწყვეტინათ ილიას ბრძანებამ, მომყევითო (მან ჩურჩულით გამოიძახა ყველანი გვარების მიხედვით, მხოლოდ ორი ავტომატიანი დატოვა ყოველი შემთხვევისათვის — ლეიტენანტი ვასილიევი და გამტენი კალინკინი), — და ხუთივე ჩაიძირენ ვარსკვლავიანი ღამის ხავერდოვან წყვდიადში. მაშინ ვლადიმირმა უკანასკნელად დაინახა დარჩენილებისკენ მიბრუნებული ბრაზიანი, გაშმაგებული სახე ილიასი, და უკანასკნელად გაიშრილა მისმა მიყრუებულმა ბრძანებამ: „შაპკინ და ლაზარევი — წინ!“.

ხოლო ვლადიმირი კალინკინთან ერთად ტყის პირას იწვა და ორივენი ყურს უგდებდნენ დაბლობის მიყუჩებულ წყვდიადს, საიდანაც მოქროდა ნაკადულიდან მოდენილი სიო, ვაშლის ბალიდან მოტანილი სიგრილე; იქ უკვე აღარ შრილებდა ბაღაბი, მიმავალთა ფეხქვეშ ღრატუნობდა ქვიშა, და მოეჩვენა: ხუთივენი დაინთქენ რკინიგზისპირა სივრცის უძირო სიღრმეში, და ყველაფერი ჩაიძირა კუტკალიების გახურებულ ქრიჭინში. რომელიც ვარსკვლავებამდე აპობდა სიჩუმეს.

„ღმერთს ვვედრებ...“ — მოაგონდა ვლადიმირს ილიას უჩვეულო სიტყვები. ავტომატის კონდაბი მხარზე მიიჭირა, დაბუყებული იდაყვებით გრილ მიწას დაეყრდნო და ახლა ველარ არჩევდა, კონტუზირებული თავი უშუოდ თუ ეს დაღუპვის წინა ღამე. ვარსკვლავები, კუტკალიები უვსებდნენ შუილით ყურებს, და გონებაში უტრიალებდა ერთი და იგივე ფიქრი. „ერთი ქვემეხი



მაინც რომ გამოვათრიოთ მთელი, თავს ბედნიერად ჩავთვლი. ნეტავ გაგვიმართლოს, ნეტავ გაგვიმართლოს, ნეტავ გაგვიმართლოს...”

მერე მათ წინ გაისმა ოდნავ გასაგონი ტყაცანი, დაბლობიდან ვერტიკალურად აფრინდა ვარსკვლავიან ცაში ცეცხლოვანი ბურთი. გაისმა შიშინი, რომელიც სწრაფად გაიზარდა, ქიმიური სინათლის ჩანჩქერი გამოიფრქვა ზეციდან და წყვდიადს გამოსტაცა რკინიგზის მიწაყრილი, ღელეზე გადებული ძელური ბიდი (ამ დროს ღელე მწვანე შუშასავისაა) — გაშვებული შლაგბაუმის ნატეხი გადასასვლელზე, ლიანდაგებზე დასაწყისი ცხენების გროვა, გადაბრუნებული ორთვალა და გადასასვლელიდან ფერდობზე გადაგდებული ქვემების კონუსისებრი სილუეტი. — სინათლის ჩანჩქერმა ყოველივე ეს მოიტაცა და ჩამოწოლილი წყვდიადის უფსკრულში ჩაქარგა. ამავე დროს სადღაც ქვემოდან დაიჭექა და სინათლის ტალღასავით მოედო მიწას მუქარით აღსავსე შეძახილი:

— Halt! Wer ist da? Halt!

„შეგვაძინიეს? გერმანელებს გადავაწყდით? თუ კონტუზიის შემდეგ მომეჩვენა?“

— Ha-a-ah!

არა, ის უკვე აღარ ეჭვობდა, რომ იქ, დაბლა, საითაც ილიამ ჯარისკაცები წაიყვანა, მოხდა გაუთვალისწინებელი რაღაც, რადგან კვლავ მოისმა ტყაცანი, იმატა რაკეტის ევოლუციურმა სისინ-შიშინმა, წინ კვლავ იღრიალა გერმანელის ხმამ: „ჰა-ალტ!“ მერე გადასასვლელის აბლოს გზაზე დაენარცხა და ყავისფერ ფრთებზე გაიფანტა ხელყუმბარა, საბასუხოდ გაღმიდან გამოფრინდა ავტომატის ორი ჯერი, გადასასვლელი გაცხრილეს („ისინი ღელეს მარცხენა ნაპირზე არიან, გალმა გავიდნენ!“), თანდათან მიმქრალ სინათლეში ვლადიმირმა შენიშნა, მთვარისებრი იისფერი ციალით წამიერად განათებული ბალის ჭიშკრიდან ნანტომებით როგორ გამოცვივდნენ წახრილი ფიგურები, სირბილით გაჰყვნენ მიწაყრილს და გადასასვლელისაკენ გაემართნენ, თან უშნოდ მოცელილ ჩრდილებს ტოვებდნენ ფერდობზე („გერმანელები! ნადია როგორღაა ნეტავ! მასთან გერმანელები არიან...“).

— ეს რა ხდება, ეს რა ხდება... ჩვენები გერმანელებს გადააწყდნენ... კაპუტ ჩვენ... აწი ვეღარ გამოვათრევთ ქვემეხებს... — სლუკუნის მსგავსი ოხვრით მიფორთხავდა კალინკინი ქვიშაზე, ფიჭვის ფესურებზე, რომელზედაც ორივენი გართბულიყვნენ, კურდღლისებრ ტუჩს პრუქნიდა და მომხდარი ამბის შეგნებისაგან შეშინებული გრძელი სახე მიეპყრო ვლადიმირისაკენ.

— გაჩუმდი! — ჩახშობილი ჩურჩულით შეუძახა იქ, დაბლობში მომხდარი გამოუსწორებელი ამბით შეშფოთებულმა ვლადიმირმა და სასოწარკვეთილმა წარმოთქვა: — რაკეტას დაელოდე! ბალის ჭიშკარს ხედავ? როგორც კი გამოცვივდებიან, დასცხე! მე მიწაყრილს დავუშენ!

— ეს რა ხდება, ეს რა ხდება...

— შეეშვი მაგ „ხდებას“! რაკეტას დაელოდე და დასცხე!..

არ ახსოვს, რამდენ ხანს გრძელდებოდა ცეცხლი, რამდენჯერ შეაჩერა სასხლეტზე დადებული გაშეშებული თითი იმის შიშით, რომ მთელი დისკო არ დაეხარჯა, რამდენჯერ უბრძანა კალინკინს, დაზოგა ვაზნები, რომ აჩქარების გამო ვაზნები არ გამოლევოდა და ილია დაუცველი არ დაეტოვებინა. ცის თალზე კი ზედიზედ სკდებოდნენ რაკეტები, ღელის თავზე იხლართებოდნენ.

<sup>1</sup> სდექ! ვინ არის მანდ? სდექ! (გერმ.).



გვარდინდებოდნენ ავტომატის მგეზავი ტყვიები, წამდაუწუმ გრუბუნებდნენ გერმანელთა ხელყუმბარები, და ეჩვენებოდა, რომ რაღაც ხმები, გერმანელებისა თუ რუსებისა, გაურკვევლად რიალებდნენ ტყვიების გრიგალით დაფიტულ ჰაერში. და ეს ზუზუნა ქარი სულის შემხუთველი ფრთებით დასტრიალებდა ვლადიმირს, ფიჭვებს ქერქს აცლიდა და მხრებსა და ზურგზე ავრიადა. უცებ ატეხილი წვეტიანი ნაფოტი ჩაესო ხელში. ვლადიმირმა ახსრტყტყნივით რად ამოიძრო კბილებით და წამით შეიგრძნო ხის ფისის გემო. გემოა, გემოა, გემოა... ბული დარტყმის მოლოდინში მაშინვე მიხვდა, რომ ეს იყო მოახლოებული სიკვდილის ნიშანი, მიხვდა, რომ მათ მიწაყრილიდან ესროდნენ გერმანელები და საჭირო იყო დაუყოვნებლივ გამოეცვალათ პოზიცია. კალინკინს გასძახა, სხვაგან გადავინაცვლოთ, წამოხტა. მარცხნივ ტყისპირა ხეებს შორის გაიჭრა, ოციოდე მეტრი გაირბინა და, გაქანებული, მსხვილ ფესურებზე დაეცა მკერდით. სულშეხუთულმა კალინკინმა მის გვერდით მოიღო ზღართან, თან წევოს მომეაგო სუნი შემოასუნთქა.

— ეს რა ხდება, ეს რა ხდ... —

სიტყვის ბოლო ყელში გაეჩხირა, ვლადიმირს სახელოში სწვდა და გაქცევებული სახე მიაპყრო: დაბლობში უკანასკნელი რაკეტა დაეცა, და ყველგან სიჩუმე ჩამოვარდა.

„ნუთუ ეს აღსასრულია? ნუთუ ყველაფერი გათავდა? იქაც? სად არის ილია? სად არიან დანარჩენები? რატომ არ ისვრიან?“

ღამეში მოცურავდა სიჩუმე — მის უწონად მდუმარებაში იკმეოდა დენტის ამაყრეოლი სიმწარე, და მხოლოდ შორეულ ექოდ ირხეოდა კუტკალიების კრიჭინი, და არსად არ ფრენდნენ რაკეტები. მაგრამ შემდეგ გადასასვლელის მეორე მხარეს გაისმა დაძაბული უცხო ხმები, აენთნენ და ამოძრავდნენ ჯიბის ფარნები. სხივთა საცეცები გაიწვდინეს გზაზე, ხიდისაკენ, და მწკრივად შეჩერდნენ. ეტყობა, ღელის ფლატეს მიაღწენ. სხივები დაბლა მიიმართნენ, მარცხნივ და მარცხნივ აფათურდნენ, და მხოლოდ მაშინ, ფარნების ამ შეჯგუფულ მაძიებელ მოძრაობაზე მიხვდა ვლადიმირი, რომ ილია და მისი ჯგუფი ნაპირის საფარიდან ისროდნენ, სადაც გერმანელებმა ზემოდან დააყარეს ხელყუმბარები.

გერმანელები ბორცვზე იდგნენ დ ფარნებით ანათებდნენ დაბლობს, ალბათ მოკლულ რუსებს ათვალიერებდნენ, ერთმანეთს მხიარულად გასძახოდნენ. ვლადიმირმა ფლატის ძირას ღელის პირას დაცემული ილია რომ წარმოიდგინა, უეცრად სასოწარკვეთილებამ შეიპყრო და უნდოდა კალინკინისათვის შეეძახა: „ესროლე, რაღას უცდი, ესროლე!“ — მერე ჰაერი ჩაყლაპა, თითქოს სული ეხუთებოდა, უცრემლოდ მტირალმა, შურისგებით აღსავსემ გამოსდო თითი ლიპ სასხლეტს და დარჩენილი ჯერი ფლატის პირას შექუჩულ მწკრივზე მიუშვა... მერე წამოხტა, დისკოდაცლილი ავტომატი გადაადგო, რამდენიმე ნაბიჯი გაირბინა, ხეებს შორის დაეცა და დამბაჩის ბუდე მოიჭიდა, თან, გაოგნებული, ხმამაღლა ირწმუნებდა თავს, ყველა ვაზნა არ დაეხარჯა და ერთი მაინც დაეტოვებინა...

გერმანელებმა ერთბაშად ჩააქრეს ფარნები, საპასუხო ცეცხლი დაუშინეს და ათ წუთს არ შეუწყვეტიათ.

მთელ ღამეს იწვნენ ტყის პირას, ყურს უგდებდნენ და ელოდნენ, როდის ჩაესმებოდათ წყლის თქაფუნე ანდა ბალახის შარაშური დაბლობში, სიბნელიდან მოდენილი ძახილი. კიდევ იმედოვნებდნენ, რომ ვინმე დაბრუნდებოდა.



განთიადისას თვლებამ დაუბურათ გონება, და მათ წინ ნარნარად იწყო ცურვა მიწამ.

როცა დილის გრილი სიოს დაქროლვაზე გაღვიძებულნი ორევენი გამოფხიზლდნენ, სადღაც შორიახლო ერთფეროვნად წრიბინებდა სასულე გარმონი. ვლადიმირი უეცრად შეკრთა, როცა კალინკინის აფორიაქებული, მშვილილი სახე, მისი განწირული თვალები დაინახა. მერე დაღანდა გუფტასკოდელზე მდგარი გერმანელები, ბაღში მდგარი სახლის სახურავი და აფრენი ქსივებზე შევარდისფრებული ალვის ხეების კენწეროები. ყველაფერი წყნარად, მშვიდად, ჩვეულებრივად იყო, სითბოთი ივსებოდა აღმოსავლეთით ცა, ორი გერმანელი ლაბადა-კარვებით, გულზე დაკიდებული ავტომატებით. მათკენ ზურგშექცევით იჭდა ჩამოშვებულ გატეხილ შლაგბაუმთან, ერთი სასულე გარმონს აწრიბინებდა (ეგებ მოკლულ შაპკინს წაართვა?). მეორე სიგარეტს სწევდა, თამბაქოს კვამლში გახვეული. გერმანელები დადიოდნენ ლშიც, რომელსაც დაბლობის ჩრდილში გულს არ შეშრობოდა ცვარ-ნამი, ამძინარევი ხმით ლაპარაკობდნენ. კრიალესდა ოწანარი, წკარუნობდა ჯაჭვზე დაკიდებული ბაღია, ვაშლის ხეების თავზე იასამნისფერი კვამლი ადიოდა, და დილის ჰაერს მადისაღმძვრელად მოსდებოდა შემწვარი ხორცის სუნი. ამ სუნმაც და სასულე გარმონის უცხო წრიბინმაც მტანჯველი სევდა მოჰგვარა ვლადიმირს, სული შეეხუთა. იგი ცდილობდა ამ საზიზღარი სულისხუთვისაგან განთავისუფლებულიყო და იქმუნებოდა, ახველებდა, კვნესოდა, წრიალებდა, უსაშველო ღარდი უკლავდა გულს.

„ნუთუ ილია, ილია, ილია?..“

მერე ტყეში კვლავაც იყო ივლისის პაპანაქება დღე, მზიანი მყუდროების ზანტი სიმშვიდე, მოთენთილი ჟოლოს თბილი სურნელი, ისინი კი ორნი მიდიოდნენ იქით, სადღაც ისმოდა შორეული გრგვინვა-ქუხილი, და ზოგჯერ მთრთოლვარე ცხელი საბურველი ფარავდა ტყეს, მზეს, ბალახს, და ამ საბურველში ღელის პირას ხტოდნენ, ერთმანეთში იხლართებოდნენ ფარნის სხივები, მიმართულნი ფლატისაკენ, საიდანაც ერთი გასროლის ხმაც აღარ ისმოდა. — და ვლადიმირი სულს ვერ ითქვამდა, მკერდს იხოკავდა, ცხარე ცრემლს ღვრიდა, მაგრამ შევებას ვერ პოულობდა.

## თავი მეთოთხმეტი

„ჰო, ახლა ერთმანეთს ვნახავთ... მაგრამ რა უაზრობაა, რომ მასთან ერთად კოლიცინი იქნება! მისი თანდასწრებით ჩვენ შორის სერიოზული საუბარი არ შეიძლება შედგეს!..“.

ვლადიმირმა ჩვეულებისამებრ გარეცხა ყალმები. მასტიქინით აწმინდა პალიტრიდან საღებავები, მოლბერტზე გადაკრულ ტილოს ჩვარი ჩამოაფარა, ხელები ოდეკოლონით გაიწმინდა და, ჩაფიქრებული, დიდხანს ათვალიერებდა კედლის განჯინაში მდგარ ბოთლებს, შოკოლადის კანფეტების კოლოფს, რომლებიც მარიას მოულოდნელი სტუმრებისათვის მოემზადებინა. მერე თოვლქრელებით დაფარულ განიერ მოვერცხლისფრო ოქროსფერ ფანჯარაში გაიხედა და დაინახა მოლურჯო ნამქერებს შორის ნელ-ნელა შემომავალი შავი „ვოლგა“ (ეს ილიაა!), საფეთქლებში მწვავე ბიძგი იგრძნო და ღელვის შესანელებლად ოთახში გაიარ-გამოიარა.

მაინც მშვიდი, ზომიერად აღერსიანი სახე უნდა მიიღოს („ნუთუ გულ-



წრფელი არა ვარ, ყალბად ვიქცევი? მინდა ილიას ისე შევხვდე, როგორც უცხოელს, რომელიც საბჭოთა მხატვრის თვალშესავლებად და სურათების საყიდლად ჩამოსულა?“, ორივეს გულგრილად მიესალმოს, კოლიცინს უთხრას, რომ მხოლოდ ორმოცი წუთი აქვს, ილიას კი ნამდვილად მოგვიანებით შეხვდეს მარიასთან ერთად.

ვასილიევმა მიიღო ეს გადაწყვეტილება, მაგრამ როცა დერეფანში ნაბიჯების ხმა და კარზე კაკუნი გაისმა, როცა საუცხოო ბეწვის ქურქში შემოვიდა ბილი, ალგზნებისა და კონიაკისგან სახეშეფაკლული და გაბადრული კოლიცინი ხმაურით შემოვარდა და მას მოჰყვა ფერმკრთალი, პედანტურად პირგაპარსული ტანშალალი კაცი რუხი პალტოთი და რბილი შლაპით, წელში გამართული, მოხდენილიც კი, რომელშიც უკვე ველარც იცნობდით ორმოცდასამი წლის ლეიტენანტ რამზინს, ისევე როგორც შარშან შემოდგომაზე ვენეციაში შეხვედრისას, სადაც ვლადიმირს გაოცება მოჰგვარა მისმა სრულიად უცხო, უცნობმა მანერებმა, ტანისამოსმა, ხმის ინტონაციამ. ახლა ვასილიევმა თავისდა უნებურად დაასწრო, პირველმა გაუწოდა ხელი და მეტისმეტად დინჯი, საქმიანი კილოთი წარმოთქვა:

— გამარჯობა, ილია. ოთხი თვეა, რაც ერთმანეთი არ გვინახავს. გაიხადე, პალტო აქ დაკიდე, მოდი მე მოგეხმარები.

— არა, არა, მე თვითონ! — ცხოველი წინააღმდეგობა გაუწია ილიამ და თავად დაკიდა წინკარში პალტო, გვერდზე გაყოფილ ქალარა თმას შეეხო და მკვირცხლად შევიდა მზიან საბელოსნოში, თან თვალმოწყურული ათვალეირებდა კედლებს და მოდიმარ, ოდნავ გაწითლებულ თვალებს დროდადრო მიაპყრობდა ხოლმე ვასილიევს. — ოჰო! ძალიან კარგად და მყუდროდ ხარ. შენ აქ ქმნი, ვლადიმირ? აქ მოღვაწეობ?

ვლადიმირმა ხუმრობით შეუსწორა:

— ვქმნი — ფრიად მყვირალა ფრაზაა. ვმუშაობ. შექმნით ღმერთები ქმნიან, ისიც — ყოველდღე არა.

— მაგრამ აქ ყველაფერი დიდებულიაა, მზეც უხვად არის! — განაგრძო ილიამ და თითები მოიფშვნიტა, თითქოს ითბობსო; ეს ქესტი ვასილიევს არასდროს შეუმჩნევია. — ძალიან მიხარია, ვლადიმირ, შენი ნახვა, ძალიან მიხარია, რომ შენს საბელოსნოში ვარ!

— მეც მიხარია.

ამ დროს კოლიცინი წინკარში ფუსფუსებდა მზიარულად, ისვამდა ტანისამოსზე ჯაგრისს, ფეხებს იწმენდდა, თან რაღაც მოდურ სიმღერას ლილინებდა, თითქოს უნდოდა გამოეხატა, რომ იგი უზრუნველი, აქ კარგად მიღებული კაცი იყო, სასიამოვნო დროსტარებისათვის მუდამ მზად მყოფი. ამ ლილინის გაგონებაზე ვასილიევს მოაგონდა მისი შეზარხოშებული, ნაპატივები და გაბადრული სახე, მისი გაავეებული აღსარება იმ დაუფიწყარ ღამეს, და წყენით გაიფიქრა: „როგორ შეგვიშლის ხელს ეს კაცი!“ — და ილია მაშინვე ჩასვა სავარძელში („ერთ წამს იჯექი, ახლავე მოვალ!“) წინკარში გავიდა, სადაც კოლიცინი, რომელიც ისევ ლილინებდა, სარკის წინ ჯაგრისს ისვამდა თავის შესანიშნავად შეკერილ კოსტიუმზე, და ხმადაბლა უთხრა:

— ყური მიგდე, ოლეგ, მოდი ერთი საათით დაგვტოვე სასაუბროდ. მოყვანისათვის მადლობას მოგახსენებ. თანაც, იცი, საუბარი ჩემთვის ძნელიც იქნება და დამღლელიც.

კოლიცინმა მეფურად გადასწია უკან ლომისებური ფაფარი, სამკუთხა



თვალეში ტრაპეციებად ექცა, მისი გაბერილი ლოყები კი ისევ მხიარულ მია-  
მიტობას გამოხატავდნენ. მიამიტობას, რომელსაც სიავე არ ახსოვს, და ჩურ-  
ჩულთ მიუგო:

— ნუ გავიწყდება, ვალოდია, რომ უცხოელების მიხედვით ჩემი საქმეა  
ო-ლა-ლა! — კოლიცინმა სივრცე თავისი ელეგანტური ფიგურით, მსუყვე ხა-  
ვერდოვანი ბარიტონით აავსო, თავქარიანი სიხალისე და მამაცობა ურთიერ-  
ობის მოყვარული ჯენტლმენის კმაყოფილება გამოიხატა და სახელოსნო-  
ში შეაბიჯა, პორტფელიდან მეფოკუსესავით ამოაძვრინა სომხური კონიაკი და  
ილიას სავარძელთან დაიხარა. — მე მგონი, ბატონო რამზინ, ჯობს ბრწყინვა-  
ლე კონიაკი წრუპო და სურათები ათვალეირო, ვინემ სურათები ათვალეირო  
და ბრწყინვალე კონიაკი არ წრუპო.

ეტყობა, ეს იყო მაღალი წრის კაცის ენამახვილობა, რომელიც მოჭარბებუ-  
ლად კარგი განწყობილებისას უნდა წარმოთქმულიყო, რომ ყველას გასცინე-  
ბოდა, მაგრამ ილიამ გულითადად შეხედა კოლიცინს, თითქოს ეს უკანასკნე-  
ნი სასაცილო და უსარგებლო ფოკუსს იმეორებდა, და ღიმილით უთხრა:

— გმადლობთ, ბატონო კოლიცინ. მე წვეთს არ ვსვამ. ჩემი წილი სას-  
მელი დიდი ხანია დაღუპული მაქვს. — ახლა ვასილიევს გაუღიმა: თუ ბატონი  
ვასილიევი, ჩემი ძველი მეგობარი ვენეციიდან, ფინჯანი რძით გამიმასპინძლებს,  
დიდად მადლობელი ვიქნები. რძე ჩემი სასმელია.

„ბატონი ვასილიევი... ბატონი კოლიცინი... ბატონი რამზინი... ჩემი ძველი  
მეგობარი ვენეციიდან“. ილიას არ სურს კოლიცინმა იცოდეს, რომ დიდი  
ხნის ნაცნობები ვართ. მაგრამ ილია, ილია... ბატონი რამზინი? აგერ ის სა-  
ვარძელში ზის — ილია კი არა, სულ სხვა კაცი. ესაა ბატონი რამზინი და  
ამასთანავე ილია, რომელიც ომის შემდეგ დასავლეთ გერმანიაში დარჩა,  
ახლა კი რომის მახლობლად სახლობს, რომელმაც მთელი ცხოვრება საზღვარ-  
გარეთ გაატარა. რა დარჩა მასში ლეიტენანტ რამზინისაგან, იმ ღამისაგან,  
ივლისის იმ ღამისაგან, როცა ალყაში მიტოვებული ქვეშევრდებისკენ ვბრუნდე-  
ბოდით? თუ როგორ მოხვდა ტყვედ, მაინც არ მიპასუხა ვენეციაში. მაინც  
როგორ?..“

— სამწუხაროდ, რძე არა მაქვს! — თქვა ვასილიევმა და იმწამს ვერც  
მიხვდა, რატომ აშფოთებდა ვენეციაში შემოდგომით შეხვედრაზე ფიქრი. —  
რა საწყენია, რომ სახელოსნოში რძე არა მაქვს ხოლმე. მე არ ვსვამ რძეს.

— მაგრამ სტუმრებისთვის ხომ მაინც გაქვს სირჩა, რემბრანდტო? —  
უწყინარი პროტესტით ჰკითხა კოლიცინმა, კონიაკის ბოთლი გახსნა და  
არტისტულად დადგა შუაგულ მაგიდაზე. — არასოდეს! არასოდეს! — თეატ-  
რალური აღშფოთებით შესძახა მან ილიას გაკვირვებული მზერის დანახვაზე და  
რაკრაკა ხმით გამოსახა სტუმართმოყვარე რუსი დარდიმანდი კაცი მეგობარ-  
თა წრეში. — ჩვენ შევთანხმდით, არ დავლევთ, არ დავლევთ, — ო, არა! ჩვენ  
მხოლოდ შევავსებთ სირჩებს ამ შეხვედრის ხატრით და ათონელი ბერის  
მსგავსად არ ჭივჭიარები მათ.

— ათონელი ბერი? რა ათონელი ბერი? — შეეკითხა ილია და კვლავ  
მოჭუტა თვალეში, ვარსკვლავისებური ნაოჭების სხივები გამოეკვეთა თვალის  
კიდეებზე, მაგრამ ამ ნაცნობ მოჭუტვაზე მის სახეს არ მიუღია გამიზნული  
მოქმედების უწინდებური თავდაჯერებული გამომეტყველება, არამედ გულის-  
ყურიანი, მოღლილი, გაფაციცებული გაუხდა.

— ათონელი ბერი, იცით, ყოველდღე მოიწვევდა ხოლმე აქეთ-იქით ქალ-



წულებს და არც ერთ მათგანს ხელს არ ახლებდა. ხა-ხა, წარმოგიდგენიათ დათრგუნული ზორცის წამება?

— ჰო, ბერი, — გაურკვეველად თქვა ილიამ. — წამიკითხავს, სადღაც წამიკითხავს. წმინდანთა ცხოვრებაში ხომ არა?

— პასუხი მიჭირს. ამქვეყნიურ ფუსფუსში გადამავიწყდა.

„როგორ უნდა თავი მოაწონოს ილიას, მაგრამ... რისთვის?“ — მოელოდა ვასილიევი, რომელიც განჩინიდან კომშის წვნით სავსე ბოთლებს ეღებოდა. მრავლობით მიმზიდველ კოლიცინს შეხედა და რომ დარწმუნდა, ამის გადამკიდე ილიასთან ვერავითარ საუბარს ვერ მოვახარებ და მხოლოდ ყბედობაში გამეფლანგება ღროო, მოულოდნელად აჯანყდა თავის მონური მოთმინების წინააღმდეგ, რომელიც იმ ღამესაც გამოავლინა, როცა მოსვლის ნება დართო კოლიცინს და მოუსმინა. ახლა მისი მეტისმეტი ფამილარობით გაჯავრებულმა ვასილიევმა თავაზიანად შეკავებული ბრაზით უთხრა:

— ოლეგ ევგენიევიჩ, ბერზე ნათქვამი შენი იგავი ძალიან საინტერესო და ფრიად ჭკუის სასწავლებელია, მაგრამ სინამდვილეში... („ამოდ ვეუბნები ამას, მაინც ვერ შევიკავეთ თავს, მკვახე სიტყვას მივახლი და სამუდამოდ მტრად გადავიკიდები“)... არ მცალია, ოლეგ ევგენიევიჩ, გთხოვ საშუალება მომცე ერთ საათს მაინც ვესაუბრო მშვიდად ბატონ რამზინს.

ამ დროს კოლიცინი მარჯვედ ასხამდა კონიაკს, ვასილიევის ნათქვამის პასუხად წარბები მომშვილდა მხოლოდ, სირჩები სუფრის სამ კუთხეში დადგა და მსუყე ბარიტონით ჩაუხავერდა:

— კი, მაგრამ, ძვირფასო...

— გემუდარები, ზედმეტი ფამილარობის გარეშე, დამდე პატივი, — სთხოვა ვასილიევმა, რომელიც ცდილობდა მორეოდა სურვილს — ეთქვა, რომ იგი მეტისმეტად აბეზრად იქცევა, როცა მითიური რუსული სტუმართმოყვარეობის ყოვლად კეთილ სულს წარუდგენს ბატონ რამზინს, ვინც ეს იცის, რადგან თვითონ რუსია. — ყური მიგდე, ოლეგ ევგენიევიჩ, — ჯიუტად განაგრძო ვასილიევმა. — ტყუილად ნუ გაიცვით ნერვულ უჯრედებს.. იმით, რომ სტუმარი სასიამოვნო საუბარში ჩააბა, ჩვენ დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს.

— იტალიაში თქვენი მეგობრობა უკვე ცნობილია, და, წარმოიდგინეთ, ეს სანაქებო და დიდებულიცაა! — მოჭარბებული სიხარულით შესძახა კოლიცინმა და ვასილიევის მიერ მის შეურაცხსაყოფად წარმოთქმული სიტყვები ერთი ყურიდან მეორეში გაუშვა. — ჩვენ ხომ არც ისე ხშირად ვნახულობთ უცხოელ თაყვანისმცემლებს! — ფრჩხილგაპრიალებული ნეკი გამობზიკა, სუფრიდან სირჩა აიღო და თვალის ნიშნებით მიუჭახუნა ილიას და ვასილიევს. — გაუმარჯოს ვენეციაში თქვენს ნაცნობობას, რომელმაც მოსკოვში შეგყარათ...

ვასილიევმა გაღიზიანებით შეაწყვეტინა:

— ჩვენ ვენეციამდეც ვიცნობდით ერთმანეთს.

„საჭიროა კი ეს იცოდეს?“

— როგორ თუ „ვენეციამდე?“ ა, ჰო, შენი სურათებით, რომლებიც იტალიაში იყო გამოფენილი?

— სულაც არა! ჩვენ ბავშვობიდანვე ვიცნობთ ერთმანეთს, იცის ღმერთმა! — თქვა ვასილიევმა იმ გამომწვევი სიმკვახით, რაც ყალბი ორაზროვნებისაგან იხსნიდა და თან კოლიცინსაც განაიარაღებდა ხოლმე. — იმედია, მიზნად, ოლეგ ევგენიევიჩ, რატომ არ არის საჭირო დიპლომატიური რევერანსები. კოლიცინმა დაძაბვით მოხუჭა შეშუპებული ქუთუთოები. სამკუთხა თვა-



ლებში აზრი და სინათლე ჩაუდგა. ეს თვალეზი ვასილიევის თავს ზემოთ რა-  
ღაც სიმაღლეზე გაიჩინდნენ, და მან არაბუნებრივი შერბილებული ხმით წარ-  
მოთქვა:

— აი თურმე რა ყოფილა!.. ამას არასდროს ვიფიქრებდი, აზრადაც არას-  
დროს მომივიდოდა. აი თურმე რა ყოფილა!..

— აბა რა გასაკვირია, — უთხრა ვასილიევმა. — ანუ ვერაფერსაც საეჭივლოდ,  
ოღებ ევგენიევიჩ! ჩვენ დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს.

— გთხოვთ მაპატიოთ! — კოლიცინმა დაუცლელი სირჩა დადგა, და მის  
თეთრ, ოდნავ მომჩვარულ მსუქან სახეზე ჯიუტად გაკრთა ზრდილი ადამიანის  
ამაყი დამოუკიდებლობა. — ჰო, ყველაფერი გასაგებია. ბოდიშს ვიხდი. აქ  
ერთი საათის შემდეგ დავრეკავ... წინააღმდეგი ხომ არა ხართ, ბატონო რამზინ?  
ილიამ ცერემონიული მადლობის ნიშნად დაუკრა თავი:

— ორი საათის შემდეგ. ასე აჯობებს, ბატონო კოლიცინ.

— ზუსტად ორი საათის შემდეგ დავრეკავ.

კოლიცინმა დარბაისლური ღირსებით დაუკრა თავი ორივეს, გრძელი თმა  
შეარხია, მოქნილი ნაბიჯებით გავიდა წინკარში, იქ ენერგიულად ჩაიცვა ქურ-  
ქი, მხიარულად წაიღიღინა რაღაც მელოდია, ასევე ენერგიულად გაიჯახუნა კა-  
რი, და მაშინ ილიამ პირველმა დაარღვია ღუმელი:

— ბატონი კოლიცინი მხატვრების ბოსია უცხოურ საქმეებში, შენ კი,  
როგორც პირველი სახელგანთქმული პირი, ისე იქცეოდი, ვლადიმირ, ეს  
დასაშვებია? ასეთი რამ საქმეს არ ავნებს?

— რა დროს „პირველი სახელგანთქმული პირია“! — ხელი გაიქნია  
ვასილიევმა, სიგარეტს მოუკიდა და უეცრად ჩაეშვა ძველ სავარძელში, რო-  
მელმაც ჟღერიალი მოიღო, და სხაპასხუპით, თითქმის უკმაყოფილოდ თქვა: —  
ვერ გეტყვი, გულწრფელად გამეხარდა თუ არა შენი ჩამოსვლა. მაპატიე  
გულახდილობისათვის. მაგრამ მე და შენ მოწმეების გარეშე უნდა ვილაპარა-  
კოთ, უცხო თვალის გარეშე, ჩვენ ჩვენი რაღაცები გვაქვს.

— ჩვენიო, თქვი, რა იგულისხმე?

— ოდესღაც ბავშვობაში ერთ დღესაც ვერ ვძლებდით უერთმანეთოდ,  
ომშიც ერთ ბატარეაში ვიყავით. თავს ბედნიერად ვგრძნობდი შენთან. შარ-  
შან ჩვენმა შეხვედრამ ვენეციაში არამცთუ განმაცვიფრა, არამედ რაღაც...  
მრავალი წლის განმავლობაში მენანებოდა, სულ მენანებოდა, რომ შენ ცოცხა-  
ლი აღარ იყავი... შენ, ჩემი მეგობარი, რომელთანაც მრავალი ღირსის გადატანა  
შემეძლო. ასეა, ილია, მაგრამ ჩვენ ის აღარა ვართ... ვენეციაში მივხვდი, ჩვენ  
არაფერი საერთო არ გავგაჩნია, გარდა მოგონებებისა. სამწუხაროდ, ილია,  
ამიტომ ნუ ვიქნებით არაგულწრფელი: შენ რუსეთში იმიტომ არ ჩამოსულ-  
ხარ, რომ სანტიმენტალურ განწყობილებაზე მყოფმა შეიძინო ჩემი სურათე-  
ბი, რით შემიძლია დაგეხმარო?

— საშინელი რამ არის ცხოვრება, — თქვა ილიამ, სავარძელში მიესვენა,  
ხელისგულები ერთმანეთს მიაღო და, ფიქრში წასულმა, თითის წვერებზე ნი-  
კაპი ჩამოიღო. — საშინელი რამ არის... ფრანგებისა არ იყოს, არავინ იცის,  
რის მაქნისია სიშართლე, მაგრამ ყველამ იცის, რისთვის სჭირდებათ სიცრუე.  
ხომ ასეა? ადამიანები ვერასოდეს ვერ ცნობენ ერთმანეთს ბოლომდე, სამაგა-  
ლითო მეუღლეებიც კი, რომლებსაც ცხოვრება ერთად გაუტარებიათ. ვში-  
შობ, ვლადიმირ, რომ შენ ბოლომდე არც სკოლაში მიცნობდი და არც ომში.  
არც მე გიცნობდი შენ.



ილიამ რაღაცნაირი ჟღერით გაიცინა. ეს სიცილი უსიამოდ შორეულს ზღიდა და აბერებდა. ვასილიევი განაცვიფრა ამ დაწითლებულმა, ურწმუნო თვალებმა, რომლებსაც ზომაზე მეტად შეეცნოთ ცხოვრებისეული სიბრძნე, რაღაც სრულიად უცნობმა, არაახალგაზრდულმა, რაც გარკვევით აჩნდა მხოლოდ მაგარ მის კისერს, თითქოს პერანგის საყელის ზემოთ კანი ნაოჭებს, უზადოდ გაბარსული პირის ზომიერ სიფერმკრთალეს, ფერფლისფერ თმას, რა ბეჭითად უმუშავია დროს! ამ ოთხი თვის განმავლობაში, ეტყობა, უფრო გაჭაღარავებულა!

„მაინც რომელია ჭეშმარიტი ილია? ის ლეიტენანტი, ჩემი მეგობარი, რომელიც მუდამ მაკლდა ომის შემდეგ, თუ ცხოვრებისაგან დაღლილი, ჩემთვის უცხო კაცი? ან სადა ვარ ჭეშმარიტი მე: იქ, ბავშვობაში, თუ ორმოცდასამი წლის ივლისში, თუ აქ, ამ სახელოსნოში, ორმოცდაათოთხმეტი წლის კაცი, რომელსაც ვერაფრით ვერ გააკვირვებ?“.

— შენ თქვი, რომ მე არ ვიცნობდი, — წარმოთქვა მოღუშულმა ვასილიევმა. — შესაძლებელია... მე მეგობრობის სიწმინდისა მჯეროდა და მწამდა, რომ ერთმანეთს არასოდეს ვუღალატებდით. საერთოდ კი ეს მშვენიერი სიჭაბუკე იყო. უკრაინაში, სადაც შენ ბატარეის მეთაურად დაგნიშნეს, გაოცებული ვიყავი: რა დიდებულად იმკვიდრებდი თავს! გახსოვს: სიცხე, სახლი მიწაყრილის ძირას, სიჩუმე, გერმანელი ბაღში ეოლოს ბუჩქებთან, დროებითი დაზავება, რომელიც ზემდეგმა ლაზარევმა მოაწყო? მერე სახლში ახალგაზრდა ქალი აღმოჩნდა. კარგად მახსოვს მისი სახელი... ნადია ერქვა. შენ არაჩვეულებრივად გამბედავი იყავი, ილია.

— არაჩვეულებრივად? — გაიმეორა ილიამ და ჩაფიქრებით მოიფშვნიტა ნიკაპზე მიყრდნობილი ხელები. — ვალოდია, ვალოდია! შენ ბევრი რამ არ იცოდი იმ დროს. მაგრამ ზოგიერთმა კირკიტამ შესანიშნავად იცოდა, პოლკში, ვისი ნაშიერიც ვიყავი. როგორ დამაყენეს ბატარეის მეთაურად, აქამდე ვერ მივმხვდარვარ. ალბათ ჩვენმა მამაცმა პოლკის მეთაურმა ვოროტიუკმა ჩვეულებრივ გადაწყვიტა რისკი გაეწია. დარწმუნებული ვარ, რომ ისევე ლამაზად დამხვრეტდა, როგორც დამნიშნა. ყოჩაღ! განსაცვიფრებელი მაიორი იყო. რამდენი ხანი გავიდა და მაინც არ შემიძლია გულთბილად არ მოვიგონო ეს კაცი.

— და, რა თქმა უნდა, ზემდეგი ლაზარევიც? — დაუმატა ვასილიევმა და ჰკითხა ის, რისი კითხვაც პირველი შეხვედრისას ვერ მოასწრო: — მითხარი, როგორ მოკვდა ლაზარევი?

— გმირის სიკვდილით. — ჩაიცინა ილიამ და გულგრილად ახედა ჭერს. — გაანათლოს ღმერთმა, თუმცა ღირსი არც არის.

— რატომ არ არის, ილია? სიკვდილი ომში ყველას ათანასწორებს.

— იმისთანებს არა. — ილიამ ნიკაპთან მიიტანა სირჩა, კონიაკის არომატი შეისუნთქა, მაგრამ წვეთი არ დაუღევია, სირჩა დადგა და გამოკვეთილად თქვა: — ძლიერი თავმოყვარე პიროვნება იყო, ეშმასეული საწყისი, თუმცა მაინც გინიოლი იყო, არარაობა, მე ბევრი რამ დამავიწყდა მისი, შენ კი სწორედ ის გაგახსენდა...

— ასეა თუ ისე, სიკვდილით გამოისყიდა თავისი ცოდვები, როგორც ამბობენ. გამოისყიდა დაღუპვით, როცა შენ ტყვედ ჩავარდი.



— Auch,<sup>1</sup> — გულცივად მიუგო ილიამ. — მე იგი მეხსიერებიდან ამოვშალე. თუმცა ბევრჯერ დამინთია სანთლები მოკლულის სულის სახსენებლად, ის მოკლულ იქნა, მე კი ვცოცხლობდი, მიუხედავად ყოველივეს. მაგრამ... — ილიამ გამომცდელი თვალით შეხედა ვასილიევს, მერე კი რჩევასათვის საჭირო კეთილგონიერების კილოთი წარმოთქვა: — მე და შენთვის მინცდამაინც რეზონული არ არის ომზე ლაპარაკი. ლაზარევი დიდი ჯიჟინაა, სასუფეველშია, გაანათლოს ღმერთმა, სიკვდილი დანაშაულის წინაშე იგი ყველაზე საშინელს გაექცა. რაც ჩვენ ვერ შევძელით, — ცხოვრების განლევას ღმერთი სიკვდილითაც სჯის კაცს და სიცოცხლითაც. ხომ ასეა?

— შენ გწამს ღმერთი, ილია?

— ჩვენს ასაკში რალაცა უნდა გწამდეს, რადგან ძალიან მალე მოგველის ის ერთადერთი...

— რა ერთადერთი?

— ამქვეყნიურისაგან გამოთხოვება. გამოთხოვება, ვლადიმირ. შორს არ არის უამი — როცა ზეციურ სასუფეველში თაყვანით მივეახლებით მოციქულ პეტრეს.

„მე ხომ მახსოვს, რაც თქვა ილიამ, როცა ტყეში მივდიოდით. — გავიფიქრა ვლადიმირმა. — მას უნდოდა სამი ვაზნა შემოენახა დამბახაში: ორი — ლაზარევისთვის, ერთი — თავისთვის. ილიას თავი არ მოუკლავს და ტყვედ ჩავარდა. მაგრამ როგორ... როგორ დაიღუპა ლაზარევი?“

— ნუთუ იმედი გაქვს, რომ სამოთხეში მოხვდები, ილია? მართალი გითხრა, მე დიდ კომფორტს არ მოველი უფალი ღმერთისაგან.

— თუ მძიმე ცოდვათა მონანიება მოვასწარი, ღმერთი საუკუნო ტანჯვა წამებაში არ მამყოფებს. დიახ, ვლადიმირ. მე არ ვხუმრობ. მთელი ცხოვრება დაუსრულებელი არჩევანია. ყოველდღე — დილით ფაფისა და ჰალსტუხის არჩევიდან მთელი საღამოს არჩევამდე — რომელ ჰალს შევხვდეთ, სად წახვიდეთ, როგორ მოკლა წყეული დრო. ყველაფერი არჩევანის შემდეგ ხდება: სიყვარული, ომი, მკვლელობა. უკანასკნელ წლებში ხშირად ვფიქრობდი, რა განაგებს ჩვენს არჩევანს სიცოცხლეში? მაგრამ ვინ იცის, არის კი არჩევანი სიკვდილის შემდეგ: ჯოჯობეთი? სამოთხე? ძილი? რა იქნება იქ, მიჯნის გაღალმა?

„როგორ შეცვალა ილია ცხოვრებამ! ილია? მე ილიაზე გავიფიქრე, ჩემს თავზე კი — არა. ისე ლაპარაკობს, თითქოს რალაცას მიმალავდეს, არ მიმხელდეს საკუთარ თავს, რომელსაც არ ვიცნობ, გვერდს უვლის მთავარს. მაგრამ რა მსურს მე? გავიგო, როგორია ახლა ილია? რომ ის არაგულწრფელია და ცრუობს? მაგრამ რა აზრი აქვს ამას? არავინ იცის, რა გადახდა თავს იმ დამეს, როცა ქვემეხებისკენ გაემართნენ. ახლა, როგორც იქნა, მივხვდი, რა მაღლიზიანებს: მასში ქვეცნობიერად ვეძებ უწინდელ ილიას, მინდა დავინახო, დავიბრუნო ის ახალგაზრდა ილია, ის ლეიტენანტი ილია, მაგრამ ის აღარ არის. ის ილია, რომელიც მიყვარდა, ველარ უთავსდება, ამ, არსებითად უცხო ილიას. მაგრამ განა შეიძლება ზსე იყოს? მე კი ვუთავსდები საკუთარ თავს, უწინდელს?“

— მაინც რა მძიმე ცოდვები გადევს, ილია, — ჰკითხა ვლადიმირმა და, გული მოუვიდა რა თავის შეკითხვებზე, რომლებიც მეტისმეტად მომაბეზრე-

1. აგრეთვე (გერმ.).



ბლად შეიძლება მოსჩვენებოდა ილიას, ნახევრად სერიოზულად განაცხადო: — მე არ მწამს საიქიო ნეტარება და ჩემს თავს ბრალს ვდებ საშინელ ცოდვებში: უნიკობაში, ლაჩრობასა და უძლურებაში. ეს სიბერეა, ილია. ჩვენ უკვე ორმოცდაათს გადავაბიჯეთ.

— ნება მომეცი არ დაგეთანხმო, ვლადიმირ. ყველაფერი ბევრად უფრო უარესია, ვინემ შენ გგონია. ეს სიბერე კი არა, ფინალის წინა წრეა, სული მეხუთება, მაგრამ რაც ძალი და ღონე მაქვს, გავრბივარ, ვხედავ <sup>ფინალის</sup> ~~ფინალის~~ <sup>წინა</sup> ~~წინა~~ <sup>წრის</sup> ~~წრის~~ მესმის იმათი მოსალმების შეძახილები, ვინც რბოლა დაამთავრა...

— გიყვარს შავი იუმორი? ძალიან პესიმისტურია... თითქმის დაუჯერებელი!

— პირიქით...

ილიამ სირჩა აიღო, გაბრწყინებულ შავ თვალებთან მიიტანა, ზამთრისეული ფანჯრიდან შემომავალ მზის შუქზე გახედა, მეორედ დაყნოსა კონიაკი, დიდხანს ტკბებოდა მისი ჭურნელით, და დინჯად თქვა:

— რა სიამეა, რა ნეტარებაა, რა სიცოცხლეა ამ არმატში! მაგრამ წელიწადის თუ წელიწად-ნახევრის შემდეგ შენ ჯერ კიდევ შეგეძლება იყნოსო შესანიშნავი სურნელი სხვადასხვა კონიაკისა, რომელიც ბლომად დამილევიან, მე კი უკვე იქ ვიქნები:... რა უცნაური და საშინელია, არა? შენ კიდევ შეგეძლება სურათების ხატვა, ჩემგან კი — ა-რა-ფე-რი... იყო კი ეს კაცი? დადიოდა კი ამ ქვეყანაზე? მიუწვდომელია. დაუჯერებელია. წარმოიდგინე, მე ყველაფერი ვიცი ჩემ შესახებ. მაგრამ, როგორც ხედავ, ისტერიკაში არ ვვარდები. ტრაგედიებს არ ვმართავ, არც არის ეს სალაპარაკო.

— ვერ გავიგე, ილია.

— ყოფის ფრუსტრაცია! იცი, რა არის, ვლადიმირ? ამოი იმედი. დაღუპვის მოლოდინი. ჩვენ, ყველანი, შემთხვევითი ტურისტები ვართ ამქვეყნად, და ყოველ ჩვენგანს დათქმული აქვს სასტუმროს ნომრის დატოვების ვადა. სიტყვამ მოიტანა და... არც შენთან დავრჩები სტუმრად დიდხანს... თუმცა ძალიან, ძალიან მინდოდა შენი ნახვა.

ილიამ არაბუნებრივად, ელრიალა ხმით გაიცინა, რაც გამაღიზიანებლად უჩვეულო იყო მისთვის, ალბათ იმიტომ, რომ თვალები არ უცინოდა, მხოლოდ უვიწროვდებოდა, ნაღვლიანი და ცივი უხდებოდა, თითქოს გაცინება სულაც არ უნდაო.

— დამნაშავე ვარ, რომ კარგად ვერ გავიგე. რა ვადა მოიხსენიე? — წარმოთქვა ვასილიევმა და მოიღუშა. — რა წელიწადი თუ წელიწად-ნახევარი? ვინ გიმარჩიელა?

— მე კლინიკაში იმდენი ფული მაქვს დახარჯული, მარჩიელობა აღარ შეიძლება მწამდეს, — კვლავინდებური სიმშვიდით მიუგო ილიამ. — მადლობა ღმერთს, რომ ხვალ არ არის უკანასკნელი დღე. კიდევ შემიძლია მოვითქვა სული...

„უკანასკნელი დღე?“ — უეცრად მიხვდა ვასილიევი და ილია წარმოუდგა არა აქ, მოსკოვში, ჯერაც ჯანმგებრი, ნაპატივები, ელეგანტურად შეჭალარავენბული, მის სახელოსნოში მჯდომარე, არამედ სადღაც რომის გარეუბანში, ცარიელ ვილაში, მეორე სართულზე, ზეწარგადაფარებულ ტახტზე დასვენებული, გულზე დაკრეფილი ცვილისფერი ხელებით. შუადღის მზის სხივები ფანჯრებ-

<sup>1</sup> ცდომილება (ლათ.).



ქვეშ მდგარი პინების ტოტებიდან შემოკრთიან სახლის სამარისებურ სიჩუმეში, სადაც მხუთრისა და სიკვდილის სუნია დგას.

„წელიწადის თუ წელიწად-ნახევრის შემდეგ? და მან იცის ეს? — ვასილიევი ჩააცქერდა ილიას ხელებს, გამხდარს, ქალურად მოვლილს, სტერილურად სუფთა გრძელი ფრჩხილებით, წარსულში ძალიან ტონიერ პატარა ხელებს (როცა ჭაბუკობაში ტანვარჯიშით, კრივით დაესაქმნებოდა) გატაცებული, და მაშინვე წარმოიდგინა საკუთარ თავთან დამხმარე-სამსახურს უძილო ღამეები, მარტოობით, თავისი უკანასკნელი წუთის ზუსტი ცოდნით, და ამ ღამეების უსაშველო სევდა რომ შეიგრძნო, ესეც გაიფიქრა: ასე ვერ დაველოდები წამების მოახლოებას“.

— მაინც რა გაწუხებს, ილია? გული? — წარმოთქვა ვასილიევმა. მას სტანჯავდა კითხვა, რომელსაც ველარ გაეჭყეოდა, თუმცა ცდილობდა არ დაესახელებინა ის განუკურნავი, საბედისწერო ავადმყოფობა, მარტოოდენ მოკლე მჩხვლეტი ფლერადობითაც კი ამქვეყნად ყველაფრის მერყეობის აზრს რომ ბადებდა.

— არჩევანი მე თვითონ არ გამიკეთებია... მაგრამ ილუზიები გათავდა, — ჩაიციხა ილიამ. — ოთხი წლის წინათ ოპერაცია გამიკეთეს, რის შემდეგაც ზუთ, დიდი-დიდი ექვს წელიწადს ცოცხლობენ. განაჩენის გასაჩივრება შეუძლებელია. ამიტომ მე ვიცი ის, რაც ადრე არ ვიცოდი. თუმცა... ასეთი საუბრისთვის როდი მინდოდა შენი ნახვა, ამაზე არ ღირს ლაპარაკი.

მან გულისყურით მოავლო თვალი კედლებსა და ეზოში დადებული თოვლის, ნამქერებისა და გაზაფხულისწინა მზისგან ჭავლებად განათებულ ქერს, მზისგან, რომელიც მინების დნობაშეპარული ჭირბლიდან ბეუტავდა და მკრთალად ეფინებოდა თებერვლის ქათქათადარიანი დღის წყალობით გახალისებულ ვრცელ სახელოსნოში მდგარ სტელაჟებსა და საგამოფენო პლაკატებს, თვალები მოჭუტა, თითქოს ზამთრის ეს კაშკაშა დღე თან ცნობისწადილს უღვიძებს და თან ტკივილს ჰგვრისო, და დამცინავი სევდით თქვა:

— გახსოვს ზამთრის დღე ვორობიოვოს მთებზე, ყინვა, თრთვილი, ჩვენ კი მთელი კლასი თბილამურებით მივდიოდით გაყინული მოსკოვ-მდინარის ნაპირზე. ბედნიერი დრო! განა ასე არ იყო? ანდა — სალამო, თოვლი ბარდნის ფარნების გარშემო, კულტურისა და დასვენების პარკში საციგურაო მოედანზე ვართ. მე, შენ და მაშა ციგურაობით ისე დავიქანცეთ, რომ ფეხზე ძლივს ვდგავართ. ციგურებიტვე შევედით ბუფეტში, ცხელ კაკოს ვსვამთ და ხაშხაშიან ბლითებს ვაბრამუნებთ. რა მადისაღმძვრელი სურნელი ასდიოდა ყინვის შემდეგ! იმ დროს შენ და მაშას ერთმანეთი გიყვარდათ. ხომ ასე იყო?

— მთლად აგრე არ ყოფილა, ილია.

ვასილიევი გაჩუმდა, არ უნდოდა ელაპარაკა მაშაზე, რომელსაც მაშინ ვლადიმირი კი არა, ილია უყვარდა, ხოლო ეს უკანასკნელი გოგონებს დიდ ყურადღებას არ აქცევდა, რადგან ტანვარჯიშის სექციაში იღუმალა „ლირიკული“ გატაცებებით იყო გართული, პერანგქვეშ ზოლიან მაისურს და მატროსების სპილენძისბალთიან ქამარს ატარებდა (ასე იყო მოდაში) და მაშინ ვერავითარ გულაბდილ საუბარს ვერ იტანდა.

„...ოღონდ... რატომ ახსენა მაშა? შეუძლებელია, რომ ამდენი წლის შემდეგ ილიაზე ვეჭვიანობდე, არა, აქ რალაც სხვა უნდა იყოს, თითქოს სურს თავი იმართლოს ჩემ წინაშე, რაში? ტყვეობის შემდეგ გერმანელ ქალზე უცნაური დაქორწინება? საკერავი მანქანების თუ პატეფონის ნემსების რომე-



ლიდაც ქარხანა. ომის შემდეგ სამშობლოში არ დაბრუნება. მისი სიხარბე ცხოვრებისადმი, მისი ავადმყოფობა, თუ ეს ასეა?.. ილია რაღაც დაუოკებელ ცნობისმოყვარეობას იწვევს ჩემში და ის კი არ შეკითხება. მე ვეკითხები..

— მე მგონი, დედაშენი ჯერ არ გინახავს? — ჰკითხა ვასილიევმა. მელიც გრძნობდა, რომ ილია რაისა მიხაილოვნას არ შეხვედრია. მოსკოვში რომ ხარ? დიდი ხნით ჩამოხვედი?

— ერთი კვირით. დაიჯერებ, ვლადიმირ, დედასთან მარტო მესხვედრებოდა. შინაა, — გაუბედავად წარმოთქვა ილიამ და, სავარძელზე დაყრდნობილმა, შუბლზე ხელი აიფარა. — როგორც ვიცი, ავადაა და, სიკვდილზე მეტად შეშინია, გადაიტანს კი ჩემს ნახვას? მე გთხოვე — გახსოვს ვენეციაში? — რომ ბუნდოვნად გადაუკრათ სიტყვა... რომ მე ცოცხალი ვარ.

— ჰო, მაშა ელაპარაკა. იყო მასთან სახლში.

— მერე?

— მისი რეაქცია გასაგებია, რაისა მიხაილოვნამ თქვა, რომ შენ მოკლული ხარ და მას სასწაულები არ სჯერა. — დააყოვნა პასუხი ვასილიევმა და ნატვლიანად გაიფიქრა, რომ ადამიანის სურვილს არავითარი გარანტია არა აქვს, და არყოფნიდან დაბრუნებული ილიას სიცოცხლე, თუ ის მართლა ავად არის, სულ მალე დასრულდება. და ამის წარმოდგენა შემზარავი იყო. ესე იგი, სიკვდილი ყოველ ჩვენგანში სახლობს. ჩრდილივით განუშორებლად დაგვდევს და თავის უამს ელოდება: „და ყველაფერი თვალის დახამხამებაში გაქრება: ზე, აი, ეს თოვლი, ჩემი ტილოები, მევირაღა სიტყვები შემოქმედებაზე, აგერ ამ სახელოსნოში მუშაობის საათები, ჩემი სიყვარული მაშასა და ვიქტორიასადმი, ამქვეყნად ორად ორი ქალისადმი, და ყველაფერი, რაც იყო... და რაც შეიძლება იყო, ყველაფერი ბეწვზე ჰკიდია!..“

— რა ექნა? — ჰკითხა ვასილიევმა. წამოდგა და სახელოსნოში, საღებავებით მოთხუპნილ მზიან იატაკზე გაიარ-გამოიარა. — რით დაგებმარო? რაისა მიხაილოვნასთან მივიდე? ელაპარაკო? როდის შეგიძლია მიხვიდე მასთან?

— ხვალ, — ყრუდ მიუგო ილიამ. — დღეს ძალ-ღონე არ მეყოფა. გთხოვ, ვლადიმირ, ჩემთან ერთად წამოხვიდე... როგორც გამცილებელს კი არა... როგორც... როგორც ყოფილ მეგობარს. ასე უფრო იოლი იქნება... ჩემთვისაც და იმისთვისაც. — ვასილიევის დაღვრემილ და ჩაფიქრებულ სახეს რომ შეეფეთა, ხმადაბლა სთხოვა: — დაურეკე და გააფრთხილე, რომ ხვალ მარტო არ მიხვალ მასთან... ახლა ჩემი თანდასწრებით დაურეკე, თუ შეიძლება. უთხარი და აუხსენი, რომ მე ცოცხალი ვარ, ჯანმრთელი და მის სანახავად ჩამოვედი მოსკოვში... „ვეტყვი თუ არა ამას, ილიასთან ერთად წილს დავიდე სიერუეში. მაგრამ ეგებ დედასთან გამოსათხოვებლად ჩამოვიდა?“ — კვლავ გაიფიქრა ვასილიევმა და პირმოღუშული ჭიბეებში ხელებჩაწყობილი იდგა ერთხანს ტელეფონის ტუმბოსთან, ხოლო როცა ყურმილი აიღო და დაბნეულმა აკრიფა რაისა მიხაილოვნას ნომერი, ორჯერ შეეშალა კიდეც. წამით იგრძნო ზურგს უკან ჩამოვარდნილი სიჩუმე და ზურგში მიბყრობილი დაჟინებული მზერა, რომლის გამოც უგუნებოდ შეიქნა: ილია დაუფარავად სთხოვდა დახმარებას დედასთან პირველი შეხვედრისას. ეტყობა, ეჭვი ეპარებოდა თავისთვის დიდად მნიშვნელოვან რამეში.

ტელეფონთან დიდხანს არავინ მოსულა.

რაისა მიხაილოვნა, მე ვარ, გამარჯობათ, — წარმოთქვა ვასილიევმა როცა ბოლოს და ბოლოს გაიგონა სუსტი, რბილად გაგრძელებული, როგორ-



დაც თბილი, მოყავისფრო ხმა, და უნებური ბორძიკით წარმოთქვა, რადგან სიტყვები საჭირო დიპლომატიურ მწყრივად არ ეწყობოდნენ: — დიახ, მე ვარ, რაისა მიხაილოვნა, დიახ, მე ვარ. არა, არ დამვიწყებიახართ. მე არ დამირეკავს, საუკუნეა არ მინახიახართ, მაპატიეთ. მაგრამ მინდა გითხრათ, რომ... ესე იგი, მინდა შემოვიაროთ ხვალ და მარტომ კი არა, ჩემს ძველ მეგობართან ერთად, რომელსაც თქვენ ჩემზე უკეთ იცნობთ... („სულელო! იატაკიდან დიპლომატო! მართლა წმინდაწყლის სულელი ვარ, რა შუაშია აქ ეს სიტყვები?“) საქმე ის არის, რომ მოსკოვში ჩამოვიდა... ილია, და მე ვნახე იგი, რაისა მიხაილოვნა, დიახ, იტალიიდან ჩამოვიდა, ცოცხალი, ჯანმრთელი („ილიას სიტყვებს ვიმეორებ?“), და ახლავე უნდა თქვენთან მოსვლა („მატყუარავ! მატყუარავ!“), მე კი ვთხოვ, რომ თვითმფრინავის შემდეგ ჩემთან დაისვენოს...

უკანასკნელი სიტყვა ბორძიკით წარმოთქვა, წყევლიდა რა თავის უხერხულ, ნაძალადევ მონაწილეობას ამ გამოგონილ, სიმართლეს მიმგვანებულ თამაშში, მისი გულუბრყვილო და მოუქნელი დიპლომატიური სვლის შემდეგ ყურმილში მაშინვე ჩამოვარდნილმა სიჩუმემ მყის აუწყა გათვალისწინებული გართულების მოახლოება. მას შეეშინდა, რომ ამ სიჩუმეს უეცრად მოჰყვებოდა შეკივლება, ქვითონი, მდულარე ცრემლები, უამრავი კითხვა ილიას შესახებ. ვლადიმირმა ძლივძლივობით გაიგონა მოღლილი მორჩილებით დასუსტებული, შორით მოდენილი მისი ხმა:

— ვიცი, ვალოდია, ჩამოვიდა.

— საიდან იცით, რაისა მიხაილოვნა? — განცვიფრდა ვასილიევი, სული მოითქვა, ტუმბოსთან უხერხულად შეიშმუშნა და შეეცადა ილიასკენ არ მიბრუნებულიყო. — ვინმემ გაცნობათ?

— ცუდი სიზმარი ვნახე, ვალოდია, — გაურკვეველად წარმოთქვა მან. — მაშამაც მითხრა, ერთი კვირის წინ იყო...

— როდის? ერთი კვირის წინ? რა გითხრათ?

— მითხრა, უნდა ჩამოვიდესო.

— ილია უკვე მოსკოვშია, რაისა მიხაილოვნა, ხვალ მოვალთ თქვენთან... ხვალ მოვალთ...

„როგორ გაიგო მარიამ ილიას ჩამოსვლა? როგორ შეეძლო გაგება?“.

გულაჩქროლებულმა დადო ყურმილი, სუნთქვა ეკვროდა, თავს ირწმუნებდა, რაისა მიხაილოვნას შეეშალა, მარიამ ერთი კვირის წინ ვნახეო, რომ უთხრა („რატომ უნდა დაემაღლა მარიას ჩემთვის?“), და ეჭვიანობის დამამცირებელი გრძნობის დასათრგუნავად განზრახ ჩვეულებრივად უთხრა ილიას:

— ალბათ მიხვდი საუბრის არსს, დედაშენმა იცის, რომ ჩამოხვედი, კიდევ რით შემიძლია დაგეხმარო?

— ნუ მაჩქარებ, თუ ღმერთი გწამს.

ილია დიდხანს იმშრალებდა ცხვირსახოციით საფეთქლებს, ტელეფონით ვასილიევის საუბრისას რომ დაეცვარა („რას ელოდა? დედის უარს? ეჭვი ეპარებოდა, რომ შვილთან შეხვედრას მოისურვებდა?“), ღონემიხდილი, სავარძელში მიესვენა და ხრინწიანად თქვა:

— ნება მომეცი, სიგარეტი მოვწიო.

— ბატონი ბრძანდები.

— გმადლობთ, თანაც ნება დამრთე, რამდენიმე წუთს გავჩუმდე და ვიფიქრო.

ილიამ მუხლზე დადებული სადაფით მოოჭვილი პორტსიგარი გახსნა და



იქიდან აბრეშუმის რეზინით გადაკრული სულ ბოლო სიგარეტი ამოიღო. ეს იყო უკანასკნელი სიგარეტი სამცხლიანის დღიური ნორმიდან (როგორც ვენეციიდან აბსოვდა), და ვასილიევმა შეამჩნია, როგორ აუცახცახდა წარბები, როცა ნაცნობი სანთებელათი უკიდებდა, შეამჩნია და გადაწყვიტა, რომ რისა მიხაილოვნასთან შეხვედრა ილიას გაუძნელდებოდა და ძვირად დაუჯდებოდა. შეხვედრა, რომელსაც ხსე ელოდა და უფრთხოდა.

— მაჩვენე რამე, მანამდე კი მოვწევ, — წყნარად სთხოვა ვასილიევმა ყოვნებული და შესამჩნევი სიამოვნებით გააბოლა და თან თუთუნს გემო და სიმაგრე გაუსინჯა. — ერთი სურათი მაინც მაჩვენე. ხომ იცი, რომ შენი თაყვანისმცემელი ვარ. მეც ვიყიდი, თუკი შენ...

სათქმელი არ დაუმთავრებია, სლუკუნით შეისუნთქა სიგარეტის კვამლი.

— გმადლობთ. მაგრამ ჯობს რამე გაჩუქო, — უნებურად წაიდუდუნა ვასილიევმა, სახელოსნოში გაიარ-გამოიარა და მოლბერტის იქით მდგარ სტელაჟებთან ახლოს, კედლისკენ შებრუნებული ტილოების პირდაპირ გაჩერდა, ერთი სურათი გამოაძვრინა, სულის შებერვით მტვერი მოაშორა, მოლბერტის ფეხს მიაყრდნო, ჯიბეში ხელებჩაწყობილი, სახელოსნოს მეორე კედელთან დადგა და დაბნეულად თქვა:

— აი, ეს არის.

ამ ტილოზე რამდენიმე წელიწადს მუშაობდა. მას იტაცებდა ზაფხულის ნათელი დილის ეს ბედნიერი პაეროვნება, ქორფა სიმწვანე, წყნარი გამჟღავნებული წყალი (როგორც გამადიდებელ შუშაში, ისე ჩანდა მდინარეში კენკები). რომლის პირასაც უშფოთველად თვლემდა ყმაწვილი ქალი. ამაწინანდელი გოგონა; ცალი ხელი თავქვეშ ამოედო, რის გამოც შიშველი მკერდი დაძაბვდა, და მთელი მისი ნორჩი, წვრილი ტანიდან მოედინებოდა გრილი ციალი უბიწო მშვენიერებისა, დილის სიწმინდისა, უმანკო მიმნდობლობისა, რომელმაც ჯერაც არ იცოდა, რა იყო სირცხვილი. — ვასილიევი ყველა ვარიანტში ცდილობდა მოეშორებინა და ბოლომდე ვერ მოაშორა ვნების იდუმალება, რადგან მოუერიდებელი ავტორცული შეხების სურვილის გარეშე სურდა მიეღწია ქალის ზორციელი იდუმალების მეუფებისთვის.

— ერთხელ, შებინდებისას, — ამბობდა ვასილიევი და შორიდან აღმაცერად გასცქეროდა სურათს, — უფიცის გაღერვის დარბაზში შევედი და ლოყით... გესმის, ლოყით ვიგრძენი სითბო, თითქოს ღუმელი ასხივებსო სითბო, თითქოს თბილი სიო... შევხედე: ჩემ მარცხნივ ტიციანის „ვენერა“ იყო. მე ვგრძნობდი მისი სხეულის სითბოს. აი ეს იყო სასწაული, ჭეშმარიტი სასწაული! მე კი... მე ვცდილობდი სულ სხვა რამ გადმომეცა... სიწმინდის ჟრუანტელი და მშვენიერება.

ილიამ ნაღვლიანად ჩაიციხა და თქვა:

— შენი ვენერასგან არათანამედროვე სიქალწულის სიო ქრის. ოცნება დიდი ხნის მივიწყებულზე. კაცებისათვის — streng verhoten<sup>1</sup>.

— სულაც არა. სილამაზე მუდმივი კატეგორიაა, ისევე როგორც სიმახინჯე. რაფაელის „სიქსტის მადონა“ არ იწვევს ვნებას. და ამავე დროს ესაა იდეა ქალური სილამაზისა.

ილია მოდუნებული მიესვენა სავარძელში, თან ნელა ათვალიერებდა სურათს. მერე ხმადაბლა წარმოთქვა განსაკუთრებული კმაყოფილებით:

<sup>1</sup> სასტიკად აკრძალულია (გერ.).



— შენ ძველმოდურად ერთგული ხარ საკუთარი თავისა... ერთადერთ მა-  
რიაზე ხარ შეყვარებული. წარმოიდგინე, აქაც არის მისი რაღაც...

— მე უფრო მეტად სხვა რამე მაინტერესებს, — გახუმრება სცადა ვა-  
სილიევმა, თან ბრაზს ჰგვრიდა ეს ყალბი კმაყოფილება ილიას სიტყვებში.  
შენთან როგორღაა? ვინ არის ის ქალი?

— ის ბუნებაში არ არსებობს, — უპასუხა ილიამ და სწრაფად თავისად-  
მი ქედმაღლური დაცივნით დასძინა: — ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. ქა-  
ლები უკვე აღარ მაინტერესებს.

— რა?

— ისინი ძალიან ბევრი იყვნენ.

ბოლომდე მოწეული სიგარეტი საფერფლეში ჩასრისა, საიდაყვეს  
დაეყრდნო, შუბლზე ხელი აიფარა.

— უფალო, მომიტევე ცოდვილს, — გადაჭარბებული სიმხნევით წარ-  
მოთქვა მან და ხელს ქვემოდან აშკარა შიშით შეავლო თვალი ვასილიევს, თან  
შველას შესთხოვდა. — მითხარი ერთი... როგორ მიმიღებს?

— მე მგონი, შენ მაგაზე არ ფიქრობ, — თქვა ვასილიევმა.

— მაგაზე ვფიქრობ, მაგაზე, — შეესიტყვა ილია. — ყველაზე უფრო მი-  
სი... გულგრილობისა მეშინია. მიცნობს კი?

— რა გინდა მაგით თქვა, ილია?

ილია დუმდა, დაცვარული შუბლი ხელით მოეჩრდილა, აშკარად ჩანდა,  
რომ ამაზე ლაპარაკს უფრთხოდა.

## თავი მეთხუთმეტი

ვიშნიაკოვის შესახვევის კუთხეში ტაქსი გაუშვეს და დიდხანს შესცქერო-  
დნენ პატარა ეკლესიას, სადაც გისოსიან სარკმლებს მიღმა ბეუტავდა სანთლე-  
ბი, კარიბჭესთან შავად მოჩანდნენ დედაბრები, ხოლო ირგვლივ, როგორც  
წყნარ, უცხო ქალაქში, ვარდისფერობდნენ ზემო სართულების შუშები, ვარ-  
დისვე ფერი დაჰკრავდა ლავგარდანებზე დადებულ თოვლს, ჩამავალი მზის  
აღი მოსდებოდათ ომამდე დანგრეული, ახლა კი განახლებული მაღალი გუმ-  
ბათების ჯვრებს, და ქილყვავები პროვინციული ყრანტალით დაჰფრენდ-  
ნენ სამრეკლოს. უცებ ვასილიევს მოაგონდა წვიმიანი ქარი, სიცივე, ვარსკე-  
ლავები, სამრეკლოს თავზე ღვინის რაბრახი, როცა ისინი ორმოცდაერთის ოქ-  
ტომბრის ღამეს მოჟაისკის ახლოს სასანგრო სამუშაოებიდან ბრუნდებოდნენ,  
მთელი მოსკოვი გაიარეს და ნოვოკუზნეცკაიდან ამ შესახვევში შემოვიდნენ,  
რათა შინისკენ მომავალი გზა შეემოკლებინათ.

ოღონდ აქ, მარცხნივ კუთხეში, წინათ საფუნთუშე და საშაქარლამო იყო  
ორსართულიან სახლში, სადაც მოგრიძო პურების საყიდლად შეირბენდნენ ხოლ-  
მე და სადაც გაზაფხულის დილას პურის თბილი, საამო სურნელი ტრიალებ-  
და. აქ, ვიშნიაკოვის შესახვევში, ვაჭართა მკვიდრად ნაგები მეზონინიანი  
სახლები იდგა, ბალახიანი ეზოებით, შეშის ფარდულებით. ამ სახლების ტო-  
ლით დახურულ გახურებულ სახურავებზე დაგოგმანობდნენ მტრედები, რომ-  
ლებიც ბადურიანი სამტრედებიდან გამოდიოდნენ, ხოლო გულზვიადი კატე-  
ბი მაისის შუადღეს ზანტად იწვნენ ფანჯრის რაფებზე და მზისგულზე თბე-  
ბოდნენ, თან ცაცხვების ტოტებში ბედურების გაშმაგებულ ეივილხივილზე  
ყურებს აპანტურებდნენ. ივნისის დამლევს ალვის ხეების „ქარბუქი“ მძვინ-



ვარება ზამოსკვორეჩის ქუჩებში. შესახვევებში, ყველა ჩიხში ბუმბული სიფრთხანა საბურველივით მიცურავდა ქვაფენილებზე, შედიოდა ღია ფანჯრებში, დაჰფრენდა ნახევარსარდაფში გამართული მაღაზიების დახლებს, ედებოდა ლობეებზე გაკრულ აფიშებს, საგაზეთო კიოსკების შუშებს, თეთრ ტახტებზე უვლიდა ჭიშკრის მახლობელ ქვის ბოძკინტებს, ეკვროდა თუჩის ფიჭვის სვეტებს, სახეზე, წარბებსა და წამწამებზე ულიტინებდა და ღიმილს ჰგვრიდა გამვლელ-გამომვლელს...

ვასილიევი რამდენიმე წელია არ ყოფილა აქ — ან არ ეცალა აქ მოსასვლელად, ანდა იქნებ ქვეცნობიერად თავს იცავდა წარსულისა და ვიშნიაკოვის შესახვევში მდგარი სიყრმიდანვე ნაცნობი ამ პატარა ეკლესიის ახლოს მომხდარი ყველა ცვლილებისაგან. აქ კი აღარც საფუნთუშე და საშაქარლამო იყო, არც ბოსტნეულის მაღაზიები, არც მეზონინიანი ცალკე სახლები, არც ასწლოვანი ცაცხვები, არც ჭიშკრის მახლობლად ქვის ბოძკინტები, არც სახურავზე ჩამომსხდარი მაძლარი მტრედები. იქ, სადაც ეს ეზოები, ძველი ცალკე სახლები და ასწლოვანი ცაცხვები იყო, იდგა უზარმაზარი სახლი. იგი საღამოსეულ ღილისფერ ცაში უშნოდ აჩნობოდა პანელის კედლით, რადიოტექნიკის მაღაზიის ვიტრინებით და უსახური აივნებით, რომლებზედაც შრებოდა ჭრელი სარეცხი, იდგა ყუთები და თხილამურები, ხოლო ეკლესიის პირდაპირ, მისი ეზოს გადმოღმა, ქედმაღლურად და მოუქნელად ახახულიყო ცაში თოთხმეტსართულიანი კოშკი, — და ეს უცხო მომხდურნი, ეს უცხოელი დამპყრობნი მტრულად ეჩხირებოდნენ თვალში ვასილიევს ცინიკური, მოდური უმსგავსობით, — და ის მიხვდა, რომ აქ, თავისი ბავშვობის მხარეში მოსვლა დაავადებდა, რომ აქ აუხსნელი ძალადობის მსგავსი ცდუნება მომხდარიყო.

ლუჩენიკოვსკაიას კუთხეში ილიას შეხედა. მაგრამ ის გულჩათხრობილად დუმდა, და ოდნავ შესამჩნევი დაბნეულობა ნერვულ კრუნჩხვასავით უვლიდა სახეზე. მოეჩვენა, რომ ეს იყო დაუბოლოებელი სუსტი ღიმილი, ბავშვურის, დიდი ხნის წინანდელის ცნობის ანარეკლის მსგავსი, რაც ჯერ კიდევ შერჩენოდა ქუჩაში მდგარი ალვის ხეების ტოტებზე დადებული თოვლის მოცისფრო ღიობებს, ლელმადაკრულ წყალსადინარ მილებს, ლავგარდანებზე დაკიდებულ მწვეთავ ლოლუებს, პირველი სართულების ტიულის ფარდებს, დაბალი მზის უკვე არაზამთრისეულ სხივებს, დაფრქვეულს შორეულ ქათქათას სახურავებზე, რომლებსაც ჩრდილოვან დაქანებებზე თვალისმომკრელი ლურჯი ფერი ჰქონდათ. გაზაფხულის პირზე რომ იცის, და რატომღაც ჩარჩა მეხსიერებაში სამუდამოდ გარდასული წლებიდან. ყოველივე ეს დროისაგან ხელშეუხებელი იყო — ყინულით დაფარული საწვიმარი ღარებიც, ლოლუებზე აკიაფებული მზის ნაპერწკლებიც, წვეთებიც, ჩრდილებიც და თებერვლის ჰაერიც. რომელსაც რაღაც ნესტიანი და მომწარო, თითქოს ღუმლის კვამლის სუნს დაჰკრავდა. და ვასილიევს აშკარად ჩაესმა ილიას ჩურჩული: „მახსოვს, ასე იყო“, — და ნესტოებით ხარბად შეისუნთქა ჰაერი, თან სახურავებს ავლებდა თვალს.

— შენ რაღაც თქვი? — შეეკითხა ვასილიევი. — შენ თქვი, ასე იყო?

— მე ვდუმდი. მეგონა, ყველაფერი დამავიწყდა, ყველაფერი... — პასუხი დააყოვნა ილიამ, და ვასილიევი გააკვირვა მისი ხმის სიმშრალემ. — ახლა იქნება სახანძრო რაზმი... და ჩვენი სახლი... მკონი... ოთხი ნომერი... კარგად მახსოვს, მეორე მხარეს გარაჟია.

— მეც მახსოვს.



აქ იყო მთელ რაიონში ცნობილი სახანძრო რაზმის გარაჟი, რომლის ჭიშკარი ომამდე მოლისფრად იყო შეღებილი. ზაფხულის ცხელ დღეებში დილდილობით არ იკეტებოდა, და იქ, შიგნით, ბინდით მოცულ სიგრილეში, სადაც ზეთის სუნი ტრიალებდა, ძლიერი ნაკადებით რეცხავდნენ ჰრანდსპოიტებით ისედაც გაპრიალებულ წითელ მანქანებს, რომლებზედაც ეწოდა ოქროსფერი საგანგაშო ზარი. ეს ზარი ომახიანად იწყებდა რეცხვას, როგორც კი მანქანები განგაშის ხმაზე გარაჟიდან გამოდიოდნენ და მანქანები რეცხავდა, სანამ, ზაცეპის მიმართულებით მიმავალნი, ქუჩაზე კარავივით გადმონურული ალვის ხეების ბინდბუნდში არ მიიმალეობდნენ. ახლა გარაჟის მწვანე ჭიშკრის ნაცვლად ბათქაშჩამოცვენილი კედელი აჩხორილიყო, მქრქალი ლუმინესცენციური ლურჯი შუქი გამოდიოდა რომელიღაც სახელოსნოს ფანჯრიდან...

არა, ილიას აქ გამოცილება შეცდომა იყო! ეს იყო სულში ბავშვობის მხიარული კუნჭულის, სიჭაბუკის დროის, ომამდელისა და ომისშემდგომის (მისი ცხოვრების საუკეთესო წლების) გაცამტვერება, და ეს შეცდომა განსაკუთრებით აშკარა გახდა მაშინ, როცა მან დაინახა მშობლიური ეზო უღობოდ და უჭიშკროდ, უბადრუკი, საცოდავი, ერთი ბეწო, გადანამქრული, ეზო კი არა, ეზოს ნაწილი, რომელიც მარჯვნიდან ახალი ხუთსართულიანი სახლის რუხ პანელებს შეევიწროვებინა, მარცხნიდან კი ასევე ახალ, რუხი კვადრატულ-შუშებიანი შენობის ბეტონის კედელს. ეს შენობა ალბათ უკანასკნელ წლებში აეგოთ პარმალის ორსართულიანი ცალკე სახლების ადგილას (მათ ჩარდახებს აფარებდნენ ხოლმე თავს გამვლელ-გამომვლელნი წვიმის დროს), რომელთა რკინისრიკულებიანი აივნები ეყრდნობოდა ატლანტების მძლავრ მხრებს. ატლანტთა კუნთებს თბილ სხივებს ჰფენდა ცაცხვების ფოთლებში გამომჭვირვალე ჩამავალი მზე.

ალარც ეზო იყო, ალარც ის, რაც ადრე ეზოს შეადგენდა, მაგრამ ორსართულიანი სახლი, გაჭვარტლული, ჩაშავებული, მისი დაფერდებელი ძველი ტამბური. ხის საფეხურები უვნებელი დარჩენილიყვნენ, ოღონდ პირველ სართულზე მტვრიან ფანჯრებზე შიგნიდან გაყვითლებული გაზეთები აეფარებინათ — დაბლა უკვე აღარავინ ცხოვრობდა. მაგრამ ფარდებგადაწეული ზედა ფანჯრები თითქოს როგორღაც ინარჩუნებდნენ ადამიანის სუნთქვას, და ვიწრო ბილიკი ნამქერებს შორის ტამბურისაკენ მიემართებოდა. საფეხურების ახლოს თივთიკისთავშლიანი უცნობი ქალი თოვლზე ფარდაგს ფერთხავდა, და ვასილიევს გული აუჩქროლდა: რაისა მიხაილოვნა?.. მაგრამ ქალი წელში გაიმართა, წარბშეკვრით შეხედა ორივეს, ჩექმებიანი სქელი ფეხები აქეთ-იქით გადგა. ბრტყელსახიანი იყო, ტანმოკლე, ეტყობოდა, მათ ეზოში არასდროს ეცხოვრა. თავშლიდან ჩამოცვენილი თმა გაისწორა და კვლავ დაიწყო ჯოხის ბრაგუნის და მტვრის გამობერტყვა.

ბილიკს გაჰყვნენ, ილია ტამბურთან შეჩერდა, დაკვირვებით შეხედა ქალს, გამარჯობათო, წაიდუდუნა და იმწამსვე მოუბრუნდა ვასილიევს შემფოთებული შეკითხვით: ვინ არის ეს ქალი, რაღაც არ მახსოვსო. — არც მე ვიციო. — მხრების აჩეჩით მიუგო ვასილიევმა.

წინათ ტამბურის მაგარ კიბეზე ძველისძველი ხის სურნელი ტრიალებდა, რასაც ერთვოდა გვერდითი ფანჯრიდან შემოსულ მზის სხივებზე ადენილი მტვრის, სამზარეულოს სუნი, რაღაც აუწერლად შინაური, ახლა კი აქაურობა უპატრონოდ მიტოვებული უსიამო იყო. ჩამტვრეული ფანჯარა აეფიცრათ და



მხოლოდ კუჭრუტანებიდან შემოდის და დღის სინათლე, ამიტომ შშორის, თავისა და სარდაფის ცივი სუნის იდგა.

მეორე სართულის კიბე ეპატარავათ და ევიწროვათ, ისევე როგორც უღიმ-  
ლამო დერეფანი, გაცვეთილი და კუჭყიანი კარიც პატარა ეჩვენათ. ფანჯრის  
რაფებიც სოფლურად დაბალი — ყველაფერი შეცვლილი, გაღარიბებული, რო-  
ცა მაღლა ავიდნენ და ვასილიევმა ტკივილით მოათვალიერა მეორე სართული.  
„აქაურობა ოდესღაც უღრუბლო, მზიანი, ბედნიერი იყო...“ მარტო მარტო  
ერთმანეთს გადახედეს.

— ღმერთო, მიშველე, — მორჩილად თქვა ილიამ, სასოწარკვეთილმა,  
შლაპა მოიხადა და ქუდით ხელში დაიძრა თავისი კარისაკენ, რომელიც მარჯე-  
ნიდან პირველი იყო, საღებავი დიდი ხნის წინათ ჩამოქერცლოდა და ზედ  
ეკიდა ასევე საღებავაქერცლილი ფოსტის ყუთი. მან ჩურჩულით წაიკითხა  
ყუთზე დაწებებულ ქაღალდის ვიწრო ზოლზე გაკეთებული წარწერა:

— რაისა მიხაილოვნა რამ-ზინა...

ვასილიევი ილიას გაუბედავმა და ფერმიხდილმა სახემ კი არ განაცვიფრა,  
არამედ ამ ენის ბორძიკით წარმოთქმულმა საკუთარმა გვარმა, თითქოს იგი  
უცხო ყოფილიყო და ხმამაღლა პირველად შეეგრძნოს.

— მე მგონი, მარტო გიჯობს, მე აქ დაგელოდები, — უთხრა ვასილიევმა  
და დერეფნის ბოლოსაკენ გაიხედა, სადაც კვერცხისგულისფრად მოჩანდა აბ-  
სოლდერმატინგადაკრული, ამ კაშკაშა სიყვითლით გაუცხოებული ბოლო კარი,  
რომლის იქით მაინც უნდა ყოფილიყო მათი ორი მომიჯნავე ოთახი, რომელთა  
ფანჯრები ეზოს გადაჰყურებდა და გაზაფხულიდანვე მუდამ ღია იყო ცაცხე-  
ბის საამური სიმწვანისა და სივრცის შემოსაშვებად. ვინ ცხოვრობდა აბ-  
სოლ იქ, ამ შემადრწუნებლად ყვითელი კარის მიღმა?

— გთხოვ, ერთ წუთს მაინც იყავი ჩემთან, — წარმოთქვა ილიამ. წინათ  
ვასილიევს არასდროს უნახავს მისი თვალების ასე მფრთხალი, უსუსური გა-  
მომეტყველება. — გემუდარები, ვალოდია, მიშველე...

— დააკაკუნე, ილია.

ილიამ გაუბედავად დააკაკუნა, არავინ გამოპასუხებია, კიდევ ერთხელ და-  
აკაკუნა, მიაყურა, თითებით ფრთხილად მიაწვა კარს. კარი ანჯამების ჟანგიანი  
ჭრილის გარეშე გაიღო, რაც იშვიათად როდია ხოლმე სახლში, რომელთა  
დანგრევას აღარაფერი უკლია, და პირველი, რაც ვასილიევმა შეიგრძნო, —  
მყარი, ურღვევი მყუდროება მოეგება ოთახიდან, რომელიც ორი ფანჯრიდან  
მზით იყო განათებული.

აქ სიჩუმე სუფევდა. აქ იყო მისი სამფლობელო. ისევ ის წიგნის კარადე-  
ბი, მთელ მარცხენა კედელს რომ გასდევდა, ისევ ის ჩარჩომოჩუქურთმებული  
ძველებური ტრიუმო, ისევ ის კომოდი, მაგრამ ხელუხლებლის, დიდი ხნის  
დროინდელის ამ შეგრძნებას რაღაც შეშფოთებამ შეუშალა ხელი: აღარ იყო  
ილიას საწერი მაგიდა, აღარც მისი პირველყოფილი, სარკიანი თაროთი  
დამშვენებული დივანი, რომელზედაც წევბოდა ხოლმე ზოგჯერ და ორთავა  
კუნთის გასამაგრებლად პანტელებს ათამაშებდა.

რა დარჩა უცვლელი და რა შეიცვალა ოთახის პირველ ნახევარში. ვასი-  
ლიევმა ამის დანახვა ვერ მოასწრო. რადგან იქ თვალი მოჰკრა მიწაველული  
პოლანდიური ლუმელის ღია კარს და სასადილო მაგიდის (ფანჯრის წინ,  
ტაშურის დათოვლილ სახურავს რომ გადაჰყურებდა) პირდაპირ სავარძელში  
მჯდარ გამხდარ, სულ მთლად გათეთრებულ ქალს: მას ეკეთა ლითონისჩარჩო-



იანი სათვალე, როგორსაც ომამდე ატარებდნენ მოხუცი მასწავლებლები. კი  
ვერ იცნო, მიხვდა, რომ ეს რაისა მიხაილოვნა იყო, და მაშინვე გაიგონა ილიას  
ყრუ, მოგუდული ხმა: „დედა!...“ ცალ ხელში უხერხულად ეკავა შლაპა და  
მისკენ მიდიოდა, ის კი წელში გასწორდა, მექანიკურად კალთიდან მაგიდის  
კიდეზე გადადო სქელი წიგნი, სათვალე მოიხსნა და სუსტი ხმით წარმოთქვა:  
„ილუშა?...“ — და წამოდგა, მოკლე ნაბიჯებით წამოვიდა შესაყვამელად.

— ღედა!..

ილიამ ხელი მოჰხვია, ლოყა საფეთქელზე მიადო და ასე გაირინდა, ქალმა კი თშაჭალარა თავი უკან გადასწია და გაქვავდა, მხოლოდ მისი ტუჩები მოძრაობდნენ და სმენისთვის მიუწვდომ, ძნელად გამოსაცნობ სიტყვებს წარმოთქვამდნენ:

— ილაშა, რატომ... როგორ შესძელი... ასე დიდხანს?

— დედა, — ნაზად წარმოთქვა დახრილმა ილიამ, ისე რომ დედისთვის ხელი არ გაუშვია და კვლავაც მივიწყებული უხერხულობით ეჭირა მის ზურგთან შლაპა, მაგრამ წარბები ისე უთრთოდა, თითქოს გულამოსკვნით ტირილსო. — დედა, ძვირფასო ჩემო, მაპატიე, ყველაფერი მაპატიე... დამნაშავე ვარ თქვენს წინაშე, დამნაშავე ვარ...

— ნუთუ ეს შენა ხარ, ილუშა? — წაიჭურჭულა მან და ოდნავ გადაიხარა. რათა წამებულის ღიმილით შეეხედა მისთვის. — ცოცხალი ხარ, ბიჭო?

— მე ვარ, დედა. თქვენს სიზინავად ჩამოვედი.

— შენც ასეთი გახდი, ილუშა? სახე დაგნაოჭებია. სულ გათეთრებულ-  
ხარ? — ეუბნებოდა და თან ლოყაზე მისჩერებოდა. ილიამ თვალები დახუჭა.  
ხელი გამოართვა და ტუჩებით შეეხო. — როცა მაშა მომიყვია, როგორ შეხე-  
დით ერთმანეთს საზღვარგარეთ, ვერ წარმოვიდგინე, რომ ჭალარა იყავი. სულ  
პატარა ბიჭად მესიზმრებოდი. — და მან კართან მდგარ ვასილიევს დაუქნია  
თავი. — როცა შენ და ვალოდია ომში მიდიოდით, ილუშა, თქვენ ჯერ ბავშ-  
ვები იყავით... მთელი ცხოვრება გავიდა. როგორც სიზმარში, ისე გავიდა...

და მხოლოდ ახლა ატირდა, თრთოდა, ძლივძლიევობით იშორებდა წვრილ ბებრულ ცრემლებს, მაგრამ, თვალცრემლიანმა, იმწამსვე შეიპატიჟა ილია ოთახში, შლაპა გამოართვა, სკამზე დადო და ახლა ვასილიევს სთხოვა მომარაგებული ხმით:

— გაიხადე, გეთაყვა, შენც გაიხადე, ვალოდია... რამდენი წელი გავიდა, რამდენი! მადლობა ღმერთს, რომ ცოცხალი ხარ, ილუშა! — წარმოთქვა მან და ცრემლიანი თხელი წამწამები დაახამხამა. — მახსოვს, როგორ დაბრუნდით სანგრებიდან, როგორ უსხედით ამ მაგიდას. რამდენი წელი გავიდა... მთრთოლვარე ჩურჩულით გაიმეორა რაისა მიხაილოვნამ. — მე კი მარტოდ-მარტო განველე მთელი ცხოვრება... რამდენი მიფიქრია შენზე, ილუშა, მჯეროდა და არც მჯეროდა, რა საშინელი ქაღალდი მოვიდა: უგზოუკვლოდ დაიკარგაო... და როგორ დამიცარიელდა სული! სადა ხარ? ტყვედ? მოგკლეს? რა დაგემართა? რამდენი მიფიქრია, რამდენი ცრემლი მიღვრია ღამღამობით, ჩემო ილუშა! არც ერთი წერილი, არც ერთი სიტყვა შენგან!.. როგორ შესძელი ამდენ ხანს? ჩემო ერთადერთო შვილო, ძვირფასო ადამიანო... ხომ შეიძლებოდა მოვმკვდარიყავი... რისთვის უნდა გეწამებინე ამდენ წელიწადს?..

— დედა, თუ შეგიძლიათ, მაპატიეთ, ღვთის გულისათვის. — ეუბნებოდა ილია, პალტოს იხდიდა და ვედრებით აცქერდებოდა დედას, თითქოს მისი ცრემლებისა და მის მიერ ჯერაც მოუწელებელი დანაკლისით აღძრული სასო-



წარკვეთისა და უნებურად აღმოჩნდარი საყვედურისა ემინიაო. — მე ყველაფერს ვიამბობთ, თქვენ უნდა მომისმინოთ, დედა, მე მინდა ყველაფერი ვიამბოთ...

— აი შენ „თქვენობით“ მელაპარკები, ილუშა, — უთხრა რაისა მრგოლოვნამ. — რატომ მელაპარკები ასე უცხოთაგანით?

— მაპატიეთ, დედა, მე მახსოვდით, მთელი ამ წლების განმავლობაში მამასთან სოფლით თქვენ...

— შენ სულ დაბრუნდი? შენი ოჯახი სადღაა?

— მაპატიე, დედა, — ამოიკვნესა ილიამ და, თითქოს მისი შემკითხველი მზერის წინაშე სულ მთლად მოიკუნტაო, ახლოს მივიდა, დამნაშაური მორჩილებით მოიფშვნიტა და დაუშვა ხელები. — მე არა მყავს ოჯახი, მარტო ჩამოვედი... შენ უნდა მენახე, დედა.

— მარტო? სად არის შენი ცოლი, ილუშა?

— ქვრივი ვარ, დედა.

„ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი დედამისზე ასე შეყვარებულს და მის წინაშე ასე დაბნეულს. — გაიფიქრა ვასილიევმა, რომელიც თავისი აქ ყოფნით საშინელ უხერხულობას განიცდიდა, კართან იდგა და პალტოს არ იხდიდა, რა ალერსიანად უყურებს რაისა მიხაილოვნას, როგორ სურს გაუღიმოს, როგორ იფშვნიტს ხელებს, როგორ უფრთხის მის შემკითხვებს... დიახ, დიახ, აი ეს ილია, საუცხოო კოსტიუმში გემოვნებით გამოწყობილი, წმინდად პირგაპარსული, ლამაზიც კი, უკვე მკვდარია, ერთ-ორ წელიწადში ის აღარ იქნება ამქვეყნად, მაგრამ ეს არ იცის რაისა მიხაილოვნამ. იგი მასზე უფრო დიდხანს იცოცხლებს, რაკი მე სულ ამაზე ვფიქრობ, მაშასადამე, არაფრით არ მინდა შევურიგდე მის სიკვდილს!“

— რაისა მიხაილოვნა, მე სიგარეტებისათვის გავალ, იცით, კოლოფი სახელოსნოში დამრჩა, აქ, მგონი, კუთხეში კიოსკია? მე ახლავე, რა დასანანიია!

და ვასილიევმა ჩიბებზე დაირტყა ხელები და მაშინვე გამოვიდა დერეფანში, არ დალოდებია, სანამ ვინმე შეაჩერებდა, მას ესმოდა, რომ თავისი უნებური მონაწილეობით უკვე ვერც ილიას დაეხმარებოდა და ვერც რაისა მიხაილოვნას.

დერეფანში ვასილიევი გასასვლელისკენ კი არ გაემართა, არამედ დერეფნის ბოლოსაკენ, საითაც დაუოკებლად იზიდავდა კვერცხისგულისფერი კარი, რომელსაც პრილა ლითონისთავიანი ლურსმნებით ჰქონდა გადაკრული ახალი დერმატინი. იგი რაფაზე ჩამოჯდა, ყურს უგდებდა ამ უკვე უცხო ორი ოთახის სიჩუმეს, ფიქრობდა, ნეტავ იქ ერთი წუთით შემახედა და კაფელის პოლანდიური ღუმელი დამანახვა, რომლის პირდაპირ ჩემი დივანი იდგაო.

— თქვენ მოქალაქე, ვინ გნებავთ? ა?..

თივთიკისთავშლიანი ტანმოკლე ქალი, წელან რომ ეზოში შეხვდნენ, ქოშინი რომ აწუხებდა, წარბშეკვრით მიშტერებოდა ვასილიევს, თან მუცელზე მაგრად მიეკრა დახვეული ფარდაგი.

თქვენ... ამ ბინაში ცხოვრობთ? იცით, ოდესღაც... — დაიწყო ვასილიევმა, რომელსაც უცნაურად მოხვდა გულში ის, რომ ეს უსახური და უემური ქალი მათ ოთახებში ცხოვრობს, რომ ბრტყელ სახეზე ეტყობა, საცაა გულშემზარავად შეკრთვლებს, საკუთარ კარს გაბოროტებით დაიცავს, და სათქმელი არ დაუმატებია, ირონიული ლიმილით შეაწყვეტინა თავის თავს: — პარდონ, მაღამ, მე თქვენთან არ მოვსულვარ, სამწუხაროდ, თქვენ არასოდეს მინახიხართ, და-



ლიან ვწუხვარ, მაღამ, რომ წინათ თქვენ ამ სახლს არ ამშვენებდით. — წარმოთქვა მან ეს დარდიმანდული, რატომღაც თავში მოსული სრულიად უაზრო ფრაზა, და ამის თქმაზე ქუსლი ქუსლს შემოჰკრა, კავალერგარდულად დაუკრა თავი, თან ნალვლიანად ფიქრობდა ამ ბავშვურ საქციელზე: „მგონი, ქუთაზე შევიშალე...“

— უყურე, ქუდებით დაბრძანდებიან, ანტილეგენტებს გავენან... — გვითვალთვალებენ, — აშმაშურდა უკან საჩხუბრად მომზადებული მხატვრობა ვასილიევი კიბისკენ გაემართა. — ფულიგნები.

„ფულიგნები ქუდებით დაბრძანდებიან, ანტილეგენტებს გავენან“. — გესლიანი ქლერადობით ჩაესმოდა ყურში, სანამ აშმორებულ ტამბურში არ ჩავიდა.

ნესტიანმა პაერმა დაჰკრა. გარეთ ლელმა იყო, მაგრამ ვერც ეზოში იგრძნო შვება, სადაც ნაადრევი დაისის ალი მოსდებოდა მეზობელი ხუთსართულიანი სახლის მთელ კედელს, რომლის იქით ხან მთელი სიმძლავრით გუგუნებდა მოტორი, ხან კი დაბალ ბრუნებზე მუშაობდა და მაშინ მუხლუხები ღრჭიალებდნენ, გაისმოდა მძიმე დარტყმები და რაღაც ცვიოდა, შრილებდა, ამ დარტყმებთან ერთად მოედინებოდა და შესახვევს აყრუებდა.

„ფულიგნები ქუდებით დაბრძანდებიან, ანტილეგენტებს გავენან“. — გულში დასცინოდა თავის თავს ვასილიევი, ხოლო მოწითალო ნამქერებს შორის გამავალმა ბილიკმა იმ ადგილას გაიყვანა, სადაც წინათ ჭიშკარი და ალაყაფის კარები იყო.

აქ შეჩერდა, მიიხედ-მოიხედა, მღნარი თოვლის სუნი ეცა, და უცებ წარმოუდგა სხვა რამ: შორეული ზაფხულის მიმწუხრი, ჩამავალი მზის მშვიდი სითბო ცაცხვების უძრავ კენწეროებში, სხვენის ფანჯრების მყუდრო და თბილი ანაბზინი, მზის ჩასვლისას ტყის პატარ-პატარა ტბების ანარეკლის მსგავსი, დაბლა კი ღია ფანჯრებიდან აქა-იქ ფოთლებში გამოკრთის აბაყურების შუქი, მიყრუებული ხმები, ჭურჭლის წკარუნი... მერე ივლისის ცხელი ღამე, ვარსკვლავები ხეებისა და ჩაშავებული ანტენების თავზე; ჭიშკარს დაღამდე ურდულით კეტავს ძია ახმეტი, ჩაბნელებული ეზო თითქოს ჩაკეტილია, განცალკევებულია მიყუჩებული შესახვევებისა და ქუჩებისაგან, კვაფენილისაგან, შიგნით კი შეერთებულია ერთმანეთისადმი თითქმის ნათესაური ნდობით: ყოველი ფანჯრის ქვეშ დგას ფარდულებიდან გამოტანილი ძველი საწოლები, სკამებსა და ფიცრებზე ლოგინი გაუშლიათ, ბინდბუნდში თეთრად მოჩანს ბალიშები, ძილის წინ ერთმანეთს გადაულაპარაკებენ ხოლმე მეზობლები, ზოგჯერ გაისმის საბანგადაფარებული ბავშვების სიცილი, ხოლო ეზოს ირგვლივ უხმოდ დაცურავს სხვა ეზოების, მახლობელი ქუჩების, მთელი ზამოსკვორეჩიეს მშვიდი სიჩუმე, და ამ წუთებში სურდა ლოგინიდან ეცქირა მუქი ლურჯი სიღრმის მოძრავი გრძნებისათვის, ვარსკვლავთა ტრაპეციებისა და სამკუთხედების იდუმალი გადაადგილების, უცნაური გადანაცვლებისათვის, დაძინების თუ გაღვიძებისას სახეზე ეგრძნო გრილი ნიავის ქროლვა და, ზეცასთან საიდუმლო კავშირის შეგრძნებისაგან მობუზულს, ყური მიეგდო გვიანი ტროლეიბუსის სადღაც შორიდან მოდენილი ზუზუნისათვის.

„რა იყო ეს? ვაჭართა ეზოების საამო პატრიარქალურობა? — ფიქრობდა ვასილიევი, რომელსაც ისე ნათლად წარმოუდგა წყნარი ღამისაგან განცდილი ბავშვური სიხარული, ვარსკვლავები, ეზოში აღმართული ცაცხვების შავი კენწეროები, რომ დილის ნიავისა და სუფთა პაერზე თავქვეშ ამოდებული გრილი ბალიშის სუნიც კი იგრძნო. — არა, რაღაც სხვა იყო, მაშ რა? წარსუ-



ლით გულის აჩუყება? არა. ეს იყო ერთად მცხოვრები ხალხის მიმდობი სი-  
აზლოვე, მიუხედავად ყოველივესი. და იყო ერთი იმედი. და ყველას ჰქონდა  
ერთნაირი, საშუალო შეძლება... სად არის ყველაფერი ეს? დროის მდინარეში  
დაინთქა? უკვალოდ გაქრა?

ძრავა ღმუილით არყევდა ჰაერს, ხუთსართულიანი სახლის იქით გუგუნებ-  
და. ყრუ დარტყმები თანაზომიერად აღწევდა. ვასილიევმა ვერ შეიტყნა —  
შესახვევის კუთხემდე მივიდა, რადგან უნდოდა ენახა, რას აშენებდნენ მისი  
ფიცრული ღობის მიღმა დამტვრეული აგურების გროვაზე გაქირვებით  
მოძრაობდა ამწის მსგავსი მუხლუხიანი მანქანა, რომლის კაკვზე მრისხანედ  
ქანაობდა და დამიზნებით ეხეთქებოდა კედლის დამახინჯებულ გულს ფოლა-  
დის ბურთი — ყავისფერი მტვერი გრიანდებდა ჰაერში, ცვიოდა ბათქაში,  
ხმაურით ინგრეოდა დამტვრეული წითელი აგური, სქელ გადახურვათა კო-  
ჭები. კედელი ჯერ კიდევ იდგა, რაღაც სასწაულით ინარჩუნებდა ნაძერწი ფი-  
გურებით შემკულ ფრონტონს! დაბლა ილანდებოდა ჩამტვრეული ფანჯრები,  
აივნის გრებილი თუჯის რიკულები. რომლებსაც აჰყოლოდა გაფურჩქნილი  
შროშანების მოშავო ფურცლები. ხოლო რიკულების ქვეშ მდგარ ატლანტებს,  
მტვრიანებს, ნახევრად დანგრეულებს, უკანასკნელი ძალ-ღონე მოეკრიბათ  
და დამაბული მხრებით ჯერ კიდევ ეკავათ აივანი, რომელიც ფოლადის ულ-  
მოებელი ელრილა ბურთის ყოველ შეხეთქებაზე ცახცახებდა. ეს უნდა ყოფი-  
ლიყო საკონდიტრო ფაბრიკის ყოფილი მფლობელის სახლი, სადაც ომამდე  
საბავშვო ბიბლიოთეკა იყო მოთავსებული. ვასილიევს ვერ გაეგო, რატომ  
იღებდნენ ამ ძველ სახლს, რომელიც მუდამ თავს იწონებდა გაშლილ ასწლოვან  
ცაცხეებს შორის თავისი აივნებით, ფიგურული სათოფურებით, კოშკურები  
თავზე მოღულუნე ფლუგერებით, თავისი სადარბაზოთი, ამას ტანკით მოდ-  
განდგარე მოტორის ღმუილი და ფოლადის ბურთის დამანგრეველი ხათქახუთ-  
ქიც ერთვოდა და ვლადიმირს საფეთქლები ასტკივდა. ზიზლით უცქერდა  
დამახინჯებული კედლის წინ ჩლუნგად და მძიმედ მოქანავე ბურთს და ფიქ-  
რობდა ილიაზე, რაისა მიხაილოვნაზე, არარსებულ ეზოზე, ადამიანის ამო-  
ცდაზე დროში შეინარჩუნოს თავი.

„თანახმა ვარ, რომ ყოველივე ამაში მეც მიმიძღვის ბრალი. მაგრამ საი-  
დან მომდინარეობს ეს დამანგრეველი ჯოჯოხეთი? ნუთუ წარსული არ რჩება  
და არავის არაფერი არ ეხსომება? არც ერთი ჩვენგანი. დაანგრევნ ძველ  
სახლს, ააშენებნ ახალს, პანელიანს, სხვები კი ჩვენს კვალდაკვალ დაანგრევნ  
პანელიანს და ააშენებნ კიდევ უფრო უსახურს... ალბათ მთელი ჩვენი წარ-  
სული მტვრის ნამცეცებით განიბნევა სამყაროში. მხოლოდ ზოგიერთთა  
ხსოვნა... ალბათ მხოლოდ ხელოვნება შემოინახავს მცირეოდენ რამეს...“

ამ უაზრო ნგრევით გაღიზიანებული, მიმოდიოდა აზანზარებულ შესახ-  
ვევში და რატომღაც მოაგონდა, ერთხელ იანვრის ომის შემდგომ საღამოს აგერ  
აქ, შესახვევში როგორ მძვინვარებდა ქარბუქი, თოვლის კვამლი სწყდებოდა  
სახურავებს, ნამქერების წვეროებს, მოექანებოდა, ძაბრივით ტრიალებდა, გა-  
ყინულ ცაცხვებთან ერთად აქეთ-იქით ქანაობდნენ ფარნები, მქრქალი შუქი  
ასდევდა და ჩასდევდა გადანამქრულ ღობეებს, და ამ ქარბუქში ძლივსღა  
მოჩანდა მბოლავ კვადრატებად გამოშკრთალი კუთხეში მდგარი განათებული  
სახლი საყარაულო კოშკურებით, ყაჩაღურად მსტვენი ფლუგერებით, ვლა-  
დიმირი კი — ჯერ კიდევ შინელით — მოდიოდა მამასთან ერთად, სახეში  
თოვლი სცემდა და ვერ ხედავდა ბეწვიანი საყელოთი დაფარულ მის თვალებს.



მხოლოდ შუბლის ნაწილსა და თოვლისგან გაბანჯგვლულ წარბებს ხედავდა. ვლადიმირი ხშირ-ხშირად ჩერდებოდა და ულიმოდა („მაშა, მაშა!“). მხრებზე ხელს ხვევდა. სახიდან ლიპ, სველ საყელოს უწევდა და ისე ხარბად უკოცნიდა ნამიან, ზამთრის სუნით გაჟღენთილ ტკბილ ტუჩებს, რომ ქალი თვალებს ხუკავდა და თათმანიანი ხელით აწევებოდა გულზე, „ეს კი ხელს არ უწევდა და კვლავ ხარბად ეალერსებოდა...“

„ალარც ეს არის, — გაიფიქრა ვასილიევმა, — მხოლოდ ქუჩაში შემოძრა“.

ფასადის მნგრეველი ფოლადის ბურთის ხათქახუთქი აგურის კედელზე ტანკის ლუგების დარტყმებს ჰგავდა (ასე იყო ერთხელ კამენეც-პოდოლსკში, ციხის პხლოს, როცა გერმანელთა ტანკები შეტევაზე გადმოვიდნენ), და აგურში შეჭრილი ლითონის თანაზომიერი ხმა ლუწნიკოვსკაიაზე გამავალ შესახვევამდე, მისი სახლის ყოფილ კიშკრამდე გაჰყვა ვასილიევს, საფეთქლები კი ისევ სტეხდა. ნანობდა, რომ დაუსრულებელი სამუშაოთი და პატივმოყვარული თვითდამკვიდრებით გატაცებული ბარე ათ წელიწადს არ მოსულა ბავშვობის ამ მხარეში, და ილია რომ არა, მის უკანასკნელ ნაშთებსაც ვერ ნახავდა. თავისი თავისთვის ვერ ეპატიებინა დროის აუნაზღაურებელი დანაკლისი, „მერმისისთვის“ მაცდუნებელი და დამამშვიდებელი გადადება, თითქოს მეორე სიცოცხლის იმედი ჰქონდა.

„მაშ, ნახვამდის, საყვარელო შესახვევო, დიდი ხნის წინათ უნდა მოვსულიყავი საეტიუდო ქაღალდებით, მაგრამ არ მოვედი“...

უმძიმდა რამზინებთან დაბრუნება, არ უნდოდა ენახა თავისი დერეფანი, ვერცხლისფერთვალა ლურსმნებით საზეიმოდ მოჭედილი ყვითელი დერმატინი სიყრმიდანვე მშობლიურ კარზე, რომლის შეხედვაც აღარ უნდოდა დროის მიერ ჩადენილი რაღაც ღალატის, იმ ბრტყელსახიანი მოღუშული ქალისადმი დამამცირებელი პირმოთნეობის გამო.

დაახლოებით საათ-ნახევრის შემდეგ რაისა მიხაილოვნასთან გამოსამშვიდობებლად ავიდა, ხოლო როცა ხმადაბალი ლაპარაკი გაიგონა, დააკაკუნა და კარი შეაღო. ერთხანს შეყოყმანდა, მგონი, უდროოდ დროს მოვედიო, მაგრამ უკან გაბრუნება უკვე შეუძლებელი იყო. ილია მაგიდას მოშორებოდა და თითქოს გულში ჩაკლული უკმაყოფილებით შეხედა ვასილიევს: „შემოდო, შემოდო, ზღუბლთან რას დამდგარხარ! საიდუმლო არაფერია!“ — და კვლავ რაისა მიხაილოვნას მიუბრუნდა, ხმაში დაბნეულობა გამოერია:

— დედა, ისე მე ვერ წავალ! შენ უნდა გამიგო. მე მინდა, რომ მშვიდი სიბერე გქონდეს.

ქალი სავარძელში იჯდა. გამხდარი ხელები მწუხარედ აეფარებინა სახეზე, ხოლო სუფრაზე ფინჯნებისა და მურაბიანი როზეტების ახლოს მოჩანდა ახალი მწვანე კუპიურების დასტა; ილია რაისა მიხაილოვნასკენ სწევდა მათ და თან დაბნეული განაგრძობდა:

— დედა, მე ღარიბი არა ვარ, დამიჯერე, ეს მე არ დამაქცევს. ყოველთვიურად ას ორმოცდაათ დოლარს გამოგიგზავნი ხოლმე სახარჯოდ. მოსკოვში „ბერიოზკის“ შესანიშნავი მაღაზიებია, და შენ ვალუტით შეძლებ...

რაისა მიხაილოვნამ სახიდან ხელები მოიშორა, გადატანილი უბედურების, სულიერი დაქანცულობის გამომხატველი ცრემლგამშრალი თვალებით ახედა ილიას და მკრთალი ღიმილით უთხრა:



— გვიანდაა, ილუშა. მთელმა ცხოვრებამ გაიარა. შენ ჩემი ცხოვრების დასასრულს ჩამოხვედი.

— მე ვგრძნობ, დედა, შენ არ გაგზარებია ჩემი ჩამოსვლა. — წარმოთქვა ილიამ, რომელმაც წყენა ვერ დაფარა. — მე კი მინდოდა, ვერ წარმოიღებინა, როგორ მინდოდა შენი ნახვა. მე და შენ ხომ მარტონი დავრჩით. მარტონი მთელ ქვეყანაზე.

რაისა მიხაილოვნა გულშელონებულივით გადმოქანდა წინ, საფეთქლებზე ხელისგულები მიიჭირა, მერე სავარძელს მიესვენა და მუდარით აღსავეს ჩურჩულით, გულიდან აღმომზადარი შემაშფოთებული ტანჯვით. შინაგანი, დაუღვრელი ცრემლებით თქვა:

— რად მომივლინა ღმერთმა ეს სასჯელი! მთელი ცხოვრება უჩემოდ გაატარე, ილუშა. შენ შესძებლ... უჩემოდ სადღაც გეცხოვრა. ახლა კი ჩამოხვედი და ამშობ, მიყვარხარო, და ფულს მთავაზობ... რად მინდა, ილუშა, სიბერის უამს საზღვარგარეთული ფული? მე აღარაფერი აღარ მინდა! სამარეში ხომ არ ჩავიტან ფულს! — შესძახა რაისა მიხაილოვნამ და გამხდარსა და გაფითრებულ ლოყებზე შეაცქერდა. ილია კვლავ ორ ნაბიჯზე იდგა მისი სავარძლიდან და თითებით ისე დასწოლოდა მაგიდის კიდე, რომ მოპლუნვოდა და გასთეთრებოდა; იგი თვალს არ აშორებდა მურაბით სავსე პატარა ვაზას. — მე მხოლოდ შენი სიყვარული მინდოდა, ილუშა. შენ კი შესძელი მთელი ცხოვრება უჩემოდ გაგეტარებინა. — უხალისოდ გაიმეორა რაისა მიხაილოვნამ. — მაპატიე, მე ყველაფერი გითხარი... რომ ერთმანეთი არ გავაწამოთ ყალბი მოვალეობებით, ოჰ, როგორ დავიღალე დღეს, ილაჩი გამიწყდა... — და, გადაღლილმა, თვალები მილულა, ერთხანს ასე იჯდა, მერე კი მიღუეული ხმით დასძინა: — წადი, ილუშა. ვალოდიას ამდენს ნულარ ალოდინებ. კიდევ შემოიარე წასვლამდე... ფული კი წაიღე. შენ დაგჭირდება ფული...

— შემოვივლი, დედა. შენი ნებართვით, — უთხრა ილიამ. ფეხები არ მოუღუნავს, ისე მიუახლოვდა სავარძელს, კრძალვით, გაშეშებულივით დაიხარა, დედას საფეთქელზე აკოცა, სადაც ლურჯი ძარღვები უჩანდა, ქალი კი თითის წვერებით შეეხო მხარზე. — დედა, მაპატიე, ნახვამდის. — წარმოთქვა მან. — მაპატიე, ყველაფერი მაპატიე...

ვასილიევს კარგად ახსოვდა, როგორ ჩურთავდა ილია საფულეში მწვანე ბანკნოტების დასტას, როგორ უკრავდა თავს რაისა მიხაილოვნა მოღლილად და ნაღვლიანად, როგორ ეშვებოდნენ ტამბურში ჩამავალი კიბით და გავიდნენ შესახვევში. ბუღდოზერის ღმუილით გაყრუებულნი და თავიანთ ღუმილით გათიშულნი. მხოლოდ ვიშნიაკოვის ქუჩის კუთხეში წაიდუდუნა ილიამ: „სდექ“. — და შეჩერდა, თან მზის ჩასვლით გაფერმკრთალებულ ქუჩას გახედა, სადაც მომწვანო ცაცხვების შიშველი ტოტების ზემოთ ეკიდა ახალამოსული გამჭვირვალე მთვარე, ხარბად შეისუნთქა დამდნარი თოვლის სინოტივით გაჟღენთილი ჰაერი და ნაღვლიანად თქვა:

— ვანა ძე შეცთომილი წმინდა ადგილებს უნდა უბრუნდებოდეს? ჩვენს დროში კაცს ძვირად უჯდება რომანტიზმი! „იქ, სადაც სუფრა იყო გაშლილი, ახლა კუბო დგას“!

ფერმიხდილი ამბობდა ამას და თავის თავს დასცინოდა, მაგრამ სახე გაავებოდა, გამკაცრებოდა და რალაციტ მოაგონებდა სხვა ილიას, ათას ცხრაას ორმოცდასამი წლის ილიას, იმ დილით რკინიგზის გადასავლელზე გერმანელებით აღუაშემორტყმულ ქვემეხებთან რომ ბრუნდებოდნენ.



താഴെ പറയുന്നവകൾ

მერვე სართულზე მდებარე თავისი ბინის ფანჯრებში სინათლის ზო-  
მა გააკვირვა: ხოლო როცა მარიამ კარი გაუღო, მისი თვალების ქვეშ ჩაწოლილ-  
მა გლოვის ჩრდილებმა განაცვიფრა, და სწრაფად აკოცა ფეხი აღარ ეპარებოდა,  
რომ საბლში ცუდი ამბავი მოხდა.

მაშა? რა დაგეზარტა? — ჰკითხა შეშფოთებული მამა. —

— მაღლობელი ვარ, რომ მოხვედის სახელოსნოში — დაგირეკე, რადგან არ შემიძლო...

ოთახში შევიდა, ტორშერქვეშ მდგარი სავარძლის საიდაყვეზე დაიხარა, ხალათი გაისწორა. საფერფლის კიდიდან ამოღებული სიგარეტი აიღო. მის მოლოდინში მარია, ეტყობა, აქ განმარტოებით იჯდა და კითხულობდა; საყურნალო მაგიდაზე გაშლილი ინგლისური წიგნი იდო.

— არ მინდოდა გამეღვიძებინე, — უთხრა მარიამ და რატომღაც მუხლზე  
ბზე დაიდო წიგნი, — მაგრამ, მაპატიე, რალაც უგუნებოდ ვარ. ყოველივე ეს  
საზარელი ხდება! ვიქტორიამ სალამოს ექვს საათზე დამირეკა, მითხრა, სახ-  
ლში მოვდივარ და გზაზე მდგარი ტელეფონის ჯიხურიდან გელაპარაკებით  
აზლა ლამის ორი საათია, ის კი არ ჩანს. ვერ წარმოიდგენ, რა არ ვიფიქრე,  
ღმე-ერთო!

— მოიცა, მაშა, მოიცა, — ნაძალადევი დამამშვიდებელი სიმსუბუქით შეაჩერა ვასილიევმა. — ვისთან იყო? ვინმე მოაცილებდა?

— არ მიკითხავს, ვისთან ხარ-მეთქი, თავში არ მომსვლია, რადგან ჯერ ადრე იყო, ვიცი, რომ ზოგჯერ სადღაც დიმიტროვის გზატკეცილზე დადიან, სამსახიობო ხელოვნების მასწავლებელთან. ღმერთო, მომაგონე, რა გვარია? საკმაოდ ცნობილი რეჟისორია. გახსოვს ძალიან გახმაურებული ფილმი სოფ-  
ლელი ბიჭის შესახებ? რა ჰქვია? აბა, შენ უნდა მოიგონო, შენ იცი...

— არ მახსოვს ფილმი, მაშა, უბრალოდ არ მინახავს.

მარიამ მოუთმენლად შეათამშა მუხლი და ხალათზე დაცურებული გაშლი-  
ლი წიგნი შეაჩერა.

— არა, შენ უნდა გახსოვდეს, ღმერთო, ვერ გადავიტან... — თქვა მაშამ და იმაზე, თუ როგორ გახდება ოთახის ღია კარიდან ღერეფანში მდგარ მღუმარე ტელეფონს, იმაზე, თუ როგორ ლაპარაკობდა იგი, როგორ აჩერებდა წიგნს, რომელიც ხელს უშლიდა, ვასილიევმა შეიგრძნო ამჟამად აუხსნელი მისი გაღიზიანება, და გაიფიქრა, რომ აჯობებდა არ შეემჩნია და იმწამსვე დაევიწყებინა, ისევე როგორც ცდილობდა დავიწყებისთვის მიეცა რაღაც ახალი მათ ურთიერთობაში, მტანჯველ დაბრკოლებად რომ აღიმართა მათ შორის შემოდგომის ერთი დღიდან მოყოლებული, მაშინ ისინი საუზმობდნენ, მაშა ფანჯრიდან გასცქეროდა ნისლიან სახურავებს, ხოლო ვასილიევმა ღელვით შეამჩნია — მაშას მუქი ნაცრისფერი თვალები შინაგან სითბოს აფრქვევდნენ და ახალგაზრდულად ციმციმებდნენ, — იგრძნო, რომ დიდი ხნის წინანდელი სინაზით უყვარდა იგი, და მოჰყვა სისულელის როშვას, ახლა უფრო მიყვარხარ, ვინემ ოცდაათი წლის წინათ, მაგრამ მაშა გაკვირვებული ილუშებოდა, ღამით კი რაღაც უცხოდ, უსიცოცხლოდ იწვა მის მკლავებში, პირს არიდებდა, ტუჩებს მაღავდა, რომ არ ეკოცნა, და ამ სიცივეში, მის გულგრილსა და მორჩილ სიახლოვეში იყო რაღაც უცნობი, საშინელი, გონების დამბინდავი.

არა. ყველაფერი ბევრად უფრო ადრე დაიწყო. მაშას გაუცხოება ვასი-



ლიევმა ჯერ კიდევ ვენეციაში შეიგრძნო, როცა ქალმა ერთად ვახშობაზე უარი თქვა, ხოლო კაცი ბარში წავიდა, რათა იქ დაეღია დაძაბულობის შესა-  
ნელებლად. იმ საღამოს ვლადიმირმა მაშას უარი მიიღო როგორც მგზავრო-  
ბით, გამოფენებზე შეხვედრებით, რომში გამართული დარბაზობებით გამო-  
წვეული ჭირვეული დაღლილობა, და მარიას გაუგებარი გაგულვრილება სუ-  
ლაც არ დაუკავშირებია ილიას წერილთან, რომის ვერნისაჟზე მისი გზავრობის  
ნახა და გარეუბნის პატარა რესტორანში შეხვედრასთან (რაზეც მისი მგზავრობა  
ანებით უამბო) — იმ ბავშვურ, ომამდელ, წარსულ გრძნობებზე ექვიანობა  
ხომ სასაცილო იყო. და მაინც დამამცირებელი ფიქრი მისი ასაკის კაცისთვის  
სასაცილო ექვებზე და ამავდროულად ის, რომ მარიამ წინასწარ იცოდა მოსკოვ-  
ში ილიას ჩამოსვლის შესახებ და რაისა მიხაილოვნას აცნობა ჩამოსვლის  
დღე, თვით მას კი არაფერი უთხრა. გულს უკაწრავდა ვლადიმირს, თუმცა ამ-  
აზე არც უნდოდა ეფიქრა.

— შენ ალბათ იცი, მაშა, ილია რომ ჩამოვიდა, — უთხრა ვასილიევმა,  
ისე რომ სახეში არ შეუხედავს, რათა არაბუნებრივი გაოცება არ შეემჩნია.

— ილია რომ ჩამოვიდა? პო. ვიცი. — სხვათა შორის მიუგო მან, წიგნი  
სავარძელზე დაადო და ოთახში სიარულს მოჰყვა, თან ჯვარედინად შემოიწ-  
ყო მხრებზე ხელები. — ილიაო, შენ თქვი.. რატომ ჩამოაგდე ილიაზე სიტყვა?  
რა შეაშია აქ ილია?.. სად შეიძლება იყოს ვიკა? მითხარი ერთი, სად? თუ  
თავიანთ რეჟისორთან შეიარეს, რა უნდათ იქ ღამის ორ საათამდე? მაგრამ  
თუ ვიკა რეჟისორთან არ არის, მაშ სად უნდა იყოს. სად? სად? რა გვარია  
ის კაცი? რა გვარია? ლიუბაროვი? ნიკონოვი? არა, არა! აჰ, გამახსენდა —  
მგონი, ტიხომიროვი! პო, პო, ტიხომიროვი... — ტუჩზე იკბინა, აქეთ-იქით  
მიმოიხედა, რომ გვარი გონებიდან არ გასხლტომოდა, და გაიმეორა: — პო,  
პო, მგონი, ნიკოლაი სტეპანოვიჩ ტიხომიროვი. მახსოვს, მისი სახელი არსენა.  
ჩვენ უნდა გვექონდეს მისი ტელეფონი, უნდა გვექონდეს!..

დერეფანში მაშამ ტუმბოზე დაყრილი წერილებიდან და სხვადასხვა ან-  
გარიშებიდან ტელეფონების წიგნაკი გამოაძრო და სწრაფად დაუწყო ფურ-  
ცლა, თან ზედ სიგარეტის ფერფლი უცვიოდა. ვასილიევი უკნიდან მიუახლო-  
ვდა, სარკეში დაინახა მისი დაძაბული, დახრილი სახე, შესაბრალისი და ახ-  
ლობელი, ამ სახის ყოველი ნაოჭი, და კვლავ ნაღვლიანად გაიფიქრა, რომ ამ-  
ქვეყნად ყველაფერი ბევრზე ძვირია და, უეცარმა სპაზმმა გაუბზარა ხმა:

— გინდა მე დავრეკავ, ჩემთვის უფრო იოლი იქნება.

— ოღონდაც... ოღონდაც არაფერი დაემართოს... ნახე იმ კაცის ტელე-  
ფონი?

— დამშვიდდი, მაშა.

მან იპოვა ვიქტორიას ხელით ჩაწერილი ნიკოლაი სტეპანოვიჩ ტიხომირო-  
ვის ტელეფონი, ნომერი აკრიფა, და დისკოს აჩქარებულმა ბრუნვამ მერყევი  
იმედივით გაიზუზუნა დერეფნის მდუმარებაში. მაგრამ ყურმილს არავინ  
იღებდა, გრძელი, უბასუხო, ერთფეროვანი სიგნალები მოდიოდა უცხო ბი-  
ნის იდუმალი უდაბნოდან. ყურმილი არც მაშინ აუღიათ, როცა მესამედ და  
მეოთხედ აკრიფა ნომერი. ქალაქის ბოლოს მდებარე უცნობი ბინა უწინდებუ-  
რად დუმდა, და სანამ ვასილიევი ნომერს მოძებნიდა, რეკავდა, პასუხს ელო-  
და, სარკეში წამდაუწუმ აწყდებოდა მარიას მოღუშულ, ნაცრისფერ, დაბნე-  
ულ თვალებს, და ცდილობდა მზერით ენუგეშებინა, რადგან სულ უფრო და  
უფრო აშფოთებდა მის თვალებში ჩამდგარი შიშიც, ბინაში ყველგან ანთე-



ბული უკაცური სინათლეც, ყურმილში მოხმიანე ობოლი სიგნალებიც, რომლებიც თითქოს არყოფნიდან ჩნდებოდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიედინებოდა არყოფნაშივე — ღამეული მოსკოვის თვალშეუვალ უფსკრულში, სადაც ყველაფერი შეიძლება მომხდარიყო... მას არ უნდოდა ერწმუნა ეს ღამეული და ბნელი რამ, მაგრამ როცა წარმოიდგინა ქალიშვილის მოქნილი, გედისებური სინაზე, მისი კისრისა და მხრების, მეტისმეტად გრძელე ფეხები, ჯერაც ნორჩი მკერდის ნაზი უსუსურობა, გულსაკლავ სიბრაღეებს, რომელთაგანაც წარმოიდგინა მისი მიმზიდველი ღიმილი, ნარჩარი ხმა: „გამარჯობა, მაში!“ — მარტო ლელვა კი არ იგრძნო, გამყინავმა შიშმაც გაჰკრა გულში და ამ გრძნობის გარდა ყველაფერი არარაობად იქცა.

— მისმინე, მარია, — უთხრა ვასილიევმა, ისე რომ ტელეფონის ყურმილისათვის ხელი არ გაუშვია. — არის კიდევ ერთი უდარდელი კაცი, რომელთანაც შეიძლება იყოს. ესაა შენი უცნაური ბიძა — ედუარდ არკადიევიჩი. მისი მონოლოგები უსასრულოა ხოლმე და მათგან თავის დაღწევა არც ისე იოლია..

მაშამ შემცივნულივით აიჩეჩა მხრები.

— ღამის პირველის ნახევრიდან დავიწყე ყველასთან რეკვა. ედუარდსაც დავურეკე, შენს ლობათინსაც. იმ შტერ სვეტოზაროვსაც. არ დაიჯერებ, შტერი შინ აღმოჩნდა, პოკეის რომელიღაც თამაშს უყურებდა. და დამარწმუნა, რომ ვიკა დღეს არ უნახავს. რა უძლოურნი ვართ, რა საშინლად უძლოურნი!..

— მაშა, მოდი დავსხდეთ და მშვიდად განვსაჯოთ, — მკაცრად უთხრა ვასილიევმა. — სადაც არ უნდა იყოს ვიქტორია, ჩვენ ერთადერთი რამ დაგვრჩენია — ლოდინი.

— ლოდინიო, ამბობ? — გაიმეორა მან და უეცრად თვითმტანჯველი დაცინვით თქვა: — შენ არა გაქვს ისეთი შეგრძნება, რომ ამ სასტუმრო ოთახში ორი წელია ველოდები ჩემს ქალიშვილს?

— რა გინდა თქვა მაგით, მაშა?

სასტუმრო ოთახში აშიშინდა საათი, ჩამოჰკრა ჩაქუჩმა და ორღანისეული მსუყე ბანივით გაისმა მეყსეული რეკვები. გულისწამლებ ბუბუნად რომ მოედო დერეფანსა და ოთახებს, რეკვა მიწადა, და კვლავ თანაბრად და ეულად ატიტიკდა სიჩუმეში ძველი „პაველ ბურე“. და შუალამის ყველაფრისადმი გულგრილ წამთა თელაში ვასილიევს წარმოუდგა მარტის წყვილიადში ჩაფლული მათი სახლი შემაშფოთებლად კაშკაშა, ბნელის გამსჭვალავი სამი ფანჯრით, რომელთა მიღმა დაუოკებლად და ნუგეშისმოუცემლად ვიდოდა დრო

„ალბათ უზომოდ ბედნიერი ვიქნებოდრი, ჩვენი გრძნობები რომ დროზე მაღლა იდგნენ და შვება ლაფვარდოვან სიზმრებში მოდიოდეს“. — უადგილოდ გაიფიქრა ვასილიევმა.

— ეტყობა, ჩვენი ქალიშვილი მოიწიფა, რომელიმე ქაბუკი უყვარს და რა თქმა უნდა, მათ შორის ყველაფერი შესაძლებელია, როგორც ახალგაზრდობაში ხდება. — თქვა ვასილიევმა, რომელსაც სულაც არ უნდოდა ეს „ყველაფერი“. მაგრამ ცდილობდა მარია დაემშვიდებინა. — წარმოიდგინე, რომ ორ შეყვარებულს ქვეყნად ყველაფერი დაავიწყდა, ბინაში ტელეფონი არ არის, ავტომატთან მირბენა არ სურთ. ეგებ ასეა, მაშა?

— შენ... არაფერი არ იცი! — ჩურჩულით მიუგო მარიამ. — სულ არაფერი არ იცი... არ იცი, რომ ორი წლის წინათ ასევე ველოდებოდრი დილაამდე...

ქალი იდგა, თვალები მოეხუჭა, სახე ვლადიმირისთვის უხილავი საშინელებისათვის შეეშვირა და იგონებდა მხოლოდ იმას, თავისას, განუშორებელს.



რომელიც კაცს არ შეეძლო სცოდნოდა და ევარაუდა, — და შიშმა, მისი სახის ყოველ შტრიხს რომ შერეოდა, ჟრუანტელივით დაუარა ტანში ვასილიევს.

— რა არ ვიცი, მაშა? — ჰკითხა მან. — რას მიმაღავე?

— მე არ მინდოდა...

ტორშერის ახლოს მდგარ სავარძელში ჩაჯდა, ყოველგვარ საჭიროების გარეშე დაიღო იგივე ინგლისური წიგნი მუხლზე — თეთრი, მრგვალი მუხლი უდროოდ დროს გამოუჩნდა ხალათის გადაწეული კალთიდან და მდუმარედ დასცქეროდა გვერდებს, და ვასილიევმა დაინახა მისი დახრილი, ცრემლებით დამძიმებული წამწამები.

— ეგებ ჯობს არაფერი მითხრა, მაშა? — უთხრა დაძაბულობის შესანელებლად, რადგან გრძნობდა, რომ მისადმი სიბრალოელი მსუსხავ მწვანე ბურუსში ხვევდა. — რაზე მეუბნები?

— არ მინდოდა მეტქვა შენთვის, — წაიდუდუნა მარიამ და წიგნზე ჩამოვარდნილი ორი კურცხალი გადაწმინდა. — კაცმა და მამამ ეს არ უნდა იცოდეს. გახსოვს ვიქტორიას ავადმყოფობა? — მან ვერ მოითმინა, დაწვებზე ცრემლები ჩამოუგორდა, საბრალოდ იბრუნა პირი და წყნარი უძლურებით თქვა: — რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო საშინელი შენ არ იცი...

არა, მან არ იცოდა ყველაფერი, რაც ორი წლის წინათ მოხდა. მხოლოდ ის იცოდა, რომ ქალიშვილის ავადმყოფობა საკმაოდ იდუმალად დაიწყო ქალაქგარეთ, რომელიღაც გრიბანოვკაში გამგზავრების შემდეგ. ეს იყო მოსკოვის ახლოს მდებარე სააგარაკო ადგილი, სადაც გამოცდების დამთავრების შემდეგ ერთ-ერთ სტუდენტთან შეიკრიბნენ პირველკურსელები. ვიქტორია გათენებინას დაბრუნდა შინ (იმ დამეს ვასილიევი სახელოსნოში მუშაობდა), ხოლო როცა დილაადრიან მარიამ დაურეკა და მისი გაყინული ხმით თავზარდაცემული ვასილიევი დაუყოვნებლივ მოვარდა შინ, მაშამ ქვითინით მიაღო მკერდზე თავა და წასწურჩულა: „ახლა ვიკასთან ნუ შეხვალ“... — და მის ჩურჩულზე, სიჩუმესა და წამლების სუნზე ვასილიევი მიხვდა, რომ მოხდა რაღაც სერიოზული, საშინელი, რამაც ელვისებური სისწრაფით შეცვალა სახლში ყველაფერი. მერე მაშა ქალიშვილის ოთახში შევიდა, ვასილიევი კართან იჯდა, მოუკიდებელ სიგარეტს ექაჩებოდა და უსმენდა, როგორ ტიროდა კედლის იქით გულამომჭდარი ვიქტორია, როგორ უბნობდა მარიას, ესმოდა მისი ზოგიერთი სიტყვა, უთავბოლო ფრაზები, ბოდვა, მუდარა, მიმართული რომელიღაც ტაქსის მძღოლისადმი, ვიღაც ბიჭებისადმი, რომლებიც მოკვლით ემუქრებოდნენ, მილიციელისადმი, რომელსაც არავითარი დახმარების აღმოჩენა არ სურდა, და ეს შეძახილები, სასოწარკვეთილი ქვითინი მისი ჩვიდმეტი წლის ქალიშვილისა საშინლად უმსკვალავდა გულს. გაუგებარი იყო, ასეთი შემადრწუნებელი რა შეემთხვა მის ქალიშვილს გუშინ ქალაქგარეთ. ხოლო მარია უხეიროდ ატყუებდა, არეულ-დარეულად ლაპარაკობდა ქალის ზოგიერთ ასაკობრივ ფსიქიკურ თავისებურებაზე, რისი ახსნაც, მისი თქმით, კაცისთვის საჭირო არ იყო; დაიჭირავა ლამის მომვლელი ქალი, ყოფილი მედდა, შვებულება აიღო და თვითონაც მთელი თვე არ მოშორებია ვიქტორიას, ჩამოხმა, დაუშნოვდა აღარ იღიმებოდა, საღამოობით კი ფხიზლად იჯდა წიგნით ხელში ტორშერთან და ჟურს უგდებდა ყოველგვარ ფაჩუნს ვიქტორიას ოთახში, აკრთობდა კედლის იქით მცირე ხმაურიც კი. ხოლო ვასილიევს თავიდან არ შორდებოდა შემადრწუნებელი ფიქრი: „რას მიმაღავენ ანდა რისთვის?“

ვასილიევმა რვა დღის შემდეგ ნახა შვილი, როცა ივნისის დილას, როგორც იქნა, შეუშვეს მის განიავებულ, მზით სავსე ოთახში (ყველგან ალვების



სადი ზაფხულისეული სურნელი ტრიალებდა), თეთრ გაქათმებულ ბალიშზე დაინახა ქალიშვილის ასევე თეთრი ჩამომდნარი სახე, შავი, სისხლშემხმარი, დაკენილი ტუჩები, ჩალურჯებული თვალები, რომლებიც ისე დიდრონი მოუჩანდა, როგორსაც მხოლოდ ხატებზე ნახავს კაცი. ამ თვალებში გამოსკვიოდა ნაღვლიანი უძლური სხივი სასიკვდილოდ დაჭრილი შვლისა. და მათ დანახვაზე ვასილიევს ციებ-ცხელებიანივით გააყრდოლა, მაგრამ ვიქტორიასათვის რომ არ დაენახებინა, ყალბი სიმხნევით წარმოთქვა: გიგლმონეჟა

— გამარჯობა, შვილო, როგორ გრძნობ თავს, გენაცვალე?

მან თავი მოაბრუნა, შეხედა და ერთ წამს თითქოს გაუღიმა კიდევ თავისი დიდრონი თვალებით. ვასილიევი მის საკოცნელად დაინარა, გაუღიმა: შვილს, მაგრამ უცებ ვიქტორიას სახე აუცახცახდა, დაემანჭა. მოღრეცილ სისხლშემხმარი ტუჩებიდან წვეთები ჩამოუგორდა, ზეწრიდან ხელები გაითავისუფლა, გულში ჩაეხუტა და გულამოსკვნით ატირდა, თან კისერზე შუბლს ურტყამდა და ევედრებოდა:

— მა-მა! ჩემო მამიკო... მიშველე! მიშველე, მა-მა!..

ვასილიევმა მანუგეშებლად, მშობლიურად ჩაიკრა გულში მისი თბილი მთრთოლვარე, უსუსური სხეული, შეიგრძნო მისი წვრილი, სუსტი მალეები და უეცრად ისე წარეკვეთა სასო ახლობელი, ძვირფასი არსების ყოფნა-არყოფნის მერყევ მიჯნასთან, არსებისა, რომელიც შველას სთხოვდა, რომ სიტყვაც ვერ ამოთქვა, მარტოდენ იმას გრძნობდა, თუ როგორ ედებოდა ნიკაბზე შვილის სველი ღოჭები.

— მამა, ჩემო მამიკო, მიშველე, არ შემიძლია, არ მინდა... ადამიანების დანახვა!.. აღარ მიხდა სა... და... — გულამოსკვნით იმეორებდა იგი.

— რა დაგეშართა, ვიკა? რა დაგეშართა, ჩემო კარგო?

— არ შემიძლია, არ შემიძლია გიამბო, მამა, არ შემიძლია, არ შემიძლია!..

მერე ქალიშვილის სიტყვები სულ თან სდევდნენ ვასილიევს, მოსვენებას არ აძლევდნენ, მეორდებოდნენ ერთი და იმავე ინტონაციით, იმავე ვედრებით იმედით და გამწარებული ჩივილით, და მის მიერ განცდილი მამობრივი ტანჯვით უფრო აუტანელი იყო, რომ ვიქტორია ინსტინქტურად სთხოვდა დახმარებას, ვასილიევი კი უძლური იყო დახმარება აღმოეჩინა მისთვის.

ახლა, მოაგონდა რა ის უძლური სიბრაღულის გრძნობა, ქალიშვილის ყელზე შემოხვეული მიმნდობი ხელები და გოდება: „მამა, ჩემო მამიკო, მიშველე!“, გაიფიქრა, რომ ის, რამაც მაშინ შეაძრწუნა, ვიქტორიას კვლავაც აწუხებდა, რომ ქალიშვილის მძიმე ავადმყოფობას მარია მის წუხანდელ არყოფნასაც უკავშირებდა, და ყელში მოწოლილი ბოლმის განსაქარვებლად ჰკითხა:

— რა დაეშართა, მაშინ ვიქტორიას?

მარიამ ქვემოდან ახედა, და ვასილიევი თითქოს შეეხო ნამიან ფრთხილ სინათლეს.

— საჭიროა კი იცოდე, ვლადიმირ?

— თვითონ გადაწყვიტე, მაშა, ალბათ საჭიროა.

— ამაზე ლაპარაკი საზარელია. — მცირე ხნის დუმილის შემდეგ თქვა ქა-

ლმა და ვლადიმირს მიაპყრო დაძაბული, ჩამუქებული თვალები, რომელთა მიღმა უფსკრული იყო. — ოჰ, ღმერთო, ნეტავი არ დაგვიანებოდა და ყველანი ერთად წასულიყვნენ იმ თანაკურსელთან! ელექტრომატარებლიდან ჩამოვიდა ჩაბნელებულ ფიქვნარში გზა აერია და იმ წყეულ გრიბანოვკას ვერ მიაგნო, მაგრამ ყველაზე საოცარი ის იყო, რომ ორი ბიჭი შეხვდა ველოსიპედებით თანაკურსელის ნაცნობები, და წარმოგიდგენია, სულ სიცილ-ხუმრობით მია-



ცოლეს იმ ქუჩამდე, სადაც ის აგარაკი იყო, რომელსაც ვიკა ეძებდა... მას ეგონა, მხსნელები მოევლინენ, იმ ველოსიპედიანმა რაინდებმა კი საბრალო გოგო რომელიღაც მიტოვებულ ფარდულში შეათრია, პირზე ხელი დააფარეს და ნიჟი დაემუქრნენ და ქუჩიდან ნამჯაზე წამოაქციეს... — ზიზლით თქვა მარიამ და პირი იბრუნა. — წარმოგიდგენია, რა გადაიტანა, რა მოითმინა, როგორ სისადაგლე, როგორი სიბილწე! ვილაცას გაუვლია ფარდულის გვერდით და ვიქტორიას დაუყვირია, იმ ბიჭებს ხელიდან დასხლტომია და მათგან წაიხსნა უკანავე, ჰოდა, იმათაც თავი დაუწებებიათ...

მარიამ საუთრნალე მაგიდაზე მიაგდო წიგნი, მისი დამანჭული, შეცვლილი, ავადმყოფური, გატანჯული სახე ზიზლს აფრქვევდა.

— მერეც სადაგლობა მოხდა, როცა ვიქტორია იმ საშინელი ფარდულიდან გამოვიდა და ელექტრომატარებლამდე მიაღწია. ბაქანზე გუშაგი მილიციელი მდგარა. წარმოგიდგენია, განაწამები გოგო მასთან მისულა და გამოლაპარაკებია, აუხსნია, რომ თავს დაესხნენ, ის კი აშკარად ხედავდა მის დაფლეთილ კოფტას და ერთსა და იმავე წარმოუდგენელ სისულელეს იმეორებდა ჭინები გაცვიათ, არაყს სვამთ და აყალმაყალს სტებთო. გესმის, აყალმაყალს სტებთო! ის ველოსიპედიანი „რაინდები“ ძნელი საპოვნელი როდი იყვნენ მაგრამ... „მაგრამ“ იმაში მდგომარეობდა, რომ ვიქტორიამ ეს არ მოინდომა მართლდამამცირებელი საექიმო გამოკვლევა რად ღირდა! გრიბანოვიკის გახსენებაზე ძრწოლა იპყრობდა, ციებ-ცხელებიანივით ცახცახებდა, გულისზიდვაც კი ეწყებოდა...

ვასილიევი ფარდებგადაწეულ ფანჯარასთან იდგა, ღუმდა და ლურჯად მოკაფე დათოვლილ სახურავებს უქცეროდა. შუშიდან ცივი ჰაერი ატანდა, შუბლი კი ცხელი ოფლით დანამოდა. ნათლად ხედავდა ქალიშვილის იმ ბავშვურ სასოწარკვეთას, ცრემლით ავსებულ თვალებს, როცა გულამოსკვნით მტირალს ეხვეოდა, და შემადრწუნებელი იყო მისი ჩიტივით უმწეო ხერხემლით პიჯამოს ქვეშ რომ გრძნობდა, და იმით, თუ როგორ ეხვეწებოდა იგი: „მამა ჩემო მამიკო, მიშველე...“

შარშან, სექტემბრის ერთ გვიან საღამოს, აგარაკზე, ვიქტორიას ვაშლი მოუწოდა, და ორივენი გამოვიდნენ შემოდგომის ცივ ბაღში. ღობის ახლოს არყის ხეთა კენწეროებში ზაფხულისთვის შეუფერებლად დაჰქროდა და ფოთლებს გლეჯდა ქარი, დიდძალი წვრილი ვარსკვლავები გამწკრივებულიყვნენ აგარაკის შავი სახურავის თავზე, და ქუფრ ნაძვებში თეთრ სალტესავით მოჩანდა ორიონი. სიბნელეში ვასილიევი არხევდა ვაშლის ხეების ტოტებს, ჭიბის ფარანს ანთებდა და მის შუქზე ეძებდა ბაღაბში მრგვალ ანტონოვკებს, ვიქტორია მოშრიალე კალათში აგროვებდა მათ და ამ საღამოსეული თავგადასავლით ბარობდა: „შეხე, მამა, რამოდენა სულელი განაბულა!“ უკანასკნელი ვაშლები რაკუნით ცვიოდნენ მიწაზე, ხოლო როცა სავსე კალათი შეიტანეს სახლში და ანტონოვკები ტერასის მაგიდაზე გადმოყარეს, ღამეული ქარის სიცივე მიმოიფანტა ირგვლივ. თითქოს მდინარის გამჭვირვალე ყინულის პირველყოფილ სიგრილეს აფრქვევდა ვიქტორია, გულწრფელობისა და ლხენისკენ მიზნობი მისი გაფართოებული ნათელი, მონაცრისფრო ლურჯი თვალები. დ. ვასილიევმა დამშვიდებით გაიფიქრა, რომ ავადმყოფობის შემდეგ ვიკა სავსებით გამოკეთდა და ცხოვრების უწინდებური შეგრძნება დაუბრუნდა. მაგრამ ნახევარი საათის შემდეგ, როცა მანსარდაში გამართულ სახელოსნოში ავიდა დაინახა, რომ მალღა სინათლე ჩამქრალი იყო, უზარმაზარ, მთელი კედლის სიგრძეზე დატანებულ ფანჯრებში ჩამდგარ ღამის სიშავეს ვარსკვლავთ კრებუ-



ლთა ციმციმი ერთვოდა, ვიქტორია კი ფანჯარასთან მდგარ ტახტზე მიწოლილიყო და ქვითინებდა. ცრემლჩამდგარი ციმციმა თვალები ვედრებით და შიშით მიაპყრო ვასილიევს, როცა იგი დაიხარა და ჰკითხა, რა მოხდა. „არა, არაფერი, თუ შეიძლება, შუქს ნუ აანთებ“, — უპასუხა გამწარებით ტახტზე წამოჭდა და ვაშლს დაუწყო ჭამა, თან ბავშვივით სლუკუნებდა.

„მამა, ჩემო მამიკო, არ შემოძლია, არ მინდა ადამიანების დანახვა!..“ — კვლავ გაახსენდა ავადმყოფობისას სასოწარკვეთით ნათქვამი ქვეყნის ტყუილები. თავს ძალა დაატანა, რომ ფანჯრიდან მარიასკენ არ შეებრუნებოდა, არადა გაიგონა, როგორ მიუახლოვდა იგი უკნიდან. მხარზე თავი მიადო და ჩურჩულით ჰკითხა:

— რატომ დუმხარ?

— ვერც შენ უშველე ვიკას და ვერც მე, ესაა ერთადერთი, რის თქმაც შემოძლია, — სინანულით წარმოთქვა მან, თითქოს მარიას შეხება არ უნდო. ქალი მოშორდა.

— კი მაგრამ — როგორ?... ვალოდია, შენ შეეჩვიე და ვერ ამჩნევ, როგორ უყვარხარ ვიქტორიას. ის ვერ გადაიტანს, ჩვენი საუბრის შესახებ რომ გაიგოს... მას უნდა შენს თვალში ძველებური დარჩეს, — უთხრა მარიამ და ნაძალადევი ალერსით გადაუსვა მხარზე ხელი. — მე ისიც კი მჯერა, რომ შენ ჩემზე უფრო უყვარხარ, თუმცა, მგონი, რაღაცაში მამტყუნებ?

— არაფერში.

— რაღაც ცუდი ამბავია ჩვენს თავს.

— შენ ჩვენ უფრო ნაკლებ გიყვარვართ, — უნებურად ჩაილაპარაკა მან განზე მდგარ მარიას გვერდი აუარა. ნელა გაჰყვა ელექტროსინათლით გაჩახჩახებულ დერეფანს, სადაც დიდი სარკეც ამაოდ ირეკლავდა შუქს და ტელეფონიც უაზროდ იდგა. სწრაფად ჩაიცვა, კარის ჯაჭვი გამოაძრო და მხოლოდ მარიას შესაბრალისმა ძახილმა შეაჩერა:

— ვალოდია, სად მიდიხარ?

— სახლის წინ დაველოდები ვიქტორიას, — მიუგო ვასილიევმა, კიბის ბაქანზე გავიდა და ლიფტისკენ გაემართა.

რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, მაცოცხლებელი ჰაერი უნდა ჩაეყლაპა და სულისხუთვის ზამბარა მოედუნებინა. სადარბაზოდან გასულმა, დაცვარულ შებლიდან ბეწვის ქუდი აიწია, გულზე ღილები შეიხსნა — სვიტრში შეღწეული ლამის სინესტე ეამა და ცოტა გულს მოეშვა.

ხოლო მალლა სახურავებზე გრგვინვა-გრიალით მოაგორებდა ტალღებს წყვედიადში დგაფუნობდა და სადღაც სახლების იქით ხმაურობდა ზღვა, დროდადრო ფათქუნობდა დაფლეთილი, გალუმბული ტილო, სახლის კუთხიდან სცემდა და სუნთქვას უკრავდა ქარი.

ვასილიევი მოხრაშუნე ყინულზე მიაბიჯებდა. მის წინ, ალვის ხეთა ტოტების თავზე, მანათობელი ქრილის სიღრმეში მთვარე ხან გამოჩნდებოდა. ხან კი მტრედისფერ კვამლში ყურყუმელაობდა. ჰაერში ყველგან იგრძნობოდა მარტის სუნი, და ამ სუნით გაჟღენთილ ქუჩის სიბნელეში ღელავდნენ ზეები. მათი ზღვისებური გრგვინვა-გრიალი მავთულების ზუზუნთან ერთად ძალუნი წაკადებად მოექანებოდა და მზუილით გადარბოდა სახურავებზე, სამხრეთის ქარით გამოხრული დამდნარი თოვლი ლავგანდარებს სწყდებოდა და წყალსადიხარ მილებში ზეავდებოდა.

„ნუთუ გაზაფხულია?... ვერც კი შევამჩნიე, როგორ მოვიდა. ჯერ კიდევ გუშინწინ თებერვალი იყო... — ფიქრობდა ვასილიევი და თან მარტის ლამის ტკბილ ტენს ისუნთქავდა, უკვირდა დროის სწრაფწარმავალობა და არ უხაროდა გაზაფხული, რომელიც ჭაბუკობისას მუდამ აღუძრავდა გაუცრუებელ



იმედის შესაძლებლობასა და მოლოდინს. — რა მჭირს ამ ბოლო დროს? ალბათ ავად ვარ. ანდა რაღაც მტანჯველი ავადმყოფობა მემართება. ასე მგონია რომ ყველას რაღაც დავუშავე — მაშასადე, ვიქტორიასაც, ილიასაც... და ეს ტკივილსა ჰგავს... მაგრამ რაში მიმიძღვის ბრალი? იმაში, რომ თავის დროზე ვერ ვშველით ერთმანეთს? მაგრამ ვიქტორიას ხომ უნდოდა და არც უნდოდა შველა?”

ხედავდა ხმაურითა და სადინარ მიწებში წყლის დგაფუნით <sup>განუგებებულ</sup> წრეს უვლიდა სახლის წინ, ბულვარის კიდეზე. ხეების ძირას მდგარი გამოსაშვით მანქანების გვერდით, რომლებსაც ნამქერები შემოსდნობოდათ და კუზიანი ზურგებით ცისფრად ირეკლავდნენ მთვარის სხივებს.

„სად შეიძლება იყოს ახლა ვიქტორია?“

რიყრაყისწინა ქაში იდგა. განაპირა ქუჩებში კაცის ჭაჭანება არ იყო, არც ერთი ფანჯრიდან არ გამოკრთოდა სინათლე. ვასილიევი სიცივემ აიტანა, განოტიებული საყუდლო აიწია და ასე იყინებოდა მოახლოებული, გარდაუვალი სასტიკი რაღაცის წინაგრძნობით; ეს იყო შეხსენება და გაფრთხილება, რომ ადრე თუ გვიან პასუხი უნდა ეგო თხუთმეტი წლის მშვიდი მუშაობისა, ან გვრეთ წოდებული წარმატებებისა, აღიარებისა, მუზეუმების მიერ სურათების შესყიდვისა, გამოფენებით საზღვარგარეთ მოგზაურობისთვის — მეტიმეტად ხომ არ იყო დაკავებული საკუთარი თავით ამ იღბლიან წლებში?..

უეცრად ყურში ჩაესმა ძრავის ხმა, თოვლჭრელზე თვლების შხრიალი, გამოერკვა და თავი ასწია. ჩაბნელებული შუკიდან გამოანათეს ფარებმა, მათი სხივები განერთხნენ გუბებზე, მოშავო თოვლში გაკვალულ გზას, ტალახით მოსვრილ ლობეს, დანოტივებულ ალვის ხეებს, — და მანქანა, რომელსაც ზე თიანი სითბო მოჰყვა, სახლის კუთხეში დამუხრუჭდა. ტალახნაშხეთი ფარები ჩაქრა.

ვასილიევმა გაარჩია, რომ ეს ტაქსი იყო, ოღონდ მწევანე სინათლე არ ინთებოდა, რადგან მანქანიდან არავინ არ გამოდიოდა, მის შუშებს მიღმა კი თვალშეუვალი სიბნელე იდგა. მაგრამ ვასილიევს მყის ისე შეუმსუბუქდა გული და ისე დაუმძიმდა ფეხები, რომ ზურგით მიეყრდნო სადინარ მიწს, რომლის შიგნითაც რაკრაკით მოდიოდა წყალი, და რამდენჯერმე ჩაისუნთქა, რათა გულის ბაგაბუგი შეენელებინა.

არა, მას არ დაუნახავს ვიქტორია, არც მისი ხმა გაუგონია, მაგრამ ღამის ქუჩებში გამოჩენილ ამ ერთადერთ მანქანაზე და იმაზე, რომ მან შუკაში აანთო და ჩააქრო ფარები, რათა გაჩერებისათვის ხელსაყრელი ადგილი შეერჩია და იმაზეც, რომ მათი სახლის კუთხეში დაამუხრუჭა, ვასილიევი მიწვდა, რომ შიგ უთუოდ ვიქტორია იქნებოდა, და იგი უყოყმანოდ გაეშურა მანქანისაკენ რომლის ძრავა ჯერ კიდევ მუშაობდა, უკანა კარი იმწამსვე გაიღო.

— მამა, მამიკო, შენა ხარ? შენ დამხვდით?

— მე შენ გელოდებოდი...

ვიქტორია, რომელსაც ბეწვშემოვლებული დუბლიონკა ეცვა და ბეწვი სავე ქუდი ეხურა, მანქანიდან გამოვიდა და, ტანწერწეტა, მის წინ აიშართა. ეს რეალობა იყო: მისი ღიმილით მომზირალი თვალები, ლოყაზე ნაცნობი ტუჩების ცივი შეხება და ღვინის სუნი, რომელიც მან ხიფათის მომასწავებლად მიიჩნია, მისი ახალგაზრდული მოქნილი ხმა, დანაშაულის ნატამალიც რომ არ ემჩნეოდა და მსუბუქი ძალდატანებლობაც შერწმოდა:

— მამა, მე არ ვიცოდი, რომ ამდენ ხანს გალოდინებდი... მაგრამ მე მართო არ ვარ, მე გამომაცილეს, და სულაც არ იყო საჭირო შეწუხება. ილია პეტროვიჩი, რისი გერიდებათ, რატომ არ ეჩვენებით მამაჩემს? — განზრახი სიმზიარულით შესძანა ღია კარში. თან უწყინრად ერთობოდა იმით, რომ გაუთვალისწინებლად კმნიდა საინტერესო მდგომარეობას.



„ილია პეტროვიჩი? ილია? როგორ შეხედნენ ერთმანეთს? სად?“

ვიქტორიამ უცოდველი ცნობისწადილით გაუღიმა მამას. ვასილიევმა მი-  
ხვდა, რომ ქალიშვილი მოელოდა მის გაკვირვებულ ან მტრულ გამომეტყვე-  
ლებას, ის კი მხოლოდ მოიღუშა, როცა დაინახა, თუ რა აუჩქარებლად გამო-  
ვიდა მანქანიდან მოკლე პალტოსა და ფეტრის მსუბუქ შლით გამოწყო-  
ბილი ილია და რა გაფითრებული ჩანდა ამ შლიას ფარფლები ჩრდილში მი-  
სი სახე.

— სალამო მშვიდობისა... უფრო სწორად ღამე მშვიდობისა, ვლადიმირ! —  
მეტისმეტად გამოკვეთილი სერიოზული ხმით წარმოთქვა ილიამ, რომელსაც  
არც ხუმრობა ჰქონდა განზრახული და არც თავის მართლება... — უნდა გამო-  
გიტყდე, არ მოველოდი შენთან შეხვედრას, მაგრამ რაკი შეგხვდი... მიიღე შენ-  
ზღაპრული ქალიშვილი ჩანმრთელი და უვნებელი!

— მეტისმეტი ხომ არ არის, ილია, ეშმაკმა დალახვროს! — თავი ვერ შე-  
იკავა ვასილიევმა. — როგორ მიბრძანებ გავიგო ყოველივე ეს?

ილიამ ქუდი მოიხადა, თავაზით დაუკრა თავი ჯერ ვიქტორიას, მერე ვასი-  
ლიევს, და მართალი კაცის ურყევი კილოთი მიუგო:

— გთხოვ შენს ქალიშვილს ელაპარაკო, ის აგიხსნის ყველაფერს. ღამე  
მშვიდობისა, მე დღეს ყველა ჩემი რეჟიმი დავარღვიე და ახლა ოტელში უნ-  
და გავემგზავრო, დღეს საშინლად დავიღალე, ნება მომეცი, ვლადიმირ, დი-  
ლით დაგიჩეკო, მე ზეგ მივემგზავრები.

ის მანქანაში ჩაჯდა და კარი მიიკეტა, რომლის ლითონისეული ტაკუნ-  
მოელ ვიწრო შუკას მოედო. ტაქსი დაიძრა, საბურავებით თოვლქრელზე გა-  
შხრილდა, მერე კი ცენტრისკენ გაუხვია და ტრამვაის ხაზის გასწვრივ გაქან-  
და.

— ვიქტორია, — თავშეკავებით დაიწყო ვასილიევმა, რადგან იცოდა, რომ  
ახლა გაკვირვების, წყენის ან უკმაყოფილების გამოთქმას აზრი არ ჰქონდა. —  
შენ მოზრდილი ადამიანი ხარ და გესმის, რას აკეთებ. მე დედაშენმა დამირეკა,  
სახელოსნოში ორის ნახევარზე, სამი საათია გელოდებით. შეხედე — ჩუთ-  
აქლია ათი წუთი...

— მამა, შენ ცუდად მიწყრები, — უთხრა ვიქტორიამ და მკლავში ხელ-  
გაუყარა. — ეგებ რომ გიყვარვარ, იმიტომ ვერ ახერხებ გაწყრომას?...

ისინი ეზოში შევიდნენ და ამ დროს ვასილიევმა უნებურად ახედა მერვე  
საჩუქრის განათებულ ფანჯრებს, სადაც სახურავის თავზე იისფერი ღრუბ-  
ლებიდან გამოკრთოდა ვერცხლისფერი მთვარე და მალლა დგაფუნობდა მოახლო-  
ებული მარტის ზღვა. ზემოდან თბილი სინოტივე იფრქვეოდა წვრილ-წვრილ  
წვეთებად, რომლებსაც ვერხვის დასველებული ქერკის სურნელი ჰქონდა —  
გაზაფხულის ღამის სურნელი. ვიქტორიამ თვალი შეასწრო, მამამ რომ ფან-  
ჯრებს ახედა, წარბები შეიკმუხნა და მკლავში გაყრილი პაეროვანი ხელი გა-  
მოაძრო.

— მამა, — ხვეწნით უთხრა ვიკამ. — მოდი გავაბოლოთ და ცოტა გავისეი-  
რნოთ, არ მინდა სახლში ავიდე... მინდა გესაუბრო, თანახმა ხარ, მამა?

ვასილიევმა თავი გააქნია, რადგან მზად იყო ყველაფერზე დასთანხმებო-  
და, თუმცაღა მისი მიმნდობი კილოსი და გულწრფელობისა შეეშინდა.

— ოღონდ დედას დაურეკე. უთხარი, რომ ყველაფერი რიგზეა და ჩვენს  
სახლთან ახლოს ვართ. აგერ ავტომატთან მივიდეთ, ორკაპიკიანი გაქვს?

ავტომატის ჭიხურთან ვიკამ ჩანთა მოიჩხრიკა, ფული ამოიღო და როცა  
მარიას დაელაპარაკა, ვასილიევმა გაიფიქრა, რომ აი ახლა, როგორც იქნა, მო-  
შორდა ის ლოდი, რომელიც გულზე აწვა, და იმ წამს თითქოს შეება იგრძნო.

„დიდხანს გასტანს?“ — გაიფიქრა მან, როცა დაინახა, რომ ჭიხურთან



გამოსულმა ვიკამ სიგარეტს მოუკიდა, ისე რომ არც მორიდებია. — მაგრამ როგორ... რატომ მოვიდა ვიკა ილიასთან ერთად?

— მამა, ვიცი, არ გსიამოვნებს, რომ ვეწევი. — მოქნილი ხმით წარმოთქვა მან, ანცური ალერსით შეხედა და ისევ გაუყარა მკლავში ხელი. — მაგრამ შენ გიყვარვარ და მაპატიებ. მით უმეტეს, რომ გადაჩვევა გვიანია.

ეზო გაიარეს და ბულვარის კიდეს გაჰყვნენ, მონაწილედ ქარტოტუბულზე რიალებდა ქუჩის უკაცურ დერეფანში.

— მე მგონი, შეილო, ჩემს პატიებაზე თუ არპატიებზე თითქმის აღარაფერია დამოკიდებული. — უთხრა ვასილიევმა. — შენს წლებში მე ბატარეას ვმეთაურობდი და ასე თუ ისე დამოუკიდებელი კაცი ვიყავი. შესაძლოა ვცდები, მაგრამ, მგონი, შენც ლებულობ უკვე დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს. არც დედას ეკითხები რჩევას და არც მე.

— საიდან იცი, მამა?

— რა?

— რომ მე დამოუკიდებლად მივიღე გადაწყვეტილება.

ხელის მტევნის მსუბუქი და მომთხოვნი დაწოლით აიძულა მამა შეჩერებულიყო, იდაყვზე მოსწია და ახლახან მოღიმარმა სახემ მიიღო მკაცრი უნდობი გამომეტყველება ადამიანისა, რომელიც მზად არის არაფერზე არ დაეთანხმოს.

— საიდან იცი, მამა, რომ მე გადაწყვეტილება მივიღე?

— რა გადაწყვეტილება? — შეეკითხა საგონებელში ჩავარდნილი ვასილიევი.

მან თავი დახარა, მტევნის ხელმეორე დაწოლით მოიზიდა ვასილიევი, ჩექმებით მოძებნა გაუმდნარი ყინულის მოხრაშუნე ბორცვებს შორის გასასვლელი და გვერდით გაჰყვა.

— რა უცნაურია, მამა! — გაჯავრებით უსაყვედურა მან. — რატომ არ შეკითხები ილია პეტროვიჩის შესახებ? შენ ხომ გაკვირვებული ხარ?

— რა უნდა გკითხო — ერთმანეთი როგორ ნახეთ ვხვდები...

— არა, შენ კერაფერსაც ვერ ხვდები.

— კარგი, ეგრე იყოს. რა გინდოდა გეთქვა ჩემთვის, ვიკა?

მან სიგარეტი მოქაჩა, პირი მოარიდა და ნაზი ამობურცული ტუჩებით გვერდზე გააბოლა.

— მამა, არ გამიჯავრდე და, როცა სახელოსნოში შემოგვიარე, ცოტა ეშმაკურად მოვიქეცი. მაშინ არ მითქვამს, შენი მეგობარი ილია პეტროვიჩი ჩამოდის-მეთქი, თუმცა ვიცოდი, რომ უნდა ჩამოსულიყო. დედამაც იცოდა. გესმის მამა?

— არ მესმის, მაგრამ... გისმენ, ვიკა.

— იტალიაში თქვენი მოგზაურობის შემდეგ დედამ როგორღაც მოიწყინა, და მან მიჩვენა ალბომში ჩაქრული ილია პეტროვიჩისა და შენი ფოტოსურათი. სადღაც ღერპის ახლოს დგახართ რომელიღაც ფარდულის, რომელიღაც სამტრედის ფონზე... ორი ომამდელი ბიჭი, ორი კუნთმაგარი აპოლონი, პირდაპირ მშვენიერია. სადღა არიან ახლა ისეთი ბიჭები! ილია პეტროვიჩი, რა თქმა უნდა, ომამდე მომზიბლავი იყო. მამა, გულახდილად მითხარი: იმხანად დედას მოსწონდა, ხომ?

— შესაძლოა, ვიკა.

— ნუ გამთქვამ, მაგრამ თქვენი მოგზაურობის შემდეგ დედა წერილებს



ღებულობდა მისგან და შენ არ გიმხელდა. მითხარი, ოდესმე გიეჭვიანია დედაზე მის მიმართ? ერთხელ მაინც?

— ჩვენ მეგობრები ვიყავით; და მე მჯეროდა ილია პეტროვიჩის, — გულწრფელად უთხრა ვასილიევმა, რათა მიკიბულ-მოკიბული პასუხით არ დაეფრთხო ვიკა. — არ მინდოდა მეეჭვიანა, მაგრამ მაინც ეეჭვიანობდი. მე გაგიუებით მიყვარდა დედაშენი...

— ჩემთვის დიდი ხანია ცნობილია, რომ დედა ბევრად უფრო მეტად გიყვარს ვინც მე. შენ მარტო დედაჩემი გიყვარს, მამა.

— ორივე მიყვარხართ, ვიქტორია.

ვიკამ ნაძალადევად გაიცინა:

— მაგრამ შენ უფლება არა გაქვს არ გიყვარდეს შენი ბავშვი.

— რახან აგრეთ, მე ორი ბავშვი მყავს.

— ყური მიგდე, მამა, რა გითხრა, — წარმოთქვა ვიქტორიამ და მინდობილად მოუჭირა იდაყვზე ხელი. — როცა ილია პეტროვიჩი უკანასკნელი წერილი ვნახე დედაჩემის ქაღალდებში, ველარ მოვითმინე და წავიკითხე — ხედავ, საძაგელი ვინმე ვარ? მან მოსწერა დედას, რომ ჩამოდის ოცდაექვსში და ნომერი შეუკვეთა სასტუმრო „მეტროპოლში“. ყური მიგდე, მამა, როგორ მოხდა... მე ძალიან მინდოდა მენახა შენი ძველი მეგობარი და დედაჩემის ყოფილი სატრფო, მომხიბლავი აპოლონი, იმ ფოტოსურათზე რომ არის გამოსახული. საშინლად მაინტერესებდა გამეგო ტელეფონი, დამერეკა მისთვის „მეტროპოლის“ ვესტიბიულიდან და დამენახა, როგორ დააქყეტდა კიბეზე თვალეხს: „როგორ, თქვენ მარიას ქალიშვილი ხართ? განსაცვიფრებელია! შეუძლებელია! თუმცა ძალიან ჰგავხართ, პირწავარდნილი ახალგაზრდა მაშა ხართ!“ ასეც მოხდა, მერე კი სასაცილო იყო, როგორ შეეშალა ორჯერ, მაშა რომ დამიძახა, იცი, ჩემთვის საინტერესო იყო მასთან ყოფნა: მასში არის ტრაგიზმი და რაღაც ნაღველი...

— კი მაგრამ, რაში გკირდება ეს, ჩემო ვიკა? — თითქმის ამოიკვნესა ვასილიევმა, რომელსაც მისი კამკამა, გულუბრყვილო სიწმინდე, მისი წინდაუხედავი ქცევა, ეს დაუცველი, საშიში მიმნდობლობა აშინებდა, და ხრინწიანად დაამთავრა: — ის რომ ილია პეტროვიჩი არ იყოს, შენს საქციელს სხვანაირად გაიგებს კაცი.

ვიქტორიამ აგდებულად დასტვინა.

— მამა, ოღონდაც მაგ ბრიყვულ კეთილგონიერებაზე ნუ მელაპარაკები ეგ ხომ სიცრუეა. თვალთმაქცობა, ლაჩრობა და, ეშმაკმა უწყის, კიდევ რა ღმერთო, რამდენი მაშველი რგოლია ქვეყნად! ვისთვის არის საჭირო ისინი? — გამომწვევად თქვა ვიქტორიამ, სიგარეტის კვამლი გადასცდა და აღმოხდა წვრილი ხმა, რომელიც ბავშვის სლუკუნს ჰგავდა. ამ ხმამ გული შეუკუმშა ვასილიევს. — არა, მამა, ყველაფერი თვით ჩვენზეა დამოკიდებული! — თავს მოერიო ვიქტორია, სიგარეტი გაჯავრებით დააგდო ძირს და ზიზღით განაგრძო: — იცი ვინ ქმნის ჯოჯობეთს ქვეყანაზე? არც ბუნება და არც რაიმე ბნელი ძალა. არა მამა, თვით ადამიანია ამქვეყნიური ჯოჯობეთის დიდი შემოქმედი. ეს ფრაზა დამახსოვრების ღირსია, იგი როდი ცრუობს ბევრ სხვასთან.

— ეგ ვინ თქვა, ჩემო კარგო? რომელი პიესიდანაა?

ნუ გააზვიადებ ჩვენი დრამატურგების სიბრძნეს. ეს ილია პეტროვიჩმა თქვა... ყური მიგდე, მამა, და ნუ გაგიკვირდება, რასაც გეტყვი, — წარმოთქვა ვიქტორიამ, იდაყვზე ხელი გაუშვა, მოქნილად გადაბიჯა ჩექმებით თოვლქ-



რელს და ქუსლები აატკაცუნა გუბეების მყიფე კიდეებზე, სადაც მთვარის ათინათი ირეკლებოდა, ათიოდე ნაბიჯი გადადგა წინ, მერე მობრუნდა, ტანწერწეტა, დუბლიონკაში გამოკვეთილი, და უჩვეულო წკრიალა ხმით გამოსძახა: — მამა, მე ალბათ იტალიაში გავემგზავრები! მან მიმიწვია და მეც გადავწყვიტე.

— იტალიაში მიგიწვია? — წარმოთქვა გაოგნებულმა ვასილიევმა. მიგიწვია? როდის? რისთვის?

— ის მოწვევას გამომიგზავნის, მამა და მე გავემგზავრები. არ ვიცი, რა ხნით: ერთი თვით, ერთი წლით, ხუთი წლით — არ ვიცი. ოღონდ კეთილგონიერებაზე ნუ ვილაპარაკებთ, თორემ წავიჩხუბებთ. და ნუ იტყვი, რომ თქვენი იმით ხართ წინააღმდეგი, რომ გიყვარვართ, — ეს აკრძალული ილეთია. ვიცი, რომ მთელ ქვეყანაზე მხოლოდ თქვენ ორს გიყვარვართ. მაგრამ რა ვქნა მამა? მე გადავწყვიტე... უკანდახევა, სიმხდალე საძაგლობაა.

და ვასილიევმა მის სახეზე ამოიკითხა უსაზღვრო სიძულვილი შესაძლებელი სიმხდალისა და შესაძლებელი უკანდახევისადმი.

— იმას მაინც არ ფიქრობ, ვიკა, — წარმოთქვა ოდნავი შეყოვნების შემდეგ, რადგან გამწარებით ცდილობდა ეპოვა ზუსტი საწინააღმდეგო აზრი, რომ დედაშენს მოკლავ. ჩვენ უფლება არ გვაქვს უღმობელი ვიყოს ერთმანეთისადმი.

— მე უკვე მომკლეს, მამა, — თითქმის მხიარულად თქვა ვიქტორიამ და ისე უიმედოდ გაასავსავა ხელები, თითქოს ბედისწერას დანებდაო, რომ სიყვარულით, მამობრივი გრძნობის უღონო სიბრაღულით აღესილმა ვლადიმირმა იგრძნო, თუ რა სასოწარკვეთილი და ბავშვურად სუსტი იყო იგი, ვერ მოითმინა, ხელი მოჰხვია და გრილ შუბლზე აკოცა.

— ვიკა, ჩემო ვიკა...

— კარგი, მამა, თორემ ავტირდები, — ჩურჩულით წარმოთქვა ვიქტორიამ და გულზე კი არ მიეხუტა, მოშორდა, ბულვარში მდგარ ზღვასავით მოხმაურე ალვის ხეებს გაჰყვა და სახლისკენ გასწია.

### თავი მეჩვიდმეტი

სალამოს ათი საათი იყო დაწყებული, როცა დაჟინებული რეკვისა და კაქუნის შემდეგ ვასილიევმა კარის საკეტი გააჩნაკუნა, და სახელოსნოში სწრაფად შემოვიდა ოლეგ ევგენიევიჩ კოლიცინი. წინკარში საკიდქვეშ პორტფელი დადგა, სალმის უთქმელად გაიხსნა ქურჭი და გაცხარებით წარმოთქვა:

— ნუ განცვიფრდები, ვასილიევ, დღეს დიპლომატიური ვიზიტით არ შემოვქრილვარ შენთან! გმადლობთ, კოლეგა, გმადლობთ მაგ ქედმაღლობისათვის, დიდო ოსტატი. გმადლობთ, კინწისკვრით რომ გამაგდეთ ცინგლიანი ბავშვივით. უცხოელის თანდასწრებით, სწორედ რომ კინწისკვრით გამაგდეთ სახელოსნოდან მე, აბეზარი უნიჭო კაცი, რომელიც ათასნაირად ცდილობს შენი გულითადი მეგობარი გახდეს! რისთვის შეურაცხმყავი, გეკითხები? მე სულით და გულით შენკენ ვარ, შენ კი? რისთვის?..

კოლიცინი მეტისმეტად აღელვებული იყო, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა, მისი სამკუთხა მღვრიე წითელი თვალები ბრაზიანი დაბნეულობით იმზირებოდნენ, და ვასილიევმა, რომელიც უკვე ნანობდა ილიას ჩამოსვლის დღეს გამომჟღავნებულ თავშეუკავებლობას და არ უნდოდა საქმე უფრო გაემწვა-



ვებინა (სულიერი ძალები არ ეყოფოდა კოლიცინთან ამო ახსნა-განმარტები-სათვის). შემრიგებლურად უთხრა:

— ჯერ ერთი, გამარჯობა, მეორეც... თუ მაშინ როგორღაც სულელურად მოვიქცევი, გთხოვ მაპატიო. ოლეგ ევგენიევიჩ, გაიხადე, გეთაყვე.

— კიდევაც რომ არ მომიპატიო, მაინც გავიხდი! მაგრამ საინტერესო, ერთობ საინტერესო ვინმე ხარ, ვალოდია!.. მე სახელით მოგმართავ, შენ კი მამის სახელით აი როგორ! თითქოს ოფიციალურად ვიცნობდი ურთიანეთს. რას გინდა ხაზი გაუსვა მაგიტ? ჩვენს შეუთავსებლობას? ცალმხრივ და საშუალო ადამიანს შორის უფსკრულს?

— ეს საპატიოდაა მიღებული რუსეთში, — უგუნებოდ შეესიტყვა ვასილიევი, რომელსაც თავისი უბოდიშო საქციელისა რცხვენოდა, და შეეკითხა:

— შეხვდი ვინმეს დღეს?

— ცდები! არავის! არავის არ შევხვედრივარ, არავინ გამიცილებია, არც ვინმე შემიმკია ქათინაურებით! — გაცხარებით წარმოთქვა კოლიცინმა და ქურჭი სავარძელზე მიაგდო. — დღეს მე ვეკუთვნილი არა შენთვის ცნობილ ჩინოვნიკ კოლიცინს, არამედ მარტო ჩემს თავს... საკუთარ „მეს“. კელტების, ჰუნებისა და იანკების გარეშე — და არ იყო არც კოქტეილი, არც ჭინი და ტონიკი! დღეს მე ბედნიერი ვარ, ვასილიევ! ჩემთან სახელოსნოში იყო ერთი ძველი ნაცნობი და მას ვაჩვენე... ჩვენ დილიდან ვათვალისწინებდით ჩემს ნამუშევრებს, მე მას ყველაფერი ვუჩვენე! მინდოდა ყველა ჩემი ნამუშევარი ენახა, ის განცვიფრდა... მარტო თქვენ, გენიოსებს, ხა-ხა... მარტო თქვენ როდი გინდათ სახელი და დიდება, იმ სიმღერისა არ იყოს, „წიწილებსაც ხომ უნდათ ცხოვრება!“ ჰოდა, ჩვენამდე იკადრეთ ამოსვლა! — შესძახა კოლიცინმა, ნამიანი ხელით სწვდა ხელში ვასილიევს და ძლიერად მიიზიდა. შენ ახლავე, ახლავე უნდა წამოხვიდე ჩემს სახელოსნოში, დაუყოვნებლივ! ჩაიცვი; შენ ხომ არასოდეს არ ყოფილხარ ჩემთან! არ ყოფილხარ! არასოდეს, არასოდეს! სიცოცხლეში ერთბელ, ერთადერთბელ მაინც არ შეგიძლია ინსტიტუტის ამხანაგს ორი საათი შესწირო? სახელოსნოში ხომ ჩემი არცერთი ნამუშევარი არ გინახავს? მე შენთვის ჩინოვნიკური პიროვნება ვარ მხატვრობაში! წავიდეთ, ვალოდია, მასლოვკაზე, წავიდეთ!

— ახლა?

ვასილიევმა სახელოსნოში გაიარ-გამოიარა, წარმოიდგინა, რა არაადამიანური სატანჯველი იქნებოდა ღამის მასლოვკაზე წასვლა და უზომოდ აღელვებულ კოლიცინთან ერთად ნამუშევრების დათვალისწინება, მისი მოუწონებელი წყენისა და საყვედურების მოსმენა. ლაპარაკი ფერზე, კომპოზიციაზე, ქება, სიყალბე, — ეს იქნებოდა დროის უღმობელი მოკვლა, ნერვიული უჩრედების ცვეთა, ამო თვითგვემა. რისი თავიც არ ჰქონდა, მაგრამ მშვიდობიანად უთხრა:

— სამწუხაროდ, შენ ცოტა არ იყოს, გაცხარებული ხარ, მე კი ბერივით ადრე ვიძინებ. მე ექვსზე ვდგები, ოლეგ.

— არ მკადრულობ? — ღვარძლიანად წარმოთქვა კოლიცინმა და ვასილიევის გვერდით გაიარ-გამოიარა სახელოსნოში, თან გრძელ ჭალარა თმას იბურძენიდა. — ა-არა, ჩვენ წავალთ ჩემთან, ვასილიევ, წავალთ! შენ უარს არ მეტყვი, ჩემთან წამოსვლას არ ითაკილებ! მე პირდაპირ ჩემი სახელოსნოდან მოვედი შენთან! შენს წასაყვანად მოვედი, შენს წასაყვანად! ამ მიზნით მოვედი.

მრავალი წლის განმავლობაში კოლიცინს ასეთი აღელვება არ გამოუმჯღა-



ვნებია. უეცრად დაეკარგა შთამბეჭდავი გარეგნობა, ალერსიანი სახის დარბაისლური ღიმილი, გამარჯვებული კაცის მტკიცე ნაბიჯები, ასეთი წინათ არასოდეს ენახა ვასილიევს. ბაწრით ნაქსოვი სვიტრიც, რომელსაც, ეტყობა, მუშაობისას იცვამდა, იდაყვებზე გაცვეთილი და საღებავით დასვრილი, უშნოდ ჩაეტანებინა გახეხილ ჭინსებში; მისი ჩასისხლიანებული, ჩაწითლებული თვალები კედლისკენ მიბრუნებულ სურათებზე რბოდნენ და წამდაუწუმ აჩერდნენ ბოდნენ ქსოვილჩამოფარებულ მოლბერტს, რომელიც ეტყობა, ცნობილწადილს უღვივებდა.

— მაშ არ წამოხვალ? მაშ არ მკადრულობ? — მიღებული ხმით წარმოთქვა მან, ბარბაციტ გავიდა წინკარში, იქიდან დიდი პორტფელი შემოიტანა. მაგიდას დაანარცხა და აჩქარებით გახსნა მონიკელებული საკეტები. — კეთილი, ამასაც გადავცლაპავთ, კეთილი. ცხვირით მივენარცხეთ ქედმაღლობის კლდეს — ამასაც გადავცლაპავთ, კი, გადავცლაპავთ რახან აგრეა, ვალოდია, ეგებ იკადრო და ამას მაინც შეხედო... ამ ნამუშევრებს მაინც შეავლო თვალი. არასოდეს ჩემი ნამუშევარი არ მიჩვენებია და არც მითხოვია... აი ეს სამი რამ, ესენი ჩემთვის ძვირფასია, ნახე, ნახე!

აცახცახებული ხელებით ამოიღო პორტფელიდან ფლანელის ნაჭერში შეხვეული ზეთის საღებავით შესრულებული სამი სურათი, თითოეული რვეულის ფურცლის ზომისა, აკურატულად დააწყო მაგიდაზე, შემდეგ ვასილიევის უკან დადგა და მის მხართან აქშინდა. ვასილიევი, რომელიც სურათებს დასცქეროდა, ღვინის მკავე სუნმა გააღიზიანა და მოიღუშა. კოლიცინმა ძლივძლივობით ამოთქვა:

— რა? რა? არ მოგწონს?

კოლიცინი, თითქოს სასიკვდილო განაჩენს ელოდებო, ისე აცახცახდა მის ზურგსუკან, მუხლით მაგიდის ფეხებს მიედო, და მისმა ნერვულმა ქშენამ ღვინის მკავე სუნმა, აკანკალებულმა ფეხის შეხებამ, მაგიდას რომ ატოკებდა, ამ ქუდბედიანი კაცის შიშნეულმა მოლოდინმა, რომელსაც, სამწუხაროდ, ხელოვნებაში არაფრის იმედი არ უნდა ჰქონოდა, უეცრად შეძრა ვასილიევი. კოლიცინის ადრინდელი სტუდენტური ნამუშევრები, მისი პეიზაჟები, ნატურმორტები, რამდენადაც ახსოვდა ვასილიევს, თუმცა მთლად დამოუკიდებელნი არ იყვნენ, მაგრამ მათში გამოსკვიოდა ახალგაზრდობის სიხალისე, მზის შუქი, ზაფხულის დღის მწვანე ჭრელი ჩრდილი, და მაშინ რომელიღაც დიდოსტატმა უთხრა: საკუთარ თავს უნდა ეძიებდე დაჟინებით და არა იმპრესიონისტთა თვალს საკუთარ თავში. იქნებ მაშინ რაღაც გამოგივიდესო, ეს გამამხნევებელი სიტყვები, რომლებიც მთელი კურსისთვის ცნობილი გახდა, მალე ყველამ დაივიწყა, მაგრამ შრომამ ნაყოფი გამოიღო და კოლიცინმა წარმატებით დაამთავრა ინსტიტუტი, ოდნავ მოგვიანებით მასწავლებლად მიიწვიეს, შემდგომ სხვადასხვა საზოგადოებრივ თანამდებობებზე ირჩევდნენ. — ეძებდა კი საკუთარ თავს ამ წლებში ჩინებზე ზრუნვით, უცხოეთის კომისიაში მუშაობით, კოქტილებით, აეროდრომებით, კრებებით გატაცებული? კოლიცინი იშვიათად მონაწილეობდა გამოფენებში. ვის მიუძღოდა ამაში ბრალი?

— დარწმუნებული ხარ, რომ აქ შენი საუკეთესო ნამუშევრებია? ჰკითხა ვასილიევმა, რომელმაც შერბილებულ, მოუქნელ თანამგრძნობ ფრაზებს მოუხმო შველად. — ოლეგ, რატომ მაინცდამაინც ამ სამ ნამუშევარს მაჩვენებ?

— მე გთხოვ... მე მინდა შენი აზრი ვიცოდე, ოღონდ კეთილსინდისიერად! ის, რასაც ფიქრობ... მე რჩევა ვკითხე ჩემს ნაცნობს. ჩემთან რომ იყო, და



მან მირჩია ეს სამი ნამუშევარი მეჩვენებინა შენთვის. ის ალტაცებულია. მომიტევე, ალტაცებულია.

— ალტაცებულია, ეშმაკმა წაიღოს, ალტაცებულია. — ერთგვარი წამლე-რებით გაიმეორა ვასილიევმა, თან სამ სურათს ათვალიერებდა, სადაც დიდი გულმოდგინებით იყო დახატული ყველა წვრილმანი მზის სხივებში დათქმული სახელოსნოს ინტერიერისა — ხის მრგვალი მაგიდა კიდეში მდებარე საფერფლით, რომელიც მხრჩოლავი ნამწვებით იყო საფარული. — პოლქოვნიკი გითხრა, ოლეგ, სახელიც გადასარევი დაგირქმევია: ავტოპორტრეტი... ყოველმხრივ გაუსწარი მოდერნისტებს, უკან ჩამოიტოვე, მათი მშვენიერებანი, სად გადაიკარგონ არ იციან, ეს რაღა არის? შეეკითხა ვასილიევმა და უკმაყოფილება ვერ დამალა, როცა მეორე სურათზე დაინახა კარგად გამოყვანილი რუსული ლუბლის ქუთხე, ლურსმნიდან ლურსმნამდე გაჭიმული თოკი, რომელზედაც ბაი-რალივით ჩამწკრივებული ქვედა საცვლებისა და პერანგების გვერდით ეკიდებოდა და შრებოდა ყურებით ერთმანეთზე გადაბმული კირზის ჩექმები. — ამნაირი სილამაზისა კი რა მოგახსენო, ოლეგ, საცვლები და ჩექმები ერთად. რუსული ნეორეალიზმი ხომ არ არის? — ნაღვლიანი ირონიით ჰკითხა ვასილიევმა და ყურადღება მესამე სურათზე გადაიტანა, სადაც გამოსახული იყო მდინარისპირა ფერდობი, ბალახის უკანასკნელ ღერომდე განათებული ჩამავალი მზის სხივებით, ლელქაშებსა და წყალში რომ ვარდისფრად ღუოდა. — მომიტევე, მაგრამ არც ეს მესმის მაინცდამაინც კარგად. თითქოს ნიჭიერი ჩანაფიქრია. მაგრამ რა ჩანაფიქრია, ეშმაკმა წაიღოს? პეიჟაჟი ჩანაფიქრის გარეშე უაზრობაა. მანერითაც... არქაულია, ბევრი ჩახუჭუჭებული ადგილი და წვრილმანია ფერდობზე, კალეიდოსკოპივით აჭრელებს თვალს. არა, იმას კი არ ვამბობ, — აღარ დაამთავრა თავის თავზე გაჯავრებულმა ვასილიევმა. — იმას არ ვამბობ, ოლეგ არა. საერთოდ, არა უშავს და ნურც ყურსუგდებ ვინმეს, — ვასილიევმა ხელჩაიქნია და მაგიდას მოშორდა, რადგან არ უნდოდა კოლიცინის გამაშიშვლებელი სურათებისთვის ეცქირა. — ყველაფერი პირობითია ხელოვნებაში, ყველაფერი სუბიექტურია, ბოლოს და ბოლოს. ჩემი აზრი არც გააუმჯობესებს შენს სურათებს და არც გააუარესებს.

„არ მინდა სიმართლე ვუთხრა. — გაიფიქრა ვასილიევმა და კიდეც უფრო მოიღუშა, — მე მას ვატყუებ, სიცრუეს ვაპირებ და ლაქლაქით ვიმცირებ თავს. ან კი რას შეცვლის ჩემი სიმართლე? რაში გამოადგება? პატივმოყვარეობა? სახელის მაძიებლობა? ბედი სწყალობს, მაგრად დგას ფეხზე — დოქტორია, პროფესორი, მდივანი, ინსტიტუტში ასწავლის, სტუდენტებს ლექციებს უკითხავს... რად უნდა ჩემი აზრი იცოდეს?“

— აი რა მომივიდა თავში. — წარმოთქვა წარბშეკრულმა ვასილიევმა. — შენ რატომღაც მთხოვე გულახდილად მეტყვა, თუმცა ჩემს აზრს შენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ვიცი, რომ ერთი და იგივე ბუნება, ერთი და იგივე მოვლენა სხვადასხვანაირად აღიქმება სხვადასხვა ადამიანის მიერ. ალბათ ცხოვრებისა და ხელოვნების მშვენიერება სხვადასხვა რამეში მდგომარეობს, მაგრამ უგუნურებაა ხელში ქათამი გეჭიროს და წარმოიდგინო, რომ ფასკუნჯი გიპყრია. ნუ გეწყინება და, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ხელში ქათამი გეკავა, მაგრამ არ გაგიპუტავს. გაუშვი, ოლეგ. ეგ ფრთოსანი, თუ ღმერთი გწამს, ისეირნოს თავისთვის, — მძიმედ ამოისუნთქა ვასილიევმა, — თავად კი წერე წიგნები კომპოზიციისა და კოლორისტიკაზე, ოღონდ სტუდენტებს ნუ გაუფუჭებ თვალს.



მაგ შენი გამოგონილი სინატიფით ფერწერაში. მათთვის ეს შელამაზებული სი-  
ლამაზე დაობებულ ხილვაფაზე უარესია. რეალიზმი ულმობელი რამაა...

ამას ეუბნებოდა და თან ცდილობდა უხეშ სიტყვებს მორიდებოდა. კოლი-  
ცინი კი წინ ასვეტოდა, ჯვარედინად გულზე ხელებდაწყობილი, რომაელის/პო-  
ზაში, გამომწვევად თავაწეული, გაყინულ სახეზე, ცვილივით გაყვითლებულ  
ცხვირზე, შიშისმომგვრელად რომ წასწვეტებოდა, მკვდრისფერი ედო და... თით-  
ქოსდა განგებ ხშირ-ხშირად ისრუტავდა ჰაერს, რათა გულში დაგუბებული წყნარ-  
თინი შეეკავებინა. „ალბათ ახლა წაიქცევა“, — გაუელვა ვასილიევს, მაგ რამ  
სწორედ ამ დროს კოლიცინი ბრმასავით გადაქანდა უკან, გატანჯული სახით  
მივარდა მოლბერტს, ჩამოფარებული ქსოვილი მოაგლიჯა ტილოს, გუშინ მო-  
სუფთავებულ რეჟისორ შჩეგლოვის პორტრეტს, რომელიც არა და არ გამოს-  
დიოდა ვასილიევს, და გაცხარებით ალაპარაკდა, თან ბრაზით ანთხევდა მთელ  
ბოლმას:

— შენ გგონია, რომ შენი ნამუშევრები მხატვრობის მწვერვალია? სრუ-  
ლყოფილების ნიმუში? ეგებ თანამედროვე ხელოვნების კანონმდებლად მიგაჩ-  
ნია თავი. ეგებ გგონია, რომ მარტოოდენ შენ ხედავ სამყაროს ფერებითა და სა-  
ღებავებით? ა-არა, ვალოდენკა, ეს მხოლოდ დიდ მსოფლიოს ოსტატებს შეეძ-  
ლოთ, მოუწვდომელ მწვერვალებს, შენ კი პატარა ბორცვი, გორაკი ხარ მათთან  
შედარებით! თანაც... ჭერ კიდევ არავინ იცის, ვინ უფრო ნიჭიერია ჩვენ შო-  
რის! დიახ, არავინ იცის! მიმიფურთხებია შენი აზრისათვის, ვასილიევ! მიმიფუ-  
რთხებია შენი მეღერი ფერებისათვის, მთელი შენი მკაცრი სტილისათვის, რო-  
მელიც ჩემს ერთ დეტალადაც არ ღირს, მიმიფურთხებია, მიმიფურთხებია!.. უმ-  
აქნისო ნოვატორო! ჩემი ყოველი წარუმატებლობა შენს წარმატებებზე მთელი  
თავით მალლა დგას! მეზიზღება, მთელი თქვენი ომისშემდგომი ძმობა მეზიზ-  
ღება! ყველა თქვენი სტილი! მკაცრი თუ რბილი სტილი! მეზიზღება!..

კოლიცინი უკვე სკანდალურად, საზიზღრად, თავშეუკავებლად ყვიროდა,  
ლომისებური დიდი თავი გაშმაგებით უცახცახებდა, დაბერილი ქუთუთოები  
ხან ეხურებოდა და ხან ეღებოდა და იქიდან მსხვილი კურცხლები სცვიოდა.  
და როცა ყვირილში ქვითინი თუ ისტერიული ტირილი გამოერია, განცვიფრე-  
ბულმა ვასილიევმა გაიფიქრა, რომ ალბათ ასე კარგავენ ჭკუას ადამიანები, რო-  
ცა სიძულვილი აიტანთ, სირცხვილისა და უხერხულობის გრძნობით აღსავსემ,  
კოლიცინს ზურგი აქცია და ახლა მხოლოდ ერთს ნატრობდა: რაც შეიძლება  
ჩქარა წასულიყო ეს კაცი სახელოსნოდან... „ხვალ სინანულით მოიგონებს თა-  
ვისი უგუნურების ამბავს!“

— გენიოსი ხარ, გენიოსი! მიპასუხე, დიდო მოცარტო, მითხარი, მითხა-  
რი უბადრუკ სალიერს! — ცრემლნარევი თეატრალური ხარხარით შესძახა კო-  
ლიცინმა და ისე გაშმაგებით შემოაკრა მუშტს, რომ ძვლების ქაბანი გაისმა. —  
რა-ატომ, რა-ატომ ხარ დარწმუნებული, რომ ღმერთმა შენ ტალანტი მოგანი-  
ჭა. მე კი ბრანწი? მიპასუხე, მიპასუხე — უნიჭოდ მიგაჩნივარ, საძაგელი ჭია  
სალიერი გონივარ, რომელსაც შენი, ღვთაებრივი მოცარტისა შურს? მითხარი,  
მშურს შენი? ასე გგონია?

— შენ მთხოვე სიმართლე მეტყვა, მე კი სრული სიმართლე არ მითქვამს  
და ბრიყვიც გამოვედი. რაც ახლა აღარ მიკვირს, — წარმოთქვა ვასილიევმა. —  
ამიტომ გთხოვ ყვირილს თავი დაანებო და აქედან წახვიდე.

— უპ, შენი... მაშ აგრე, ხომ? მაშ მეორედ მაგდებ?..

— იძულებული ვარ გთხოვო, რომ წახვიდე.



[illegible]

— მინდა ერთხელ კიდევ გთხოვო, ოლეგ, წადი, გეთაყვა.

— წაეალ და მუდამ მეხსოვება ეს საღამო. ჩემს დღეში მეხსოვება, გენოსო!..

კარის ჯახუნის თოფის გასროლასავეთ გაისმა საღამოსეულ დერეფანში. ზო-  
ლო პირმოღუშული ვასილიევი კრიჭაშეკრული მიმოდრიდა ოთახის ერთი კუ-  
თხიდან მეორეში და მოუხვენრად იგონებდა, როგორ ტიროდა ცხარე ცრემ-  
ლით კოლიცინი, როგორ ურტყამდა ისტერიულად მუშტს მუშტზე, როგორ ყვი-  
როდა აჰ, სახელოსნოში ღრმა, მოუშუშებელი ჭრილობით გახელებული.

ვლადიმირი მოუსვენრად ტრიალებდა ლოგინში. მთელი მისი სხეული ისეთ ნალველს, დაღუპვის ისეთ შიშს აეტანა, რომ ვერ ბედავდა ეყვირა, წამომბტარიყო, ჩაედინა რაღაც უგუნური, საზარელი და სხეულის დამთრგუნველი. ამ შიშისაგან თავდასალწევად ცდილობდა საკუთარი თავისთვის შთაეგონებინა რომ რამდენიმე საათში გათენდებოდა და მაშინ მოეშვებოდა მტანჯველი სულიერი ტკივილი...

„ეს რა შეზღავანა?“

ჩერ ცაში ვერტმფრენი მოდიოდა, მერე სწორკუთხოვანი სახლებივით დაეკიდნენ ეკლესიის თავზე, რომელიც წრიულსართულებად იყო აშენებული ბაბილონის გოდოლივით და წვეტიტ დაბინდულ ცას ებჭინებოდა. ყოველ სართულზე მსხვილი სანთელი ენთო, მრგვალ სართულებზე ადამიანები დადიოდნენ, გიგანტურ ვერტმფრენებშიც ავბედიტად კაშკაშებდნენ მეწამულისფერი სინათლეები, და იქ, ცაში, ამ სინათლეებს მიღმა, მზადდებოდა რაღაც მტრული, მომაკვდინებელი. მაგრამ ამ დროს ეკლესიის გალავნიდან პირველი ვერტმფრენის შესახვედრად გავარვარებული ქვების მსგავსად გამოფრინდა უცნაურ ტყვიათა ჩერი. სწორკუთხოვანი სახლი ცაში აფეთქდა, ცეცხლები მიმოაფრქვია, და ნანგრევები ბზრიალ-ბზრიალიტ აცვიოდნენ თავზე ეკლესიას, ჭვარზე ეცემოდნენ და მკრეხელურად არყევდნენ უზარმაზარ წვეტიან გუმბათს.

ტადარი ქანაობდა და მის დანგრევას აღარაფერი აკლდა. მისი შემყურე  
ადამიანები, ფეხშიშველნი, დიდსახელოებიანი ნაცრისფერი პერანგებით მორ-  
ბოდნენ გზაზე, აფრიკის მზით გავარვარებული ქვალორლიანი გზა აუტანლად  
სწვავდა ფეხებს, ეკლები რკინის კავებივით ესობოდათ ქუსლში.

ვინ იყვნენ ისინი? ვის გაუბოდნენ? ანდა ვინ იყო ის, ვინც წინ მიჰქროდა და მიწაზე ფეხის დაუკარებლად მიჰყვებოდა ცხელ, მოწითალო, მზით გავარვარებულ გზას, გრძელ სახელოებს აფართხუნებდა და ზიგზაგისებურად აწყდებოდა ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ? ზურგითა და კეფით ილიას ჰგავდა სახის გარჩევა კი შეუძლებელი იყო, თუმცა ამას არც ჰქონდა აზრი. რადგან



ნაც ვილაციის ხმამალალი ბრძანება ერეკებოდათ წინ: „მომყევით! მომყევით! ბალისკენ!“

გზის მარცხნივ გამოჩნდა ლობე, იმის იქით გადაიშალა ბალი და ავარდა მშრალი მტვრის სუნი. სულისშემხუთველი მტვრისაგან სუნთქვაშეკრულნი ხეებზე აფორთხდნენ, მტვრიან ტოტებს აჰყვნენ, რომელთა ეკლები ნემსებოვით ესობოდათ თვალში, უკაწრავდათ და უსისხლიანებდათ კანს. ირგვლივ რტოებზე ეკიდა სქელქერქიანი უცნაური ყვითელი ნაყოფები; ისინი დნენ მათ და გაშმაგებული სიჩქარით იტენილდნენ ჯიბეებს, ივსებდნენ უბეებს, შიმშილითა და დიდი ხნის დევნით განაწამებნი. მდევარნი კი სადღაც ახლოს, მათ ირგვლივ მდებარე უდაბნოში იყვნენ, და მაშინ მახლობელ ხეზე ასულმა ილიამ, შიშველი ფეხებით ხის ორკაპა ტოტს რომ ეყრდნობოდა, გადმოსძახა: „აი ასე გაღრღენით!“ ნაყოფები ვაშლებივით უნდა გაღრღნათ, კანი ფოლადის ქავშანივით სცილდებოდა, ხოლო ნამცეცა კაკალი პირში დნებოდა. ვლადიმირი ილიას მიბაძვით ხარბად ჰამდა, შიმშილს იკლავდა, თან წამდაუწუმ გასცქეროდა ბალის იქით მდებარე სახიფათო უდაბნოს, საიდანაც თანდათან ახლოვდებოდა სიკვდილი... ამ დროს დაინახა ხის ძირას მდგარი მარია, ნორჩი, ტანწვრილი, მტვრით დაფარული შავი თავსაფრით, როგორც არასოდეს არ ჰქონია. ფერმიხდილი იყო, წვრილი წარბები შეეხარა, დიდრონი მუქი ნაცრისფერი თვალებით უტყვად ევედრებოდა. ისიც, სიყვარულითა და ალერსით დაუძლურებული, ჩქარ-ჩქარა უყრიდა მიწაზე ნაყოფებს, რადგან უკვე მიხვდა, რომ ქალი ჯიქურ მოსდევდათ უდაბნოში და ისიც ძალიან მშიერი იყო. იმ წუთს, როცა ხის ქვეშ მარია გამოჩნდა, ვლადიმირი მიხვდა, რომ ახლა ისინი მოკვდებოდნენ. ლობის უკან, ასიოდე მეტრის მოშორებით, ხორშაკ სილაში გამოკრთნენ ადამიანთა ფიგურები, ორი მამაკაცი, ერთი თეთრპერანგიანი, ფართოლაწვეებიანი, ახალგაზრდა, მეორე იმაზე უფროსი, ფორმის ქუდით, რომლის ძირზეც რკინიგზის ჩაქუჩები იყო დამაგრებული. წამით დანახული ადამიანი ეცნო: შეშუპებული რძისფერი პირისახე, სამკუთხა, ლომისებური, ქუთუთოებდაბერილი თვალები. ვინ არის? კოლიცინი? ნუთუ? არა, არა! მაგრამ როგორ ჰგავდა კოლიცინს! ამ კაცს ხელში ჩაუბლუჯა შავი საკოიაცი, სადაც ჩხარუნობდნენ საჩხვლეტი თუ საჭრელი იარაღები, ლტოლვილთა საწამებლად გამზადებული...

მხოლოდ ორნი დაიჭირეს (ილია მათთან ვერ ნახეს) და ხის ეშაფოტთან წიათრიეს, რომელიც გავარვარებული უდაბნოს შუაგულში იდგა. ტანისამოსი შემოახიეს, ხელებშეკრული ვლადიმირი ეშაფოტზე აიყვანეს, გვერდით ფიცრებზე კი დააწყვეს წვერწამახელი, სისხლის გამყინავი მონიკელებული იარაღები, რითაც იგი უნდა ეწამებინათ, ხოლო მარია დაბლა, ეშაფოტქვეშ დატოვეს და იქ აწამებდნენ, და ვლადიმირს იქიდან მოესმოდა მისი კვნესა, ხედავდა, როგორ ეგრიხებოდა სილაში ნაზი კისერი, უკან როგორ უვარდებოდა თავი დახუჭული თვალებით, რომლებიდანაც სდიოდა ცრემლი, და გრძნობდა, რომ მარიას ქვითინისაგან საცაა გული გაუსკდებოდა. ვლადიმირს არ შეეძლო ჯალათებს ხელიდან გასხლტომოდა და ქალისთვის ეშველა. ამიტომ ხრინწიანი ხმით შესძახა, მე მომკალით და ეგ გაათავისუფლეთო... ეხვეწებოდა, ემუდარებოდა, რადგან იცოდა, რომ ესლა დარჩენოდა მისი ტანჯვის შესამსუბუქებლად.

და მაშინ სამკუთხათვალეებიანი კაცი მიუახლოვდა, თვალის გუგებში ჩა-



აშტერდა და ფეხით სულ უფრო ახლოს მისწია მისკენ ტაბურეტი, რომელზედაც ეწყო სხვადასხვა ზომის მონიკელებული იარაღები...

— ვალოდია, ვალოდია, აგრე რატომ კვნესი?

გაელვიდა. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა, სული ეხუთებოდა. გონს მოსული, დიდხანს გასცქეროდა სიბნელეს, სადაც ფანჯარაზე თეთრად ჩანდა ფარდა. და ისეთი მარტოობა იგრძნო, ისეთი გულისმომკვლელი სევდა მარიას გვერდით, რომელიც ხელისგულით ფრთხილად ეხებოდა ოფლისმწიფს — ძლივს შეიკავა თავი, რომ, კოშმარით შეპყრობილს, ჩურჩულში არ ეთქვა: „მაშა, ძვირფასო, რატომ ჩავარდით ასე მძიმე ყოფაში?“ მაგრამ ასევე ფრთხილად აკოცა მაჯაზე და სულ სხვა, ჩვეულებრივი, ყალბვაყვაცური კილოთი უთხრა:

— უთავბოლო სიზმარი ვნახე, რაღაც სისულელე.

— ჰო, წრიალებდი, კვნესოდი. ხომ არაფერი გტკიოდა? ოფლში ხარ გახვითქული. ვალიდოლი მოგცე?

— არ მინდა, მაშა...

მარია წყნარად გადაბრუნდა და მალე ჩაეძინა. და ისევ ბალი, ისევ დევნა, ისევ ეშაფოტი უდაბნოში. ისევ ყველაფერი გამეორდა, ყველაფერი გულშემზარავად რეალური იყო, რეალური იყოს ის კაციც, ჩაქუჩებიანი ფორმის ქუდით, ავბორცულად რომ აწამებდა ორივეს. და ვასილიევი ტრიალებდა, ბალიშზე დამხობილი დუმდა, ჩუმად იზელდა გულს, ის კი უცემდა. ხანგამოშვებით სული ეხუთებოდა. უეცარი სიკვდილისა ეშინოდა და ეს შიში წამოაგდებდა ხოლმე ლოგინიდან. წამოდგებოდა, ოღონდ სინათლეს არ ანთებდა, რომ მარია არ გაელვიძებინა. წყალს სვამდა სამზარეულოში, გულხელდაკრეფილი მიმოდრიოდა დერეფანში და გამშრალი ტუჩებით ჩურჩულებდა:

— ო, როგორ მიწუხს გული, როგორ მიწუხს!

გულში დამთრგუნველ სიცარიელეს გრძნობდა და წონასწორობა ვერა და ვერ აღედგინა. ფარდა გადასწია, სარკმელი გამოაღო და ოთახში ცივი ნაკადი შემოიჭრა. ფანჯრიდან რიყრაყი შენაცრისფერებულ ქუჩას გასცქეროდა და ფიქრობდა: „ჰო, მე ავად ვხდები, სულ უფრო ხშირად ვამჩნევ ხოლმე ამას ჩემს თავს...“

მერე ჩაიცვა, ფრთხილად გაიკეტა კარი და ნელ-ნელა ჩავიდა უკაცურ ეზოში, სადაც ჯერ კიდევ იგრძნობოდა გამთენიის სუნები.

მთელი დილის განმავლობაში არ შორდებოდა თავიდან უაზრო სიზმარი, თავსგადამხდარ სინამდვილედ ედგა თვალწინ. ხოლო როცა მუშაობას შეუდგა, მარტის მზის სინათლემ ულმობლად დალაზვრა და გაფანტა ის, რისი თავმოყრაც უნდოდა ტილოზე ვასილიევს. შინაგანი თვალთ ხედავდა ცხელ მტვერს, გავარვარებულ წითელ უდაბნოს, პაპანაქების მწველ ელვარებას, საწამებლად გამართულ ეშაფოტს და მის ქვეშ მიწაზე გართბმულ მარიას უკან გადაწეული ცრემლიანი სახით, მას კი, ეშაფოტზე ხელებშეკრულს, განძრევის, სულისმოთქმის თავიც არ ჰქონდა. ოფლში გახვითქული ვასილიევი გულისყურის მოკრებას ვერ ახერხებდა და ყალამს არასწორად უსვამდა ტილოზე.

... ამ პეიზაჟზე დიდი ხნის წინათ მუშაობდა, ეტიუდი დახატა შემოდგომაზე, ფსკოვის ახლოს, ყოფილი მონასტრის მიდამოებში, რომლისგანაც ნანგრევებილა დარჩენილიყო, და ყოველთვის, როცა დაუსრულებელ პეიზაჟს უბრუნდებოდა, ისე ღელავდა, თითქოს რაღაც დაეკარგოს.

ტილოზე გამოსახული იყო ოქტომბრის დამლევის ნათელი გამოსათხოვა-



ჩი დღე, დაბლა დაწეული თეთრი მზე გამოსჭვიოდა შორეული არყის ხეების  
რტოებიდან. რომლებიც, ფერდობზე მზის პირისპირ მდგარნი, შავად მოჩანდ-  
ნენ ქარი ქროდა და მამათა მონასტრის მივარდნილ ბაღს აშიშვლებდა. სულ  
ბოლოდ მოწმენდილი ცა ზაფხულისეული ღრუბლებით ციმციმებდა მოქანავე  
სეთა კენწეროებსა და გვერდიდან განათებული დანგრეული გალავნის თავზე.  
ბაღაში ჩამოვარდნილი ეული ვაშლი კედლის ახლოს ეგდო და ზედ მისი  
ბულ ფოთლებში ძლივსა ჩანდა.

პო, ის სულ მარტო იყო იმ მონასტრის მიდამოებში, და იყო მაშინ მზია-  
ნი, მშრალი, გრძელი დღე, შარიშურობდნენ და შემორჩენილ ფოთლებს ოქ-  
სოსფრად ალივლივებდნენ ბებერი ნეკერჩხლები, მეწამული ქარბუქი მძლავ-  
რობდა ბარდით დაფარულ ბაღის ბილიკზე, და ყველაფერი გამკვირვალე,  
ხსნასა, გამოსათხოვარი იყო. რატომ იყო გამოსათხოვარი? რატომ ხდებოდა,  
რომ ორმოცდაათი წლის შემდეგ, განსაკუთრებით შემოდგომის ნათელ, მშრალ,  
წვრილა დღეებში, არ ტოვებდა გრძნობა, რომ მასაც მალე შეემთხვეოდა ის,  
რაც მოსვლია მილიონობით სხვა ადამიანებს, ზუსტად ისევე რომ დადიოდნენ  
ბარდით დაფარულ ასეთ ბილიკებზე სხვა კედლების მახლობლად. ნალვლიანი  
სიძმით ისუნთქავდნენ ოქტომბრის სიცივეს სხვა მივარდნილ, ქარისაგან გაში-  
შვლებულ ბაღში და გულში ჰქონდათ იგივე ფიქრი სამუდამო განშორების 'შე-  
შლელბლობასა და გარდუვალობაზე? ფიქრობდნენ თუ არა ამაზე ვრუბელი ან  
ნესტეროვი? მაგრამ იქნებ ამქვეყნიური სილამაზის სისუსტისა და ხანმოკლეო-  
ბის, მისი საამური წამის შეცნობაში მდგომარეობს ცხოვრების დიდებული სი-  
ვრუე და დიდებული და ტკბილი თავის მოტყუება, რომელშიც გამოკრთის ხო-  
ლზე ბედნიერების თბილი სხივი, მხსნელი იმისა, რაც ჩვენ შემდეგ იქნება...

ეგვბ სილამაზე შეიცნობა მისი ჩასახვის მხოლოდ საბედისწერო და მო-  
კმალეებულ წამს (დილა, მოშუადღევება, შეღამება, გამოდარება, პირველი  
იღვლი) და მისი უცილობელი გაქრობის, კენობის წინ, დასასრულისა და და-  
საწყისის მიჯნაზე, უფსკრულის პირას?

სილამაზეზე უფრო წარმავალი არაფერია, მაგრამ რაოდენ საშინელია ის,  
რომ სილამაზის ყოველ ჩასახვას თან ახლავს მისი დასასრული, მისი სიკვდი-  
ლი, დღე კვდება საღამოში, ახალგაზრდობა სიბერეში, სიყვარული გულაცრუე-  
ბაში. მარტოდენ მობელთებული წამი სილამაზისა, რომელშიც უკვე ბუდობს  
უხილავი ჩანასახი მისივე განწირულობის, არის უტკბილესი სიცრუე და ამას-  
თანვე ამქვეყნიურ წამიერებასთან შეუთანხმებლობა, მუდმივობის რწმენა, ჯა-  
ნჩრთელობა, უკვდავება, ისევე როგორც მთელი ადამიანური ცხოვრების უდი-  
დესი გულუბრყვილობა. დიან, მშვენიერი და დიდებული თავისმოტყუება...

მაშასადამე, ჩასახვაშია გამოთხოვება და პირიქით?

ვასილიევმა ყალამი მაგიდაზე დადო, ხელები გაიწმინდა და, ჩაფიქრებუ-  
ლი, დინჯად შეუდგა სტელაჟებიდან შარშან დახატული პეიზაჟების ჩამოხსნას  
და კედელზე მიყუდებას.

ზამთრისეული ნაადრევი შებინდება, სოფლის განაპირას მდგარი იასამნის-  
ფერი არყის ხეები საღამოს ჰაერში, სოფლური სახლის კუთხე ჯვარედინად  
აქედილი ფანჯრებით, პარმალზე დაზვავებულ ნამქერზე ასხლექილი უკანასკნე-  
ლი მეწამული სხივი, მრავალფერიანი, პირველყოფილი სიჩუმე, ძაღლების შო-  
რეული გაყეფ-გამოყეფა და ეულად მოციმციმე პირველი ვარსკვლავი; ცხელ,  
მწვანე დღეს აივნის ყურთამდე გაღებული ფართო ფანჯარა; გამოიდარა, ყვე-  
ლაფერი სველია, ზაღისიანი, ჩამორეცხილი; მოუთიბავი ბაღაზი და ვაშლის



სწები წვიმისაგან დამძიმებულან და მიმავალი ღრუბლებიდან გამომჟღავნებულ სივრცეში მარათს ქვეშ ციმციმებენ; მხიარული წყალი მოჩქეფს გავსებული კასრიდან. სადაც შეაპუნა წვიმაში ჩამოყრილი ვაშლები დაცურავენ; ნამიანი გრილი სიო დანავარდობს ბაღში, და თითქოს ყურში ისევ შხრიალებს ზაფხულის აქეში. ყრუდ გუგუნებს აივნის სახურავზე (რა საამო და რა ნაღვლიანი იყო ზაფხულის ნორჩი სიხარულის სწრაფწარმავალი იმ წამის, როდესაც აგვისტო, დაისის წყნარსა და თბილ ჰაერში ოქროსფრად ბრწყინებდა ვეფხეების კენწეროები, ყველგან ნეტარი სიმშვიდეა, დღის უშფოთველი გამოთხოვება სიცხესთან, გახურებული ბალახებისა და ფოთლების სურნელთან, ყოველი არსის გარინდება მზის ჩასვლის, მწუხრის, სიცოცხლის ახალ გარდაქცევასთან (როგორ უნდოდა დაეჭირა გადასვლის ეს სევდისმომგვრელი მდგომარეობა!); ქარით გადაგვილი ჩრდილოეთის საღამოსეული ცა. პორიზონტამდე გაჭიმული შემოდგომის მღვრიე წყალი და გვერდიგვერდ მდგარი ორი ძველი ნავი, ჟანგიანი ჯაჭვით ერთმანეთზე გადაბმული, როგორც ამქვეყნად სიყვარულით, დროით, შიშით, მოვალეობით შეერთებული ორი განუყრელი მარტოობა... (რა სევდისმომგვრელია ეს ყველაფერი!); აპრილი, ლიმონისფერი მთვარე დაჰყურებს შიშველ არყნარს, ნათელს ჰფენს ღამის სიშავეს, თოვლის შემორჩენილ კუნძულებს, შარშანდელ ჩამოცვენილ ფოთლებს, და აქაც კვლავ იყო წუხილი სწრაფი განშორებისა, მარტოობისა, მშვენიერება დანაკარგისა და მკვდრის, ხანგრძლივის მზიურის მოლოდინისა, იმის მოლოდინისა, რაც არასოდეს ყოფილა მის ცხოვრებაში...

„ეს არასოდეს ყოფილა ომის შემდეგ... და მაინც... იყო... მაგრამ რას უკავშირდება ეს? ომს? მარიას?“

ვასილიევი მოწყვეტით ჩაჯდა სავარძელში, რომლის ზამბარებმა ჟღერილი მოიღო, სურათებს თვალი შეავლო და სადღაც ამოკითხული რჩევის მიხედვით თავის გასამხნეველად საფეთქლები მოისრისა, რადგან იმედი ჰქონდა, რომ თავის ტკივილი გაუვლიდა და უკეთ შეიქნებოდა. მარტის ნათელი დღე შუქის გაზაფხულისეული სიუხვით აღვრიდა შუქს სახელოსნოს ფანჯრებს, სარკმელში შემოჭრილ ჰაერს მწიფე ვაშლის სურნელი დაჰკრავდა და აგონებდა წარსულის საამურო ღელვას, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო დამძიმებული დაღლილობით, უცნაური უღონობით, მუდმივი დანაშაულით...

„მაინც რაში მიმიძღვის ბრალი? მე გადავიღალე, დავიქანცე...“

საფეთქლებს ისრესდა, მაგრამ ტკივილი არ ეშვებოდა, გული ელეოდა და ხელებსა და მუცელში სისუსტე ეძალებოდა, როგორც შიმშილის ან დაძაბულობის დროს იცის ხოლმე. მერე ზურგსა და გულზე ოფლი დაასხა და მოუნდა დივანზე დაწოლილიყო, დაესვენა და, გულაღმა მოელოდნენ, არაფერზე აღარ ეფიქრა, თავი მსუბუქად ეგრძნო, თითქოს ჰაერში მიფრინავსო, გარემოცული ზაფხულოვანი ნისლით, სადაც არც სინდისის ქენჭნა იქნებოდა, არც დანაშაული, არც სიბრაღე, არც სულიერი ტკივილი, საათობით რომ არ ეშვებოდა და ძალ-ღონეს ართმევდა.

ეს რთული ნერვული მდგომარეობა წელიწად-ნახევრის წინ შეამჩნია, როცა ერთხელ, აგვისტოს მწუხრში, ტრიპტიკტზე მუშაობით დაქანცულს, სავარძელში ჩასთვლიმა მოლბერტის ახლოს და უეცრად გამოაღვიძა ტელეფონის მკვეთრმა ზარმა, რომელმაც თავში მოწოლილი სისხლის ბაგაბუგით წამოაგდო ზეზე.

მინავლული დაისის მტვრიან-ლილისფერი ბურუსით მოცული მთელი სა-



ხელოსნო ბინდბუნდში დანთქმულიყო, სწორკუთხა ტილო ავბედიტად, ირი-  
ბად ირეკლავდა სისხლისფერ საღებავებს, ტელეფონი კი ისე გაშმაგებით, ისე  
თავგანწირვით წკრიალებდა ტუმბაზე, რომ ვასილიევი გაღიზიანებული დასწე-  
და ყურმილს და დიდხანს ვერ გაიგო, ვინ ურეკავდა. სიბერისა თუ სიმოროს  
გამო დასუსტებული ხმა გაურკვეველად წარმოთქვამდა ფრაზებს, რომელთა  
სრული აზრი ვასილიევამდე ვერ აღწევდა, მხოლოდ შეიძლებოდა მიმსჯნა, რომ  
რომ რეკავდა ვიღაც მხატვარი, მისი თავყვანისმცემელი შორეული აღმოსავლეთი-  
თიდან (ასეც თქვა: „შორეული აღმოსავლეთიდან“, — ქალაქი არ დაუსახელე-  
ბია). რომელიც ხვალ მოემგზავრებოდა მოსკოვში სახელოსნოს დასათვალიე-  
რებლად... რომელი მხატვარი? რომელი თავყვანისმცემელი? და რატომ შორე-  
ული აღმოსავლეთიდან? პირველ წუთს ვასილიევმა ვერაფერი ვერ მოისაზრა,  
ბრაზობდა, სწყინდა, რომ ტელეფონმა უეცრად დაუფრთხო ძილი, მაგრამ შემ-  
დეგ წუთს სუსხიანი ქარივით დაჰკრა ბეჭებზე: ვინ ურეკავდა? მას ხომ ბევრ-  
ქერ გაუგონია ეს ოდნავ ყრუ, სუსტი, დროდადრო ჩიტივით მთრთოლვარე ხმა!  
არა, მაინც ვინ არის, ვინ?

და დაუძლეველი ღელვისაგან ატანილი ვასილიევი კვლავ ეცა ტელეფონს,  
რათა საქალაქთაშორისო ცნობათა ბიუროში გაეგო, ვინ ურეკავდა, რომელი  
ქალაქიდან (აქ არც გათამაშება იყო გამორიცხული). მაგრამ ტელეფონისტებ-  
მა ვერ შეძლეს გამოერკვიათ და რიგიანად ეპასუხათ, ვინ ან საიდან რეკავდა,  
— და მაშინ, სახელოსნოს მოშმაშურე სიბნელეში მჯდარმა, თითქმის მეხსიე-  
რების დაუძაბავად გაიხსენა, ვისი ხმა იყო ეს. უცნაური და საზარელი იყო და-  
ეჭვებიანა ის, რაც იმ წამს გაიფიქრა, მაგრამ ბებრული ხმა, ხან ყრუ და სუს-  
ტი, ხან კი ჩიტივით მთრთოლვარე, განსვენებული მამამისის, ათი წლის წინათ  
გარდაცვლილი კაცის ხმა იყო. ვასილიევმა იცოდა, რომ ასეთი რამ ყოვლად  
შეუძლებელი იყო, რომ იწყებოდა რაღაც სიგიჟე, თანაც ეს არც მოყურება  
იყო, არც სმენითი პალუცინაცია, — ისე ნათლად ახსოვდა ყურმილში გაგო-  
ნილი ხმა და მამამისის თავისებური კილო.

„ეგებ დამესიზმრა?..“

არაბუნებრიობის ეს გრძნობა ერთი კვირის შემდეგ გაუმახვილდა: შორე-  
ული აღმოსავლეთიდან არავინ მოსულა სახელოსნოში, ჩამოსულთაგან არავის  
დაურეკავს, და ახლა აგვისტოს ბინდბუნდში ეს მოულოდნელი დარეკვა მიიჩ-  
ნია როგორც სიზმარში ნახული გამაფრთხილებელი სიგნალი, ნიშანი მისტი-  
კური შეხსენებისა, რომ წარსულში მამის წინაშე რაღაც ბრალი მიუძლოდა. მა-  
მამისი ხომ არც ისე შორს ცხოვრობდა მოსკოვიდან (ერთი ღამე უნდა ემგზავ-  
რა მატარებლით) ფსკოვის ტბის პირას მეთევზეთა დაბაში, სადაც მოსკოვიდან  
გადავიდა პენსიაზე გასვლის შემდეგ. თხუთმეტი წლის წინათ ვასილიევი ხშირად  
ჩადიოდა ხოლმე მასთან, გვიან შემოდგომამდე ნატურიდან ხატავდა სურათებს  
და რაც კი შეიძლებოდა ყველაფერი დაბატა. მხოლოდ მაშინ მიხვდა, თუ მამა-  
მისი, რომელიც სულის ხუთვას უჩიოდა, რატომ გადმოვიდა მოსკოვიდან და  
რატომ იყიდა სუფთა ჰაერზე მდგარი პატარა სახლი. აქ იყო სივრცე, მზე, სი-  
ჩუმე, ღრუბლების ქოჩორა ბორცვებით დაფარული მაღალი ლავეარდოვანი  
ცა, მოკამკამე ტბაში რომ ჩაპირქვავებულიყო; აქ, თავთხელს ზემოთ, ნელა ირ-  
წყოდნენ მეთევზეთა გაფისული ნავები, შუადღის სიციხეში ნელა აჩხარუნე-  
ბდნენ ლუზების ჯაჭვებს, დროდადრო ჭყივილი გაჰქონდათ თოლიებს, სკინტ-  
ლათ გადათეთრებულ კარკაპებზე რომ სხდებოდნენ; თბილი სიო დანავარდობ-  
და თეთრ სილაზე წითელ კაჭარებს შორის, ნელა არხევდა ბირკავის ბარდებს,



რომლებსაც ზოლიანი კელები დაჰბზუოდნენ; ლობებზე გაფენილ ბადეებს წყალმცენარეებისა და ფსკერის სინესტის სუნი ასდიოდათ; ხის ნავმისადგომებზე მტრედები დაგოგმანებდნენ, დასიცხული ძროხები სილით მოფენილ ვიწრო ნახევარკუნძულებზე იწვნენ და ზანტად იცოხნებოდნენ ანდა მუხლებამდე წყალში იდგნენ, კუდებს იქნევდნენ და მეთევზეთა თითქმის ჩაძირულ ძველ, დაჟანგულ მოტობოტებს მიშტერებოდნენ. სადაც მზემოქრატულ ტყეშიშველი ბიჭუნები ისხდნენ ანკესებით ხელში; ხოლო დაისი იყო მშვიდგარე, ზღვარსგადასული, იდუმალად და დიდხანს რომ არ ქრებოდა ცაზე და ტბაში, ღამე კი უძირო, ვარსკვლავიანი, როგორც თავისკენ მიმტყუებელი სამყაროს განმუხტული საშინელება...

ახსოვდა, იქ ყოფნის დღეებში როგორ ამოუდგებოდა ხოლმე ნატურაზე მუშაობისას ზურგს უკან მამამისი, აღფრთოვანებული, სიამაყისაგან გარინდული, ვინაიდან მისმა ვაჟმა შრომისა და ნიჭის წყალობით შეძლო კაცი გამხდარიყო. წარმატებისთვის მიედწია, სახელი მოეხვეჭა, და ეშინოდა განძრეულიყო, ეშინოდა უნებურად არ შეეშალა ხელი გადაბყირებული ხველებით. მაგრამ ვასილიევს აღიზიანებდა ზურგს უკან მამამისის ეს მომაბაზრებელი ყოფნა. მის ჩამჭრალ თვალებში გამომჟღავნებდა კეთილი განცვიფრება და ისიც, თუ რა გრძნობამორევით და ხანგრძლივად ათვალთვლებდა. მოალერსე თვალთ სინჯავდა აივანზე გასაშრობად დადგმულ ეტიუდებსა და მზა სურათებს. „ხალასი ნიჭი გაქვს, ვალოდია, გაუფრთხილდი. შენ ბუნებამ დაგაჩილდოვა“. თავს უხერხულადაც გრძნობდა, როცა მამა იბნეოდა, სახე უფორაჯდებოდა და ენა ებმოდნოდა ფულის დანახვისას, ვასილიევი სახარჯოდ რომ უტოვებდა. მამა თვალს არიდებდა და სულ ერთსა და იმავე ფრაზას იმეორებდა, რომ ჭერჭერობით ფული არ სჭირდება, რომ პენსია ჰყოფნის, ვასილიევს კი ეგონა, მამა გულწრფელი არ იყო, თვალთმაქცობდა, და ეუხერხულებოდა მისი ვარდისფერი, ალგზნებული სახისა და ხელების დანახვა, როცა ჭიბეში ასიგნაციებს იღებდა.

განცვიფრდა, როცა მისი გარდაცვალების შემდეგ მთელი ფული, რასაც აძლევდა და ურიცხავდა, ხელუხლებელი დახვდა. იგი წერილობით ეანდერძებინა მამას სახლთან, ბარგიბარხანასა და სხვადასხვა დროს ნაჩუქარ ათამდე ახალ პერანგთან ერთად, რომლებიც ცელოფანის გაუხსნელ პარკებში იდო.

მაგრამ ყველაზე მწარე ის იყო, რომ გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე მამა წერილებში მოკრძალებით ეკითხებოდა, უხერხული ხომ არ იქნება ერთი დღით მოსკოვში რომ ჩამოვიდე. ახალი სურათები დავათვალიერო და შეილიშვილიც ვნახო — მარიას ხომ არ ეწყინება ჩემისთანა ბებრის შემოქრაო? ვასილიევი ზერელედ კითხულობდა წერილებს, სხვა უამრავ წერილებში, მოსაწვევებში, ხელშეკრულებებსა და ქაღალდებში ჩააგდებდა ხოლმე. იშვიათად უპასუხებდა. ისიც ორიოდ პწკარით, ფიქრობდა ყველაფერი დაწვრილებით მიეწერა. მიეწერა შენი ჩამოსვლა აუცილებელია, როგორც კი გადაუდებელ სამუშაოს ოდნავ თავს დავალწევო. მომდევნო წერილში მამა თავისდამამცირებლად უბდიდა ბოდიშს („მესმის, შვილო, შენი მოუცლელობა, მაპატიე, თავი რომ მოგაბეზრე“), მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ გაუბედავად ეკითხებოდა, შეეძლო თუ არა ერთი დღით სახელოსნოში მისვლა: „თვალს შევაგლებ სურათებს, შეილიშვილს, დილით კი ჩაეჯდები მატარებელში — და შინისაკენ“.

ვერა და ვერ გამოჩნა ღრო მამისათვის, თუმცა იმხანად მთელ დღეებს და მთელ საღამოებს ათასგვარ თათბირებს, ამაო „ინტელექტუალურ“ ყბედო-



ბასა და კლუბში გამართულ უმაქნის შეხვედრებს ანდომებდა. მამამ, მოკრძალებულმა თაყვანისმცემელმა, ვერ გაბედა მოწვევის გარეშე ჩამოსულიყო ერთი დღით. რადგან ეწინოდა ხელი არ შეეშალა შვილისათვის წმიდათაშვილ და მუშაობაში, მაგრამ მალე ვასილიევს მამის დაკრძალვაზე წასვლა მოუწია და უცებ ისეთი სიცარიელე იგრძნო. სინდისის ისეთი ქენჯნა, რომ ვაჭარის ფანჯარასთან მდგარს, მთელ ღამეს არ მოუხუჭავს თვალი და მამის მემკვიდრე უკანასკნელი წერილების გახსენებაზე კი სული ეხუთებოდა...

ხოლო როცა კლუბში დაინახა მამის გაცივებული, საოცრად გააჩაღგაზრდაებული სახე, მისი მწუხარე, კმაყოფილების სიმშვიდის შედიდური გამოხატულებებით, ვასილიევი გააოცა იმან, თუ რა უღმობელი ქედმაღლობით ევლის სიკვდილი ცოცხალ ნაკვთებს, რომლებსაც გაუცხოებული იდუმალების სამარადისო დაღს ასვამს, მაგრამ რა იგრძნობოდა უცხოდ მოკუმსულ მის ბაგეთა მწარე ნაოჭებში? შეცნობა იმისა, რაც არ იცოდნენ ცოცხლებმა და ამოვებით აღსავსე ქვეყნიერებამ? ო, რა ყოვლისმცოდნედ, რა მწარედ ებრალებოდა მას ამქვეყნად დარჩენილნი... ეგებ უბრალოდ აღარათფერი აღარ უნდოდა: არც ვაჭიშვილის სახელი, არც მისი სახელოსნოს მონახულება, არც შვილიშვილთან ხანმოკლე სტუმრობა. გამოთხოვებისას ვასილიევი ნელა შეეხო მამის გაქცევებულ ხელს (სწამდა, რომ როგორც კი მიცვალებულს შეეხები, მაშინვე გულს მოგეშვება), მაგრამ იმან არც იმ დღეს უშველა, არც შემდეგ შეიძლებოდა თავი დაერწმუნებინა, რომ ცოცხლები მუდამ დამნაშავენი არიან მკვდართა წინაშე. რომ ნერვული გადატვირთვის საუკუნეში ბევრს ერთი ნაბიჯილა აკლდება ხოლმე სიკეთის გზაზე, ამიტომ ქრება ქვეყნად ნათესაური სიყვარული, ახლობლების ურთიერთგაგებაც, თავის გამართლების ან ლოგიკურმა ცდამ სირცხვილი მოჰგვარა, და მან საკუთარ თავს ვერ აპატიო ეს უგულობა („ეშმაკმა იცის ჩემი თავი, უცხოელებს ზომ ვლებულობ და საათობით ვათვალთვლებინებ სურათებს, მომთმენიცა ვარ, თავაზიანიც, ათასნაირ სისულელეზე ვიძლევი ხოლმე პასუხს! მამაჩემისთვის კი დრო ვერ გამოვნახე!“). შეუწყნარებელი იყო, ფსკოვის ტბაზე რამდენიმე დღით მამასთან ჩასულს ბრაზს რომ ჰგვრიდა „სახელოვანი შვილის“ მუშაობისადმი მამის ხარბი ცნობისმოყვარეობა, მისი მორჩილი სიყვარული და ძლიერძლივობით შეკავებული ბელები. როცა იგი, შვილის ზურგს უკან მდგარი, თვალს ადევნებდა სურათის დაბადებას, ერთხელ, ასეთი ჩუმი ბელებივით, რომელიც ალბათ სულს უხუთავდა მამას („რატომ იკავებდა სუნთქვას, როცა ბელებზე მიყურებდა“?), პირმოლუშული ვასილიევი შემოტრიალდა და შეეფეთა მის ღიღილოსავით ცისფერ მინავლულ ბებრულ თვალებს, რომლებიც ეუბნებოდნენ: „მპატიე, მპატიე!“ მერე ხველა აუტყდა და ცრემლჩამდგარი თვალებით გაუღიმა, თითქოს ბრალი მიუძლოდა, რომ კიდევ ცოცხლობდა ამ ქვეყანაზე.

მოტყეების მთხოვნელი კაცის ეს მწარე ღიმილი სამუდამოდ დაამახსოვრდა ვასილიევს.

„ნუთუ ჩემდა უნებურად ყველაზე მშობლიურ ადამიანს ვერ დავუახლოვდი? მამაჩემი მალმერთებდა, მე კი საკუთარი თავით გართული ეგოისტის უხმო გაღიზიანებით ვუპასუხებდი!“

იმ უცნაურმა საღამოს ზარმა შორეული აღმოსავლეთიდან, სუსტმა, ჩიტივით მთრთოლვარე ხმამ ძველი დანაშაულის მოშხამული ისრით დაუკოდა გული, და, ეტყობა, მაშინ იგრძნო ავად ყოფნის პირველი ნიშნები



ტელეფონის ზარმა დაარღვია სახელოსნოს სიჩუმე. თუმცა ვასილიევი, რომელიც ოფლით დაცვარულ შუბლს იწმენდდა და მუცელში უღონობის კანკალს გრძნობდა, უწინდებურად იჯდა კედელთან ჩამწყვრივებული სურათების წინ. მაგრამ ის ახლა ვეღარ ხედავდა ბოლომდე გამოუჩეხებელ ამ მტანჯველ პეიზაჟებს და გაკვირვებული უგდებდა ყურს დაუმტკბრალ გულისტკივილს. მან იცოდა, რომ ეს ფიზიკური ტკივილი არ უფრო მეტისმეტად აშლოდა ნერვები, მას ახრჩობდა, თრგუნავდა ყრუ მსუცხამ, მსხატრალული ვიქტორიასადმი, მარიასადმი, განსვენებული მამისადმი, რადგან მან, ვასილიევმა, უღმობლად გასწირა ისინი. ვასილიევის გონება ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ თვითგვემაზე უნაყოფო არაფერია, რომ მისი გადაღლა და ახლახან დაწყებული ნერვული აშლილობა მრავალი წლის შეუსვენებელი მუშაობის შედეგია, მაგრამ შემპარავი, ვილაცის ხელშემწყობი ხმა შთააგონებდა: „შენ ნიჭიერი ხარ, იღბლიანი, მატერიალურად უზრუნველყოფილი, საყვარელ ქალზე დაქორწინებული, განა არ განგიცდია ბედნიერი კმაყოფილების მდგომარეობა? სხვა რაღა გინდა? ვერ წამიხვალ, ვერ წამიხვალ...“ და ეს დაჟინებული ხმა მასში რაღაცას ებრძოდა, განუშორებლად თან სდევდა ხოლმე, როცა თავის თავთან მარტოდ რჩებოდა.

„შეუძლებელია ჩემი ცხოვრება სხვების წინაშე დანაშაულის გარდა არაფერი იყოს! — წინ აღუდგა ამ ხმას ვასილიევი, რომელსაც სურდა ამ სულშემხუთველი სევდისაგან თავი დაეღწია, და კვლავ ვილაცის ხელშემწყობმა შემპარავმა ხმამ წყნარად უპასუხა: — რატომ არა, ჭუდბუდიანო?... ილია ტყვედ ჩავარდა, შენ კი დაბრუნდი. მაშას ის უყვარდა და ცოლად შენ გამოგყვა. ილია სერიოზულად არის ავად, შენ კი მხოლოდ ნერვებს უჩივი, მაგრამ ვერ წამიხვალ... ცხოვრება ვერ იტანს მარტოდენ წარმატებას. ყველაფერი უნდა ზღო... ძველ ვალს დაბრუნება უნდა. წონასწორობის მოვალეც, ცხოვრების უღმობელი სასწორის მსხვერპლო. რა სასაცილოდ ჟღერს სიტყვა „მსხვერპლი“. არა, ვერ წამიხვალ, ვერ წამიხვალ... ჭეშმარიტებისა და სიმართლის მოვალეც, ვისი ვალი უნდა გაისტუმრო? ო, როგორ მიწუხს გული, როგორ მიწუხს!..“

ტელეფონის ზარი წყდებოდა და მერე კვლავ იწყებდა წკრიალს ბორბტად და მომთხოვნელად. ვასილიევი, რომელსაც ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ილია რეკავდა, მასთან სალაპარაკოდ კი მზად არ იყო, რადგან ახსოვდა მისი ნათქვამი ვიქტორიას შესახებ, მაინც დასწვდა ყურმილს, და იმწამსვე სიხარულის უეცარმა ცრემლებმა ჩურჩულამდე დააწვევინა ხმა: „ჰო, საშა...“ რეკავდა მხატვარი ლოპატინი, მისი ერთადერთი ახლო მეგობარი, რომელიც კარგა ხანია არ ენახა: ალბათ მუშაობდა. დედაქალაქის მოუსვენარ ცხოვრებას გაურბოდა და საყვარელ თავშესაფარში — ვოლგისპირა სოფელში იმალებოდა.

— ელადიმირ მონომახს გაუმარჯოს! როგორა ხარ?

— საშა, ძვირფასო, ახლავე ჩამოდი, გთხოვ, ჩამოდი. — წარმოთქვა ვასილიევმა, რომელიც სულს ვერ ითქვამდა და თავს ძლივს იკავებდა. — შენ მე ძალიან მჭირდება, ძალიან!.. ახლავე ჩამოდი!

— აბა გამოიცანი, ეშმაკმა წაგიღოს, საიდან გირეკავ, რაფაელ? — აროხროხდა ლოპატინი, თან იცინოდა. — რესტორნიდან, რომელსაც „არაგვი“ ჰქვია. შევიარე, გესმის, მწვადების ამბავი მინდოდა გამეგო, მომეწყინა, გესმის, სოფელში. აქ კი რომელიღაც თეატრი ჭეიფობს თურმე. ქალები, გე-



სმის, მორთულ-მოკაზმულები. კაცებს შტიბლეტები აცვიათ, რალაცას ასველებენ, წოდებას თუ პრემიას. ძალი პატრონს ვერ ცნობს, მთელი რესტორანი ყირაზე გადადის, ოფიციატებს გული მისდით. ჯობს შენ მოხვიდე, ვალოდენკა, საუკუნეა არ მინახიხარ, ბიჭო! მწვადი მივირთვათ! თვალს წყალო დავალევივინო!

— შენ გარდა არავის ნახვა არ მინდა, საშა! — შეევედრა მანამდე, ვიდრე შენ გარდა არავის. — ჩამოდი რა, თუ ღმერთი გწამს, გელოდები, მაღალი გელოდები!..

ლოპატინის პასუხი სადღაც უფსკრულში ჩაიკარგა, საიდანაც ავტომატის ტაკატაკუცი და ხრიალი ისმოდა, ბოლოს კარგა ხნის შემდეგ შევებისმომგვრელ დაპირებასავით გამოაღწია ბგერათა ქაოსიდან:

— ...მოვალ, ვალოდია, დაახლოებით ოცდაათ წუთში მოვალ. ჩემი ტარანტასით ვარ.

„აი თურმე სად ყოფილა ხსნა!.. საშა ყოველთვის მშველის მძიმე წუთებში. — ფიქრობდა ვასილიევი, იმედით აღვსილი მიმოდიოდა სახელოსნოს ერთი კუთხიდან მეორეში და თითებს იმტვრევდა. — საკმარისია დავინახო ეს კაცი, მისი წვერი, მისი ნათელი ბრძნული თვალები, რომ გულს მომეშვას“.

როცა ორმოციოდე წუთის შემდეგ შემოაბიჯა ლოპატინმა გახრესილი ბეწვიანი ქურთუკითა და გაბანჯგვლული დიდი ქუდით, რომელიც თითქოს ციმბირიდან, ნიენაია ტუნგუსკიდან ჰქონდა ჩამოტანილი, როცა დაფანჩული, ჭალარაშერეული წარბების ქვემოდან ნაზად გამოხედა იასამნისფერი თვალებით და როხროხით უთხრა: „გამარჯობა, აკადემიკოსო, ყალმის ყაჩაღო, ეშმაკმა წაგილოს!“ — აღელვებული ვასილიევი მისკენ გაექანა, გახარებული მისი არაქალაქური შესახედაობით და ზავერდოვანი ბანით, ორჯერ აკოცა წვერზე, რომელსაც ვოლგისპირა კოცონების სუნი ასდიოდა, და გულაჩუყებულმა წარმოთქვა:

— გმადლობ, საშა, გმადლობ. ვერ წარმოიდგენ, როგორ გამახარე შენი მოსვლით!..

და თვითონვე გაიგონა, როგორ გაერია ხმაში უნებლიე, მამაკაცისათვის შეუფერებელი ცრემლი, რასაც სხვებმა თვალებზე ვერ იტანდა, და შეშინდა, თავი რომ ვერ შეიკავა.

— ფრიად სასიამოვნოა, რომ ვერნისაზე მოვხვდი. — თქვა ლოპატინმა. ქურთუკი გაიხადა და თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ვასილიევის ზედმეტი აღელვება ვერ შეემჩნიოს, წვერში თითები ჩარგო და სიამოვნებით დაუწყო თვალიერება კედელთან გამწვრივებულ პეიზაჟებს. — ყური მიგდე, ეშმაკმა წაგილოს!.. რა საოცარი აზრია ჩადებული ამ ნამუშევარში, ღია ფანჯარა ბაღს რომ გადაჰყურებს. ადრე, გესმის, არ მინახავს. რა საამური და ნაღვლიანია, ერუანტელი გივლის კაცს ტანში! როგორ ლივლივებს სინათლე, რა გაჩერებული ფერებია, მხეცი ხარ, მხეცი! ეს ხომ ბავშვობასთან გამოთხოვებაა ანდა საერთოდ გამოთხოვება ამქვეყნად ცხოვრების ბავშვურ ბედნიერებასთან, გესმის თუ არა! — ამბობდა ლოპატინი და ხან მიუახლოვდებოდა პეიზაჟს, ხან შორდებოდა, თან შეფიქრიანებული და გაოცებული ჩაისრუტუნებდა ხოლმე წვერში. — კარგია, ვალოდია, ამდენს რომ მუშაობ, ჩვენში უფრო მეტი ნიჭია, ვიდრე პატივმოყვარეობა, ეს უკანასკნელი კი ჩვენს ძმობას საკმარისად აქვს: კი არ იყოს, არამედ თავი მოაჩვენოს. საპნის ბუშტების გაშვება გვემარჯვება, გესმის? არა, მე დიდი ხანია ვამბობ, რომ შენი მხატვრობით



ახალი ერა იწყება. პეიზაჟში განსაკუთრებით, თანამედროვე ადამიანის შეხედულება გარემომცველ ბუნებაზე: დაიღუპება სილამაზე, გაქრება, და მასთან ერთად დაიღუპება ადამიანი და სიცოცხლე. არა გულაჩუყება, არამედ სევდა, წუხილი, მსგავსი საუკუნის სასოწარკვეთისა... შენ ხინაოლის, ჯადოქარი ხარ, ვალოდია. ამაში მდგომარეობს შენი ბედნიერება და უბედურება. უბედურება იმიტომ, რომ ბევრ მოშურნეს კბადებ. *უკრქუნუნუნუნ*

— შემაქე, შემაქე, საშა, ვიცი, რომ გიყვარვარ. — *შესხილივე* მა, რომელიც ისევ მიმოდრიდა სახელოსნოში და ნერვულად იმტვრევდა თითებს. — ერთი ამალელვებელი სურათის სიმკვეთრესა და სიღბოზეც თქვი რამე, ჰაერის თრთოლვაზე, აალებულ ფერებზე, ფილში ჩაბუდებულ სატანაზე, რაზედაც კოლიცინი ოსტატურად ყბედობს. რატომ ლაპარაკობ ამ გამოგონილ სისულელეებზე, ჩემო ბრძენო და ჭკვიანო საშა? შენი ადფრთოვანება მხოლოდ იმით შემოიძლია აფხსნა, რომ დიდი ხანია ერთმანეთი არ გვიანახავს. ყოველივე ეს არარაობაა! არა, გადამეტებულ თავმდაბლობად ნუ მიინახავს. ყოველივე ეს არარაობაა! არა, გადამეტებულ თავმდაბლობად არამზადებ! დიდი ხანია ვიცი, რომ ხელოვნებაში განზრახი თავმდაბლობა არამზადების დროშაა! მაგრამ... — ვასილიევმა პეიზაჟებისკენ გაიქნია თავი. — არარაობაა იმასთან შედარებით... რასაც ვგრძნობ, საუბედუროდ, ტილოზე მხოლოდ ერთი მესამედი შემოიძლია გადმოვცე... მაგრამ ეს არ არის მთავარი, ეს არ არის მთავარი! ჩემო საშა, მე მიხარია, მე მომეწყინა, საუკუნეა არ მოლაპარაკია შენთან! სად შევხვდით მე და შენ უკანასკნელად? მარსზე? ვენერაზე? აგერ დაჯექი, რომ დაგინახო, რას დალევ? აგრე გაუბედავად რატომ მიყურებ?

— ტარანტასით ვარ, გესმის თუ არა. — შეესიტყვა ლოპატინი და წვერის წიწკნით მოშორდა პეიზაჟებს. — ერთხელ, რომ იცოდე, ვილაც ინსპექტორი სოროტკინი უკვე შეეცადა ჩემთვის მართვის მოწმობის ჩამორთმევას. თან წინასწარ სიფათშიც შემასუნთქინა, მიუხედავად ჩემი ბანჯგელიანობისა, მეორედ გარისკვა საინტერესოც კია, მაგრამ კეთილგონივრულობის თვალსაზრისით არ ღირს. არც სოლიდურობის თვალსაზრისით, ა? მოიცა, ეს გატაცებაა? აზრზე არა ვარ, რა ხარახურა დაგივროვებია?

და ლოპატინმა განმკიცხავად გადახედა ვასილიევის მიერ პატარა კარადიდან გამოდგმულ ბოთლებს. ჩაცინებით შეათვალიერა საუცხოო ფერადიარლიყებზე გამოსახული მედლები, მცოდნე კაცის იქვნეულობით შეატრიალ-შემოატრიალა ბოთლები და ბოლოს დინჯად წარმოთქვა:

— ვისკი სადმე აფრიკაშია კარგი, ბაობაბის ჩრდილში, ჭინი ფერმერის ფაშვის გასათბობად, შემოდგომაზე ალბიონის ქარი ძვალ-რბილში რომ ატანს. ჩინზანო — თანამედროვე ჭინებთან სქელდუმიანების გატაცებაა, ბრწყინვალე უცხოურობაზე რომ ოცნებობენ. ერთიც, მეორეც და მესამეც ასატანია, როცა სადღაც მოფარებულში საღამოობით ოტელის რომელიმე მყუდრო ბარში ჰკლავ დროს. მაგრამ რუსეთში? რუსეთში არაყს არაფერი სჯობს. თუმცა იძულებული ვარ, ვალოდია, ვთქვა: დამიფაროს ღმერთმა, ინსპექტორი სოროტკინი ჩემი მფარველი ანგელოზი გამოდგა, ან იქნებ კაი ფეხზე ვიყავი ამდგარი. ვის გადავეყრები ამჯერად? ჩემი შემხვედრი გეგმა ასეთია: სტაროკალუჟსკით ქალაქგარეთ გავქანდეთ და სოფლების სილუეტებს შევავლოთ თვალი...

— არა, არა! არსად არ წავალთ, საშა! — შესძახა ვასილიევმა და შუაგულ სახელოსნოში შეჩერდა. თითქოს იმ აუცილებელსა და მნიშვნელოვან



არჩე ფიქრობდა, რაც ლოპატინისთვის უნდა ეთქვა. — უნდა მოგელაპარაკო, საშა. შენ ძალიან მჭირდება. დაე მანქანა იდგეს, ხვალ ჩაჯდები და წახვალ. სადაც გინდა და როცა გინდა წაგიყვან ტაქსით. დაჯექი, დაჯექი. — საგონებელში ჩავარდნილი ლოპატინი სავარძელში ჩასვა და ფანჯარასთან წაიწყო. — უნდა, შემოდგომის ლაქვარდ ცას გახედა სახურავებს ზემოთ. — რა სწორად ფიქრობდა ეს გაზაფხული. — თქვა მან ისე, რომ ლოპატინის სახეზე მომბრუნებულა. და ყოველგვარი თანამიმდევრობის გარეშე აკითხავს: — იყავი, საშა? შენს სოფელში? ხატავდი?

— ერთი კვირა აზოვზე გავატარე. არაფერი არ დამიხატავს. უკან სიცარიელეა, — მიუგო ლოპატინმა და ღია ფერის თვალები გამომცდელად მიაკურო ვასილიევს. — ავად ხომ არ ხარ. ვალოდია? რაღაც ფერმკრთალი სახე გაქვს. ეგებ გადაიღალე?

— მაპატიე ჩემი სულელური მასპინძლობისათვის! ამასაც მეგობრის პატივისცემა ჰქვია! ბოთლები გამოვართვი. რეგვენმა! რისთვის, საკითხავია? ვერნისაჟისთვის? მაშ არაყიო. თქვი? პო. არაყზე თანახმა ვარ. სწორედ არაყი. დანარჩენი დილეტანტის უბადრუკო ვიტრინაა არაყი. არაყი! ეს რა სირჩებია — ბელურების დასაწყენარებელი ხომ არა?

ვასილიევი აფუსფუსდა. მეტისმეტად ჩქარი ნაბიჯებით მიუახლოვდა მაგიდას. ზეზეურად შეავსო არაყით სირჩები. ცოტა დაეღვარა კიდეც. აჩქარებით მიუჭახუნა ლოპატინს. უცებ გადაკრა. როგორც სვამენ ამ რიტუალში კარგად გათვითცნობიერებული ადამიანები. და, უელჩამწვარმა, ძლივსძლივობით ამოთქვა:

— რაო. აზოვზე იყავი? რა გინდოდა იქ?

საშინლად გამოვლანძლე ადგილობრივი ხელმძღვანელობა. და არც ერთი პეიზაჟი არ ჩამომიტანია. ჩავედი თუ არა ზღვაზე. საზარელი რამ მიამბეს... — თქვა ლოპატინმა და აუჩქარებლად გამოწრუპა სირჩიდან არაყი. — შარშან კოლოები დახოცეს ქიმიური საწამლავეთ დონისპირა ლიაში. და მთელი ეს სიბინძურე. გესმის, იმ სულელებს რომ უნდა გადაასხა თავზე. მდინარემ აზოვის ზღვაში ჩაიტანა. წარმოიდგინე დილის ზღვა. სულ მთლად გადათვრებული. თითქოს უზარმაზარ ტივებს დაუფარავთო — ათასობით გულღმა ამოტრიალებული მკვდარი კობრი. გაუგონარი იდიოტიზმი. გესმის, პირველი თანრიგის სისულელე. მსოფლიო სირეგვენე და სხვა არაფერი! ფრჩხილები აქვთ გასაწმენდი და ხელს იჭრიან. ჩვენ შემდეგ ქვა ქვაზე ნუ დარჩენილანო. თავი არ უნდათ შეიწუხონ. რა იქნება ხვალ. სამაგიეროდ კოლოები აღარ არიან. მაგრამ კოლოები რომ აღარ არიან, ჩიტებიც გაწყვეა. ჩიტები რომ გაწყვეა. აღარც ბალ-ბოსტნებში დარჩა რამე, მუხლუნობმა გადაჭამა ყველაფერი. სამაგიეროდ კოლოები აღარ იკბინებიან. როგორია. ა? გადასარჩევია! სოკრატები! მოაზროვნეები! ვაი მაგათ პატრონს!..

— რა სამწუხაროა. საშა! რა სამწუხაროა... თქვა ვასილიევმა, კვლავ დაძაბული მიმოდიოდა სახელოსნოში, რადგან არაყმა ვერა და ვერ დაამშვიდა. — რჩევა მინდა გკითხო. ძლივს ამოთქვა მან მგონი, ავად ვხდები. საშა, ნამდვილად რაღაც დამემართა... არ ვიცი, რა, მაგრამ ადგილს ვერ ვპოულობ, ჩემო საშა. რომ იცოდე, როგორ მიძძიმს ამ დღეებში. აი აქ მტკივა. — ვასილიევი ოდნავ მოიღუშა. ჩაისუნთქა და გულზე ხელი დაიდო. — კბილის ტკივილივითაა. ზოგჯერ პავშვივით მინდა ვიტყვო. მაგრამ ვერ ვახერხებ. არ



შემიძლია. რომ იცოდეს, ძვირფასო მეგობარო, რა სევდა მაწევს გულზე, რა უსაშველო სევდა. არ ვიცი. რა ვქნა...

— რა არის ბოლოს და ბოლოს? — შეშფოთდა ლოპატინი, დაფანჩული წარბები ასწია და ვასილიევს შეხედა. — რა მიზეზია? ჯან-ღონით სავსე კაცი, ყოველ დილას პანტელეებით ვარჯიშობს, ბუნების წიაღში ლაღად სუნთქავს, აბუზლუნდა იგი და სავარძელში მძიმედ ჩაეშვა. — ფერების ოსტატი ხარ. კოლორიტის ჯადოქარი ხარ, თუ შეიძლება ასე ითქვას. ყოველ წამს შენს ნიჭს უნდა უმადლოდე, შენ კი... სირცხვილი და თავის მოჭრა. ეშმაკმა წაიღოს შენი თავი! ვის ემსახურება ხელოვნება — ღმერთს თუ ეშმაკს?

— დიახ, დიახ!.. ვის ემსახურება ხელოვნება, ვის? — გაიმეორა ვასილიევმა და, თითქოს სიცივემ აიტანაო, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო. — შენ გგონია, რომ ახლა ვინმეს ძალიან უნდა ხელოვნება? ასე თუ ხუთასი ათას აზრებულში ერთს? არა, ეს სულ ერთია. ხელოვნება უძლურია, ვერავისზე ზემოქმედებას ვერ მოახდენს, ვერაფერს შეცვლის, ვერაფერს გამოასწორებს... ამჩნევ თუ არა, რომ ადამიანი უფრო უარესი, უფრო ავი, უფრო უღმობელია, ვიდრე ოცდაათი წლის წინათ იყო, რომ ჩვენ რაღაც მნიშვნელოვანი დაგვარგეთ?.. რისი ღირსი არიან ადამიანები — სიძულვილის, მკურნალობის, სასჯელის? ვინ არიან ადამიანები? ქმნილების გვირგვინი, სამყაროს მეუფენი თუ კიბოს უჯრედები დედამიწის სხეულზე? არ ვიცი. რა ვქნა, როგორ ვიცხოვრო შემდგომ, საშა, გესმის, როგორ ვიცხოვრო... ან ჰქონდა კი აზრი ჩემს ადრინდელ ცხოვრებას? არა, ეს არ მიწოდდა მეტქვა. ყველაფერმა შეიძინა აზრი, რაც უაზროა. არის წუთები, საშა, როცა მთელი კაცობრიობა მძულს და მაშინვე ვგრძნობ დანაშაულს... თითქოს ყველაფერში მე მიმიძოდეს ბრალი. არ ვიცი, რა მემართება, მეგობარო...

ლოპატინს ერთი ნაკვეთიც არ შერხევია ქარდაკრულ უხეშ სახეზე, ძლიერი თითებით წვერი მოიფხანა და ხმადაბლა ჰკითხა:

— რა ამბავი გადაგხდა თავს, ვალოდია?

მხოლოდ შენ თუ გაამბობ, საშა, მხოლოდ შენ... მხოლოდ შენ.

ვასილიევი კვლავ მიმოდრიდა სახელოსნოში კედელზე აყუდებული პეიზაჟების ჩვარჩამოფარებული მოლბერტის გასწვრივ. ზოგჯერ უეცრად ჩერდებოდა ლოპატინის პირისპირ, წარბშეჭმუხნილი რომ უსმენდა, ზოგჯერ ფანჯარასთან შედგებოდა, თითქოს შავი არ ჰყოფნისო. ყველაფერი უამბო, ქალიშვილის საზარელი საიდუმლოებაც, ორი წლის შემდეგ რომ გახდა ცნობილი, მარიას მუდმივი შიშიც მის ყოველ ნაბიჯზე, ვიქტორიას გამგზავრების თავზარდამცეში გადაწყვეტილებაც. ყველაფერი უაზრო თუ უგვანო ხელახლა განიცადა ვასილიევმა. ისევე როგორც ქალაქგარეთ სააგარაკო დაბის ახლოს მდებარე ქალა, ჭუჭყიანი ნამჯით აყროლებული მიგდებული ფარდული, ხოლო როცა თბრობა დაასრულა და მაგიდასთან მივიდა, გაოფლილი, აღგზნებული, ლოპატინმა მტკიცედ უთხრა:

— მთელი ჩვენი მრისხანება არაფრად ღირს! ყველაფერს მოველოდი, ოღონდ ამას არა. ოჰ, არამზადა ველოსიპედისტები! მაგისტანები მოედანზე უნდა ჩამოახრჩოს კაცმა! კარგი, მოდი ახლა სხვა რამე გავარკვიოთ. საიდან გაუჩნდა ეს იდიოტური იდეა იტალიაში გამგზავრებისა? შენმა ყოფილმა მეგობარმა ჩააგონა? ის პატიუებს იტალიაში? არ უთქვამს, საიდან დაებადა ეს გენიალური აზრი?



— არა მგონია, რომ იდეა მან მოახვია თავს. საქმე ისაა, რომ ვიქტორია თვითონ მივიდა მასთან სასტუმროში, თვითონ უნდოდა შეხვედრა.

— თვითონ?

— ვიკა არაფერს არ მალავს.

— მაშ ერთილა გვჩვენა. — მტკიცედ თქვა ლოპატინმა, — უპიროვნულს ყოვლისა ავუხსნათ შენს რუს იტალიელს, რომანტიკული სისუფილეს და ამოიგდოს და ვიქტორიაც დაარწმუნოს, რომ გამგზავრების ამყამად შეუძლებელია. მით უმეტეს არავითარ საზღვარგარეთ გამგზავრებას სიკეთე არ მოაქვს და არც უბედურებისგან დახსნა შეუძლია. თუმცა მე ვიცი ვიქტორიას ხასიათი, მისი დარწმუნება იოლი არაა... მაგრამ საიდან გაჩნდა ის კაცი? მიწიდან ამოძვრა? რაღაც ფანტასტიკაა! რამდენ ხანს დარჩება ეგ შენი საექვო ნაცნობი მოსკოვში?

— მე მგონი, ხვალ მიემგზავრება. ჰო, ხვალ.

— მაშ თუგინდ ახლავე წავიდეთ მასთან. რომელ სასტუმროშია?

— ახლავე? მასთან?

— სულელურ შეკითხვებს ნუ იძლევი, ვალოდია. სწორედ ახლა. რატომაც არ უნდა წავიდეთ, გეკითხები? — ლოპატინმა სირჩა გასწია, წამოდგა, ქურთუკი ჩაიცვა და ამით დაანახვა, რომ წასასვლელად მზად იყო. — ამ საქმის გადადება შეუძლებელია. მით უმეტეს, რომ ძალიან მინდა ვნახო ეს ლეგენდარული პიროვნება. შენი სიყრმის მეგობარი. დაურეკე ერთი!

ლოპატინის დაუცბრომელმა ენერგიამ, რომელიც ვასილიევისთვის ცნობილი იყო დაუყოვნებელი მოქმედებით, მყის აიყოლია ვლადიმირი და გონივრული გამოსავლის იმედიც კი ჩაუნერგა, ხოლო როცა სასტუმროს ნომერი აკრიფა, ისე რომ სულაც არ იყო დარწმუნებული, ილია შემხვედბაო, როცა გაიგონა უცხო ხმა, რომელმაც თანაბრად და ამღერებულად წარმოთქვა გერმანულად: „Ja-ja-ja“! — შეფიქრიანებულმა, ხელმეორედ მოითხოვა ტელეფონთან ილია რამზინი, იმავე ხმამ, რომელმაც გერმანულად უპასუხა, სწრაფი ბგერითი ნაბტომი გააკეთა და მოკლე ჟღერიალა სიცილით რუსულად წარმოთქვა:

— ეს... შენა ხარ, ვლადიმირ? უცებ ვერა, მაგრამ მაინც გიცანი ხმაზე. გელოდები. სხვათა შორის, სტუმრები მყავს. არ გეტყვი, ვინ. მოხვალ — გაიგებ. ადიუ.

სანამ ვასილიევი ტელეფონით ლაპარაკობდა, უკვე ჩაცმულმა ლოპატინმა ციმბირული ბანჯგვლიანი ქუდი დაიხურა და ახლა განაწყენებული ხვნეშოდა. მან უკმაყოფილოდ გამოაღო პატარა კარადა და შიგ ხელი მოაფათურა, მაგრამ რასაც ეძებდა, ვერ იპოვა, და ხმამაღლა შეიკურთხა:

— ჯ-ჯანდაბას! ვალიდოლი, ვალიდოლი სად არის? მე ხომ სირჩა არაყი დავლიე, სუფთა ჰაერზე, როგორც კასრს, ისე ამივა სუნნი. საი-ს ქურუმებს კარგი უნოსვა აქვთ, მგზავრობა კი ჩემი ტარანტასით მოგვიხდება — სხვაგვარად უაზრობაა. ცოტა ვალიდოლი მომეცი. შესანიშნავად აქარწყლებს სუნს....

— საშა, ტაქსით ხომ არ აჯობებს? — ურჩია საგონებელში ჩავარდნილმა ვასილიევმა. — რა უდროო დროს ჰყავს სტუმრები. რომ იცოდე, როგორ არ მინდა ვინმეს ნახვა. აგერ, ვალიდოლი, საშა.



— შენ კი ტარტაროზივით მიაშტერდი ყველას, აგრე უფრო თავისუფლად იქნები, — უთხრა ლოპატინმა და პირში ვალიდოლის აბი ჩაიღო. — მხატვრების პატივმოყვარეობას ხომ საზღვარი არა აქვს, ეს ქათამბაც კი იცის. მაგრამ შენ, მგონი ყელამდე მაძლარი ხარ და თაყვანისცემისგან შეგიძლია თავი გაითავისუფლო.

— ჩემ დღეში არავისთვის მიცია თაყვანი, საშა: უკრძნუნელი

— ნუ აჭარბებ, ბერიკაცო, ნუ აჭარბებ. ყველას არაფერს უნდა გეგონებოდა ჩვენი ხერხემალი მოქნილობა. წავედით, ვალოდია, ღმერთმა ხელი მოგვიმართოს, როგორც ჩვენი სოფლელი წინაპრები ამბობდნენ.

## თავი მეთვრამეტე

სასტუმროს ძალიან ვრცელ, ამ დროისათვის წყნარსა და უკაცრიელ ვესტიბიულში, სადაც ლავანდისა და სხვისი ჩემოდნების სინთეტიკური ტყავის სუნი ტრიალებდა, სქელკისერა კარისკაცმა პატივისცემის ნიშნად გამოსწია მსუქანი ნიკაპი ახოვანი ლოპატინის შთამბეჭდავი წვერის შესახვედრად (ბატონკაცურად რომ შევიდა გაღებულ კარებში), მაგრამ შემდეგ იჭვნეული მზერა შეავლო ვასილიევს და პირფერულად წარმოთქვა დაზეპირებული ფრაზა:

— თქვენ ჩვენთან? თქვენი ბარათი...

— მე? მე მეკითხებით? — მიუგო ვასილიევმა, რომელიც ამ დაბრკოლებას არ მოელოდა, და უცებ აენტო, რაც წინათ იშვიათად ემართებოდა. — მე ბატონ რამზინთან ვარ. კაცმა რომ თქვას, რა გნებავთ ჩემგან?

— ჩემთან არის, — ხავერდოვანი ბანით უთხრა ლოპატინმა და თვალები გადაუბრიალა, თან გატაცებით აუხსნა კარისკაცს: — უფრო სწორად, მე ვარ მასთან, ჩვენო მრისხანე და ფხიზელო ამხანაგო. რადგან თქვენ წინაშეა ფერწერის აკადემიკოსი, ცნობილი მხატვარი ვასილიევი, მე კი ხელოვნების ერთი მოკრძალებული მოღვაწე ვარ. რა გნებავთ დავუმატო კიდევ? პაჩპორტი? პირადობის მოწმობა? სიამოვნებით...

ამ დროს ვესტიბიულის სიღრმიდან უხმაუროდ მოუახლოვდა ლამაზი ქაბუკი, რომელსაც თმა სადად ჰქონდა გადავარცხნილი და გვერდზე გაყოფილი, და თავაზიანი ღიმილით შეეკითხა, ვისი ნახვა გსურთო, გვარი რომ გაიგო, დაბლს იქით გავიდა, სადაც რამდენიმე ჩემოდნიანი იდგა (იქ მწვანე ფურცლების დასტას არჩევდა ახალგაზრდა ქერათმიანი კოხტად ჩაცმული სალუქი პორტიე), საკმაოდ სწრაფად გადახედა მაგიდაზე მდებარე რომელიღაც სიას და იმავე ხელოვნური თავაზიანობით შეიპატიჟა:

— მობრძანდით, ორას თხუთმეტი ნომერი, ბატონ რამზენს აქვს დაკავებული.

— რა თქვით — ბატონ რამზენს? — ვერ მიხვდა ვასილიევი, იფიქრა, ალბათ სწორად ვერ გავიგეო, თუმცა თმაგალაქული ქაბუკი საკმაოდ მკაფიოდ გამოთქვამდა სიტყვებს. — რამზენი კი არა, ალბათ რამზინი.

— მე ვთქვი: ბატონი რამზენი, — მიუგო ქაბუკმა და უწყინრად გაუსწორა თვალი ვასილიევს. მობრძანდით... ლიფტითაც შეგიძლიათ და კიბითაც.

— საინტერესოა, — წაიდუდუნა ვასილიევმა.

ისინი კიბეს აჰყვნენ.

— რამზინი კი არა, რამზენი ყოფილა, — თქვა ლოპატინმა და სული მო-



ითქვა, როცა მეორე სართულზე ავიდნენ. პატარა მაგიდასთან მჯდარი მორიგე ქალის მცირე გამოკითხვის შემდეგ ყოლოსფერ ფარდას გაჰყვნენ და სპილენძის საბელურიან მასიურ კარს მიაღწენ. — თურმე უმნიშვნელო განსხვავებაა: მხოლოდ ერთ ასოში. რამზინი, რამზენი. „ინ“ — „ენ“ — დასავლურ/ვა-  
იდაზე გადაკეთებული დეტალი. — გესლიანად შენიშნა ლოპატინმა და კარზე დააკაკუნა.

შემთხვევით გაგებულმა ამ ამბავმა — ბავშვობიდან ნაცნობი მეგობარი — თი ასოთი შეცვლამ — გამაღიზიანებლად იმოქმედა ვასილიევზე. თითქოს ილია ამით მალავდა რაღაც სასირცხოს, რომელიც წარსულთან იყო დაკავშირებული, რადგანაც ამქვეყნად აირჩია ახალი ნიშანი, რამაც შესძინა სხვა პრისი. უსიამოდ რომ განაშორა მისგან. მაგრამ კიდევ უფრო უსიამოდ შეიქნა ვასილიევი, როცა ისინი შევიდნენ დიდი სარკეებით, მძიმე ფარდებით, ძველი საუცხოო ავეჯით გაწყობილ ვრცელ ნომერში, და პირველი, რაც თვალში მოხვდა, იყო გაშლილი სუფრა, ყინულებით ავსებულ ვერცხლისფერ უსკურებში ამოჩრილი შამპანურის ბოთლები, და — ლოპატინისკენ მიპყრობილი ვიქტორიას დიდრონი მუქი ნაცრისფერი თვალები, რომლებსაც ღიმი მოსდგომოდათ, მაგრამ გაღიმება არ შეეძლოთ, და მის გვერდით ედუარდ არკადიევიჩ შჩეგლოვი, ხალისიანი, როგორც ყოველთვის; თხელი თმა ყურიდან ყურამდე გულმოდგინედ გადაევარცხნა მელოტზე, სათვალის შუშები გესლიან ნაპერწკლებს აფრქვევდნენ, თუმცა შავი პიჯაკი და მოკლე შავი ჰალსტუხი. თოვლივით ქათქათა პერანგზე რომ ეკეთა, იმ ოფიციალური სტუმრის იერს აძლევდნენ, რომელიც საელჩოში გამართული კოქტეილიდან დაბრუნებულა; ილია განსაკუთრებით გახალისებული იყო (თითქოს ეს-ეს არის გრილი აბაზანი მიიღო). ეცვა ნაცრისფერი კოსტიუმი, ცისფერი პერანგი, რომელიც აახალგაზრდავებდა. მხოლოდ გაფითრებული სახე და ამოღამებული თვალები ამჟღავნებდნენ, რომ ფიზიკურად მთლად ჯანმრთელი ვერ იყო. მან უღონოდ მოუჭირა ხელზე ხელი ვასილიევს, წარბები ასწია, ფრთხილად შეხედა ლოპატინს და ამით გამოხატა, რომ არ იცნობდა, არ შეხვედროდა ან არ ახსოვდა, ოდესმე თუ შეხვედროდნენ ერთმანეთს.

— ალექსანდრ გეორგიევიჩ ლოპატინი, მხატვარი. გრაფიკოსი, ჩემი მეგობარი. — წარუდგინა ვასილიევმა ილიას გაკვირვებული მზერის პასუხად. — თქვენ ერთმანეთს არ იცნობთ, შეგიძლიათ მეხსიერება არ დაძაბოთ. ვსწავლობდით სხვადასხვა სკოლაში და ერთად არ გვიოძია. ყური მიგდე, ალბათ ვერც გიპოვიდით, — ნახევრად სერიოზულად წარმოთქვა ვასილიევმა. — მაგრამ ვესტიბიულში ყური მოვკარი, რომ სასტუმროში ცხოვრობს ბატონი რამზენი. თითქმის თანამოგვარე არის-მეთქი, გავიფიქრე. თურმე სასიამოვნოდ შევეცდი, რადგან რამზინი და რამზენი ერთი და იგივე პირი ყოფილა.

ილიას გაეცინა.

— დამავიწყდა შენთვის მეთქვა, რომ ცხოვრებაში სამი გვარი მქონდა: რამზინი, ზაიგელი და ბოლოს რამზენი. ზაიგელი ჩემი განსვენებული მეუღლის გვარია, რამზენი მე გამოვიგონე. ასე უფრო გაურკვეველად ედერს გვარი, ვინემ „ინ“ დაბოლოებით, რომელიც ჩემს რუსულ წარმოშობაზე მიუთითებს. დასავლეთში უფრო მშვიდად ცხოვრობ, როცა არაფრით გამოირჩევი, ასეთ კონსპირაციას ჯეიმს ბონდთან არავითარი კავშირი არა აქვს.

და მან სტუმართმოყვარეობის გულთბილი გრძნობით მიიპატიჟა ისინი სუფრასთან, თავისუფლად მიუსვა სუფთა თეფშებს ვიქტორიასა და შჩეგლოვს



შორის, შამპანური დაუსხა ყველას, რითაც მეტისმეტად გაუსხა ხაზი მამაკაცურ გულითადობას. მერე მასპინძელით დაჯდა სუფრის თავში მდგარ სწორსაზურგიან სავარძელში, ჭიქა შეივსო და ავადმყოფურად ანთებული თვალები მოაეღო სტუმრებს.

— დღეს უკანასკნელი დღეა რუსეთში. ამიტომ დავარღვიე დღეცა და მკაცრი რეჟიმი, — წარმოთქვა ილიამ, რომელსაც მთრთოლვარე გამხდარი თითებით ეკავა ჭიქა. — თუმცა ამაზე როდი მოგახსენებთ, მაგრამ თქვენთვის ვართ და ჩვენ შორის მშვენიერი სქესის წარმომადგენელია, ჩემი ძველი ნაცნობების ქალიშვილი („უცნაურია, რომ მარია აქ არ არის“, — გაიფიქრა ვასილიევმა ილიას ავადმყოფურად ანთებული თვალების დანახვისას), — მომხიბლავი ჭკვიანი ქალიშვილი, რომელიც წმინდაწყლის... აღმასივით ამშვენებს ჩვენს საზოგადოებას, მისი გამარჯვებისა იყოს, მისი სილამაზის გაფურჩქვნისა! არ ვიცი, გადაარჩენს თუ არა სილამაზე სამყაროს, მაგრამ სამყარო სილამაზისა და ახალგაზრდობის გარეშე საზარელი იქნებოდა!

მას არ უჭირდა სიტყვების შერჩევა, მაგრამ რაღაც არაბუნებრივი, ნაძალადევი იყო მისი ფრაზები, რაღაც განზრახული გამოსტყვიოდა მის ხმაში კიდევ იმით, რომ ილია ფხიზელი არ იყო, ხოლო ვიქტორია ნაძალადევი ღიმილით შესცქეროდა მამამისს და ევედრებოდა არ გაჯავრებულიყო, ეპატიებინა მისთვის ეს წინასწარ განუსაზღვრელი შეხვედრა, და სხივამდგარი თვალების მზერა გადაჰქონდა ლოპატინზე, მისალმებისას ცხირსა და წარბებს ჰკმუხნიდა და უსიტყვოდ ესაუბრებოდა. ლოპატინიც ეშმაკურად უკრავდა თვალს, მიმანიშნებლად ჩაიჭირჭილებდა ხოლმე წვერში. დროდადრო ცერად გახედავდა ილიას და ცნობისმოყვარედ ათვალიერებდა. შამპანური რომ დალიეს და ილიამ ბელახლა შეუვსო სტუმრებს ჭიქები, ედუარდ არკადიევიჩმა სათვალეს შუშებიდან ბალისიანად გადმოაფრქვია სუფრას ნემსთა კონები, მერე მკვირცხლად წამოდგა და ილიას პასუხად ჩვეული ანცი, ნახევრად გესლიანი ირონიით წარმოთქვა:

— ჩემი საყვარელი დისწულის მისამართით წარმოთქმული თქვენი სადღეგრძელო მეტისმეტად ლირიკულია და სულაც ვერ სწვდება ღვთაებრივ ჭეშმარიტებას, რომელსაც, მომიტევოს ღრმად პატივცემულმა ჩვენმა მასპინძელმა, ორი მხარე აქვს! ჯერ ერთი, ჩვენ ყველანი შვილები ვართ და ჩვენი მამების ცოდვებს ვატარებთ. მეორე, ვინ არიან მამები და ვინ შვილები? ო, სად არის ის გრანდიოზული ურთიერთგაგება და არა ბიოლოგიური ტრაგედია! მაგრამ... ყველაზე დიდი სიმამაცე ჩვენს დროში საკუთარი ჭკუით ცხოვრებაა. ჩემო ოქრო, ნურასოდეს ჰკითხავ რჩევას ბებერ ხრონცებს — დაე გაიმარჯვოს ახალგაზრდობის არაკეთილგონივრულმა, მაგრამ კანონზომიერმა ჭეშმარიტებამ! მაგალითად, რა უნდა გასწავლო მე, ჩემო ოქრო? უხამსი მიზანსცენები? ბანალური ქესტები? მოძველებული სიტყვები? ლაჩრული აკრძალვანი? რახან კვირაში ექვსი საქმიდღეა, მაშასადამე, ახალგაზრდობა ისე უნდა მიიღო, როგორც მეშვიდე დღე. — კვირა, რამეთუ იგი სწრაფად თავდება. არის ერთი რამ — თავად ცხოვრება, ცხოვრებით ტკბობა, ტკბობა, და გონივრული ეგოიზმი, შვილო, როგორც მეთოდი ამ ცხოვრებისა! თუ შეიძლება, მიიღე სიყვარულის წყალობით ჩვენთვის ბოძებული ეს ცხოვრება, როგორც კარნავალი!..

„ჩვეულებრივ, განუჩხრეკლად მისი მიღება შეუძლებელია... მაგრამ იგი თითქოს რაღაცაში არწმუნებს ვიკას“. — სიბრაღეულობით და მტრულად გაიფი-



ქრა ვასილიევმა და მოუნდა ხმამაღლა ეთქვა: „მე მგონი, თქვენ სისულელით უტენით თავს ვიქტორიას“, — მაგრამ ამ დროს ლოპატინმა დაასწრო და დუდლუნითა და როხროხით შეუტია შჩეგლოვს:

— ედუარდ არკადიევიჩ, მივესალმები თქვენს თეატრალურ სადღეგრძელოს, მაგრამ ვერ მოგიწონებთ! ნება მომეცით გკითხოთ, რისთვის გადმოგვაფრქვიეთ ანტიკური სიბრძნისმოყვარეობით ესოდენ სურნელგაზაფხულები? თქვენ შეიცანით აზრი ცხოვრებისა, გესმით? ეს აზრი ალბათ პედონიზმში მდგომარეობს, ჰო-ჰო! მაშ მიიღეთ მოწყალება — გვიჩვენეთ, გვასწავლეთ, როგორ დავტკბეთ ცხოვრებით როგორც მარადიული კვირადღითა და კარნავალით, შეგირდად ამიყვანეთ, მოძღვარო! შეცოდებათაგან მიხსენით უგუნური! მაგრამ როდისღა დავთესოთ პური, თუკი კარნავალზე გაუთავებლად ვიტლინკავებთ?

— აჰ, ალექსანდრ გეორგიევიჩ, როგორც იქნა, გავიგონე თქვენი როხროხა ხმა, ძვირფასი ხმა ჩემი მუდმივი ოპონენტისა! — შესძახა შჩეგლოვმა და სათვალის შუშებიდან მკვირცხლად გატყორცნა ჩლიქწვეტა ნაპერწკალ-ჭინკების ლაშქარი ლოპატინის აბურძგნილი წვერისაკენ. — მაგრამ თქვენ უნდა შეგემჩნიათ, ძვირფასო ალექსანდრ გეორგიევიჩ, რომ მე არაფერს კატეგორიულად არ ვამკვიდრებ. რამეთუ მთელ ჩემს ახალგაზრდობაში დანგრევისა და დამკვიდრების მეტი არაფერი გამიკეთებია. უფრო მეტიც, სიბრძნეს ისეთივე უპირატესობა აქვს სისულელის წინაშე, რაც სისულელეს სიბრძნის წინაშე. და მე, უგანსაცვიფრებელესი ვირი მეოცე საუკუნისა, გეკითხებით: ვისთანაა ჯვარდაწერილი სიმართლე? ვისი მეუღლეა იგი? მხოლოდ ერთი ვინმე უყვარს მას? მიპასუხეთ, თუ ღმერთი გწამთ, და მე ზიზღით გავსრეს ბილწ აზრს ცხოვრებისადმი სიყვარულის თუ სხვა სისაძაგლეთა შესახებ, რომელიც არ ეკადრება ჩვენს მოწინავე თანამედროვე ადამიანს, და ვეტყვი ჩემს თავს: „ბებერო ვირო, ცუდად გაქვს მოწყობილი ზემო სართული!“

ედუარდ არკადიევიჩმა მოუსყიდავი მოსამართლის ინკვიზიტორული ექსტით გამოსახა თავს ზემოთ ქაოტური ზიგზაგები, რომლებიც იმას ნიშნავდა, თუ რა ცუდად ჰქონდა მოწყობილი ზემო სართული, და ვასილიევმა დაინახა ვიქტორიას თვალები: ისინი ეთანხმებოდნენ, ფართოვდებოდნენ და სიცილით ივსებოდნენ, რის გამოც ისევე უგუნებოდ შეიქნა, როგორც ილიას ფერმიზილი, პედანტურად გაპარსული, ოფლით დაცვარული პირისახის ცქერისას.

— ყოჩაღ, შესანიშნავი ტექსტია. — თქვა ლოპატინმა, — ტაშს ვუკრავ. მაგრამ აქვს კი აზრი ჩვენი პაექრობის ახლავე დაწყებას. ედუარდ არკადიევიჩ?

— მიუხედავად ამისა, დაფინებულ ცნობისმოყვარეობაზე ნუ გამიჯავრდებით და, მაინც ვისთან არის ჯვარდაწერილი სიმართლე, ალექსანდრ გეორგიევიჩ? — გაიმეორა ედუარდ არკადიევიჩმა და ისევ გამოტყორცნა სათვალის შუშებიდან იქედნური ჭინკების ლაშქარი, რომლებიც მოელვარე ჩლიქებით გაეშურნენ ლოპატინისკენ. — ძალიან მინდა გავიგონო, ვისთან დადის ჩვენი უსაყვარლესი, ზელკავგაყრილი?

— ცოტას გაიგონებთ, თანაც არასანუგეშოს, — ქსუტუნით მიუგო ლოპატინმა. — ჯერ ერთი, სიმართლეს ეკრძალება ცოლად გაჰყვეს ძლიერთა ამა სოფლისათა, თქვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, ედუარდ არკადიევიჩ, ესე იგი, ანგარებით გათხოვდეს, მეორე, და მთავარი: იართოს როგორც დამოუკიდებელმა და ამაყმა რუსმა ქალიშვილმა, რომელიც სხვა სამყაროს პანელაზე კი არ



უნდა იყიდონ ერთი ღამისათვის, უცხო სამოსში გამოწყობილი უცხო ღამაზმანივით, არამედ სიყვარულით და ჭკუით მოინადირონ. ვიქტორიას და უცხოელ სტუმარს ეთხოვ მომიტევონ...

ილია დუმდა და, აღელვებული, მოჭუტული თვალებით შეჰყურებდა ლოპატინს.

ედუარდ არკადიევიჩს აღტაცებისაგან სახე გაუბრწყინდა, მანამდე შეახო ერთმანეთს ხელისგულები და ამით გამოხატა, რომ ტაშს უკრავდა.

— გრანდიოზულია! ე-ეს, ალექსანდრ გეორგიევიჩ, გრანდიოზულია! მე კლასიკური სიცხადის მომხრე ვარ. მაგრამ მაქვს თუ არა უფლება თაყვანი ვცე თქვენს სულიერ სისპეტაკეს და არ ვენდო იმას, რაც საეჭვოა? ალექსანდრ გეორგიევიჩ! ცხადია, რაც უფრო იდეალურები ვართ, მით უფრო ვდუმვართ, ეს კი მომაცდინებელ ცოდვაზე უარესია. თქვენ ნასესხები სიმართლის წინააღმდეგი ხართ. მაგრამ... მიხსენით ეშმასეული ხრიკებისაგან, ჩემო კარგო! საკითხავია: ხომ არ არის შეუღლებული სიმართლე სიცრუესთან? ესაა პიკანტური, იცით, ანომალური ჭორწინება. რასაც სამწყურბაროდ, ბევრი ჩვენგანი შეეჩვიას...

— ეს რა ლაქლაქია! შეიკურთხა ლოპატინმა. — მეტიმეტად უცნაური რაღაც წამოიწყეთ, ედუარდ არკადიევიჩ!

— თქვენი გაკვირვება მაოცებს, ჩემო ძვირფასო ალექსანდრ გეორგიევიჩ! თ, განსაკუთრებული მორალის ძალით ყოველ წამს და ყოველ წუთს პრინციპული დუმილით ვჩრით ერთუბრთს სიმართლეს ფართო გახელილ ნათელ თვალებში. ჩვენ არასოდეს ვკადრულობთ სიცრუეს, ისეთ უზნეობას, რომ არამზადას, თაღლითსა და რეგვენს, სავარძელში მოკალათებულთ, ხმამაღლა შევახსენოთ, ვინ რა არის. თ, ასეთი გამობდომები უზრდელობის ნიშანია და სულაც არ ნიშნავს სიმამაცეს. მაშ რა არის ეს — სიცრუე? თუ საშინელი სიმართლე? ჩვენ საკუთარ თავს ვიცავთ ყოველ წუთს და არა სიმართლეს, ალექსანდრ გეორგიევიჩ.

სიმართლე ყოველთვის საშინელია, — ენის ბორძიკით წარმოთქვა ილიამ, უკანასკნელი სიტყვა შამპანურის ყლუპით ჩააბზო და ცალყბად გაუღიმა შჩეგლოვს, რომელმაც გულისყურით შეხედა. — სიმართლე, ისევე როგორც მეხსიერება, სასჯელად ეძლევა ადამიანს. ცუდს ვიგონებთ — ვიტანჯებით, კარგს ვიგონებთ და დაუბრუნებლობის ნაღველი გვკლავს, ზოგჯერ თავში მომსვლია ხოლმე, რომ სიცრუე სიმართლეა და სიმართლე კი სიცრუე... რომ სიმართლე იმისთვის გვჭირდება, რათა სიცრუე დაემალეთ. ედუარდ არკადიევიჩ. — თქვა მან და ისევ ხარბად მოჭაჩა სიგარეტი, როგორც შამპანურს სვამდა, ხმაურით გამოუშვა კვამლი, ნამწვევებით სავსე საფერფლე მოიახლოვა და სავარძლის საიდაყვეზე დადგა.

აშკარა იყო, რომ მან დაარღვია თავისი რეჟიმი, რომელსაც, ეტყობა, დიდხანს და მტკიცედ იცავდა, და აშკარად ჩანდა, რომ თვრებოდა, — სახე სულ უფრო უფითრდებოდა და უმკაცრდებოდა, და მის ჩაცმებაში ბუნდოვან მო-



გონებასავით გამოკრთოდა რაღაც ძველი, ომისდროინდელი, მწარე, იმხანად ილიას რომ ახასიათებდა, და გასილიერეს უნდოდა დაეჭირა ეს გამოხედვა, გაეგო და გაეხსენებინა, რასთან იყო ხოლმე ეს დაკავშირებული, უნდოდა მტკიცედ გადაეწყვიტა, რით დაეწყო მასთან საუბარი ვიქტორიაზე, მის უზუნთ, მოუფიქრებელ სურვილზე, მაგრამ მას ხელს უშლიდა ედუარდ არკადიევიჩი, ილიას შენიშვნით აპილპილებული, დაუღალავად რომ ეძებდა მისი ნიშნებს ისროდა ცხარე წიწაკით დატენილ ფორმულებს:

— ფუი, ეს რა საშინელება თქვით, ილია პეტროვიჩ! თქვენ, როგორც მივხვდი, მხედველობაში გქონდათ ის... ლობისგადაღმა სიცრუე და სიმართლე! გარწმუნებთ, რომ ჩვენი მორალი — ლახვარს სცემს იმ სიცრუეს, რომელიც მხოლოდ ლობის გადაღმაა გაფურჩქვნილი! სხვისი სიმართლე სარეველა მცენარეა! გოჭის ღინღლია! ბილიარდის პარადოქსი! შეუდარებელ რძეში ამოვლებული ჩექმები!

— თქვენ ჩემს ბოსტანში ისვრით კენკებს? — დაინტერესდა ლოპატინი. — მიდით, მიდით!

— თქვენსაშიც და ჩვენსაშიც, ალექსანდრ გეორგიევიჩ, საერთო ბოსტანში.

შჩეგლოვი დაჯდა, სათვალე მოიძრო, უწამწამო ქუთუთოები აახამხამა და მოპყვა კვნესა-კრუსუნით სიცილს. ჯერ კიდევ მაგარ ბებრულ კისერზე მჭიდროდ მოკერილი საყელოს შუაგულში ოდნავ უთრთოდა შავი ბაფთა (ასე იცინოდა ხოლმე, უფრო სწორედ — სიცილი არ შეეძლო). ცხვირსახოცის ყურით ფაქიზად გაწმინდა სათვალე, ისევ ელვის სისწრაფით გაცხარდა და არცთუ უგესლო აღმაფრენით განაგრძო:

— მაშ კაცობრიობის მსოფლიო ისტორია რაღაა? ადამისა და ევას სამოთხეში ცხოვრების აღწერა? ვაი რომ — არა! ესაა სისხლი, ოფლი, უბედურებანი, დანაშაულობანი, გაუთავებელი კოშმარი! რა დავარქვათ — სიმართლის ძიება? უეჭველად და უთუოდ! იესო ქრისტე მხოლოდ და მხოლოდ ჯვარცმული მქადაგებელი იყო, მაგრამ... ბოლოს ღვთის ძე გახდა, რადგან მისი ტანჯვა-წამებით ადამიანებს უნდოდათ სიმართლე დაემკვიდრებინათ, სიყვარული შეეცნოთ, დაამკვიდრეს? ჯვაროსნული ლაშქრობებით? ინკვიზიციით? სად არის, სად არის ედემის ნეტარება? ჰა, არა, ევროპის მთელი წარსული ისტორია სიგიჟის ისტორიაა! მთელი ახლანდელი სამანქანო ცივილიზაცია — ესაა უზნეო მეცნიერება, წყალბადის ბომბების, მკვლელობათა და ნაციონალიზმის ისტორია. ქეშმარიტებისათვის შესწორებას შევიტან! ადამიანის ისტორია სიმართლის ბიოგრაფია უნდა იყოს და არა სიუჟეტი ლამაზი და ადვილად მისაწვდომი ქალისა. რომელიც სიყვარულის ფულით ხან ერთი კაბით იმოსება და ხან მეორით! ამ საკითხში გეთანხმებით, ალექსანდრ გეორგიევიჩ! მხოლოდ ამ საკითხში, ჩემო მეგობარო! — მან ფაქიზად ჩამოიღო ცხვირზე სათვალე, შთამბეჭდავად მიაპყრო წამოზრდილი გამომცდელი მზერა ლოპატინს და მეორედ ჩაიხიბხითა: — დედა-სიმართლე არათუ შეიძლება სიცრუესთან შეაუღლონ.



არამედ შეიძლება აწაპნონ. ესე იგი, მოიპარონ, ნარცხი გადასხან და კინწისკერიტაც გააგდონ. რა შეიძლება უწოდოთ ამას? მანკიერი შეუღლება ამაყ ქალწულთან?

— წარმომიდგენია, რა შეიძლება დავარქვათ თქვენეულ სიმართლის ტრაქტატს, ედუარდ არკადიევიჩ! — უწყინარი წინდახედულების კილოთი წარმოთქვა ლოპატინმა. ნება მიბოძეთ მოულოდნელად გაწყენინოთ? არტანთ?

— შესანიშნავად! კი მაგრამ, რისთვის? აბა ჰე, აბა <sup>ერისკენ</sup> ~~აბა~~ გინდათ მაწყენინოთ, როცა სიმინდის საყოველთაო გაშენებისა არაფერი გამეგება? რა გინდათ დაარქვათ?

— შემოდგომის ფოთლის სევდიანი ფილოსოფია, უღიმღამობა, ტირილი, კვნესა, გოდება და წუწუნი. პესიმიზმზე ადვილი არაფერია.

— მე ოპტიმისტი ვარ, ძვირფასო ჩემო. მე ხომ ყოველივე ადამიანური მიყვარს. პესიმიზმი — ეს ფორთხვაა, მე კი ბავშვობიდან ხესავით სიმალღეში ზრდაზე ვოცნებობდი და მეხისა არ მეშინოდა.

— რა დროს მეხია, როცა შემოდგომის ქარი ფოთლებს გლეჯს და ოთხ საათზე ბინდდება. ნოემბრის ჩანაწერები.

— დიას, დიას, ეს ნალვლიანი სანახავია.

ედუარდ არკადიევიჩს, რომელმაც სიტყვის ფასი იცოდა, წყენა არ გამოუხატავს. მოჭარბებული სიმხნევით აფუსფუსდა მთელი თავისი ენერგიული სხეულით და ოპონენტის პოლემიკურ ფორმულას მიესალმა.

— შემოდგომის ფოთლის ჩანაწერები! შესანიშნავია! ეს რაღაა, რაღა, ალექსანდრ გეორგიევიჩ, აქვეს იესი ხანშიშესულობა გაქვთ მხედველობაში? თუ შხამს მირევთ თასში, რომელიც თქვენსას უნდა მოვუჭახუნო?

— სულაც არა. რა ეშმაკად მინდა! — ცოტა არ იყოს უკმეხად უპასუხა ლოპატინმა. მინდა ვთქვა, რომ შემოდგომის ფოთლის სიმწარისა და თქვენი ძალიან მხიარული აკომპანემენტის გამო მუცლის გვრემა მემართება. მინდა მთვარეს შევყმუვლო და ქარი უკან ჩამოვიტოვო. ყურები გამოგვიტედეო მსოფლიოს კატეგორიებით და სამყაროს მასშტაბებით. ერთი მითხარით, ედუარდ არკადიევიჩ, მეოცე საუკუნის ოქროპირო სოკრატე, მითხარით, თქვენ თვითონ როგორ ამკვიდრებთ ცხოვრებაში დედა-სიმართლეს ჩვენს უღიმღამო ლეს დროებაში? მშობლიური არყის ხეების საყვარელ მხარეში?.. თითი მაინც თუ დაგიდიათ თითზე?

— ჯერ ერთი, ძვირფასო ალექსანდრ გეორგიევიჩ, მე ჯიბის მაქსიმალისტი არ გახლავართ, — ედუარდ არკადიევიჩი წამოხტა, ფეხი ფეხს შემოჰკრა და გესლიანი თავაზიანობით დაუკრა თავი ლოპატინს. — მეორე, ნუთუ ვერ ხედავთ, რომ დედა-სიმართლე ისეთი თავქარიანი ხდება, მეტი აღარ შეიძლება! — გაცხარებით განაგრძო მან. — არ დაფიქრებულხართ, რომ იგი, ეს ტანჯული ქალწული, ტელევიზორით იაფფასიან დეტექტივებსა და უხამსობებში გადავიდა. ფეხბურთში, პრილა ავეჯში, საიუველირო მაღაზიებში გადაბარგდა საბრალო ობოლი. მას, მშობელ დედას, მოხვეჭის ინსტინქტი თავგზას უბნევს და ლაფში სვრის, როგორც ციმბირელები იტყვიან. მიბრძანდით, ძვირფასო ალექსანდრ გეორგიევიჩ, სულით და გულით გთხოვთ, საიუველირო მაღაზიასთან



გამართულ რიგში და აბსოლუტური სერიოზულობით წარმოთქვით დაახლოებით ასეთი დიოგენესებური სიტყვა: „დებო და ძმებო, პატივცემულო მოქალაქენო, ნუთუ თქვენი ცხოვრების აზრი ამ ყვითელ ლითონში მდგომარეობს! ის არც ერთ თქვენგანს არ გახდის უფრო ლამაზს, უფრო ბედნიერს, არც უკმაყოფილებას მოუტანს. სილამაზე თქვენთვის მონიჭებული ცხოვრებაა. ისაა, რომ სუნთქავთ, ხედავთ მზეს, მუშაობთ, დედამიწის ზურგზე დადგებით, თქვენ-თქვენ სახლებში, იფიქრეთ, რომ თქვენ მაგ რიგში დასაბუთებელი ბაღებულხართ. თქრო არც პურია და არც წყალი. რას მოგცემთ თქვენ ზედმეტი ბეჭედი ან მედალიონი?“ როგორ რეაქციას გამოიწვევთ, თუ იცით, ძვირფასო ალექსანდრ გეორგიევიჩ? პირველი: თუ თქვენ წესიერად გაცვიათ, თანაც მანქნებზე აი ასეთი ბურჟუაზიული სამკაულები გიკეთიათ, ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში რომ ვიყიდე, — შჩეგლოვმა არტისტულად გააქნ-გამოაქნია მანქნები და სიცილით შეატრიალ-შემოატრიალა ხელები საკინძეების სადემონსტრაციოდ, — მაშინ უეჭველად დაგიღრიალებენ: „უყურეთ ამ გონჯს, შლაპა რომ დაუხურავს, თვითონ ჩემოდნები თქროთი აქვს ავსებული, ჩვენთვის კი, ისე გამოდის, არ შეიძლება!“ ხოლო თუ დაკმუჭნილი პალტო გაცვიათ, ასეთნაირად გამოგეხმიანებიან: „ეტყობა, საგიჟეთიდან გამოიქცა! დაიჭი! მილიცია! სად არის მილიცია? ყველას დაკბენს ეგ ოხერი! სადაც ჯერ არს, იქ უნდა მიაბრძანოს კაცმა!“ სხვები თქვენს შლაპას ყურადღებას არ მიაქცევენ. თვალეზდაქვეტილები შემოგიტევენ და მძლავრი მკერდით მოგაწეებიან: „აბა, მოუსვი აქედან, თორემ... წესრიგს რად არღვევ? ურიგოდ ძვრები, შე ასეთ-ისეთო!“ ასეთ სცენას, რომელიც პიესისათვის არ არის აღწერილი, რამდენიმე წლის წინ ძნელად წარმოიდგენდა კაცი. რალაც მოხდა, ჩვენგან და თქვენგან დამოუკიდებლად. მოხმარების მსოფლიო მიკრობი გრიპით გადმოგვედო. მაგრამ იქ, სერგადალმა, ცდუნების, რეკლამის, მოყირკების გამო ბოლოს და ბოლოს, კი ბატონო, ჩვენში კი რამ გამოიწვია ეს? უკმარისობამ? ხოლო როცა ნივთებზე ნადირობა იწყება, ბევრის თავში იქმნება სულიერი სიცარიელე, და ორი ქალბატონი — ჭეშმარიტება და ზნეობა — აქ იშვიათი სტუმრები არიან, — შჩეგლოვმა კეფაზე დაიკაკუნა თითები. — რის მაქნისი არიან ისინი? გარდერობში ვერ დაკიდებ! ის არ ჯობია, რომ სერვანტებში ბროლის ვაზები და სერვიზები ჰქონდეთ — ცრემლის მორევამდე პრესტიჟულია! ახლა ქოლგები, ლაბადები, წინდები და ქალები — ჰა? გულის ამაჩუყებელია! ვის ვებრძოლოთ, ჩემო ალექსანდრ გეორგიევიჩ? საკუთარ თავს? გონების თვალთ შევცქერი საკუთარ თავს: სულ ნივთებში ვარ ჩაფლული, მხოლოდ წინდები და ზოგი რამ მაცვია სამამულო წარმოებისა. ვებრძოლოთ მიკრობებს, რომელთა საწინააღმდეგო ვაქცინა არ არსებობს? ეს სულიერი ტრაგედიის დასაწყისია, ჩემო ძვირფასო ალექსანდრ გეორგიევიჩ! ექვი არ მეპარება, რომ თქვენ მკვერმეტყველურად შეეცდებით დაიცვათ მუნდირის ღირსება. მაგრამ ამ ჭეშმარიტებას არ გააჩნია გარკვეული საცხოვრებელი ადგილი! იგი არსად არ არის გაწერილი! მას პასპორტი არა აქვს! — წვრილ, დამცინავ ხმას აუწია ედუარდ არკადიევიჩმა, მიუკერძოებელი მორჩილებით, მოკრძალებით თავდახრილი, წამოზიდული თვალებით მიაჩერდა სუფრის ბოლოს მჯდარ მღუმარე ილიას და ცოტა არ იყოს მზიარული სიმკაცრით განაგრძო: — მე ოდნავადაც არ ვეჭვობ, რომ ჭკუაზე შემცდარმა კაცობრიობამ არსებობის უმაღლესი აზრი დაკარგა და გზა დაებნა... ანდა ნახევრად დაებნა გზა ავადმყოფ და ზედმეტად



დასახლებულ ქალაქთა ლაბირინთებში!.. და მე არ მჯერა, რომ ხვალ მას იპოვიან და გადაარჩენენ. ვინ იპოვის? ვინ იხსნის? სხვა სამყაროები? მფრინავი თევზების ბინადარნი? უცხოპლანეტელები? ჰოო, ალბათ ისინი იმაზე მეტ ყურადღებას არ გვაქცევენ, ვიდრე ჩვენ — კიანკველებს. იპოვის და გადაიარჩენს თუ არა თავს კაცობრიობა? მას სახელი აქვს გატეხილი... ის უნდა განიწმინდოს, ალექსანდრ გეორგიევიჩ. მაგრამ როგორ?

— ყბედობაა! მხატვრული სტვენა! პაერის ბგერითა და მოქმედებით ალმფოთებით დაიქუხა ლოპატინმა და მუშტიც კი დაპკრა მაგიდის კიდეზე, ისე რომ, აზრთა სხვადასხვაობის გამო გაცხარებულს, სულაც არ მორიდებია ილიასი, რომელიც წამდაუწყუმ ისხამდა კიქაში შამპანურს და, როგორღაც გულდაბურული, მცირე ყლუპებით სვამდა, თან სულ უფრო ფითრდებოდა; ოფლის წვეთები პატარ-პატარა კუნძულებად ასხდებოდა საფეთქლებზე. — „ცხოვრების აზრი“, „კაცობრიობა“, „უცხოპლანეტელები“, „სიმართლე“. ეშმაკიც ვერ გიგებს, რისთვის დაახვავეთ ამდენი მაღალფარდოვანი სიტყვა, ედუარდ არკადიევიჩ, და რისთვის მოადუღეთ ქვაბებში ასეთი ცინიკური ფაფა! თქვენ ახლა თავით ფეხამდე მოშრამეთ მთელი კაცობრიობა, ნივთების ბრმა სიყვარულში დასდეთ ბრალი ადამის მთელ მოდგმას და მასხრად აიგდეთ იგი, სიმართლე ცრუპენტელასა და არამზადას შერთეთ ცოლად და გავერანებული ნანგრევები დატოვეთ მხოლოდ! სოდომ-ჰომორი. უნაყოფო უდაბნო დარჩა თქვენ შემდეგ, გადაბუგული მიწა! რა გინდათ, ბოლოს და ბოლოს — ყოვლისგამწმენდი მსოფლიო წარღვნა... და მონანიება? არ გებრალებათ ადამის მოდგმა? თქვენ თვითონ რალას იზამთ? თქვენ რა, ადამის მოდგმას არ ეკუთვნით? რა ხართ თქვენ — თბა, ბალახი? ბუჭყა?

— ბეკეკა მინდა ვიყო და მწვანე ბალახში დავკუნტრუშობდე, — თქვა ედუარდ არკადიევიჩმა და ნალვლიანი მორჩილებით გაშალა ხელები. — უზომოდ ბედნიერი ვიქნებოდი.

ის, რასაც ჩვეულებისამებრ იოლად აცხადებდა ახლა შჩეგლოვი, და ისიც, რაც ლოპატინს არ მოსწონდა, ამ წუთას ვასილიევს შეურაცხყოფდა არა მათი განსხვავებული პოზიციების არსით, არამედ იმით, რომ ამჩნევდა, როგორ ებინდებოდა ვიქტორიას თვალები, და მას ძალიან უნდოდა გაეგო, რა ხდებოდა ქალიშვილის ამ ლამაზ ქერათმიან თავში, ასე ხარბად რომ იწოვდა ედუარდ არკადიევიჩის სიტყვების მწკლარტე შხამს, კაცისა, რომელიც თან იცინოდა და თან თითქოს ტკბებოდა რწმენის დაკარგვით გამოწვეული დამამცირებელი სიმწარით.

„ჩემთვის ნათელია, რომ ედუარდ არკადიევიჩი ილიას აწონებს თავს, მაგრამ მას შთააგონებს ლოპატინთან კამათი და ვიქტორიას ყურადღება. — გაიფიქრა ვასილიევმა. — თორემ საიდან უნდა ჰქონდეს ამდენი სარკაზმი და ირონია? მასში მერყეობის რალაც ნარკოტიკული ძალაა ჩაბუდებული. რა ცუდად მოქმედებს იგი ვიქტორიაზე და რა ცუდი სანახავია ყოველივე ეს!..“

— ვინ არის შესაბრალისი, ალექსანდრ გეორგიევიჩ? მითხარით, გეთაყვა? — ზიზლიანი გამოწვევით ჰკითხა უეცრად ვიქტორიამ. — მატყუარა? მძარცველი? სულელი? მაშინ ხომ უარესი მატყუარები, მძარცველები და სულელები გახდებიან?

— ერთი რამ უნდა გირჩიოთ, ვიკა! რაც შეეხება სულებს, — შეეცადა მის სიტყვებს გათამაშებოდა შეშფოთებული ლოპატინი, — სულელმედები უნ-



და გახდე, ან ალბათ რიცხობრივი უპირატესობის გამო ანგარიში უნდა გაუწიო, ვიკა. ალბათ უნდა გჯეროდეს...

— გჯეროდეს, შესანიშნავია! გჯეროდესო, თქვენ თქვით, მაგრამ რას ნიშნავს ეს? შიში უნდა გქონდეს თუ რწმენა? — იმწამსვე შეაწყვეტინა შჩეგლოვმა და ეშმაკისეული ნაპერწკლები აენტო თვალებში. — რწმენა? განცდილი ქეშმარიტება თუ ქეშმარიტებისადმი ემოციური დამოკიდებულება? რომელ რჯულზე გინდათ მოაქციოთ ვიკა?

— კმარა, ბიძაჩემო, მკაცრად უთხრა ვიქტორიამ და ყელი ოდნავ დაქაბა. — ეს ძალიან მოდური გახდა, ყველაფრის ხუმრობაში გატარება. თქვენც აგრე იქცევით, ალექსანდრ გეორგიევიჩ, თუმცა სულ არ გიხდებათ, რა საჭიროა სიტყვები, ცხოვრების ყველა შემთხვევისათვის ერთი და იგივე სიტყვები? ვის სჭირდება თქვენი ვრცელი მონოლოგები? — ზიზღით შეიკმუხნა ვიკა. — ვის მიანიჭებს ბედნიერებას? რა საშინელებაა, ყველანი ლაპარაკობენ, მოუწოდებენ, იფიცებიან, ერთმანეთს ასწავლიან, სინამდვილეში კი სულ სხვა რამ ხდება. პირდაპირ საშინელებაა!..

— არა მგონია, ვიკა, არა მგონია, რომ სავსებით მართალი იყოთ, — უხერხულად წაიდუღუნა ლოპატინმა და წვერში თითები ჩარგო. — თქვენ ტყუილუბრალოდ...

— ვიკა, ოქრო, დაგვინდე, ჩვენო ახალგაზრდა ქალბატონო! — დამწუხრებით წარმოთქვა ედუარდ არკადიევიჩმა და ხელები ალაპყრო, თითქოს საშველად თვით ცას უხმობსო. — მინდა გასწავლო, როგორ იყო ბედნიერი, ჩემო მშვენიერო! მაგრამ რა ექნა? ბედნიერება ხომ მარტოოდენ ის არის, რაც ჩვენ წარმოგვიდგენია. მირაჟი, გაზაფხულის ზმანებათა სიამეში ცხოვრების ოცნება. ვის შეიძლება ვასწავლოთ ბედნიერება? მე მხოლოდ ავი სიმხიარულე შემიძლია ვასწავლო კაცს, მაგრამ ეს საშენო საქმე არ არის. როგორც მომავალმა მსახიობმა, დამიჯერე. — მარტოოდენ ხელოვნებას აქვს ფასი ცხოვრებაში, მაგრამ ვერც ის გასწავლის ბედნიერებას, ის მხოლოდ ართობს ადამიანს სასიამოვნო ზღაპრებით: იყავი პატიოსანი, გამბედავი, სათნო...

— ღმერთო, რა დათაფლული სიტყვებია! — არაბუნებრივი სიხარულით წამოიძახა ვიქტორიამ. — ეშმაკსაც წაუღია თქვენი ხელოვნება, ბიძაჩემო! აბა რა მსახიობი დადგება ჩემგან, როცა არავის წინაშე არ მინდა ვითვალთმაქცო! ილია პეტროვიჩ, თქვით რამე, გეთაყვა... თქვენ რალაცნაირად დუმხართ, მე კი მინდა მიპასუხოთ! რას ფიქრობთ თქვენ? — სხვაგვარი ტონით მიმართა მან ილიას, ეს უკანასკნელი კი, ოფლით შუბლდაცვარული, სიგარეტს ეწეოდა და ფიქრებში წასული მიშტერებოდა ვიქტორიას, მერე ხრინწიანად, ცალყბა ღიმილით წარმოთქვა:

— მე ტიპიური არა ვარ, ვიქტორია, თქვენს კამათში.

— მაინც რას ფიქრობთ თქვენ?

— მე?... როგორც კი ადამიანმა თავის სულში ჩაიხედა, მან ჯოჯოხეთი შეიკნო, ყოველ შემთხვევაში, მე ეს ომის შემდეგ, სამოც წელს დამეწყო.

— თქვენ დიდი ხანია, მე კი... — ღიმილით დაიწყო და აღარ დაამთავრა ვიქტორიამ, და ქუფრმა ჩრდილმა გადაურბინა შემკრთალ გრძელ წამწამებქვეშ.

„რა აერთიანებთ ილიას და ჩემს ქალიშვილს, რა აქვთ საერთო, რა აახლოებთ?“ — გაიფიქრა ვასილიევმა და თითქმის სასოწარკვეთილმა იგრძნო, რომ ვიქტორია ზიზღნარევი გააფრთხილებით არიდებდა ყურს ყველას, ილიას გარ-







ლებული გახდა ჯვარი ეტვირთა? მაშ მისთვის მხოლოდ ილია არსებობდა? ალ-  
ბათ ასეა!”

— როგორ ჰგავს მარიას, — ხმამაღლა გაიმეორა ილიამ.

იგი ბოთლებით გავსებული სუფრის მეორე მხარეს იდგა, მარჯვენა ხელ-  
ში შამპანურით სავსე ჭიქა ეჭირა. მარცხენაში — მოკიდებული სიგარეტი.  
საფეთქლებთან ოფლით დაცვარული საბე მკვდარსავით გაფითრებოდა. დაფი-  
ქრებული, თითქოს ნარკომანის გაფართოებული თვალებით მიშტეტებოდა. ვი-  
ქტორიას. უკვე მთვრალი იყო, მაგრამ ისევ უზომოდ სვამდა შამპანურს, თა-  
ვდაც ისხამდა და სტუმრებსაც უსხამდა, ასევე უზომოდ, ზედიზედ ეწეოდა  
სიგარეტს და ეს სიხარბე კამა-სმისა თუ თამბაქოს წვევისა განსაკუთრებული  
მკაცრი რეჟიმის შემდეგ, როცა ღვინოსა და სუსტ კოქტეილზეც კი თავს იკა-  
ვებდა ვენეციასა და აქ, მოსკოვში, ეს გამანადგურებელი ულმოობლობა აშინებ-  
და ვასილიევს, თითქოს ილია საკუთარ თავში კლავდა იმ სტოიკურსა და რა-  
ციონალურს, გუშინ რომ ასე უფროთხილდებოდა და ნაწილ-ნაწილ ხარჯავდა.  
ეგებ ილია სულ სხვა შეხვედრას ელოდა დედასთან, ვისაც შვილის ჩამოსვლამ  
გული ვერ გაუღბო, დრომ წყენა ვერ გაუწელა, და ახლა, იმედგადაწურული,  
თავის მიაშიტ და აუმხდარ სურვილზე იძიებდა შურს.

— სახის ოვალი, გამოხედვა, ხმა — როგორ გამეორდა ეს ყველაფერი შენს  
ქალიშვილში, ვლადიმირ, — განაგრძობდა ილია, თან ოდნავ ირწეოდა და უსი-  
ცოცხლოდ ილიმებოდა. — ჩემი შვილი რუდოლფი კი სულ არ მგავს, უფრო  
სწორად, რუსისა არაფერი სცხია. პედანტური, ყაირათიანი გერმანელია.

Sovetunion<sup>1</sup>-თან ვაჭრობას აპირებს, მაგრამ რუსული ენა კარგად ვერ შეის-  
წავლა. არავითარი სისხლის ყივილი! რუსეთი აინტერესებს როგორც კარგი მო-  
ვაჭრე პარტნიორი, ამერიკა — როგორც იდეალი, ნიმუში. რუდოლფ... რუდოლფ  
რამზენი, ხომ ზედავ, ვლადიმირ, მეცა მყავს შვილი. თუმცა... რა აზრი აქვს?  
წელიწადში ერთხელ ვხვდებით ერთმანეთს, შობას. ის გულგრილია ჩემდამი.  
როგორც ზედავ, ამქვეყნად ჩემი სისხლის კვალი არ მრჩება.

— მამა, დღეს როგორღაც დავიღალე. ჩემი წასვლის დროა. გამოგემშვი-  
დობებით. ილია პეტროვიჩ, — უთხრა ვიქტორიამ, თმა გაისწორა. თავი გიდანა-  
რა. სკამიდან ჩანთა აიღო. — ხვალ რომელ საათზეა თვითმფრინავი?

— გაცილება არ მინდა, დაკრძალვას მაგონებს, — ცივად უთხრა ილიამ.  
და შავი, მოგონებებში ჩაძირული, მაგრამ მაინც ცივი თვალები მიაპყრო ვი-  
ქტორიას. — შეგიძლიათ ერთი თხოვნა შემისრულოთ, ვიქტორია?

— რა თქმა უნდა, თუკი შეგიძლებ, ილია პეტროვიჩ.

ჭიქიდან შამპანური გამოწრუპა, ხარბად, სულის შეგუბებამდე მოქაჩა სი-  
გარეტი, ნელა, ფიქრიანად, ოდნავ ბარბაცით გავიდა მეორე ოთახში და ერთი  
წუთის შემდეგ დაბრუნდა.

— ეს პატარა სუვენირი გადაეცით დედათქვენს, რომელიც, სამწუხაროდ,  
თავს ცუდად გრძნობს, როგორც გავიგე. და დღეს აქ ვერ მოვიდა, — მეტის-  
მეტი თავდაჭერით თქვა ილიამ და ვიქტორიას გადასცა წითელი პრიალა  
მოგრძო კოლოფი, — საჩუქარი იტალიაში კი არ არის ნაყიდი, არამედ „ბერი-  
ოზკაში“, აი იმ... კუთუზოვის პროსპექტზე. ვიმედოვნებ, რომ ჩემ მიერ შერჩე-  
ული საყურე მოეწონება დედათქვენს. ეს კი თქვენ, ვიქტორია, იმ მცირე იმე-  
დით, რომ ეს მოკრძალებული პრეზენტი თქვენც მოგეწონებათ, — დასძინა

<sup>1</sup> საბჭოთა კავშირთან (გერმ.).



ილიამ და თავი დაბარა თავაზიანი თხოვნის ნიშნად, რომ უარი არ ეთქვა, ისეთივე პრიალა კოლოფი ვიქტორიას მისგან მიეღო.

— რა არის აქ, ილია პეტროვიჩ? — სწრაფად ჰკითხა ვიქტორიამ.

— კულონი, ალბათ არ გამიწყრებით.

წამოწითლებულმა ვიქტორიამ წამით შეავლო თვალი მამას და ილიას, კოლოფი გახსნა და იმწამსვე ამოიღო კულონის წვრილი ძეწკვი, მარჯვენა ხელის წინ გულზე მიიღო, მაგრამ განსაკუთრებული სიხარულის გარეშე ვიქტორიამ ვერ შეძლო დაელოკა.

— ძალიან ნაზია, გმადლობთ, შენ რას იტყვი, მამო?

— მე არ მიყვარს საჩუქრები, ვიკა, — საჭიროდ ჩათვალა ამის თქმა ვასილიევმა და წყენით უთხრა ილიას: — მე მგონი, შენ საკმაოდ გონიერი კაცი ხარ და მიხვდები, რომ ძვირფასი საჩუქრები ორაზროვანია, რაში გჭირდება ეგ ყესტი, ილია?

— მართალი გითხრა, არ დავფიქრებულვარ.

— ვლადიმირ ალექსეევიჩ, მომიტევეთ! — ყოყმანით თქვა და საყვედურით ჩაიქირჭილა ედუარდ არკადიევიჩმა. — თქვენ მეტსმეტად ფრთხილი და ეჭვიანი კაცი ხართ! სულ ტყუილუბრალოდ! ჩვენ თვითონ ვიქმნით უხერხულობას...

— ეშმაკსაც წაუღია! რა „ტყუილუბრალოდ“? — დაიბუხუნა ლოპატინმა, რომელიც უეცრად გაცხარდა. — რის საფუძველზე უნდა გადავუშალოთ ერთმანეთს საუკეთესო ტონის ციტატების ლაქლაქია! ედუარდ არკადიევიჩ, აბა წარმოიდგინეთ, რომ რომელიმე საელჩოში ხართ მიღებაზე და შეუფერებელ და უხერხულ ადგილას აგაწყდათ ღილი სადღეგრძელოს წარმოთქმისას!

— თავს ნებას მივცემ გკითხოთ, რა შუაშია საელჩო და რაღა მაინცდამაინც ასეთ ოფიციალურ ვითარებაში მიიღო მონაწილეობა ღილმა?

— წყეული ღილი თქვენი სადღეგრძელოს ყველაზე პათეტიკურ მომენტში აგაწყდათ და ანანასების თეფშზე დაეარდა.

— რა საშინელებაა! — თქვა შჩეგლოვმა, თავში ხელი იტაცა და სახე შეეშალა. — თქვენმა წარმოდგენამ, ალექსანდრ გეორგიევიჩ, ბრეიგელისეული ამაღელვებელი სურათი დაგვიხატა. მაგრამ მე და თქვენ სტუმრად ვართ და, მაშასადამე, გვმართებს...

— ამწუთას არავისი არაფერი არ მმართებს, თუმცა წინათ კი მმართებდა! — მოუკრიდებლად დაიბუხუნა რაღაცით განრისხებულმა ლოპატინმა. — მმართებს მხოლოდ ერთი გოროზი ქალბატონისა, რომლის წინაშეც აქამდე დიდხანს კოპწიაობდით და მეტისმეტადაც კოპწიაობდით. ამ ქალბატონის სახელიც სიმართლე, როგორც კეთილი ინებეთ და სწორად გამოიცანით, ედუარდ არკადიევიჩ! ამიტომ მე მას უნდა დავუბრუნო ერთ-ერთი ვალი — ვინ ვისი სტუმარია? ჩვენ ვართ ბატონ რამზენის სტუმრები თუ ბატონი რამზენი ბრძანდება ჩვენი სტუმარი?

მაშინ შჩეგლოვი გამოეპასუხა გესლიანი თავაზიანობით:

— თქვენ საზღვარს გადააბიჯეთ, პატივცემულო ალექსანდრ გეორგიევიჩ, და, ასე ვთქვათ, კარის შემომტვრევა ინებეთ...

მაშინ ლოპატინმა გადამლობი მძვინვარე თავაზიანობით დამარცვლა:

— მე მზადა ვარ მაღალი საზოგადოების ტონის დამრღვევად გამოვაცხადო თავი და ბატონ რამზენს ვკითხო, ვინ არის სტუმარი — ის თუ ჩვენ?

ოფელში გაწურული, სულ მთლად გაფითრებული ილია კრინტს არ ძრავდა, ფერფლისფერ ტუჩებზე დასთამაშებდა ღიმი, რომელშიც არც წინააღმდეგობა



იგრძნობოდა, არც თავდაცვის სურვილი. არც შელახული თავმოყვარეობა. სახე გარინდებოდა, მაგრამ ეს ღიმი მის უსაზღვრო დაღლილობას, ყოველსმომცველი სინანულის ჩუმ სიმწარეს ამცნობდა ყველას.

— არა, — ამოიღუღლულა ილიამ, — სტუმარი მე ვარ. მაგრამ უცხო სტუმარი. ისევე როგორც, სხვათა შორის, ყველანი უცხო ვართ ამქვეყნად. რაც შეეხება საჩუქრებს, ისინი ხომ მცირე სიხარულს წარმოადგენენ, ცხოვრებაში. ჩვენ, მამაკაცები, ალბათ ვერ მივხვდებით ამას. მართალია, მაგრამ ზეზი არ არსებობს, მაგრამ მე არ ძალმიძს ექვეები გავაქარწყლო...

მის სევდიან ღიმილში, მის მშვიდად ნათქვამ სიტყვებში გამოსჭვიოდა ავადმყოფური მორჩილება ბედისადმი, სხვისი უნდობლობისადმი, ამასთანავე რაღაც მომნუსხველი ძალა სევდიანი შთაგონებისა, და ჩანდა, როგორ ივსებოდნენ ვიქტორიას ნაცრისფერი თვალები მსუბუქი, მბრწყინავი ნამით, თითქოს ქალიშვილი ბოდის უხდიდა ილიას აქ წარმოთქმული უკმეხი სიტყვებისათვის (ნუთუ ამ დღეების განმავლობაში ილიამ ასეთი გავლენა მოიპოვა მასზე?). მერე ვიქტორიამ ლოპატინს შეხედა და თვალთ ანიშნა, რომ უმაქნისი უკმეხობისაგან თავი შეეკავებინა, და ყოველგვარი მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან ასაცილებლად თქვა:

— მე გამოვართმევ საჩუქრებს, მამა. ამით არაფერი არ მომივა. გმადლობთ ილია პეტროვიჩ. დედასაც გადავცემ. — მერე ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა ილიას, ფეხის წვერებზე შედგა და ძალიან სერიოზულად აკოცა ნიკაპზე. — გასაცილებლად არ მოვალ. თქვენ არ გინდათ და იმიტომ. ასე ჯობს. ამიტომ ნახვამდის. უცხოთა შორის უცხოს ცხოვრება უმჯობესია, არავინ არავის არ იცნობს. არავის შენთვის არ სცალია. ასე ჯობს. იცხოვრებ როგორც კიპლინგის კატა, გახსოვთ, თავისთვის რომ დადიოდა?

— ხვადი იყო, არა? — ჩაუბრუნო ლოპატინმა და მოიღუშა. — ამას აქვს მნიშვნელობა, ვიკა.

— სულ ერთია! კიდევ ერთხელ ნახვამდის!

ილიამ მძიმედ ამოისუნთქა და ხელზე აკოცა, ნესტოები შეეკუმშა და გაუფართოვდა, თითქოს გოგონას თბილი კანიდან გამაჯანსაღებელი წამალი შეისუნთქაო. მერე კი ყელში გახიზნული ჩურჩულით ამოთქვა:

— მშვიდობით, ვიქტორია. მე ყველაფერს გავაკეთებ, რასაც შეგპირდი.

— რატომ „მშვიდობით“. ილია პეტროვიჩ? აგრე ნაღვლიანად რატომ თქვით?

ილია დუმდა. თან თვალებში უყურებდა. ვიქტორიამ გაიმეორა:

— რატომ „მშვიდობით“?

— ჩემს ასაკში არავინ უწყის, გაიღვიძებს თუ არა დილით ჯანმრთელი, — ნაძალადევი სიმბნევით და თავაზიანობით აუხსნა ილიამ, მერე თავი დაუკრა, ოფლით დაცვარული შუბლი ცხვირსახოცით შეიშრო და დაძაბული, თანაბარი ნაბიჯებით გააცილა ვიქტორია წინკარში.

როცა ოთახში შემობრუნდა და მამაკაცთა საზოგადოებაში თავისუფლად ყოფნის გამოსახატავად პიჯაკის ყველა ღილი გაიხსნა, პალსტუხის კვანძიც გაშალა, როცა დაქმუჭნული ცხვირსახოცით აკანკალებული თითები დაიზილა, თითქოს ამ ცხვირსახოცით ითბობსო, მოეჩვენა, რომ სულ მთლად გაყინულიყო. კოსტიუმს შიგნით სველი იყო, და ოფლი, რომელიც შუბლსა და საფეთქლებს უფარავდა, ცივად უღიტინებდა, ხოლო შამპანურმა, რომელიც ოთახ-



ში შემოსულმა დაისხა და სულმოუთქმელად გადაკრა, ვერა და ვერ გაუღებო რაღაც გამყინავი და შემბოჭავი.

— მომხიბლავი ქალიშვილი გყავს, ვლადიმირ, — გაბზარული ხმით წარმოთქვა ილიამ. — მომხიბლავი და ჭკვიანი. მაგრამ ახალგაზრდა და არ იცის, რომ სამყარო ცუდისგან უარესისკენ მიდის. ახლა ადამიანი ყველგან ცუდად გრძნობს თავს. ყველგან და ყველგან. არავის არა უჭყვევს უმჯობესი, არა აქვს რწმენა საკუთარი თავისა. არც სხვებისა სწამს... ჩვენ ყველა ჩვენი სიკეთე-ლეში ვმოგზაურობთ და არ ვიცით, სად მივდივართ და რისთვის. — ის გაჩუმდა, თავს ძალა დაატანა, რომ ფეხებზე მყარად მდგარიყო, მაგიდას შემოუარა, დაყოვნებული გულმოდგინებით შეავსო ჭიქები, რითაც ხაზი გაუსვა დაუოკებელ სურვილს — ყველასთან ერთად განეგრძო სმა, და ყველას რიგრიგობით მიუჭახუნა. — უკანასკნელ წლებში კითხვით ვკლავ დროს. მახსოვს ერთი რუსი მწერლის ფრაზა: „რეტის დასხმამდე ვსვამ“ რაც შეეხება ჩემს რეჟიმს, ვლადიმირ, — დასძინა მან, ავად გაიღიმა და განსაკუთრებული ხანდაზმით და დიდმნიშვნელოვნად მიუჭახუნა ჭიქა ვასილიევს, — ეს კი ალბათ ძვირი დამიჯდება. თანაც ნაღლის გადახდა მომიწევს. Alles!

— რაკი აგრეა, შეჩერდი, ილია. შენ ეს შეგიძლია, — უთხრა ვასილიევმა.

— რატომ? ამაში ვერავეთარ აზრს ვერ ვხედავ. დღეს უნდა დავლიოთ. ხვალ — ადიუ, ალეს.

დიახ, ცხოვრებით დაქანცულ, მძიმედ დაავადებულ ადამიანს არავითარი საერთო არ ჰქონდა იმასთან, რაც სამუდამოდ გარდასული წლების წინ იყო, თუმცა ეს კავშირი მაინც არსებობდა. ეს იყო ვიქტორიასა და მარიას გარეგნული მსგავსება, როგორც ილიამ თქვა, ეს იგრძნობოდა იმაშიც, თუ რა ნაღვლიანად აკოცა ხელზე მის ქალიშვილს, იმაშიც, თუ გამოთხოვებისას რა ხანგრძლივად და მოგონებაში წასული თვალებით უყურებდა სახეში, ალბათ რაღაც სასწაულით გამეორებულ მარიას ნაკვთებს თუ ხედავდა, იმ მაშასი, როცა ილია სულ სხვა იყო. ეტყობა, ვიქტორიამ, მისმა თვალებმა, მოქნილმა, ხმამ, მისმა ღიმილმა უწინდელი ახალგაზრდა მარია მოაგონა და ალბათ იმის საცდელად, რომ თავისი საუკეთესო წლები მოებრუნებინა, რაღაც გაემართლებინა, გამოესყიდა, ეშველა, რაღაცას გამოსთხოვებოდა, მზად იყო გაუმართლებელი უგუნურება ჩაედინა. რომელიც მათ ურთიერთობაში ყველაფერს თავდაყირა დააყენებდა.

— უნდა გითხრა, ილია... — დამარცვლით წარმოთქვა ვასილიევმა და, რისხვით ანთებულმა, ძლივს მოახერხა დინჯად დაებოლოებიანა: — ძალიან სამწუხაროა, რომ ასე მოხდა. ძალიან სამწუხაროა, მაგრამ გთხოვ ვიქტორიას თავი დაანებო... მე მგონი, კარგად გესმის, რას გეუბნები. არ მინდა წაიბილწოს ჩვენი „აისი ბურუსით მოცული სიჭაბუკისა“... და ყოველივე ის, რაც იყო... ჰო, სწორედ ასეა. ამიტომ ნება მომეცი, გამოგეთხოვო და მშვიდად მგზავრობა გისურვო, ილია!

ვასილიევი წამოდგა, უზომოდ მშვიდი, გაუცხოებული ამ მკვდრული სიმშვიდით, რომელიც შინაგანად თრგუნავდა, და გულდამძიმებულმა დასძინა:

— მგონი, მე და შენ შეხვედრას არავითარი აზრი არ ჰქონდა. ზოგი რამ ტყუილუბრალოდ გავაფუჭეთ. თუმცა ასეც უნდა ყოფილიყო...

— მოიცადე! — ჩურჩულით შესძახა ილიამ, სახე დაუგრძელდა და გაუმ-

<sup>1</sup> ყველა (გერმ.) აქ: მორჩა.



კაცრდა. — მოიცადე! — ხვნეშით გაიმეორა მან. — ეგებ ვეღარ შევხვდეთ ერთმანეთს. ნუ ჩქარობ...

— პოი. კეშმარიტების მფლობელნო! — ჩაერია ედუარდ არკადიევიჩი და მშვიდობისაკენ მომწოდებელი გაოცებით აღაპყრო ხელები. — პოი, კეშმარიტების ორო რაინდო! მასწავლეთ, როგორ ვიცხოვრო! როგორ? რაინდო! უცხოელები ხიბიები არიან და ჩვენ — კაკები, არა? მაგრამ, მეგობრებო, გაიხსენეთ უბადლო პიკასოს მშვიდობის მტრედია!.. სად დაიბუდნა მშვიდობა? არის თუ არა მისთვის გეოგრაფია? ვიქტორია ხომ სწორედ ის უბანია მტრედია!..

— ისევ ალაკლაქდა! — მრისხანე ქშენით გააწყვეტინა სიტყვა ლოპატინმა, მოთმინება დაკარგული ადამიანივით გაიშვირა უზარმაზარი თითი ედუარდ არკადიევიჩისკენ, ყურისწამლებად დასკვეპა და სიტყვის თქმა აღარ აცალა. — ამ ვითარებაში თქვენი მონაწილეობა და თქვენი ირონია ისევე გვჭირდება, როგორც უკანალს კალოშები აპრილის დღეს!

— როგორ? რა უკმებ გამოთქმებს კადრულობთ. დიდად პატივცემულო ალექსანდრ გეორგიევიჩ? — წვრილი ხმით შესძახა გულწრფელად აღშფოთებით შეპყრობილმა შჩეგლოვმა. — ვიქტორია მე ნათესაურად მიყვარს! როგორ ბედავთ?..

— მით უმეტეს. კალოშები საჭირო არ არის!

— თქვენ მაჩვივით უზამსად იქცევით! — შესძახა ედუარდ არკადიევიჩმა და კბილები ბოროტად დაკრიჭა, რამაც თვალის დახამხამებაში გააქარწყლა მისი მაღალი წრის მხიარული სიმსუბუქე, მთელი მისი განწყობა პაექრობის დაუსჯელი სიამოვნებისადმი. მაგრამ იმწამსვე შეშინებული გამოერკვა, თითქოს კბილების ბოროტად დაკრეჭით უნებლიეთ დაანახვა სხვებს საკუთარი ფიზიკური არასრულყოფილება. და ელვის სისწრაფით მოიწესრიგა სახე — ნაღვლიანი ირონიით ჩაიკვნეს-ჩაიჭირჭილა, თან გაიხედ-გამოიხედა, მერე მანუეტის სტერილური სითეთრითა და მსხვილი საკინძით გაახალგაზრდავებული ხელის მტევნის დახვეწილი, ნარნარი მოძრაობით დასწვდა კიქას და ხუმრობის კილოთი წარმოთქვა:

— ყველაზე ლაკონური სადღეგრძელო, ძვირფასო მეგობრებო: „Keinerlei Probleme“.<sup>1</sup> ამაში ხომ არ არის დამარბული ბედნიერების მარცვალი?

არაეინ გამოეხმაურა. ლოპატინმა უარყოფის ნიშნად ჩაიბუზლუნა წვერში, ვასილიევი კი შესცქეროდა ედუარდ არკადიევიჩს, სასიამოვნოდ მომბალს, გულითადს, მშვიდობისაკენ მომწოდებელს. მაგრამ ამავე დროს ხედავდა მის წედანდელ მგლურ ღიმილს, რომელმაც ერთი წუთის წინ ასე შეუცვალა სახე. და ფიქრობდა: „სადღაა მისი სიმართლე?“ ხოლო ილია შუაგულ ოთახში გაჯგიმულიყო და მოცახცახე ხელიდან კიქას არ უშვებდა, თან სიგარეტს ჭაჩავდა და იატაკზე დაგებული ფარდაგის ნახტებს ჩაშტერებოდა, მისი ბაგეები კი მოუქნელი მოძრაობით წარმოთქვამდნენ ფრაზებს:

— გამიგე, ვლადიმირ, მე ძალას არ ვატან ვიქტორიას, არ ვაიძულებ. მე შენ არ გღალატობ, ის თვითონ... შეცდომა იქნება ამის ფიქრი... მე აღარაფერი... არ მინდა...

ილიას ხმაში იყო რაღაც უღიმღამო. ბგერით ფეროვნებას მოკლებული

<sup>1</sup> არაეითარი პრობლემა (გერმ.)



სიცივე, მისი თვალები კვლავ უსიცოცხლოდ ჩასჩერებოდნენ სასტუმროს ფარდების ერთმანეთზე გადახლართულ ნახტებს, თვალებჩაცვნილი დახრილი სახიდან კი კლაკნილად სდიოდა ოფლი. და თუმცა ყველა სიტყვას მკაფიოდ გამოთქვამდა, მაინც ისე ჩანდა, თითქოს ილია დუმდა და კრინტს არ ძრავდა, და ეს შემადრწუნებელი იყო: ის მაშინაც კი დუმდა, როცა გარკვევით ლაპარაკობდა. — ის თითქოს თავის თავთან მართო დარჩენილებს.

— მე შენ ლალატში არ გდებ ბრალს, — უთხრა გენერალმა.

ილიას არ შეუხედავს მისთვის, მხოლოდ თვალგაშტერებული დაეწაფა შამპანურის კიქას, ნელ-ნელა გამოცალა და, სულიც არ მოუთქვამს, ისე მოქაჩა სიგარეტი. განსაცვიფრებელი იყო მისი მანერა — ყოველ ყლუპზე სიგარეტი მოექაჩა, ეტყობა, განზრახ ურევდა ალკოჰოლსა და კვამლს, და ვასილიევმა უცებ გაიფიქრა, რომ ალბათ ოდესღაც ავად გახდომამდე, ილია გონის დაკარგვამდე, უბედურად სვამდა.

— მე შენ ლალატში არ გდებ ბრალს, — გაიმეორა ვასილიევმა. — სხვა რამეზეა ლაპარაკი...

— სხვა რამეზეა ლაპარაკი. — მორჩილად და უხალისოდ წარმოთქვა ილიამ და დუნე. ზიზლიანი დაკვირვებით დახედა ლითონისაბზინდიან ზამთრის ფეხსაცმელს, უზადოდ გაუთოვებულ ნაცრისფერ შარვალს, ზოლებიან პალსტუხს, — დახედა, ჩაიკინა, მიწისფერი ლოყა ოდნავ შეუთრთოლდა, გაუმსჭვალავი ღამეული თვალები მიაპყრო შჩეგლოვს, გატაცებით რომ ფცქვნიდა ფორთოხალს, და მაღალი ხმით ჰკითხა: — რამდენი ხანი იცხოვრეთ ამქვეყნად, ედუარდ არკადიევიჩ, მომიტევეთ, თუ ღმერთი გწამთ?

— ცოტა, ილია პეტროვიჩ, ადამთან და ევასთან შედარებით ძალიან ცოტა. — მიუგო შჩეგლოვმა და გაღიმებულ პირში ფორთოხლის ნაჭერი ჩაიდო. — ადამმა, თუ არ ვცდები, ცხრაას სამოცი წელი იცხოვრა, ბიბლიის მიხედვით... შეცოდებამდე მე ცოდვებით ვარ სავსე, რამეთუ გასული საუკუნის ბოლოს დავიბადე.

ილიამ ნაფაზი დაარტყა, სიგარეტის კვამლი შეისუნთქა და შამპანურის ყლუბი დააყოლა, თან გულგრილად შესცქეროდა შჩეგლოვს, სათვალის შემებიდან ეშმაკეულ ნაპერწკლებს, რომ ისროდა.

— გეშინიათ სიკვდილის?

ედუარდ არკადიევიჩმა მადიანად მიირთვა ფორთოხლის ნაჭერი და, თითქოს დანაშაულზე წაუსწრესო, ხელსახოცით მკვირცხლად შეიმშრალა წმინდად გაპარსული, ჯერ კიდევ მაგარი ბებრული ნიკაპი.

— რა განსხვავებაა, ილია პეტროვიჩ, ადრე იქნება თუ გვიან, ადრე, რა თქმა უნდა, დასაბნანია. გვიან — ეს იმას ნიშნავს, რომ რამდენიმე ასეული ასეთი გემრიელი ფორთოხლით მეტს შეჭამ. და, რა თქმა უნდა, მეტ უაზრო პიესას დადგამ. მაინც გვიან ჯობს, კაცმა რომ თქვას, რაც უფრო შორს არის, მით უფრო ახლოა, რაც უფრო ახლოა, მით უფრო შორს არის... სიკვდილი ცხოვრების უკანა მხარე და ჩვენი ჩრდილია; ამიტომ დროა შევეჩვიოთ, რომ თან ვატარებთ მას...

— სიცრუეა. — ცივად თქვა ილიამ. — თქვენ ხანგრძლივი ცხოვრება განვლეთ, მაგრამ პანიკური შიში გაქვთ სიკვდილისა, ისევე როგორც თითოეულ ჩვენგანს, პანიკური შიში გაქვთ, ასე არ არის, ედუარდ არკადიევიჩ?

— ასეც რომ იყოს? რა გამოდის აქედან? გვაქვს კი უფლება დავეგმოთ სიცოცხლის მოყვარენი? — უწყინრად წარმოთქვა ედუარდ არკადიევიჩმა და



ხელისგულის მოზომილი შეხებით გაისწორა მელოტ ადგილას გადმოტანილი თმა. — შეიძლება კი ბოლომდე შევიცნოთ ცხოვრების გემო? განა ბევრი ფაუსტია ჩვენ შორის?

— ჩვენ ყველანი ლაჩრები, მონები და ტყვეები ვართ შიშისა, დაიწყო ილიამ და ისევ ჩააშტერდა ფეხქვეშ გაგებულ ფარდაგის ნახევრს. — ყველა თავისუფლება მოჩვენებითია, მირაჟია. შიში და თავისუფლება ერთმანეთს გამორიცხავენ. არის ერთი დიდი თავისუფლება... როცა გდგმობა ყველა თავის და ყველას ღმერთი ხდება. აბსოლუტური თავისუფლება. მაგრამ ასეთი რამ თითქმის არ არსებობს. არის გამონაკლისი...

— რა გამონაკლისი? — შეეკითხა ვასილიევი, რომელსაც ილიას ამ მკაფიო და დაუმთავრებელი სიტყვების გამო გული შეშფოთებით აუძგერდა.

— გმირები და შეშლილები, — გახევებული ენით წარმოთქვა ილიამ, რომელიც გაჭირვებით მისდევდა რაღაც აკვიატებულ აზრს, დროდადრო რომ უსხლტებოდა. — ადამიანი ყველგან ცუდად გრძნობს თავს. Sehr schlecht. ამ დღეებში გავიარ-გამოვიარე მოსკოვში, როგორც მუზეუმში, — მაღაზიებში. ქუჩებში... სამოთხეაო, ვერ იტყვი, უღიმღამო მსოფლიო სტანდარტია. რატომ ბაძავენ მოსკოვში ასე მონურად დასაგლეხს? თქვენში ვილაცას გაგიჟებით უყვარს უცხო სტილი... უსულგულო... დამლუპველი უხამსი სტილი — გული აერევა კაცს. არქიტექტურის გამო... გარაეები ადამიანებისათვის... სასაცილოა. კკუაზე შეიშლები კაცი. არც სამოთხეა და არც მშობლიური კუთხე... ყური მიგდე, ვალოდია, არის თუ არა დროის დასაწყისი და სივრცის დასასრული? გიფიქრია ამაზე, დროზე? მგონი, ამაზე მელაპარაკეთუოდ მთელი ჩვენი წარსული — ბავშვობა, ჩვენი სიჭაბუკე — დროის გარეშე იყო. არ მოგსვლია თავში? სხვა დანარჩენი კი... მერე დაიწყო? მე ნება დამრთეს ჩამოვსულიყავი... ომის შემდეგ გარკვეული სამსახური გავუწიე ჩემს სამშობლოს, მაგრამ რა უმნიშვნელო რამაა ეს ყველაფერი. ჩვენ ალბათ მტერის ნამცეცები ვართ მსოფლიოს... სამყაროს ბედის ნაკადში. საშინელი რამ არის ცხოვრება... მე ავად გავხდი, მინდოდა თავდავიწყებას მივცემოდი და წიგნის კითხვაში ვკლავდი დროს. დიდი მწუხარებაც შევიცანი... ვით მეფე სოლომონმა. მტერის ნამცეცები, ნაკადი და... უძლურება. საშინელებაა, რომ არ მოკვდე. მაგრამ სიკვდილიც საშინელებაა. შეიძლება კვალი დატოვო... მაგრამ შეიძლება კუჭყიანი კვალი დატოვო, ან, რაც ყველაზე უარესია, ცარიელი ადგილი დატოვო. ეს სა-აშინელია — ცა-არიელი ადგილი! არ გეფიქრებათ, რომ კაცობრიობა — საცდელი ბორცვები არიან დედამიწაზე და ვილაცა ჩვენზე საზარელ ექსპერიმენტებს ატარებს? რაც განაჩენის ნელ აღსრულებას პგავს. არა, ეს ღმერთი როდია. ეს ძალა ღმერთზე მაღლა დგას. მისმინე, ვალოდია, ჩემო ძველო მეგობარო. ყველანი მოკვდავნი არიან, აბსოლუტურად ყველანი. ისინიც, ვინც ჩვენ გვიყვარს, და ისინიც, ვისაც ვინმე უყვარს. ჩვენ კი არ ვაკეთებთ არჩევანს, არამედ ბატონი ექსპერიმენტი, ბანჯგვლიანი, ვარსკვლავიერი, შორეული... ყველასთვის დგება ჟამი განშორებისა. და თუ წყევლისა არა, — მოტევეებისა. არჩევანი თვითგამორკვევაა, ან—ან, ვინ უნდა მთავგაგონოს „ან“? სა-აშინელია. ესაა ცარიელი ადგილი. არა შავი ან თეთრი ხვრელი სამყაროში, არამედ უძირო სიცარიელე... ჩატარდა ექსპერიმენტი, შეცნობილ იქნა, რისი უნარი შესწევს ადამიანებს. — და სიცარიელე.

1 ძალიან ცუდად (გერმ.).



ლაბორატორია მიტოვებულია. წარმატებით ჩატარდა ცდა თუ არა — ამას ჩვენ არ ვსჯით. საამისო გონება არა გვაქვს მონიჭებული. არჩევანი, არჩევანი... სიცოცხლე ან სიკვდილი — არჩევანი. ვინ უნდა შთაგვაგონოს? სამყარომ?... თუ რამდენიმე ყოვლისშემძლე ადამიანმა, რომლებსაც მხოფლიოს მართვა სურთ?..

— მგონი, შენი ნაცნობი აფორიაქებულია, — თქვა საგონებელში ჩავარდნილმა ლოპატინმა, რომელიც გულდასმით უსმენდა ილიას სიტყვებს. უსმენენ სულიერი ავადმყოფის ბოდვას, და მისი აკვიატებული დაჯერებულობა უკვირდა, ეტყობა, თან ეთანხმებოდა და თან არ ეთანხმებოდა მისი გახურებული გონების დასკვნებს. — მაგრამ წარმოუდგენელ რამეებს ამბობს და თმა ყალყზე მიდგება.

— ჰო-ო, რამდენი ადამიანიც არის, იმდენი ჭეშმარიტებაა, მერწმუნეთ, — შეესიტყვა შჩეგლოვი, რომელიც საკმაოდ ნაღვლიანი სიამოვნებით ცურავდა სხვისი აზრის მძაფრ სიმყავეში. — ოღონდ არატრივიალურ რამეებს ამბობს და ეგ არის, ალექსანდრ გეორგიევიჩ.

— ჩვენი წასვლის დროა, — თქვა ვასილიევმა, რომელიც გრძნობდა, როგორ უყინავდა გულს შემადრწუნებელი სიცივით ილიას სიტყვები, რაც ისევ ისე ხმადაბლა თუ დუმილით ნათქვამად ეჩვენებოდა, თუმცა სრულიად აშკარად აღიქვამდა ამ სიტყვების აზრს და ამ ახალ, აქამდე წარმოუქმულ მიმართვას: „მისმინე, ვალოდია, ჩემო ძველ მეგობარო“. ხოლო ილია კვლავაც ჩაშტერებოდა ფეხქვეშ გაგებულ ფარდაგის ამ უაზროდ ასიმეტრიულ ნახტებს და გაპარსულ ლოყებზე ნათელ წვრილ ძაფებად სდიოდა ოფლი, ტუჩები უთრთოდა, ჩამოშვებულ ხელში ეკავა ფილტრამდე მოწეული სიგარეტი, საიდანაც გაუთოებულ შარვალზე დაჰყროდა ფერფლი. რაღაც ავადმყოფური, მარტოხელური, შეუქცეველი იყო ილიას შესახედაობაში, ის, რისი დანახვა და ცოდნაც არ უნდოდა ვასილიევს, რაც საბოლოოდ უკვალოდ აქრობდა მათ ზიარ სიჭაბუკეს, რომელიც არ შეეძლო წარმოედგინა ილიას ბედნიერი მომავლისა და ხალისიანი, თვითდაჯერებული ძალის გარეშე, — და მაშინ ვასილიევმა ხმამაღლა წარმოთქვა: — ჩვენ უნდა წავიდეთ, ილია. ალბათ გაფრენის წინ დასვენება გჭირდება. დილით დაგირეკავ, თუ წინააღმდეგი არა ხარ.

როცა მათ სკამები უკან გამოსწიეს, სუფრიდან წამოდგნენ და დერეფანში გამოვიდნენ, სადაც მათი პალტოები ეკიდა, ილია ადგილიდან არ დაძრულა, არც სიტყვით შეუჩერებია ვინმე, არც ხელის მოძრაობით, მხოლოდ თავი ასწია და გამოუფხიზლებელი თვალებით გააცილა ყველა, მერე შეკრთა და სახე მოედრიცა, თითქოს სულ ახლოს საზარელი რამ დაინახაო, მაგრამ იმწამსვე თავს ძალა დაატანა, წელში გასწორდა, ცარიელი ჰიქა სუფრაზე დადგა და სტუმრების გასაცილებლად დერეფანში გავიდა. ახლა თითქმის აღარ ბარბაცებდა.

უსიამო იყო წუთი, როცა დუმილით იცვამდნენ პალტოებს.

ამ წუთს კრიჭაშეკრული ილია სარკის გვერდით იდგა და ელოდა. თითქოს აღარ შეეძლო ბაგე გაეხსნა და გამოსათხოვრად რამდენიმე სიტყვა წარმოეთქვა. ნაოჭები ნახევრად ღია ქუთუთოების კიდეებთან წვრილ სხივებად ვიწროვდებოდნენ, ეტყობა, გულის შემკმელი ბოდვისა თუ მომძლავრებული წუხილისაგან (ამ უზარმაზარ ნომერში მარტო რჩება თავისი უსაშველო, მტანჯველი დუმილით, რასაც სიტყვებით ვეღარ ჩაახშობს), — და ვასილიევმა,



რომელსაც ქუდი ჯერ არ დაეხურა, ხელი გაუწოდა და პირმოღუშულმა უთხრა:

— ხვალამდე. მე დაგირეკავ.

— არ დარეკო, ვალოდია, შენ დაგირეკავენ, — ამოთქვა ილიამ, <sup>თითქმის</sup> ბაგეები აღარ ემორჩილებოდა, და თვალის კუთხეებში თავმოყრილი ნარჩენები უფრო შესამჩნევად აუთრთოლდა. — ერთმანეთი არ გადაგვიცინია, როცა ჩამოვედი, — დასძინა მან დამნაშავესავით, შესაბრალისად <sup>განსწორდა</sup> ვასილიევისკენ ნაბიჯი გადადგა, ეტყობა, მთლად არ იყო დარწმუნებული, რომ ისე ვერ დაემშვიდობებოდნენ ერთმანეთს, როგორც შეხვდნენ. — გაბოთხოვებისას მინდა გითხრა... ეგებ უკანასკნელადაც...

— დარწმუნებული ხარ, რომ ერთმანეთს ველარ შეხვდებით?

— მინდა ვთქვა, რომ შენ არ შეგიძლია მაპატიო ორმოცდასამი, — კვლავ ძლივძლივობით გახსნა ბაგე ილიამ, და მისი ხმა ხრინწიან ჩურჩულად იქცა, — მაგრამ მაშინაც ასევე იყო, „ან — ან“... იგივე არჩევანი... ბატონი ექსპერიმენტი... ან ლაზარევი ან მე, ოღონდ ჩემთვის დამენანა ერთი ტყვია... შენ ეს გინდოდა გცოდნოდა. ახლა კი მშვიდობით, ვალოდია. ჩვენ ერთმანეთს აღარ შეხვდებით.

— მშვიდობით, ილია. ყველაფერი შესაძლებელია ამქვეყნად.

— არა, ვალოდია, ყველაფერი არა.

ვასილიევს არ უყვარდა კაცების კოცნა, და ისინი მოუქნელად გაიწიენ ერთმანეთისკენ, მაგრამ არ უკოცნიათ. მხოლოდ ლოყები მიაღვეს ერთმანეთს უხერხულად, და ილიას მკვდარივით გაყინული, ოფლით დანამული სახის შეხება შემდეგ დიდხანს ახსოვდა და ტანჯავდა ვასილიევს. ის ამ ცივ ოფლს მაშინაც გრძნობდა, როცა ლოპატინის მანქანით შჩეგლოვი თეატრში მიჰყავდათ, მაშინაც, როცა სახელოსნოსკენ მოდიოდნენ, მაშინაც, როცა განშორებისას ლოპატინმა ბოხი ხმით ჩაახველა, ამოიოხრა, წვერზე ხელი მოისვა და, ფიქრში წასულმა, სინანულით ჩაიდუღუნა: „სა-აკმაოდ რთული ეგზემპლარია, გესმის, ეშმაკმა წაიღოს“, — და შემდგომაც, სახელოსნოს ჩვეულ, მშობლიურ სივიწროვეში, სახელოსნოსი, რომელიც ნოეს კიდობანივით მიცურავდა სადამოს სიჩუმეში სტელაჟებს, მოლბერტსა და პეიზაჟებთან ერთად, დილით ორ კედელზე რომ აეყუდებინა, აღება დავიწყებოდა და ახლა არყის ხეთა კენწეროებზე დავანებული დაისის წინა მყუდროების ნაზი ოქროსფრით, ზამთრის მოვარდისფრო დილის ადრიანი მზითა და გვიანი შემოდგომის გამოსათხოვარი სიშიშვლით გამოიყურებოდნენ...

### თავი მეცხრამეტი

დილის ათი საათი იყო დაწყებული, როცა ვასილიევს სასტუმროდან დაურეკეს და გვარის, სახელისა და მამის სახელის რამდენჯერმე დაზუსტების შემდეგ უთხრეს, თქვენს სახელზე ბატონ რამზენს წერილი აქვს დატოვებული და ძალიან გთხოვთ სასწრაფოდ მოაკითხოთ. რადგან არის გარემოებანი, რომლებიც კორესპონდენციების ხელწერილქვეშ გადაცემისას ზოგიერთი დაუყოვნებელი ფორმალობის დაცვას მოითხოვს. როგორც კი ვასილიევმა გაიგონა ეს უცნობი ზრდილობიანი ხმა, რომელიც მაღალფარდოვანი თავაზიანობით უხსნიდა სასტუმროში მისი სასურველი და საჩქარო მისვლის მიზეზს (ხმა აშკარად ბოლომდე არ ამბობდა რაღაცას), მას უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ



საქმე, რა თქმა უნდა, მის სახელზე დატოვებული წერილის ოფიციალურ გადაცემას კი არა, რალაც სხვას შეეხებოდა, და ამიტომ გაკვირვება გამო-  
ნატა მიაშიტი კითხვით: რა მოხდა ბოლოს და ბოლოს და ვინ ბრძანდებით?  
ზრდილობიანმა ხმამ სასტუმროს ადმინისტრატორად გააცნო თავი, ხელოვნე-  
ბის თაყვანისმცემლადაც კი, რომლისთვისაც დიდი პატივია გაეცნოს ცნობილ  
მხატვარს და პირადად შეხვდეს სასტუმროს ვესტიბიულში. — რაღა უურად-  
ლება არ მოაკლოს და შეძლებისდაგვარად დაეხმაროს.

„ილიას რალაც მოუვიდა, ალბათ იქ უნდა ვიყო და როგორღაც დავეხმა-  
რო“. — მოისაზრა ვასილიევმა, ლელვისაგან ოფლი დაასხა და სასწრაფოდ  
დადო ყურმილი იმ ადამიანივით, რომელსაც უნარი არ შესწევს დაძლიოს  
მოსალოდნელი გაუგებრობის მთელი სიმძაფრე.

გუშინ საღამოს ილიამ გადაჭრით უარი თქვა აეროპორტში გაცილებე-  
ბე, უფრო მეტიც — სთხოვა თავი არ შეეწუხებინა ტელეფონის დამქან-  
ცელი რეკვით, რომის რეისის თვითმფრინავი ხომ თერთმეტ საათსა და ორ-  
მოც წუთზე მიფრინავდა, მაშასადამე, ჩასხდომამდე ერთი საათით ადრე სა-  
სტუმროდან გასული, ახლა შერემეტიევოში უნდა ყოფილიყო. მაგრამ აე-  
როპორტში გასვლამდე რატომ ჩვეულებრივი ფოსტით არ გამოაგზავნა წე-  
რილი, რატომ დაუტოვა ადმინისტრატორს, დაბოლოს რატომ შექმნა ასეთი  
იდუმალემა თავისი გამგზავრების ირგვლივ?

მეტროს ვაგონში მთელ გზაზე ცენტრამდე და შემდეგ, როცა უკვე მო-  
ედანზე ამოვიდა, დილისეულ, მზიან, გაზაფხულის მოედანზე, რომელიც მო-  
ლაპლაპე გუბეებით, ტროლეიბუსების შუშებითა და სრიალით მომავალი ავ-  
ტომობილების უწყვეტი მწკრივის ათინათით თვალს სჭრიდა კაცს, ვასილიე-  
ვი ფიქრობდა იმაზე, თუ რა გადაქარბებული თავაზიანობით ელაპარაკებოდა  
წელან ადმინისტრატორი, რომელმაც ხელოვნების სიყვარულზე პირფერული  
სიტყვებით ყურადღება სხვა რამეზე გადაატანინა და, ეტყობა, მთავარი სათ-  
ქმელი არ უთხრა, — და გული შეშფოთებით ეკუმშებოდა ილიას ამ გაუთვა-  
ლისწინებელი წერილის მოლოდინში, რომელმაც გუშინ ბევრი რამის უფლება  
მისცა თავს დიდი დათმენისა და ხანგრძლივი რეჟიმის შემდეგ, რაც მის ავა-  
დმოფობასთან იყო დაკავშირებული.

წინაგრძნობა იმისა, რომ წუხელ სასტუმროში უჩვეულო რამ მოხდა, რა-  
ლაც შეიცვალა გუშინდელი სიმთვრალის გამო, ვასილიევს მაშინვე გაუმძა-  
ფრდა, როგორც კი ვესტიბიულში შევიდა. აქ მას შემოეგება დახლთან მდგა-  
რი პორტიეს გაფაციცებული მზერა, და იმწამსვე ნოხმოფენილ იატაკს სი-  
რბილით გამოჰყვა ტანდაბალი მელოტი კაცი, რომელსაც ეილექტიანი, ღიბთან  
შეკრული შავი კოსტიუმი ეცვა და სახეზე დასწავლილი ღიმი უთამაშებდა.  
ეს, ეტყობა, ის ადმინისტრატორი იყო, დღეს რომ ტელეფონით დაურეკა, სა-  
სიამოვნო ღირსებით წარმოუდგა, ოღონდ ხელი არ ჩამოუერთმევია, კიბისა  
და ლიფტისაკენ მიუთითა და თავაზიანი ღულუნა ტერორით წარმოთქვა:

— გმადლობთ, რომ მოხვედით, ვლადიმირ ალექსეევიჩ. გთხოვთ ბა-  
ტონ რამზენის ნომერში მიბრძანდეთ. თქვენის ნებართვით, გაგაცილებთ, რო-  
გორ გნებავთ? ლიფტით? კიბით?..

— სულ ერთი არ არის, — უთხრა ვასილიევმა, რომელსაც ახსოვდა,  
რომ გუშინ ლოპატინთან ერთად მეორე სართულზე ავიდა კიბით, და მაინც ვერ  
გაეგო, რა საჭირო იყო ილიას ნომერში ასვლა, რომელიც, თუ დროის მიზე-



დგით იმსჯელებდა კაცი, აეროპორტში მისი გამგზავრების გამო ცარიელი უნდა ყოფილიყო, და ნახევრად ხუმრობით ჰკითხა:

— თქვენ გნებავთ საზეიმო ვითარებაში გადმომცეთ წერილი ნომერში, სადაც ბატონი რამზენი ცხოვრობდა?

— ბატონი რამზენი, — შემპარავად შეიტანა შესწორება ადმინისტრატორმა და ფართო მელოტი შეუვარდისფრდა. — თქვენ „რამზენი“ უნდა იყოს.

— ო, დიახ, დიახ, სწორედ აგრეთ: ბატონი რამზენი. — ბატონი რამზენი, — სილიევემა, — დიახ, რამზენი, რა თქმა უნდა.

ეს ტანდაბალი მელოტი კაცი მტკიცე ნაბიჯით ადიოდა კიბეზე, ყოჩაღად აჰქონდა თავისი სოლიდური ღიბი, ენერგიულად, საქმიანად ამოძრავებდა იდაყვებს, კორიდორში კი, მეორე სართულზე, ილიას ნომრის შორიახლო, მრგვალი სახე წამში შეეცვალა, გამკიცხავი განცვიფრებით წარბები შუბლზე აუვიდა, მძიმე კარს მიახლოებული, სპილენძის სახელურს სწვდა და მკაცრი, მოუსყიდველი კილოთი წარმოთქვა:

— ძალიან გაკვირვებული ვარ, ძაა-ლიან...

როგორღაც გვერდულად დადგა, თავი მიუდგომლად დახარა და ვასილიევი წინ გაატარა, მაგრამ ნომერში არ შეჰყოლია, მედიდური თავაზიანობით აღესილმა კორიდორიდან მოხუჩა უზარმაზარი კარი, — და უცებ უბედურების მომასწავებელმა მდუმარებამ შეუკუმშა გული ვასილიევს აქ, წინკარში, როცა საკიდზე დაინახა ილიას ნაცრისფერი პალტო და შლაპა, როცა იგრძნო სიგარეტების ნამწვის, გუშინდელი საკმლის, დასხმული ღვინის მომეაგო მწკლარტე სუნი, როცა თვალში ეცა აულაგებელი დიდი მაგიდა, ლაბიანებისა და ვინეგრეტების ნარჩენებიანი ლანგრები, ყინულგამდნარ უსკურებში მდგარი შამპანურის გაუხსნელი ბოთლები და სუფთა ჭურჭლეულსა, ხელსახოცებსა და ხელუხლებელ საუზმეულს შორის უშნოდ ამოჩრილი ცარიელი ბოთლები (გუშინ ისეთი სადილი შეეკვეთა, თითქოს ოცი კაცი ჰყავდა დაპატიჟებული), როცა დაინახა ოთახში მყოფი ორი უცხო კაცი, ერთბაშად რომ მიაპყრეს ერთნაირად უნდო მზერა. ერთი მათგანი, ხანში შესული, პირხმელი, სახედანაოკებული, რომელსაც პალტო სავარძლის საზურგეზე გადაეკიდა, ფეტრის შლაპა კი არ მოეხადა, გაჩვიმული იჯდა, მაგიდის კიდესთან და თამბაქოს წვევისაგან გაყვითლებულ თითებს უკაკუნებდა გახსნილ საქაღალდეზე დადებულ ფურცელს, რომლის ორი მესამედი ნაწერი იყო, საქაღალდის გვერდით კი იდო მრავალფერი ავტომატური კალამი. მეორე კაცი — საკმაოდ ახალგაზრდა, ტანმალალი, საგაზაფხულო ლაბადაში გამოწყობილი, კოხტად თმადავარცხნილი, გარეგნობით საელჩოს უნარიან მუშაკს რომ ჰგავდა, მეორე ოთახის, ეტყობა, საწოლი ოთახის ზღურბლზე შემობრუნდა და პირმოლუშულ ვასილიევს მიაშტერდა (ვასილიევს ამ უბოდიშო ყურადღების გამო ტანში გასცრა) და ოფიციალურად, ცივად თქვა:

— თქვენა ხართ მხატვარი ვლადიმირ ალექსეევიჩ ვასილიევი? შეგაწუხეთ, გთხოვთ მოგვიტევოთ ამ აუცილებელი ფორმალობისათვის, დაბრძანდით, ვლადიმირ ალექსეევიჩ! — უბრძანა მან. სკამი მიუწია და ფარდაგს მაგიდის ბოლომდე გაჰყვა, სადაც თითებს აკაკუნებდა პირხმელი კაცი. იქ სულ მთლად ბალეტისმაგვარად ააფრიალა ღია ფერის ლაბადა, მოქნილი ფეხებით გამოეჭანა და შემსწავლელი გუგებით თითქოს შორიდანვე შეუძვრა თვალებში ვასილიევს, რომელიც, არაეინ უწყის, რატომ ჩამოჯდა საწოლი ოთახის კარის წინ მდგარ სკამზე, და ხმადაბლა უთხრა:



— ცნობილია, ვლადიმირ ალექსეევიჩ, რომ თქვენ იყავით ბატონი რამზენის მეგობარი თუ... ძველი ნაცნობი? საქმე ისაა, რომ...

საწოლი ოთახის კარი ღია იყო, და იქიდან გამოდიოდა თავზარდამცემა უსულო სიჩუმე. სანამ ყოველივე იმას გაიგონებდა, რაც ამ ახალგაზრდა კაცს უნდა ეთქვა, ვასილიევმა იგრძნო, რომ საწოლი ოთახის ღია კარიდან სახეში სცემდა სიკვდილის უცხო სუნი, გადახრუკული უდაბნოს მგზავად აღმა სუნი, რომ იქ, გვერდით ოთახში, გულაღმა იწვა ილღო, რომელიც უკვე აღარსად მიეჩქარებოდა — არც აეროპორტში, არც თვითმფრინავის რეისზე, რომლისთვისაც ერთბაშად შესცვლოდა აზრი და მიზანი გაზაფხულის დარიან დილასაც, ფანჯრის იქით მარტისეული თოვლის დნობასაც, მოსკოვის სველი სახურავების თავზე ნათელ მოწმენდილ ცასაც, იმ სიცოცხლით სავსე მოსკოვისა, რომელიც შორს იყო ამ ნომრისა თუ ყოველივე იმისგან, რასაც ვასილიევი ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყო ადმინისტრატორთან გამოცანებით სავსე საუბრისას. და თუმცა ვასილიევი საწოლი ოთახის ღია კარში დიდი ტრიუმოს მხოლოდ ნაწილს, ჩაულაგებელი ჩემოდნის მაღლა აწეულ სახურავს, საწოლის კიდეცა და იატაკზე გადმოშვებულ დაკმუჭნულ ზეწარს ხედავდა, მაინც არ ეპარებოდა ეჭვი, მაინც არ ცდილობდა თავი მოეტყუებინა იმედით, რომ ეს შეიძლება შეცდომა ყოფილიყო. — მისთვის ნაცნობი იყო სახლში გამეფებული სიკვდილის სუნი — რუხი, ცივი, ყველგან შემღწევი სუნი, შესაძლოა სუნი თვით პაერისა, ნივთებისა, საგნებისა, მკვდრის სამოსისა, მაგრამ ამასთანავე რაღაც სხვისა, მატერიალურისა და უსხეულოსი, ნიშანი განგაშისა, გაფრთხილებისა, რაც ამ ქვეყნის ხანმოკლეობასა და ერთიან დასასრულზე შეახსენებდა კაცს...

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ ბატონი რამზენი მოკვდა? — უღიმღამო ხმით წარმოთქვა ვასილიევმა. — და გინდათ თქვათ, რომ აქ იმისთვის მომიწვიეთ, რომ განსვენებულის წერილი გადმოგეცათ? ასეა?

ახალგაზრდა კაცი ხელახლა შემობრუნდა, კრემისფერი ლაბადის კალთები ფრთხილად ააფათქუნა, და მისი დამკითხველი გუგები კვლავ თვალებში ჩაუძვრნენ ვასილიევს.

— მინდა კი არა, ვალდებული ვარ ვთქვა, — უცილობელი კემზარიტების უდრეკი ტონით შეუსწორა ვასილიევს. — ვალდებული ვარ გითხრათ, რომ ბატონი რამზენი ბუნებრივი სიკვდილით არ მომკვდარა, მან თავი მოიკლა.

— როგორ თუ.. თავი მოიკლა?

— მომყევით, ვლადიმირ ალექსეევიჩ, — შესთავაზა ახალგაზრდა კაცმა, ისე რომ ეჭვიანი მზერა არ მოუშორებია ვასილიევისთვის, და ისიც უნებურად წამოდგა, თუმცა მისი სიტყვები კარგად ვერც აღიქვა: — არა, საწოლი ოთახში კი არა, სააბაზანოში, გთხოვთ...

ვასილიევმა ვერ მოასწრო მიმხვდარიყო, რატომ ეპატიებოდნენ სააბაზანოში, რომ შარიშურით გაიარა და საწოლი ოთახის კარი გადაუღობა კრემისფერმა ლაბადამ, და ისიც თეთრი კაფელის, მონიკელებული ონკანებისა და უზარმაზარი სარკეების ალყაში მოექცა. სარკეების პატარა მჭრქალ თაროებზე ჩამწკრივებული იყო ლოსიონის, ტუალეტის წყლის, ოდეკოლონის ფლაკონები, კბილის პასტა, თავლიად დარჩენილი საპარსი მოწყობილობა. შემდეგ ლაბადამ სწრაფად გაუარა სარკეებსა და თაროებს; მერე სარკეების, ქაშანურის ბაკანისა და კაფელის შერეულ ბრწყინვაში ვილაცის უნდო ხმამ წარმოთქვა არც ისე დამარწმუნებელი ფრაზა თვითმკვლელობის უცნაური ხე-



ჩხების შესახებ, — და ის, რაც ვასილიევმა დაინახა, საზარელი იყო თავისი მოულოდნელობით და იმიტაც, რომ აღარაფრის შეცვლა აღარ შეიძლებოდა, ისევე როგორც არ შეიძლება შეცვლა ადამიანის სიკვდილის ყველაზე იდუმალი და ყველაზე გადამწყვეტი აქტისა. მაგრამ ის, რაც ვასილიევმა სააბაზანოში ნახა, ილია არ იყო და ამავე დროს იყო კიდევ, რადგან ადამიანს, რომელსაც გულამდე სწვდებოდა მოწითალო წყალი, თითქოს ეძინა, ედგა, ედგა დაქანცულს, თავი ოდნავ გადაეწია და მშვიდად განისვენებდა. მესამე წუთზე გამოხატავდა სიმთვრალით გამოწვეულ გუშინდელ ალგზნებას, არც სიმკაცრესა და სიფიცხეს, დასცხრომოდა, დამშვიდებოდა, ჭალარა თმა ბავშვის კულუღივით ჩამოვარდნოდა შუბლზე, ერთი სიტყვით, მის სახეს დაებრუნებინა რაღაც სკოლისა და ზაცების ზამოსკვორეჩიეს სათაყვანო ბიჭის ჭაბუკური სილამაზიდან. მაშინლა შეამჩნია ვასილიევმა, რომ მჭრქალი პლაფონის შუქზე, რომელიც აბაზანაში ისევ ენთო, ილიას ოდნავ მოხუტული წამწამების ჩრდილი მკრთალ ზოლად გაწოლილიყო ქუთუთოებქვეშ.

„რად გინდა, ილიუშა, მაგისტანა წამწამები? მიგეცა რომელიმე გოგოსთვის“... — გაახსენდა ვასილიევს მაშას მიერ ხუმრობით ნათქვამი გამომწვევი სიტყვები ჯერ კიდევ ბავშვობის ბედნიერ ბურუსში, რისგანაც აღარაფერი დარჩენილიყო ილიას გამომეტყველებაში არც გუშინ და არც ვენეციაში შეხვედრისას, ახლა კი ეცნო, და იმწამსვე კაფელზე დაინახა შემხმარი სისხლის ფართო მარაოსებური კვალი. შემდეგ, რეტდასხმულმა, უნებურად მოაგლო თვალი სააბაზანო ოთახს და წააწყდა წითელი ლაქებით მოთხვრილ სამართებელს, კედელთან იატაკზე რომ ეგდო. და ფიზიკურ შეგრძნებამდე ცხადად წარმოუდგა, თუ რა ჰქნა ამ სამართებლით ილიამ, როგორ ეშხეფებოდა ვენებიდან შადრევანივით მჩქეფარე სისხლი კაფელის კედელს, სამართებლის პირს, როგორ ისროლა, ტკივილით გამწარებულმა. უკვე არაფრის მაქნისი სამართებელი, როგორ ჩაუშვა ხელები წყალში და თვალდახუტული დაელოდა აღსასრულს...

— სამართებელი, — ხრინწიანად თქვა ვასილიევმა და დაიხარა, რათა ძირიდან აეღო მოელვარე იარაღი, რომლითაც ილიამ თავი მოიკლა, მაგრამ, იმწამსვე ძლიერად გამოტყორცნა კედლიდან ახალგაზრდა კაცის ნავარჩიშევმა მხარმა, რომელმაც კინალამ მოცელა ცალკე მკვეთრი ბიძგით და ცალკე მრისხანე ბრძანებით:

— უ-კან! ხელი არ ახლოთ! თქვენ რა — გაგიჟდით?

— არ მესმის, რა...

— მერე გაიგებთ. გთხოვთ საწოლ ოთახში გამომყვეთ! — მტკიცე ხმით უბრძანა ახალგაზრდა კაცმა. ღია ფერის ლაბადა ისევ აშარიშურდა და სააბაზანოდან საწოლი ოთახის გაღებულ კარში გაფრიალდა.

აქ ნახევარ კედელზე იდგა უზარმაზარი ტრიუმო (ამპირის ვაჭრული სტილისა), რომელიც აქა-იქ გაყვითლებულიყო და საოცარი სიზუსტით ირეკლავდა დაშლილ ორადგილიან საწოლს, მის ფეხებთან დაგდებული საბნის დაქშუქნილ კონვერტსა და მოთელილ ბალიშს — საწოლს, რომლისკენაც თვალი გააპარა ვასილიევმა და მყისვე წარმოიდგინა, როგორ იწვა ზედ მარტოდმარტო ილია, როგორ ეთხოვებოდა ამქვეყნიურ ცხოვრებას, სანამ სააბაზანოში გავიდოდა.

სასთუმალთან მდგარ ტუმბოზე, თითქოს წებოვანი ლაქებით და ფერფლით რომ იყო დაფარული. შამპანურის გამოცარიელებული ბოთლი იდგა,



საფერფლეში სიგარეტის ნამწვები იყო დახევეებული. ხოლო იქვე ეგდო „სელემის“ ცარიელი კოლოფი.

ახალგაზრდა კაცი საწოლთან არ გაჩერებულა. ტუალეტის მაგიდას მიუახლოვდა. ყურადღებით დაიხარა იქ, რის შემდეგაც კარგად დაფარული თავის დაქნევით მიიხმო ვასილიევი და იდუმალებით აღსავსე ტონით ჰკითხა:

— ეს მისი ნაწერია გაზეთზე? ცნობთ? ვის სთხოვს პეტროვიჩი თქვენ, ვლადიმირ ალექსეევიჩ? დახედეთ...

ვასილიევი დაბედა.

ეს იყო გაზეთი „ვეჩერნაია მოსკვა“, რომელიც, ეტყობა, ილიამ ვესტიბულის კიოსკში იყიდა. გაზეთი მაგიდაზე იყო გაშლილი, რომელიც ილიას ან წაეკითხა, ან წასაკითხად გაემზადებინა, ანდა სხვა მიზნით დაეფინა, მაგრამ ზემოთ კაბადონის ცარიელ ზოლზე არაბუნებრივად ხვდებოდა თვალს მავდრებელი სიტყვა, გაუბედავი ხელით ორჯერ დაწერილი: „მაპატიეთ!“, „მაპატიეთ!“ ეს სიტყვა თავისი იდუმალი აუცილებლობით, შეუცნობელი მიზნის სირთულითა და სიმარტივით, ილიას სიკვდილის წინა ფიქრის აუხსნელობით სწვდებოდა გონებას, მომაცვდინებელი მახვილის მოლიტინე სიცივით მსჭვალავდა გულს. უცებ ახალგაზრდა კაცის მტკიცე თავდაჯერებულობით გაცხარებულმა ვასილიევი ჰკითხა:

— რატომ გგონიათ, რომ ილია პეტროვიჩი რამზინს ჩემთვის უნდა ეთხოვა პატიება?

— იმიტომ რომ განსვენებულის ბარათი პირადად თქვენს სახელზეა დაწერილი, ვლადიმირ ალექსეევიჩ. — წარმოთქვა ახალგაზრდა კაცმა სამართლიანობის შეუბღალავი ღირსებით, რაც ყოველგვარ ძალდატანებას გამორიცხავდა, და შემპარავი მოქნილობით გადაწია გაზეთი, რომელიც დაუწებებელ კონვერტს ეფარა. — ბარათი თქვენს სახელზეა დაწერილი, ვლადიმირ ალექსეევიჩ, იმიტომ იძულებული გავხდით შეგვეწუხებინეთ, მოგვეწყვიტეთ, ასე ვთქვათ, შემოქმედებითი პროცესისაგან, იმ ტილოების შექმნისაგან, რომლებიც ხოტბას ასხამენ შრომითს...

— თქვენ ყოფილა კრიტიკოსი ხომ არა ხართ? — გესლიანად შეაწყვეტინა ვასილიევი, რომელსაც გულში მოხვდა ახალგაზრდა კაცის ყალბი ფრაზა. — რალაც ისე მგონია, თითქოს თანამედროვე მხატვრობის შესახებ დაბეჭდილი თქვენი სტატიების ციტირებას ახდენდეთ. შეიძლება წერილი თან წავიღო?

— არა. გთხოვთ აქ წაიკითხოთ.

— რამდენადაც მესმის. — შეტოვდა ვასილიევი, — წერილი მე მეკუთვნის. მაგრამ წაღება არ შემიძლია, შინაარსი კი თქვენთვის უკვე ცნობილია?

— რა თქმა უნდა. ვალდებული ვიყავი გავცნობოდი შექმნილი... არაორდინალური ვითარების გამო. ჩვენ აქ კოქტეილისთვის არ მოვსულვართ, ვლადიმირ ალექსეევიჩ, — მბრძანებლურად შეუსწორა ახალგაზრდა კაცმა, ვასილიევს ჭიჭურ შეხედა და ისე გადასცა კონვერტი. თან საკმაო მომთხოვნელობით დაუმატა: — გთხოვთ აქვე გაეცნოთ განსვენებულის წერილის შინაარსს და, თუ შეიძლება, გამოძიების დამთავრებამდე დაგვიტოვოთ... ვიმედოვნებ, გონიერი ადამიანი ბრძანდებით და გესმით, რომ ცხოვრებაში ყველაფერი ხდება და ზოგჯერ თავისი ხელით და თავისი ნებით არ იჭრიან ვენებს...



ჯერჯერობით, ასე ვთქვათ, ქეშმარიტების ძიებაში ვართ. მაგრამ, გარწმუნებთ, ჩვენ მას ვიპოვით.

— მე ალბათ უგუნური კაცი ვარ, — ზიზლით თქვა ვასილიევმა. მაგიდის ბოლოში მდგარ ანთებულ ლამპასთან მივიდა და ახალგაზრდა ვაცს ნურგის აქცია, რომ ამ უკანასკნელს მისი სახე და აკანკალებული ხედები არ დაენახა, როცა მან წვრილად ნაწერი ფურცელი აიღო.

ერეკლესი  
გეგლეჩიშვილი

„ძვირფასო ვალოდია!

მაპატიე, სენაკას მსგავსად რომ წავედი. მაგრამ ასე უფრო მარტივი და იოლია: ჩემო ყოფილო მეგობარო, მხოლოდ ერთს გთხოვ: იზრუნე, რომ მოსკოვის რომელიმე სასაფლაოზე დამმარხონ, და მაპატიე, რომ ასე მძიმე საზრუნავი გაგიჩინე. მე აქ მინდა (ხაზგასმულია), თუნდაც რუდოლფმა (ხაზგასმულია) მოითხოვოს საელჩოს მეშვეობით. იტალიელები დიდი პატივით ეპურობიან მიცვალებულებს და შეიძლება ნება არ დაგართონ.

ყველანი ტრაგიკულად ეუღლი გარდა ამქვეყნად და ყველანი მოკვდავნი ვართ. ყველგან საშინელია (ხაზგასმულია) ყოფნა...

ვერავენ და ვერაფერი ვერ მიშეიღოს — ვერც ფული, ვერც ქალი, ვერც შენი მეგობრობა, ვალოდია.

მე პატივმოყვარე ვიყავი. მაგრამ ბედი უღმობელი გამოდგა. არავითარი კვალი არ დამიტოვებია ამქვეყნად. მხოლოდ წარსული იყო მშვენიერი: ჩვენი ეზო, სკოლა, ჩვენი მეგობრობა. სიჭაბუკე, რომელიც აღარ არის და აღარც იქნება აწ და მარადის. ალბათ იმქვეყნად ვერც შენ გიცნობ და ვერც მარიას. ან რა იქნება იქ. უსხეულობაში?

რაც არ უნდა იყოს, ჩვენ განუყრელნი ვართ მარადისობის წინაშე, და არც მე ვამბობ უარს, ჩემო ერთადერთო მეგობარო ვალოდია, წარსულზე, სიჭაბუკეზე.

არ ვიცი, რისი ღირსი უფრო არიან ადამიანები — სიბრალულისა თუ სიძულვილის. მაგრამ ლაზარევი ჩემი წერა იყო და მე იძულებული შევიქენი (ხაზგასმულია), რომ ტყვეობით გადამერჩინა თავი, იმქვეყნად აგიხსნი. მკვდარსაც კი ვერ ვაპატიე.

მარიას აკოცე და უთხარი, რომ ტყუილად გაუბრბოდა მოსკოვში ჩემთან შეხვედრას. მაინც ვერ ვნახე ვიქტორიას გამოც მაპატიე. მე აღსარებას ვამბობ და გთხოვ მომიტევო შეცოდებანი.

ალბათ ოდესღაც მომწონდა მარია, და არ ვიცი, რა იქნებოდა ჩვენ შორის, მე რომ ტყვედ არ ჩავეგდე გერმანელებს. ჩემს განსვენებულ ცოლს მარტა ზაიგელი ერქვა. გაგიყვებით ვუყვარდი. კუზიანი იყო მარტა, წმინდანი, ღვთისმშობლის ნაღვლიანი თვალებით.

აჰ, ნეტავ სხვა ქვეყანაში გამაღვიძა ზაფხულის ერთ მზიან დილას და ყველაფერი თავიდან დამაწყებინა. თუმცა ეს სანტიმეტალური როშვია.

იმასაც ვნანობ, ჩემო ძველო მეგობარო ვალოდია, რომ, სამწუხაროდ, არც შენ ნებივრობ ბედნიერების სხივებში, მიუხედავად შენი ნიჭიერებისა. არის კი საერთოდ ბედნიერება?

Finis.<sup>1</sup> რა გაეწყობა, ჩემო მეგობარო! ჩემს ბოთლში შამპანური გა-

<sup>1</sup> დასასრული (ლათ.)



მოიღია, არადა, რა იოლი იყო წერა. ვამთავრებ. ჩემთვის ყველაფერი ნათელია... აი ეს არის ჩემი უკანასკნელი არჩევანი.

ეგებ ადამიანი იარაღია ვიღაცის ხელში? ვინ ატარებს ჩვენზე უფრო უკანასკნელს? ვის სურს დაგვეუფლოს ჩვენ?

მაპატიეთ! მაპატიეთ! მაპატიეთ!

ახლა ლამის 3 საათია.

ვფიქრობ, რომ დედაჩემი, რკინასავით ქალი, მშვიდად შეხედავს ჩემს წასვლას. ღმერთი მოწყალეა. ერთი რამ მტანჯავს...

ადიუ!

თქვენი მრავალგზის ცოდვილი ილია".

ვასილიევმა სამჯერ ზედიზედ წაიკითხა ილიას წერილი, ილიასი, რომელსაც თურმე ნაშუაღამევს მოეკლა თავი. ახლა კი აბაზანაში იწვა, თავისი სისხლით შეღებილი წყალი გულამდე სწვდებოდა და უკვე აღარ შეეძლო პასუხი გაეცა კითხვაზე: „რატომ?“ არა, არავითარ სიკვდილისწინა განმარტებას არ გაუადვილებია ოდესმე ეს მარადიული „რატომ“, და ვასილიევს კვლავ წარმოუდგა, როგორ წრიალებდა რამდენიმე საათს აქ, ამ ლოგინში ილია, რომელიც გონების თვალს ავლებდა მთელ ცხოვრებას და თავისი სიცოცხლის დარჩენილ ნაწილს მოახლოებული აღსასრულის წინ და, სიმწრის ოფლით დაცვარული, იკვნეულად განიცდიდა უკანასკნელ, ერთი ამოსუნთქვის, საწუთროსაგან მოწყვეტისთვის სამყოფ წამებს. უარყოფდა ყოყმანის სისუსტეს, სიმბდალეს, ბრალს სდებდა და ირწუნებდა თავს, გადაედგა ყველაფრის დამასრულებელი, ყველაფრის გამომსყიდველი ნაბიჯი, რის შემდეგაც უფსკრულიდან მოვარდებოდა წყვდიადი და სამუდამოდ წალეკავდა ყოველგვარ ეჭვს, მთელ ქვეყნიერებას წამიერი მწვავე ტკივილით. წარმოუდგა, ყოველივე ამის გადაწყვეტის შემდეგ როგორ იწვა ილია და სვამდა შამპანურს აი ამ კიქით, რომელსაც წვეთების ნაკვალევი ემჩნეოდა. ეგებ ხმამაღლა ლაპარაკობდა, ხმამაღლა კითხულობდა ფრაზებს, წარამარა ეწეოდა სიგარეტს, დროდადრო აქეთ-იქით იხედებოდა და შიში იპყრობდა, როცა მარცხნივ სარკეების სივრციდან თვალში ხვდებოდა ვიღაცის გამხდარი, სულ მთლად გაცრეცილი უცხო სახე, უკვე სიკვდილმისჯილი. უკვე განწირული. ალბათ კრთებოდა, თავის სახეს რომ ვერ ცნობდა, დგებოდა და აკვირდებოდა ყოველ ნაოკს, თვალთა სიღრმეს, სიცივე იტანდა უფსკრულის პირას მდგარს, უფსკრულისა, რომელიც წყვდიადით სუნთქავდა, და ბოროტად დასცინოდა კვლავ სულში ჩასაბუდებლად მომზადებულ ძრწოლს, მერე სულ მთლად გაიხადა და, სანამ აბაზანაში შევიდოდა, წყალს მოუშვებდა, სამართებელს გახსნიდა და მის პირს შეათვალიერებდა, გაშიშვლებული, ძველ რომში სიკვდილით დასასჯელად მომზადებული კაცივით. საწოლზე გულაღმა დაეცა და მაღალ ნაძერწ კერს მიაჩერდა. ეამთა სვლისაგან მონაცრისფრო მტვრიან და ჩვეულებრივობით მიმზიდველ კერს, რომელიც გაზაფხულის ღამისეულ ტენიან ცას ფარავდა...

შეეძლო ილიას ტირილი? ნუთუ? მაშ რად წარმოუდგა ვასილიევს სწორედ ასეთად ილიას უკანასკნელი წუთები?

— გთხოვთ, ვლადიმირ ალექსეევიჩ, რამდენიმე აუცილებელ კითხვაზე მიპასუხოთ. თუკი, რა თქმა უნდა, არ გაგიძნელდებათ... მითხარით, თუ შეიძლება, თქვენი ქალიშვილისა და თქვენ გარდა, ბატონ რამზენთან იყვნენ



თუ არა სტუმრად კიდევ ორნი — რეჟისორი ედუარდ არკადიევიჩ შჩეგლოვი და მხატვარი ალექსანდრ გეორგიევიჩ ლოპატინი?

— რა? დიან. სწორედ აგრეა. იყვნენ, იყვნენ... — წაიდუღუნა ვასილიევმა, რომელსაც ყრუდ ჩაესმოდა ახალგაზრდა კაცის დაძაბულ-თავისნაირი ხმა და ამასთანავე არ ძალუძდა განთავისუფლებულიყო მომნუსხველი სურვილისაგან — ჩაეჩედა სარკის მოწმისეულ სიღრმეში. ეგებ საწოდვეს და წაიღოს დღის უამრავ ანარეკლთა შორის სხვა ვერცხლისფერი სამყაროდან დასაწყისი რეცილი, თითქმის უცნობი სახეც გამოჩნდესო, ჭერ კიდევ ცოცხალი, გამოთხოვებისუამინდელი, საკუთარი თავისადმი ზიზღითა თუ ტანჯვის დათმენით შეშლილი იმ წუთს, როცა სააბაზანოს კარისკენ უნდა გადაედგა ნაბიჯი. „თუ თურმე კიდევ რატომ ჩამოაფარებენ ხოლმე ფარდას სარკეებს განსვენებულის სახლში“. — გონებაში გაუელვა ვასილიევს და ანგარიშმიუცემლად მიუახლოვდა სარკეს, რომელიც მისი სუნთქვისაგან შეიორთქლა, ლოგინ-მოთელილი ორადგილიანი საწოლის ანარეკლს შეხედა, ლოყით იგრძნო გვერდით, სააბაზანოს ღია კარიდან მონაბერი სუსხი, სადაც ახლა ილია იწვა, წერილიანი კონვერტი ტუალეტის მაგიდაზე დადო და ნელა გავიდა გაზაფხულის მზის სხივებით ავსებულ და გამთბარ მეორე ოთახში, რომელიც ჩაბნელებულ საწოლ ოთახთან შედარებით ვრცელი იყო და რომელიდაც მხიარულ საბანკეტო დარბაზსაც კი ჰგავდა.

— თქვენ რაღაც მკითხეთ... რა მკითხეთ?... — შუბლი შეეკმუხნა ვასილიევს სავარძელში ჩაჯდომისას და იგრძნო, როგორ ასტკივდა კეფა, რომელსაც პლაგვი ბურღით უხვრეტდნენ.

— არ შემეძლო, რომ არ მეკითხა თქვენთვის: ვინ ესტუმრა გუშინ თქვენთან ერთად ბატონ რამზენს? თქვენი ქალიშვილი, რეჟისორი შჩეგლოვი და მხატვარი ლოპატინი?

— დიან, — გულგრილად მიუგო დადლილმა ვასილიევმა. — მაგრამ რაღას მეკითხებით, თუკი თქვენ ეს კარგად იცით?

— ვლადიმირ ალექსეევიჩ, როგორმე უნდა მოითმინოთ და შეეცადოთ პასუხი გასცეთ ფორმალურ კითხვებს, — ცივი ლმობიერებით წარმოთქვა ახალგაზრდა კაცმა, თან ხაზი გაუსვა სიტყვას „უნდა“ და ვასილიევის პირდაპირ მდგარი სავარძლის საიდაყვეზე ჩამოჯდა, მსუბუქი ლაბადის კალთა გადაიწია, პიჯაკის ჯიბიდან რონსონის სანთებელა ამოიღო, სიგარეტს მოუკიდა და თავაზიანად მიუთითა მაგიდასთან მჯდარ ვიწროსახიან ხნიერ კაცზე, — და ჩემი კოლეგის რამდენიმე კითხვას, რომლებიც აუცილებელია დეტალების დასაზუსტებლად.

ვიწროსახიანმა ხნიერმა კაცმა მაგიდაზე მომლოდინედ კაცუნს თავი ანება და უხალისოდ დაიწყო ლაპარაკი უანგიანი ხმით (ეტყობა, თამბაქოს წევის ბრალი იყო) იმის დასაზუსტებლად, რომელ საათზე მოვიდნენ და წავიდნენ სტუმრები, ყველანი ერთად წავიდნენ თუ ვინმე დარჩა ან მერე მობრუნდა, ხომ არავის დაურეკია ბატონ რამზენისათვის სუფრაზე ჯდომისას. ხნიერი კაცის წრიპინა ხმა თუნუქის ეკლიან აბლაბუდასავით ეხვეოდა ვასილიევს, და ისიც ანგარიშმიუცემლად პასუხობდა, დაწვრილებით და დაგვიანებული დაკითხვით დათრგუნული და კეფაში ყრუ ტკივილით გატანჯული (მან იცოდა, როდის ეწყებოდა ხოლმე ასეთი ტკივილი). ხედავდა, როგორ აჭერდა ავტომატურ კალამს გაძვალტყავებული თითი და როგორ იკლაკნებოდნენ მუხლუხობივით ფურცელზე პწკარები, როგორ მოცოცავდნენ ზემოდან ქვემოთ



სწორი, აკურატული აბზაცები, მკვერთ კვადრატებად, მსხვილი ცისფერი მუხლუხობების მთელ რაზმებად, და თეთრ მართკუთხედს თანდათან ავსებდნენ სიტყვათა აურაცხელი ლეგიონებით, რომლებიც ცხადყოფდნენ, ავლენდნენ და აზუსტებდნენ იმას, რასაც ცოცხლად გადარჩენილი ვერასოდეს ვერ ახსნიან, ვერ გამოავლენენ და ვერ დააზუსტებენ.

„არაფერი ამგვარი არ გამოადგებათ ქეშმარიტების დასადგენად“ — ფიქრობდა ვასილიევი, რომელსაც სული ეხუთებოდა, ვიწროფეხი, მოუკერძოებელი სამართლიანობის იმავე ტონით განაგრძობდა მის დაკითხვას, იწერდა პასუხებს, აშრილებდა ფურცელს, დროდადრო მრავალმნიშვნელოვნად დუმდა და მწვანე თვალებს მკაცრად მიაპყრობდა ხოლმე კარგადებულ საწოლ ოთახს, თითქოს ამით ამტკიცებდა მომხდარი ამბის განსაკუთრებულობას და დასმული კითხვის სერიოზულ აუცილებლობას, თან გამობურცული ხეანჩის ქვეშ ფართოდ გაკვანძულ პალსტუხს ისწორებდა.

ზოგჯერ გულზე ხელებს გადაიჯვარედინებდა, ჩანაწერს შეწყვეტდა და ერთფეროვნად იღიმებოდა, მაგრამ უღიმღამო სხივი მაინც არ შორდებოდა მის უნდო თვალებს, რომლებიც პირდაპირ ვასილიევის შუბლისთვის მიეპყრო. და მაშინ ვასილიევი ამ კაცის სამსახურებრივი სკრუპულუზური ექვიანობით გამოწვეულ გაღიზიანებას გულში იკლავდა და კრინტს არ ძრავდა ან მოკლედ, კბილებში გამოცრით უპასუხებდა, გაცხარებული და გაცეცხლებული ამ პროტოკოლური, არსებითად არაფრის დამდგენი კითხვებისაგან, რომლებსაც ილიას წერილის შემდეგ არავითარი აზრი აღარ ჰქონდათ, ბოლოს ველარ მოითმინა და აშკარა წყრომით თქვა:

— არ გეჩვენებათ, რომ ჩემი პასუხები არაფერს არ უმატებს იმას, რაც მოხდა? ეს ყველაფერი ამაოა, სცდებით, თუ ფიქრობთ, რომ ყველა ციხე-კოშკის გასაღებს ჩემთან იპოვით. სამწუხაროდ, ასე არ არის.

ლია ფერის ლაბადიანმა ახალგაზრდა კაცმა ჩუმად ჩაიციინა, კვამლი ამოუშვა, ნათელი მზერა მიაპყრო ქერს და თქვა:

— გასაღებიო, თქვით?

— ჰოო, გასაღები... კიდევ ერთი კითხვა, ვლადიმირ ალექსეევიჩ, — დაკინებით წარმოთქვა ვიწროსახიანმა და ლოყებჩაცვივრულ სახეზე ყვრიმალევი დაებურცა... — განსვენებული ბატონი რამზენი რუსული წარმოშობის იტალიელი მოქალაქე იყო, როგორც ცნობილია. სიკვდილისწინა წერილში, რომელიც თქვენ გეკუთვნით... და გაზეთზეც, რომელიც უმიზნოდ არ დაუტოვებია ტუალეტის მაგიდაზე, ანუ გამოსაჩენ ადგილას, მან სამჯერ დაწერა სიტყვა „მაპატიეთ“ ძახილის ნიშნით. შეგიძლიათ თუ არა თქვათ, რა აწუხებდა მას? ხომ არ მოგივიდათ გუშინ რაიმე უსიამოვნება ან ჩხუბი?

— უსიამოვნება ან ჩხუბი? მოგივიდა, — ცივად მიუგო ვასილიევმა. — მაგრამ ეს სხვა ამბავია და არაფერს მოგვცემს.

ვიწროსახიანმა წარბებით გამოხატა გაძლიერებული ყურადღება.

— მოგივიდათ? უსიამოვნება? როგორი?

— საჭიროდ არ მიმაჩნია ვილაპარაკო იმაზე, რასაც თვითმკვლელობასთან უშუალო კავშირი არა აქვს, — თქვა ვასილიევმა და იმის მიხედვით, თუ რა გაჯავრებით წამოხტა ლაბადიანი ახალგაზრდა კაცი სავარძლის საიდაყვოდან და რა ძალით ჩაბრაუნა სიგარეტის ნამწვი საფერფლეში, იმის მიხედვით, თუ როგორ მოჰყვა მისი ვიწროსახიანი კოლეგა მაგიდაზე თითების კაკუნს და როგორ გადახედა მას, ვასილიევი მიხვდა, რომ ორივე კაცს დავალებ



ბული ჰქონდა გამოეძიათ უცხოელის მკვლელობის ვითარება და მიზეზი, და, მაშასადამე, ისინი შეკითხვებს მანამდე მისცემდნენ, სანამ არ დარწმუნდებოდნენ იმ არგუმენტაციის ჭეშმარიტებაში, რომელიც ამომწურავი და აქცილებელი იქნებოდა საქმის გასარკვევად. რა თქმა უნდა, არც ერთს არ შეიძლებოდა სცოდნოდა ილიას და მისი ურთიერთობის სირთულე, მათ შორის განვლილი გრძელი გზა ომამდე სკოლის დღეებიდან გუშინდელ ღამისათვის, როცა ილიამ (ბევრი რამ მხოლოდ ახლა იძენდა ლოგიკურობას), ეტყობა, თავის მოკვლა გადაწყვიტა. ისე უზომოდ სვამდა შამპანურს და თამბაქოს ეწეოდა, როგორც ვასილიევმა შეამჩნია გუშინ, სხვაგვარად არც ილიას ის გულჩათხრობილი განწყობა, მერე გამოთხოვება და უხერხული კოცნა იქნებოდა, უფრო სწორად — ლოყაზე ლოყის მამაკაცური მიდება სამუდამო განშორებისას — ილიას ლოყის ყინულოვით ცივი ოფლი ჯერ კიდევ ელიტინებოდა ლოყაზე, არა, ასეთ რამეს ვერავის ვერ აუხსნიდა, გარდა გრძნობებში გაფრეხილი ლოპატინისა; როგორ აკლდა იგი ამ წუთებში, ორივენი უფრო ადვილად და ნათლად შეიგრძნობდნენ ილიას ყოველ ფრაზას, გუშინ, სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე რომ წარმოთქვა. მაგრამ ვასილიევი გრძნობდა თვითმკვლელთა გამბედაობისა და მათი ნებისყოფის შეუცნობლობას, რომელიც ჰქონდა ილიას, სხვებზე უფრო ძლიერსა და შეუპოვარს.

და ვასილიევმა უსაშველოდ დაღლილი ადამიანის ნელი ხმით თქვა:

— გამახსენდა... და გავიფიქრე: „დაე მთელი მსოფლიო დაიღუპოს, ოღონდ იუსტიციამ გაიმარჯვოს“... რა კარგია ჭეშმარიტების ცოდნა... მაგრამ ეს ხომ საშინელი და სასაცილოა — ვის და რისთვის სჭირდება ჭეშმარიტება, თუკი მისი გამარჯვება უფსკრულს წარმოშობს... ადამიანთა შორის... თქვენ გესმით ჩემი? მე არ მინდა ვინმეზე უმიზეზოდ ეჭვობდნენ, ხომ ხედავთ, რა მოხდა აქ? აქ მკვლელობა არ მომხდარა, მე ვერაფერს ვერ დავუმატებ.

— თავაზიანი არ ყოფილხართ, ვლადიმირ ალექსეევიჩ, მაინცდამაინც კარგად არ მესმის თქვენი. — თითქმის საყვედურით წარმოთქვა კრემისფერლადიანმა ახალგაზრდა კაცმა. ოდნავ ამოიოხრა და თითქოსდა განაწამები თვალები დახარა. — თქვენამდე აქ გახლდათ იტალიის საელჩოს წარმომადგენელი, და შეიძლება ისე არ იყოს ყველაფერი, როგორც თქვენ ფიქრობთ... არ გნებავთ უპასუხოთ ჩვენს კითხვებს, რათა ზოგი რამ დაზუსტდეს?

— განა მთავარი ის არის, რასაც მე ვეტყვით? მე ხომ მთავარი არ ვიცი, და არც არავინ არ შეიძლება იცოდეს სიცოცხლისა და სიკვდილის შესახებ მთავარი.

— მაშინ გთხოვთ, ასე ვთქვათ, წერილობით აგვიხსნათ, რა მოხდა გუშინ ამ ნომერში.

— და თქვენ მიგაჩნიათ, რომ ჭეშმარიტება გაიმარჯვებს?

— გთხოვთ, ძალიან გთხოვთ.

ყველაფერი ბრწყინავდა, ელავდა მოედანზე, შარიშურით მიჰქროდნენ ავტომანქანები, ბულვარის გასწვრივ ინთებოდნენ და ათინათებს ირეკლავდ-



ნენ ტროლეიბუსების შუშები, ფოიერვერკისებრი ნაპერწკლებს ფანტავდნენ ბიგელები, გუბებში იმსხვრეოდნენ მარტის მზის სხივები, და ყველგან ტრიალებდა გაზაფხულის, მდნარი თოვლის, ჰაერის თბილი ტენის სურნელი, ორთქლი ასდიოდათ ყინულის ნამტვრევებით მოფენილ სველ ტროტუარებს, აქა-იქ ბოლავდა მზის გულზე გამთბარი მოედნის ასფალტი. ხოლო ცენტრში, როგორც ყოველთვის, ჯგუფ-ჯგუფად მიმოდიოდნენ გაქვრივებული, რომლებიც საზამთროდ აღარ იყვნენ გამოწყობილნი. ბევრიც უკვე უქუდოდ იყო. ინტურიტის ორი ავტობუსიდან, რომლებმაც შიშინით დაამუხრუჭეს, სასტუმროს სადარბაზოს მოაწყდნენ ნაირფერი უცხოელები მოშარიშურე ქურთუკებითა და გრძელწინსაფრიალი კასკეტებით, ჭრელ-ჭრელი სამგზავრო ჩანთებით, ფოტოაპარატებით, და ვასილიევი უცხოური ლაპარაკისა და ხორხოცის ალყაში მოექცა. გვერდით ჩაუარეს კმაყოფილმა, მაძღარმა, უყურადღებო თვალებმა, ცხვირში ეცა უცხო ლოსიონის, უცხო პომადის მოტკბო-მომწარო სუნნი, გაიგონა ნაცნობი სიტყვა „ЯВЛЯ“, რომელიც ჯერ ეკალივით ჩაესო მეხსიერებაში, მერე კი ბოლოწვეტა წითელ ტივტივასავით დაირწა მზის მხურვალეებაში. და მაშინვე გაიფიქრა, რომ „ЯВЛЯ“-ესაა ომი, გერმანელები, უკრაინის სიცხე, ლეიტენანტის წოდება, ილიასა და მისი სიჭაბუკე და ღამის ის უთანასწორო ბრძოლა რკინიგზის გადასასვლელზე, ჯერ კიდევ ბედნიერი და საბედისწერო წუთები ილიასი, რომელიც იწვა ახლა აი ამ სასტუმროში, საითაც გერმანელები მოემართებოდნენ, თავის ნომერში მეორე სართულზე, რომელიც მთელი ღამე გახატებული იყო სააბაზანოს მქრქალი პლაფონებით და მკერდამდე სცემდა მოყავისფრო სისხლიანი წყალი. მას დაემთავრებინა ყოველგვარი ჭიოლი ცხოვრებასთან, რომლის რჩეულიც უნდა გამხდარიყო, მაგრამ არ გამხდარა, მაგრამ ვინ იცის, სად იყო მისი დამღუპველი დანაშაული და როდის დაიწყო ყოველივე ეს? ზამოსკვორეჩიეში გატარებულ ბავშვობაში? თუ ორმოცდასამის ზაფხულში? იქ, გადასასვლელთან, როცა ქვემეხები მიატოვეს და ბრუნდებოდნენ, ილია კი, გაცოფებული, დამბაჩაში სამ ტყვიას ინახავდა — ორს ლაზარევისთვის, ერთს თავისთვის? არც ეს იცის ვინმემ ზუსტად. ყველაზე მთავარი ის იყო, რომ სიცოცხლეს გამოესალმა ილია — ის ახალგაზრდა, ძლიერი, შეუდრეკელი, შავი დამცინავი თვალების მწველი და საშიში ელვარებით დამმორჩილებელი, და მეორე ილია, ცხოვრებით გატანჯული, ავადმყოფი, სასოწარკვეთილი, რომელსაც აღარაფერი აღარ სურდა...

„მესმის კი, რა მოხდა? სიცოცხლის ნაწილი მომწყდა? ილიას გარეშე არ შემოძლია წარმოვიდგინო არც ჩემი ბავშვობა, არც ომი, არც სიჭაბუკე...“

ვასილიევი ვერც მოედანზე გადმოხურულ ცის ლაყვარდოვან სიღრმეს ხედავდა, ვერც გუბებში გადმოსროლილ მზის თვალისმომკრელ შხეფებს, ვერც ქუჩებში თოვლის დნობას, ვერც ბრბოს, ზამთრის ძილისგან გამორკვეული დიდი ქალაქის, ამ გაზაფხულისეული და დაუოკებელი კალეიდოსკოპის ქაოსს. სასტუმროს კუთხეში მდგარ ავტომატის ჯიხურში შევიდა, რომელზედაც მზიარულად წკარუნობდნენ სახურავიდან დამრეცად ჩამოღვრილი ნაკადები, და ლოპატინის ნომერი აკრიფა. ყელში ბოდმამოწოლილს, სიგნალები არ ესმოდა, თვალები დაეხუჭა და დიდხანს იდგა ასე ნაკადთა ამ გაშმაგებულ ხმაურში.



## თავი მეოცე

რამდენიმე დღის შემდეგ შუალამისას გაეღვიძა თავის სახელოსნოში. სულისხმეთვა აწუხებდა. კვნესით წამოჯდა საწოლზე, კეფით კედელს მიეცა და შეეცადა ღრმა სუნთქვით მოეწესრიგებინა უთანაბრო გულსცემი.

„არა, ასეთი რამ არასოდეს მიგრძვნია, — ფიქრობდა ვასილიევმა. — ელდამ მელვიძე და ვწრიანებ. რატომ არ გამიარა?... ჯერ კიდევ უნდა წლის წინ სხვაგვარი ვიყავი. კარგად ვცხოვრობდი და წარმატებებით, მაშასადამე სიყვარულით და სახელოსნოში დაუსრულებელი საყვარელი სამუშაოთი ვიტყუებდი თავს. რა მტანჯველი და საამო იყო სილამაზის ძებნა ადამიანთა სახეებში, ხელებში, გზისპირა ოროვანდის ფოთლებზე დაკიდებულ გაზაფხულისეულ ვერცხლისფერ ცივ ნამში, შემოდგომის პაეში, წყნარი ლურჯადმის თოვლში... მერე? იპოვე? მაშ უპასუხე თავს, რა არის სილამაზე? სიწართლე? ბუნების გაშიშვლებული არსი? სიყვარული? ტანჯვა? ძალგვიძს კი დასტურ ვიცოდეთ, რას ნიშნავს ჩვენთვის სილამაზე? მაშ სად არის? სად? და ისევ ყველაფრის სიბრაღული და ეს გამტანჯველი მოუსვენრობა, — თითქოს რაღაცა დაგვიკარგავს და ვერ შეგვიგნია, რისთვის ვჭირდებით ყველანი ერთმანეთს. უამისოდ კი არაფერს არავითარი აზრი არა აქვს. არა, ეს არ არის მთავარი. ყოველ ჩვენგანს გამოგონილი ცხოვრებით სურს იცხოვროს, და ჩვენ ბუნებრიობა დავკარგეთ. ჩვენ ყველანი დამნაშავე ვართ ერთმანეთის წინაშე. ალბათ მოაშთვეს მიწა... ნუთუ ეს არის არჩევანი მეოცე საუკუნისა? თ, ნეტავ საკუთარი თავი შეგვაცნობინა! არა, ახლა ამაზე აღარ უნდა ვიფიქრო, მე უნდა დავიძინო — ამაშია ხსნა. არავითარი ფიქრი, და ყველაფერი იოლი იქნება... ესეც არჩევანია — ფიქრზე უარის თქმა. სადღაც აქ, ტუმბოზე, დიშედროლი იყო, სალამოს დავდე, წყალიც არის ჭიქაში, ერთ აბსაც მივიღებ და დავიძინებ, დავიძინებ...“

ხელის ფათურით მოძებნა ტუმბოზე აბი, გულს მოეშვა დამშვიდების მოლოდინში წყალი დააყოლა და ძლივძლივობით გადაყლუპა, მერე კულაღმა წამოწვა. წამალმა ენა გაუცივა და დაუბუჟა.

„ახლა უკეთ გავხდები...“

მხსნელი ძილი კი არა და არ მოდიოდა, მხოლოდ რაღაც მბრძანებლურმა ძალამ დაუბრუნა ამასწინანდელ ჯანლიან, ავდრისწინა დღეს, და იქ, იმ მოღრუბლულ დღეს, იგრძნო რაღაცნაირი შვება, როცა ყველა გამოსათხოვარი პროცედურა დამთავრდა და პირველმა დატოვა სასაფლაო დაკრძალვის მონაწილემ, იტალიის საელჩოს ენაძვირმა წარმომადგენელმა, ხოლო ოთხმა მესაფლავემ, გაოფლილებს ქურთუკები რომ გაეღელათ, მუშაობა სწრაფად დაამთავრა, ჩამოცვენილი ბელტები ნიჩბებით შეაყარა მიწის მოგრძო ბორცვს, მოსკოვის ახლოს მდებარე სასაფლაოს ეანგიანი ღობეების ბოლოს რომ აღიმართა. მათ დააღაგეს გვირგვინები, რომელთა ხელოვნურ ყვავილებს შარიშური გაჰქონდათ, და ვასილიევმა პირი იბრუნა, მათი უხამსი გრიმი რომ არ დაენახა, ხოლო ირგვლივ იასამნისფერ ნისლში გახვეულიყვნენ უკვე წვენიტ გაყვანილი შიშველი არყის ხეები, სქელნისკარტა შავი ქილყვავები ბატონ-პატრონებივით დააბიჯებდნენ შარშანდელ სველ ხნულზე, და ყველგან მიმოფანტულიყო ადრიანი გაზაფხულის სინათლე — თბილი მზე იგრძნობოდა ღრუბლებს ზემოთ, თუმცა წვიმას აპირებდა, და კვლავ ტრიალებდა გამდნარი თოვლისა და ნოტიო პაერის სუნი. მხოლოდ სასაფლაოს მარცხნივ



იწყებდა მოწმენდას ცა, და თვალისმომკრელ მარტის ცაზე, შორიასლო მდებარე სოფლის სახურავების ზემოთ მიცურავდნენ თეთრი ღრუბლები, დამძიმებულნი, ქარისაგან იალქნებივით დაბერილნი. „ეს უნდა დავიმახსოვრო, — გაუელვა ვასილიევს და თავისი თავისადმი მტრული გრძნობით გაიფიქრა, — თუ რა სამუდამოდ მოწამლა მესხელების ჩვეულმა მუშაობამ, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე ყოველდღიურად ავარჯიშებდა, და წყნარად — არა, ეს მართლა სიგიჟეა — ვუცქერი ადამიანს, მგონია, რომ მუშაობის ნაფიქრალს და ვიმახსოვრებ მის ნაფიქრალს და ვიმახსოვრებ მის თვალთა გამომეტყველებას...“

რაისა მიხაილოვნამ, რომელსაც ორ დღეს ცუდად ჰქონდა გული, გაჯავრებით უარყო მარიასგან შეთავაზებული ყოველგვარი დახმარება, — არავინ იცოდა, რამ გაანაწყენა ასე ძალიან, — სასაფლაოზე ყველასთან ერთად წასვლა არ მოინდომა, ვიქტორიას სთხოვა „დახმარება“ და მისი თანხლებით მოვიდა ტაქსით, მაგრამ მანქანიდან არ გადმოვიდა; მასთან რიგრიგობით მოდიოდნენ სამძიმარზე. ეტყობა, ძალა არ ჰყოფნიდა, ხოლო როცა ნიჩბებით აყრიდნენ მიწას ყავისფერ ჭრილში ჩაშვებულ კუბოს, არ მოიშორა დაბნეული ვიქტორია, ისე იჭდა ჩაკეტილ სარკმელს იქით, უკან სკამზე. სარკმელს მიღმა მოჩანდა გალუული, უღიმღამო, განაწყენებული, თაბაშირის ქანდაკებასავეთ გაქვავებული გოროზი სახე და ჭალარა თავზე კლოუნის ქუდივით უცნაური ოცდაათიანი წლების დროინდელი შავი შლაპა. სიტყვა არ უთქვამს, ისე გასცილდა იქაურობას. უკანა შუშისკენ მიბრუნებული ვიქტორია ყველას რაღაც გაუგებარი ნიშნებით ემშვიდობებოდა და წარბები ტირილითა თუ სასოწარკვეთით ექმუხნებოდა. სწორედ მაშინ მოაგონდა ვასილიევს ქალიშვილის მიერ გუშინ სახელოსნოში ნათქვამი სიტყვები: „მამი, მაპატიე სულელური საქციელისათვის, მაპატიე...“

მერე მდუმარედ გასწიეს სასაფლაოს ბოლოს სოფლის შარაზე დატოვებული მანქანებისაკენ. ლოპატინმა თავისი დანგრეული „ვოლგის“ საბარგული გახსნა, გამოხდილი წყლით სავსე პოლიეთილენის კანისტრა ამოიღო და ბელების ბანას შეუდგნენ. ისინი იშორებდნენ იმ წებოვან თიბას, რომელიც თითოეულმა მათგანმა პეშვით ჩაყარა საფლავეში.

— დრო მოვა, დრო მოვა... და ყველანი აქ ვიქნებით, — ამოიოხრა შჩეგლოვმა და ცხვირსახოცი თითები შეიმშრალა. იგი აღელვებული, გაოგნებული იყო ილიას სიკვდილის ჭერაც გაუგებელი წვრილმანებით, მორგის დამთრგუნველი ვითარებით, საიდანაც ცხედარი გამოასვენეს, მოსკოვის ახლოს მდებარე მივარდნილი სასაფლაოს ძველი ხავსმოკიდებული ჭვრებით, დაფერდებული ღობეებით, სოფლის ამ სასაფლაოსი, სადაც ვასილიევს ილიას დაკრძალვის ნება დართეს. შჩეგლოვმა მკვუნვარებით მოიხსნა სათვალე, უმიზეზოდ გაუსვა სევდისმომგვრელად გამაახალგაზრდავებელი ღუბლიონკის ბეწვიან გულისპირზე. ტუჩები ააცმაცუნა, და უცებ აქ, მინდვრად, სუფთა პაერზე, აშკარად გამოჩნდა მისი ბებრულად გამჭირვალე და გალუული სახე, კისრის ძარღვიანი ნაკეცი, უძლური ნაოჭები არყოფნასთან მიახლოებული ადამიანისა, რომელმაც უკვე კარგა ხანია სამოცდაათს გადააბიჯა, და მისი ხმაც უცნაურად მისუსტებულად, უსიცოცხლოდ გაისმა. ამ ხმამ ვერ შეიძინა ის ჩვეული ომახიანობა, რომელიც ხალისიანი ცხოვრებისაგან მოუწოდებდა კაცს.

— რა სამწუხაროა ირგვლივ ყველაფერი. რა სამწუხარო, გლოვის ზარები



გვეხმარებიან მარადისობიდან... შეგვახსენებენ, რომ ყველას ჟამი დაჰკრავს და იქ, ზეციურ ნუსხაში ერთ მშვენიერ დღეს საბედისწერო ჯვარს დაგვისვამენ. მოწყალეო ღმერთო, თვალი ამარიდე, დაე აქ დავშთე მე, უგუნური, ცოდვილი, რაითა ვათრიო დღენი ჩემნი. — ლოცვასავით და ამისთანავე სიტყურად თქვა ერთი წუთის შემდეგ, ალბათ იმიტომ, რომ არ გაემგზავნებინა ის პანიკური შიში გარდუვალის წინაშე, რაც მისი ნება-სურვილით მომდევნო. — სულგრძელად და ეუცრად გამოეხატა სახეზე. — მეგობრებო, მაგრამ მწუხარების ჟამს გრანდიოზული რამ მომავონდა, — განაგრძო მან და განზრახ გაწელა სიტყვები, თითქოს გემოს უსინჯავსო, სათვალე გაიკეთა და შთამბეჭდავად შეკმუხნა შუბლი თავზე ჩამოცმულ ბერეტქვეშ, რომელიც ასევე აახალგაზრდავებდა. — სამიოდე თვის წინ ძველი რეჟისორი სერებრიაკოვი დავმარბეთ ნოვოდევნიჩზე. ყველაფერმა წესიერად, კარგად ჩაიარა, ლამაზი ეპითეტები: „გამოჩენილი“, „დაუვიწყარი“, „უზუცესი“, და მისთანანი... და როცა ყველამ კიშკარს მიაშურა ქელების მოლოდინში, ჩემთან მოდიან ახალგაზრდები მისი თეატრიდან, ჟან-ლონით სავსე ულაყები და ქაკები, ხომ იცით, და მეკითხებიან: „ჰა, თქვენ როგორღა ბრძანდებით?“ გრანდიოზული და მშვენიერი რამ არის! ჰა?..

— ეგ უკვე გვიამბეთ, ჩვენ რა — უნდა გავიცინოთ? — აბუზლუნდა პირმოღუშული ლოპატინი, ჩვრით ხელების გაწმენდას თავი ანება და აღმაცერად გახედა მარიას, რომელიც საფლავთან გაჩერებულიყო და არქარებით ურიგებდა ჩანთიდან ამოღებულ ფულს ბარებიან ოთხ ჰაბუკს. — მაშა, ზედმეტია! ვმარა! ბიჭებს ნუ რყვნი, გესმის? მაგათ საკმარისად და უფრო მეტიც მიიღეს! — საყვედურით აღსავსე ბუბუნით თქვა მან, და ვასილიევისთვის ნათელი გახდა, რომ ლოპატინის ენერგიისა და დახმარების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ნებართვებისა და ფორმულების, შეთანხმებების, და დიდი თუ მცირე ქაღალდების მთელი ლაბირინთის გავლა იმისათვის, რომ მშობლიურ მიწაზე დაეკრძალათ ადამიანი უცხოური პასპორტით.

— რა უცნაურია, რა უცნაური... — ჩურჩულებდა თვალგებდახრილი და ცრემლებით წამწამებდამძიმებული მარია, რომელიც ნელ-ნელა ახლოვდებოდა.

შჩეგლოვმა იდაყვზე ხელი მოჰკიდა. ნაზად აკოცა ნატის შავ ხელოთმანზე მაჯასთან ახლოს და მანქანასთან მიიყვანა.

— ყველაფერი უცნაურია, მაშენკა, ამ ქვეყანაზე, ყველაფერი უცნაურია. — წარმოთქვა ედუარდ არკადიევიჩმა, თავი დახარა და ამით მკმუნვარედ თანაუგრძნო მწუხარებისგან დაბნეულ მარიას. — ისიც უცნაურია, ჩემო კარგო, რომ ადამიანის სიკვდილის შემდეგ მისი ცხოვრება ისევე უბრალო რამედ გვეჩვენება, როგორც ცხვრის ერთი დაბლაკლება.

— მე კი არასოდეს აგრე არ მომჩვენებია, — შეესიტყვა მოღუშული ვასილიევი. — მაპატიეთ, მაგრამ თქვენ რაღაც სისულელე მოჩმახეთ, არც თქვენი უაზრო გონებადამხვილობა მესმის და არც თქვენი უადგილო მხიარულება.

— ო, თქვენ ორივენი საშინელი გახდით! ორივენი უღმობელი ხართ ჩემ მიმართ — თქვენც, ალექსანდრ გეორგიევიჩ, და თქვენც, ვლადიმირ ალექსეევიჩ! აუტანელი! — დასტყვილა ედუარდ არკადიევიჩმა, თვალები ააპარპალა, აქმინდა, სრულიად ბავშვურად განაწყენებულმა ამოისლუკუნა (ეს ადრე არასდროს მოსვლია, თითქოს ყველა საყრდენი გამოეცალათ) და, მოკუზულ-



მა, თავის ცახცახით, რის გამოც შეურაცხყოფილი კანტურით ერხეოდა ფართო ბერეტი, ხელის ფათურით მოძებნა ლოპატინის მანქანის კარის სახელური, ამოდ შეეცადა გამოეღო იგი და ცრემლიანი, საყვედურით აღსავსე წამოძახილებით იმეორებდა: — ჩქარა, ჩქარა წავიდეთ აქედან! ~~გთხოვთ წამიყვანოთ აქედან...~~ ღმერთო, თქვენი მხიარულებათ! მხიარულებ! ადამიანისა, რომელიც უსიზარულოდ ცხოვრობს! თქვენ ორივეს გქუდუფრულქი გეზიზღებით... და ეს საოცრად უსამართო საქციელია! გთხოვთ ~~გთხოვთ~~ ჩემს მხმეტეს მაინც სცეთ პატივი!..

მაგრამ მთავარი, რაც ხსოვნაში ჩარჩა ვასილიევს, ედუარდ არკადიევიჩის ნერვული აშლილობა კი არ იყო, არამედ ის, რაც მთელი ეს დღეები ტკივილის მომგვრელი წვრილმანებით აგონდებოდა.

ის იყო ედუარდ არკადიევიჩი დაამშვიდეს და მანქანებში ჩასხდნენ, რომ მაშინვე იძულებული შეიქნენ გვერდზე გადაეხვიათ და გზა დაეთმოთ ქვეითად მომავალი სამგლოვიარო პროცესიისათვის, რომელიც სოფლისმხრიდან სასაფლაოსკენ მოემართებოდა.

ათიოდე ადამიანი მოჰყვებოდა გზას, მათ წინ ნელა ირხეოდა რაღაც ვიწრო, წითელი, თავდაპირველად დახვეულ დროშას რომ ჰგავდა. შემდეგ კი ცხადი შეიქნა, რომ კუბოს წითელი სახურავი მოჰქონდათ, უჩვეულოდ პატარა, ჩვილი ბავშვის კუბოსი, და ამ სახურავის უკან ოდნავი რწევით მოაბიჯებდა ტანდაბალი ქაბუკი, უპალტოოდ, ფოლადისფერი ახალი კოსტიუმით. მხარზე გადაეგდო დახვეული ქათქათა ზეწარი, და ამ შემოსაკრავით მოჰქონდა ბავშვის კუბო, აქეთ-იქით ხელები ჩაევლო და თან თვალს არ აშორებდა იმას, რასაც ძალიან ახლოს ხედავდა თოვლივით ქათქათა, ქარისგან მოფრიალე საბნის ქვეშ. ქაბუკს აედრისწინა ძლიერი ქარი უწეწავდა ქერა თმას, შუბლზე უყრიდა და ჩალისფერ ფარდასავით ეფარებოდა, — და ამ თავზარდაცემული კაცის სიარულზე ვასილიევი ყველაფერს მიხვდა..

მერე ჯგროდ მოაბიჯებდნენ მდუმარე ახალგაზრდები გატენილი ბადეებით, სურსათ-სანოვავის ჩანთებით, რომლებიც არავინ უწყის, რისთვის წამოეღოთ აქ, სასაფლაოზე, ხოლო ბრბოს შუაგულში რწევა-რწევით მოდიოდა, თან ცხვირსახოცით ლოყებს იმშრალებდა და უშნოდ ქვითნებდა თავაწეული, შუბლგაწითლებული, სახეგასიებელი შეუხედავი ახალგაზრდა ქალი, რომლისთვისაც უხერხულად გამოედო მკლავში ხელი დაბამბულ ჯუბაში გამოწყობილ ხნიერ კაცს და ისე მოჰყავდა. ვინ იყო ეს ქალი? ჩვილის დედა? ნათესავი? ქაბუკის და?

მარცხნივ, სასაფლაოს კიდესთან შეუხვიეს, მერე გვერდზე გადავიდნენ და სამგლოვიარო პროცესიას გზა დაუთმეს. უეცრად ვასილიევმა ისეთი ნათესაური, ისეთი მწარე სიახლოვე იგრძნო ამ თავზარდაცემულ ქაბუკთან, ამ უსახურ, უშნოდ მოტირალ ახალგაზრდა ქალთან, გზად მიმავალ ჩანთებით დატვირთულ ამ ადამიანებთან, თითქოს ათასობით წლების განმავლობაში იცნობდნენ ერთმანეთს, შემდეგ კი ამპარტავნობამ, მტრობამ და შურმა ულმობლად დაავიწყებინათ თვისტომის საერთო სისხლი, ადამიანობის ნათესაური უბრალოება...

— ღმერთო, — თქვა მარიამ, თვალები დახუკა და ცხვირით დაეყრდნო საკეზე გადაჯვარედინებულ ხელებს, — რა უბედური ვართ ყველანი...

ვასილიევი დუმდა. მარია მოლუშულ სახეში ჩააცქერდა:



— ღმერთო, როგორ მიყვარხარ. შენ რომ რამე მოგივიდეს... მეც მოვკვ-  
დები...

მაშას თვალებიდან გამოსხივებული ნამიანი სითბო თვალებში ეღვრა.  
ბოდა ვასილიევს დანაშაულის, ჩუმი ნაგვიანევი მონანიების ნიშნად ვლადი-  
მირმაც თავს ძალა დაატანა, დაუკოცნა გრძელი წარბები, ცრემლებისგან  
მლაშე მოხამხამე წამწამები, რომლებიც დაკრძალვის დროს ძალზე  
დახრილი, გაჭირვებული ეჩვენებოდა, და ჩახრინწული ხმით სულ სხვა რა-  
თხრა:

— არ ვიცი, მაშა, რატომ მოხდა ყველაფერი ასე.

სხვაგვარად კი იყო: მაშინ მას არაფერი უბასუხია, ნებისყოფა არ ეყო  
მიშვერილ ტუჩებში ეკოცნა, როცა ხედავდა, როგორი მუდართ, დამნაშა-  
ურად და უუფლებოდ უციმციმებდა თვალები, და სუსტად ესმოდა მისი ხმა,  
ხოლო სადღაც ახლოს ძლიერდებოდა მოტორის გუგუნი, მოისმა უხეში სიგ-  
ნალი ლოპატინის მანქანისა, რომელმაც მათ გვერდი აუარა, ყანებს შორის მი-  
მავალ გზაზე გავიდა, სიჩქარეს უმატა და ჯაყჯაყით გააქანა ფანჯარასთან ბებ-  
რულად მიკუნჭული საბრალო ედუარდ არკადიევიჩი...

გონება ჯერ კიდევ ნათელი ჰქონდა, დიმედროლი სუსტად მოქმედებდა,  
და ვასილიევი ჩუმი სევდის შეუმჩნეველ ჟრჟოლას გრძნობდა, ისევე, რო-  
გორც იმ ნაღვლიან დღეს, მარიას გულწრფელობამ, მანქანაში წარმოთქმულ-  
მა სიტყვებმა („ღმერთო, რა უბედურები ვართ ყველანი“) და დახრილი  
წამწამებიდან გამომკრთალმა მისმა გაუბედავმა უღიმღამო მზერამ რომ და-  
უმძიმა გული. მზერამ, რომელიც ცდილობდა შეემსუბუქებინა და გამოეს-  
წორებინა ის, რაც მათ შორის მოხდა, როცა არც ერთს აღარ შესწევდა საა-  
მისო ძალა.

მთვლემარემ, ბალიშზე თავი დადო და უცებ გაახსენდა დიმედროლი:  
„მადლობა ღმერთს“, — და მალე გამოკრთა მრგვალი, ლელქაშებით დაფარუ-  
ლი ტბა, ულრანი ტყით გარშემორტყმული, მაგრამ ნაძვების დაკბილული კენ-  
წერების თავზე მინავლული დაისის შუქით შევარდისფრებული. მერე ყვე-  
ლაფერი განათდა ზაფხულის ბრწყინვალე დილას ურალის პატარა ქალაქში  
(აიდაც ვლადიმირმა წაიყვანა მაშა), და რატომღაც ქვემოდან (თითქოს მათ  
ქვეშ მიცურავსო) ხედავდა საბანაოს სველ ფიცრებს, მცხუნვარე მზით გამს-  
ჭვალულ ცისფერ ნახვრეტებს, ხოლო მოლამუნე კამკამა წყალი შხაპუნით  
რეცხავდა ჯერ კიდევ გრილ, ხავერდოვანი მწვანით დაფარულ წანწალს. ირგვ-  
ლივ სუფთა მდინარისა და მზით გამთბარი ქორთა მინდვრების სუნი ტრია-  
ლებდა... თურმე ყოველივე ეს, ზაფხულისეულიც და დილისეულიც, მზია-  
რულად უკავშირდებოდა მარიას, მის ნამზეურ, მკვრივ ტანს, მზისა და გრილი  
საბანაოს სურნელი რომ დაჰკრავდა. მაგრამ დასანანი იყო, რომ ომისშემდგომ  
ზაფხულში დაბრუნებამ ისე მეყსეულად და მაცდუნებლად გაიელვა, რა მაც-  
დუნებელიც იყო თითქმის გამკვირვალე უძირო სიღრმე დიდი ხნის ბანაობით  
გათოშილი თვალებისა, როცა მაშა ბალახში იწვა, ტუჩებს იკვნეტდა და გა-  
პყურებდა მის გვერდით გაშლილ ცის მაღალ ლაქვარდს, ვლადიმირს კი  
სამუდამოდ ჩარჩა ხსოვნაში მოთიბული შემკვარი ბალახის სურნელი ჩაკარ-  
გული მისი შოკოლადისფერი მხრების სუნი, მისი ტუჩების სველი, მდინა-  
რისეული გემო და ძლივგასაგონი ჩურჩული: „რატომ, რატომ?...“ და შორით  
აღმოცენებულმა ამ სიტყვამ ძეწკვივით იწყო ტრიალი მის წინ, მერყევ



სიცარიელეში მიეჭანებოდა და რაღაც ბუნდოვანი და ბნელი მოუსვენრად და-  
ცურავდა მის თვალწინ შავი ფრთების ფათქუნით. ვლადიმირს კი უნდოდა  
გაეგო, საიდან მოვიდა ახლა ეს შემაწუხებელი ფიქრი, ან რატომ მეორდებო-  
და, მოუსვენრად გამოცურდებოდა ხოლმე ბნელიდან და ისევ მცურდებოდა  
ბნელში მთელ ფრაზად, რომელსაც ჩასჭიდებოდა მისი შეხსენება:

„ჩვენ უბედურები ვართ, რადგან ცხოვრების მხოლოდ ზედაპირს ვხე-  
დავთ...“

„ვინ და როდის თქვა ეს ფრაზა? შჩეგლოვმა? ილიამ? ლოპატინმა? ვინ  
ლაპარაკობდა ამას წინათ ცხოვრების აზრის შესახებ?“ — უნდოდა ძილში  
მოესაზრებინა ვასილიევს და ამავე დროს, ბურანში გახვეული, როგორღაც  
გარედან უთვალთვალებდა თავის თავს.

მან დაინახა პატარა ძველებური ციხე-ქალაქი, რომელსაც კოშკებდატ-  
ნებული მოვარდისფრო თეთრი გალავანი ერტყა. ქალაქს ლავვარდისფერი  
მდინარე უვლიდა ირგვლივ, რომელზედაც ძელური ხიდი იყო გადებული. ხი-  
დის ქვეშ წყალში მკაფიოდ მოჩანდა უნაზესი ღრუბლები. ქალაქი ველ-მინდვ-  
რებში იყო ჩაფლული. პაერი, სოფელში რომ იცის, ისე საამო იყო, და სიხა-  
რულს, სიყვარულს, მყუდროებასა და ცხოვრების უბრალოებით უშფოთვე-  
ლად დატკბობას ჰპირდებოდა კაცს. ნეტარებით მოთენთილი ვლადიმირი  
გრძნობდა ამ მშვენიერ, მივარდნილ ქალაქს, სადაც რაღაცისთვის ჩამოსუ-  
ლყო, და უჩვეულო სიციხადით ხედავდა მის სილუეტს, ბაღებს, მშვიდობიან  
სახურავებს, მდინარეზე გადაწოლილ თაღებს, ხედავდა და თან სასტუმროს  
საწოლზე ეძინა, დიდ პროვინციულ ნომერში, რომლის იატაკს ყავრის სუნი  
ასდიოდა, და ჩუმი აღტაცებით ფიქრობდა:

„რა კარგი იქნება, რომ მუდმივად ცხოვრობდე ასეთ ქალაქში, ასეთ  
სიყვარულით აღსავსე სიჩუმესა და დაურღვეველ მყუდროებაში. მაგრამ დად-  
გება აქედან ჩემი წასვლის უამი, და მე წავიღებ გრძნობას დიდებული წარ-  
სულისას, ახალგაზრდა სიყვარულისას, აი ასეთ რუსულ მდინარეზე, თბილ  
ზეცასა და თეთრ ღრუბლებზე, სადღაც აგერ არსებულ ნეტარებაზე წუხი-  
ლისას... აქ ხომ თვით ლხენა-სიამის სასუფეველია“.

მერე კარზე ძალზე ხმამაღლა დააკაკუნეს, მეზობელ ნომერში გაისმა  
მძიმე ნაბიჯები, ტანისამოსის შარიშტური, რომელიც მორეზინებული ლაბადის  
შრიალს ჰგავდა, და კედლიდან შემოაღწია ვილაცის გატანჯულმა ღმუილმა  
და აჩქარებული ნაბიჯების ხმამ.

„ჩქარა, ჩქარა, ჩქარა!“ — ყვიროდა იგი, და იშვარა იყო, რომ კედელს  
იქით მყოფი კაცი გაშმაგებული აქეთ-იქით აწყდებოდა, კაცი ვეებერ-  
თელა იყო, უძლეველი, თმაგაჩეჩილი, და ლაბადა ეცვა, რასაც გადააწყდე-  
ბოდა, აქეთ-იქით ისროდა, რაღაც მოუშორებელი უბედურებით (სიყვარუ-  
ლით, შიშით თუ დანაშაულით) შეპყრობილი, მხეცივით ღმუოდა.

უცებ მოეჩვენა: იქ ყველაფერი მიყუჩდა, ხოლო ვასილიევის ოთახში  
მისი საწოლის თავთან ვილაცა დგას, ტანგახდილი, სიბნელეში ნაცრისფრად მო-  
ჩინარი ქვედა საცვლით, ბრტყელი ჩრდილივით დამაბული დგას, რათა ვი-  
ლაც მეორესთან ერთად იდუმალი, საზარელი რამ მოიმოქმედოს. ის ვილაც  
ძლივსშესამჩნევ ჩრდილად შემოჰყვა ნომერში პირველს (როგორ შემოაღწი-  
ეს დაკეტილ კარში?). ვასილიევი შიშმა აიტანა, თავი არ მოუბრუნებია, არც  
თვალი გაუხელია, მაგრამ კარგად ხედავდა იქვე, სასთუმალთან მდგარ ბრტყელ  
კაცს, მის გრძელ ნაცრისფერ ტანს, მის ჩაბნელებულ, ცხენივით გრძელ



უტუჩო და უთვალს სახეს. — ჩაბნელებულ, ჩამოგრძელებულ ლაქას, რომელიც უტყვე მუქარას გამოხატავდა.

დაუყოვნებლივ უნდა წამომდგარიყო. თვალის დახამხამებაში წამომხტარიყო საწოლიდან, რათა თავიდან აეცილებინა საზარელი, არაადამიანური ბოროტმოქმედება. რომელიც მას ემუქრებოდა, მაგრამ რაღაც ჯოჯოხეთურმა ძალამ ადგილს მიაჯაჭვა, და განძრევაც ვერ შეძლო, სულიც ვერ მოეშველია. ბოლოს, როგორც იქნა, მოიბრუნა სული და ძლივგასაგონადღე მუხლებზე დაეხრწა. „ვინ არის?“ — საწოლიდან წამოხტა, ეგონა, სასთუმალთან მდგარ კაცს დაინახავდა, თვალს შეავლებდა მის უთვალს, უტუჩო სახეს, მაგრამ ნომერში არავინ იყო. ყველგან ღამის ბინდი შმაშურობდა. იქვე შავად მოჩანდა მის სასთუმალთან მოდგმული ვილაციის საწოლი. ოთახის კუთხეებში ნისლის ბოლქვებით დაცოცავდნენ ჩრდილები...

„მადლობა ღმერთს, სიზმარია, — გაიფიქრა ოფლში გახვითქულმა ვასილიევმა, რომელიც მიხვდა, რომ სიზმარში მეორე სიზმარს ხედავდა, ეს სიზმარი კი გაგრძელება იყო ხსოვნაში ამოტივტივებული ვილაციის ფრაზისა, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა მოვარდისფრო თეთრ პატარა ჭალაქთან, მის ძველ გალავანთან, მდინარეში არეკლილ საამო ღრუბლებსა და სასტუმროს ნომერში მის სასთუმალთან მდგარ აწოწილ უსახო ადამიანთან. — უნდა დავიმახსოვრო ეს სიზმარი? კი მაგრამ, სად არის აქ გონივრული? — განაგრძნობდა სიზმარში ფიქრს და თან ოფლით დანამულ ბალიშზე ატრიალებდა თავს. — ვის შეუძლია ახსნას, რატომ იყო კედელს იქით მისი ნაბიჯები ასე გაშმაგებული და მძიმე, რატომ ღმუოდდა მუქარის თუ ტანჯვის ნიშნად, რატომ ისმოდა ასე საზიზღრად მისი მორეზინებული ლაბადის შარიშური? მე ვერ ვხედავდი მივშველებოდ, უცბოდ მიმაჩნდა, ესე იგი, დამნაშვე ვარ მის წინაშე, მაგრამ ვინ არის ის კაცი, სახის მაგივრად შავი ლაქა რომ ჰქონდა, — ჩემი მტერი, მკვლელი, ბოროტმოქმედი თუ წმინდა, შეუცნობი ძმა? ჩვენ ხომ უნდა ვიცნობდეთ ერთმანეთს, ჩვენ ხომ ორივენი უძლურნი ვართ სიკვდილის წინაშე?.. მხოლოდ ერთხელ განვიცადე ტრამალში გრძნობა, მსგავსი უკვდავებისა, ქარის მოტანილი აბზინდის სუნი, მზის ბრწყინვალება, ბალახი, ათასწლოვანი მშრალი სურნელი, უკაცურობა — შენც ბალახივითა ხარ ირგვლივ, მზით ნაალერსევი ბალახივით... და მხოლოდ ნეტარი შეგრძნება, რომ სწორედ შენა ხარ ამ ბალახის ღერო თუ ბორცვზე მდებარე ეული თბილი ჭკა, მშვენიერი სამყაროს პატარა ნაწილი, არის მთელი ფილოსოფია. აი რა არის ბედნიერება, და მე მაშინ მსურდა გამეკეთებინა ეს არჩევანი. მაგრამ შემფეროდა თუ არა იგი? მე ყველაფერში სხვა აზრს ვეძებდი. მერედა, რატომ? განა შეცდომა არ არის — ჩემი ადამიანური უძლურებით შევიცნო სიმართლისა და დროის სილამაზის საიდუმლო? აქედან ხომ არ მომდინარეობს დანაშაულის შეგნებით გამოწვეული მუდმივი წამება, წუხილი და სინანული, რომ მთელი სამყარო ბეწვზე ჰკიდია, რომ რაღაც მთავარი უნდა გაქრეს? რა ქრება? სიკეთე? რწმენა? ურთიერთისადმი ნდობა და სიბრალული? არა, სალამაზე კი არ იხსნის სამყაროს, არამედ თანაბარი გარდუვალობისა და თითოელის ადამიანური უსუსურობის შეგნების სიმართლე. ძალა კი არა, ყველას ტრაგიკული უძლურება სიკვდილის წინაშე. აქ ვერაფერი ვერ გვიშველის: ვერც ნიჭი, ვერც სახელი, ვერც მღვთმარეობა, ვერაფერი. ილიამ ორმოცდასამ წელს გააკეთა თავისი არჩევანი, რათა გადარჩენილიყო... მე კი ომის შემდეგ ავირჩიე ბელოვნებაში გზა პატივმოყვარეობის მწვერვალებისაკენ



მორჩილების მეშვეობით: ვმუშაობდი, ვმუშაობდი, ვმუშაობდი. გაშმაგებით. ესე იგი, შრომისმოყვარე და იღბლიანი ვიყავი — რა არის ეს? ბედნიერება? ჩემი ცხოვრების აზრი? მაშ სიკვდილი რაღაა? საკუთარი თავის ამოწურვა? არა, ილიას არ ამოუწურავს საკუთარი თავი... ნუთუ სიკვდილიც არჩევანია, გამოცდილება სამყაროს ძალისა, რომელიც კაცობრიობაზე ექსპერიმენტს ატარებს და ხელს უშლის მას შეიცნოს ცხოვრების აზრი? რაზე ვფიქრობ მე? რა მინდა შევიცნო და ავხსნა? მაქვს კი ამის უფლება? მინდა ვხვდები, რომ სიზმარში ვფიქრობ და ვაბიჯებ რაღაც მიჯნას, რომლის იქითაც უფსკრულია... აი რატომ მეხუთება სული, რატომ მახრჩობს ცრემლები? რა მსურს მე? ჩავწვდე ილიას მიერ გაკეთებული არჩევანის აზრს? გავუგო მარიასა ან ვიქტორიას? შევიცნო საკუთარი თავი? — ფიქრობდა თვალდახუჭული ვასილიევი და იცოდა, რომ ეს ფიქრები სიზმარი იყო და თანაც ისეთი რეალური, ხელშესახები, თითქოს ვარსკვლავებით მოჭედებულ ზეცაში მიფრინავდა ვიღაცის დაკვირვებული და მკაცრი გონების კონტროლის ქვეშ, რომელიც სრული თავდავიწყების უფლებას არ აძლევდა. — მაინც მინდა გავიგო არის თუ არა ცხოვრების ერთი მთლიანი აზრი? არის თუ არა სიკვდილის ერთი მთლიანი აზრი? ნუთუ მე მსურს რაღაც ზღვარსიქითა, მისტიკური, შეუცნობი გავიგო? არა, გამოგონილი ღმერთის ნება კი არა, სამყაროს უმაღლესა ძალა, მისი გონივრული ენერგია, რომელიც შესაძლოა ცდებს ატარებს ჩვენზე, როგორც ილიას სწამდა. ნუთუ ეს ძალა თუ ენერგია გვატყუებს სიმართლათაც, სიცრუითაც. მუდმივი ჯანმრთელობის, სიკვდილის მიერ შეწყალების სულელური იმედითაც და გონებადაბინდული სიყვარულითაც კი გვცდის... და სულის ერთობას გვახსოვს... ასეა? მაგრამ თუ ყველაფერი ასეა, მაშ არც ცხოვრების ერთი მთლიანი აზრი ყოფილა და არც სიკვდილის ერთი მთლიანი აზრი. ესე იგი, დედამიწაზე ათასობით აზრი და ათასობით არჩევანი ყოფილა. მერედა, რა გამოდის? ეგებ იმიტომ ვამჩნევდი, რა ლოგიკური და ლამაზია სიცრუე და რა მოუქნელი, არალოგიკურია სიმართლე. მაგრამ შეუძლებელია ამას დავეთანხმო და შეუძლებელია ავირჩიო ჩემი მეორე ბედი, რადგან ეს ერთადერთია და დაიწყო დიდი ხნის წინათ სხვა ზღაპრულ ცხოვრებაში სხვა ბედნიერ პლანეტაზე, სადაც იყო მთელი სამყაროს მშვენიერი აზრი, რაც მდგომარეობდა ზამოსკვორეჩიეს იისფერი სუსხიანი საღამოების უკვდავებასა და მარიას ნორჩ უკვდავ მშვენიერებაში...

მაგრამ მაშინ, ძალიან, ძალიან დიდი ხნის წინათ, იყო ზამთარი, თვალშეუვალი ქარბუქი, გადანამჭრული ტრამვაის ზაზები, უსასტიკესი ყინვა, ვალოდია კი აუტანლად დიდხანს ელოდა ხოლმე მაშას საღამოობით ხის ქიშკართან, მრავალდღიან ნამქერს რომ გადაეფარა, საათობით ითოშებოდა შესახვევში, რომელიც თავიდან ბოლომდე ცისფრად მოჩანდა, თოვლის უზარმაზარ ზვინებში ჩაფლული, და ცვიოდა, ელვარებდა ქირხლი ფარნების შუქის კონუსებში. მაშა, მოლიმარი, თვალეზგაბრწყინებული გამოდიოდა სახლიდან ბეწვის თეთრი ქუდით, დედოფალივით ჩაჰკიდებდა ხელს, და სირბილით მიჰყვებოდნენ თავიანთი დათოვლილი შესახვევის ფანჯრების წითელ კვადრატებს, სუსხიანი ორთქლით მოცულ სანაპიროზე გავიდოდნენ, მერე კი ტროტუარების გასწვრივ მოყინულ ბილიკებზე სრიალებდნენ პატარა მაღაზიებისა და ზაცეების კუთხეში მდგარი აფთიაქის ახლოს, ყვითელ შუქს რომ ასხივებდა ალმასივით მოლივლივე ქირხლიანი ფანჯრებით.



ვლადიმირს ახსოვდა, ამ თამაშის დროს როგორ შეჩერდებოდა ხოლმე მაშა მის წინ, პატარა ბიჭივით აღზნებული, სიცილით ექაჩებოდა მოციმციმე სასრიალო ბილიკისაკენ და თან ჭაღად ეუბნებოდა:

— აბა გაქანდი და ახლა ცალ ფეხზე სინჯე, საოცრად კარგია! ან მე გაქანდები, შენ კი ბილიკის ბოლოს დადექი, რომ არ დავეცე!

ვლადიმირი ბილიკის ბოლოს დახვდებოდა და იჭერდა, ხოლო მაშა, პატარა და, უცოდველრ თამაშიათ, გაქანდებოდა, ყინულზე გასრიალდებოდა, მხიარულად უვარდებოდა მკლავებში, მხრებზე ეჭიდებოდა, მათი სუნთქვა ერთმანეთს ერეოდა, და ვლადიმირი პალტოს ქვეშ გრძნობდა მისი მკერდის მკვრივ კოკრებს.

ერთხელ ყინულის ბილიკის ბოლოს, აფთიაქის ფანჯრებქვეშ, გაქანებული მიეხალა მკერდზე, ძალიან მაგრად მიეკრა, თავი უკან გადასწია და ტუჩები მოიკვნითა, ხოლო დარეტიანებულმა ვლადიმირმა გაბედული და ალერსიანი რაღაც ჩასჩურჩულა და, როცა ამ თამაშში პირველად შენიშნა, თუ როგორ გაუქრა სახეზე ღიმილი, მისი რისხვისა შეეშინდა.

— ჰოო? — შეეკითხა მაშა და ნიკაპი ბეწვიან საყელოში ჩარგო, თან ზვალები გაუდიდდა, გაუფართოვდა, გაეზარდა და შიგ დიდზე დიდი გაქვირვება ჩაუდგა. — შენ? მე? გიყვარვარ?

ვლადიმირს დღემდე ვერ აეხსნა ბოლომდე მაშას ასეთი გამბედაობის მიზეზი, რატომ გადაიწია ასე გამომწვევად ბეწვიანი საყელო, რატომ მიუშვირა გაღიმებული პირი და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ჩურჩულით უთხრა:

— კარგი, თანახმა ვარ. იცი?

ვლადიმირი მომლოდინედ აწეული მისი სახისკენ დაიხარა და გაუბედავად და ტლანქად აკოცა ოდნავ ღია ნამიან ტუჩებში, მაშამ კი ჭირვეული მანკვით ძლივგასაგონად თქვა: „რატომღაც შემამცივნა“, — მოიბუზა და სთხოვა სახლამდე მიეცილებინა.

დუმილით მიაღგნენ ფარნით განათებულ მინამქრულ ჭიშკარს, და აქ მაშა, არც დამშვიდობებია, არც რამე აუხსნია, თათმანიანი ხელით სწვდა და თავისი ეზოსაკენ მიიზიდა. ვლადიმირი მორჩილად შეჰყვა. მხოლოდ მეორე სართულის კართან წასჩურჩულა მაშამ, დედა თეატრიდან გვიან მოვა, დერეფანში ფეხაკრეფით უნდა იარო, რომ, ღმერთმა დაგვიფაროს, მეზობლის რომელიღაც სულელურ ველოსიპედს ან ტაშტს მხარი არ გაჰკრაო. მან ფრთხილად გააღო ინგლისური გასაღებით დაკეტილი კარი. ანცური იდუმალებით მიმოიხედა, ტუჩებზე თითი მიიღო, პირველი შეძვრა საერთო ბინის დერეფნის ღუმელებით გამთბარ ბინდბუნდში და ქურდულად მიაღგნენ მისი ოთახის კარს. იქ მაშამ მეორედ გააჩხაკუნა გასაღები და სურნელოვან წყვედიადში შეიყოლია ვლადიმირი, რომელსაც ყინვის შემდეგ თითქმის გახურებული ეჩვენა ოთახი, ნელსაცხებლების საამო სურნელი და ხალიჩების მტვრის მოტკბო სუნიც ეცა.

— გაიხადეს — ჩურჩულით უბრძანა მაშამ.

და მაშინვე აინთო მოვარდისფრო-ლიმონისფერი აბაჟური, რომელიც წითელი ხავერდის სუფრაგადაფარებულ მაგიდაზე იყო ჩამოშვებული, და ვლადიმირმა პირველად დაინახა ეს საოცარი ოთახი, სადაც დედასთან, მოსკოვის თეატრის მსახიობთან ერთად ცხოვრობდა მაშა. აქ ყველაფერი მყუდრო, ძველებური, რბილი იყო. იატაკზე ეფინა სქელი ხალიჩა, ბუფეტის სახეებიანი შუშის შილმა მომაჯადოებლად ბრწყინავდა ფაიფურის ჭურჭელი, კე-



დელზე მუქ სუროებს შორის ეკიდა არაჩვეულებრივი სიდიდის ოვალური სარკე, რომელიც თავის მიმზიდველ სივრცეებში ირეკლავდა ტუალეტის მაგიდას (სადაც ეწყო ნაირ-ნაირი ზუზები, ძვლის ჯაგრისები, საპუდრეები), წიგნების გამოღებულ კარადასა და მწვანეხავერდგადაკრულ დივნის ნახევარს, რომელზედაც მოხერხებულად და როგორღაც აღმოსავლურად ეწყო პლუშის ფიჩებიანი ბალიშები.

ერეკლავდა

— მე აქ ვწევარ, ვკითხულობ და ვფიქრობ, — უთხრა მისი მზერა მიიპყრო, ჩუმი სიცილით დავარდა დივანზე და ბოტგაუზნელი ფეხების ქნევას მოჰყვა. — რას უცდი, მომეხმარე, — ხმადაბლა უბრძანა მან, აღზნებული თვალები შეანათა, მბრძანებლური და დედოფლური ენითანობით მიიხმო. — გამიხსენი და გამხადე ბოტები, თუ რაინდი ხარ! — იმწამსვე წარმოთქვა მან და ჯიუტად ჰკრა ხელი. — ახლავე წადი, იქ სავარძელში დაჯექი და ჯერჯერობით არ შემომხედო. ეგერ ტუმბაზე აღმომია და აიღე. საინტერესოა, ოციანი წლების ათასნაირი მსახიობები არიან, ვისთანაც ოდესღაც მუშაობა დაიწყო დედაჩემმა. ყველანი რაღაც გაბლენძილები არიან, ძალიან სერიოზულები, თითქოს ეს-ეს არის მთვარეზე უნდა გაფრინდნენო...

ვლადიმირი უხერხულად ჩაეფლო სავარძელში, გრძნობდა, რომ არ შეეძლო დაეძლია ცახცახი, რომელიც სუნთქვას უკრავდა. ტუმბიდან აიღო მძიმე, ხავერდის ყდაში ჩასმული ალმობი, რომლის შესაკრავმაც მრისხანედ გაიჩხარუნა, მუხლებზე დაიდო და ალაღბედზე გადაშალა. დიდებულ პრიალა ფურცლებზე ბუნდოვნად ჩანდა ოქროთი ნატვიფრი ფოტოსურათები — სოლიდური, წვეროსანი თუ წმინდად პირგაპარსული სახეები, ძველებური სერთუები, ამპარტავნულ ნიკაპქვეშ განასკვული თეთრი ბაფთები, ზორბა ტანის ქალები და კაცები, რომელთაც ბუდიონურები ეხურათ და რაღაც დეკორაციების ფონზე იყვნენ გადაღებული.

უგულისყუროდ ათვალიერებდა ფოტოსურათებს, იმ წამებში მონუსხულივით ემორჩილებოდა მაშას, ემინოდა განძრეულიყო, მისთვის შეეხედა, შემთხვევით დაენახა, რას აკეთებდა ტუალეტის მაგიდასთან, ხოლო როცა გაიგონა მისი ხმა: „ახლა კი შეგიძლია გამოიხედო“ და თავი ასწია, მაშა მუთახლოვდა. ოდნავ იღიმებოდა, უკვე მოესწრო რაღაც ქალური, ჯადოქრული გაეკეთებინა იმ მაგიდასთან: თვალები კიდევ უფრო გადიდებოდა, უფრო საშინელი და იდუმალი გახდომოდა, ხშირი წამწამებიც — უფრო შავი. ვლადიმირი თვალებში უყურებდა დაბრმავებული, ის კი კვლავ იღიმებოდა და თვალის გუგებში ჩასცქეროდა, თითქოს ამ ხანგრძლივი ღიმილით ეკითხებოდა: „რაო, მართლა ლამაზი ვარ?“.

— მოდი აქ, თავი დაანებე მაგ სულელურ ალბომს და აუტანელ დეკორაციებს, — უთხრა მაშამ, სახელოში სწვდა, და სავარძლიდან ამოათრია, მერე გაიციანა, თავისკენ გაიყოლა და ხალიჩაზე დაჯდა, ხავერდგადაფარებულ მრგვალ მაგიდასა და შორენკეცის ლუმელს შორის, საიდანაც ტალღასავით მოელამუნა მშრალი სიტბო. — აა აქ დაჯექი, აქ შესანიშნავი იქნება. მე საშინლად მიყვარს აქ ჯდომა, ლუმელთან მიფიცება და წიგნის კითხვა. გესმის, მე ერთი საძაგელი წიგნი მაქვს. დედაჩემის კარადაში წავაწყდი ერთხელ, რაღაც აღმოსავლური პარამხანებია და ლამაზი ქალები, ნამდვილი მზეთუნახავები. საინტერესოა, თქვი, რომელიც მოგეწონება. არ გაწითლდები? — გამომცდელი დაცინვით უთხრა მაშამ და წიგნი გადაუგდო, და ვლადიმირმა მის თვალწინ დაუწყო ფურცვლა ფერადსურათებიან ატლასის ფურცლებს.



რომლებიც პაპიროსის ქაღალდქვეშ იყვნენ ჩაკრული ტექსტში. მგონი, ეს იყო ძველი აღმოსავლეთის, მისი ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებების აღწერა ინგლისურ ენაზე. ილუსტრაციებზე გამოსახული იყო ლაქვარდოვანი ცის ქვეშ აღმართული უმდიდრესი სასახლეები, პალმები, თეძომალაჩა ზევრად შიშველ ლამაზ ქალთა ცეკვა ხალიჩაზე ფეხმორთმული არწივის-თვალემა მბრძანებლის წინაშე, მოთენთილი შავთვალემა ყმაწვილი ქალები, ოცნებითა და სიყვარულით აღსავსე თვალით რომ უცქერდნენ მარჯაორიქის აუზის ფირუზისფერ წყალში არეკლილ ახალ მთვარეს.

— რას იტყვი? თუ მოგეწონა ვინმე რომელიღაც სულთნის თუ შეიზის ამ ასი ლამაზი ქალიდან?

— აი ამას არა უშავს... საფეხურზე რომ დგას... — წარმოთქვა მან, ეტყობა, მხოლოდ იმიტომ, რომ როგორმე დაემაღლა ის გაოგნება, რომელიც ივლისის ხვატივით ასხამდა თავბრუს ანდა იმ თაფლუჭივით არეტიანებდა, რომლის დაღევის ნებას რთავდა ხოლმე მაშა, როცა მასთან იყო.

— საფეხურზე? მაჩვენე ერთი, — სერიოზულად უთხრა მაშამ, მუხ-ლიჩოქვით მივიდა მასთან, გვერდით მიუჯდა, გაფარჩხული თითები მორცხვად აიფარა თვალეზზე და სურათს თვალი გადაჰკრა. — სისულელეა! თანაც არა უშავსო, ამბობს! აბა რა გაგეგება ქალის სილამაზისა? ახლავე თავი დაანებე მაგ წიგნს, ეგ შენ გაგრყვნის! მაგას, იცი, რა სჯობს? შენ გინდა მაკოცო, მაგრამ გეშინია? ზომ?

მაშამ მხიარული დაცინვით გამოართვა წიგნი, დახურა და დივნისკენ ისროლა. ვლადიმირი გულისფანცქალით შესცქეროდა მის თვალებს, ერთმანეთს დაშორებულ, დიდრონ წამწამებით ჩაშავებულ თვალებს. მის გუგებს თავზარდამცემად უახლოვდებოდა მოლივლივე ცისარტყელა; ასევე თავზარდამცემად ახლოვდებოდნენ მაშას მოლიმარი ბაგე, ნაზი კიდეები ოდნავ რომ უთრთოდა.

ვლადიმირს ახლაც ახსოვს მაშას ტუჩების მკვრივი სილბო, ტუჩებისა, რომლებიც ჯერ, ქუჩიდან შემოსვლისას ცივი ჰქონდა და ახალი თოვლის სურნელი ასდიოდა, შემდეგ გაუთბა, დაენამა, და ეს ტუჩები ხარბი შეხებისას ხან ეხსნებოდა და უთრთოდა, ხან კი მაგრად ეკუმშებოდა, თითქოს გულ-შეწუხებულს სუნთქვა ეკვროდა, აღარც ვლადიმირს გრძნობდა, თითქოს გვერდით არც ყოფილიყოს; ცდილობდა გაეხსენებინა და შეედარებინა რაღაც იდუმალი, დაფარული, ვლადიმირისთვის უცნობი...

— აი ასე მომხვიე ხელი... დაწეჭი...

და სამუდამოდ დაამახსოვრდა, როგორ იწვნენ ხალიჩაზე ღუმლის ახლოს იმ მყუდრო, გამთბარ ოთახში, სადაც ტრიალებდა სურნელი ნელსაცხებლებისა, აბაჟურის მოვარდისფრო, მსუბუქი სინათლის ჩრდილში ჩამოშვებული ხავერდის სუფრის ასევე სურნელოვანი მტვრისა, ახსოვდა, როგორ უკაწკაწებდა კბილები, როგორ დაბინდვოდათ გონება, დახშვოდათ სმენა და აღარც მეზობლების ხმა ესმოდათ კედლების მიღმა, არც ტრამვაის შორეული ხმაური ნოვოკუზნეცკაიაზე, არც ქარბუქის სადამოსეული მიყუჩება, არც ფანჯრებქვეშ გამვლელ-გამომვლელთა ნაბიჯების კრაჰაკრუჭი. ორივენი, დედამიწას მოწყვეტილნი, ტუჩი-ტუჩს მიწებებულნი, მიცურავდნენ სამყაროს გავარვარებულ და თვალუწვდენელ ვარსკვლავიან წყვდიადში, ხორციელი სი-ახლოვის შეუძლებლობით გათანგულნი და თან იმის მწყურვალნი, რაც ახლა



უნდა მომხდარიყო მათ შორის, მაგრამ ორივეს შიში და სირცხვილი აბრკოლებდა...

გონივრული ვლადიმირი ხარბად ეწაფებოდა ქალის შეშუპებულ ტუჩებს, მაგრამ წყურვილს ვერ იკლავდა. გაუთავებელი კოცნით ქანცდებულმა მამამ სული ძლივს მოითქვა, ფრთხილად მიიტანა მისი ხელი თეძოსთან და ჩურჩულით სთხოვა გაეხსნა მარჯვენა წინდის მოკერილი აბზინდა. ეს ჩურჩული ნაპერწკლებიანი მტვერით გადმოიფრქვა სამწერსნაწვედიდან, ოქროს ქვიშასავით გაივლიდა მათ თავზე, და ვლადიმირს წამით მოეჩვენა, რომ რაღაც მხურვალე ძალამ აიტაცა ორივე და უფსკრულისპირ აღმოდებული ქაოსისაკენ გააქანა, სადაც ყველაფერი წყვდიადში ინთქმებოდა და ყველაფერი ხელახლა იწყებოდა მხურვალე კაშკაშა ცეცხლში...

— ჰა, რაღას უცდი... რაღას უცდი...

ვლადიმირმა არ იცოდა, თვითონ გაუხსნა თუ არა აბზინდა შალის სქელ წინდაზე, რომელსაც აქამდე შემორჩენოდა ქუჩის სიცივე, ეს კი იყო რომ მან პირველად დაინახა ასე ახლოს მისი თეძოს სიშიშველე, მისი ქალური სისავსე, და შეიგრძნო ხორციელი სითბო მისი კანისა, რომელიც იმწამსვე შემცივნებულივით დაიბორკლა.

— ჰა, რაღას უცდი... ჰა, ჩქარა, ჩქარა! — იმეორებდა ქალი, და მის სიტყვებში იყო მოუთმენელი, შმაგი ნებართვა, მაგრამ როცა ვლადიმირმა იგრძნო უეცარი ქვითინით, აცანცახებული მისი სხეული, მდულარე ცრემლით რომ დატოთოქა ნიკაპი, როცა ბოლოს და ბოლოს გაბედა სახეში შეეხედა ქალისათვის, იგი კრიკაშეკრული იწვა, თვალები დაეხუჭა, წამწამებს მოძალეებული ცრემლი უმძიმებდა და ლოყებზე სცვიოდა.

ხოლო ვლადიმირი, რომელიც გაოგნებული იყო იმით, რაც მათ შორის მოხდა, მისი ნორჩი სიშიშველით, რომელსაც უკვე აღარ იცავდა სირცხვილი, რის გამოც სულ ახლახან ერუანტელი უვლიდათ და კბილები უკაწკაწებდათ, რომელიც მზად იყო მაშასთან ერთი წამით ყოფნისათვის თავი გაეწირა და თვითონაც ატირებულიყო დაუმთავრებელი ალერსის გამო, უკოცნიდა პატარა მკერდს, თითქოსდა ზაფხულის დილისეული ტყისა და მარწყვის სიგრილით განბანილს, აწყდებოდა სუსტად დაფარებულ ხელებს, თითქმის ვერ არჩევდა მის ჩურჩულს, ნიავეთ რომ მოცურავდა ვარსკვლავიანი უფსკრულებიდან, და საოცარი სილალით იმეორებდა:

— მიყვარხარ, მაშა...

— ილიამ, რომ... ილიამ რომ გაიგოს, რას იფიქრებს... ალბათ გაუკვირდება... ხომ მართალია?

მაშას ხმასთან ერთად ვლადიმირს ჩაესმოდა ღამით ამოვარდნილი ქარბუქის მძაფრი ქროლვა და გუგუნი, ხმა სახურავზე რომ დანავარდობდა და ფანჯრებს ეჭახებოდა, ეზოში გათოშილი ტოტების კრიალი, ქარბუქიანი ზამოსკვორეჩიეს სადამოს თოვლში ჩაკარგული ტრამვაის ზარის შორეული წკარუნი. ვლადიმირს ელამუნებოდა ჰოლანდიური ლუმელის მყუდრო სიმხურვალე, გამთბარი ხალიჩის შალის სუნი, ხალიჩისა, რომელზედაც ისინი იწვნენ, თავდავიწყებით ერთმანეთს მიხუტებულნი, და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს იგი მიფრინავდა აპრილის ცის უსასრულო ნათებაში, რომელიც მარადიულ გაზაფხულს, უკვდავებას და მუდმივ სიყვარულს ჰპირდებოდა.

— გამიშვი, გამიშვი... აღარ შემიძლია, ტუჩები გამიშეშდა...

— მიყვარხარ, მაშა... გესმის, როგორ მიყვარხარ?..



შუალამისას გამოვიდა ავდრიან შესახვევში, რომელმაც ქარბუქის ნოტიო სუსხი შეაშხეფა გახურებულ სახეში. ბურუსში გახვეული ფარნები თეთრ ლაქებად ენთო. თოვლით შებურვილ ფარდაჩამოფარებულ ფანჯარას შეხედა და იმის გაფიქრებაზე, რომ ის ახლა იქ იყო, უცებ ისეთი მოზეიმე სინაზე იგრძნო მაშასადამე, ისეთი დაბნეულობა უსასოობასა და იმედს შუა, ისეთი საამო მარტოობა ამ აბოლებულ თოვლის ზვინებსა, გადანამქრულ ღობეებსა და დაბინდულ ფარნებს შორის, რომ უეცრად სუნთქვა შეეკრა...

მაშა მთელ კვირას არ დადიოდა სკოლაში; მაგრამ როცა იგი ვლადიმირმა დიდ დასვენებაზე ნახა, გოგომ სწრაფად მოარიდა ფერმიხდილი, განაწამები სახე; მერე გამომწვევად ასწია თავი, ვლადიმირთან მივიდა და სიცილით უთხრა: „გამარჯობა, რომეო, გახსოვდეს, რომ ჯულიეტასთან არავითარი პაემანი არ გქონია და არც ოდესმე გექნება ვიმედოვნებ, კეთილშობილი რინდი ხარ და ყველაფერი დაივიწყე“.

ვლადიმირს არაფრის დავიწყება არ შეეძლო; ამიტომ იყო მისი ტკივილი ხანგრძლივი, მწარე, გაუნელებელი და ზოგჯერ ომშიც კი არ ასვენებდა.

„ეგებ ამ ტკივილისთვის ღირდა ამქვეყნად მოსვლა... არა, ათას აზრსა და არჩევანს შორის არის ერთი — დიადი და მუდმივი...“

ვლადიმირმა ძილში ამოიკვნესა, გაიღვიძა, თვალი გაახილა და ბუნდოვნად იგრძნო ახალგაზრდა, დაუშრეტელი სიხარული, ახალგაზრდა იმედი იმ უსაზღვრო სიყვარულისა, ბედნიერ აღსასრულს რომ ჰგავს, შეკავებული ცრემლი მოაწვა ყელში და სუნთქვა გაუძნელა, როგორც ოდესღაც, ძალიან დიდი ხნის წინათ, შორეული სიჭაბუქის თოვლიანსა და ქარბუქიან შუალამეს.

— მაშა, — წყნარად გასძახა სიბნელეში, სადაც ოდნავ ციმციმებდნენ სურათების საღებავები, და, პასუხი რომ ვერ გაიგონა, ჩურჩულით წარმოთქვა, თუმცა კი იცოდა, რომ ის აქ არ იყო: — მაშა, მიყვარხარ... რა უნდა ვქნა, მაშა?

ბნელით მოცულ სახელოსნოში ყრუ მდუმარება იდგა.

ფანჯრის იქით სველ ტოტებს აშხრილებდა ქარი, ლავგარდანებიდან განუწყვეტლივ მოწკარუნობდა მდნარი თოვლი, გაზაფხულის მომწვანო ეული ვარსკვლავი კიაფობდა სველ მუშაზე, და იყო სამი საათი მარტის ღამის ყველაზე უკაცრიელი და უსასოო დროისა.





ბელორუსულიდან

თარგმნა თეიმურაზ ჯანგულაშვილმა

### იანკა კუპალა

#### ტყის ტბა

სძინავს. გარს აკრავს ტყეების ტევრი  
ტბას, ლაქაშებში უხმოდ მიმალულს.  
ძლივს გასავიწყდება შრიანებს ისლი,  
ბუჩქი ჩურჩულებს იდუმალ ზღაპარს.

ფიჭვი და თელა, მუხა და ვერხვი  
მის ირგვლივ დამდგარ გუშაგებს  
ჰგვანან,

შეაქანებენ მწვანე მწვერვალებს  
და ცას იტყვიან იდუმალ ლოცვას.

ო, ტბათ, ტბათ, შფოთიან ფიჭვით  
ყრუ ბილიკებით მოვდივარ შენკენ.  
ხმელი ფოთოლი შრიანებს ფეხქვეშ  
წიწვის ნემსები მიკაწრავს სახეს.

მუხის ქვეშ ვდგები განმარტოებით.  
შორს მიჰქრის ჩემი ფიჭვიც და  
მზერაც...

ცა დაფარულა ღრუბლებით... სადღაც  
გადამფრენ ბატთა ხმა აკრთობს  
სივრცეს.

1919

#### სიმღერა

(ხალხური მოტივებიდან)

ჰოი, მე რომ ვიყო მწყერი,  
ახლა მე რომ მქონდეს ფრთები,  
სახლში ასე არ ვიჯდები,  
სადაც მინდა, გავფრინდები.

ჭალის პირებს ვესტუმრები —  
დაბრაწულა მარწყვი ტკბილი,  
ან დაბურულ ტყეში შევალ,  
სადაც უხვად არის თხილი.

მწვანე მდელოს მივაკითხავ,  
სადაც მოჩქევს წყარო ცივი,  
ანდა წავალ, დავკრეფ ძაბველს,  
მზის გულზე რომ წითლად ღვივის.

ჰოი, მწყერი ვერ ვიქნები,  
მე ვინ მომცეს ლალი ფრთები,  
ვერც ჭალამდე, ვერცა ტყემდე  
ჰოი, მე ვერ გავფრინდები!



არცა სადმე ტკბილი მარწყვი,  
არც ძაბველი მსხმოიარე.  
მე რომ ქვეყნად ბედი მერგო,  
ვინ თქვას ბედი უფრო მწარე.

გულის მონაწერი ცრემლი  
ისე სცვივა ჩემს თვალს დღესაც,  
ვით ზაფხულის ღამით ნამი  
ახალგაზრდა არყის ხესა.

გოგო ველად როგორ წავალ,  
როგორ გავალ ქიშკრის გარეთ,  
უღბლოს და დამწუხრებულს  
ლაწვებს მიწვავს ცრემლი ცხარე.

დღით და ღამით, შინ და გარეშე  
ტირის თვალი, ტირის გულზე  
თავისუფალ ფრთების გაშლას  
და სიმღერას მონატრული.

1913

## იაკობ კოლასი

\* \* \*

ვიყავ მდიდარი, გულით ვხარობდი, ქალწულთ მოჰქონდათ ტურფა იების  
ვცხოვრობდი ტკბილად და გალალეებით თაიგულები ნათილისმარი.  
და ჩემკენ სტუმრად მოიჩქაროდნენ ვიყავ მდიდარი და ბედნიერი,  
მეგობრები და ამხანაგები. მაგრამ ეს იყო... მხოლოდ სიზმარი.

1909

## იძნება ელჟეძი

შუალამისას ცას ღრუბლებმა გაჰკრეს ფრთები და  
ხეთა რტოები აქოთქოთდნენ დაფეთებითა.

ფოთოლთ ჩურჩულზე ნიავექარი ფიცხად შეირხა,  
თვალს მიეფარა მყისვე მთვარის ოქროსფერი რქა.

შავი ღრუბლები მუგუზლებით ივსებენ უბეს,  
ერთუერთს სტყორცნიან გამეტებით ცეცხლოვან შუბებს.

ირგვლივ ჩამოწვა წყვდიადი და მიწას აპრყოლებს.  
მძლავრად დაჰქროლე. ქარიშხალო, მძლავრად

დაჰქროლე!

1910

## შეძახილი გაზაფხულს

მოდო, გაზაფხულო, მოდო, სასურველო,  
მოდო,

სიცოცხლის სიმღერით, სინათლის ბრდღვიალო  
ზოდით.



მთა-ველს დაუშინე სხივების ფრთიანი  
ისრები,  
მოდო და ქარს მიეც ჩვენი ზფოთიანი  
სიზმრები.

შეგვმატე ძალა და უცხო სიხარულით  
აგვანთე,  
საუკუნოვანი ბინდი და წყვდიადი  
გაფანტე.



მოდო. გაზაფხულო, ჩქარა მოგვიფრინდი  
მზის ფრთებით,  
ყუყუნა წვიმებში არწივ ჯეჯილის  
ზვირთები.

მოდო. დაჩაგრულებს გულით მოგვეფერე,  
დაგვატყბე,  
ჩვენი სატკივარი გულთან მიიტანე,  
გაგვათბე.

ცათა უნაპირო ზღვისფერ სივრცეებში  
იქუხე,  
მოდო, მოგვიტანე ძვირფას საჩუქართა  
სიუხვე.

ეს მხარე ღარიბი გაგვიბედნიერე  
ნათესით,  
იმღერე, გვამღერე სიცოცხლის მშვენიერ  
ნათელში.

მოდო, აგვიყლერე გულების სათუთი  
სიმები,  
მწვანედ გაგვიფოთლე ხე სიცოცხლისა და  
იმედის.

ჩქარა, გაზაფხულო, მოდო, სასურველო,  
მოდო.  
მოდო, გაგვალვიძე, მოგვხსენი ძილქუშის  
ლოდო.

1913

მ. დ. მ.

შენ ახლა შორს ხარ. არა ჩანს მთვარე,  
ლამის წყვდიადში ფრენენ ფიფქები.



სტეპის ქარბუქი მიბრმავებს თვალეbs  
და გულს მისერავს მწველი ფიქრები.

უშენოდ ბევრი კაეშნიანი  
დღე დამიღამდა. რაღა ვუშველო...  
მსურს სიმღერაში გაიშრილოს,  
რაც მიფიქრია შენზე უშენოდ.



მე ვიცი შენი სასტიკი ხვედრი,  
ბოლომდე გისვამს სიმწრის ფიალა,  
მე ისიც მესმის, რასაც შენ მყვედრი,  
თუმცა შენ გეკუთვნის გული მთლიანად.

გთხოვ მაპატიო! შეგთხოვ და ვღელავ,  
თავს გიხრი. გული დუმილს ვერ ითმენს...  
გადაივიწყე ტკივილიც, წყენაც,  
შენით ვცოცხლობდი, ვცოცხლობ შენითვე.

რარიგ შორსა ხარ და რარიგ ახლოს,  
თოვლის ფიფქები დაფრენენ ქარში.  
კვლავ მარტოდ მდგარი მე შენზე ვნადვლობ  
და ღამის სტეპი ჩამცქერის თვალში.

1943

## პეტრუს ბროვკა

### ქართული სიმღერა

ხან მწვერვალივით ცად აიჭრება,  
ხან დაივაკებს ველად,  
ხან არწივივით ამაყად ყივის,  
ხან ბუღბუღივით გალობს.

მოჭირითეთა სრბოლასა ვხედავ  
და ხევსურების აბჯრებს,  
ვხედავ წყაროდან მომავალ ქალწულს  
ყელმოღერილი სურით.

ო, საქართველოვ, შენს სიმღერებში  
ხალხის გულისთქმას ვისმენ,  
მესმის ფეხის ხმა საუკუნეთა,  
მისი ეჭო მცემს გულზე.


ვხედავ მეომრებს ამოწვდილ ხმლებით  
და თმაქალარა ბრძენებს.  
მათი საბრძოლო ყიფინაც მესმის  
და „მრავალყამიერიც“.

მაგ სიმღერებში ადამიანებს  
ვხედავ ვაზების მწკრივში,  
ვხედავ ყანებში, ვხედავ ბაღებში  
მთის ფერდობზე თუ ველად.

ხან ქარიშხლების ხმები გუგუნებს,  
ხანაც ელურტულებს წყარო...  
ო, საქართველოვ, შენს სიმღერებში  
ხალხის უკვდავ გულს ვუსმენ.



\* \* \*

მომრავლებულან ანტენები, როგორც ტყეები,  
სახურავებზე — აღმართულნი მიჯრით დამდგარან.  
ცისფერ ეკრანზე ციმციმებენ სინათლეები  
და დედამიწის მაჯისცემის ისმის დგანდგარი   
გაქრუნული  
ზიზღიერება

მთელი თავისი სიხარულით, ტკივილით, დარდით,  
როგორც სამყარო, უსაზღვრო და დაუსაბამო,  
მძაფრი მეოცე საუკუნე ჩვენს ჭერქვეშ დადის  
ყოველ შუადღეს, ყოველ ღილას, ყოველ საღამოს.

\* \* \*

ღიახ, გვიყვარდა ერთმანეთი. ეს იყო ასე...  
მაგრამ დრო დადგა, დაიშრიტა ცეცხლი ციური,  
ტყუილუბრალოდ როდი უთქვამთ, რომ ჭვეყანაზე  
არაფერია უცვლელი და მარადიული.  
და თუ ასეა, მამ დავეცილდეთ,  
ერთიმეორის

გულს ნუ დავკოდავთ, ტკივილებით ნულა დავნისლავთ —  
ჭვეყნის ნაწილნიც ხომ განშორდნენ და იმათ შორის  
უკიდევანო ჩადგა სივრცე ოკეანისა.

## კალენდრის ფურცვლისას

### მაცნოთ ბანკი

ყველა კალენდრის ფურცლებზე	და ჭერჭერობით
ზუსტად,	ჩვენი მნათობი
ყოველი წამის გათვლით სწერია —	თუმც თავის დროზე
როდის ამოდის და როდის ჩადის	ჩადის, ამოდის
მზე,	და ზუსტად იცავს
მთვარეს როდის ეთამაშება	თავის წესს და თავის კანონებს,
დამალობანას,	მე მაინც ვშფოთავ,
როდის დარეკავს ტოროლების ხმით,	ვშფოთავ და ვშიშობ —
როდის შრიალებს თავთავთა	არავინ დაარღვიოს
სუნთქვით,	დედამიწის კალენდრის
როდის იბურავს პირს ფოთოლცვენით,	ოღინდელი გრაფიკი.
როდის — ყინულით.	



\* \* \*

ოდესღაც, რასაც კი მე ვსწავლობდი,—  
თიბვა იყო თუ გუთნის მიყოლა,  
ახალი პურის კვერის დაბრაწვა,  
თუ ქალეიკის სიმით აჟღერება,  
ძელური ქოხის სარდაფის მოთხრა,  
ცისფერ სივრცეში ოცნებით ფრენა,  
თუ ქარიშხლებში  
ძებნა ჩემი ბედნიერების

ეს ყველაფერი ჩემთვის მაშინ იყო  
პირველი.  
დღეს კი მე  
სულ სხვა რამეზე ვფიქრობ  
ვშფოთავ. ვაი თუ  
ეს სტრიქონები იყოს ჩემთვის  
უკანასკნელი



### სასვენი ნიშნები

ჩანს, დედამიწამ  
დააჩქარა თავისი ბრუნვა.  
ფეთიანივით ჩქარობს  
საათი,  
მის ხსარს წლები და ათწლეულები  
მისდევნ ალვირაწყვეტილები.  
და საადრეო კვების კულტურებს  
დღითიდღე მეტი ფასი ედება.  
რძეშეუმშრალი  
ბავშვები სპორტს ეუფლებიან  
გვევლინებიან  
ჩემპიონებად.  
უფრო და უფრო მეტი სისწრაფით

ვუცვლით სახელებს  
ქუჩებს, სოფლებს, დაბებს, ქალაქებს,  
ყოველდღე ვახდენთ გმირების შეცვლას  
პატივისცემის პიედესტალებზე.  
ერთიმეორეს ვეჭიბრებით, ვინ უფრო  
ჩქარა  
გადავიწყებს მშობლიურ ენას.  
დრო აღარ გვყოფნის მოვინახულოთ  
ჩვენი კეთილი მეგობრები და  
მოყვასები.  
და თუ წერილით მოვიკითხავთ,  
ჩვენ ვეღარ ვასწრებთ  
მასში სასვენი ნიშნების დასმას.

\* \* \*

მე მივულოცე  
მეგობრებს და თანაპოლკელებს  
გაზაფხული და გამარჯვების დღე  
და მხოლოდ მერე გამახსენდა,  
რომ დამავიწყდა  
ნაროჩის ტურფა ქალებისთვის ამ  
დღის მილოცვა.  
ტელეგრაფისტი კოდალა ძლივს  
დავიყოლიე.

რომ გადაეცა საზეიმო დეპეშა ჩემი  
ყველა არყისთვის, ყველა  
ფიჭვისთვის —  
ჩემივე თანატოლებისათვის.  
ისინი ახლა  
უკვე ბევრნი აღარ არიან.  
ვდგავარ და ვუსმენ  
ტელეგრაფისტ კოდალას კაცუნს,  
რაიც მაშინვე იძირება მოგონებათა  
უძირო ტბაში.

\* \* \*

სიჩუმე  
არასდროს არ იყო  
და არ არასდროს იქნება  
ოქრო.

ის ან  
ოქროზე ათასწილად ძვირფასი არის  
ანდა  
გახვრეტილ გროშადაც არ ღირს.



სლოვენიურიდან  
თარგმნა ედიშ კვირტიამ



**ფ**რანს პრეშერნი (1800—1849 წ.წ.) პუშკინისა და ბარათაშვილის თანამედროვე სლოვენიელი პოეტი. მას სლოვენიელ პუშკინსაც კი უწოდებენ. ვერ გატყვით, ეს შედარება სლოვენიელებიდან იღებს სათავეს თუ რუსებიდან. მაგრამ ერთი რამ დაბეჭდვით შეიძლება ითქვას: პრეშერნი ბარათაშვილთან უფრო ავლენს სულიერ ნათესაობას ვიდრე პუშკინთან. ეს არც არის გასაკვირი და შემთხვევითი: სლოვენია, როგორც საქართველო, დამოუკიდებლობა დაკარგული ქვეყანა იყო. თუ საქართველოში მეფის რუსეთი გარუსების პოლიტიკას ატარებდა, სლოვენიაში გერმანიზაციის პოლიტიკა ტარდებოდა. დამოუკიდებლობა დაკარგული ქვეყნების პოეტებს, ცხადია, უფრო მეტი საერთო ტკივილები, მიზნები და „შეხების წერტილები“ გააჩნიათ, რამდენადაც ვიცით, პუშკინი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგიც კი ყოფილა (გავიხსენოთ მისი დამოკიდებულება პოლონეთის აჯანყებისადმი).

პრეშერნი ბარათაშვილთან სულიერ სიახლოვეს იმითაც ავლენს, რომ მის ლექსებში ბევრია სევდაც და ბედთან კამათიც, ოღონდ, პრეშერნის პოეზიაში უფრო მეტი ფორმისეული ძიებებია.

სამწუხაროდ, მე არ ვიცნობ პრეშერნის პოეზიის ქართულ თარგმანებს. არც ვიცი ეს თარგმანები არსებობს თუ არა, მაგრამ როგორაც არ უნდა იყოს, ვფიქრობ, მკითხველს მაინც დააინტერესებს მასთან კიდევ ერთხელ შეხვედრა.

მთარგმნელი საზან

### გაფრთხილება

დუღს აგვისტოს მზე და სიცხეს  
გამოქცეულთ ცაცხვის ხის ქვეშ.  
გაუშლიათ სუფრა ბიჭებს,  
ცლიან ღვინით საესე ჭიჭებს,  
ნებივრობენ... ყოველ მათგანს  
გულუბრყვილო გოგო აბლავს,  
არის ხვევნა და ალერსი —  
თვით ღვინოზე უამესი.  
აპყოლია გრძნობებს ყველა,  
კისკისებენ უზრუნველად,  
არც შიში აქვთ და არც რიდი,  
ამ დროს სადღაც გაჩნდა ჩიტი  
და შემოჯდა ცაცხვის ტოტზე:  
„გოგონებო, მოდიოთ გონზე,  
თუ გინდათ რომ არ გაწბილდეთ —

ნუ ენდობით ამ ყმაწვილებს,  
დღეს გაცდენენ ოქროს კოშკით,  
ხვალ შეგარჩებათ ხელში ქოხი  
და ალერსი ამ ბიჭებთან  
ცრემლის ფასად დაგიჯდებათ...“.  
„ჩიტო, შენ რამ გაგამწარა,  
გაგვეცალე, ჩქარა, ჩქარა!  
და თუ აღარ დაგვიჩერებ,  
ვეტყვით ბიჭებს — დაგიკერენ,  
ფრთების გაშლას არ გაცლიან,  
დაგაჭრიან, წაგაცლიან“.  
„მე დაქვრა არ მაშინებს,  
გავშლი ჩემს ფრთებს და მაშინვე  
საითაც მსურს — გავფრინდები.  
მიმელიან კვლავ მინდვრები.“



თქვენ დარჩებით შეცდენილნი,      ცრემლი აღარ დაგიშრებათ,  
სამუდამოდ შერცხვენილნი,      ასე ძვირად დაგიჭდებათ  
გაუთხოვრად გაშლით აკვნებს,      შეცდენა და თქვენს მძიმე ტვირთს  
მარტო გაზრდით თქვენს ბუმ ბავშვებს,      ველარ აგხსნით მერე ღმერთიც.



## ლაზოლები

### I

ჩემი სიცოცხლე არის ბარძიმი, შიგ მიწერია **შენი სახელი**,  
ჩემი სიცოცხლის, იმედის წყარო და ნათელია **შენი სახელი**,  
კიდით — კიდემდე, მარშიყ — მაღრიბით, შენთვის ვიმღერებ მთელი სიცოცხლე,  
ოღონდ იცოდეს ყველამ, რომ ჩემთვის, ყველაფერია **შენი სახელი**.  
სლოვენიაში მომიფენია **შენი სახელის** ტკბილი ბგერები,  
ჩემს სიმღერებში მე არასოდეს გამომრჩენია **შენი სახელი**,  
ბაგეებს ჩემსას არ დასცდენია სახელი **შენი სახელის** გარდა,  
ქარონის<sup>1</sup> ნავმაც რომ წამიყვანოს, არაფერია, **შენი სახელი**,  
დარჩება მარად ტურფა დელიას, ტურფა ლაურას<sup>2</sup> სახელის დარად,  
სულს უკვდავ ჰანგად შემორჩენია, რაც მიმღერია **შენი სახელი**.

### II

შორიდან ისე მოწყალებდ მიმზერ,  
გადავწყვეტ გითხრა: მიყვარხარ ისევ!  
მოვალ და ცივად მარიდებ თვალებს,  
არც მეუბნები გაბუტვის მიზეზს...  
თუ ერთხელ მაინც გავივლი სხვასთან,  
ან გავიხედავ წამიერ სხვისკენ,  
ხალხშიც ვერ მალავ ბრაზსა და წყენას,  
შენთან მოსულს კი არ მამჩნევ ისევ...  
გიყვარვარ? გძულვარ? მე ვერ გავიგე  
ვერ ჩავწვდით მე შენს სურვილს და მიზნებს.

### III

მთელმა ქვეყანამ იცის და სჯერა, რომ ერთადერთი მე **შენ მიყვარხარ!**  
ჩემი ყოველი ლექსი თუ ბგერა შენ ერთს გეკუთვნის მე **შენ მიყვარხარ!**  
ეს იცის ღამემ, უძილო ღამემ, რომელსაც ნშირად ვუმხელ ხვაშიადს,  
მთაშიც, ბარშიაც, ეს იცის ყველამ და სჯერა ყველას: მე **შენ მიყვარხარ!**  
იცის ნათელმა განთიადმა და ჩამავალი მზის სევდამაც იცის,  
იცის ნოემბრის ფოთოლცვენამ, ზამთარმაც იცის: მე **შენ მიყვარხარ**  
შენს ხმას და სიცილს, შენს ღამაზ თვალებს ვუმღეროდი და ვუმღერი ისევ  
ღამეულ ნისლებს, თუ ჩიტთა სტვენას ჩემი ხმაც ერთვის: მე **შენ მიყვარხარ!**  
ჩემი ოთახის უტყვმა კედლებმაც იციან როგორ ვიწვი და ვდნები,  
შენმა პარმალმა, ხავსმა და ქვებმაც კარგად იციან: მე **შენ მიყვარხარ!**  
იციან შენი ბალის ხეებმა და თავმომწონე ყვავილმაც იცის,

<sup>1</sup> ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟი, რომელსაც ჰადესში წაიყვანეს მიცვალებულთა სულები.

<sup>2</sup> დელიას და ლაურას თავიანთ ნაწარმოებებში უმღეროდნენ თვიდიუსი და პეტრარკა.



ნაცნობ-უცნობმა, მოყვარემ, მტერმაც იციან კარგად: მე შენ მიყვარხარ! არავის, არსად, არც ერთი წუთით არ შეჰპარვია ამაში ეჭვი. მხოლოდ და მხოლოდ შენ ერთს არ გჯერა, რომ ერთადერთი მე შენ მიყვარხარ!

IV

ვიცი, მლანძღავენ ხშირად ქალები, გეუბნებიან რომ ვარ ცბიერი. რომ სიყვარული არ შემიძლია ნამდვილი, წრფელი, სულსმომკლავი. კორაობენ და იფხანენ ენას, იხედებიან ყავის ჭიქებში, გიშურებენ ჩამოგითვლიან თითებზე ყველას, ყოვლისმხილველი ქალის იერით თუ ვინ მიყვარდა ან არ მიყვარდა, ვისთან ერთხელაც კი გამივლია და გარწმუნებენ, რომ ვერ იქნები ჩემთან უღარდო და ბედნიერი... ეს ტყუილია, ნუ დაიჯერებ! გთხოვ აღსარება ისმინო ჩემი: მე, მართალია, ვიდრე ვიგრძნობდი და გავხდებოდი ვარდის მხილველი, ვეფერებოდი იებს, ენძელებს, ვეფერებოდი მინდვრის ყვავილებს, ვიდრე მომესმა ბუღბუღლის ხმა და გალობა მისი გასაკვირველი, ვუსმენდი კაქკაჰს, სკვინჩას, ნიბლიას, მოლაღურსა თუ ბოლოქანქალას და არ ვიცოდი თუ არსებობდა სხვა სიყვარული უფრო ძლიერი. მაგრამ მას შემდეგ, როცა გიხილე ყვავილთა შორის უპირველესი, როცა გიხილე მნათობთა შორის სხივებნათელი მზე ცისიერი, მე ამეხილა უცებ თვალები და სხევებს ნუ უსმენ, ჩემო ძვირფასო, მერწმუნე, ვიცი მე სიყვარული ნამდვილი, წრფელი, სულისმიერი!

V

ძვირფასო, გუშინ ჯერ კიდევ ბავშვი ეგონე ყველას... დრო სწრაფად გარბის და აი დღეს მთელ ლუბლიანაში შემოგნატრიან... დრო სწრაფად გარბის. საითაც აღარ უნდა წახვიდე, ათასი მზერა მოგყვება ყველგან, სიზმარში, ცხადში, ავდარში, დარში აღანთებ გულებს, დრო სწრაფად გარბის. მაგრამ შენ ურჩი პანიბალი ხარ, ჩვენი გული კი ძველი რომია დამარცხებული კანის ბრძოლაში და კარგად იცის: დრო სწრაფად გარბის! მეც შენთა თვალთა ისრით დაჭრილი, შენს სილამაზეს ვუმღერი ისევ, ყური მიუგდე: ჩემს სიმღერებში ლოცვაა შენზე... დრო სწრაფად გარბის! მხოლოდ ლექსს ძალუძს დროს შეუწახოს ულამაზესი ელენეს სახე და დაეწყების უძირო ზღვაში არ ჩაიკარგოს... დრო სწრაფად გარბის!

VI

გაზაფხულია, მთესველი თესავს და რას მოიმკის აღარც კი იცის, აი გლეხკაცი ეზოში ხეს რგავს, რამდენს მოიხზამს — აღარც კი იცის. ზამთარ-ზაფხულში, ავდარში, დარში მომთაბარეობს ფარასთან ერთად და რა იქნება ნამატი, მწყემსმა, დანამდვილებით აღარც კი იცის. დადის ვაჭარი ქალაქად, სოფლად, ყიდულობს, ყიდის, ეძებს სარგებელს, აბრუნებს ნაღდ ფულს, ოქროს და ვერცხლსაც და რას მოიგებს აღარც კი იცის. საბრძოლო მარში უხმობს მეომარს, აი იწყება ბრძოლა ფიცხელი, არ უშინდება ტყვიების ცეცხლსაც, ბოლოს რა ელის აღარც კი იცის. აი შენ ახლა კითხულობ ამ ლექსს, ლექსს შთაგონებულს, ძვირფასო შენით, ნეტავ, თუ გითხრა სათქმელი ლექსმა, მისმა ავტორმა აღარც კი იცის, ეს შენ დაანთე მის სულში ცეცხლი, შენს სიყვარულში ათენ-ალამებს, მაგრამ გაბედავს პირადად შენთან, ამის თქმას იგი, აღარც კი იცის.





ინგლისურიდან

თარგმნა მედეა მგალოგლიშვილმა

### ზუახნის ცოლის ამბავი

მისტერ პეკინგტონმა მწყრაღად, ბუზღუნით ჩაილაპარაკა. ნეტა ჩემს ქუდს ვინ რას ერჩის, რატომ არასოდეს არ დევსო თავის ადგილას, კარი გაიჯახუნა და საჩქაროდ გაეშურა, რომ ქალაქისაკენ 8 საათსა და 45 წუთზე მიმავალი მატარებლისათვის მიესწრო. მისიზ პეკინგტონი ისევ საუზმისათვის გაწყობილ მაგიდასთან იჯდა. სახეზე ერთიანად აჭარხლებულიყო, ტუჩები მოეკუმბა და თუ არ ტიროდა, მხოლოდ იმიტომ, რომ უკანასკნელ წამს ნაღველი გაუქრა და სიბრაზემ აიტანა. „ალარ შემოდოა“, — თქვა მისიზ პეკინგტონმა, — „მეტს ველარ გავუძლებ!“ ცოტა ხანს ჩაფიქრებული იყო, მერე ამოიღულულა: „ეგ კახპა, ეგა, საძაგელი, გველაძუა გომბიო! ნეტა ჯორჯი რაღამ გამოასულელა ასე!“

მერე სიბრაზე გაუნელდა და ისევ მწუხარება მოეძალა, თვალებზე ცრემლები მოადგა და დანაოჭებულ ლოყებზე ჩამოუცურდა. „არა, ვერ გავუძლებ-მეთქი, რომ ვამბობ, ნეტა სავა გზა მაქვს?“

ყველასაგან შიტოვებულად, უმწეოდ და მეტისმეტად საცოდავად იგრძნო თავი. ნელა აიღო ხელში დილის გაზეთი და, ვინ იცის, უკვე მერამდენედ წაიკითხა პირველ გვერდზე დაბეჭდილი განცხადება.

კორმუ განცხადებაები

ბედნიერი ხარო? თუ არა,

ჩჩევისათვის მოაკითხეთ მისტერ პარკერ პაინს.  
რიჩმონდ სტრიტი, 17.

„რა სისულელეა! — თქვა თავისთვის მისიზ პეკინგტონმა, — დიდი სისულელეა“. მერე: „თუმცა ბოლოს და ბოლოს, რა დამიშავდება, რომ მივიღე და ვნახო?!“

ჰოდა, თერთმეტ საათზე, ცოტა არ იყოს აღელვებულ მისიზ პეკინგტონს მისტერ პარკერ პაინის კერძო დაწესებულებაში შეუძღვნენ.

უკვე მოგახსენეთ, მისიზ პეკინგტონი ღელავდა-მეთქი, მაგრამ დაინახა თუ არა მისტერ პარკერ პაინი, ცოტათი დამშვიდდა. პარკერ პაინს ჩასუქებული კაცი თუ არა, ზორბა მაინც ეთქმოდა. ლამაზად მოყვანილი თავი ჰქონდა.



თმა გასცვენოდა, სათვალის სქელი მინებიდან პატარა, მოციმციმე თვალები მოუჩანდა.

„გთხოვთ დაბრძანდეთ, ალბათ ჩემმა განცხადებამ მოგიყვანათ, ხომ?“ სალაპარაკოდ წააქეზა მისტერ პარკერ პაინმა მისი პეკინგტონი.

„დიახ“. უპასუხა მისი პეკინგტონმა და გაჩუმდა.

„როგორც ჩანს, ბედნიერად ვერ გრძნობთ თავს? — ვეფხვეფხვეფიერაო, სხვათა შორის ჰკითხა მისტერ პარკერ პაინმა, — ძალიან გოჭყლიყმე ბედნიერი. გაგიკვირდებათ, რომ იცოდეთ, რა ცოტაა ქვეყნად ბედნიერი ადამიანი“.

„მართლა?“ თქვა მისი პეკინგტონმა, თუმცა დიდად არასოდეს აწუხებდა სხვების ბედი თუ უბედობა.

„მესმის, რომ ეს ამბავი მაინცდამაინც არ გაინტერესებთ“, უთხრა მისტერ პარკერ პაინმა. „მე კი ძალიან მაინტერესებს. იცით, ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე სახელმწიფო აპარატში სტატისტიკის დარგში ვმუშაობდი. ახლა პენსიაზე გავედი და ვიფიქრე, ამ ჩემს გამოცდილებას სხვამხრივ გამოვიყენებ-მეთქი. ყველაფერი ხომ ისე უბრალოა. უბედურება, მერწმუნეთ, მხოლოდ ხუთგვარი შეიძლება იყოს. და, თუკი ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზი იცით, წამლის პოვნაც არ გაჭირდება.“

მე ხომ ეჭიმივითა ვარ. ეჭიმი ჯერ დიაგნოზს უსვამს თავის პაციენტს, მერე კი ურჩევს, როგორ იმკურნალოს. ისეთი შემთხვევებიცა გვაქვს, არავითარი მკურნალობა რომ არ ჰქრის. ასეთ დროს გულახდილად გამოვტყდები-ხოლმე, რომ უძლური ვარ. მაგრამ გარწმუნებთ, მისი პეკინგტონ, თუკი სატკივარს ალღო ავუღე, განკურნება თითქმის გარანტირებულია“.

ნუთუ მართლა შესაძლებელია ასეთი რამ? ნეტა სიმართლის მარცვალი მაინც თუ ურევია ამ კაცის ნათქვამში? მისი პეკინგტონი იმედით მისჩერებოდა მისტერ პარკერ პაინს.

„გინდათ გითხრათ, აქ რამ მოგიყვანათ?“ ღიმილით ჰკითხა მისტერ პარკერ პაინმა. სკამის საზურგეს მიეყრდნო და თითისწვერები შეატყუპა. „საქმე თქვენს ქმარს ეხება, ბედნიერად ცხოვრობდით. ვგონებ, იგი სამუშაოზე დაწინაურდა. საქმეში ყმაწვილი ქალი უნდა იყოს გარეული — ალბათ თქვენს ქმართან მუშაობს“.

„მბეჭდავია, — ერთი საძაგლად შეღებილი თავხედი გოგოა, პომადაწათხიპნილი, აბრეშუმისწინდებიანი და თმადაკუწკუწებული“, გულიდან ამოსკდა მისი პეკინგტონს.

მისტერ პარკერ პაინმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. „დარწმუნებული ვარ, თქვენს ქმარს სულაც არ მიაჩნია თავი დამნაშავედ“.

„სწორედ ასე გახლავთ“.

„ალბათ, ამბობს, რატომაც არ უნდა ვიმეგობრო ამ ყმაწვილ ქალთან, რომ ერთფეროვანი ცხოვრება ცოტათი გავუხალისო და ვაამო? ხომ ასეა?“

მისი პეკინგტონი საჩქაროდ დაეთანხმა. „ეს ხომ თვალთმაქცობაა. მდინარეზე დაატარებს ხოლმე — თავადაც მიყვარს მდინარის პირას სეირნობა, მაგრამ ხუთი თუ ექვსი წლის წინათ მეუბნებოდა, მე გოლფის თამაში მირჩევნიაო. ამ გოგოსათვის კი გოლფსაც თმობს. თეატრში სიარული მიყვარს, — ჯორჯი ყოველთვის ამბობდა, ძალიან ვიღლები და საღამოთი ვედარსად გავალო. ახლა ის ქალი საცეკვაოდ დაჰყავს — საცეკვაოდ! და ნაშუალამევს სამ საათზე ბრუნდება შინ. მე...“



„და რაღა თქმა უნდა, წუწუნებს, რა ეჭვიანები არიან ეს ქალები, უაზროდ ეჭვიანები, მაშინაც ეჭვიანობენ, როცა საბაბი არა აქვთო, ხომ?“

მისი პეკინგტონი კვლავ დაეთანხმა. „სწორედ ასეა“, მერე საჩქაროდ ჰკითხა: „საიდან იცით ეს ყველაფერი?“

„სტატისტიკის საშუალებით“, უბრალოდ მიუგო მისტერ პარკერ პაინმა.

„რა საცოდავი ვარ, — თქვა მისი პეკინგტონმა. — მუდამ კარგად ვიცი, ვიყავი ჯორჯისთვის. პირდაპირ თავი მქონდა გადადებული, რომ ვინმე დამეჭვებინა. სხვა მამაკაცისკენ არც გამიხედავს. არასოდეს დაკლებია ჩემი ხელი, გემრიელ სადილებსაც მიირთმევს, შინაც ყველაფერი რიგზეა — ყოველნაირად, არც ეკონომიურად გვიჭირს. ახლა კი, როცა წელში გავიმართეთ, შეგვიძლია ერთმანეთს ვასიამოვნოთ და ხელიც მიგვიწვდება ისეთ რამეებზე, წინათ ოცნებაც რომ არ შეგვეძლო, — ეს ამბავი გამოტყვრა!“ მისი პეკინგტონმა სული ძლივს მოითქვა.

„გარწმუნებთ, მშვენივრად მესმის თქვენი“, დარბაისლურად დაუკრა თავი მისტერ პარკერ პაინმა.

„ვითომ შეგიძლიათ დამეხმაროთ?“ თითქმის ჩურჩულით ჰკითხა ქალმა.

„რა თქმა უნდა, ქალბატონო. ამ საქმეს ნამდვილად ეშველება“.

„მერე რა უშველის?“ ქალს მოლოდინისაგან თვალები დაუმრგვალდა.

„უნდა მომენდოთ. გადასახადი კი ორასი გინეა იქნება“, წყნარად და მტკიცედ უთხრა მისტერ პარკერ პაინმა.

„ორასი გინეა!“

„არც მეტი, არც ნაკლები. ამ ფულის გადახდა თქვენ არ გაგიჭირდებათ, მისი პეკინგტონ. ეს თანხა საქმის მოსაგვარებლად საჭირო. ბედნიერება არანაკლებ მნიშვნელოვანია ჯანმრთელობაზე“.

„ალბათ გადასახადს, საქმე რომ მორჩება, მაშინ გადაგიხდით“.

„პირიქით, წინასწარვე“, უთხრა მისტერ პარკერ პაინმა.

„არ მესმის, რატომ უნდა...“ წამოდგა მისი პეკინგტონი.

„გაიბრიყვოთ თავი, არა?“ მხიარულად ჰკითხა მისტერ პარკერ პაინმა.

„დიახ, იქნებ თქვენ მართალიც ხართ. კარგა მოზრდილი თანხაა და გარისკვა ცოტა ძნელია. მაგრამ იცით, უნდა მენდოთ. ფული უნდა გადაიხადოთ და მაინც სცადოთ ბედი. ასეთია ჩემი პირობა“.

„ორასი გინეა!“

„ზუსტად. ორასი გინეა, გვარიანი თანხა კია. მაშ, კარგად ბრძანდებოდეთ, მისი პეკინგტონ. თუ აზრი შეიცვალათ, შემატყობინეთ“. კაცმა ხელი ჩამოართვა და მშვიდად გაუღიმა.

ქალი რომ გავიდა, მისტერ პაინმა თავის მაგიდაზე ლილავს დააქირა თითი. ვილაც შეუხედავი, სათვალისანი ყმაწვილი ქალი გამოეპასუხა.

„კარტოთეკა მომიტანეთ, მისს ლემონ. გეთაყვა. უთხარით კლოდს, რომ ცოტა ხანში დამჭირდება“.

„ახალი კლიენტია?“

„დიახ, ახალი კლიენტია, ჯერჯერობით თავი შეიკავა, მაგრამ ვიცი, დაბრუნდება. ალბათ ნაშუადღევს, ოთხი საათისათვის მოვა და შემოუშვით“.

„ნიმუში A გამოდგება?“

„რა თქმა უნდა, ნიმუში A. რა საინტერესოა, ყოველ ადამიანს ჰგონია, მას რომ უჭირს, ისე არავის გაჭირვებია ჯერ. კეთილი, კეთილი, გააფრთხილეთ“.



კლოდი. უთხარით, მეტიმეტი ეგზოტიკურობა არაა საჭირო-თქო, სუნამოს ნუ დაიპყრებს და კარგი იქნება, თუ მოკლედ შეიპრის თმას“.

ოთხს თხუთმეტი წუთი აკლდა, მისიზ პეკინგტონმა კიდევ ერთხელ რომ შე-  
ალო მისტერ პარკერ პაინის კანტორის კარი. წიგნაკი ამოიღო, ჩეკი გამოწერა და  
მისტერ პარკერ პაინს მიაწოდა.

„ახლა“? იმედით შეაცქერდა მისიზ პეკინგტონი.

„ახლა კი“, გაილიმა მისტერ პარკერ პაინმა, „შინ დაბრუნდით. ნვალ, დილის  
ფოსტით ჩემს მითითებებს მიიღებთ და მოხარული ვიქნები, თუ შეასრულებთ“.

მისიზ პეკინგტონს სასიამოვნო წინათგრძნობა დაეუფლა.

მისტერ პეკინგტონი შემართული დაბრუნდა შინ, მზად იყო თავისი პო-  
ზიცია დაეცვა, თუკი საუზმეზე დაწყებული კინკლაობა ისევ განახლდებოდა.  
რა თქმა უნდა, გულზე მოეშვა, როცა მიხვდა, მისი ცოლი ჩხუბის გუნებაზე  
არ იყო. ქალი უჩვეულოდ ჩაფიქრებულიყო.

ჯორჯი რადიოს უსმენდა და თან იმაზე ფიქრობდა, დართავდა თუ არა ის  
ძვირფასი ბავშვი, ნენსი, ქურქის ჩუქების ნებას. იცოდა, ყმაწვილი ქალი ძა-  
ლიან ამაყი იყო და არ უნდოდა შეურაცხყოფა მიეყენებინა. თუმცა ჯორჯთან  
აკი დაიჩივლა, მცირეაო. ტვიდის იაფფასიანი პალტო ეცვა, რა თბილი ის იქ-  
ნებოდა. იქნებ როგორმე მოახერხოს ისე ჩუქება, რომ უარზე ვერ დადგეს...

სულ მალე საღამოს ერთად გატარებას აპირებდნენ. მთელი სიამოვნება  
იყო ასეთი გოგოს მოდურ რესტორანში წაყვანა. ჯორჯი ატყობდა, ყმაწვილ კა-  
ცებს როგორ შურდათ მისი: გოგონა ხომ ძალიან ლამაზი იყო, თანაც ჯორჯიც  
მოსწონდა. ეუბნებოდა, სულაც არ მეჩვენები მოხუციო.

ფიქრებში გართულმა ჯორჯმა აიხედა და ცოლის თვალებს წააწყდა. უცებ  
დამნაშავედ იგრძნო თავი და ამან გააბრაზა. გაუწყალა პირდაპირ გული, რა  
გონებაშეზღუდული, ეჭვიანი ქალია მარია! ამ ერთი ბეწო სიხარულსაც კი არ  
ანებებს.

ჯორჯმა რადიო გამორთო და დაწვა.

მეორე დღით მისიზ პეკინგტონმა მოულოდნელად სამი წერილი მიიღო.  
ერთი აუწყებდა ცნობილ კოსმეტოლოგთან დანიშნულ შეხვედრას, მეორე —  
მკერავთან. მესამეს კი მისტერ პაინი უგზავნიდა: „რიცში“ საუზმეზე ეპატივე-  
ბოდა.

მისტერ პეკინგტონმა დაიბარა, შეიძლება ამ საღამოს სადილად ვერ მო-  
ვიდეს, საქმიანი შეხვედრა მაქვსო. მისიზ პეკინგტონმა ანგარიშმიუცემლად და-  
უქნია თავი და მისტერ პეკინგტონი გახარებული წავიდა, ქარიშხალს გადავუ-  
რჩიო.

კოსმეტოლოგი საბტად დარჩა, ასეთი მოუვლელი სახე რომ დაინახა. კი  
მაგრამ, ქალბატონო, რატომ ამდენ ხანს არ მიაქციეთ ყურადღება სახის კანს?  
არა, თუმცა, ძალიან გვიან ახლაც არააო, უთხრა.

სახეზე პროცედურები ჩაუტარეს, ხელები უტყაპუნეს, მასაჟი გაუკეთეს,  
გაუწმინდეს, ტალახიც წაუსვეს, მალამოებიც, მერე პუდრიც შეაფრქვიეს და  
ერთი-ორჯერ კიდევ მიუსვ-მოუსვეს ხელი.

ბოლოს სარკეში ჩაახედეს. „თქმა არ უნდა, გამაახალგაზრდავეს“, გაი-  
ფიქრა ქალმა.

მკერავმაც ასეთივე სიხარული მოჰგვარა. ახალ სამოსში მოხდენილად და  
მოდურად გამოიყურებოდა და თავისუფლადაც გრძნობდა თავს.

ოთხის ნახევარზე მისტერ პარკერ პაინს უნდა შეხვედროდა „რიცში“. მი-



სტერ პაინი უკვე მოსულიყო და ელოდა. უზადოდ ეცვა. მისი დანახვა დაგამ-  
შვიდებდათ.

„მშვენივრად გამოიყურებით“, გამოცდილი თვალით აათვალიერ-ჩაათვა-  
ლიერა კაცმა. „თავს უფლება მივეცი და თქვენთვის კოქტეილი შემუშავებ“.  
მისი პეკინგტონი კოქტეილის სმას დაჩვეული არ გახლდათ, მაგრამ უარ-  
ზე არ დამდგარა. გაუბედავად წრუპავდა ამაღელვებელ სითხეს დასუსტებულ  
დებდა კეთილმოსურნე დამრიგებელს.

„თქვენი მეუღლე, მისი პეკინგტონი, — უთხრა მისტერ პარკერ პაინმა, —  
უნდა გავაოცოთ, სომ ხვდებით, რასაც ვგულისხმობ. ამას რომ მივალწიოთ,  
ვაპირებ ერთი ჩემი ჭაბუკი მეგობარი წარმოგიდგინოთ. დღეს ერთად ისაუბ-  
რებთ“.

ამ დროს ყმაწვილი კაცი შემოვიდა, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, მის-  
ტერ პარკერ პაინს მოჰკრა თვალი და მოხდენილად გამოეშურა მათკენ.

„მისტერ კლოდ ლატრელი — მისი პეკინგტონი“.

მისტერ კლოდ ლატრელი ოცდაათი წლის იქნებოდა, მომხიბვლელი,  
ლამაზი ყმაწვილი კაცი იყო, უნაკლოდ ეცვა.

„მოხარული ვარ, რომ გაგიცანით“. — თქვა მან.

სამიოდე წუთის მერე მისი პეკინგტონი თავის ახალ მასწავლებელს ეჩ-  
და წინ ორი კაცისათვის გაწყობილ პატარა მაგიდასთან.

პირველად მორცხვობდა, მაგრამ მისტერ ლატრელის დახმარებით მალე  
იგრძნო თავი თავისუფლად. მისტერ ლატრელმა კარგად იცოდა პარიზი და  
რევიერაზე ეტარებინა დრო. მისი პეკინგტონს ჰკითხა, ცეკვა თუ გიყვართო.  
მისი პეკინგტონმა უპასუხა, მიყვარს, მაგრამ ახლა ძალიან იშვიათად დავდი-  
ვარ საცეკვაოდ, რადგან მისტერ პეკინგტონს არ უყვარს საღამოობით გარეთ  
გასვლაო.

„ნუთუ ისეთი მკაცრია თქვენი ქმარი, რომ ერთთავად შინ ყავხართ გამო-  
მწყვდეული?“ გაუღიმა და ქათქათა კბილები გამოაჩინა კლოდ ლატრელმა.  
„ჩვენს დროში ქალები მამაკაცთა ექვიანობას არად აგდებენ“.

მისი პეკინგტონმა კინალამ უპასუხა, ექვიანობა არაფერ შუაშიაო, მაგ-  
რამ თავი შეიკავა, ბოლოს და ბოლოს, ამ ყმაწვილმა კაცმა საამო აზრი გამო-  
თქვა.

კლოდ ლატრელმა ერთი-ორჯერ ისე, სხვათა შორის ახსენა ლამის კლუბე-  
ბი. გადაწყვიტეს, მეორე დღეს, საღამოთი ორთავენი ცნობილ „ლესერ არქან-  
ჯელში“ წასულიყვნენ.

მისი პეკინგტონი ცოტათი დელავდა, ჩემს ქმარს ეს როგორ ვუთხრაო.  
ჯორჯს უჩვეულოდ და ალბათ სასაცილოდაც მოეჩვენება ეს ამბავიო. მაგრამ  
ტყუილად დარდობდა. საუზმეზე თქმა ვერ გაუბედა, ორი საათისათვის კი მის-  
ტერ პეკინგტონმა შემოთვალა, სადილად არ მოვალო.

საღამომ ჩინებულად ჩაიარა. ახალგაზრდობაში მისი პეკინგტონი კარგად  
ცეკვავდა და კლოდ ლატრელის ოსტატური ხელმძღვანელობით მალე აულო  
ალო თანამედროვე ცეკვებს. ლატრელმა შეუქო ქალს საგარეო კაბა და ვარ-  
ცხნილობა (იმ დილით ქალი მოდურ პარიკმახერთან იყო), დამშვიდობებისას  
ისე აკოცა ხელზე, მისი პეკინგტონს გული აუფანცქალდა. კარგა ხანი იყო,  
ქალს ასეთი საღამო არ გაეტარებინა.

მერე ერთმანეთს წაება ათი მშფოთვარე დღე. მისი პეკინგტონი საუზ-  
მობდა, ჩაის სვამდა, ტანგოს ცეკვავდა, სადილობდა და ვახშმობდა. დაწერი-



ლებით შეიტყო ყველაფერი კლოდ ლატრელის ნაღვლიან ბავშვობაზე. ყმაწვილ კაცს არც თავისი ტრაგიკული სიყვარულის ამბავი დაუმაღავს და, საერთოდ, ქალების მიმართ რომ გაბოროტებული იყო, არც ის.

მეთერთმეტე დღეს ისინი „რედ აღმირალში“ ცეკვავდნენ. მისი პეკინგტონმა თავისი მეუღლე მანამ დაინახა, ვიდრე თვითონ კაცი შეამჩნევდა, ჯორჯი თავის თანამშრომელ ახალგაზრდა ქალთან ერთად იყო. ორივე წყვილი ცეკვავდა.

„პელო, ჯორჯ“ სხვათა შორის მიესალმა მისი პეკინგტონი, როცა ერთმანეთთან ახლოს მოხვდნენ.

ქალი გაართო იმის დანახვამ, როგორ გაოცდა მისი ქმარი, როგორ წამოქარხლდა, სახეზე ისეთი გამომეტყველება აღებეჭდა, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო.

მისი პეკინგტონმა ამ ვითარების ბატონ-პატრონად იგრძნო თავი. საბრალო ბებერი ჯორჯი! მაგიდასთან მჯდომი მისი პეკინგტონი კვლავ უთვალთვალეზდა მათ. რა მსუქანი იყო და მელოტი ჯორჯი, რა საშინლად დაბაჯბაჯებდა! ოცი წლის წინანდებურ ყაიდაზე ცეკვავდა. საბრალო, როგორ უნდოდა ახალგაზრდა ყოფილიყო! და ის გოგოც შეებრაღა, თავი რომ უნდა მოეჩვენებინა, თითქოს ძალიან მოსწონდა ჯორჯთან ცეკვა. გოგოს თავი კაცის მხარზე დაედო და საკმაოდ გაბეზრებული სახე ჰქონდა, ჯორჯი კი ამას ვერ ხედავდა.

მისი პეკინგტონი ფიქრობდა, ჩემი მდგომარეობა ბევრად უფრო შესაშურიყო. შეპყურებდა მშვენიერ კლოდს, ახლა რომ ტაქტიკიანად კრინტს არ ძრავდა. რა კარგად ესმოდა კლოდს მისი. არასოდეს ბუზღუნებდა, როგორც ზოგიერთმა ქმარმა იცის ხოლმე. ცოლ-ქმრობის პირველი წლები რომ გაივლის

ქალმა ისევ შეხედა კლოდს, მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. კლოდმა გაუღიმა; მისმა მშვენიერმა შავმა თვალებმა, მელანქოლიურმა, რომანტიულმა თვალებმა ნაზად ჩახედეს თვალებში.

„ისევ ვიცეკვოთ?“ ჩასჩურჩულა მან.

ისევ იცეკვეს. ქალს თავი ზღაპარში ეგონა!

გრძნობდა, რა მორიდებით შესცქეროდა ჯორჯი. გაახსენდა, ჯორჯის დაეჭვება რომ უნდოდა. რა დიდი ხნის წინ იყო ეს! ახლა სულაც აღარ ენაღვლებოდა, იეჭვიანებდა თუ არა ჯორჯი, ეს ხომ ააფორიაქებდა მას. რატომ უნდა შეწუხებულიყო საბრალო? ყველა ისეთი ბედნიერი იყო...

მისტერ პეკინგტონი შინ ერთი საათის მისული იყო, მისი პეკინგტონი რომ დაბრუნდა. ჯორჯი აფორიაქებული იყო და საკუთარ თავში დაჯერებულიც აღარ ჩანდა.

„ჰმ, მოხვედი?“ თქვა მან.

მისი პეკინგტონმა სადამოს კაბა გაიხადა, იმ დილით ორმოცი გინეა რომ დაუჯდა. „ჰო, მოვედი“, შეპლიმა ქმარს.

ჯორჯმა ჩაახველა, „ჰმ... რა უცნაურად შეგხვდით ერთმანეთს, არა!“

„ჰო, მართლაც“, გაეპასუხა მისი პეკინგტონი.

„მე... იცი რა, ვიფიქრე, კარგი იქნება, ეს გოგო სადმე რომ დამაპატიებინა-მეთქი. შინ ისე აწეწილი აქვს საქმეები, ვიფიქრე, ამ სიკეთეს გავუკეთებ-მეთქი, ხომ გესმის“.

მისი პეკინგტონმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. საბრალო მოხუცი ჯორჯი — დაბაჯბაჯებდა, ოფლში იწურებოდა და თანაც რა კმაყოფილი იყო საკუთარი თავით.



„შენ რომ გახლდა, ის ყმაწვილი ვინ არის? მე არ ვიცნობ, არა?“

„ლატრელია გვარად, კლოდ ლატრელი“.

„სად გაიცანი?“

„ოპ, ვილაცამ გამაცნო“, მიაფუჩეჩა მისი პეკინგტონმა.

„რა უცნაურია, ამ ხნის ქალი საცეკვაოდ რომ დადიხარ. თავი არ უნდა გაიმასხარავო, ჩემო კარგო“.

მისი პეკინგტონმა გაიღიმა. ისეთ გუნებაზე იყო, ქვეყანაში ყველაფერზე უკეთესად შეკამათების სურვილი არ ჰქონდა, მეგობრულად მიუგო მხოლოდ: „მრავალფეროვნება ყოველთვის სასიამოვნოა“.

„ხომ იცი, ფრთხილად უნდა იყო. ასეთი კაცი, ქალისაგან გამორჩენას რომ მოელის, ბევრია. ხშირად ქალები ხშირად ისულებდნენ თავს. მე უბრალოდ გაფრთხილებ, ძვირფასო. არ მინდა, უღირსად, უკადრისად მოიქცე“.

„ცოტა წავარჯიშება ძალზე სასარგებლოა“, უპასუხა მისი პეკინგტონმა. „ჰმ... ჰო“.

„შენც ასევე არა გგონია, განა?“ კეთილად ჰკითხა მისი პეკინგტონმა. „კარგია, როცა ადამიანი ბედნიერია, არა? მაქსოვს, ერთი ათი დღის წინ, საუზმეზე ასე ამბობდი“.

ქმარმა გამომცდელად შეავლო თვალი, მაგრამ ქალს სახეზე დაცინვა არ ეტყობოდა. მან დაამთქნარა.

„უნდა დავწვე. სხვათა შორის, ჯორჯ, ამ ბოლო დროს ცოტა ხელგაშლილობა გამოვიჩინე. რამდენიმე ჩეკი გვაქვს გასანაღდებელი. ხომ არ გეწყონება?“

„ჩეკი?“ ჰკითხა მისტერ პეკინგტონმა.

„ჰო, ტანსაცმლის, მასაჟის, ვარცხნილობის საფასური. უჩვეულოდ ვიქცეოდი, მაგრამ ვიცი, წინააღმდეგი არ იქნები“.

ქალმა კიბე აიარა. მისტერ პეკინგტონს პირი ღია დარჩა. მარიას მშვენიერად ეჭირა თავი ამ საღამოს, დარდი არაფრისა ეტყობოდა, მაგრამ დასანანი იყო, ასე ერთბაშად რომ გაფლანგა ფული. მერე ვინ, მარიამ, ვინც მომჭირნე ადამიანის ნიმუშად გამოდგებოდა!

ოპ, ეს ქალები! ჯორჯ პეკინგტონმა თავი გააქნია, გაახსენდა, იმ ქალიშვილის ძმებს როგორ უჭირდათ ამ ბოლო დროს. კეთილი, სიბარულით დაეხმარება. მაგრამ მაინც, ეშმაკმა დალაზვროს, მთლად კარგად ვერ მიდის საქმეები.

მისტერ პეკინგტონმა ნელ-ნელა ოხვრით აიარა კიბე.

ზოგჯერ სიტყვები, რომლებიც მაშინვე ვერ აღწევენ მიზანს, მოგვიანებით გვახსენდება, მისი პეკინგტონმა მხოლოდ მეორე დღით გაიაზრა ქმრის ნათქვამი.

ყმაწვილი კაცები შუახნის ქალებისაგან გამორჩენას ელიანო; შუახნის ქალები თავს ისულებდნენ...

მისი პეკინგტონი თავს იმხნევებდა. იჭდა და ფაქტებს იხსენებდა. ალფონსი... ჰო, ბევრი რამ წაეკითხა ალფონსებზეც და ხანშიშესული ქალების უგუნურებაზეც.

იყო თუ არა კლოდი ალფონსი? ალბათ იყო. მაგრამ ალფონსებს აკი ეპატიებოდნენ, ფულს უხდიდნენ, კლოდი კი ყოველთვის იჭით პატივებდა ქალს, ფულსაც თავად იხდიდა. თუმცა მისტერ პარკარ პაინი იხდიდა, კლოდი კი არა — მისი საკუთარი ორასი გინეიდან.



თვითონაც ხანშიშესული სულელი ქალი იყო განა? ნეტა კლოდ ლატრელი თუ დასცინოდა ზურგს უკან. ამის გაფიქრებაზე სახე აელეწა.

გამოდის, რომ კლოდი ალფონსია, თვითონ კი სულელი ხანშიშესული ქალი. იფიქრა, რამე უნდა ვაჩუქო, მაგალითად, ოქროს პორტსიგარი ან რამე ამგვარიო.

თითქოს რაღაცამ უბიძგა, რომ გარეთ, მაღაზიაში გასულიყო. პორტსიგარი აარჩია, ფულიც გადაიხადა. კლოდს საუზმისათვის უნდა შეწევდეს.

ყავას რომ წრუბავდნენ, ჩანთიდან ამოიღო პორტსიგარი. „პატარა საჩუქარია“, — ჩაიჩურჩულა მან.

კლოდმა აიხედა, მოიღუშა: „ჩემთვის?“

„დიახ, ვიმედოვნებ, მოგეწონება“.

კლოდმა ხელი დაადო პორტსიგარს და ღონივრად მისწია მისი პეკინგტონისაკენ. — „რატომ მაძლევთ? არ ავიღებ. დაიბრუნეთ, გეუბნებით, დაიბრუნეთ-მეთქი“. გაბრაზდა. შავი თვალებიდან ნაპერწკლებს ყრიდა.

„უკაცრავად“, ამოიღულულულა ქალმა და ისევ ჩანთაში ჩაიღო პორტსიგარი.

იმ დღეს ორივენი დაძაბულნი იყვნენ.

მეორე დღით კლოდმა დაუჩეკა: „უნდა გნახოთ, შეიძლება შუადღისას თქვენთან მოვიდე?“

ქალმა უთხრა, სამ საათზე მოდიო.

კლოდი მოვიდა, ერთიანად გაფითრებული და დაძაბული იყო, ახლა უფრო უხერხულად გრძნობდნენ თავს.

უცბად კლოდი წამოხტა და წინ დაუდგა ქალს. „რა გგონივართ, ვინა ვარ? ამის საკითხავად მოვედი თქვენთან. ჩვენ ხომ მეგობრები ვიყავით? ვიყავით. მაგრამ მაინც ფიქრობთ, რომ ალფონსი ვარ და ქალების ხარჯზე ვცხოვრობ. ხომ ასე ფიქრობთ?“

„არა, არა“.

მაგრამ კაცმა არ დაუჯერა. კიდევ უფრო გაფითრდა. „სწორედ ასე ფიქრობთ! სწორიკაა. ამის სათქმელად მოვედი. მართალი ხართ! მე მიბრძანეს წამეყვან-წამომეყვანეთ, გამერთეთ, სიყვარული ამეხსნა, ქმარი დამევიწყებინა თქვენთვის, ეს ჩემი სამუშაო იყო. საძაგელი სამუშაოა, არა?“

„ამას რატომ მეუბნებით?“ ჰკითხა ქალმა.

„იმიტომ, რომ მორჩა, ასე ველარ გავაგრძელებ, თქვენთან მაინც. თქვენ სულ სხვანაირი ხართ, ისეთი ქალი ხართ, რომლისაც მწამს, ვენდობი, ვალმერთებ, ალბათ გგონიათ, ისე ვამბობ ამას, ესეც ჩემი როლის ნაწილია“. ქალს მიუახლოვდა. „დაგიმტკიცებთ, რომ ასე არ არის, მივდივარ — თქვენი გულისთვის. ვაპირებ კაცად ვიქცე, ამ საზიზღარ არსებად არ დავრჩე“.

უცბად ხელები მოხვია, ტუჩები ტუჩებს შეუწება, მერე გაუშვა და განზე გადგა.

„ნახვამდის, ყოველთვის არაკაცი ვიყავი, მაგრამ გეფიცებით, დღეიდან შევიცვლები. გახსოვთ, ერთხელ მითხარით, ნაირ-ნაირი ამბების სვეტში განცხადებების წაკითხვა მიყვარსო? დღეიდან მოყოლებული, ყოველთვის ნახავთ ჩემს განცხადებას, რომ მახსოვხართ და კარგად ვარ. მაშინ მიხვდებით, რა ძვირფასი ხართ ჩემთვის. კიდევ ერთი რამის თქმა მინდა, თქვენგან არაფერი ამიღია, მინდა კი, რომ ჩემი სახსოვარი გქონდეთ“. თითიდან ოქროს ბეჭედი წაიძრო. „დედაჩემის ნაქონია, მსურს, თქვენ ატარებდეთ, ახლა კი ნახვამდის“.



წავიდა და მისი პეკინგტონი გაოცებული დატოვა. ხელში ოქროს ბეჭ-  
დით.

ჯორჯ პეკინგტონი შინ ადრე მოვიდა, ცოლი გაშტერებული ჩაპყურებდა  
ცეცხლს. ლაპარაკზე მეგობრულად, მაგრამ დაბნეულად გაეპასუხა.

„ყური მიგდე, მარია“. ამოღერდა კაცმა. „იმ გოგოზე მინდა გოთხრა“  
„გისმენ, ძვირფასო“.

„შენი აფორიაქება არასოდეს მსურვებია. ჩემსა და მას შორის“

„ვიცი, სულელი ვიყავი. რამდენჯერაც გინდა, იმდენჯერ შეხვდი, თუ ეს  
შენ გაგეხარდება“.

ამ სიტყვებს, ალბათ, ჯორჯ პეკინგტონი უნდა გაეხალისებინა. უცნაური  
იყო, მაგრამ ასე არ მოხდა. აბა რაღა სიამეა ვილაც გოგოსთან დროს ტარება.  
თუკი ამისაკენ საკუთარი ცოლი გაგულიანებს? დაღაბვროს ეშმაკმა, ეს რომ  
უხამსობაა! იმის შეგრძნება, რომ დარდიმანდი კაცია, ძლიერი პიროვნება,  
ცეცხლს ეთამაშება, წამსვე გაუქრა. ჯორჯ პეკინგტონმა უცბად დაღლილობა  
იგრძნო. მიხვდა, რომ ჯიბე საგრძნობლად შეუმსუბუქდა. ის გოგო დიდი ეშმაკი  
ვინმე გამოდგა.

„იქნებ ერთად წავსულიყავით სადმე, მარია?“ მორცხვად შესთავაზა მი-  
სტერ პეკინგტონმა ცოლს.

„ოჰ, ჩემზე ნუ სწუხხარ, სავსებით ბედნიერი ვარ“.

„მაგრამ მინდა სადმე დაგპატიჟო. იქნებ რივიერაზე წავსულიყავით“.

მისი პეკინგტონმა შორიდან შეჰლიმა.

საბრალო მოხუცი ჯორჯი, რა საყვარელია, რა მგრძნობიარე, რა ძვირფა-  
სი. მას რომ ცხოვრებაში ისეთი თავგადასავალი არ ღირსებია, თავად მარიას  
რომ გადახდა. ქალმა კიდევ უფრო ნაზად შეჰლიმა. „მშვენიერი იქნებოდა,  
ძვირფასო“. უთხრა ქმარს.

მისტერ პარკერ პაინი მისს ლემონს ესაუბრებოდა. „გართობის ხარჯები  
რამდენია?“

„ას ორი გირვანქა სტერლინგი და ექვსი პენსი“, უპასუხა მისს ლემონმა.

კლოდ ლატრელმა უხეშად შემოაღო კარი და შემოვიდა. დაღვრემილი  
ჩანდა.

„დილა მშვიდობისა, კლოდ“, მიესალმა მისტერ პარკერ პაინი. „ყველა-  
ფერი როგორია?“

„მგონი, კი“.

„ბეჭედს რა სახელი დააწერე?“

„მატილდა, 1899“. პირქუშად უთხრა კლოდმა.

„მშვენიერია. რა განცხადებას წერ?“

„ქარგად ვარ. ისევ მახსოვხარ, კლოდი“.

„ჩაინიშნეთ. მისს ლემონ, გეთაყვა. 3 ნოემბრიდან ათი წლის განმავლო-  
ბაში გამოაქვეყნეთ ნაირ-ნაირ ამბებში. ასლა ვნახოთ, რა დაჯდება ეს — აა  
ორი გირვანქა სტერლინგი და ექვსი პენსი. დიან, ჩვენ კი მოგება დაგვრჩება  
ოთხმოცდაჩვიდმეტი გირვანქა სტერლინგი და ოთხი პენსი. რაც სავსებით  
საგმარისია“.

მისს ლემონი გავიდა.

„მომისმინეთ“, ამოხედა კლოდმა. „ასეთი რამ სულაც არ მომწონს, სულ  
მდაბლური თამაშია“.



„ჩემო ძვირფასო ბიჭო!“

„სულმდაბლური თამაშია-მეთქი. ის კარგი, წესიერი ქალია. დასწყევლოს ღმერთმა, ამდენი ტყუილების ჩმახვა, სანტიმენტალური ამბებით მისი გატურება პირდაპირ ცუდად მხდის!“

მისტერ პარკერ პაინმა სათვალე გაისწორა და კლოდს ერთგვარი მეცნიერული ინტერესით დააკვირდა. „ღმერთო ჩემო! — თქვენი მშვენიერი — რაღაც არ მახსოვს შენი სინდისი რამეს შეეწუხებინოს შენი... გეგმა — ურთიერთსაყვარელგანთქმული კარიერის პერიოდში. შენი საქმეები რივიერაზე განსაკუთრებული უტიფრობით გამოირჩეოდა. აქი მისიზ პეტი უესტი, კალიფორნიელი კიტრის მეფის ცოლი უგულოდ, ხარბად გაფცქვენი.“

„ახლა ისე ველარ მოვიქცევი“, ჩაიბურღლუნა კლოდმა, „ეს ხომ უკადროსი საქციელია“.

მისტერ პარკერ პაინი ისე მოძღვრავდა, როგორც სკოლის დირექტორი საყვარელ მოსწავლეს. „ამ შემთხვევაში შენ, ჩემო ძვირფასო კლოდ, ღირსეულად მოიქეცი. უბედურ ქალს მიეცი ის, რაც ყველა ქალს ქირდება — სიყვარული. ქალი ასეთ რამეს შეიძლება წლობით ელოდეს, მე კარგად ვიცნობ ადამიანის ბუნებას, ჩემო ბიჭო, და გეუბნები, რომ ქალი ასეთი რომანის მოგონებით წლობით ისულდგმულებს“. მან ჩაახველა, „მისიზ პეკინგტონის წინაშე ჩვენი ვალი კეთილსინდისიერად მოვიხადეთ“.

„კეთილი, მაგრამ მე მაინც არ მომწონს ეს ამბავი“, ჩაიბურტყუნა კლოდმა და ოთახიდან გავიდა.

მისტერ პარკერ პაინმა უჩრიდან თავისი დავთრები ამოიღო. ზედ დააწერა: „გულქვა. გამობრძმედილ ალფონსს სინდისი ქენჯნის. შენიშვნა: ამ საკითხის შესწავლა გრძელდება“.

## უამაყოფილო ჯარისკაცის ამბავი

მაიორი უილბრაჰამი მისტერ პარკერ პაინის დაწესებულების წინ შეყვონდა და უკვე მერამდენედ წაიკითხა დილის გაზეთში გამოქვეყნებული განცხადება, რომლის გამოც აქ მოვიდა. უბრალო განცხადება იყო:

კარმო განცხადებები

ბედნიერი ხართ? თუ არა,  
რჩევიათვის მიაკითხეთ მისტერ პარკერ პაინს.  
რიჩმონდ სტრიტი, 17.

მაიორმა პაერი ღრმად ჩაისუნთქა და დაწესებულებაში შემავალ კარში უცბად შევიდა.

ულამაზო ყმაწვილმა ქალმა ბექდვა შეწყვიტა და მოლოდინით მიაჩერდა. „მისტერ პარკერ პაინი მინდოდა“, გაწითლდა მაიორი უილბრაჰამი.

„აქეთ მობრძანდით, გეთაყვა“.

ქალი მისტერ პარკერ პაინის კაბინეტში შეუძღვა მაიორ უილბრაჰამს.

„დილა მშვიდობისა“, მიესალმა მისტერ პაინი, „დაბრძანდით და მითხარით, რით შემიძლია გემსახუროთ“.

„გვარად უილბრაჰამი ვარ...“ დაიწყო მაიორმა.

„მაიორი თუ პოლკოვნიკი?“ ჰკითხა მისტერ პაინმა.

„მაიორი“.



„აჰ! საზღვარგარეთიდან ახლახან დაბრუნდით? ინდოეთიდან თუ აღმოსავლეთ აფრიკიდან?“

„აღმოსავლეთ აფრიკიდან“.

„მშვენიერი ქვეყანაა. ახლა კი ისევ შინა ხართ და თქვენი ცხოვრება არ მოგწონთ, ხომ?“

„სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებთ, მაგრამ საიდან იცით...“

მისტერ პარკერ პაინმა შთამბეჭდავად აიქნია ხელი: „ამის ცოდნა მხოლოდ გვჭირდება. იცით, ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე სახელმწიფო დაწესებულებაში სტატისტიკურ ცნობებს ვაგროვებდი. ახლა პენსიაზე გავედი და თავში აზრად მომივიდა ჩემი გამოცდილების ახლებურად გამოყენება. ყველაფერი ისე მარტივია. უბედურება, მერწმუნეთ, მხოლოდ ხუთგვარი შეიძლება იყოს. თუკი ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზი იცით, წამლის პოვნაც იოლია.“

მე ექიმივითა ვარ. ექიმი ჭერ დიაგნოზს უსვამს თავის პაციენტს, მერე კი მკურნალობას უნიშნავს. ზოგჯერ არავითარი მკურნალობა არ სჭირს. ასეთ დროს გულახდილად გამოვტყდები ხოლმე, რომ არაფრის გაკეთება არ შემიძლება. მაგრამ თუკი საქმეს ხელს მოვკიდებ, განკურნება გარანტირებულია.

გარწმუნებთ, მაიორო უილბრაჰამ, რომ პენსიაზე გასულთა ოთხმოცდათექვსმეტი პროცენტი უბედურია. რაზე ცვლიან ისინი აქტიურ, ზოგჯერ საპასუხისმგებლო, სახიფათო ცხოვრებას? მცირე შემოსავალსა და უგუნებობაზე, ამიტომ ხმელეთზე მოფართხალე თევზებივით გრძნობენ თავს“.

„რასაც ამბობთ, ყველაფერი სწორია“, უთხრა მაიორმა. „მოწყენილობას ვერ ვიტან. მოწყენილობას და სოფლის ყოველდღიურ, უმნიშვნელო ამბებზე უთავბოლო ლაყბობას. მაგრამ რა ექნა? პენსიის გარდა ცოტაოდენი ფულიცა მაქვს, კობჰემის მახლობლად მშვენიერი კოტეჯიც ავიშენე, თუმცა იმის საშუალება არა მაქვს, რომ ვინადირო ან ვითევზაო. ცოლი არა მყავს. ჩემი მეზობლები კარგი ხალხია, მაგრამ ამ კუნძულის გარდა არაფერი უნახავთ“.

„ერთი სიტყვით. ცხოვრება ძალიან ერთფეროვნად მიგაჩნიათ, არა?“

„საშინლად ერთფეროვანია“.

„ალბათ აფორიაქებული, ხიფათიანი ცხოვრება გირჩევნიათ?“ ჰკითხა მისტერ პარკერ პაინმა.

„ამ გამოყრუებულ ქვეყანაში ამგვარი არაფერია“, მხრები აიჩეჩა ყოფილმა ჯარისკაცმა.

„დიდი ბოდიში, მაგრამ აქ კი ცდებით“, უთხრა მისტერ პაინმა სერიოზულად. „ძალიან ბევრი ხიფათიც შეგხვდებათ და ცხოვრებაც აგიფორიაქდებათ ლონდონში, თუკი იცით, სად გადაეყაროთ მას. თქვენ მხოლოდ ზედაპირული მხარე გინახავთ ჩვენი ინგლისური ცხოვრებისა, წყნარი და საამო, მაგრამ მას სხვა მხარეცა აქვს. თუ გნებავთ, მე შემიძლია გაჩვენოთ“.

მაიორმა უილბრაჰამმა ჩაფიქრებით შეხედა. მისტერ პაინისადმი ნდობით განეწყობოდა. თუმცა მელოტი იყო ეს ზორბა, მსუქანი კაცი, მაგრამ ლამაზად მოყვანილი თავი ჰქონდა, პატარა, მოუსვენარ თვალებზე სქელმინებიანი სათვალე ეკეთა. ერთობ სანდო კაცი ჩანდა.

„თუმცა უნდა გაგაფრთხილოთ. — განაგრძო მისტერ პაინმა, — რომ ამას ცოტა რისკი სჭირდება“.

ჯარისკაცს თვალები გაუბრწყინდა. „მშვენიერია“, თქვა მან. მერე სწრაფად დააყოლა: „გადასახადი რა იქნება?“

„წინასწარ უნდა გადაიხადოთ ორმოცდაათი გირვანქა სტერლინგი“, უთ-



ზრა მისტერ პაინმა, „თუ ერთი თვის განმავლობაში ისევ ისე მოწყენილი იქნებით, ფულს დაგიბრუნებთ“.

უილბრაჰამი ჩაფიქრდა. „სამართლიანი პირობაა“, თქვა ბოლოს, „თანამა ვარ. ახლავე მოგცემთ ჩეკს“.

როცა მორიგდნენ, მისტერ პარკერ პაინმა თავის მაგიდაზე დილაქს დააჭირა თითი.

„ახლა პირველი საათია“, თქვა მან. „უნდა გთხოვოთ, ახალგაზრდა ქალბატონი დაპატიჟოთ საუზმეზე“. კარი გაიღო. „აჰ, მადლენ, ძვირფასო, ნება მომეცი მაიორი უილბრაჰამი წარმოგიდგინოთ, თქვენი დაპატიჟება სურს საუზმეზე“.

უილიამს თვალები აუციმციმდა. ეს ძნელი ასახსნელი არ იყო — ოთახში შემოსულ შავგვრემან ქალიშვილს მიბნედილი მშვენიერი თვალები, გრძელი შავი წამწამები, უნაკლო ტან-ფეხი და ვნებიანი ალისფერი ტუჩები ჰქონდა. დიდებული სამოსი მისი ტანის მოხდენილობას კიდევ უფრო წარმოაჩენდა. თავით ფეხამდე სრულყოფილი ქმნილება იყო.

„ბედნიერი ვიქნები“, თქვა მაიორმა უილბრაჰამმა.

„მისს დე სარა“, გააცნო მისტერ პარკერ პაინმა.

„ძალიან კეთილი ბრძანდებით“, ჩაიჩურჩულა მადლენ დე სარამ.

„აქ თქვენი მისამართი მიწერია“, განუცხადა მისტერ პარკერ პაინმა მაიორს. „ხვალ დილით ჩემს შემდგომ მითითებებს მიიღებთ“.

მაიორი უილბრაჰამი და მშვენიერი მადლენი გავიდნენ.

სამი საათი იყო, მადლენი რომ დაბრუნდა.

მისტერ პარკერ პაინმა მოლოდინით სავსე თვალებით შეხედა.

მადლენმა თავი გააქნია: „დაფრთხა“, თქვა მან, „ავანტიურისტი ქალი ვგონივარ“.

„ასეც ვფიქრობდი“, უთხრა მისტერ პარკერ პაინმა. „ჩემი მითითებები შეასრულეთ?“

„დიახ. სხვა მაგიდებთან მსხდომებზე თავისუფლად ვსაუბრობდით და მივხვდი, რომ ქერა, ცისფერთვალა, ფერმკრთალი, საშუალო სიმაღლის ქალები მოსწონს“.

„ამ საქმეს მოევლება“, თქვა მისტერ პარკერ პაინმა. „ნიმუში B მომეცით და მაჩვენეთ, ამჯერად რა გვაქვს ფონდში“. სიას თითი ჩააყოლა და ბოლოს ერთ გვართან შეჩერდა. „ფრედა კლეგი. დიახ, მე ვფიქრობ, ფრედა კლეგი ზედგამოჭრილია. ამის თაობაზე მისიზ ოლივერი უნდა ვნახო“.

მეორე დღეს მაიორმა უილბრაჰამმა შემდეგი წერილი მიიღო:

„ორშაბათ დილით თერთმეტ საათზე წადით იგლმონტში. ფრაიარზ ლეინზე, ჰემპსტიდში და მისტერ ჯოუნზი იკითხეთ. უთხარით, რომ გუაყვას საზღვაოსნო კომპანიის წარმომადგენელი ხართ“.

შემდეგ ორშაბათს (რომელიც არასამუშაო დღე გახლდათ), მაიორი უილბრაჰამი მორჩილად გაეშურა იგლმონტში, ფრაიარზ ლეინზე. წასვლით კი წავიდა, მაგრამ იქამდე ვერ მიაღწია. იმიტომ, რომ სანამ იქამდე მივიდოდა, რაღაც შეემთხვა.

მთელი ქვეყანა თითქოს ჰემპსტიდისაკენ მიდიოდა. მაიორი უილბრაჰამი ბრბოში დაიქარგა და ძლივს მიაგნო ფრაიარზ ლეინს.

ფრაიარზ ლეინი მიტოვებული ჩიხი იყო, ჯართით სავსე, მის ორივე მხა-



რეს სახლები იდგა, ეს დიდი სახლები, ერთ დროს ალბათ მშვენიერი, ლამის დანგრეულიყვნენ უყურადღებობითა და მოუვლელობით.

უილბრაჰამი ნელა მიდიოდა და ჭიშკრებზე ნახევრად წაშლილ გვარებს აკვირდებოდა, რომ უცებ რაღაცამ მიიჭტია მისი ყურადღება. თითქოს ვინღაც დახშულად, მოგუდულად ყვიროდა.

ხმა ისევ მოისმა, ამჯერად შეიძლებოდა სიტყვა „მიშველეთ“ სწორედ იმ სახლიდან ისმოდა, რომელსაც ჩაუარა მაიორმა.

წუთიც არ უყოყმანია, მაიორმა უილბრაჰამმა შეაღო ჭრატუნა ჭიშკარი და ჩუმად შევიდა სარეველამოდებულ ხეივანში. იქ, ბუჩქნარში, ვიღაც გოგო ორ ვეება ზანგს უმკლავდებოდა. მარჯვედ იბრძოდა, ტრიალებდა, იგრიხებოდა, წიხლებს ისროდა. ერთ ზანგს მისთვის პირზე ხელი აეფარებინა, და თუმცა გოგონა ძალიან ცდილობდა თავი დაეხსნა, არაფერი გამოდიოდა.

გოგონასთან ბრძოლაში გართულ ზანგებს არ შეუმჩნევიათ უილბრაჰამის მიახლოება. პირველად მაშინ შენიშნეს, როცა იმ კაცს, გოგოს რომ პირზე ხელს აფარებდა, ნიკაპში ღონივრად ამოჰკრა მუშტი. მეორემ, გაოცებულმა, ხელი შეუშვა გოგონას და მობრუნდა. უილბრაჰამი მზად დახვდა, კიდევ ერთ-ხელ მოიქნია ხელი, ზანგი უკან გადავარდა და დაეცა. მერე უილბრაჰამი მეორე კაცს მიუბრუნდა, რომელიც მის უკან იდგა.

ორივე კარგა გალახა. მეორე კაცი გადაკოტრილდა, წამოჯდა, მერე ადგა და ჭიშკრისაკენ მოკურცხლა. თანამზრახველიც მაშინვე უკან მიჰყვა. უილბრაჰამი გამოეკიდა, მაგრამ გადაიფიქრა და გოგონას მიუბრუნდა, რომელიც ხეს მიყრდნობოდა და ძლივს ითქვამდა სულს.

„ოჰ, გმადლობთ! ეს რა საშინელება იყო!“ ამოთქვა მან.

მაიორმა უილბრაჰამმა პირველად დაინახა, ვინ გადაარჩინა ასე მარიფათიანად. ეს იყო ოცდაერთი-ოცდაორი წლის ქერა, ცისფერთვალი, ფერმკრთალი, მშვენიერი გოგონა.

„თქვენ რომ არ მოგესწროთ!..“ თქვა გოგონამ ისევ.

„დაწყნარდით, დაწყნარდით“, დაამშვიდა უილბრაჰამმა. „ახლა ხომ უკვე ყველაფერი რიგზეა. უმჯობესია აქაურობას გავეცალოთ. ვაითუ ისევ დაბრუნდნენ ის ბიჭები“.

გოგონამ ნაზად გაიღიმა. „არა მგონია — მას მერე, რაც მათ მოხვდათ... ოჰ, რა შესანიშნავად მოიქცეით!“

მაიორი უილბრაჰამი გოგონას აღფრთოვანებულმა თბილმა მზერამ გააწითლა. „ისეთი არაფერი მომხდარა, — წაიბუტბუტა, — წუთის საქმე იყო. როგორ ვაბედეს ქალბატონის გაბრაზება! ხელზე დამეყრდენით, იქნებ შეძლოთ გავლა? ვიცი, ძალიან შეგეშინდათ.“

„ახლა კარგადა ვარ“, უთხრა გოგონამ. რა თქმა უნდა, შეთავაზებულ ხელს დაეყრდნო. ჯერ ვერ მოსულიყო გონს, ჭიშკარში რომ გადიოდნენ, სახლისკენ მოიხედა. „ვერაფერი გამიგია“, ამოილულულა მან. „ეს ხომ აშკარად ცარიელი სახლია“.

„სწორედ რომ ცარიელია“, დაეთანხმა მაიორი, ფანჯრებჩამპალი სახლი რომ აათვალიერა.

„და მაინც, უაითფრიაირსი არის, ხომ?“ ჭიშკარზე ნახევრად წაშლილი წარწერა უჩვენა. „მე კი სწორედ უაითფრიაირში უნდა მოვსულიყავი“.

„ახლა ნუღარაფერზე წუხართ, ერთ-ორ წუთში ტაქსი გავაჩერებ, სადმე წავალთ და ყავას დავლევთ“, უთხრა უილბრაჰამმა.



შესახვევიდან უფრო ხალხმრავალ ქუჩაში გამოვიდნენ. ბედად ერთ-ერთ სახლთან ტაქსიდან ვილაც გადმოვიდა. უილბრაჰამმა გააჩერა ტაქსი. მძღოლს მისამართი უთხრა და ჩასხდნენ.

„ნუ ალაპარაკებთ“, მოძღვრავდა თავის თანამგზავს მაიორი „უკან გადაწეკით. ცუდი დღე გაქვთ გამოვლილი“.

გოგონამ მადლიერად გაუღიმა.

„სხვათა შორის... მე უილბრაჰამი ვარ გვარად“.

„მე კი კლეგი — ფრედა კლეგი“.

ათი წუთის მერე ფრედა ცხელ ყავას წრუპავდა და პირდაპირ მჭდომ მხსნელს მადლიერი თვალებით მისჩერებოდა.

„სიზმარში მგონია თავი, ცუდ სიზმარში“, გააქრეოლა გოგონას. „სულ ცოტა ხნის წინ კი ვოცნებობდი რამე მომხდარიყო — სულ ერთი იყო, რა! ოჰ, არა, არ მომწონს თავგადასავლები“.

„მითხარით, როგორ შეგემთხვათ ეს ამბავი“.

„ყველაფერი რომ წერილად გამბოთ, ვშიშობ, საკუთარ თავზე ბევრი ლაპარაკი მომიწევს“.

„მშვენიერი სალაპარაკო თემა იქნება“, მოუწონა უილბრაჰამმა.

„ობოლი ვარ. მამაჩემი გემის კაპიტანი იყო, რვა წლისა რომ ვიყავი, მამაჩემი გარდაიცვალა. დედა სამი წლის წინ დამელუბა. სიტიში ვმუშაობ — მტვერსასრუტების სარეკლამო კომპანიაში. წინა კვირას, ერთ საღამოს, შინ რომ დავბრუნდი, ვილაც ჯენტლმენი მელოდებოდა. ვეკილი გახლდათ, მეღბურნელი მისტერ რეიდი.“

ძალიან თავაზიანად იქცეოდა. ჩემი ოჯახის შესახებ რამდენიმე შეკითხვა მომცა. მითხრა, კარგა ხნის წინათ მამათქვენს ვიცნობდით. მგონი, რალაც საქმეს აწარმოებდა მამას სასარგებლოდ. მერე ამიხსნა, რისთვისაც მოვიდა: „მისს კლეგ, მაქვს საფუძველი ვიფიქრო, რომ იმ ფინანსური გარიგებით, რომელშიც მამათქვენი სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე მონაწილეობდა, თქვენ სარგებელს ნახავთ“. მე, რა თქმა უნდა, ძალიან გავვოცდი.

„არა მგონია, ამ საქმის თაობაზე ოდესმე რამე გაგეგოთ“, ამიხსნა მან. „მე ვფიქრობ, ჯონ კლეგს ეს საქმე სერიოზულად არასოდეს მიუჩნევია, თუმცა ძალზე მოულოდნელად შეესხა ხორცი. ვშიშობ, ვერანაირ პრეტენზიას ვერ განაცხადებთ, იმ საბუთებს თუ არ წარმოადგენთ. ეს საბუთები მამათქვენის ქონების ნაწილი იყო, მაგრამ შესაძლოა იფიქრეთ, აღარაფერში გამოგვადგებაო, და მისი სიკვდილის შემდეგ სულაც გადაყარეთ. ხომ არა გაქვთ მამათქვენის რაიმე საბუთი შენახული?“

ავუხსენი, რომ დედაჩემი ინახავდა მამას სხვადასხვა ნივთებს ძველ საზღვაო ზანდუქში. ზერელედ გადავათვალიერე ისინი, მაგრამ საინტერესო ვერაფერი აღმოვაჩინე.

„იქნებ ვერც კი მიხვდით იმ საბუთების მნიშვნელობას“, ღიმილით მითხრა მან.

მივედი ყუთთან, ამოვიღე იქ რაც საბუთები იყო და მივეცი. მან გადაათვალიერა, მაგრამ მითხრა, ასე ერთი შეხედვით ვერ შევატყობ ამ საქმესთან არის თუ არა რომელიმე საბუთი დაკავშირებული. თან წავიღებ და თუ რამე აღმოჩნდება, შევატყობინებო.

შაბათს, საღამოს ფოსტით მისგან წერილი მივიღე, ამ ამბის გასარკვევად თავის სახლში მეპატიჟებოდა. მისამართი ასე ეწერა: უაითფრაიარზი, ფრაიარზ



ლენი, ჰემპსტედი. დღეს დილით, თერთმეტს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, მაშინ უნდა მივსულიყავი.

სახლის ძებნაში ცოტა დამაგვიანდა. ჭიშკარში შევედი და სახლისაკენ რომ მივიჩქაროდი, ის ორი საშინელი კაცი გამოვარდა ბუჩქებიდან. დაყვირეს: „ბაც ვერ მოვასწარი, ერთმა კაცმა პირზე ხელი დამაფარა. თავი გავითავისუფლე და მიშველეთ-მეთქი, დავიძახე. საბედნიეროდ, ჩემი ხმა თქვენს ყურებშიც შეიჭრა, თქვენ რომ არა...“ გოგონა შეჩერდა, მაგრამ მისი მზერა უფრო მკვეთრი გახდა იყო, ვიდრე სიტყვები.

„ძალიან მოხარული ვარ, ამ ადგილას რომ აღმოვჩნდი. ნეტავ ხელში ჩაგდებინა ის ორი მხეცი! მანამ არასოდეს გინახავთ ისინი?“

ყმაწვილმა ქალმა თავი გააქნია. „როგორ ფიქრობთ, რას უნდა ნიშნავდეს ყველაფერი ეს?“

„ამის თქმა ძნელია. ერთი რამ კი აშკარაა, ვილაცას რაღაც ჭირდება მამათქვენის საბუთებიდან. იმ კაცმა, რეიდმა, რაღაც მოგიჩმახათ, რომ საბუთებისთვის გადაეხედა. როგორც ჩანს, რაც მას უნდოდა, არ აღმოჩნდა იქ“.

„ოჰ“, თქვა ფრედამ. „ნეტა რა უნდოდა. შაბათს შინ რომ მივედი, მომეჩვენა, რომ ჩემს ნივთებში ვილაცას ეფათურებინა ხელი. სიმართლე რომ გითხრათ, ჩემი დიასახლისის ცნობისმოყვარეობას დავაბრალებ. მაგრამ ახლა...“

„მერწმუნეთ, ნამდვილად ისეა, მე რომ გითხარით, ვილაც თქვენს ოთახში შეიპარა და რაღაცას ეძებდა, მაგრამ ვერ იპოვა. იგი ეჭვობდა, რომ იმ საბუთის ფასი თქვენ კარგად იცოდით და იფიქრა, თან თუ დააქვსო. ამიტომაც ჩაგისაფრდნენ. თან რომ გქონოდათ, წაგართმევდნენ, თუ არა, გამოგამწყვდევდნენ და არ გაგიშვებდნენ, სანამ არ ეტყოდით. სად იყო დამალული“.

„ნეტავ რას ეძებენ?“ შეჰყვირა ფრედამ.

„არ ვიცი, მაგრამ რადგან ამ ზოგამდე მივიდნენ, ალბათ ღირს ჩიტი ბღღუნად“.

„ყველაფერი ისე დაუჯერებლად მეჩვენება...“

„ოჰ, რა ვიცი. მამათქვენი მეზღვაური იყო. ძნელად მისადგომ ადგილებში დადიოდა. შეიძლება ისეთ რამეს წააწყდა, რისი ფასი თვითონაც არ იცოდა“.

„ნამდვილად ასე ფიქრობთ?“ აღელვებისაგან გოგონას ფერმკრთალი ლოყები წამოუწითლდა.

„ნამდვილად, საკითხავი ისაა, დღეიდან როგორ მოვიქცეთ, პოლიციაში წასვლა ალბათ არ გსურთ?“

„ოჰ, არა, გეთაყვა“.

„მიხარია, ამას რომ ამბობთ. არ ვიცი, პოლიციას რა სარგებლობის მოტანა შეუძლია, თქვენთვის ალბათ უსიამოვნების მეტი არაფრისა. ახლა ნება მიბოძეთ საუზმეზე დაგპატიჟოთ სადმე, მერე შინ გაგაცილებთ, რომ დავრწმუნდე, უვნებლად მიხვედით. მერე კი შეიძლება ის საბუთიც მოვძებნოთ, ალბათ იქნება სადმე“.

„შეიძლება მამამ თავადვე გაანადგურა“.

„რა თქმა უნდა, მაგრამ მეორე მხარე აშკარად არ ფიქრობს ასე და ჩვენ შემოგვჩერებია იმედით“.

„როგორ გგონიათ, რა იქნება? დამალული განძეული?“

„ღმერთმანი, შეიძლება განძეულიც იყოს“, წამოიძახა მაიორმა უილბრა-



ჰამმა, იგი ყმაწვილური სიხალისით შეხვდა ამ აზრს. „ახლა კი, მისს კლევ, სა-  
უზმეზე გავსწიოთ!“

საამოდ ისაუზმეს ერთად. უილბრაჰამმა უამბო, როგორ ცხოვრობდა აღ-  
მოსავლეთ აფრიკაში, ისე ხატოვნად აუწერა სპილოებზე ნადირობა, გოგონას  
თმა ყალყზე დაუდგა. მერე შინ ტაქსით მიყვანა შესთავაზა.

გოგონა ნოთინგ ჰილ გეიტთან ახლოს ცხოვრობდა, მწვერვალზე დიასახ-  
ლისს გაესაუბრა, მერე კი უილბრაჰამთან მობრუნდა ფეხსაცმელსა და საყურე-  
სს, სადაც მას ციკქნა საძინებელი და მისაღები ოთახები ჰქონდა.

„სწორედ ისე მომხდარა, ჩვენ რომ ვფიქრობდით. შაბათს დილით ვიღაც  
კაცი მოსულა, ახალი ელექტროკაბელი უნდა გავიყვანოთ. უთქვამს, თით-  
ქოს ჩემს ოთახში გაყვანილობა იყო დაზიანებული და ერთხანს დაყოვნებუ-  
ლა იქ“.

„მაჩვენეთ მამათქვენის ყუთი“, უთხრა უილბრაჰამმა.

ფრედამ აჩვენა თითბრის ყუთი. „ხომ ხედავთ, ცარიელია“, თავი ახადა.

„სხვაგან არსად გაქვთ შენახული საბუთები?“ ჰკითხა ჯარისკაცმა ჩაფი-  
ქრებით.

„დარწმუნებული ვარ, არა. დედა ყველაფერს ამაში ინახავდა“.

უილბრაჰამმა ყუთი შიგნიდან დაათვალიერა. „აჰ, ძირში რაღაც კრილია“,  
წამოიძახა უცებ, ფრთხილად ჩაყო ხელი, მოაფათურა, თითქოს რაღაც გაჭ-  
რაქუნდა. „შიგ რაღაცაა“, თქვა და იმწუთსვე ამოიღო თავისი ნაბოვნი, დაკე-  
ცილი ჭუჭყიანი ქაღალდი იყო. მაგიდაზე გაასწორა. ფრედა უკან ედგა და  
მხარს ზემოდან დაჰყურებდა, უცებ იმედგაცრუებულმა წამოიძახა:

„აქ მხოლოდ რაღაც უცნაური ნიშნები წერია“.

„ეს ხომ სუაპილის ენაზეა. ყველაფერს ვფიცავ, სუაპილია“, შეჰყვირა  
მაიორმა უილბრაჰამმა, „აღმოსავლეთ აფრიკის მკვიდრთა კოლოკაცია“.

„რა საოცარია“, თქვა ფრედამ. „მაშ, შეგიძლიათ ამის წაკითხვა?“

„დიახ, მაგრამ მართლაც რა საოცარია“, მან ფურცელი ფანჯარასთან შე-  
ქზე მიიტანა.

„წერია რამე?“ — ჰკითხა აკანკალებულმა ფრედამ. უილბრაჰამმა ორჯერ  
გადაიკითხა, მერე გოგონასთან დაბრუნდა. „აი, თქვენი დამალული განძე-  
ულიც“, ჩაიხიბებითა მან.

„დამალული განძეული? მართლა? ესპანური ოქროა, ჩაძირული განძე-  
ული ან რამე ამგვარი?“

„მთლად ასე რომანტიკული ამბავი აღბათ არა, მაგრამ დაახლოებით რა-  
ღაც მაგდაგვარი კია. ფურცელზე აღნიშნულია, სად არის დამალული სპილოს  
ძვალი“.

„სპილოს ძვალი?“ განცვიფრდა გოგონა.

„დიახ, იცით, სპილოების მოკვლა მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობით  
შეიძლება. რომელიღაც მონადირემ კანონი დაარღვია, ბევრად უფრო მეტი  
სპილო დახოცა. მას დაედევნენ, მაგრამ ნანადირევი დამალა. ძალიან ბევრი გა-  
დაუმაღავს და იქ სავსებით ნათლადაა მინიშნებული ადგილი. უნდა მოვძებ-  
ნოთ, მე და თქვენ აუცილებლად ვიპოვით“.

„თქვენ გგონიათ, მართლაც დიდი ფული ელირება?“

„ერთი კარგი ქონება გამოგივათ“.

„მამაჩემის საბუთებში როგორღა მოხვდა ეს ქაღალდი?“

უილბრაჰამმა მხრები აიჩეჩა. „იქნებ ის კაცი მომაცვდავი იყო, სუაპილის



ენაზე დაწერა ეს ყველაფერი, რომ აღვიღად არავის გაეგო, და მამათქვენს მისცა. ალბათ დავალებული იყო რაიმეთი მისგან. მამათქვენს, რადგანაც წაკითხვა არ შეეძლო, დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია ამ ქალაქდისათვის. ეს მხოლოდ ჩემი აზრია, მაგრამ არა მგონია ვცდებოდე“.

„რა ამაღელვებელია!“ ამოიოხრა ფრედამ.

„საქმე ის არის, რა ვუყოთ ამ ძვირფას საბუთს“, თქვა უილბრაჰამმა, — არ მინდა აქ დავტოვო. იქნებ ისევ მოვიდნენ და დაძებნონ. მე ხომ მანდობთ?“

„რა თქმა უნდა. მაგრამ ზიფათში ხომ არ გაგდებთ?“ შეყოვნდა გოგონა.

„მე კერკეტი კაკალი ვარ“, სერიოზულად მიუგო უილბრაჰამმა, „ჩემზე ნუ იღარდებთ“. ფურცელი დაკეცა და თავის უბის წიგნაკში ჩადო. „შეიძლება ხვალ საღამოს გნახოთ?“ ჰკითხა მან. „მანამდე რამეს მოვიფიქრებ და ჩემს რუკაზე ამ ადგილს მოვძებნი. სიტყვიდან რა დროს ბრუნდებით?“

„დაახლოებით შვიდის ნახევარზე“.

„დიდებულია. მოვითათბიროთ და მერე კი, თუ ნებას დამრთავთ, სადილად დავპატიჟებთ. ხომ უნდა აღვნიშნოთ ეს ამბავი. მაშ, ნახვამდის. ხვალ შვიდის ნახევრამდე“.

მეორე დღეს მაიორი უილბრაჰამი ზუსტად დანიშნულ დროს მივიდა. ზარი დარეკა და მისს კლეგი იკითხა. მოსამსახურე ქალმა უპასუხა:

„მისს კლეგი? შინ არ არის“.

„ოჰ!“ უილბრაჰამი სახლში არ შევიდა დასაცდელად. ისევ შემოვივლიო, დაიბარა.

ქუჩის მოპირდაპირე მხარეს იდგა და ფრედას მოსვლას ელოდებოდა. წუთი წუთს მისდევს. შვიდს თხუთმეტი აკლია. შვიდი გახდა. რვის თხუთმეტი წუთია. ფრედა მაინც არ ჩანს. შეშფოთდა. სახლთან მიბრუნდა და ისევ დარეკა ზარი.

„მომისმინეთ, მისს კლეგს შვიდის ნახევარზე უნდა შევხვედროდი. დარწმუნებული ხართ, რომ შინ არ არის, ან არაფერი დაუბარებია?“ ჰკითხა მაიორმა.

„თქვენ მაიორი უილბრაჰამი ხართ?“ კითხვა შემოუბრუნა მოსამსახურემ. „დიახ“.

„მაშინ თქვენთვის წერილია. ვილბრაჰამ მოიტანა“.

უილბრაჰამმა გამოართვა და გახსნა. წერილში ეწერა:

„ძვირფასო მაიორო უილბრაჰამ, — რაღაც ძალზე უცნაური ამბავი მოხდა. ახლა მეტს ვერაფერს მოგწერთ, მაგრამ იქნებ უაითფრაიარზში შემხედეთ? როგორც კი წერილს მიიღებთ მაშინვე წამოდით.“

გულწრფელად თქვენი ფრედა კლეგი“.

უილბრაჰამმა წარბი შეიკრა და დაფიქრდა. ანგარიშმიუცემლად ამოიღო ჯიბიდან წერილი, თავის თერძს რომ მისწერა. „ერთ საფოსტო მარკას ვერ მიშოვიდით?“ ჰკითხა მოსამსახურეს.

„მისიზ პარკინზს ექნება“.

მეორე წუთში ქალი მარკიანად დაბრუნდა უკან. მაიორმა შილინგი გადაუხადა. მერე მაიორი მეტროს სადგურისაკენ გაემართა. გზად კონვერტი საფოსტო ყუთში ჩააგდო.

ფრედას წერილმა ძალიან შეაშფოთა. ნეტა რამ აიძულა გოგონა გუშინდელი ავბედითი ამბის მიუხედავად მარტო წასულიყო იქ?

თავი გააქნია. ამაზე სულელური საქციელი რაღა იქნებოდა! ნეტა მისტერ



რეიდი ხომ არ გამოჩნდა? იქნებ როგორმე მოიპოვა გოგოს ნდობა? თუ არა-  
და, რამ წაიყვანა იგი ჰემპსტედში?

საათს დახედა. დაახლოებით რვის ნახევარია. გოგონას ალბათ იმედი ჰქო-  
ნდა, შვილის ნახევარზევე გავიგებდი ამ ამბავს. მთელი საათი დავფიქრებდი. ნეტ-  
ავ მოეფიქრებინა და წერილში მიენიშნებინა, რა მოხდა.

წერილმა თავსატეხი გაუჩინა. რალაც დამოუკიდებელი კილო იგრძნობო-  
და მასში, რაც სულ არ ახასიათებდა ფრედა კლეგს.

რვას ათი წუთი აკლდა, ფრაიარზ ლეინს რომ მიაღწია, ბნელდებოდა. მი-  
იხედ-მოიხედა. ახლომახლო არავინ ჩანდა. ისე ფრთხილად შეაღო კრილა კი-  
შკარი. რომ ჩქამი არ გაუღია. სახლისკენ მიმავალი ხეივანი ცარიელი იყო,  
ხოლო სახლი ჩაბნელებული. ფრთხილად დაუყვა ბილიკს. თან აქეთ-იქით იყ-  
ურებოდა. არ უნდოდა ვინმე მოულოდნელად წამოდგომოდა თავს.

უცბად გაჩერდა. წუთით ერთ-ერთი ფანჯრიდან შუქი გამოკრთა, სახლი  
ცარიელი არ ჩანდა, ეტყობოდა, იქ ვიღაც იყო.

უილბრაჰამი უხმოდ შეძვრა ბუჩქებში და სახლს უკნიდან შემოუარა, ბო-  
ლოს მიაგნო. რასაც ეძებდა. პირველ სართულზე ერთ-ერთი ფანჯარა ჩაურა-  
ზავი იყო, სამზარეულოს ფანჯარას ჰგავდა. მაიორმა ფანჯრის ალათა ასწია,  
ფარანი ანთო (გზად მაღაზიაში შეიძინა). და შიგნიდან შეანათა, იქ არავინ  
ჩანდა და მაიორი ფანჯრიდან გადაძვრა.

ფრთხილად გააღო სამზარეულოს კარი. სიჩუმე იყო. კიდევ ერთხელ ან-  
თო ფარანი. სამზარეულოში არავინ იყო. სამზარეულოს გარეთ ექვსიოდე  
საფეხური აღიოდა კარისაკენ, რომლიდანაც. როგორც ჩანდა, სახლის წინა  
ნაწილში შეიძლებოდა გადგოდა.

კარი გამოაღო და მიაყურადა. ჩამიჩუმე არ ისმოდა. გაძვრა. ახლა შემო-  
სასვლელში აღმოჩნდა. აქაც სიჩუმე იყო. მარჯვნივაც და მარცხნივაც კარი  
დახვდა. მარჯვენა კარი აირჩია. ერთხანს მიაყურადა და მერე სახელური ჩა-  
მოსწია. სახელური დაემორჩილა. ნელა გააღო კარი და შევიდა.

ისევ ანთო ფარანი. ოთახი ცარიელი იყო, უავეჯო.

იმავე წუთს უკანიდან ხმა მოესმა. შემოტრიალდა, მაგრამ უკვე გვიან იყო.  
თავში რალაც მოხვდა და გრძნობა დაკარგა...

უილბრაჰამმა არ იცოდა ჩამდენი ხანი იყო უგონოდ. გონს რომ მოვიდა,  
თავი სტკიოდა. განძრევაც სცადა. მაგრამ ვერ მოახერხა — თოკებით იყო  
დაბმული.

უცებ მოვიდა აზრზე. გაახსენდა, როგორ ჩასცხეს თავში რალაც.

მაღლა, კედლიდან მოდწეულმა გაზის სუსტმა შუქმა მიახვედრა, რომ პა-  
ტარა სარდაფში იყო. მიიხედ-მოიხედა და გული შეუთრთოლდა. ჩამდენიმე  
ფუტის იქით მასავით გათოკილი ფრედა იწვა. თვალები დახუჭული ჰქონდა.  
კაცი მწუხარებით შესცქეროდა, ამასობაში ქალმა ამოიოხრა და თვალი გაახი-  
ლა, გაოგნებული მზერა მოავლო ოთახს, უცბად დაინახა კაცი და სიხარულით  
გაუბრწყინდა თვალები.

„თქვენც აქა ხართ! რა მოხდა?“

„ვერ გაგიფრთხილდით“, უთხრა უილბრაჰამმა. „ჩემი წინდაუხედაობით მა-  
ხეში გაგაბით. მითხარით, თქვენ გამომიგზავნეთ წერილი, რომელშიც აქ შე-  
ხვედრას მთხოვდით?“

გოგონას განცვიფრებისაგან თვალები გაუფართოვდა. „მე? მე კი არა,  
თქვენ გამომიგზავნეთ ასეთი წერილი“.



„აჰ, მე, მე გამოვიგზავნეთ?“

„დიახ, სამსახურში მივიღე. მწერდით, სახლის ნაცვლად აქ შეგხვედრო-  
დით“.

„ორივენი ერთნაირად მოვუტყუებოვართ“, ამოიგმინა კაცმა. მერე  
ლაფერი აუხსნა გოგონას.

„გასაგებია, — თქვა მან, — იმ მიზნით, რომ...“

„ფურცელი წაერთმიათ. ალბათ გუშინ უკან გამოგვყვნენ დგომის  
ვლიეს მეც“.

„წაიღეს?“ იკითხა ფრედამ.

„სამწუხაროდ, ვერც ვხედავ და ვერც ვგრძნობ“, თავის გათოკილ ხელებს  
წაღვლიანად დახედა ჯარისკაცმა.

მერე ორივე გაინაბა, რადგანაც რაღაც ხმა გაისმა, ხმა, რომელიც სიცა-  
რიელიდან მოდიოდა.

„დიახ, გმადლობთ. საბუთი ნამდვილად ავიღე“, — თქვა ხმამ.

უხილავი ხმის გაგონებაზე ორივეს ააცახცახა.

„მისტერ რეილია“, ამოილულულულა ფრედამ.

„მისტერ რეილი ჩემი ერთ-ერთი სახელია, ჩემო ძვირფასო გოგონა“,  
თქვა ხმამ. „მაგრამ მხოლოდ ერთ-ერთი. სხვაცა მაქვს უამრავი. ძალიან ვწუ-  
ხვარ, მაგრამ, უნდა გითხრათ, რომ თქვენ, ორივემ ხელი შემიშალეთ — ამის  
ნებას მე არავის ვაძლევ. ამ სახლის გზა რომ იცით, ეგ ძალიან ცუდია თქვენ-  
თვის. ეს მისამართი პოლიციისთვის ჯერ არ მოგიხსენებიათ, მაგრამ მომავალში  
შეიძლება გათქვათ.“

სამწუხაროდ, რომ დამპირდეთ, მაინც ვერ გენდობით — პირობას ვინ ას-  
რულებს. ეს სახლი კი ძალიან მჭირდება და კარგ სამსახურსაც მიწევს. ეს, ასე  
ვთქვათ, ანგარიშების სასწორებლად მჭირდება. ეს ის სახლია, საიდანაც უკ-  
ან აღარ ბრუნდებიან. აქედან მხოლოდ სამუდამო განსასვენებელში მიდიან.  
ძალიან ვწუხვარ, მაგრამ თქვენც ეს ბედი გელით... დასაწყისია, მაგრამ ასე  
საჭირო“.

ხმა წამით შეჩერდა, მერე დაასკვნა: „სისხლისღვრა არ იქნება. მე მძულს  
სისხლისღვრა. ჩემი მეთოდი გაცილებით უბრალოა და, ვგონებ, უმტკივნეუ-  
ლოც. კეთილი, ახლა უნდა წავიდე. დამე მშვიდობისა“.

„მომისმინეთ“, უთხრა უილბრაჰამმა. „მე რაც გინდათ, ის მიყავით, ამ  
გოგონას არაფერი დაუშავებია — არაფერი. მისი გაშვება თქვენ არაფერს  
გავნებთ“.

არავინ გამოეპასუხა.

„წყალი — წყალი!“ — შეჰყვირა ამ დროს ფრედამ.

უილბრაჰამმა ძლივს წამოიწია და გოგონას მზერას გაადევნა თვალი. ჭერის  
ნახვრეტებიდან წყალი ეონავდა.

„დახრჩობას გვიპირებენ!“ ისტერიულად აკივლდა ფრედა.

უილბრაჰამს ცივმა ოფლმა დაასხა. „ჯერ მთლად არ წასულა ჩვენი საქმე,  
ვიყვიროთ, ვინმე გაიგონებს და მოგვეხმარება. მოდი, ორივემ ერთად ვი-  
ყვიროთ“.

ყვიროდნენ და ღრიალებდნენ ხმის ჩახლეჩამდე. რაც ძალი და ღონე ჰქო-  
ნდათ.

„ამაოდ ვყვირით“, დაღონდა უილბრაჰამი. „კარგა დიდ სიღრმეზე ვართ  
მიწაში და ალბათ კარებიც ახშობს ხმას. თანაც, ჩვენ რომ ვინმესთვის ხმის მი-



წვდენა შეგვეძლოს, დარწმუნებული ვარ, ის მხეცი აქამდე ხმას ჩაგვაწყვეტინებდა“.

„ოჰ! ყველაფერი ჩემი ბრალია. მე გაგზავნით ამ საქმეში“, ტირიდა ფრედა.

„ამაზე ნუ იღარდებთ, ჩემო გოგონა. მე მხოლოდ თქვენზე ვფიქრობ. აქამდეც ჩავვარდნილვარ გასაჭირში და თავი დამიძვრენია. გუფს ნუ გაიტეხთ. ეს წყალი ისე ნელა მოდის, საათები გავა, ვიდრე რამე საშინელება მოგვივიდოდეს“.

„რა მშვენიერი ადამიანი ხართ! — უთხრა ფრედამ. — თქვენნიერი არავინ შემხვედრია, მხოლოდ წიგნებში თუ წამიკითხავს“.

„ტყუილად მაქვებთ — უბრალოდ, გონიერებას ვიჩენ. ახლა ეს საშინელი თოკები უნდა მოვიხსნა როგორმე“.

თხუთმეტიოდე წუთში, ბევრი ტრიალისა და წრიალის მერე, უილბრაჰამმა კმაყოფილებით იგრძნო, რომ მისი თოკები საკმაოდ მოშვებულიყო. მან მოახერხა თავი დაეხარა და მაჯები ისე აეწია, რომ კბილებით გაეხსნა ნასკვები.

ხელები რომ გაინთავისუფლა, დანარჩენი ძნელი აღარ იყო, დრო უნდოდა მხოლოდ. მოკრუნჩხული და დაძაბული, მაგრამ უკვე თავისუფალი, გოგონასაკენ გადაიხარა. წუთიც და ისიც გაათავისუფლა.

ჯერჯერობით წყალი მხოლოდ კოჭებამდე წვდებოდათ.

„ახლა კი როგორმე გავალწიოთ აქედან“, უთხრა ჯარისკაცმა.

სარდაფის კარამდე რამდენიმე საფეხური იყო ასასვლელი, მაიორმა უილბრაჰამმა კარი მოსინჯა.

„ამის მოხსნა ძნელი არ არის, მთლად მონჯლრეულია. ხელად მოძვრება“, — თქვა და მხრებით დაეჯახა კარს.

ხის ქრიალი გაისმა და კარიც მოწყდა ანჯამებს.

აქაც კიბე დახვდათ. კიბის თავში სხვა კარი იყო — სხვანაირი — მასიური ხისა, რკინისურდულიანი.

„ამის ჩამოხსნა ცოტა უფრო ძნელია“, თქვა უილბრაჰამმა, „ჰმ, ბელი გვქონია, ღიაა“.

კარი გააღო, მიმოიხედა, მერე გოგონაც გამოიყვანა. სამზარეულოს უკან, დერეფანში აღმოჩნდნენ, მეორე წუთას კი უკვე ფრაიარზ ლეინზე, ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ იდგნენ.

„ოჰ! აქვითინდა ფრედა. „რა საშინელება იყო!“

„ჩემო საბრალო, ჩემო ძვირფასო“, მკლავებში მოიმწყვდია უილბრაჰამმა გოგონა, „ისე მამაცურად გეჭირა თავი. ფრედა, ძვირფასო ანგელოზო, არ... იცი... მიყვარხარ, ფრედა. ცოლად გამომყვები?“

ცოტა ხანს იყუჩეს, ახლა დუმილი სჯობდა სიტყვებს. მერე, მაიორმა უილბრაჰამმა ჩაიციხა: „გვარგო კიდევაც ამ ამბავმა. ახლა ჩვენ სპილოს ძვლის სამალავიც ვიცით“.

„ის ფურცელი ხომ წაგართვეს?!“

მაიორმა ისევ ჩაიციხა. „სწორედაც ვერ წამართვეს. იცი, სანამ აქ მოვიდოდდი, ყალბი ეგზემპლარი დაეწერე, ნამდვილი კი იმ წერილში ჩავდე, ჩემს თერძს რომ გავუგზავნე. მათ ყალბი ასლი წაიღეს — ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ! იცი, რას გავაკეთებთ, საყვარელო? თაფლობის თვეს აღმოსავლეთ აფრიკაში გავატარებთ და სამალავსაც მოვძებნით“.

მისტერ პარკერ პაინი თავისი კანტორიდან გამოვიდა და გრძელი კიბე



აიარა. აქ, შენობის ზედა სართულზე ერთ ოთახში, მისიზ ოლივერი, ცნობილი ნოველისტი, ახლა მისტერ პაინის თანამშრომელი იჯდა.

მისტერ პარკერ პაინმა კარზე დააკაკუნა და შევიდა. მისიზ ოლივერი მაგიდას მისჯდომოდა. რომელზეც საბეჭდი მანქანა იდგა, რამდენიმე რვეული და ხელნაწერი ეყარა უწესრიგოდ. იქვე იდგა ვაშლებით სავსე დიდი ჩანთაც.

„შესანიშნავი მოთხრობა იყო, მისიზ ოლივერ“, გულთბილად უთხრა მისტერ პარკერ პაინმა.

„კარგად მიესადაგა, არა? მოხარული ვარ“, უთხრა მისიზ ოლივერმა.

„რაც შეეხება იმ სარდაფისა და წყლის ამბავს, იქნებ მომავალში რაიმე უფრო ორიგინალური მოვიგონოთ?“ — მოკრძალებით შესთავაზა მისტერ პაინმა.

მისიზ ოლივერმა თავი გააქნია და ჩანთიდან ვაშლი ამოიღო. „არა მგონია, უკეთესი რამ მოვიგონოთ. მისტერ პაინ, იცით, ხალხი ასეთ რამეებს შეჩვეულია, წიგნებში აქვთ წაკითხული, სარდაფში წყლით, მოწამლული გაზით დაბრძოლა და ასე შემდეგ. წინასწარ რომ გაუგიათ, ის ამბავი თვითონ რომ შეემთხვევათ, უფრო აშინებთ. ადამიანები კონსერვატორები არიან, მისტერ პაინ, მათ უყვართ გაცვეთილი ფანდები“.

„თქვენ უკეთ იცით“, აღიარა მისტერ პარკერ პაინმა, გაახსენდა, რომ ჭეშრალი ქალის ორმოცდაექვსივე ნოველამ დიდი წარმატება მოიპოვა, ყველა ბესტსელერი იყო ინგლისში და ამერიკაში, ითარგმნა ფრანგულად, გერმანულად, იტალიურად, უნგრულად, ფინურად, იაპონურად და აბისინიურად. „ხარკები?“

მისიზ ოლივერმა ფურცელი მიიწია. „ძალზე მცირეა, ორ ზანგს, პერსის და ჯერის, ცოტა დასჭირდათ, ახალგაზრდა მსახიობმა მისტერ რეიდის როლი ხუთ გინეად შეასრულა. სარდაფში რომ ლაპარაკი გაისმა, რა თქმა უნდა, ჩანაწერი იყო“.

„უაითფრაიარზი ძალიან გამომადგა“, თქვა მისტერ პაინმა. „ყოველი შემთხვევისათვის ვიყიდე და უკვე თერთმეტი ამაღელვებელი დრამის მოქმედების ადგილი გახდა“.

„ოპ, დამავიწყდა, ჯონის ხუთი შილინგი უნდა გადავუხადოთ“, თქვა მისიზ ოლივერმა.

„ჯონის?“

„დიახ, ბიჭს, რომელიც სარწყავიდან წყალს კედლის ხვრელში ასხამდა“.

„აპ, დიახ, მართლა, მისიზ ოლივერ, საიდან იცით სუაპილის ენა?“

„არ ვიცი“.

„ალბათ ბრიტანეთის მუზეუმში დაგეხმარნენ“.

„არა, დელფრიჯის საინფორმაციო ბიუროში“.

„რა ამოუწურავია თანამედროვე ბიზნესის რესურსები!“ — ჩაილაპარაკა მისტერ პაინმა.

„ერთადერთი ის მალეღვებს“, თქვა მისიზ ოლივერმა, „ის ახალგაზრდაწერილები იქ რომ ჩავლენ, ვერანაირ განძს ვერ იპოვიან“.

„ყველაფერი ერთად არ გამოვა, — უთხრა მისტერ პარკერ პაინმა, — სამაგიეროდ თაფლობის თვეს გაატარებენ“.

მისიზ უილბრაჰამი შეზლონგზე იჯდა. მისი ქმარი წერილს წერდა. „ფრედა, დღეს რა რიცხვია?“



„თექვსმეტი“.

„თექვსმეტი. ღმერთო ჩემო!“

„რა იყო, ძვირფასო?“

„არაფერი. ერთი ყმაწვილი გამახსენდა, გვარად ჯოუნზი“  
არის ზოგი რამ, რასაც ბედნიერი ქორწინების დროსაც კი/ცოლ-ქმარს  
ერთმანეთს არ უმხელს.

„ეშმაკმა დალაზვროს“. ფიქრობდა მაიორი უილბრაჰამი, რომელიც შემევლო  
იმ ადგილას და ჩემი ფული უკან წამომეღო“. მერე, რადგანაც სამართლიანი  
კაცი იყო, საკითხს მეორე მხრიდან მიუდგა: „ბოლოს და ბოლოს მე ხომ პირო-  
ბა არ შემისრულებია, ის ჯოუნზი რომ მენახა, ალბათ რამე მოხდებოდა კი-  
დეც და, თანაც, ასეა თუ ისე, ჯოუნზთან შესახვედრად რომ არ წავსულიყავი,  
ვერასოდეს გავიგებდი ფრედას ყვირილს და ალბათ ვერასოდეს შევხვდებო-  
დი მას. ასე რომ, არაპირდაპირ, შეიძლება მათ აქვთ კიდევ იმ ორმოცდაათი  
გირვანქა სტერლინგის ალების უფლება!“

მისიზ უილბრაჰამი კი თავის ფიქრებში იყო ჩაფლული. „რა სულელი  
ვიყავი, იმ განცხადებას რომ დავუჯერე და იმ ხალხს სამი გინეა გადავუხადე.  
რა თქმა უნდა, თითოც არ გაუნძრევიათ და არც არაფერში გამომდგომიან. რომ  
მცოდნოდა, რაც მომელოდა — ჯერ მისტერ რეიდი, მერე კი უცნაური, რომ-  
მანტიული ამბავი, რომლითაც ჩარლი შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში... იმის გა-  
ფიქრებაც კი მაღონებს, რომ თუ არა უბრალო შემთხვევა, მას ვერასოდეს შე-  
ვხვდებოდი!“

შემობრუნდა და სიყვარულით შეჰლიმა თავის ქმარს.

### სასოწარკვეთილი ქალბატონის ამბავი

მისტერ პარკერ პაინის მაგიდაზე ზარი აწკრიალდა. „გისმენთ“, უბასუხა  
დიდმა კაცმა.

„ახალგაზრდა ქალბატონს სურს თქვენი ნახვა“, მოახსენა მდივანმა. „თქვე-  
ნთან შეხვედრა დათქმული არა აქვს“.

„შეგიძლიათ შემოუშვათ, მისს ლემონ“, წუთიც და ის უკვე ხელს ართმევ-  
და სტუმარს. „დილა მშვიდობისა, დაბრძანდით“, შეეპატიჟა.

გოგონა დაჯდა და მისტერ პარკერ პაინს შეხედა. ლამაზი იყო და სულ  
მთლად ახალგაზრდა. შავი თმა ჰქონდა, კულულები მხრებზე ეყარა, თავით ფე-  
ხამდე ფაქიზად იყო გამოწყობილი. უხდებოდა თეთრი ნაქსოვი ქუდი. ბაღისე-  
ბური წინდები ეცვა. აშკარად ემჩნეოდა, რომ ღელავდა.

„თქვენ ბრძანდებით მისტერ პარკერ პაინი?“ ჰკითხა მან.

„დიახ“.

„ის, ვინც განცხადება გამოაქვეყნა?“

„ის, ვინც განცხადება გამოაქვეყნა“.

„თქვენ ამბობთ, რომ თუ ვინმე... ბედნიერი არ არის... შეუძლია თქვენ...  
თქვენ მოგაკითხოთ?“

„დიახ“.

გოგონამ გაბედაობა მოიკრიბა და თქვა: „საშინლად უბედური ვარ და  
ვიფიქრე, მივალ და... ვნახავ მაინც-მეთქი“.

მისტერ პარკერმა შეიცადა. იგრძნო, რომ ყმაწვილ ქალს კიდევ სურდა  
რალაცის თქმა.



„საშინელ გასაჭირში ვარ“, ნერვიულად გადააქდო თითები ერთმანეთს გოგონამ.

„გატყობთ“, უთხრა მისტერ პარკერ პაინმა. „ხომ შეგიძლიათ მიაშობოთ, რა მოხდა?“

ეტყობოდა, გოგონა სწორედ იმაზე ყოყმანობდა, ვუთხრა თუ არაო, მისტერ პარკერ პაინს დაძაბული მისჩერებოდა უიმედო თვალებით, მერე ეტყობოდა, თად ამოაფრქვია.

„ღიახ, გადავწყვიტე გითხრაო. მწუხარებისაგან კინალამ გავგიჟდი. აო ვიცოდი, რა მექნა, ან ვისთან მივსულიყავი. მერე თქვენი განცხადება ვნახე. ვიფიქრე, ალბათ ვინმე რამეს თაღლითობს-მეთქი, მაგრამ გონებაში მაინც ჩამჩხა, რაღაც დამამშვიდებლად ეღერდა. მერე ვიფიქრე, რა დაშავდება იმით, რომ მივიდე და ველაპარაკო-მეთქი. ყოველთვის შემეძლო მომეზოდინებინა და წავსულიყავი თუ არ... თუ არ...“

„რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა“, უთხრა მისტერ პაინმა.

„იცი, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ვინმეს მიენდო“, თქვა გოგომ.

„თქვენ მიგაჩნიათ, რომ შეგიძლიათ მენდოთ მე?“ გაუღიმა კაცმა.

„უცნაური კი არის“, მიუგო გოგომ უნებლიეთ უკმეხად, „მაგრამ თუმცა თქვენ შესახებ არაფერი ვიცი, მაინც ასე მგონია, შემიძლია გენდოთ“.

„გარწმუნებთ, ნდობას არ გაგიცრუებთ“.

„მაშ, ყველაფერს გიამბობთ“, უთხრა ყმაწვილმა ქალმა. „მე დაფნა სენტ ჯონი მქვია“.

„გისმენთ, მისს სენტ ჯონ“.

„მისიზ, მე... მე გათხოვილი ვარ“.

„ჰმ!“ თავის თავზე გაბრაზდა მისტერ პაინი, როცა პლატინის ბეჭედი შეამჩნია გოგონას მარცხენა ხელის შუა თითზე. „როგორ ვერ დავაკვირდი“.

„გათხოვილი რომ არ ვიყო, ასე არ ვინაღვლებდი. ამოდენა მნიშვნელობას არ მივანიჭებდი ამ ამბავს. ჭერალდზე ვფიქრობ... აი, რის გამო ვწუხვარ ასე!“

ჩანთაში ხელი ჩაყო, რაღაც ნივთი ამოიღო და მაგიდაზე მოისროლა. ნივთი ბრწყინვა-ნათებით გადაგორდა მისტერ პარკერისკენ.

პლატინის ბეჭედი იყო. ერთი დიდი ბრილიანტის თვალი ჰქონდა.

მისტერ პაინმა აიღო იგი, ფანჯარასთან მიიტანა, დღის შუქზე გახედა, გასინჯა, თვალზე იუველიერის ღიწმინდა მოირგო და კარგად შეამოწმა.

„მშვენიერი ბრილიანტია“, თქვა, მაგიდასთან რომ მობრუნდა. „მე ვფიქრობ, სულ ცოტა, ორი ათას გირვანქა სტერლინგამდე ეღირება“.

„ღიახ, მოპარული ნივთია, მე მოვიპარე, ახლა კი არ ვიცი, რა ექნა!“

„ღმერთო ჩემო, რა საინტერესოა!“ თქვა მისტერ პარკერ პაინმა.

მისმა კლიენტმა ცხვირსახოცი აიფარა და აქვითინდა.

„დამშვიდდით, დამშვიდდით“, უთხრა მისტერ პაინმა. „ყველაფერი რიგზე იქნება“.

გოგონამ თვალები მოიმშრალა და აქსუტუნდა. „მართლა?“ ჰკითხა მან. „ოჰ, მართლა?“

„რა თქმა უნდა, ახლა ყველაფერი მიაშობეთ“.

„ყველაფერი ჩემი ნივთიერი გაჭირვებით დაიწყო. იცი, მე საშინელი მფლანგველი ვარ. ჭერალდს ისე აბრაზებს ხოლმე ეს, ჭერალდი ჩემი ქმარია. ის ჩემზე გაცილებით უფროსია და ძალიან, ძალიან... მკაცრად მსჯელობს. მიაჩნია, რომ ვალებში ჩავაჩენა საშინელებაა. ამიტომ მას არ გავუმბილე, ისე



წავედი მეგობრებთან ერთად სათამაშოდ. ვიფიქრე, იქნებ მოვიგო და წელში გავიმართო-მეთქი. პირველად მართლაც მოვიგე, მერე კი წავაგე, მერე ვიფიქრე, კიდევ გავაგრძელებ-მეთქი! ჰოდა, გავაგრძელე და...”

„კარგით, კარგით. აღარ გინდათ ასეთი წვრილმანების მოყვლა, მერე უარეს დღეში ჩავარდით, ასე არაა?“ ჰკითხა მისტერ პაინმა.

დაფნა სენტ ჯონი დაეთანხმა. „მაშინ მით უმეტეს ვეღარ ვეტყვოდი ქმარს ვერაფერს. ვერ იტანს აზარტულ თამაშობებს. ოპ, თქვენმა მკითხველმა არეული მერე დორთეიმერებს ვეწვიეთ სტუმრად, კობჰემის ახლოს, კაცი ძალზე მდიდარია. მისი ცოლი, ნაომი ჩემთან ერთად სწავლობდა სკოლაში. მშვენიერი და საყვარელი ქალია. ჩვენს იქ ყოფნისას ამ ბეჭდის ბუდე დაუზიანდა. დილით, რომ მოვდიოდით, ნაომიმ მთხოვა, ქალაქში წაიღე და ბონდ სტრიტზე ჩემს ოქრომჭედელს მიუტანეო“. ყმაწვილმა ქალმა სული მოითქვა.

„ახლა კი თქვენი მოთხოვნის ძნელ ნაწილს მივადექით,“ წაეხმარა მისტერ პაინი. „განაგრძეთ. მისიზ სენტ ჯონ!“

„ხომ არასოდეს არავის ეტყვიტ ამ ამბავს?“ შეეხვეწა ჯოგონა.

„ჩემს კლიენტთა ნდობა წმიდათაწმიდაა. ჩემთვის და თანაც, მისიზ სენტ ჯონ, თქვენ უკვე იმდენი რამ მითხარით, რომ შემიძლია თავად დავამთავრო ეგ ამბავი“.

„მართალი ხართ, კეთილი. მაგრამ ისე არ მინდა მოყოლა — საშინელი მოსასმენია. წავედი ბონდ სტრიტზე, იქვე მეორე მაღაზიაც არის — ოქრომჭედელ ვიროსი, იქ ძვირფასეულობების ასლებს აკეთებენ. უცებ თავგზა ამებნა. მივიტანე ბეჭედი და შევუკვეთე ზუსტად ისეთი გაეკეთებინათ. ვუთხარი, საზღვარგარეთ მივდივარ და ნამდვილი ძვირფასეულობის თან წაღება არ მინდა-მეთქი. მათ ეს საკმაოდ ბუნებრივ ამბავად მიიღეს.“

მერე ავიღე ყალბი ბეჭედი — ისე კარგად გააკეთეს, ორიგინალიდან ვერ გაარჩევდით — დავაზღვიე და გავუგზავნე ლედი დორთეიმერს. კოლოფი მქონდა, რომელსაც ზედ ოქრომჭედლის სახელი ეწერა, ამ მხრივ საქმე რიგზე იყო, ამანათი ოსტატურად შევფუთე, მერე კი ნამდვილი ბეჭედი დავაგირავე“. ყმაწვილმა ქალმა სახე ხელებში ჩარგო. „როგორ გავბედე ამის გაკეთება, როგორ? სულმდაბალი ვარ. უნამუსო, ნამდვილი ქურდობა ჩავიდინე“.

„მგონია, კიდევ დაგრჩათ სათქმელი“, ჩაახველა მისტერ პარკერ პაინმა.

„დიახ, არ დამიმთავრებია. ეს, როგორც მიხვდით, ექვსი კვირის წინ მოხდა. გადავიხადე ჩემი ვალები და ისევ წელში გავიმართე, მაგრამ, რა თქმა უნდა, მთელი ამ ხნის მანძილზე უბედური ვიყავი, მერე ერთი ხანშიშესული ბოძაშვილი გარდამეცვალა და ცოტა ფული დამიტოვა. მაშინვე გამოვიხსენი ეს წყვეული ბეჭედი, და აი, აქ მაქვს, მაგრამ საშინელი ამბავი მოხდა“.

„რა?“

„ჩვენ ვეჩხუბეთ დორთეიმერებს. საქმე რაღაც აქციებს შეეხებოდა, რომელიც სერ რუბენმა აყიდვინა ჯერალდს. ჩემი მეტულე საშინლად მოტყუვდა და სერ რუბენს მიახალა, მასზე რასაც ფიქრობდა. ჰოდა, ოპ, რა საშინელებაა! ახლა, ბეჭდის უკან დაბრუნებას ვერ ვახერხებ“.

„ანონიმურად რომ გაგეგზავნათ ლედი დორთეიმერისთვის?“

„მაშინ ხომ ყველაფერი გამომკლავნდება. ის თავის ბეჭედს შეამოწმებს, აღმოაჩენს, რომ ყალბია და მიხვდება, რაც ჩავიდინე“.

„ხომ ამბობდით, რომ ის თქვენი მეგობარია. ყველაფერი რომ უამბოთ, იქნებ გაბატით?“



მისიზ სენტ ჯონმა თავი გააქნია: „ჩვენ ასეთი ახლო მეგობრები არა ვართ. თანაც, სადაც საქმე ფულს ან ძვირფასეულობას შეეხება, ნაომი კერპები კა-  
კალია. შეიძლება ვერ მიჩვივლოს, ბეჭედს რომ დავუბრუნებ, მაგრამ ყველას  
მოსდებს ამ ამბავს და დავილუბები. ჭერალდი გაიგებს და არასოდეს მბრძო-  
ლებს, თუ, რა საშინელებაა!“ ყმაწვილი ქალი ისევ ატირდა. „სულ იმას ვფიქ-  
რობ, როგორ მოვიქცე, მაგრამ ვერაფერი მოვიფიქრე! თუ, მისტერ პაინ, იქნებ  
თქვენ მიშველოთ რამე?“

„რალაცას ვიღონებ“, დაამშვიდა მისტერ პარკერ პაინმა.

„მართლა?“

„რა თქმა უნდა, მე ყველაზე უბრალო გზას შემოგთავაზებთ, რომელიც  
მთელი ჩემი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე ყოველთვის საუკეთესოდ  
მიმაჩნდა. ის თავიდან აგვაცილებს გაუთვალისწინებელ გართულებებს. როგ-  
ორც ვხედავ, დღეისთვის ეს არასასიამოვნო შემთხვევა თქვენ გარდა არავინ  
იცის?“

„თქვენ იცით“, უბასუხა მისიზ სენტ ჯონმა.

„ოჰ, მე არ ვითვლები. კეთილი, მაშ, დღესდღეობით თქვენს საიდუმლოს  
საფრთხე არ ემუქრება, და მხოლოდ ისაა საჭირო, რომ როგორმე ექვმიუტან-  
ლად შევცვალოთ ეს ბეჭდები“.

„დიახ, დიახ“, მგზნებარედ დაეთანხმა მისიზ სენტ ჯონი.

„ეს ძნელი საქმე არ უნდა იყოს, ცოტა დრო გვინდა, რომ საუკეთესო  
მეთოდი შევარჩიოთ...“

„ჰო, მაგრამ, დრო რომ არა გვაქვს!“ შეაწყვეტინა ყმაწვილმა ქალმა.  
„სწორედ ეს მაგიჟებს. ნაომი ბეჭდის გადაკეთებას აპირებს“.

„საიდან იცით?“

„შემთხვევით გავიგე, იმ დღეს ერთ ქალთან ვსაუბრობდი და შევუქე დი-  
დი, ზურმუხტისფერიანი ბეჭედი, ხელზე რომ ეკეთა. მან მითხრა, ეს უახლესი  
ნიმუშია და ნაომი დორთეიმერი აპირებს, თავისი ბრილიანტის ბეჭედი ამგვა-  
რად გადააკეთოსო“.

„ეს კი იმას ნიშნავს, რომ სწრაფად უნდა ვიმოქმედოთ“, ჩაფიქრდა მის-  
ტერ პაინი.

„დიახ, დიახ“.

„საჭიროა როგორმე შევალწიოთ სახლში, თანაც მსახურების დაუხმარე-  
ბლად, რადგან მსახურებს ძვირფასეულობას არ აკარებენ. თქვენ ხომ არა  
გაქვთ რამე იდეა, მისიზ სენტ ჯონ?“

„იცით, ოთხშაბათს ნაომი დიდ წვეულებას მართავს, და იმ ჩემმა მეგო-  
ბარმა სხვათა შორის მითხრა, მოცეკვავეებს ეძებსო. არ ვიცი, იქნებ რამე მო-  
გვარებულიყო...“

„ვფიქრობ, შეიძლება ჩამის მოგვარება“, თქვა მისტერ პარკერ პაინმა.  
„ოღონდ, თუ უკვე ნაპოვნი ჰყავს მოცეკვავეები, უფრო ძვირი დაჯდება. კი-  
დეც ერთი რამ, ხომ არ იცით, მათ სახლში შუქის მთავარი გამომრთველი სად  
არის?“

„თქვენ წარმოიდგინეთ, ვიცი, რადგან ერთ ღამეს დამცველი გადაიწვა,  
მაშინ, როცა მსახურები უკვე იწვნენ. შემოსასვლელში კედელში ჩადგმულ  
პატარა კარადაშია“.

მისტერ პარკერ პაინის თხოვნით მისიზ სენტ ჯონმა ნახაზი გააკეთა.

„ახლა კი“, თქვა მისტერ პარკერ პაინმა, „ყველაფერი რიგზე იქნება, არ



ინაღვლოთ, მისიზ სენტ ჯონ. ბეჭედს რას უზამთ? დამიტოვებთ. თუ ოთხშაბათამდე თქვენ გექნებათ?”

„იცი. უმჯობესია მე მქონდეს“.

„მეტად ნულარ იდარდებთ“. დაამშვიდა მისტერ პარკერ პაინმა.

„გასამრჯელოდ რა უნდა მოგართვათ?“ მორცხვად ჰკითხა ყმაწვილმა ქალმა.

„ჯერჯერობით არაფერი. ოთხშაბათს გეტყვით, რა უნდა მოგართვათ, გარშემოებით, საფასური ხელმისაწვდომი იქნება“.

კაცმა კარებამდე მიაცილა ყმაწვილი ქალი და მერე თავის სამუშაო მაგიდაზე ღილაკს დააჭირა თითი.

„კლოდი და მადლენი გამომიგზავნეთ“.

კლოდ ლატრელი მთელ ინგლისში ულამაზესი ჟიგოლო გახლდათ, მადლენ დე სარა კი — ყველაზე მაცდური ავანტიურისტი ქალი.

მისტერ პარკერ პაინი გულთბილად შეეგება მათ. „ჩემო ბავშვებო“, უთხრა მან, „თქვენთვის საქმე მაქვს. საქვეყნოდ ცნობილ დაქირავებულ მოცეკვავეებად უნდა იქცეთ. აბა, კლოდ, შენ იცი, ყველაფერი რიგზე უნდა იყოს“.

ლენდი დორთეიმერი წვეულებისათვის მზადებით ძალზე კმაყოფილი იყო. მან დაათვალიერა ყვავილებით მორთული დარბაზი და მოეწონა, რამდენიმე დავალება მისცა მსახურებს. და ქმარს უთხრა, ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეაო.

ცოტა იმედი გაუცრუვდათ, რომ „რედ ადმირალის“ მოცეკვავეებმა, მიქაელმა და ხუანიტამ ბოლო წუთს ვერ შეძლეს მოსვლა, რადგან ხუანიტას ფეხი ეღრძო. მაგრამ სამაგიეროდ ორ ახალ მოცეკვავეს უგზავნიდნენ (ტელეფონით ასე უთხრეს), ამ მოცეკვავეებს დიდი წარმატება ჰქონოდათ პარიზში.

მოცეკვავეებს არ დაუგვიანიათ და ლენდი დორთეიმერიც კმაყოფილი დარჩა. საღამო ბრწყინვალედ მიდიოდა. ჟიულმა და სანჩიამ წარმატებით გაართვეს საქმეს თავი. ესპანური ცეკვა იცეკვეს, მერე შეასრულეს ცეკვა, რომელსაც ველურის ოცნება ერქვა. მერე ჩინებული მოდური ცეკვებიც აჩვენეს.

„კაბარე“ რომ დამთავრდა, ჩვეულებრივი ცეკვა გამოცხადდა. ლამაზმა ჟიულმა ლენდი დორთეიმერი გამოიწვია საცეკვაოდ. გასრიალდა წყვილი. ლენდი დორთეიმერს ასეთი სრულყოფილი პარტნიორი არასოდეს ჰყოლია.

სერ რუბენი ამაოდ ეძებდა მაცდუნებელ სანჩიას. იგი დარბაზში არ იყო. ცარიელ პოლში კედელში ჩადგმულ პატარა კარადასთან იდგა და თვლებით მოოქვილ მაჯის საათს დაშტერებოდა.

„თქვენ ინგლისელი არა ხართ, — არ შეიძლება ინგლისელი იყოს და ასე ცეკვავდეთ“, ჩასჩურჩულებდა ჟიული ლენდი დორთეიმერს ყურში. „თქვენ ფერია ხართ, ქარის სული. Droushcka petrovka navarouchi“.

„ეს რა ენაზე ბრძანეთ?“

„რუსულად“, მიუგო ცრუბენტელა ჟიულმა. „რუსულად გეუბნებით, რის თქმასაც ინგლისურად ვერ გიბედავთ“.

ლენდი დორთეიმერმა თვალები მიწაზე მიიკრა ქალი.

უცებ შეუქი ჩაქრა. სიბნელეში ჟიულმა თავი დახარა და აკოცა ხელზე, ლენდი დორთეიმერს მის მხარზე რომ ედო. ქალმა ხელის გაწევა სცადა, კაცმა დაიჭირა, ასწია და ტუჩებთან მიიტანა, როგორღაც ბეჭედი ქალის თითიდან კაცის ხელში გაცურდა.



ლენი დორთეიმერს მოეჩვენა, რომ შეუქი მხოლოდ ერთი წამით ჩაქრა. ეი-ული მას უღიმოდა.

„ბეჭედი ჩამოგიცურდათ ხელიდან. ნებას მომცემთ...?“ უთხრა კაცმა და ბეჭედი თითზე მოარგო. თან აღტაცებით ჩაჰყურებდა თვალებში.

სერ ლუბენი მთავარ გამომრთველზე ლაპარაკობდა: „ვიღაც სულელმა/გამორთო, ალბათ, გაიხუმრა“.

ლენი დორთეიმერს არ აინტერესებდა, რა მოხდა, ეს ჩაბნელებული ჯამდენიმე წუთი ძალზე ეამა.

ხუთშაბათ დილით, მისტერ პარკერ პაინი თავის კანტორაში რომ მივიდა, მისიზ სენტ ჯონი უკვე ელოდებოდა.

„შემოიყვანეთ“, თქვა მისტერ პაინმა.

„როგორ არის საქმე?“ ყმაწვილი ქალი ძალზე აგზნებული იყო.

„ძალიან ფერმკრთალი ხართ“, შენიშნა მისტერ პაინმა.

„წუხელ მთელი ღამე არ მიძინია, თეთრად გავათენე“... დაუქნია ქალმა თავი.

„ინებეთ ანგარიში — მგზავრობის ღირებულება. კოსტიუმები და ორმოცდაათი გირვანქა სტერლინგი მიქაელისა და ხუანიტასთვის, სულ სამოცდახუთი გირვანქა სტერლინგი და ჩვიდმეტი შილინგი“.

„დიახ, დიახ! მაგრამ წუხელ ყველაფერი რიგზე იყო? გაკეთეთ ის საქმე?“

მისტერ პარკერ პაინმა გაკვირვებით შეხედა. „ბუნებრივია, ყველაფერი რიგზეა, ჩემო ძვირფასო გოგონა, მეგონა, დარწმუნებული იყავით ამასში“.

„ძლივს არ ამოვისუნთქე! ვშიშობდი“...

მისტერ პარკერ პაინმა საყვედურით გაიქნია თავი. „ამ დაწესებულებაში სიტყვა მარცხს ვერ იტანენ. როცა დარწმუნებული არა ვარ, რომ შევძლებ წარმატებას მივადწიო, არც ვკიდებ საქმეს ხელს, რაკი მოვეკიდე, მაშ, წარმატებით დამთავრდება“.

„ნამდვილად მიიღო თავის ბეჭედი და ეჭვი არაფერზე აუღია?“

„არაფერზე. ოპერაცია ძალზე დელიკატურად ჩატარდა“.

დაფნა სენტ ჯონმა ამოიოხრა. „არც კი იცით, რამოდენა ტვირთი მომხსენით. რაო, რას მეუბნებოდით, რამდენია დანახარჯიო?“

„სამოცდახუთი გირვანქა სტერლინგი და ჩვიდმეტი შილინგი“.

მისიზ სენტ ჯონმა ჩანთა გახსნა და ფული ჩაუთვალა. მისტერ პარკერ პაინმა მადლობა გადაუხადა და ქვითარი გამოუწერა.

„თქვენი გასამრჩელო?“ ამოილულლულა დაფნამ. „ეს ფული ხომ მხოლოდ გაწეულ ხარჯებს ფარავს“.

„ამ შემთხვევაში გასამრჩელო საჭირო არ არის“.

„ოჰ, მისტერ პაინ, ასე როგორ შეიძლება!“

„მე ამას დაფინებით მოვითხოვ, ჩემო ძვირფასო. ერთ პენისაც კი არ ვაბლებ ხელს. ეს ჩემს პრინციპებს ეწინააღმდეგება. აი თქვენი ქვითარი. ახლა კი...“

ბედნიერი მეფოკუსის ღიმილით, რომელმაც წარმატებით ჩაატარა ოპერა, ჯიბიდან პატარა კოლოფი ამოიღო და ყმაწვილ ქალს გადააწოდა. დაფნამ გახსნა კოლოფი, შიგ იდო ბრილიანტის ბეჭდის ასლი, რომელიც მაშინვე იცნო.



„საძაგელო!“ სახე დაეღრიჯა მის დანახვაზე მისიზ სენტ ჯონს, „როგორ მეზიზღები! სიამოვნებით გადაგისვრიდი ამ ფანჯრიდან!“

„თქვენ ადგილას ამას არ ვიზამდი“, — მიუგო მისტერ პაინმა, — „ხალხს ნუ გააოცებთ“.

„დარწმუნებული ხართ, რომ ეს ნამდვილი არ არის?“ ჰკითხა დაფნამ.

„დიახ, აი, იმ დღეს რომ მაჩვენეთ, ის არხეინად აქვს წამოყვანილი ლედი დორთეიმერს თითზე“.

„მაშ ყველაფერი რიგზე ყოფილა“, დაფნამ ბედნიერად გაიცინა.

„უცნაურია, ამას რომ მეკითხებით“, უთხრა მისტერ პარკერ პაინმა, „რა თქმა უნდა, საბრალო კლოდს ტვინი არ ასკდება, ძალიან ადვილად შეიძლება აჩეოდეს. ამიტომ, რათა დავრწმუნებულიყავი, ამ დილით იუველიერა შევამოწმებინე“.

მისიზ სენტ ჯონი სასწრაფოდ დაჯდა, „ოჰ! მერე რა თქვა?“

„ასე თქვა, არაჩვეულებრივად ზუსტი ასლიაო“, გაიღიმა მისტერ პარკერ პაინმა, „საუკეთესო ოსტატის ნამუშევარიაო, ახლა ხომ მოგეშვათ გულზე?“

მისიზ სენტ ჯონს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ შეჩერდა, მისტერ პარკერ პაინს მისჩერებოდა. იგი მაგიდის მეორე მხარეს თავის ადგილას დაჯდა და შეხედა ქალიშვილს. „სხვის მაგივრად ნარის გლეჯა ძალზე უსიამოვნოა! თქვა მან, „არც ერთ ჩემს თანამშრომელს არ ვუსურვებდი ამას. უკაცრავად, რამე ხომ არ მიტხარით?“

„მე... არა, არაფერი“.

„კეთილი, ერთი პატარა ამბავი მინდა გიამბოთ, მისიზ სენტ ჯონ, ერთ ყმაწვილ ქალს შეეხება. ჩემი აზრით, ქერა ქალი უნდა იყოს, გასათხოვარია. გვარად სენტ ჯონი არ არის. არც დაფნა ჰქვია სახელად. მას ერნესტინ რიჩარდსი ჰქვია და აქამდე ლედი დორთეიმერის მდივანი გახლდათ.“

„ერთ დღეს ლედი დორთეიმერს ბრილიანტის ბეჭდის ბუდე გაუფუჭდა და მისს რიჩარდსმა გასაკეთებლად ქალაქში წამოიღო. ხომ წააგავს თქვენს მოთხოვნას, არა? იგივე აზრი მოუვიდა მისს რიჩარდსს, რაც თქვენ. მანაც ბეჭდის ასლი დაამზადებინა. მაგრამ იგი შორსმკვრეტელი ყმაწვილი ქალი გახლდათ და ისიც გაითვალისწინა, რომ ერთხელაც დადგებოდა დღე, როცა ლედი დორთეიმერი აღმოაჩენდა ბეჭედი რომ შეცვლილი იყო. გაახსენდებოდა, ვინც წაიღო ბეჭედი ქალაქში და მაშინვე მასზე მიიტანდა ეჭვს.“

„მერე, რა მოხდა? ვფიქრობ, რომ უპირველეს ყოვლისა, მისს რიჩარდსმა გარეგნობა შეიცვალა“, — მისტერ პაინი გულუბრყვილოდ მიაჩერდა თავისი კლიენტის დატალღულ, მუქ წაბლისფერ ლოკონებს: „მერე ჩემთან მოვიდა, ნამდვილი ბეჭედი მაჩვენა, რომ არ დავეჭვებულიყავი რამეში. მერე, ბეჭდების შეცვლის გეგმა რომ მოვიფიქრე, ყმაწვილმა ქალმა ბეჭედი ოქრომჭედელთან წაიღო. ვინც, რა თქმა უნდა, იგი ლედი დორთეიმერს დაუბრუნა.“

„გუშინ საღამოს, ბოლო წუთს,“ სადგურ ვატერლოოზე ყალბი ბეჭედი გადმოგვცა. მისს რიჩარდსი მართალი იყო, როცა იმედოვნებდა, რომ მისტერ ლატრელი ბრილიანტს ვერ ამოიცნობდა, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რათა საკუთარი თავი დამერწმუნებინა, რომ ყველაფერი რიგზე იყო, საქმე ისე მოვაწყე, ბრილიანტით მოვაჭრე ერთი ჩემი მეგობარი მოვახვედრე მათ მატარებელში. მან ბეჭედს შეხედა თუ არა, მაშინვე განაცხადა, ეს ნამდვილი ბრილიანტი არ არის, მხოლოდ მშვენიერი ასლია.“

„ხომ ხვდებით, როგორც არის საქმე, მისიზ სენტ ჯონ? როცა ლედი



დორთეიმერი დანაკარგს აღმოაჩენდა, რას გაიხსენებდა? ახალგაზრდა, მომხი-  
ბვლელ მოცეკვავეს, რომელმაც სიბნელეში ბეჭედი წააძრო. გამოიკითხავდა  
და გაიგებდა, რომ ის მოცეკვავეები, რომლებიც მან დაიჭირა, მოისყიდეს,  
იმ საღამოს მასთან რომ არ მისულიყვნენ. თუ კვალს ჩემს დაწესებულებაში  
მოყვებოდნენ ჩემს მონათხრობს მისიზ სენტ ჯონის შესახებ სიცრუედ ჩათ-  
ვლიდნენ. ლედი დორთეიმერი არ იცნობს ვინმე მისიზ სენტ ჯონს და ჩემს  
მონაყოლს ყალბ მონაჩმახად მიიღებდნენ.

ამას როგორ დავუშვებდი? ამიტომ ჩემმა მეგობარმა კლოდმა ლედი დო-  
რთეიმერს თითზე ისევ ის ბეჭედი წამოაცვა, რომელიც წააძრო. მისტერ პარ-  
კერ პაინი ახლა ისე გულთბილად აღარ იღიმებოდა.

„ხომ ხვდებით, რატომ ვერ გამოგართმევთ გასამრჯელოს? მე ვიძლევი  
ადამიანის გაბედნიერების გარანტიას. რაღა თქმა უნდა, მე თქვენ ვერ გაგა-  
ბედნიერებ. კიდევ ერთ რამეს გეტყვით. თქვენ ახალგაზრდა ხართ. შეიძლე-  
ბა პირველად ჩაიღინეთ ასეთი საქციელი. მე კი, პირიქით, საკმაოდ ხანში შე-  
სული ვარ და სტატისტიკური მონაცემების შეგროვების დიდი ხნის გამოცდი-  
ლება მაქვს. ამ გამოცდილებით გარწმუნებთ, რომ უპატიოსნო საქციელი ასი-  
დან ოთხმოცდაშვიდ შემთხვევაში ცუდად მთავრდება. ოთხმოცდაშვიდ შემ-  
თხვევაში! დაფიქრდით ამაზე!“

ერუ მისიზ სენტ ჯონი უხეშად წამოდგა. „ბებერო მნეცო! გამაცურე, ხომ!  
ხარჯები მახდევინე! და მთელი ამ ხნის განმავლობაში...“ ქალს სული კინალამ  
შეუგუბდა და კარს მიაშურა.

„ბეჭედი დაგრჩათ“, მისტერ პარკერ პაინმა ბეჭედი გაუწოდა.

ქალმა ხელიდან გამოსტაცა, დახედა და ღია ფანჯარაში მოისროლა.

კარი გაიჯახუნა და გავიდა.

მისტერ პარკერ პაინმა ცნობისმოყვარედ გაიხედა ფანჯრიდან.

„სწორედ ასეც ვფიქრობდი“, თქვა მან, „ხალხი სახტად დარჩა. ვილაც  
ჯენტლმენმა არ იცის, ბეჭედს რა უყოს“.

## გულნაკლული ქმრის ამბავი

მისტერ პარკერ პაინის ერთ-ერთი უდიდესი ღირსება თანაგრძნობის უნა-  
რი გახლდათ, რაც უეჭველად ჩაუნერგავდა კაცს რწმენას.

მან მშვენიერად იცოდა, რა უხერხულად გრძნობდნენ ხოლმე თავს კლი-  
ენტები მის დაწესებულებაში შემოსვლისას. მისტერ პაინზე იყო დამოკიდე-  
ბული, გულს გადაუშლიდნენ თუ არა.

იმ დილით ახალი კლიენტი ეჯდა, მისტერ რეჩინალდ უეიდი. მაშინვე შე-  
ატყო, რომ მისტერ უეიდი დიდი ენამჭევრი კაცი არ იყო. ამ ტიპის ადამია-  
ნებს უჭირთ ენით გამოთქვან ყველაფერი, რაც კი გრძნობებთან არის დაკავ-  
შირებული.

მისტერ უეიდი მაღალი, მხარბეჭიანი, მზემოკიდებული, ცისფერთვალა  
კაცი გახლდათ. იჯდა დაბნეული, პატარა ულვაშს აწვალებდა და მისტერ პარ-  
კერ პაინს უსიტყვოდ შეჰყურებდა.

„იცით, თქვენი განცხადება წავიკითხე“, ამოღერდა ბოლოს. „ვიფიქრე, შე-  
ვივლი-მეთქი. ცოტა უცნაურად მეჩვენება, მაგრამ მაინც მომიწია ბედი მე-  
სინჯა“.



მისტერ პარკერ პაინი მიუხვდა — „როცა საქმეები ცუდად მიდის, ადამიანი ყოველ ღონეს ხმარობს მათ გამოსასწორებლად“, — უთხრა მან.

„დიახ, სწორედ ასეა. ძალიან მინდა როგორმე შევცვალო ჩემი ცხოვრება. ჩემი საქმე ცუდადაა, მისტერ პაინ. არ ვიცი როგორ მოვიქცე. მიჭირს, ძალიან მიჭირს“.

„გიჭირთ და მეც აქა ვარ“, უთხრა მისტერ პაინმა. „ვიცი, როგორ უნდა მოიქცეს კაცი. მე ყოველგვარი ადამიანური გასაჭირის მშველელი ვარ“.

„ოჰ, მეტიმეტს ზომ არ იღებთ საკუთარ თავზე!“

„არცთუ მაინცდამაინც. ადამიანური საწუხარი სულ უბრალოდ იყოფა რამდენიმე სახეობად, აწუხებთ სუსტი ჯანმრთელობა, მოწყენილობა, არიან ცოლები, რომლებსაც ქმრების დარდი კლავთ და ქმრები, — შეიცადა მან, — რომლებიც ცოლებზე დარდობენ“.

„კაცმა რომ თქვას, გამოიცანით. სწორედ რომ ნიშანში მოარტყით“.

„მაშ, მიაბეთ ყველაფერი“, — უთხრა მისტერ პაინმა.

„მოსაყოლი ბევრი არაფერია. ჩემს ცოლს ჩემთან განქორწინება და სხვაზე გათხოვება სურს“.

„დღეს ასეთი ამბები ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხდება. თქვენ კი, როგორც ვატყობ, არა გსურთ განქორწინება“.

„მიყვარს ცოლი“, გულახდილად თქვა მისტერ უეიდმა. „ხომ გესმით — მიყვარს“.

ეს უბრალო და ცოტა არ იყოს გაცვეთილი სიტყვები იყო, მაგრამ რომ ეთქვა, ვალმერებზე ჩემს ცოლს, მის ნაკვალევსაც კი ვეთაყვანები, მისი გულისთვის სიცოცხლეს გავწირავო, — უფრო ნათლად ვერ გააგებინებდა თავის განცდებს მისტერ პარკერ პაინს.

„ჰოდა“, განაგრძო მისტერ უეიდმა, „არ ვიცი, რა ვქნა. კაცი ისეთი უმწეოა, თუ ქალს სხვა მამაკაცი სურს, — მორჩა, განზე უნდა გადგე და მეტი არაფერი“.

„შემოგთავაზათ, გავშორდეთო?“

„რა თქმა უნდა, მაგრამ განქორწინების თაობაზე მე მას სასამართლოში ვერ ვაწოწიალებ“.

მისტერ პაინმა ჩაფიქრებით შეხედა. „ჰმ, ჩემთან რატომ მოხვედით?“

კაცმა მორიდებით ჩაიცინა. „არ ვიცი, როგორც ხედავთ, დიდი ჭკუით ვერ დავიტრაბახებ. ვერაფერი მოვიფიქრე. მერე თქვენ მომაგონდით, იქნებ რაიმე მირჩიოს-მეთქი. იცით, ექვსი თვის ვადაზე დამთანხმდა. თუ ექვსი თვის მერე აზრს არ შეიცვლის, მაშინ უნდა შევეშვა. თქვენზე ვიფიქრე, იქნებ მირჩიოს, როგორ მოვიქცე-მეთქი. დღესდღეობით, რასაც მე ვაკეთებ ყველაფერი აღიზიანებს“.

საქმე ის გახლავთ, მისტერ პაინ, რომ ტვინი მაინცდამაინც არ გადმოშდის თავიდან! ბურთის დევნა, გოლფისა და ტენისის თამაში მიყვარს. მუსიკის, ხელოვნების და ასეთი რამეების არაფერი გამეგება. ჩემი ცოლი კი ჭკვიანი ქალია. უყვარს სურათების დათვალიერება, ოპერაში და კონცერტებზე სიარული და, ბუნებრივია, ჩემთან წყინდება. იმ კაცს კი — ერთი ვიღაც საძაგელი, გრძელთმიანი ტიპია — ასეთი რამეებისა კარგად ესმის. საუბარი ყველაფერზე შეუძლია. მე კი არა. ერთი მხრივ, ჩემთვის გასაგებია, ჭკვიან, ლამაზ ქალს ჩემნაირი მუტრუკი რომ მოგებრდეს“.

„ცოლი რომ შეირთეთ, მას მერე... რამდენი ხანია?... ცხრა წელი? ალბათ



თავიდანვე ასე ფიქრობდით. შემცდარხართ, ჩემო ძვირფასო სერ, საშინლად შემცდარხართ! ქალთან მორიდებით არასოდეს დაიჭიროთ თავი. თავიდანვე დაგიწყებთ აწონ-დაწონას და ღირსიც იქნებით. იცით, რა უნდა გექნათ? უნდა გექნათ და გედიდებინათ საკუთარი სპორტული ღირსებები, ხელოვნებასა და მუსიკაზე კი უნდა გეთქვათ, ხედავთ, რა სისულელეებზე გიყდება ჩემი ცოლით, უნდა გეთანაგრძნოთ მისთვის, ასე ცუდად რომ თამაშობდა სპორტულ ფანჯარაში. თავმდაბალი ადამიანი, ჩემო ძვირფასო სერ, ქალთან სპორტულ ფანჯარაში ჩირადაც არ ფასობს! ეს ყველა ქალზე ვრცელდება, გასაკვირი არაა, თქვენს მეუღლეს რომ მოგებრდით“.

მისტერ უეიდი შეცბუნებული შეჰყურებდა მას. „კეთილი, ახლა რას მი-  
რჩევთ, როგორ უნდა მოვიქცე?“ ჰკითხა ბოლოს.

„სწორედ ეგ არის საკითხავი, ის, რაც ცხრა წლის წინათ უნდა გაგეკეთე-  
ბინათ ახლა ძალზე გვიანაა, ახალი ტაქტიკა უნდა შევიმუშაოთ. რაიმე სა-  
სიყვარულო თავგადასავალი არ გქონიათ?“

„რა თქმა უნდა, არა“.

„არც გაარშეყებიხართ ვინმეს?“

„ქალებზე ფიქრით არასოდეს ამიტკივებია თავი“.

„ძალიანაც შემცდარხართ. ახლა უნდა აიტკიოთ“.

„ოჰ, მართლა რომ არ შემიძლია? იცით...“ — შემფოთდა მისტერ უეიდი.

„თქვენ ამაზე თავს ნუ შეიწუხებთ. ჩემს ერთ-ერთ თანამშრომელს მოგა-  
ჩენთ ამ მიზნით. ის ქალი გეტყვით, როგორც უნდა მოიქცეთ და თქვენი მის-  
დამი ყურადღებაც, რა თქმა უნდა, საქმით იქნება გამოწვეული“.

მისტერ უეიდმა შვებით ამოისუნთქა. „ასე ჯობია, მაგრამ თქვენ მართლა  
ფიქრობთ, რომ... იცით, ასე მგონია, აირისს უფრო მეტად მოუნდება ჩემი  
თავიდან მოშორება-მეტქი“.

„თქვენ არ იცნობთ ადამიანის ბუნებას, მისტერ უეიდ. ქალების ბუნები-  
სა კი სულ არაფერი გაგეგებათ. ქალური თვალსაზრისით თქვენ ახლა არარაობა  
ხართ. არავის უნდიახართ. რაში სჭირდება ქალს ის, ვინც არავის არ უნდა?  
ახლა სხვა კუთხით მივუდგეთ და წარმოვიდგინოთ, რომ თქვენმა ცოლმა გაიგო,  
თქვენც ისევე ისწრაფით თავისუფლებისაკენ, როგორც თავად“.

„ეს მას ალბათ გაეხარდება“.

„იქნებ უნდა გაუხარდეს კიდევ. მაგრამ არ გაუხარდება! უფრო მეტიც,  
როცა იგი ნახავს, რომ თქვენ მიიზიდეთ და მოხიბლეთ ქალიშვილი, რომელსაც  
შავისა და თეთრის გარჩევა შეუძლია, თქვენი ფასი მაშინვე აიწევს მის თვა-  
ლში. თქვენმა ცოლმა იცის, რომ ყველა მისი მეგობარი იმას იტყვის, ქმარს  
მოყირკდა და უფრო ეშხიანი ქალი მოძებნაო. ეს კი ჭკუაში არ დაუჭდება“.

„თქვენ ასე ფიქრობთ?“

„დარწმუნებული ვარ. „საბრალო რეგი“ კი აღარ იქნებით მისთვის, არა-  
მედ „ეს ცბიერი ძალლი რეგი“. ეს კი იცით, რამდენს ნიშნავს! მეორე მამაკა-  
ცის დაუთმობლად, უეჭველია, შეეცდება ისევ მოგიპოვოთ. მაგრამ ვერ მოახე-  
რებენ. თქვენ გონივრულად მოიქცევით და თქვენი მხრივ გაუმეორებთ მის  
აღრე ნათქვამს: „უმჯობესია დავშორდე“, „ხასიათით ვერ ვეწყობით!“  
თქვენ თითქოს ახლა მიხვდით. რომ მისი ნათქვამი — „ვერ მიგებთ“, მართა-  
ლია, თუმცა მართალია ისიც, რომ თავადაც ვერასოდეს გიგებდათ თქვენ. მა-  
გრამ ახლა ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ. თავის დროზე დაწვრილებით გეტყვით,  
როგორ მოიქცეთ“.



მისტერ უეიდს კვლავ რაღაც ეეჭვებოდა. „მართლა ფიქრობთ, რომ ეს ოინი გამოდგება?“ დაეჭვებით იკითხა მან.

„მთლად დარწმუნებული ვარ-მეთქი, ვერ ვიტყვი“. უთხრა მისტერ პარკერ პაინმა წინდახედულად. „ადვილი შესაძლებელია, თქვენს შეუღლეს ისე უყვარდეს ის კაცი, რომ თქვენ რაც არ უნდა თქვათ ან მოიპოვებოდით, არაფერმა არ გასჭრას, — მაგრამ რაღაც არა მგონია ასე იყოს. თქვენს მოწყვნილობამ გადაადგმევინა ეს ნაბიჯი, თქვენი ნამდვილად გულგრილობის გამო ჩაიდინა ეს, უბრალოდ, ასეთი ეჭვშეუთანელი ერთგულება მოყირკდა, თუ ისე მოიქცევით, როგორც მე დაგარიგებთ, გამარჯვების შანსი ოთხმოცდაჩვიდმეტი პროცენტი გაქვთ“.

„კეთილი“. თქვა მისტერ უეიდმა. „ყველაფერს გავაკეთებ, სხვათა შორის... რამდენი?“

„ორასი გინება წინასწარ უნდა გადამიხადოთ“.

მისტერ უეიდმა ჩეკი გამოწერა.

ლორემერის კორტები შუადღის ბრდღვიალა მზეზე ძალიან ლამაზი ჩანდა. გრძელ მერხზე გადაწოლილი აირის უეიდი ძალიან ლამაზ ფერებში იყო მორთული. მოვარდისფრო-იისფერი ნაზი კაბა ეცვა. სახე კი ისე ოსტატულდ შეეღება, რომ ოცდათხუთმეტ წელზე გაცილებით ნაკლებს მისცემდით.

იგი თავის მეგობარს, მისიზ მასინგტონს ესაუბრებოდა. ის ქალი ყოველთვის ყველაფერში თანაუგრძნობდა ხოლმე. ორივე ქალბატონს ნერვებს უშლიდა ათლეტური აღნაგობის ქმრები, ბირჟის, აქციებისა და გოლფის მეტი სალაპარაკო რომ არაფერი ჰქონდათ.

„...და ასე სწავლობს ადამიანი ცხოვრებას და სხვასაც აცხოვრებს“, დამთავრა რაღაცის მოყოლა აირისმა.

„რა თქმა უნდა, ძვირფასო“, უთხრა მისიზ მასინგტონმა და მაშინვე ჰკითხა: „ერთი მოთხარი, ვინ არის ეს გოგონა?“

აირისმა ზანტად აიჩეჩა მხრები. „არ ვიცი! რეგიმ აღმოაჩინა. რეგის პატარა მეგობარია! რა სასაცილოა. ხომ იცი ჩემი ქმარი ზედაც არ უყურებს გოგონებს. მოვიდა ჩემთან, ილუღლულა, იბუტბუტა და ბოლოს გამომიცხადა, მისსდე სარას წამოყვანა მინდა უიკ-ენდზეო. მე, რა თქმა უნდა, გამეცინა — თავი ვერ შევიკავე. რეგი, ხომ წარმოგიდგენია! ჰოდა, აი, ხომ ხედავ, ისიც აქ არის“.

„სად შეჩვენენ ერთმანეთს?“

„არ ვიცი. წესიერად არაფერი უთქვამს“.

„იქნებ წინათაც იცნობდა“.

„ოჰ, არა მგონია“, თქვა მისიზ უეიდმა. „რა თქმა უნდა“, განაგრძო მან, „ძალიან მიხარია, ის კი არადა, აღფრთოვანებული ვარ. ხომ იცი, რასაც ვგულისხმობ — გაცილებით გამიადვილდება ყველაფერი. რეგის გამო ძალიან უბედურად ვგრძნობდი თავს. ის ისეთი საყვარელია. სინკლერს სულ ამას ვეუბნებოდი — რეგი ამას ვერ გადაიტანს-მეთქი, მან კი დაიჩემა, — რეგი ხელად შეეჩვევა თავის მდგომარეობასო. როგორც ჩანს, მართალს მეუბნებოდა. ორიოდღე დღის წინ რეგი ისეთი გულგატეხილი ჩანდა — ახლა კი, ხომ ნახე, ეს გოგო ჩამოიყვანა აქ! როგორც გითხარი, ძალიან მართლბს ეს ამბავი. მსიამოვნებს, რეგი რომ კარგად გრძნობს თავს. ალბათ საბრალოს ეგონა, ვიეჭვიანებოდი, რბ სისულელეა! რა თქმა უნდა, წამოიყვანე შენი მეგობარი-მეთქი, ვუთხა-



ჩი, საბრალო რეგი — ჰგონია, ასეთ გოგოს მოეწონება, ეს გოგონა ალბათ თავს ირთობს“.

„ძალიან მომზიბვლელია“, თქვა მისიზ მასინგტონმა. „მისი სილამაზე თითქმის სახიფათოა. ხომ ზედები, რისი თქმაც მინდა. ეს ისეთი გოგოა, მხოლოდ ყველა რომ აინტერესებს. თუმცა რა ვიცი, იქნებ კარგი გოგოცაა“.



ერეკლესი  
გეგლეჩიშვი

„არ ეტყობა“, თქვა მისიზ უეიდმა.

„მშვენივრად აცვია“, თქვა მისიზ მასინგტონმა.

„ცოტა უცნაურად, არა?“

„მაგრამ ძალზე ძვირფასად“.

„მდიდრულად, მას მეტისმეტად მდიდრული იერი აქვს“.

„აი მოდიან“, თქვა მისიზ მასინგტონმა.

მადლენ დე სარა და რეგი უეიდი მდელიოზე მოსეირნობდნენ. საუბრობდნენ, იცინოდნენ და ძალიან ბედნიერები ჩანდნენ. მადლენი შეზლონგში ჩაესვენა, თავიდან ბერეტი მოიძრო და მშვენიერ შავ კულულებზე ჩამოისვა ხელი.

მართლაც რომ ლამაზი იყო.

„რა საუცხოო იყო!“ წამოიძახა მან. „ძალიან მცხელა. ალბათ საშინლად გამოვიყურები“.

„თქვენ... თქვენ...“ გაიცინა რეგი უეიდმა. „ვერც კი მითქვამს, როგორ გამოვიყურებით“.

მადლენის თვალები მისას შეხვდნენ. გოგონას თვალები ერთთავად თანაგრძნობას გამოხატავდნენ. მისიზ მასინგტონმა მაშინვე შეამჩნია ეს.

„გოლფი უნდა ითამაშოთ“, უთხრა მადლენმა მისიზ უეიდს. „იმდენ სიამოვნებას კარგავთ. რატომ არ სწავლობთ? ერთი ამხანაგი მყავდა, ისწავლა და მშვენიერადაც თამაშობდა, თუმცა თქვენზე გაცილებით უფროსი იყო“.

„ასეთი რამეები არ მაინტერესებს“, თქვა აირისმა ცივად.

„სპორტული თამაშები არ იცით? რა საშინელებაა! უმაგისოდ, ასე მგონია, ყველაფერს ჩამორჩენილი ვიქნებოდით. თუმცა მისიზ უეიდ, ახლა ისე კარგად წვრთნიან, რომ თითქმის ყველა მშვენივრად სწავლობს თამაშს. შარშან, ზაფხულის ბოლოს, უკვე კარგად ვთამაშობდი ჩოგბურთს. გოლფში კი მთლად უიმედო ვარ“.

„სისულელეა!“ თქვა რეგიმ. „ცოტა ვარჯიში გჭირდება. ხომ ხედავდი, როგორ იღებდი დღეს იმ დარტყმებს“.

„ეს იმიტომ, რომ შენ მაჩვენებდი. შესანიშნავი მასწავლებელი ხარ. ბევრს საერთოდ არ ეხერხება ახსნა, შენ კი ამის ნიჭი გაქვს. ნეტა შენნაირი ვიყო — ყველაფერი გეხერხება“.

„სისულელეა. არაფერშიც არ ვვარჯივარ“, შეცბა რეგი.

„თქვენ უნდა ამაყობდეთ თქვენი ქმრით“, მიუბრუნდა მადლენი მისიზ უეიდს. „როგორ მოახერხეთ ამდენი ხანი მისი შენარჩუნება? ალბათ ძალიან ეჭვიანურად და მოხერხებულად იქცეოდით, თუ სადმე გყავდათ გადამალული?“

მისიზ უეიდს პასუხი არ გაუცია. აკანკალებული ხელით წიგნი აიღო.

რეგიმ წაიბუტბუტა. ტანზე გამოვიცვლიო, და წავიდა.

„რა კეთილი ხარო, აქ რომ მომიწვიეთ“, უთხრა მადლენმა მისიზ უეიდს. „ზოგი ქალი ქმრის მეგობრებზე ეჭვიანობს ხოლმე. მე ეჭვიანობა სისულელედ მიმაჩნია, თქვენ?“

„მეც. არასოდეს მომსვლია თავში აზრად რეგიზე მეეჭვიანა“.



„რა კეთილშობილური საქციელია თქვენი მხრივ! იცით, იგი ქალებს აშკარად ძალიან მოსწონთ. კინალამ გავგიჟდი, რომ გავიგე ცოლიანიო. ნეტავ რატომ ხდება, სიმპათიურ მამაკაცებს ახალგაზრდობაშივე რომ დაიტაცებენ ხოლმე?“

„მოხარული ვარ, რეგი რომ გესიმპათიურებათ!“ — უთხრა მისიზ უეიდმა.

„დიახ, მართლაც ხომ ძალიან სიმპათიურია! ასე კარგად გეგონება და საოცრად კარგად თამაშობს ყველაფერს. თან თავი ისე უმჯობესად ზედაც არ უყურებს, ეს კი ჩვენზე, ქალებზე, ხომ იცით, როგორ მოქმედებს“.

„ალბათ ბევრი მეგობარი კაცი გყავთ, არა?“ ჰკითხა მისიზ უეიდმა.

„ოჰ, დიახ. ქალებს კაცები მიჩვენია. ქალებს რატომღაც თვალში არ მოუდივარ, ვერ გამიგია, რატომ“.

„იქნებ იმიტომ, რომ მეტისმეტად კარგად ექცევით მათ ქმრებს“, ეშმაკურად გაიცინა მისიზ მასინგტონმა.

„იცით, ზოგჯერ შეგეცოდებათ კაცები, კარგი ვაუკაცები არიან, თავიანთ მოსაწყენ ცოლებზე კი არიან მიჯაჭვულები. ხომ იცით „ხელოვნების მოყვარული“ ქალები რა ამპარტავნები არიან. ბუნებრივია, კაცს ვინმე ახალგაზრდა და მზიარულ ქალთან ეამება ყოფნა. განქორწინება რომ თანდათან გააიოლეს, ძალიან ჰკვიანური — ადამიანი სანამ მთლად არ დაჩაჩანაკდება, თავიდან დაიწყებს ცხოვრებას ისეთ ვინმესთან, ვისაც მისნაირი შეხედულებები და გემოვნება აქვს. ყველასათვის ასე ჯობია. ალბათ, ყოყოჩა ცოლები იპოვიან თავიანთ შესაფერის ვინმე გრძელთმიან არსებას. მე ვფიქრობ, ძველი ურთიერთობის შეწყვეტა და ცხოვრების თავიდან დაწყება კარგი საქმეა. თქვენ რა აზრისა ხართ, მისიზ უეიდ?“

„მეც ასე ვფიქრობ“.

მადლენმა გულცივი დამოკიდებულება იგრძნო, უხერხულად წაიბუტბუტა, ჩაისთვის ტანსაცმელი უნდა გამოვიცვალოო, და წავიდა.

„რა საძაგელი არსებები არიან ეს თანამედროვე გოგონები“, — თქვა მისიზ უეიდმა, — „თავში არაფერი უყრიათ“.

„მაგ გოგოს თავში მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებს, აირის“, უთხრა მისიზ მასინგტონმა. „რეგიზეა შეყვარებული“.

„სისულელეა!“

„ნამდვილად ასეა. არ გამომპარვია, როგორ მისჩერებოდა. სულ არ აინტერესებს ცოლიანია თუ უცოლო. უნდა, რომ დაითრიოს. ჩემი აზრით, საძაგელი საქციელია“.

მისიზ უეიდი ერთ წამს ჩუმად იყო, მერე დაბნეულად გაიღიმა. „ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა მერე?“ თქვა მან.

მალე მისიზ უეიდიც ავიდა მაღლა. მისი ქმარი საწოლ ოთახში ტანსაცმელს იცვლიდა და თან ლილინებდა.

„კარგი დრო გაატარე, ძვირფასო?“ ჰკითხა მისიზ უეიდმა.

„ოჰ, კმ.. ძალიან“.

„მოხარული ვარ. მინდა, რომ ბედნიერი იყო...“

„კმ, დიახ“.

რეგი უეიდი მსახიობობის დიდ უნარს ვერ დაიკვებნიდა, იმის გაფიქრებაზეც კი, რომ როლს თამაშობს, შეცბებოდა ხოლმე, რაც მშვენივრად ჭრიდა. ახლაც თვალი აარიდა თავის ცოლს და ქალმა რაღაც რომ ჰკითხა, შეხტა. თავისი საქციელისა რცხვენოდა, ვერ იტანდა ასეთ სიყალბეს. უკეთეს ვფიქტს



ვერაფერი მოახდენდა. აშკარად ეტყობოდა, თავს რომ დამნაშავედ გრძნობდა.  
„რამდენი ხანია ამ გოგოს იცნობ?“ უეცრად ჰკითხა მისიზ უეიდმა.  
„ჰმ, ვის?“

„რა თქმა უნდა, მისს დე სარას“.

„იცი, კარგად არ მახსოვს. მგონი, კარგა ხანია“.

„მართლა? არასოდეს გიხსენებია“.

„ჰოო? დამავიწყდა ალბათ“.

„ნამდვილად დავავიწყდა!“ უთხრა მისიზ უეიდმა და მოვარდისფრო-მო-  
თხრო სამოსის შარიშურით გაეცალა.

ჩაის შემდეგ მისტერ უეიდი მისს დე სარას ვარდების ბაღში შეუძღვა.  
მდელიზე მისეირნობდნენ და ზურგებს უწვავდათ წყვილი თვალის მზერა.

„მომისმინეთ, რა გითხრათ. ასე მგონია, უნდა შევეშვათ ამ თამაშს. ჩემმა  
ცოლმა წელან ისეთი სიძულვილით შემომხედდა...“ — ძლივს ამოთქვა მისტერ  
უეიდმა, ვარდების ბაღში თვალს რომ მიეფარნენ.

„ნუ სწუხხართ, ყველაფერი რიგზეა“, — დაამშვიდა მადლენმა.

„თქვენ ასე გგონიათ? სულ არ მინდა თავი შევაძულო. ჩაიზე რამდენიმე  
არასამო სიტყვა თქვა“.

„ყველაფერი რიგზეა. — გაუმეორა მადლენმა, — თქვენ მშვენივრად გი-  
ჰიწავთ თავი“.

„მართლა ასე ფიქრობთ?“

„დიახ, — უთხრა ქალმა და ხმადაბლა გააგრძელა: — თქვენი ცოლი გა-  
მოჩნდა ტერასის კუთხეში, სურს დაგვინახოს, რას ვაკეთებთ. გირჩევნიათ მა-  
კოცოთ“.

„ოჰ!“ ნერვიულად წამოიძახა მისტერ უეიდმა. „საჭიროა კი? იცით...“

„მაკოცეთ!“ — მკაცრად უთხრა მადლენმა.

მისტერ უეიდმა აკოცა. მადლენმა ეს წარმოდგენა ფრიად გრძნობიერ სუ-  
რათად აქცია. მან კაცს ხელები მოხვია. მისტერ უეიდს თავბრუ დაეხვა.

„ოჰ!“ — თქვა მან.

„ძალიან არ გეამათ, ხომ?“ — ჰკითხა მადლენმა.

„არა, რას ბრძანებთ“, თავაზიანად უპასუხა მისტერ უეიდმა. „უბრალოდ,  
მოულოდნელი იყო“. და სასწრაფოდ დაუმატა, „კარგა ხანია ამ ბაღში რომ  
ვართ, არა? თქვენ როგორ ფიქრობთ?“

„მეც ასე მგონია. კარგი საქმე კი მოვაგვარეთ“, უთხრა მადლენმა.

ისინი მდელიზე დაბრუნდნენ. მისიზ მასინგტონმა აუწყა მათ, მისიზ  
უეიდი დასასვენებლად შინ შევიდაო.

მოგვიანებით მისტერ უეიდი მადლენს რომ შეხვდა, შეწუხებული სახე  
ჰქონდა.

„საშინელ დღეშია — ისტერიკა დაემართა“.

„ძალიან კარგი“.

„დამინახა, რომ გაკოცეთ“.

„ჩვენც ხომ ეს გვინდოდა“.

„ვიცი, მაგრამ მას ხომ ვერ ავუხსნიდი ამას. არ ვიცოდი, რა მეთქვა. მე ვუ-  
თხარი, ისე, თავისთავად მოხდა-მეთქი“.

„შესანიშნავია“.

„ასე მითხრა, ის გოგო შენზე გათხოვებას აპირებს და საერთოდ, კარგი  
ვინმეც ბრძანდებო. ამან ამაფორიაქა — თქვენზე ამის თქმა უსამართლობაა.“





თქვენ ხომ მხოლოდ საქმეს აკეთებთ. მე ვუთხარი, მაგ გოგოს ძალიან დიდ პატივს ვცემ და რასაც ამბობ, არ არის მართალი-მეთქი, და გავბრაზდი კიდევ, როცა ამისთანების ლაპარაკი გააბა“.

„დიდებულია!“

„მერე მითხრა, წადიო. ჩემთან დალაპარაკებაც აღარა სურს, სამუდამოდ დამემდურა. ასე თქვა, ჩავალაგებ ჩემს ნივთებს და წავალ“ — ძალზე შეფიქრიანებული ჩანდა.

მადლენმა გაიცინა. „მე გასწავლით ამაზე რა უნდა უპასუხოთ. უთხარი, თავადვე მიგატოვებ, ავიბარგები და ქალაქში წავალ-თქო“.

„წასვლა სულაც არ მინდა!“

„წასვლა არც მოგიწევთ. თქვენს ცოლს იმის გაფიქრებაც კი გააგიჟებს, რომ თქვენ ლონდონში დროს გაატარებთ“.

მეორე დღის რეგი უეიდმა ახალი ამბავი შეატყობინა.

„ჩემი ცოლი ამბობს, ვიფიქრე და გადავწყვიტე, უსამართლობა იქნება, ახლა რომ წავიდე, რატი ექვსი თვე მოცდას შეგპირდით. მაგრამო, ასე მითხრა, შენ თუ შენი მეგობარი გყავს აქ, რატომ მე ჩემი არ უნად მყავდესო. სინკლერ ჯორდანის აქ მოპატიუებას აპირებს“.

„ეს ის არის?“

„დიახ. მაგრამ ეშმაკმა წამილოს, თუ მე ის ჩემს სახლში შემოვუშვია!“

„უნდა შემოვუშვათ“, უთხრა მადლენმა. „ნუ წუხხართ, იმას მე მივხედავ. უთხარი, რომ უკვე იფიქრეთ მის ნათქვამზე და საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ და რომ ალბათ მასაც არაფერი ექნება საწინააღმდეგო, თუ მეც გავაგრძელებ აქ სტუმრობას“.

„ოჰ, ღმერთო!“ ამოიოხრა მისტერ უეიდმა.

„გულს ნუ გაიტეხთ, დაამშვიდა მადლენმა. ყველაფერი მშვენივრად მიდის. ორიოდ კვირაც და — თქვენს წუხილს ბოლო მოეღება“.

„ორი კვირა? მართლა ასე გგონიათ?“ — ჩაეკითხა მისტერ უეიდი.

„მგონია კი არა, დარწმუნებული ვარ“, — უპასუხა მადლენმა.

ერთი კვირის მერე მადლენ დე სარა მისტერ პარკერ პაინის დაწესებულებაში შევიდა და სკამზე დაეშვა დაღლილი.

„შემოდით, მაცდურთა დედოფალო“, — გაუღიმა მისტერ პარკერ პაინმა.

„მაცდური!“ ყრუდ გაიცინა მადლენმა. „ასეთი ძნელად შესაცდენი კაცი არასოდეს მინახავს. თავისი ცოლისთვის გიყდება პირდაპირ დაავადებულია იმ ქალით“.

მისტერ პარკერ პაინმა გაიღიმა. „დიახ, მართლაც. თუმცა, ერთი მხრივ ამან ჩვენ საქმე გაგვიადვილა. ყველა კაცს კი ვერ მივანდობდი ასე იოლად თქვენს მომხიბვლელობას, ჩემო ძვირფასო“.

ქალიშვილმა გაიცინა. „ნეტა იცოდეთ, რა ფასად დამიჯდა, რომ ჩემთვის ეკოცნა, თუმცა მერე კი მოეწონა!“

„ესეც ხომ უნდა გამოგეცადათ, ჩემო ძვირფასო. კეთილი, შეასრულეთ დავალება?“

„დიახ. წუხელ ისეთი სცენა ჩავატარე, მგონი, ყველაფერი რიგზეა. დამცა, ერთი გავიხსენო, ბოლო ამბავი როდის მოგახსენეთ? სამი დღის წინ, არა?“

„დიახ“.



„ზოგორც გითხარი, ჩემმა ერთმა შეხედვამ იკმარა, ის სინკლერ ჯორ-  
დანს, საცოდავი, გვერდიდან აღარ მომშორებია — განსაკუთრებით, როცა ჩემ-  
მა ჩაცმულობამ აფიქრებინა, მდიდარიყო, მისი უყიდი, რა თქმა უნდა, გა-  
ყოფდა. მისი ორივე მამაკაცი მე შეარშოყებოდა, მაშინვე გავაკეთე არჩევანი  
სინკლერ ჯორდანს პირში დავცინოდი მისი უყიდის თანდასწრებით. მასხრობ  
ვიგდები მის ტანსაცმელსაც, მის გრძელ თმასაც“.

„შესანიშნავად მოქცეულხართ“, მოუწონა მისტერ პარკერ ჰერმანს.

„ყველაფერი წუხელ მოხდა. მისიზ უეიდმა თავი ველარ შეიკავა და ბრალად დამდო, ოჯახი დამინგრეო. რეგი უეიდმა სინკლერ ჯორდანთან მისი რომანი უხსენა. ქალმა უთხრა, ეს მხოლოდ ჩემი უბედურებისა და სიმარტოვის ბრალიაო. კარგა ხანია შევნიშნე შენი უყურადღებობა, მაგრამ არ ვიცოდი, რა მიზეზით იყო. ჩვენ ხომ ყოველთვის ძალიან ბედნიერები ვიყავით ერთად, შენ კარგად იცი, მე რომ გაღმერთებ და შენს მეტი არავინ მინდაო.

მე ვუთხარი, ძალიან გვიან მოხვედით-მეთქი აზრზე. მისტერ უეილი მი-  
თითებებს ბრწყინვალედ ასრულებდა: ასე უთხრა, არაფერიც არ მანადვლე-  
ბსო, და ჩემზე უთხრა, მისი ცოლად შერთვა მსურსო! შენ კი შეგიძლია, როცა  
გინდა მაშინ გაჰყვე ცოლად შეხს სიწმინდეს ჯორდანსო. და საერთოდ, საიმისო  
არავითარი მიზეზი არ იყო, რომ ახლავე არ გავქორწინებულყავითო, ექვსი  
თვე დაცდას რა აზრი აქვსო.

კაცმა უთხრა, შეგიძლია შეაგროვო საჭირო საბუთები და შენს ვეჭილებს მოელაპარაკო. ამ გოგოს გარეშე ცხოვრება არ შემიძლიათ, მერე მისიზ უეიღ-მა გულზე იტაცა ხელი, სუსტი გული მაქვსო, და იძულებული გახდნენ ბრენ-დი დაეღვევინებინათ. კაცი არ გატყდა, დღეს დილით ქალაქში წამოვიდა, და მე არც კი მეეჭვება, რომ ქალიც უკან გამოედევნა“.

„მაშასადამე, ყველაფერი რიგზეა“, მხიარულად თქვა მისტერ პაინმა. „ყვე-  
ლაფერი კეთილად დამთავრებულა“.

გაიღო კარი. კარებში რეგი უყვიდა იდგა.

„ის აქ არის?“ იკითხა მან—და ოთახში შემოვიდა. „სად არის?“ მერე მად-  
ლენს მოჰკრა თვალი. „ძვირფასო!“ შეჰყვირა მან და ქალიშვილის ხელები თა-  
ვის ხელებში მოიმწყვდია. „ძვირფასო, ძვირფასო. ხომ იცით, წუხელ რასაც  
ვამბობდი, ყველაფერი მართალია — ყველაფერი, რაც კი აირისს ვუთხარი. არ  
ვიცი, ასე ბრმასავით რად ვიყავი ამდენ ხანს. მაგრამ ეს სამი დღეა ყველაფე-  
რში დავრწმუნდი“.

„რაში დარწმუნდით?“ ამოიღუღლულა მადლენმა.

„რომ მე თქვენ გაღმერთებთ. რომ თქვენ გარდა ამქვეყნად მე არავინ  
არ მსურს. აირისს თუ უნდა, გამშორდეს. როცა ყველაფერი ჩაივლის, ხომ გამო-  
მყვებით ცოლად? მითხარით, რომ გამომყვებით, მაღლენ, მე თქვენ გაღმერ-  
თებთ“.

შეცბუნებულ მადლენს კაცმა მკლავები მოჰხვია. ამ დროს ისევ გაიღო კარი და ამჯერად გამხდარი, დაუდევრად ჩაცმული, მწვანეკაბიანი ქალი შემოვიდა.

„ასეც ვიცოდი!“ თქვა ახალმოსულმა. „შეკან გამოგყევი! ვიცოდი, ამასთან რომ წამოხვიდოდი“

„გარწმუნებთ...“ — გონს მოეგო მისტერ პარკერ პაინი.

შემოსულმა ქალმა ყურადღება არ მიაქცია. „ოჰ, რეგი, ზომ არ გინდა გული გამისკდეს! ოღონდ დამიბრუნდი! არასოდეს გისაყვედურებ ამ ამბის



გამო, გოლფსაც ვისწავლი, შენ რომ არ მოგეწონება, ისეთთან არავისთან ვიმეგობრებ. ამდენი წელი ჩვენ ხომ ასე ბედნიერები ვიყავით ერთად...”

„აქამდე არ ვიცოდი, რა იყო ბედნიერება“, ისევ მადლენს მისჩერებოდა მისტერ უეიდი. „დალახვროს ეშმაკმა, აირის, ხომ გინდოდა იმ სულელ ჯორდანს წაპყოლოდი ცოლად. რატომ არ მიყვები?“

„მეზიზღება! მისი დანახვაც არ მინდა!“ — ქვითინებდა მისტერ უეიდი. მერე მადლენს მიუბრუნდა: „შე ცბიერო ქალო! შე საზიზღარო, მაცდურო, როგორ წამართვი ქმარი!“

„მე სულაც არ მინდა თქვენი ქმარი“, უთხრა დაბნეულმა მადლენმა. „მადლენ!“ მისტერ უეიდი გაოგნებული მიშტერებოდა ქალს.

„წადით, გეთაყვა“, უთხრა მადლენმა.

„მომისმინეთ, მე არ ვთამაშობ. მართალს გეუბნებით“.

„ოჰ, წადით-მეთქი!“ ისტერიულად იყვირა მადლენმა. „წადით!“

რეგი უხალისოდ გაემართა კარისაკენ. „მე დავბრუნდები, ისევ დავბრუნდები“, კაცმა კარი გაიჯახუნა.

„შენნაირი გოგონები უნდა გაროზგონ და დადალონ!“ ყვიროდა მისიზ უეიდი. „შენს გამოჩენამდე რეგი წმინდანისვით იქცეოდა. ახლა კი ისე შეიცვალა, ველარ მიცვნია“. ქალი ქვითინით გაედევნა ქმარს.

მადლენმა და მისტერ პარკერ პაინმა ერთმანეთს შეხედეს.

„არ შემიძლია“, უმწეოდ თქვა მადლენმა. „ძალიან კარგი კაცია, მაგრამ მასზე გათხოვება არ მსურს. ამას რას წარმოვიდგენდი. ნეტა გენახათ, ძლივს ვაიძულე ჩემთვის ეკოცნა!“

„ჰმ! ვალიარებ, რომ ამ საქმის განსჯაში შეცდომა დავუშვი“, ნალვლიანად თქვა მისტერ პარკერ პაინმა. მისტერ უეიდის საბუთები თავისკენ მისწია და წააწერა:

„წარუმატებლად დამთავრდა — ბუნებრივ მიზეზთა გამო. ისინი უნდა გაგვეთვალისწინებინა“.

### რაც გსურთ, უველაფერი გაქვთ?

„Par ici, Madame“<sup>1</sup>.

გარ დე ლიონის ბაქანზე წაუღას ქურქში გამოწყობილი მაღალი ქალი დატვირთულ მებარგულს მიჰყვებოდა უკან.

მუქი ყავისფერი ნაქსოვი ქუდი ცალ თვალსა და ყურზე ჩამოეწია. მეორე მხარეს მშვენიერი პაჭუა პროფილი უჩანდა და პატარა ყურზე ოქროსფერი ლოკონები ეყარა. ტიპიური ამერიკელი იყო, ძალიან მომხიბვლელი. ბაქანზე მიმავალს კაცები თვალს აყოლებდნენ.

ვაგონებს გვერდებზე დიდი აბრები ეკრათ:

**პარიზი—ათენი, პარიზი—ბუჰარესტი, პარიზი—სტამბული**

ბოლო აბრასთან მებარგული შეჩერდა. თოკი, რომელიც ჩემოდნებს ჰქონდა შემოჭერილი, გახსნა და ჩემოდნები მიწაზე დაცვივდა. „Voici, Madame“<sup>2</sup>. საძინებელი ვაგონის გამცილებელი ვაგონის კიბესთან იდგა. წინ წამოვი-

<sup>1</sup> წამობრძანდით, ქალბატონო (ფრანგ.).

<sup>2</sup> მოვედით, მაღაშ (ფრანგ.).



და, ხაზგასმული თავაზიანობით მიესალმა ქალს. „Bonsoir, Madame“<sup>3</sup>. ალბათ ღვირფასი და მშვენიერი წაულის ქურქის პატივისცემით.

ქალმა საძინებელი ვაგონის ბილეთი გაუწოდა.

„მეექვსეა. აქეთ მობრძანდით“, უთხრა კაცმა და მკვირცხლად ავიდა ვაგონში, ქალიც მას აჰყვა. დერეფანში რომ მიჰყვებოდა, კინალამ ზორბა ჯენ-ტლმენს შეეჩახა, მეზობელი კუბიდან რომ გამოდიოდა. უცებ შეავლო თვალი მის ფართო, თავაზიან სახეს, კეთილ თვალებს. „Voici, Madame“<sup>4</sup> უთხრა.

გამცილებელმა კუბეში შეიყვანა, ფანჯარა გააღო და მეზარგულს ხელით მოუხმო. მეზარგულმა ბარგი შემოიტანა და თაროზე დააწყო. ქალი ჩამოჯდა.

ქალმა ალისფერი კოლოფი და ხელჩანთა გვერდით დააწყო. კუბეში ცხელოდა, მაგრამ მას არც უფიქრია ქურქის გახდა. უაზრო თვალებით იყურებოდა ფანჯრიდან. ხალხი ვინ საით მიიჩქაროდა და ვინ საით. ბაქანზე გაზეთებს, შოკოლადს, ხილს, მინერალურ წყალს ყიდდნენ. ქალსაც აწვდიდნენ თავიანთ საქონელს, მაგრამ იგი უაზროდ იყურებოდა ფანჯარაში. გარ დე ლიონი გაქრა მხედველობის არეიდან. ქალს ნაღვლიანი სახე ჰქონდა.

„პასპორტს ხომ ვერ მიჩვენებთ, ქალბატონო?“

ამ სიტყვებზე ქალი არც განძრეულა. კარებში მდგომმა გამცილებელმა გაუმეორა თხოვნა. ელსი ჯეფრისი მოულოდნელობისაგან შეზტა.

„უკაცრავად!“

„თქვენი პასპორტი, ქალბატონო“.

ქალმა ხელჩანთა გახსნა, პასპორტი ამოიღო და მიაწოდა.

„ყველაფერი რიგზეა, ქალბატონო. დანარჩენს მე მივხედავ“. მრავალმნიშვნელოვნად შეჩერდა. „მეც ქალბატონივით სტამბულამდე მივყვები მატარებელს“.

ელსიმ ორმოცდაათფრანკიანი ამოიღო და მიაწოდა. გამცილებელმა საქმიანად გამოართვა და ჰკითხა, საწოლი როდის გაგიშალოთ და სადილს ხომ არ ინებებთო.

ეს საქმეები რომ მოაგვარა, გამცილებელი გავიდა და თითქმის მაშინვე რესტორნის მოსამსახურე გამოჩნდა დერეფანში, პატარ ზარს ჩეკდა და თან ყვიროდა: *premiere service. Premiere service*<sup>4</sup>.

ელსი წამოდგა, ქურქი გაიხადა, პატარა სარკეში შეათვალიერა თავი, აიღო ხელჩანთა, ოქროულობის ყუთი და დერეფანში გავიდა. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, რესტორნის მოსამსახურე შემოხვდა, ვაგონის ბოლოდან ბრუნდებოდა. მას რომ არ დაჯახებოდა, ელსიმ მეზობელ, ამჟამად ცარიელ კუბეში შეაბიჯა. კაცმა გაიარა და ქალმა ვაგონ-რესტორნისაკენ გზის გაგრძელება დააპირა, უცებ თვალი მოკრა წარწერას ჩემოდანზე, იქვე, სკამზე რომ იდო.

დიდი ჩემოდანი იყო, ღორის ტყავის, ცოტა არ იყოს გაცვეთილი. ზედ იარლიყი ეკრა, რომელზეც ეწერა: „ჯ. პარკერ პაინი, სტამბულამდე“. თვითონ ჩემოდანზეც ინიციალები ეწერა: „პ. პ.“

ელსი შეცბა. ცოტა ხანს შეყოყმანდა დერეფანში, მერე თავის კუბეში შებრუნდა, მაგიდაზე დაწყობილი ქურჩალების და წიგნების გროვიდან „ტაიმსის“ ნომერი აიღო.

პირველ გვერდზე განცხადებებს გადაავლო თვალი, მაგრამ რასაც ეძებდა, იქ ვერ იპოვა. ოდნავ წარბშეკრულმა რესტორნისაკენ გასწია.

<sup>3</sup> საღამო მშვიდობისა, ქალბატონო (ფრანგ.).

<sup>4</sup> აქ: „პირველი ჯერის ხალხს ევატივებით“ (ფრანგ.).



გამცილებელმა ადგილი მიუჩინა პატარა მაგიდასთან, რომელსაც უკვე უჭ-  
და ვილაც. ეს ის კაცი იყო, დერეფანში რომ შეეჯახა. იგი გახლდათ ღორის  
ტყავის ჩემოდნის პატრონი.

ელსიმ შეუმჩნევლად შეათვალიერა კაცი. მას თავაზიანი, კეთილმოსურნე  
სახე ჰქონდა და ელსის, თავადაც ვერ აეხსნა რატომ, ძალიან სანდო პირად  
მოეჩვენა. კაცს ნამდვილი ინგლისელის თავდაპირველი პქონდა და სანამ სუფრა-  
ზე ხილი არ მოიტანეს, ზმა არ ამოუღია.

„ასეთ ადგილებში ძალიან ცხელა ხოლმე“, თქვა მან.

„დიახ, ნეტა ფანჯრის გაღება შეიძლებოდა“.

კაცმა ნალვლიანად გაიღიმა. „შეუძლებელია! ჩვენ გარდა ყველა წინააღმ-  
დეგი იქნება“.

ქალმაც შეჰღიმა. მერე აღარც ერთს ზმა აღარ ამოუღია.

ყავა და ანგარიში მოიტანეს. ფული რომ გადაიხადა, ელსიმ გამბედაობა  
მოიკრიბა.

„უკაცრავად“, ამოიღულულა მან, „თქვენი სახელი — პარკერ პაინი —  
ეწერა ჩემოდანს, თქვენ, შემთხვევით...“

ელსი შეყოყმანდა და კაცი წაეშველა.

„დიახ, სწორედ ის გახლავართ“. და ელსის მიერ „ტაიმსში“ არაერთხელ  
შემჩნეული განცხადება, წელან რომ ამაოდ ეძებდა, ზეპირად უთხრა: „ბედნი-  
ერი ხართ? თუ არა, რჩევისათვის მისტერ პარკერ პაინს მიაკითხეთ“ — დიახ.  
მე ნამდვილად ისა ვარ“.

„ოჰ, რა... საოცარი!“

„სულაც არა, თქვენთვისაა საოცარი, ჩემთვის კი — არა“. კაცმა დამამ-  
შვიდებლად გაიღიმა და წინ გადაიხარა. ვაგონ-რესტორანი თითქმის დაცარი-  
ელებულიყო. „ესე იგი, თქვენ უბედური ხართ?“ ჰკითხა მან.

„მე...“ დაიწყო ელსიმ და შეჩერდა.

„ჩემთან შეხვედრა საოცრად არ მოგეჩვენებოდათ, ასე რომ არ იყოს“,  
დაასკვნა კაცმა.

ელსი წუთით გაჩუმდა. მისტერ პარკერ პაინის იქ ყოფნაც კი საოცრად ამ-  
შვიდებდა. „დი-ახ“, აღიარა ბოლოს. „უბედური ვარ. დიდი საწყუხარი მაქვს“.   
კაცმა თანაგრძნობით დაუქნია თავი.

„იცი“, განაგრძო ქალმა, „ძალიან უცნაური ამბავი მოხდა და არ ვიცი  
როგორ აეხსნა“.

„იქნებ მიამბოთ, რა მოხდა“, შესთავაზა მისტერ პაინმა.

ელსი განცხადებაზე ფიქრობდა. ის და ედვარდი ზშირად ქილიკობდნენ  
მასზე. ქალი ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ... იქნებ... მისტერ პაინი თუ შა-  
რლატანია... მაგრამ რომ არა ჰგავს!

ელსიმ გადაწყვიტა ეამბნა. იქნებ როგორმე გადაჰყროდა ნალველი გუ-  
ლიდან.

„გეტყვით. კონსტანტინოპოლში მივდივარ მეუღლესთან. ბიზნესმენია, იქ  
საქმეები აქვს და წელს აუცილებლად მიიჩნია წასვლა. თვითონ ორი კვირის  
წინ გაემგზავრა. ჩემს დასახვედრად უნდა მომზადებულიყო. ამ მგზავრობის  
გახსენებაზეც კი ძალიან ვღელავდი. იცით, საზღვარგარეთ არასოდეს ვყოფი-  
ლვარ. ექვსი თვე დავყავი ინგლისში“.

„თქვენც და თქვენი მეუღლეც ორივენი ამერიკელები ხართ?“

„დიახ“.



„და ალბათ დიდი ჩანი არ არის, რაც გათხოვდით, არა?“

„წელიწად-ნახევარია“.

„ბედნიერი თუ იყავით გათხოვების მერე?“

„ოპ, დიახ, ედვარდი ნამდვილი ანგელოზია“. ქალი შეყოყმანდა.

კოტა მკაცრია, პურიტანელი წინაპრები ჰყავდა და.. თუმცა მაინც საყვარელი აღამიანია“. დაუმატა სასწრაფოდ.

მისტერ პარკერ პაინი ჩაფიქრებული შეჰყურებდა ერთ-ერთ მათგანს, მერე სთხოვა, განაგრძეთო.

„ედვარდის გამგზავრებიდან ერთი კვირის მერე, მის კაბინეტში წერილს ეწერდი და შევამჩნიე, რომ საშრობი ქალაქი ახალთახალი და სუფთა იყო, მხოლოდ რამდენიმე ბწკარი ემჩნეოდა. იმ ხანებში რაღაც დეტექტივს ვკითხულობდი, რომელშიც კვანძის გასახსნელი სწორედ საშრობ ქალაქზე მოძებნეს და ისე, გასართობად. ავიღე ჩემი მეუღლის საშრობი ქალაქი და სარკესთან მივიტანე. მხოლოდ და მხოლოდ გასართობად, მისტერ პაინ, ნამდვილად არ მიფიქრია თვალყურის მედევნებინა ედვარდისთვის. ის ისე ბატკანით უწყინარი კაცია. აზრადაც არ მომივიდოდა მისთვის თვალყურის დევნება“.

„დიახ, დიახ, მესმის“.

„ნაწერი კარგად ემჩნეოდა და იოლად ამოვიკითხე — პირველად ეწერა სიტყვა „ცოლი“, მერე „სიმპლონ ექსპრესი“, უფრო ქვემოთ კი, „ვენეციამდე სწორედ რომ დროული იქნება!“ ქალი შეჩერდა.

„საინტერესოა“, თქვა მისტერ პაინმა. „ნამდვილად საინტერესოა. თქვენი მეუღლის ხელწერა იყო?“

„ოპ, დიახ, ტვინი ვიჭყლიტე და მაინც ვერ მივხვდი, რად უნდა დაეწერა წერილი, რომელშიც ასეთი სიტყვები იქნებოდა“.

„ვენეციამდე სწორედ რომ დროულია“, გაიმეორა მისტერ პარკერ პაინმა. „მართლაც რომ საინტერესოა“.

მისიზ ჯეფრისი მისკენ გადაიხარა და იმედით შეჰყურებდა, ქალის ეს საჩიველი მისტერ პაინის თავმოყვარეობას ელამუნებოდა. „როგორ უნდა მოვიქცე?“ ჰკითხა ქალმა.

„ვშიშობ, ვენეციამდე დაცდა მოგვიხდება“, თქვა მისტერ პარკერ პაინმა. მან მაგიდიდან აიღო ბროშურა. „ეს ჩვენი მატარებლის განრიგია. ვენეციაში ხვალ შუადღისას. ორ საათსა და ოცდამეცხედ წუთზე ჩავდივართ“. ერთმანეთს გადახედეს. „ეს საქმე მე მომანდეთ“. ანუგეშა პარკერ პაინმა.

სამის ხუთი წუთი იყო. სიმპლონ ექსპრესი თერთმეტი წუთით იგვიანებდა. მესტრში თხუთმეტიოდე წუთის წინ გაიარა.

მისტერ პარკერ პაინი მისიზ ჯეფრისის კუბეში იჯდა მასთან ერთად. ჯერ-ჯერობით მოგზაურობა სასიამოვნო იყო და არც არაფერი მომხდარა. მაგრამ უკვე დგებოდა ის წუთი, როცა უნდა მომხდარიყო რაიმე, თუკი საერთოდ ეწერა მოხდენა. მისტერ პარკერ პაინი და ელსი ერთმანეთს მისჩერებოდნენ. ქალს გული გამალებით უცემდა და საწყალი თვალებით თხოულობდა გამხნევებას კაცისგან.

„დამშვიდდით“. — უთხრა კაცმა. „თქვენ საფრთხე არ გელით. მე ხომ აქა ვარ“.

უცებ დერეფანში ყვირილი გაისმა.

„ოპ, შეხედეთ, შეხედეთ! მატარებელს ცეცხლი უკიდა!“



ელსი და მისტერ პარკერ პაინი წამსვე დერეფანში გაჩნდნენ. სლავური გარეგნობის აღელვებული ქალი დრამატული ექსტით იშვერდა თითქმის წინა კუბისაკენ, საიდანაც კვამლი ღრუბელივით გამოდიოდა. მისტერ პარკერ პაინი და ელსი იქითვე გაიქცნენ. სხვებიც მათ მიჰყვნენ. კუბე კვამლით იყო სავსე. პირველად მისულნი ხველებით იხევდნენ უკან. მალე გამცილებელიც გამოჩნდა.

ერყენული

„კუბე ცარიელია!“ დაიყვირა მან. „ნუ აღელდებით, mesdames et messieurs, Le feu“-ს ჩავაქრობთ“.

მრავალი კითხვა დაისვა და მრავალი პასუხიც მოეძებნა. მატარებელი ხიდზე გადადიოდა, რომელიც ვენეციას კონტინენტთან აერთებს.

უცებ მისტერ პარკერ პაინი მობრუნდა, მის უკან მდგომ ხალხში გზა გაიკვლია და ელსის კუბისკენ წავიდა. იქ სლავური გარეგნობის ქალი იჯდა და ღია ფანჯრიდან ღრმად ისუნთქავდა ჰაერს.

„მაპატიეთ, ქალბატონო“, უთხრა პარკერ პაინმა. „მაგრამ ეს თქვენი კუბე არ არის“.

„ვიცი, ვიცი, Pardon“, უპასუხა სლავმა ქალბატონმა. „ისე შეგეშინდა... აჰ, გული“, ქალი სკამზე გადაწვა და ღია ფანჯარაზე მიუთითა. სულს ძლივს ითქვამდა.

მისტერ პარკერ პაინი კარებში იდგა. მამობრივი, დამამშვიდებელი ხმა ჰქონდა. „არ შეგეშინდეთ“, უთხარ მან. „არა მგონია, ხანძარი მაინცდამაინც საშიში იყოს“.

„არა? მადლობა ღმერთს! პირდაპირ გამოვცოცხლდი“. ქალი ნახევრად წამოიწია. „ჩემს კუბეში უნდა დავბრუნდე“.

„არა, ჯერ არა“. მისტერ პარკერ პაინმა ხელი მოკიდა და ფრთხილად დასვა ისევ სკამზე. „გთხოვთ, ცოტა ხნით შეყოვნდეთ, ქალბატონო“.

„ბატონო, თქვენ შეურაცხყოფას მაყენებთ!“

„ქალბატონო, თქვენ აქ დარჩებით!“

კაცს ცივი ხმა ჰქონდა. ქალი წყნარად იჯდა და მას შეჰყურებდა. ელსიც შემოვიდა.

„მხრჩოლავი ბომბი ყოფილა“, თქვა მან სულმოუთქმელად. „ვილაცამ იხუმრა. გამცილებელი სულ ცოფებს ყრის. ყველას ეკითხება...“ უცებ შეჩერდა და კუბეში მჯდომ ქალს მიაჩერდა.

„მისიზ ჯეფრის“, უთხრა მისტერ პარკერ პაინმა. „თქვენი პატარა ალისფერი ყუთით რა მიგაქვთ?“

„ჩემი ძვირფასეულობა“.

„იქნებ ნახოთ, ყველაფერი ისევ შიგ დევს თუ გაკლიათ რამე“.

სლავი ქალბატონი უცებ ფრანგულად ალაპარაკდა...

ცოტა ხანში ელსიმ მოძებნა თავისი ძვირფასეულობის ყუთი „ოჰ! გაუღიათ!“ შეჰყვირა მან.

„...Et je porterai plainte à la compagnie des Wagons-Lits“,<sup>7</sup> დაამთავრა სლავმა ქალბატონმა.

„აღარაფერი აღარ დევს შიგ!“ ყვიროდა ელსი. „აღარაფერი! ჩემი ბრი-

<sup>5</sup> (ფრ.) ბატონებო და ქალბატონებო.

<sup>6</sup> (ფრ.) ცეცხლი.

<sup>7</sup> „და მე ვუჩივლებ სამგზავრო მატარებლების კომპანიას“. (ფრანგ).



ლიანტის სამაჯური, მამის ნაჩუქარი ყელსაბამი, ზურმუხტის და ლალის ბეჭდები, მშვენიერი ბრილიანტის გულსაბნევეები. კიდევ კარგი, ჩემი მარგალიტები მეკეთა. ოჰ, მისტერ პაინ, რა უნდა ვქნათ ახლა?”

„გამცილებელს თუ მოიყვანთ, მის მოსვლამდე ამ ქალს არსად გავუშვებ“  
უთხრა მისტერ პარკერ პაინმა.

„Scélérat! Monstre!“<sup>1</sup> კიოდა სლავი ქალბატონი. მერე კიდევ უფრო მეტი რაცხყოფელი სიტყვებითაც შეამკო. მატარებელი ვენეციისკენ მიდის.

შემდეგი ნახევარი საათის მოვლენები მოკლედ შეიძლება გადმოგცეთ. მისტერ პაინი რამდენიმე ოფიციალურ პირს ესაუბრა რამდენიმე ენაზე — და უშედეგოდ. ექვმიტანილი ქალბატონი გაჩხრიკეს, მაგრამ მას ღირსება არ შელახვია — ძვირფასეულობა არ აღმოაჩნდა.

ვენეციიდან ტრიესტამდე მისტერ პარკერ პაინმა და ელსიმ გაარჩიეს მომხდარი ამბავი.

„როდის ნახეთ უკანასკნელად თქვენი ძვირფასეულობა?“

„ამ დილით, გუშინ რომ მეკეთა, ის საფირონის საყურეები მოვიხსენი და მარგალიტისა გავიკეთე“.

„ყველაფერი ადგილზე იყო?“

„რა თქმა უნდა, სათითაოდ არ გადამითვალიერებია, მაგრამ ერთი თვალის გადავლებით არაფერი ეტყობოდა: ერთი ბეჭედი თუ ეკლდებოდა მხოლოდ, მეტი არაფერი“.

მისტერ პარკერ პაინმა თავი დაუქნია. „დილით, გამცილებელმა რომ კუბე დააღაგა?“

„ყუთი თან მქონდა — ვაგონ-რესტორანში. ყოველთვის თან დამაქვს ხოლმე. მხოლოდ წელან დავტოვე, როცა უცებ გავვარდი გარეთ“.

„მაშინ, გამოდის, რომ ის უდანაშაულოდ შეურაცხყოფილი მადამ სუბაისკაა თუ რაც ჰქვია, ქურდია. მაგრამ ნივთებს რა უყო? კუბეში სულ წუთ-ნახევარი იყო — ეს დრო მხოლოდ იმისთვის თუ ეყოფოდა, რომ ყუთი გაეღო და ამოეღო ძვირფასეულობა, მაგრამ მერე სად წაიღო?“

„ვინმესთვის გადაწოდება შეეძლო?“

„არა მგონია. კუბისაკენ გზას რომ მივიკვლევდი, დერეფანში აუცილებლად შემხვდებოდა იქიდან გამოსული ვინმე“.

„იქნებ ფანჯრიდან გადაუგდო ვინმეს“.

„შეიძლებოდა ასეც გვეფიქრა, მაგრამ სწორედ იმ დროს ზღვის ხიდზე გადავდიოდით“.

„მაშინ კუბეში უნდა დაემალა“.

„მოდით მოვძებნოთ“.

ნამდვილად ოკეანისიქითური ენერგიით დაიწყო ელსიმ ძებნა. მისტერ პარკერ პაინი რალაცნაირად დაბნეული ეძებდა. მერე მოუბოდიშა, ველარ დაგეხმარებითო:

„ერთი ძალზე მნიშვნელოვანი დეპეშა უნდა გავაგზავნო ტრიესტში“, თქვა მან.

ელსიმ მობოდიშება ცივად მიიღო. მისტერ პარკერ პაინმა მის თვალში ფასი დაკარგა.

<sup>1</sup> „არამზადავ! ურჩხულო!“



„ვშიშობ, უკმაყოფილო ხართ ჩემით, მისიზ ჯეფრის“, მოკრძალებით უთხრა მისტერ პაინმა.

„მაინცდამაინც ბევრს ვერაფერს მიაღწიეთ“, მიახალა ყმაწვილმა ქალმა.

„უნდა გახსოვდეთ, ჩემო ძვირფასო, რომ მე დეტექტივი არ ვარ. ქურდობა და დანაშაული ჩემი საქმე არ არის, ჩემი სარბიელი ადამიანის გულია“.

„მატარებელში რომ ვჯდებოდი, ცოტათი უბედურად ვგრძნობდი თავს“, უთხრა ელსიმ, „მაგრამ ის უბედურება ახლანდელთან შედარებით სრულად მიმაჩნია! ტირილის მეტი ვერაფერი მომიხერხებია — ჩემი მშვენიერი, მშვენიერი სამაჯური დავკარგე და ის ზურმუხტის ბეჭედიც, ედვარდმა რომ მაჩუქა ნიშნობაზე“.

„თქვენ დაზღვეული ხართ ქურდობაზე?“ შეაპარა მისტერ პარკერ პაინმა.

„მე? არ ვიცი. ალბათ ვარ, მაგრამ ხომ გესმით, მე თვითონ ნივთებზე მწყდება გული, მისტერ პაინ“.

მატარებელმა სვლა შეანელა. მისტერ პარკერ პაინმა ფანჯრიდან გაიხედა. „ტრიესტია“, თქვა მან. „დეპეშა უნდა გავგზავნო“.

„ედვარდ!“ — ელსის სახე გაუნათდა სტამბულში ბაქანზე მისკენ მომავალი ქმრის დანახვაზე. წუთით ძვირფასეულობის დაკარგვაც გადაავიწყდა და საშრობზე აღმოჩენილი უცნაური სიტყვებიც. არაფერი ახსოვდა გარდა იმისა, რომ ქმარი ორი კვირის უნახავი ჰყავდა. მიუხედავად პირქუში გარეგნობისა, კაცი მართლაც მიმზიდველი პიროვნება ჩანდა.

უკვე მიდიოდნენ, რომ ელსიმ მხარზე მეგობრული ხელის მოთათუნება იგრძნო, მოიხედა და მისტერ პარკერ პაინი დაინახა. თავაზიანი სახე სიკეთით უბრწყინავდა.

„მისიზ ჯეფრის, ნახევარ საათში ოტელ „თოკათლიანში“ ხომ ვერ მოხვალთ ჩემს სანახავად? ვფიქრობ, კარგ ამბებს დაგახვედრებთ“, უთხრა მან.

ელსიმ ჭოკმანით შეხედა ედვარდს. მერე ერთმანეთს წარუდგინა: „გაიცანით — ეს ჩემი... მეუღლეა — მისტერ პარკერ პაინი“.

„ალბათ თქვენმა მეუღლემ შეგატყობინათ დეპეშით, რომ ძვირფასეულობა მოპარეს“, უთხრა მისტერ პარკერ პაინმა. „რაც შემეძლო ვცდილობდი დაკარგული ნივთები მეპოვა და ასე მგონია, ნახევარ საათში ახალ ამბებს დაგახვედრებ მას“.

ელსიმ თვალებით ჰკითხა ედვარდს. რა ექნათ. ქმარმა მაშინვე უპასუხა: „უნდა წახვიდე, ჩემო ძვირფასო. „თოკათლიანი“ თქვით, არა, მისტერ პაინ? კეთილი. აუცილებლად მოვა“.

ნახევარი საათის შემდეგ ელსი მისტერ პარკერ პაინის ნომერში შეიყვანეს. კაცი წამოდგა და შეეგება.

„იმედები გაგიცრუეთ, არა, მისიზ ჯეფრის“, უთხარ მან. „არა, ნუ უარყოფთ. მე თავი ჭადოქრად არ მომაქვს, მაგრამ რაც შემეძლია ვაკეთებ. აბა ერთი აქ ჩაიხედეთ“.

მაგიდაზე პატარა გაბერილი მუყაოს ყუთი გამოაცურა. ელსიმ გააღო იგი. ბეჭდები, ბროშები, სამაჯურები, ყელსაბამი — ყველაფერი შიგ იდო. „მისტერ პაინ, ოჰ, რა შესანიშნავია!“

მისტერ პაინმა თავმდაბლად გაიღიმა. „მოხარული ვარ, რომ იმედი არ გაგიცრუეთ. ჩემო ძვირფასო ქალბატონო“.



„ოპ, მისტერ პაინ, რა საზიზღარი არსება ვარ! ტრიესტიდან მოყოლებული აუტანლად გექცეოდით. ახლა კი... მაგრამ როგორ მიაგენით? როდის? სად?“

მისტერ პარკერ პაინმა ფიქრიანად გააქნია თავი. „გრძელი ამბავი“ თქვა მან. „ერთხელაც შეიძლება გაიგოთ, თუმცა ერთხელაც კი არა და შეიძლება სულ მალე გაიგოთ“.

„რატომ ახლა არა?“

„ამას თავისი მიზეზები აქვს“, მიუგო მისტერ პარკერ პაინმა.

ელსი ცნობისმოყვარეობა დაუკმაყოფილებელი წავიდა.

მისი წასვლის შემდეგ, მისტერ პარკერ პაინმა ქუდი და ხელჯოხი აიღო და ქუჩაში გავიდა. მიდოდა და თავისთვის იღიმებოდა, ბოლოს მივიდა ერთ პატარა კაფესთან, „ოქროს რქას“ რომ გადაყურებდა და იმ დროს ცარიელი იყო. იქითა მხარეს სტამბულის მეჩეთები მოჩანდა. ცაში მინარეთები აღმართულიყვნენ. მშვენიერი სანახაობა იყო. მისტერ პაინი დაჯდა და ორი ყავა შეუკვეთა. მოუტანეს სქელი და ტკბილი ყავა. ის-ის იყო შეუდგა წრუპვას, რომ ვილაც კაცი დაუჯდა წინ, სკამზე. ედვარდ ჯეფერისი იყო.

„თქვენთვის ყავა შევუკვეთე“, მიუთითა მისტერ პარკერ პაინმა პატარა ფინჯანზე.

ედვარდმა ყავა განზე გასწია, მისტერ პაინისკენ გადაიხარა და ჰკითხა: „როგორ მიხვდით?“

მისტერ პარკერ პაინი ნეტარებით წრუპავდა ყავას. „თქვენმა მეუღლემ გიამბოთ, რაც აღმოაჩინა საშრობ ქალაქზე? არა? აპ, აუცილებლად გეტყვით, უბრალოდ გადაავიწყდა“.

ჰოდა, უამბო ელსის აღმოჩენის ამბავი.

„დიახ, ეს კი მშვენივრად ეხამებოდა იმ უცნაურ შემთხვევას, ვენეციამდე რომ მოხდა. რალაც მიზეზით თქვენ თქვენივე ცოლის ძვირფასეულობის მოპარვას აწყობდით. მაგრამ რას ნიშნავდა ფრაზა „ვენეციამდე სწორედ რომ დროული იქნება“? თითქოს უაზრობა გამოდიოდა. რატომ არ მიანდეთ თქვენს... აგენტს... თავად აერჩია დრო და ადგილი?“

მერე კი უცბად მიხვდით, რაშიც იყო საკმე. თქვენი ცოლის ძვირფასეულობა მანამ იყო მოპარული და უბრალო თვლებით შეცვლილი, სანამ თქვენ ლონდონში გამოემგზავრებოდით. მაგრამ ამ ამბის ასე დატოვება არ გაკმაყოფილებდათ. თქვენ კეთილშობილი, ნამუსიანი ყმაწვილი კაცი ხართ, გეშინოდათ, რომელიმე მსახურს ან ვინმე უდანაშაულო ადამიანს არ დაბრალდებოდა რამე. ქურდობა უნდა მომხდარიყო ისეთნაირად და ისეთ ადგილას, რომ ეკვი რომელიმე თქვენს ნაცნობზე არ მიეტანათ.

ამის განსახორციელებლად ძვირფასეულობის ყუთის გასაღები და მხრჩოლავი ბომბი გჭირდებოდათ. შესაფერის მომენტში თქვენი აგენტი განგაშს ატენდა, შეიპარებოდა თქვენი ცოლის კუბეში, გააღებდა ძვირფასეულობის ყუთს და უბრალო თვლებს ზღვაში გადაყრიდა. მასზე შეიძლება ეკვი მიეტანათ და გაეჩხრიკათ, მაგრამ ვერაფერს ვერ დაუმტკიცებდნენ, რადგანაც ძვირფასეულობა თან არ ექნებოდა.

ახლა კი ისიც ცხადი ხდება, რად აირჩიეთ ქურდობის განსახორციელებლად ეს ადგილი. ძვირფასეულობა ლიანდაგზე რომ გადაეყარა თქვენს აგენტს, აუცილებლად იპოვიდნენ. ამიტომ იმ წუთებში უნდა ესარგებლა, როცა მატარებელი ზღვის ხიდზე გადავიდოდა.



ამასობაში აქ ძვირფასეულობის გაყიდვას ცდილობდით, უკვე მათ გასაღებას აპირებდით, ჩემს დეპეშას რომ არ მოესწრო. ჩემს მითითებას დაემორჩილეთ. ძვირფასეულობის ყუთი „თოკათლიანში“ გადმოიტანეთ, და ჩემს ჩამოსვლას დაელოდეთ, რადგან იცოდით, ჩემს მუქარას ასე თუ არ მოიქცევით, პოლიციას ვაცნობ ყველაფერს-მეთქი, ავასრულებდი. ასევე დაპყევით ჩემს ნებას და აქ შემხვდით“.

ედუარდ ჯეფრისმა ვედრებით შეხედა მისტერ პარკერს, რომელიც კამარში ყმაწვილი კაცი იყო, მაღალი და თხელი, მრგვალი ნიკაპი და ასევე ძალზე მრგვალი თვალები ჰქონდა. „როგორ აგისხნათ? თქვენთვის მე ალბათ ერთი უბრალო ქურდი ვარ“, თქვა მან უმწეოდ.

„სულაც არა“, მიუგო მისტერ პარკერ პაინმა. „პირიქით, უნდა გითხრათ, რომ თქვენ მეტისმეტად პატიოსანი ხართ. მე ადამიანებს რამდენიმე ტიპად ვყოფ. თქვენ, ჩემო ძვირფასო, მსხვერპლთა კატეგორიას განეკუთვნებით. აბა, ახლა კი ყველაფერი მიაშბეთ“.

„ერთი სიტყვით გეტყვით — შანტაჟის მეშინია“.

„შანტაჟის?“

„თქვენ ნახეთ ჩემი ცოლი, ხომ მიხვდით, რა წმინდა, უმწიკვლო არსებაა. მას ვერც წარმოუდგენია, ამქვეყნად ბოროტება თუ არსებობს“.

„დიახ, დიახ“.

„ისეთი სუფთა იდეალები აქვს, რომ გაიგოს, რაც ჩავიდინე, მიმატოვებს“.

„მართლა ასე გგონიათ? ეგ იქით იყოს, და რა ჩავიდინეთ ასეთი, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო? ალბათ ქალთან დაკავშირებული ამბავია“.

ედუარდ ჯეფრისმა თავი დაუქნია.

„თქვენი ქორწინების შემდეგ იყო თუ მანამდე?“

„მანამდე, რა თქმა უნდა, მანამდე“.

„კეთილი, მაინც რა მოხდა?“

„არაფერი, სრულებით არაფერი. ყველაზე დიდი საშინელებაც სწორედ ეგაა. ვესტ ინდოეთში, სასტუმროში მოხდა მოსახდენი. იქ ერთი ძალზე მომხიბვლელი ქალი — ვინმე მისიზ როსისტერი ცხოვრობდა. მისი ქმარი შმაგი, სასტიკი კაცი იყო. ერთ ღამეს ქალს რევოლვერით დაემუქრა. ქალმა ძლივს დააღწია თავი და ჩემს ოთახში შემოვარდა. შიშისაგან ჭკუიდან იყო გადასული. მთხოვა, დილამდე თქვენთან დავრჩებიო. რა უნდა მექნა?“

მისტერ პარკერ პაინი ახალგაზრდა კაცს შეჰყურებდა და ისიც ალაღად მისჩერებოდა. „სხვა სიტყვებით, უფრო ნათლად რომ ვთქვათ, თქვენ გამოუცდელი, მიამიტი გნახეს და გამოგიჭირეს. არა, მისტერ ჯეფრის?“ ამოიოხრა მისტერ პარკერ პაინმა.

„მართლაც ასე იყო...“

„დიახ, დიახ. ძალიან ძველი ოინია — მაგრამ მოდონკიხოტო ყმაწვილებზე კარგად სჭრის. თქვენი ქორწინება რომ მოახლოვდა და გამოაცხადეთ, მაშინ წაგიჭირეს?“

„დიახ. წერილი მივიღე. გარკვეულ თანხას თუ არ გავუზავნიდი, ჩემს მოშავალ სასიამოროს ეტყოდნენ ყველაფერს — როგორ შევაცდინე და ქმარს წავართვი ქალი, როგორ მოდიოდა იგი ჩემს ოთახში. ქმარი ცოლთან გაცილებას მოინდომებდა. მართლაც, მისტერ პაინ, მთელ ამ ამბავში საძა-



გელ არამზადად ვჩანდი“. აღელვებულმა ყმაწვილმა კაცმა წარბზე მოისვა ხელი.

„დიახ, დიახ, გასაგებია ასე რომ, წაგვლიჯეს ფული და დროდადრო ისევ შეგახსენებდნენ ხოლმე თავს, არა?“

„დიახ, ეს კი ბოლო დარტყმა გახლდათ. ჩვენი საქმეც როგორღაც ცუდად აეწყო, ხელზე ნაღდი ფული არ მქონდა და ეს გეგმა მოვიფიქრე, რომ თავისი ცივი ყავა, გაფანტული მზერა შეავლო ფინჯანს და მოსვს.“

„ახლა როგორღა მოვიქცე?“ საბრალოდ იკითხა, „როგორ მოვიქცე, მისტერ პაინ?“

„მე გასწავლით“, მტკიცედ უბასუხა პარკერ პაინმა, „მე გავუწვდები თქვენს მწვალებლებს, რაც შეეხება თქვენს ცოლს, ახლავე დაბრუნდით მასთან და სიმართლე უამბეთ, ან სიმართლის ნაწილი მაინც. — მხოლოდ ვესტინდოეთში მომხდარი ფაქტების მოყოლისას ნუ გამოუტყდებით სიმართლეს. უნდა დაუმალოთ ცოლს, რომ ასეთი მიაშიტი ხართ, რომ ასე გაგაცურეს და გამოგიყენეს“.

„კი მაგრამ...“

„ჩემო ძვირფასო მისტერ ჯეფრის, თქვენ ქალების არა გაგეგებათ რა ქალს რომ მიანდო არჩევანი, უბიწოსა და დონჟუანს შორის, იგი აუცილებლად დონჟუანს აირჩევს. თქვენი ცოლი, მისტერ ჯეფრის, მომხიბვლელი, პატიოსანი დიდბუნებოვანი ყმაწვილი ქალია და ძალიან ბედნიერია იმით, რომ თქვენ მოგიპოვათ“.

ედვარდ ჯეფრისი პირდაღებული შეჰყურებს მისტერ პარკერ პაინს.

„ნამდვილად იმას ვფიქრობ, რასაც გეუბნებით“, უთხრა მისტერ პარკერ პაინმა. „ახლა ძალიან უყვარხართ ცოლს, მაგრამ ვატყობ, რომ შეიძლება შეიცვალოს თქვენ მიმართ, თუ ისევ ასე უნაკლოდ და უმანკოდ დაანახვებთ თავს, ეს ხომ უკვე მოსაწყენია“.

ედვარდმა თვალები აახამხამა.

„წადით მასთან“. კეთილად უთხრა მისტერ პარკერ პაინმა. „ყველაფერში გამოუტყდით, რაც კი მოგაგონდეთ, მერე აუხსენით, რომ იმ წუთიდან, როცა იგი დაინახეთ, ძველი ცხოვრება მიატოვეთ. ძვირფასეულობაც იმიტომ მოიპარეთ, რომ მის ყურამდე ხმებს არ მიეღწია. ქალი სიამოვნებით მოგიტყვებთ“.

„მოსატყვევებელი კი მართლაც ბევრი არაფერია“.

„საკუთარი გამოცდილებით ვიცი, ცოლქმრული ცხოვრების ძირითადი აქსიომა ის გახლავთ, რომ ქალს ტყუილი უთხრათ. მას მოსწონს ეს! მიდი და შეირგე პატიება, ჩემო ძვირფასო. მერე კი იყავით და იცხოვრეთ ბედნიერად. მომავალში თქვენი ცოლი მუდამ, როცა კი ლამაზი ქალი გაგივლით გვერდით, აუცილებლად თვალყურს მოგადევნებთ. — ზოგ მამაკაცს არ ეამება ეს ამბავი, თქვენ კი, ასე მგონია, ერთობ გეამებათ“.

„ელსის გარდა სხვა ქალისკენ გახედვაც არა მსურს“, უბრალოდ თქვა მისტერ ჯეფრისმა.

„ძალიან კარგია ეს, ჩემო ძვირფასო“, უთხრა მისტერ პარკერ პაინმა. „მაგრამ თქვენს ადგილას რომ ვიყო ამას ცოლს არ გავაგებინებდი. არც ერთ ქალს არ მოსწონს ასეთი იოლი ლუკმა“, დაარიგა პარკერ პაინმა.

ედვარდ ჯეფრისი წამოდგა, „მართლა ასე გგონიათ?“

„ღრმად მწამს, რომ ასეა“, მტკიცედ მიუგო მისტერ პარკერ პაინმა.





ქართული  
წიგნიწიგნი

თარგმნა ვახტანგ გოგოლაშვილმა

\* \* \*

ო, რომ მცოდნოდა წესი ბუნების,  
გზის დასაწყისში, როს ეშლიდი  
მკლავებს,  
თუ სტრიქონები დასისხლულები  
მოგაწყდებიან ყელთან და გკლავენ.

ხუმრობანარევ ამგვარ ბორიალს  
უარს ვეტყვოდი გააფთრებულს.  
ის დასაწყისი ახლა შორია  
და ინტერესი მოკრძალებული.

სიბერე, როგორც ოდესღაც რომი,  
ტრიუმფის ეტლთა სანაცვლოდ  
თითქოს,  
არა სცენაზე თამაშს ან შრომას,  
მსახიობისგან ნაღდ სიკვდილს ითხოვს.

როცა სტრიქონებს გრძნობები აშლის,  
იგი სცენაზე მონის გზას ფერავს,  
იქ ხელოვნება თავდება მაშინ  
და სუნთქავს მიწა და ბედისწერა.

### პეტიტურები

როგორც ტყვიაში აჩენენ ტყვიას,  
ან ტყვიით ქრება სანთელი მშვიდი,  
ისე პეტრეს თოფს მიზანში მიაქვს  
ეს სანაპირო, ქუჩა და ხიდი.

იყო დიადი! კონვენსიურმა  
ბადემ დაჰფარა რკნის ლოყები,  
როს თვალში, როგორც ცრემლი  
ციური,  
აელდა ყურე დაუოკები.

და ბალტიის ზღვის ტალღების კოცნა  
ნაღვლის ბურთივით ყელთან მიასკდა,  
მხარეს მხარესთან აცნობდა როცა,  
ხოლო სამეფოს — იმპერიასთან.

შთაგონებამ დრო არ იცის, არა,  
ქაობია თუ წუმბე, კორდები,

სიზმარეული აქ მომეპარა  
და აქვე, ახლავ გავუსწორდები.

იყო დაღლილი ღრუბლით და საქმით,  
უამინდობის აფრა — წამება.  
ფარგლების ჯარის წვეტიან ჯაგრით  
ეჭახებოდა მის მრისხანებას.

მუშები, როგორც პაიდუკები,  
ნევის ჭებირთან ღამეს ათევდნენ  
და ხმაურობდნენ გემსართავები,  
შალაშინები და სიათები.

იცოდა ყველამ, ბატონმა, ყმაძაც,  
უნდა გაეძლოთ ვაინაჩრობით,  
სანამდე მეფის სახაზავ დაფას  
ჯერ კიდევ აჩნდა ლეჭი  
ქანჭრობის.



ღრუბლიანია. ბორჯაის ტალღები.  
ცა, დამხობილი ამღვოვულ დაფით  
ქერქეჭელაზე, უოვეს დაღლილი  
ორთქლის ბოლქვებში დანაყილ  
გრაფიტს.

არ ჩანს გემები ნისლში ჩამდგარი.  
გამაგრებულან გემსართავეები.  
კუპრის სურნელით სუნთქავს ავდარი  
და მუავე კიტრის სუნით — ნავეები.

მარტის ღრუბლებში იალქნებივით  
თოვლის ფიფქები იქარგებიან,  
ბალტიის არხთა ჩრდილში ქრებიან  
და ნაბორბლარში იქარგებიან.

ღრუბლიანია, გაყინულ ხელით  
ნევის ნაპირი იძლევა ნიშანს.  
ცვივა ქვები და დაღლილი ცხენი  
ჩორთით მიარღვევს ნესტიან ქვიშას.

ნარვის გადღმა, ხმაურით  
სადაც ირწევა ნისლი,  
ფრჩხილებით ჩამოტყალი  
მოიპარება ნისლი.

პეტრე ქუდს უხდის თავდაკრით,  
გაიტყლაშუნებს დილით,  
ჩამოფლეთილი პატაკი  
ქარბუქით დაჩხაპნილი.

ვინ შექმნა, მაკრობს სათქმელი  
ან რისთვის შექმნა, ნეტა,  
ამ შენობათა კალთები  
გრიგალთა დასაფლეთად.

როგორც გეგმა და არაკი,  
პაპირუსზე რომ გაშლი,  
ისე გაშალა ქალაქი  
და გადისროლა ქარში.

\*

ოსტატის რეისფედერო,  
განძი ბრინჯაოს მხედრის,  
დანატოვარი მხედარის,  
გახდა ზღვის ქარის ხვედრი.

არხი ქუხს განსაცვიფრელი,  
ნევა მიილტვის გზაზე  
და ჩრდილოული გრიფელით  
ავლებს ტრამვაის ხაზებს.

გარეუბნები დავობენ  
რუხი ღრუბლებით სავსე,  
აქ ახლა მიჰყვანობენ  
ბარიერების თავზე.

ღრუბელი ჯაგარ თმასავით შეენის  
ფერგამკრთალ ნევის, კვამლით  
გაბოლილს.

ვინც გინდა იყო! ეს არის შენი  
ქალაქი, შენი გამონაგონი.

ქუჩები, როგორც აზრები, ქშენით  
ნავსადგურისკენ ქრიან თარეშით,  
შენ ვერ მოძებნე ადგილი შენი  
ვერც სუდარაში, ვერც სამარეში.

ვერ დააკავებს ხიმინჯი ტალღებს,  
დის ბრმა ქალივით ხელის ცეცებით.  
ლამის სიჩუმეს შენი ხმა არღვევს,  
შენ შეშლილივით ბდღვენ  
გაცეცხლებით.

## ტალღები

აქ არის: ჩემი წარსული ვნება  
და დღევანდელი ცხოვრების ხატი,  
ჩემი სწრაფვანი და შეფერხება,  
სიზმარეული ჩვენება ცხადი.

ჩემს წინ შავი ზღვის ტალღები ბრუნავს.  
მრავალი ტალღა. ჯერ არ დათვლილი.  
ამღვრევს ღელვა მათ მინორულად  
და ცხელ ქვიშაზე აცხობს ვაფლივით.



მთელი ნაპირი ნაჩლიქარს მოგავს.  
იფიქრებ: ზეცის კამარამ თითქოს  
ველზე საძოვრად გარეკა ჯოგი  
და მხარ-თედოზე წამოწვა თვითონ.

ჯგროდ, დახვეული, როგორც  
რგოლები,  
ნალვლის სისწრაფით მოქრის  
მღელვარედ,  
ჩემი ქმედება წარსული წლების,  
ის, რაც შემორჩა ხსოვნის  
მწვერვალებს.

არის უთვლელი, აურაცხელი,  
შეუცნობია ეს სრბოლა სწრაფი,  
მაგრამ მორთულან სუფთა საცვლებით,  
ვით ზღვის სიმღერა ტალღების ქაფით.

აქ ღირსებათა იქნება დავა  
და მათი ბრძოლა და დასასრული,  
და რასაც გვჩუქნის მხურვალე პავა,  
და ზომიერი სარტყელის სული.

თვალანთებული, როგორც ნაღდი მზე,  
ვინაც მოიგო ეს დავა ძნელი,  
ჩემს სტრიქონებში პირველ ადგილზე  
დგას ქობულეთის ნაპირი ვრცელი.

როგორც პოეტი მღელვარე,  
მშფოთი,  
არის ორ სხეულს გადახლართული:  
აქ — ღამეული ირწევა ფოთი,  
იქ — იძირება შუქში ბათუმი.

ის დაგიყუჩებს ყოველგვარ ტკივილს, ვისმენ და ლექსში ჩავატან გემოდ,  
როგორც დროებით უხიაკ შიშსა, როგორ მიცოცავ და როგორ ბოლავ,  
ყოვლისმხედველის მას ახლავს შუქი, დგები, შენდები, მოსკოვო ჩემო.  
რვა კილომეტრზე გაჭიმულ ქვიშნარს.

შიშველი ტკეპით გადამოლილი უნაპირო  
გასცქერის პლაჟი ტალღის იალალს სიგიჟეების მტკიცე სადავედ,  
და ჩანს მახვილი თვალის ბროლივით შენ მე ლექსივით დამიზებირებ,  
მოუსარკავი ზეცა კრიალა. როგორც თქმულების ლამაზ სათავეს.

მომენატრება ჩემი ოთახის  
ვებერთელობა, მომგვრელი მწუხრის,  
სადაც სულდათქმულს და

მალტოგახდილს  
დამფარავს ქუჩის სინათლე უხვი.

თხელნეკნებიან ჩემს ტიხარს ჩვეულს  
გავიარ, როგორც სინათლე გაღის,  
როგორც სხეული გადაკვეთს სხეულს,  
ან როგორც ლანდში გაივლის ლანდი.

დე, ამოცანას მთელი ცხოვრების,  
დღეთა ანდერძში რომ ცხოვრობს  
მარტო,  
ერქვას, მჭდომარე ცხოვრების წესი,  
მე ახლა ამგვარ ყოფასაც ვნატრობ.

თითქოს ნაცნობი სიმღერის ძველი  
სურნელი ასდით ხეებს და სახლებს,  
გამატონდება ზამთარი გრძელი,  
ყველაფერს თავის მანტიას ახვევს.

სადილობისას, სეირნობ როცა,  
ისევ ბინდდება. სასწაულია!  
და ქუჩებს მორთავს ისე საოცრად,  
მათზე ძვირს ვერვინ იტყვის  
სრულიად.

ისევ დასჯილი ვერხვები ფოთლებს  
ცით ჩამოყრიან ქრთამების დარად,  
დილით ქარბუქი მათ შეაშფოთებს  
და თოვლის თეთრი მაუდიტ ფარავს.

ისევ ჩაწყვეტილ გულ-ღვიძლით  
ბოლოს



ო, აქ იქნება მაცდური ბორგვა,  
სიწყნარე მათა: ჭექა და ელვა;  
მერე სიჩუმე, რომელიც მოგავს  
პირველ პაემნის საოცარ ღელვას.

უკვე ინათა. რაღაცამ ბნელმა  
ვლადიკავკავი მაინც შებურა.  
დიან ღრუბლები, თენდება ნელა.  
თენდება. ჯერ არ გათენებულა.

ასე, ექვსიოდ ვერსზედაც  
ვგრძნობდით  
მალღით სიმძიმეს ბნელი ნისლისა,  
თუმც თაგზედურად ცდილობდა ზოგი,  
მძიმე ცალულის მოხსნას კისრიდან.

თვალეზე ძილი გვადებდა ბოქლომს.  
თითქოს ღუმელში მდულარ —

მშფოთარი, თაობას მოჰყვა თაობა ნდომით,  
გზად დაღესტანი ბოლავდა, როგორც  
მოწამლულ კერძით სავსე ქოთანი.

მოაგორებდა მწვერვალებს მკვეთრად,  
თავით ფეხამდე თალხმონახური,  
მოისწრაფოდა ჩვენს შესახვედრად,  
არა ხანჯლების, წვიმის ჭახუნით.

დავიდარაბით მთა მთას შეება.  
თან ბოროტები, თან ლამაზები,  
დევს მოჰყვებოდა დევი ვეება,  
ექვლიტებოდნენ ერთმანეთს მთები.

დაარქვით რაც გსურთ, ტყე  
ფრთაგაშლილი  
გარსმოჯარული დაუსრულებლად,  
ქროდა ნოველის შინაარსივით  
და გრძნობდა თავის წარმტაც  
თქმულებას.

ის არ გვჩიბლავდა ლამაზ ბოხბებით,  
არც მაღალ მათა ტანახოვნებით,

მან მომჩიბლავი იცოდა რაღაც  
და გვიყვებოდა ჩვენ დაყოვნებით.

მის თბზულებაში დრო გარდასული  
ჩანდა. არ იყო მთხრობელი ახლის,  
ეს ანგარიში იყო წარსულის,  
ასი წლის წინათ მცხოვრებისა.

კაზმავდნენ ცხენებს. გმირულ ძალითა  
უნაგირებზე სხდებოდნენ მკვიდრად,  
მერნების ქროლვით მთიდან, ქალიდან,  
ამ შარასავით ვიდოდნენ მინდვრად.

იმათ კვალს მოჰყვნენ, როგორც ქარს  
ქარი,  
ყმები, დამრფრთხალნი ბატონის  
შიშით,

გასახლებული ოჯახი, გვარი,  
მრავალი მოდგმა, მრავალი ჯიში.

თაობას მოჰყვა თაობა ნდომით,  
ნისლიან მთებში გზა გაიკვალეს,  
თავს ეხვეოდა უცნობი ტომი  
პარამხანაში ჩადრიან ქალებს.

იმ ძალადობით გული ივსება,  
როცა ვიგონებ დამპყრობს ვნებიანს,  
ამ ომს ისეთი მისცა თვისება,  
ჯერ რომ არცერთ ომს არ ღირსებია.

ნეტა, საომრად ლავა მთებური  
ვინ გამორეკა ქართლის კარებთან?  
თუ ამ მიწაზე შეყვარებული  
თავისთავადად მომდინარებდა?

იქით პეტერბურგს ექვები კლავდა,  
არავის ჰქონდა ამ მხარის ცოდნა,  
დედები სწუხდნენ, რომ შვილებს  
სწვავდა

ეშმაკეული ტრფიალის ცოდვა.

რისხვა ფარავდა მამულის კონცხებს,  
ვით ექვი ფარავს დედების თვალებს,  
მაინც იპყრობდნენ, როგორც  
სიცოცხლეს,  
როგორც იპყრობენ საყვარელ ქალებს.



ასე გვიპყრობდა უღრანი მკაცრი,  
როცა ტყის ზღვარზე, სიზმრების  
მსგავსი,

ვით დარიალთან შეხვედრის მაცნე,  
უფსკრულებიდან წამოდგა ლარსი.

უცებ მოსაწყენ დუმილად იქცა,  
გუგუნად იქცა ნაძვები, ქარი...  
და მელერ დუმილში რეკავდა მიწა,  
თითქოს ჩამოჰკრეს სუყველა ზარი.

ირგვლივ გვეკროდა მთათა რტოები,  
წინ კვლავ ახალი მთები დგებოდნენ,  
გამოდისდნენ გზებზე დროებით  
და დერეფნებში იკარგებოდნენ.

მთის მოაჯირზე შედგა ნებიჭრად,  
ვით ფეხოსანი მგზავრი გვიანი,  
სისხამზე მღვთას ეზოებიდან  
ბილიკებს გაჰყვა იალკიალი.

ის მიდიოდა სადღაც შორეთში.  
როგორც მიდიან ყველანი მარად,  
გაძვრა ხეობის მახრჩობელ ბნელში,  
ნემსში გატეულ აქლემის დარად.

ის მიჰყვებოდა ღელეს ზურგჩანთით,  
სადაც წაგები კბოდე ძვლებითა,  
ვით კათაფალკის ნამსხვრევი, ჩანდა  
საბადოების ურდულებიდან.

ურდულების ქვეშ მადანი შავი  
წამლავს თერგსა და გულმომწყველელ  
ვიშით

ამფითეატრის წინაშე ბლავის  
ტკივილით, დარდით, სირცხვილით,  
შიშით

მიიწვებოდა ქანებზე მზისფრად  
ღრმა ქვესკნელების შავ-ბნელ  
ალყიდან.

ექო კი, როგორც ოსტატი გზისა,  
მთელ ამ ნარჩენებს უფსკრულში  
ყრიდა.

ყვირილის ხმაში ფეხზე დგებოდა  
ციხე-დარბაზის ჩრდილი მთებური,  
დევდარაკი კი მოთქმით ღნებოდა,  
როგორც ენაბლუ დაწინებულის.

ჰა, საქართველოც, შეკრბით წამით  
ტანჯვა, სინაზე, მწველი, ხეფელი,  
ჯოჯოხეთის და სამოთხის ჯამი,  
აი, ეს არის მხარე ქართველის!

აქ იგრძნობ, მიწას და ზეცის ფარჩას  
რა დოზით ერთვის მრავალი არსი —  
მოვალეობა, პაერი, გარჯა,  
რომ შექმნას კაცი ქართველის მსგავსი.

ვინც გადიტანა შიმშილი მკაცრი,  
მარცხიც, ტყვეობაც რომ აქვს  
გავლილი,  
ჩამოყალიბდა ნიმუშად კაცის,  
მარილის მსგავსი მკვრივ  
კრისტალივით.

ღევს ხელის გულზე კავკასის მთები,  
უკვე დაჰმუჭვნილ საწოლის დარი,  
და მათი ლურჯი კენწეროები  
თბილ უფსკრულებზე უფრო ღრმა  
არი.

საკუთარ ქერქში ველარ ეტევა  
და როგორც სროლის ბათქი,  
ხმაური,

აგრილდება ავტომატივით  
ყინვარეულის აურზაური.

იმ დამპყრობელთა თვალებით ვხედავ,  
რა ტურფად ელავს მთათა კარავი  
და გულში შური იზრდება ძველთა  
დასაძლევ მიზნის სიაშკარავით.

ნეტა ვიცოდე ასე გარკვევით  
ჩვენი მიზანი ნისლით ფარული,  
კაეშნიანი დღე დღევანდელი  
და ჩვენი გეგმა გენერალური!



იმისი ტერფი უკვალავ გზაზე  
მიაბიჯებდეს ჩემს წინ მარშითა,  
ყველა წინასწარმეტყველურ აზრებს  
მისი ხერხემლის ლანჩა წაშლიდა.

არა ვინმესთან ბრძოლით და კბენით,  
არც რამ საეჭვოს მოსაპოვებლად  
და არც პოეტი კაცის ცხოვრებით,  
მე ვიცხოვრებდი, როგორც პოემა.

სოციალიზმომ მომავლის დღეთა  
თავი გგონია სულ ახლოს მდგარი?  
სადაც ცხოვრების სახელით შევხვდით,  
გასწი, დაე, შენ გადამასწარი.

შენ თეორიებს კვამლივით აკმევ,  
სუფთა ქვეყანა, სპეტაკი დროშით,  
როგორც ბილიკი სინათლისაკენ,  
ანდა მღვთიდან — საქართველოში.

ხარ ის ქვეყანა, სად ქალებს  
ნათლის  
თვალები ცრემლით არ ებურება,  
ვაბედნიერებ მე მათ სიმართლით,  
ალარ გვჭირდება განზე ყურება.

სადაც სიყვარულს აძლევენ  
საშველს,  
სადაც წილადურ რთულ  
გაყოფითაც,  
ვერ გამოარჩევ უბედო ბავშვებს,  
მრავალრიცხოვან ახალშობილთა.

სადაც არასდროს არ ვიღებ ხურდას,  
ამ ჩემს ყოფაში ხურდები არ ჩანს,  
მე რასაც ვხარჯავ, ის ვლირვარ მუდამ,  
მაგრამ, რაც ვიცი. ყველაფერს ვხარჯავ.

სადაც ჩემი ხმა მომავალს  
მისდევს,  
მეგზური უძლევ სიახლეების,  
შვილის სიცილად ბრუნდება ისევ,  
ვით მოძახილი ხვალის დღეების.

ო, აქ იქნება დაუფარავად  
განცდა, ცხადი თუ სიზმრად  
დათქმული,  
ისინი, ვისი ღირსიც არაფერს ნიშნავს  
და ის, რითაც ვარ მათში გათქმული.  
ამ ხმაურობით შემონაჯარი,  
უპირველესი მათ შორის არის,  
მთებზე აშლილი ტყენი აჭარის,  
თეთრ ქობულეთის ნაპირთან მდგარი.

თანაც შენც აქ ხარ. მე ისიც მითხრეს,  
თუ სად დამიწყებ ხუთზე მოლოდინს.  
იქნებ კურხალში მომისწრო კიდეც,  
ამ ლაქლაქს რომ არ გადავყოლოდი.

ახალგაზრდული, თვალებმზიანი,  
დიდი ამაყი, მოისმენ, ალბათ,  
ზღვრამდე მისული ადამიანის  
საუკუნიდან ვერ განსჯილ ამბავს.

სდევს დიდ პოეტთა გამოცდილებას  
ბუნებრივობის თვისების სული,  
თუ ის იწვნიე, არ შეიძლება,  
რომ არ დამთავრდეს სიმუნჯით  
სრულით.

თუ თავს თვლი წილად არსთა და  
ფერთა  
და მომავალი ცხოვრების მცნობად,  
არ შეიძლება, არ შეუერთდე  
უბრალოებას, ვით მწვალებლობას.

არ დაგინდობენ, თუ დაგცდა  
თქმული,  
რომ სიმარტივის საუნჯეს უფლობ.  
სჭირდებათ იგი, მაგრამ სირთულე  
გასაგებია იოლად უფრო.

ოქტომბერია და ისე ცხელა,  
თვითონ აგვისტოს ხსენებაც არ ღირს,  
პირველი თოვლი გორაკზე ელავს  
და მისით სიღრმე იზრდება ტალღის



როცა ის დამდნარ პლატინის დარად  
გამოანათებს ფოთლებში თრთოლვით  
წიწოვანების ნემსებზე შავად,  
ექვობ, იქნება არც არის თოვლი?

როდესაც უცქერ და სულით ერთვი,  
მთვარიან ღამის სურათად მოჩანს  
და იკვეთება ამ ქობულეთის  
ხათრიან ფონზე უხამსი სოჩა.

მიწურულ ზაფხულს დავდოთ პატივი,  
ზამთარმა მოგვცა უკვე ნიშანი.  
დავემშვიდობოთ დღეებს ხვატიანს,  
ნაპირთან ფეხი დავფლათ ქვიშაში.

იზრდება ქარი, იწყებს ბოლიას  
და ფიგურები იზრდება ქარში.

შეფუთულები ისე მოდიან  
ტალღები, როგორც წარსულზე მარშით.

ქრებიან ქაფში ზარის კივილით,  
გვერდზე დარჩებათ მოქცევის ზონდო.  
შორს გამოჩნდება მოხრილ მილივით  
და ესალმება მათ პორიზონტი.

\* \* \*

წლების გაღაღმა, საკონცერტო დარბაზში, ჩემთვის  
ბრამსს დაუკრავენ, დავიცლები სევდისგან მაშინ,  
შევკრთები წამით, მოვიგონებ, რაც წარსულს ერთვის  
გასეირნებას, ბანაობას და ბუჩქებს ბაღში.

ქალს მოვიგონებ სიზმრის სადარს, მხატვარს ხათრიანს,  
მის გაღიმებას უბოროტოს, უეცარ მთვარეს,  
ო, იმის ღიმილს, გლობუსივით დიდს და ნათლიანს,  
მხატვარი ქალის გარეგნობას, ღიმილს და თვალებს.

ბრამსს დაუკრავენ, ვემგვანები შეშლილს და მორჩილს.  
მომავლენდება შეძენილი ბურღულის ფქვილი,  
საფეხურები ტერასებზე, მუხები ნორჩი,  
ბინა, ავეჯი, ყვავილნარი კმაცა და შვილიც.

მხატვარი ქალი საღებავით თხუპნიდა ბაღებს,  
ფანტავდა ფუნჯებს და პალიტრას კარგავდა ნაჩვევს,  
შემოახვევდა ის მომწამვლელ საღებავს ხალათს,  
რომელსაც ბასმას ეძახიან და ასთმას აჩენს.

ბრამსს დაუკრავენ, დავნებდები და გავიხსენებ  
ეკლიან რაყას, სანერგეებს სათუთად ნაგებს,  
იმ ბნელ აივნებს, სახურავებს, პარმალებს, სხვენებს,  
ღიმილს და იერს, გადაშვილდულ წარბებს და ბაგეს.

ავკეითინდები, დაიწყებენ ცრემლები წვეთას,  
დავლები, ვიდრე დამქანცავდნენ ცრემლით გრძნობები,  
შემოვა ბზარში სიმხურვალე გარდასულ დღეთა,  
ლობე, ოჯახი, მეგობრები და ნაცნობები.

და წრეს შეჰკრავენ ინტერმეცოს მდებლობაზე ოხვრით,  
პანგებს ხელები მოეხვევა, როგორც ხეს ტოტი,  
ცეკვით აჰყვება ჩრდილებივით ოჯახი ოთხი,  
ბავშვობასავით მოანკარე გერმანულ მოტივს.





I

ეს რამდენიმე დღეა ენეშე<sup>1</sup> ნაწვლიანი ჩანს, ერთხელაც გაუღიმია. წარბები ფიქრიანად შეუკრავს. გზაზე დადის ლელქაშის მოსაჭრელად და იქიდან ძალიან გვიან ბრუნდება.

გორგალივით დახვეული შოლფანი გემრიელად ფშვინავს, იმას რა უჭირს, თავისი ულუფა ჭამა და ახლა უდარდელად სძინავს. მის ულუფას ცალკე ალუმინის პატარა თასში ასხამენ.

ნავთის ლამპასთან თავდახრილი ბებია ძველისძველ საბნიდან გამოგლეჯილ გათელილ მატყლს ჩეჩავს. მატყლი ბებიას ხელში ფუმფულა, მსუბუქ და ხუჭუჭ ღრუბელს ემსგავსება. არ ვიცი, რატომ, მაგრამ დღეს ჩვეულებრივად არ შემოუცაცხანებია — დაწეკიო.

კარადის ქვეშ, ჯვალგადაფარებულ დიდ ხის გობში ჩვენი კერძი ცივდება. მე კი ვარიდებ თვალს, მაგრამ ეს ოხრები ჩემდა უნებურად მაინც თავდახურულ გობისაკენ მიიპარებიან, ეალერსებიან, სხვა რამის დანახვა არც უნდათ. დედა რომ მოვა, ყველანი ერთად დავსხდებით და შევჭამთ. ტარშემომწვარ ერთადერთ ხის კოვზს ერთმანეთს გადავცემთ და რიგრიგობით შევხვრებთ გობიდან გემრიელ კერძს. ბებიას ჯერი რომ დადგება, როგორც ყოველთვის, ცოტას ამოიღებს, ფრთხილად მიიტანს ტუჩთან, ოდნავ მოწრუპავს და იმწამს გადასცემს შემდეგს. შემდეგი კი მე ვარ. მე დიდ პირს ვაღებ, კოვზს ღრმად ამოვკრავ, სისქეს ბლომად ამოვაყოლებ. მაგრამ ბებიას საყვედურით სავსე თვალს ვგრძნობ, ვიცი, რასაც მანიშნებს ეს გამოხედვა: „ნუ ხარბობ, დედას მეტი საჭმელი უნდა, ბევრს მუშაობს და ცოდოა. თავი შეიკავე, საჭმელს ნუ დაეძგერები“. ყველაფერი კარგად მესმის, მაგრამ ეს დაწყევლილი კოვზი არ მემორჩილება, თითქოს ხელიდან მისხლტება და სწრაფად მოძრაობს.

კარი გულისგამაწყალელებელი ჭრილით გაიღო: „ბაფ...ფ“, — მიჯახუნდა. ენეშე მოვიდა. სევდიანი სახე ჩაშავებოდა. ყოველდღე ასეთი დაღლილი მოდის. ლელქაშის ღერებს ისე გადაუყვლეფია ჩექმების ჭვინტი, თითქმის გათერთებულან. ჩექმებს ლანჩები ასძრობია და პირდაღებულნი პირდაპირ მე შემომყურებენ, შარვალი მუხლებზე დაფლეთია, ძველი კაბის ქობა და სახელოები ძონძებად ქცეულან. საკერებელი, ცოტა ხნის წინ კაბას რომ დააკერა, გახეულა და ნახვრეტში ნაცრისფერი ძაფი გამოძენძილა. ენეშემ ზედა ტანსაცმელი გაიხადა და ღუმელთან მიადგო, მერე ჩამოჯდა და რის ვაი-ვაგლახით გაიძრო ჩექმები.

1. უფროსი ძმალი.



ტუჩმომტვრეული მაღალი, ღუმელზე გასაობობად დადგმული ტოლჩა ავიღე და მასთან მივედი. ეენეშემ ხალიჩის კუთხე გადაკეცა და სოხანებზე დაიბანა.

სუფრა დააფინეს. ხის გობს ისე მჭიდროდ შემოვუსხედით ვარშემო, თითქოს წართმევას გვიპირებდა ვინმე. ბებიაშ ნაწნავის ბოლოზე მიბმული გასაღებით კარადა გააღო და ტილოში შეხვეული პური გამოიღო. ხელად ვიგრძენი მისი მომყავო გემო. ენის ქვეშ რაღაც მეტკინა. პური წყნარად ნერწყვით ამევსო და ხმაურით გადავყლაპე ეს ვერაგი სითხე. ოთხად დაკეცილი ლავაში ისეთი თხელია, სინათლე გასდის. ლავაშს გვერდი ჰქონდა ჩამოხეული. ბებიაშ შოლფანს მოუხია. რა შეიძლება ამ ლავაშზე გემრიელი იყოს? ოღონდ ძალიან თხელია, ისე კი ნაკლი არა აქვს. მერე რა გემრიელია. ბებიაშ მეოთხედი დედას დაუღო წინ, მე უფრო პატარა შემხვდა. თავისთვის სულ პატარა დაიტოვა, „ბისმილია“. ახლა მიდი და ყლაპე თბილი საჭმელი — არ დაიფუფქები. პირველად ბებიაშ აიღო კოვჩი. მხოლოდ პირი შეახო და მერე მის უხმაუროდ დაუღო დედას წინ. დედას შემდეგ.

ისევ საცოდავად გაიჭრიალა კარმა. მაგრამ შავი ქეჩით გადაკრულ კარის დახურვას ჩვეულებრივი „ბაფ“ არ მოჰყოლია. ერთიმეორის მიყოლებით სამი უშველებელი კაცი ბრაგაბრუგით შემოდიოდა ოთახში.

სამივე კართან გაჩერდა.

— სალამო მშვიდობისა!

— სალამი ბებიას!

ბებია წამოდგა, ადგილი გაანთავისუფლა, მატყლი მოშორებით გადადო, რომელსაც მთელი სალამო წეწდა, წინ წადგა და ყურადღებით აათვალიერა მოსულეები.

— ღმერთმა დაგლოცოთ, მობრძანდით.

მე, როგორც ბებიაშ მასწავლა, ორივე ხელი მათკენ გავიშვირე და კართან გაუბედავად გაჩერებულ სტუმრებისაკენ გავეშურე.

— ასალაუმაგაღეიქუმ.

სუფრასთან ერთად სანუკვარი გობიც აიღეს და მეც გულდაწყვეტილმა ტუჩები მოვილოკე. პური ისევ ხელში მეჭირა. სასწრაფოდ პირში ჩავიტენე და დავლეჭე. სტუმრებმა ზედა ტანსაცმელი გაიძვრეს და საპატიო ადგილზე დასხდნენ.

— ჩაი დაადგი.

ეენეშემ ის იყო წყლიან ედროს წაველო ხელი, რომ ორმა სტუმარმა ცივი უარი თქვა ჩაის დალევაზე.

— ნუ წუხნდებით, ბებია, გვეჩქარება.

— მალე უნდა წავიდეთ.

შუაში სამკუთხა წვეროსანი კაცი იჯდა. ტუჩზე დაღი ჰქონდა, დიდრონი თვალები გადმოკარკლოდა. მან ოდნავ დახანებით თქვა:

— ტყუილად კი არ ამბობენ, გზას მგზავრი სძლევსო. თუ ჩვენი საქმე გადაწყდა, გობს აღარ დავაყოვნოთ. შორსაა ჩვენი აული. თან ხეალ გათენებამდე სამუშაოზე უნდა გავიდეთ.

კიდევში მჯდომ, ჩოფურა კაცს ხელში ქამჩა<sup>1</sup> ეჭირა. სახელურზე ისეთი ბრჭყვიალა სპილენძის რგოლები ეკეთა. თვალს ვერ მოსწყვეტდი. რა ლამაზია,

<sup>1</sup> ქამჩა — მათახი



— გავიფიქრე და ოცნებამ წამილო: ნეტავი დატოვებდეს. ალბათ იმიტომაც არ უშვებს ხელს, რომ არ დარჩეს სადმე.

ისევ მოიტანეს სუფრა. სანუკვარი გობი შემოდგეს — ჩვენი საჭმელით. თუმცა ახლა სტუმრებს დაუდგეს წინ. ჩვენს ერთადერთ კოვზს სამი მადონი მჭამელი სწრაფად გადასცემდა ერთმანეთს. მხოლოდ კაკუნი ისმოდა და სმ კი კუნში გობიც ხელად გაიცალა. კისერი წავიგრძელე და შიგ ჩავიხედე. მხოლოდ ფსკერზედა იყო დარჩენილი ცოტა საჭმელი. თვალეზგადმოკარკლული მანქანის სტუმარს თავისი თანამგზავრებისა შერცხვა და გობი ჩვენკენ გამოსწია. რაც სტუმრებს მორჩა, დედას ერგო.

სუფრა აალაგეს და ბებია დედას მოუბრუნდა:

— აბა, რძალო მოემზადე. რაც კი გჭირდება, ყველაფერი წაიღე, თორემ შენთან მზითვის მომტანი. ხომ იცი, არავინაა...

თვალეზგადმოკარკლული. ეტყობა, მათ შორის ყველაზე მთავარი იყო. ალბათ ეს უნდოდა სწორედ ბებიასაგან ვაეგონა და აფუსფუსდა:

— სხვა დრო იყოს, ჩვენ არაფერს დავიშურებდით. მძახალო, თქვენც კმაყოფილი იქნებოდით... თანაც აქ მოსვლა გვეჩქარებოდა. გზაში ხელი რომ არ შეეშალა, ამიტომაც არ გამოვირეკეთ თქვენთვის ცხვარი და ციკნებიანი თბა. აი, ცოტა ბოროალი წამოვიღეთ. კარის უკან დავტოვეთ. მიდი, შემოიტანე...

ის, რომელიც კიდეში იჯდა, ზღუბლისაკენ გაქანდა. მე დედას შევხედე: დედას ღვარად ჩამოსდიოდა ცრემლები ლოყებზე. მხოლოდ ახლა მივხვდი, რა-ღაც საშინელება ხდებოდა, და მოვიბუზე. ბებია მოლუშული იჯდა. თავი დაბლა, სულ დაბლა დაეხარა დაღონებულს.

— ე, სიდიუ! — თქვა მან, — ბახთილას რომ აწყენინო, ღმერთი გიწყენს. ხომ ზედავ ამ პურს, ამას გაფიცებ. ჯერ ღმერთს და მერე შენ გაბარებ ბახთილას, ასეთი დღე თუ დაგვიდგებოდა, არ მოველოდი. სულ ბავშვი იყო, ჩვენს ოჯახში რომ მოვიდა, მაგრამ ასე ისურვა განგებამ. ალბათ ეს იყო მაგის ბედი — სიცოცხლის დანარჩენი დრო შენთან გაატაროს. სანამ ცოცხალი ვარ, ბავშვების დარდი არ გქონდეს. წინათაც გითხარით, ბავშვებს არ გაგატანთ-მეთქი, და სიტყვას არ გადაუხვევ. სანამ ცოცხალი ვარ, აითანჯანის ბუდეს არ დავანგრევ. ასეთი რამ ხომ შენც გადაიტანე, სიდიუ. ყველაფერს გამიგებ...

მთავარმა სტუმარმა თვალეზი მოხუჭა და თავი დაიქნია: „რასაკვირველია. რასაკვირველია, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია“.

სტუმრებმა რამდენიმე ფუთა აითრიეს და კარისკენ გასწიეს. დედამ ველარ მოითმინა. ბებიას ტირილით მივარდა და შემოეხვია:

— გევედრები, ბავშვებს გაუფრთხილდი! ერთსა გთხოვ: არ იტირონ, რა ვიცი, კიდევ მელირსება კია მაგათი ნახვა...

მე ორივე ხელით დედას ჩავებლაუჭე. დედამ ამიტაცა, გულში ჩამიკრა და ხმამაღლა ატირდა. მერე შოლფანისაკენ წავიდა და ხმაურზე გამოღვიძებული ზელში აიტაცა.

— ბედს შეურიგდი, ჩემო კარგო, დამშვიდდი. — ერთ-ერთმა სტუმარმა სცადა დაემშვიდებინა დედა.

ყველანი ერთად გამოვედით გარეთ. შოლფანი ზღუქუნებდა, თუმცა არც კი ესმოდა, რა ხდებოდა. ორმა კაცმა დედას ხელი შეაშველა და აქლემზე შესვეს. მესამე უკვე მზად იყო, წამში ცხენს ზედ მოექცა და აქლემი აღვირით თან წაიყვანა. ერთიმეორის მიყოლებით გაქრნენ ცხენოსნები სიბნელეში. ვცადე მელრიალა, მაგრამ ბებიამ სახლში შემათრია.



— დედა წავიდა, დედა... — ასლუკუნდა ისევ შოლფანი, სახელო ცხვირზე გაისვა და ის იყო ხმამალა უნდა ატირებულიყო, რომ ბებია დაუტატანა:

— ნუ მოთქვამ, გოგო, არ დაგვენავსო. აბა, ახლავე დაწეკით, ხმა არ გავიგონო თქვენი. — ბებია თავისთან ჩაგვიწვინა ლოგინში ორჯერ. სიყვარულით ამოგვიყვანა ლოგინი.

— ღმერთო! — ვერ ისვენებდა, ოხრავდა ბებია.

თითქოს დაცარიელდა სახლი. შიშისმომგვრელი სურათები ჩაქრულა. ვწევარ, ვწევარ, მაგრამ ძილი არ მეკარება და თვალდაჭყეტილი მივჩერებივარ სიბნელეს. „დედა წავიდა, დაგეტოვა, სამუდამოდ დაგეტოვა“. სირცხვილი და სასოწარკვეთილება მიწვავს გულს. სიბრაზისაგან სული მეხუთება და დამცირებულს ყმუილი მინდა. იატაკზე გორაობა მინდა. მაგრამ რომ ვიტყვო — ბებია გაჩავრდება. ეს ყველაფერი იმიტომ მოხდა, რომ მამა აღარ არის. ვხედავ, როგორ მოცურავს ოთახის სიბნელიდან მამის საყვარელი, ლამაზი სახე. აი, ახლა რომ მოვიდოდეს მამა — ვიცნობდი. ფრონტზე რომ მიდიოდა, მე უკვე ხუთი წლისა ვიყავი. არავისაც არ შევეკითხები, თვითონაც კარგად ვიცნობ მამას. მამა რომ მიდიოდა, იმ დღეს დედა სულ ტიროდა და ტიროდა. სადაც არ მივიდოდა, რასაც არ აკეთებდა, ცრემლად იღვრებოდა და ბებია მაშინაც ჩავრბოდა — ცუდის ნიშანია შენი ტირილიო. ბებიას რომ არ დაენახა, დედა პირს არიდებდა, მაგრამ ჩვენ მაინც ვიცოდით, რომ ტიროდა. თვითონ ბებიაც ცრემლისაგან თვალეზღაწითლებული დადიოდა. მეც რაღაც უცნაურობა შემართებოდა. თამაშიც კი აღარ მინდოდა. მთელი დღე შინიდან არ გავსულვარ.

დილაადრიან კანტორის წინ შეგროვდა ხალხი. კანტორის სახურავზე წითელი დროშა ფრიალებდა. ყოველი მხრიდან მოდიოდნენ და მოდიოდნენ, ზოგი ფეხით, ზოგიც ცხენით. მამაც მათ შეუერთდა, ვიღაც სამხედრო ფორმიან კაცს ქალაქი ეჭირა ხელში და გვარებით იძახებდა ხალხს, მერე მწკრივში აყენებდა. ბებიას მე ხელით ვეჭირე, ვიდექი და ვუცქეროდი, როგორ გაიყვანა სამხედრო კაცმა მწკრივში ჩამდგარი ხალხი ქალაქისაკენ მიმავალ გზაზე. ჰო, რა ამბავი შეიქნა! ხმაური, ყვირილი, ვინ ტიროდა, ვინ კიოდა. ბებია უზარმაზარი ცხვირსახოცი თვალეზზე მიიღო. დედა ქალებთან იდგა და ტიროდა.

რაზმი რომ აუღეს გასცილდა. სამხედრომ ხელის აქნევით ყველანი გააჩერა და რაღაცა უთხრა. მამას მთელი გზა მხარზე ვეჯექი. ახლა კი ფრთხილად ჩამომსვა ძირს, მაგრად ჩამიკრა გულში. მერე უღვაშით მიჩხვლიტა, ლოყაზე მაკოცა, მერე კეფა დამიკოცნა. ძლიერი ხელები უთრთოდა.

ბებია და დედამ მეზობელს ჩამაბარეს, თვითონ კი ქალაქში წავიდნენ მამის გასაცილებლად, ისინი კი, რომლებმაც მხოლოდ აულის განაპირამდე გააცილეს, დიდხანს არ დაშლილან, სანამ ახალწვეულები გამცილებლებთან ერთად არ მიიმალნენ პორიზონტზე. ისევ მინდოდა ტირილი, მაგრამ არ ვიტყვო. არ ვიცი რატომ, რაღაც მაკავებდა, თუმცა რა იყო ის რაღაც, ვერ გაძეგო, და გაშეშებული ვიდექი.

## II

გადავდივართ. მე ბაწარზე გამობმული ჭრელი კამეჩი მიმყავს. საშინლად ზარმაცია ეს კამეჩი. ჩამოუშვია ლაფშები და ძლივს მოაბოტებს. გეგონება, მთელი აულის ბარგს მოათრევსო. ძვლების და სახსრების ჭახუნი ისმის. ვცდი-



ლობდი როგორმე ცოტა ჩქარა ევლო, ასეც ვეჭაჩებოდი, ისეც ვეჭაჩებოდი, მაგრამ აინუნშიც არ აგდებდა ჩემს წვალებას. რა უნდა მექნა? ვერაფერსაც ვერ ვიზამდი. კამეჩის ნესტოში გამოცმული რგოლი ბეწვზედა ეკიდა. ერთი რომ ძლიერად მოქაჩო, ხელში მარტო ბაწარი შეგრჩება. კამეჩი კი, ვითომც არაფერიო, გაჩერდება და იდგება: უპ, რა კარგიაო. მთელი დღე იდგება ასე. მხოლოდ ხანდახან გაიქნევს თავსა და კუდს.

ბარგზე, ფუთებში შოლფანი ზის, თავი ჩაუჭინდრავს და ხმაურობს. ხის კენწეროს მისჩერებია, ხან გაოცებული თვალებს ჭუტავს.

ბებია ურემზე მიბმულ ცანცარა თხას ერეკება. არა, ასე ვერასოდეს ვერ მივალწევთ. აულიდან კი გარეუარაზე გამოვედით.

— ჰაიტ, ჰეი, ჰაიტ!

მოთმინება დაეკარგა ბებიას, ურემს თავი დაუარა და სახრე გადაუჭირა კამეჩს. იმანაც პასუხად მხოლოდ კუდი დაატრიალა სწრაფად. მძიმე, ზომიერი ნაბიჯი კი სულაც არ აუჩქარებია. მაინც რა ზნე აქვს ამ კამეჩს. ამის შემდეგ აღარ უცდია ბებიას პირუტყვისათვის ფეხი აეჩქარებინა.

შუადღე დადგა, შოლფანს ავხედე, ჩასძინებოდა. თავი ერწეოდა აქეთ-იქით.

— ერექე!

— კო.

— გზისპირისაკენ გადადი. ფეხები შევასვენოთ.

მე მწვანე მდელოსკენ მივაბრუნე კამეჩი, მოსახვევში ურემმა ისე დაიღრჭიალა, თითქოს ეს-ესაა დაიშლებო. გზის პირას ძლივს გავედით და ბებიამ შოლფანი ურმიდან ისე ჩამოიყვანა, არც კი გაღვიძებია.

— კიდევ შორსაა, ბებია?

— თუ გადავრჩით, საღამოს მივალთ.

— კარ...გა შორს ყოფილა. სახლი გვაქვს იქ?

— ჩემო ჭკუის კოლოფო, ცოცხლები ვიყოთ და ყველაფერი იქნება, სახლიც გვექნება. ოღონდ ღმერთი იყოს მოწყალე. როგორ ფიქრობ, ტყუილად დავატრევ ამ ჩემს ბებერ ძვლებს? ოღონდ კი ნათესავებისათვის ჩამაბარებინა თქვენი თავი, ოღონდ კი თქვენს ფარას შეუერთდეთ. თქვენიანები არ გა-შიმშილებენ, არც უსახლკაროდ დაგტოვებენ.

მართლა გვყავს იქ ნათესავები?

— მაშ, ბევრი ნათესავი გვყავს.

ჩემს დამფრთხალ სულში რაღაც იმედი ჩაისახა. ცოტა დავისვენეთ და ბებიამ ისევ ჩასვა შოლფანი ფუთებში.

— შენც აძვერი, — მითხრა ბებიამ. — მომეცი, მე წავუძღვები.

თავი გავაქნიე და ისევ წავავლე ბაწარს ხელი.

— არა ვარ დაღლილი.

— კარგი, როგორც გინდა.

ისევ ძლივს გავედით დიდ გზაზე, მივდიოდით და მივდიოდით. უკვე საღამო ხანს გამოჩნდა უცნობი აული.

— ბებია, აგე, აული!

— კი, უკვე მოვედით.

ბებია წამომეწია და ბაწარი გამომართვა.

— აძვერი ურემზე, თორემ ძაღლები შეგაშინებენ.



მე უკვე ფეხი მერეოდა, ღონე გამომელია. ძლივს მეყო ძალა ურმამდე მიმედწია და შიგ ჩავგდებულყავი.

ეს აული სულაც არ პგავდა ჩვენსას. სახლები ძაღლის მეჩხერი კბილებით მიყრილიყვნენ ერთმანეთზე. ზოგ ეზოში ჯერ კიდევ ირეოდა სახლი, საბურავებიდან სვეტ-სვეტად მიიკლავებოდა სქელი კვამლი.

ერთი კუჭყიანი ყვითელი ძაღლი ჩვენკენ გამოქანდა. ზამთრის ბეწვი ჯერ სულმთლად არ გასცვენოდა და ალაგ-ალაგ ეკიდა ბლუჭუნას. ჩვენს ერთადერთ ურემს შემოურბინა, აღმაცერად შემოგვაცქერდა. დროდადრო გვიყუფდა. მის ყეფაზე კიდევ მოირბინა ხუთმა ტურტლიანმა ძაღლმა, ჩვენკენ თითქოს იმისთვის მორბოდნენ, პატივისცემით შემოგვგებებოდნენ: არც ერთს ნამდვილად არ დაუყუფია ჩვენთვის, კბენა ხომ არც უფიქრიათ.

ბორბლების ღრჭიალით, ძაღლების ყეფითა და დამფრთხალი თხის პეტელით შუაგულ აულში პატარა სახლთან შეეჩერდით, სახლს ლელქაშის ღობე ერტყა ვარშემო.

### III

ბებიას ურმის გადმოტვირთვა არ დაუწყია, ისე შევიდა პირდაპირ სახლში. ვხედავდი, როგორ ელაპარაკებოდა დიდხანს ვიღაც კაცს, ძველი ქული რომ ეხურა. ჩვენ კი ვისხედით და ვისხედით. ურმიდან ჩამოდრომა მინდოდა, მაგრამ იქვე წითელი ძაღლი იწვა, თათებზე თავი დაედო და ხანდახან წარბებქვეშიდან ამოგვხედავდა. დანარჩენი ძაღლები კუდაპრეხილი გაიქც-გამოიქცნენ, მერე შორიახლოს გაჩერდნენ და დროდადრო ზანტად უყუფდნენ რაღაცას.

როგორც იქნა, ბებია და სახლის პატრონი გამოვიდნენ. კაცს ლურჯი დაფლეთილი ხავერდის პალტო ეცვა. მარჯვენა ფეხით ძალიან კოჭლობდა, გეგონებოდათ, სადაცაა გადაყირავდებაო. მოგვიახლოვდა და ისე გაგვიღიმა, თავისი ყვითელი კბილები გამოაჩინა.

— რაო, დაბრუნდით მშობლიურ მხარეში, მოძებნეთ ხომ ნათესავები? აი, ყოჩაღ! გაიზარდეთ ხომ? ჭიგიტიც ასეთი უნდა, მაშ.

ყურებიანი ქული კეფაზე ჩამოიწია და საფეთქელი მოიფხანა.

— ახლა რა ვქნათ, გადმოვცალოთ ურემი, არა?

სიამაყე ვიგრძენი. „ჭიგიტი“ — ჩემზე თქვა. როგორმე თავი არ უნდა შევირცხვინო, რას წამოვმჯდარვარ ამდენხანს ამ ურემზე ზოგიერთ უცხვირპირო და გაუზრდელი ბიჭივით? ისე მოვიქეცი, ვითომ იმიტომ კი არ ვიჩექი, რომ ძაღლისა მეშინოდა, უბრალოდ, სახლის პატრონს ველოდი. ამიტომ, ჩამოვხტი თუ არა ურმიდან, იმწამსვე გავუწოდე მას მისალმებისათვის ორივე ხელი. სულერთია, ბებია შავ დღეს დამაყრიდა, პირველი რომ არ მივსალმებოდი უფროსს.

— ასალაუმაგალეიქუმ.

ბებიამ ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა და მივხვდი, რომ ყველაფერი რიგზეა.

— ალეიქუმასალამ. კარგია, ვერაფერს იტყვის კაცი, — შემოირტყა დონჩი, ორი ნაბიჯით უკან დაიხია, თავით ფეხამდე ამათვალიერა იმ კაცმა, — ყოჩაღ, ნამდვილად უკვე დიდი კაცი ხარ. ვისი ხარ შენ?

— აითმამბეთის ვაჟიშვილი ვარ.

— რა გქვია?



— ერალი.

— ვიხი მოდგმისა ხარ?

— ეიენევეის.

მთხოვა მეშვიდე თაობამდე დამესახელებინა წინაპრები. მეც სხაპას/ხუ-  
პით ჩამოვუთვალე.

— ჰოპ, ყოჩაღ, ვარგიხარ. ღმერთმა ხელი მოგიმართოს. თუ მართლ-  
აითმამბეთის შვილი ხარ, უსათუოდ კაცი დადგები. მოიცა, კიდევ გეჩვენებ  
აბა მოდი, ბარგი გადმოვიღოთ. მე გიშველი.

ურმისავენ წავედით და ბარგის გადმოცლა დავიწყეთ. მე ზემოთ ავედი  
და იქედან ვაწოდებდი ბარგს. სახლის პატრონი ფუთებს მართმევდა და თან  
გაუთავებლად ლაპარაკობდა.

— ეე, რას იზამ, ასე მოხდა. ეს ოხერი ბედი... ტყუილად კი არ არის ნათ-  
ქვამი: „ჭაში ჩავარდნილ ცხენს ჭიანჭველები დაესვეიანო“. ანდაზის აზრი ასე-  
თია: სხვა დროს ვერც გაბედავდნენ მიახლოებასო... ყალამ! ა, ყალამ! სულ  
დამავიწყდა ჩემი დედაკაცი. მოდი აქ! მაზლი, ჩამოგივიდა! შეიტანე ერთი  
ეს ბარგი სახლში. მიდი, გაინძერი, თორემ უკვე ბნელდება. ხვალ ამ საწყალმა  
პირუტყვმა ხორბალი უნდა წაიღოს ქალაქში. ასე თქვეს, ძლივს გვათხოვესო.  
შეპირებიან, დღესვე გამოგიყვანთ უკანო. ზედავ, ქალი ღელავს... თხა ბოსელში  
დააბი და ბავშვები შინ შეიყვანე. აბა ეს პატარა წაიყვანე. შენ კი ნამდვილად  
კარგად მოიქეცი, რომ მშობლიურ მხარეს დაუბრუნდი. ნამდვილი ჭიგითი ხარ.  
როგორ არ უნდა გიხაროდეს ადამიანს. ყველაფერი კარგად იქნება. ოღონდ  
ჯანმრთელად ვიყოთ და ვიცოცხლოთ. უკან მოხედვას ვერ მოასწრებ, რომ  
ფეხზე დადგები, დამოუკიდებელი გახდები. ოღონდაც ადამიანები იყვნენ გვე-  
რდით და ბებიაშენი იქნებოდეს ჯანმრთელად. ღმერთმა ყოჩაღად ამყოფოს.  
ზედავ, უკვე შემოდგომა მოდის. მერე რა. მოვიფიქრებთ რამეს. იმ ბოლოს მო-  
კიდე ხელი. დაიჭი, გეუბნები! აბა ასწიე! ეგრე, აი, ეგრე, მალე ნახავ, ორი ნა-  
ხევრიდან ერთი მთელი გაჩნდება: მე და შენ... სხვებზე ნაკლებად კი არ ვიც-  
ხოვრებთ. არ იღარდო, არ დაფრთხე. თავი შეგრიხე ოღონდ მთელი, თავი!  
ოღონდ ფაშისტებისაგან განვთავისუფლდეთ. ეე, მერე როგორ კარგად ვიქნე-  
ბით, ტყუილად კი არ ამბობენ, ახალგაზრდობაც და სიღარიბეც — წარმავალი-  
აო. წავიდეს რა. სახლი კი ამ მოხუცი ბოგინობს. ხომ მართალს ვამბობ?

ბარგი სახლის ზღურბლთან დავაწყვეთ. ბებიამ ზედა ტანსაცმელი გაგვაძ-  
რო, თვითონ კი არ გაუხდია. წავიდა. წასვლის წინ დაგვიბარა — არ დამელო-  
დოთ, დაწექით და დაიძინეთ.

კუთნეში დაგვიგეს, შოლფანმა საბანი თავზე წაიხურა და ჩურჩულით  
მკითხა:

— ესენი არიან ჩვენი ნათესავები?

— ჰო. ესენი.

— ჩვენთან რომ არ ჩამოდიოდნენ?

— ახლოს ვცხოვრობთ და ალბათ იმიტომაც არ ჩამოდიოდნენ. დაიძინე.

— ბებია როდის დაბრუნდება?

— კამეჩს წაიყვანს და დაბრუნდება.

— ახლა?

— ახლა დაწექი და დავიძინოთ.

სხვა დროს შოლფანი არ მიკარებს ხოლმე, ბებიასთან გარბის, დღეს კი შე-



შინებულნი მეცვრის, ისეთი დაღლილი ვარ, ფეხები მიბეჭის, მეძინება... მეძინება...

IV



ხუთ ნაბიჯზე ჩვენ წინ ეუმაში მიდის კოჭლობით, ~~გადაქანდება~~ მარჯვნივ — გასწორდება, ისევ გადაქანდება მარჯვნივ — გასწორდება ~~მეცვრის~~ ეუკან ბებია მიყვება, მერე მე მივდივარ.

— ზამთარი გველის, ათასი საქმე იქნება მოსაგვარებელი, რას გახდებით მარტოები? ვერ ეტევიტ ჩვენთან? იცხოვრეთ... მალე გაზაფხული მოვა, ცხოვრება გაიოლდება, ზაფხულში ვნახოთ, ყველა ერთად შევუდგებით საქმეს, გიშველით, ახლა არც ვიცოი... არც ისაა, არც ესა, სადაა ლუმელი? კარი, სარკმლები? რამე მაინც იყოს, არაფერი არ არის.

— ეი, ეაკე, შენ რომ კაცმა გისმინოს, ცა ჩამოიქცევა მალე, უდაბნოში ხომ არ ვცხოვრობთ, ირგვლივ ხალხია, იქ კი, სადაც ხალხია, არაფერი გაუჭირდება ადამიანს. ყველაფერი გაჩნდება, ყველაფერი იქნება. შენი დიდი მადლობელი ვარ დახმარებისათვის, სამაგიეროს ღმერთი გადაგიხდის. შენი სახლი ისედაც სავსეა ბავშვებით, ჩვენც მთელი ოჯახი ვართ, სტუმარიც ხშირად გყავთ, ხომ გინდა ხალხმა ჩვენზედაც თქვას: „აი, ათამამბეთის სახლი“.

— იცის ქალმა, საიდან დაუაროს კაცს, შინდა, როგორ არ შინდა, უბრალოდ, ახლა არაა ამის დრო, გაიყინებით.

დანგრეულ ალიზის სახლთან გავჩერდით, ორი ოთახი სულ დავშალეთ, აგურიც კი გამოვიტანეთ, მათგან მხოლოდ შიშველი ადგილი დარჩა, ერთადერთ ოთახს, როგორც ეუმაში ამბობდა, მართლა არ ჰქონდა არც კარი და არც სარკმელი, მათ მაგივრად სიცარიელეს დაელო პირი, მხოლოდ სახურავის წაღება ვერ მოესწროთ, აი, თურმე რისი იმედი ჰქონდა ბებიას, აქ გადმოსახლება რომ გადაწყვიტა, ხუთი-ექვსი სახედარი შემოხეტებულიყო, ვინ გაიგებს, რატომ, იდგნენ და შემოგვყურებდნენ, თან ყურებს აპარტყუნებდნენ.

— სარკმელს და კარს ძველი სახლიდან მოვიტან, შენ კი ორასიოდე აგური გაამზადე ლუმელის ასაშენებლად.

— ვეცდები გავამზადო, — თქვა შეწუხებულმა ეუმაშმა.

— ისეთ ლუმელს ავაგებ, მეფის სასახლისას აჯობებს, აი, ნახავ.

ეუმაში არ შეკამათებია, მგონი, მიხვდა, ბებია თავის სიტყვას არ გადაუხვევდა.

V

დრო რომ არ დაგვეკარგა, შეხმატკბილებულად შევუდექით საქმეს, ბებიას ყოველდღე მოჰყავდა ვინმე აულიდან დასახმარებლად, ასე ნელ-ნელა სახლი თიხით შეილესა, აშენდა ლუმელი, მე მთელი დღე დავრბოდი, ვაწოდებდი თიხასა და აგურს.

მალე ჩვენს შეკეთებულ, ერთ დროს მიტოვებულ სახლში ლუმელი აგიზგიზდა, ბათქაში ჯერ ისევ სველი იყო, ორთქლი ასდიოდა და ჩვენს ერთადერთ ოთახში ცისფერი ბური ჩამოწვა, შოლფანი კისკისებდა და თითს იშვერდა.

— ეს იქნება ჩვენი სახლი?



— პო, ჩემო სიცოცხლე, ეს არის ჩვენი სახლი, — პასუხობდა ბებია და შვილიშვილს გულში იკრავდა.

VI

ჩვენს პატარა, ერთოთახიან სახლისაკენ მოდიოდნენ და მოდოდნენ მეზობლები ახალსახლობის მოსალოცად.

სალამოთი, როცა აულში უკვე სიმყუდროვე ჩამოვარდა, ერთიც ვნახოთ, დეიდა თაბიგა გამოგვეცნადა. იგი ალაგებულ სუფრას მიუჯდა და მუშტრის თვალთშეათვალიერა სარკმელი, კარი და ლოგინი.

— ყველაფერი შეუძლია ადამიანს. შეხედეთ ერთი, რა კარგად მოეწყვენ. ღმერთმა მოგცეთ. „სანამ ჭკუა გიჭრის, ეძებე მოყვარე შენიო“, — ნათქვამია. რადგან იმ დედაკაცმა წასვლა გადაწყვიტა, გზაც იქით ჰქონია. თქვენ კი, დედი, კარგად მოიქეცით. ბავშვები რომ ნათესავებთან ჩამოიყვანეთ, სხვის კარზე რატომ უნდა იზურზუტონ და ვიღაცის წყალობას ელოდონ. რაც არ უნდა იყოს, ნათესავებთან არაფერი არ გაუჭირდებათ. აი, ჩვენც აქა ვცხოვრობთ და არაფერი გვიჭირს. რასაც ღმერთი გვამლევს, იმას ვკმარობთ. ოღონც გაზაფხულამდე მიგვალწევია და ვინ იცის, კიდევ რამდენი სიხარული და ბედნიერება გველოდება.

უეცრად ქალი დადუმდა, ნერწყვი ხმაურით გადაყლაპა, თვალები ლამის გადმოსცვივდა, ენა გააწყლაბუნა. თაბიგამ ბებიას ახლადა დაუნახა ხელში კურთი.<sup>1</sup>

— ეს კურთი სადღა იყო? თუმცა თქვენ რას არ იშოვნით, დედი, მიწიდან ამოიღებთ. ჩვენ კი დიდი ხანია მაგის გემო გადაგვაფიწყდა. ერთი შეხედე, რა ცხიმოვანია. ალბათ ცხვრის რძისაა? პირდაპირ ნერწყვი მომადგა.

— შემთხვევით წავაწყდი კარადაში. შარშან ბანთილამ, ღმერთმა აბედნიეროს, ბლომად დაახმო და აი, კიდევ დარჩენილა.

ბებიამ თაბიგას კურთის ნაჭერი გადაუგდო, მანაც მოხდენილად დაიჭირა ხელში.

— კურთი ძალიან მიყვარს. მაინც რატომ შემაყვარა ღმერთმა ასე, არ ვიცი. ამას თურბაის წავუღებ, გასინჯოს მაინც.

კურთს უკბინა და იმწამსვე თავის უძირო გიბეში ჩაუშვა.

— ისეთი ცხიმოვანია, პირდაპირ ქონი ვასდის. — ამბობდა იგი და თან ბებიას მიწოდებულ ჩაის წრუპავდა.

— როგორ ფიქრობთ, ახლანდელ ახალგაზრდებს სინდისი აქვთ? ხომ უნდა მოახერხო, უკანმოუხედავად მოიქნო კუდი და წახვიდე, ა? ბავშვები მიხრწნილ მოხუცს მიუყარო, რომელსაც ერთი ფეხი სამარეში აქვს? მაინტერესებს ერთი, მაინც რისი იმედი ჰქონდა? შენც რატომ დაიტოვე ბავშვები? ვერ მიეცი? წაეყვანა თან. გათხოვდა და გაბედნიერდა, ხომ? წაეყვანა ბავშვები და და თვითონ მოეეცო. რამ შეგაშინა? რა, სიდიყის ქონებას შეჭამდნენ? მოვლა შენ გჭირდება თვითონ. ვინ უნდა მოგიაროს, რა ქნა ეს, ოპ, ეს ახალგაზრდები. არც სირცხვილი აქვთ, არც ნამუსი. მათ თვალწინ რომ მოკვდე, გადაგაბიჯებენ და წავლენ. ეს მაოცებს პირდაპირ.

ბებიამ ფინჯანი იატაკზე დადგა და თაბიგას მკაცრად შეხედა:

<sup>1</sup> კურთი — ცხვრის ყველი.



— რძალო, ენა უძვლოა, ამიტომ ხანდახან კბილი უნდა დააჭირო, მე ცოცხალი ვიყო და ჩემი აითაშის ერთადერთმა ვაჟიშვილმა უცხო ადამიანებს შეპყუროს ხელში? მირჩევნია მოვკვდე. ვიღრე ამას მოვესწრო. აითაში რომ ცოცხალი იყოს, გააა არ დაელოდებოდა? ახლა კი რაღა დააქვებდა? ვისთვის მოეცადა? ისედაც სამი წელი კარჩაკეტილში იჯდა. განა შეძლო გზაზე გადავლობებოდი, განა არ გამამტყუნებდა ხალხი? რატომ დამეღუპა მისი ახალგაზრდობა? გაიხაროს იმანაც ცხოვრებით, იქნებ ჩემს გზაზე ბედნიერება. ჩვენც გვექნება ჩვენი სიხარული. ახლა მე მხოლოდ ერთ რამეზე ვოცნებობ: ღმერთმა თავისი სიკეთე მანამ ამ მომაცლოს, სანამ შვილიშვილი წამომეზრდებოდეს. მერე კი მიიღოს ჩემი სული. აი, როცა ეს პატარა სულელი თვითონ შეიგნებს, რომ კერიაზე ცეცხლი არ უნდა ჩააქროს, მაშინ მექნება ვალი მოხდილი.

გაჩუმდა თაბიგა. მხოლოდ ენას აწყლაპუნებდა და მიამიტად წრუპავდა ჩაის. თან თვალი ჭერისაკენ აღეპყრო.

— ჩვენ უბრალოდ გვეცოდები, სიბერე რომ ასე გაგიმწარდა, წელებზე ფეხს იდგამ, ისე კი, რასაკვირველია... ამას რა სჯობს...

— ბედს ვერსად გაექცევი, თავს ზემოთ გზა არ არის... თუ განსაცდელი გიწერია, ვერსად დაიმალება.

...თაბიგა მხოლოდ მაშინ წამოდგა, ჩვენ რომ დასაძინებლად დავწექით.

— რამდენ ხანს ვიჯექი თქვენთან. ალბათ შვილი მელოდება, წავალ ახლა.

## VII

ერთხელ ჩვენთან მაღალი ქერა კაცი მოვიდა. გაუპარსავი იყო და ცალი თვალი ახვეული ჰქონდა. კაცი მე გამომელაპარაკა და ძველი სკოლიდან მოცემული ცნობა გამომართვა.

— მეცადინეობაზე რატომ არ დადიხარ?

— აქ სკოლა რომ არ არის?

— ვინ გითხრა? ასეთი რამე მხოლოდ ზარმაც ბიჭს შეუძლია მოიგონოს, მე გავჩუმდი. ბებიამ დაგვინახა და მოგვიახლოვდა.

— ცუდ დროს გადმოვსახლდით, მასწავლებლო, ველარ და გელარ მოვეწყვეთ. ჩემი შვილიშვილი ისეთი ბიჭი არ არის, სწავლას თავი აარიდოს. აუცილებლად ივლის.

— ისწავლი? თუ ბებიის ნებიური ხარ?

— ვისწავლი, ალაი.

— ენახოთ...

მე მართლა არ დამინახავს აუღლში სკოლა.

— სკოლა თორეხანის სახლშია. — მასწავლებელმა არხის გადაღმა მდგომ სახლზე მიგვითითა. — ალარ დააყოვნოთ. საქმეები როგორმე მერე გააკეთეთ. ბიჭმა არ უნდა გააცდინოს, ბები, მეცადინეობა.

ბებიამ იმავე საღამოს ნავთის ლამპის შუქზე ყავისფერი წარმისაგან აბგა შემიკერა. შარშანდელი აბგა სასწავლო წლის ბოლოს დამება, ახალ აბგაში ჩავდე ერთადერთი წიგნი „მშობლიური ენა“, დედამ რომ ჩამომიტანა ქალაქიდან — ორი-სამი რვეული, ფანქარი, რკინის კალმისტარი, ასე რომ, უკვე მზად ვიყავი სწავლას შევდგომოდი.

სკოლა ჩვეულებრივი ორთახიანი, უბრალო და უდროშო სახლი გამოდ-



გა. ღუმელიც ჰქონდა. ერთ ოთახში სკივრზე რამდენიმე დაკეცილი საბანი ეწყო. ფალასებისაგან შეკერილ საბანზე ორი გამხდარი ბავშვი იჯდა და თვალბდაჭყეტილები შემოგვცქეროდნენ. მეორე კი საკლასო ოთახი იყო. აქ ოთხ მერხზე ერთმანეთზე მიკყლეტილი, სხვადასხვა წლოვანების ბავშვები იჯდა.

კლასში დაუკაცუნებლად შევედით მე და ბებია. ბავშვები ყველაზე მეტად ბებრის ბრაზუნით წამოდგნენ ფეხზე.

პატარა შავ დაფასთან სწორედ ის მასწავლებელი იდგა, ამას წინათ ჩვენთან რომ იყო. მან თავისთან მიმიხმო და კლასს ჩემი თავი გააცნო.

— ბავშვებო, ეს მესამე კლასის მოსწავლეა. ათმამბეთოვი ერაღი. გაიცანით! ჩვენთან ახლახანს გადმოვიდა. — მოსწავლეები ისე შემომცქეროდნენ. თითქოს ცოცხალი მაიმუნი ვიდეჭი მათ წინ. — აქ მესამე კლასია.

მასწავლებელმა მიმიყვანა და პირველ მერხზე ორ მოსწავლესთან დამსვა. სამნი ვიწროდ ვისხედით ერთ მერხზე. მაგრამ მეორე მერხზეც სამნი ისხდნენ.

— ჩემო კარგო, ამ გადმოსვლის ბრალია, ყველა წიგნის ყიდვა რომ ვერ მოვასწარი. მხოლოდ ერთი წიგნი აქვს. — უთხრა ბებიამ მასწავლებელს. — რვეულებიც ცოტა აქვს.

— ნუ ლელავთ, ბები. რამეს მოვახერხებთ.

ბებიამ კლასიდან გასვლისას ერთხელ კიდევ მომხედა.

მასწავლებელმა ჯერ პირველკლასელებს აუხსნა გაკვეთილი. მე უსაქმოდ ვიჯექი. მეორე ოთახში ხმამაღლა ატირდა ბავშვი. ყველანი შეშფოთდნენ, კისრები წაიგრძელეს და ცდილობდნენ იმ ოთახში შეეხედათ.

— უამაჰმედოვ, წადი, ბავშვი დაამშვიდე.

ადგილიდან ჩოფურა ბიჭი წამოდგა.

— ალაი, გუშინ მე დავამშვიდე. დღეს ბოდიშოვის რიგია. — გაიბუტა ბიჭი.

— რომ გეუბნები, წადი, ნულარ მეკამათები.

ბიჭი ბურტყუნითა და წელის თრევით გავიდა მეორე ოთახში. მასწავლებელმა ხელები მოისრისა.

— დღეს ვის უნდა დაენთო ცეცხლი? რაღაც ძალიან ცივა კლასში.

კლასში მართლა ციოდა. ყველას პალტო ეცვბ, მაგრამ საკმარისი იყო მასწავლებელს ეთქვა, ცივო, რომ ყველამ ფეხები ააბაკუნა.

— დღეს ბათირბეკოვის რიგია, ალაი.

— მაშინ ბათირბეკოვმა გააჩაღოს ცეცხლი. ახლა მეორე კლასთან ჩავატარებ რუსული ენის გაკვეთილს. მერე კი მესამე კლასს გამოვკითხავ მათემატიკას. მეოთხე კლასმა ჯერ საშინაო დავალება გაიმეოროს. ახლა კი შევისვენოთ.

მასწავლებელი დაფასთან მივიდა, კუთხეში თუნუქის ნაჭრისაგან გაკეთებული დიდ ზარი ეკიდა. შიგ, ენის მაგივრად, გორგალი ჰქონდა ჩამოკიდებული. მასწავლებელმა ზარი შეარხია. მაგრამ დარეკვის მაგივრად დაიწკარუნა. ყველანი შესვენებაზე გავცვივდით.

## VIII

მთაზე ასვლა და აულის შემოგარენის დათვალიერება მომინდა. ბებია არც კი გამიფრთხილებია, ისე გამოვედი ქუჩაში. ყურებიანი ქუდი წარბებამდე ჩა-



მოვიფხატე. ფუფიკის ღილები ბოლომდე შევიყარი და პირდაპირ მთისაკენ წავედო. დეიდა თაბიგას სახლთან ჰრელი მწევარი მზეზე იდგა და ზანტად იზმოვებოდა. გრძელი და წვრილი ფეხები ჰქონდა. ყურის წვერები თითქმის ჩაზვოდა და ისე ეკოდა.

ტანიც წვრილი ჰქონდა, მუცელი თითქმის შევარდნილი. ალბათ მზერის — გავიფიქრე: „სს, სს“ — დაფუსტვინე. მწევარმა ოდნავ გააქცევინა და ფრთხილად მომიახლოვდა.

ამ დროს ეზოდან გამზდარი ბიჭი გამოხტა და გაოცებული შემომაშტერდა. აი, თურმე ვისთვის წაიღო იმ დღეს დეიდა თაბიგამ კურთის ნაჭერი. ალბათ ეს არის მისი ერთადერთი ვაჟიშვილი. ამას სახლიდან ვინ გამოიტყუებს. ჯერ ერთხელაც არ მინახავს ბიჭებთან ჭუჩაში თამაშობდეს.

— კუმაი! კუმაი! აპა-აპა, დაბრუნდი, გეუბნები!

ალბათ კუმაი მწევარს ჰქვია. ენახოთ ერთი. რას იზამს, იმ გაწრიბული ბიჭის გინაზე მეც დაფუსყე დახილი ძაღლს.

— კუმაი! კუმაი! ჩემთან! აპა, აპა! — ჯიბეში ისე ჩავაყავი ხელი, ვითომ იქიდან საჭმლის ამოღება მიწოდოდა. მეტე ხელი ძაღლს გავუშვირე. ძაღლი შედგა და დაფიქრდა. საით წასულიყო, აღარ იცოდა. იქნებ იმედი მოეცა. უცხო ადამიანი მაინც არ მომატყუებსო. და ჩემკენ წამოვიდა. მოვიდა დამყნოსა ხელზე და საყვედურით შემომხედა: — არაფერიც არა გაქვს, შენც მატყუარა ყოფილხარო. მეტე გარშემო მიმოიხედა, თავისი გრძელი ენა გამოყო და ცხვირ-პირი მოილოცა. ნეტავი პურის ნაჭერი მაინც მქონოდა... თუმცა, სხვათა შორის, არც მე მაწყენდა. აი, როგორ მიბუყბუყებს მუცელი.

ბიჭი გაშეშებული იდგა და შერცხვენილი დუმდა. აბა რა დაემართებოდა. მომინდა კიდევ რაღაცით გამემწარებინა. ავიღე და ჩექმების ბრახაბრუხით გავიქეცი, მესმოდა. ბიჭი როგორ ჰყიოდა. ძაღლს უხმობდა — არ გაიგონებოდა პირდაპირ. მე განზრახ უფრო მეტად ავაბრაზუნე ჩექმები. ერთი საინტერესო აზრი მომივიდა. ხელი წინ გავიშვირე და მონადირესავით დავძახე:

— ჰაიტ! ჰაიტ!

კუმაიმ ყურები ცქვიტა და ჩემს ძაბილზე წინ გაქანდა. გრძელი ტანი სომივით დაეჭიმა, ოდნავ ეხებოდა მიწას, თითქმის მიფრინავსო, ისე გარბოდა. მის თათებსა და მიწას შორის ცისფერი ჰაერის ზოლი იდგა. ყურებდაცქვეტილი მიჰქროდა და დროდადრო თუ მოიხედავდა ჩემკენ, თითქმის მეკითხებოდა: „სად არის ნადირი? სად?“ ცქერით ვერ ვტკებებოდი, ისეთი ლამაზი იყო, გავიფიქრე — ამ ძაღლით მხოლოდ მგლებზე უნდა ინადიროს ადამიანმა. არა, ჯერ ახალგაზრდაა, შეიძლება ვერც მოერიოს მგელს. მგელზე სანადიროდ სწრაფი ცხენია საჭირო. ნეტავი თუ დაეწევა მგელს? რა იქნება, მგელი რომ ცოცხლად ჩავიგდო ხელში, პირი შევუკრა და აულში მივიყვანო. რა კარგი იქნება. მელიებზეც შეიძლება ინადიროს კაცმა, მაჩვზეც. ამბობენ, მელიები საკუთარ ნაკვალევს კუდით შლიანო. ძაღლი მაჩვს რას მოერევა. აი, ცხვირში კეტს თუ დაარტყამ, მაშინ მოერევი მაჩვს. ერთი სიძნელეა კიდევ: განა ფეხით მოსიარულე ადამიანი მძიმე კეტს ზიდავს?

კუმაიმ ოცნებები ამიშალა. რა არ წარმოვიდგინე. ოცნებებმა შორეულ მოგზაურობებში გადამაფრინა. ცეცხლოვან რაშზე შემსვა, წინ მშვენიერი მონადირე ძაღლი მიმიძღვოდა. ხელში მოქნილი ქამჩა მეჭირა. მუხლს ქვემოთ კეტი მქონდა ამოდებული. მივქროდი ნადირის დასაჭერად. ისე მივქროდი, რომ ყურებში ქარი მიწიოდა.



— ჰაიტ! ჰაიტ! მიდი, კუმაი, წინ!

უაზროდ ვიქნევდი ხელებს და მივღევდი კუმაის. ძაღლმა გამასწრო და უკვე შორს წავიდა. ხანდახან შეჩერდებოდა, დამელოდებოდა და მისი თვალები უკმაყოფილოდ მეკითხებოდნენ: „რა იყო? რატომ ჩხები უკან?“ განა ჩამოგრჩებოდი, ცხენით რომ ვიყო? ნუთუ არ იცი, რომ ადამიანს მხოლოდ ორი ფეხი აქვს და ოთხფეხა ცხოველს ვერ დაეწევა? არაფერიც არ იცი შენ, საიდან უნდა იცოდეს, ძაღლი ხარ.

სირბილისაგან უკვე სული მეხუთებოდა და ნაბიჯზე გადავედგა. მთის წვერს რომ მივალწიე, მიწაზე დავეშვი. ძაღლს დავუძახე, ზურგზე ხელი გადავუსვი. ძაღლი თითქოს უფრო გამბდარიყო. ხელით შევეხე მის გამოჩრილ ნეკნებს, ხერხემალს, კუმაი გაინაბა, უფრო ახლოს მომეკრა და თავით მომელამუნა ხელზე. ეტყობა, ალერსი მოეწონა. ხელი გადავხვიე კისერზე.

დიდხანს ვისხედით მთის წვერზე. აღმოსავლეთისაკენ, საითაც არ უნდა გაიხედო, მთელ სიგრძეზე ლელქაშებია მხოლოდ. დაუქროლებს ქარი და ზღვასავით ღელავს ლელქაში, მიწამდე იხრება და ლივლივებს. იქაც წავიდოდი, მაგრამ მარტოვას მეშინია. ვინ იცის, გარეული ნადირი ცხოვრობს იქ. ბეზიაც არ გამიფრთხილებია და ძებნას დამიწყებს.

აღმოსავლეთით ტრამალი გაწოლილა. შორს, მწკრივში ჩამდგარან ნაცრისფერი გორაკები. თითქოს ადგილი არ ეყოთო, ისე გაფანტულიყვნენ, იქით და იქით კი შეჯარულან, თან როგორ გვანან ერთმანეთს.

კუმაი წინ და უკან დარბის, ირგვლივ ყველაფერს ყნოსავს, კვალს ეძებს. ხან განზე გაიქცევა, ხან მობრუნდება, თითქოს მეკითხება: „განა იქით არ წავალთ?“ არა, დავიღალე და არც ოთხი ფეხი მაქვს შენსავით. მხოლოდ ორი მაქვს. გესმის? ბეზიაც არ გამიფრთხილებია“.

წამოვდექი და აულისაკენ წავედი. კუმაი დიდხანს იჯდა მარტოკა. მაგრამ რომ დარწმუნდა, ამაოა ლოდინიო, უკან გამომყვა. ეწყინა, მამა რომ იყოს, მასთან ერთად აუცილებლად წავიდოდი სანადიროდ. ნადირობა უყვარდა მამას. ცხენით მიდიოდა ხოლმე, თოფს მხარზე გადაიკიდებდა და შინ მხოლოდ მზის ჩავლისას ბრუნდებოდა. მე სახლის სახურავზე ავძვრებოდი და ველოდი მამას. როგორც კი გამოჩნდებოდა, მისკენ გავრბოდი. მამა ცხენიდან ჩამოქვეითდებოდა, უნაგირზე დამსვამდა. თვითონ კი ფეხით მომყვებოდა გვერდით. ცხენი აღვირით მოჰყავდა. უნაგირის კოტაზე მაგრად ჩაბლაუჭებული, შეშინებული, მაგრამ გახარებული და თან გასუსული ვიჯექი ცხენზე. მერე კი შევეჩვიე და უნაგირზე თავისუფლად ვჯდებოდი. მამის უკან, უნაგირზე მედიის ტყავი ან კურდღელი ეკიდა. ხანდახან ხოხობიც მოჰქონდა. ხოხობს ცეცხლოვანი წითელი კუდი და მოლივლივე ფრთები ჰქონდა. უკან აულის ბავშვები მოგვდევენ. შურით შემომყურებდნენ და მეც ძალიან ვამაყობდი. ძალიან მენატრება მამა, მისი ნახვა მინდა. როგორც კი მამაზე ფიქრს ვიწყებ, მაშინვე აუტანელი სევდა მიპყრობს.

## IX

ბებიაშ საიდანღაც ზორბა შავი სახედარი მოიყვანა. სახედარი პირდაპირ კართან გაჩერდა და მოთმინებით დაელოდა ბებიას. ბებიაშ სახლიდან ტყავი გამოიტანა, სახედარს გადააფარა, ზედ ბაწარი გადაჰქიმა და გამოვიდა უნაგირი. მხოლოდ ამის შემდეგ მიიხრა:



— ერეკე, სათბობი არა გვაქვს, ზამთარი მოდის, რა უნდა ვქნათ? მოდი, წავიდეთ შეშაზე?

— წავიდეთ, — გამეხარდა კიდეც. ბებიაშ არც კი იცის, რა კარგ დროს მითხრა, წამოდით. სწორედ იქ მივდივართ, სადაც გუშინ მარტოვას შემეშინდა წასვლა. სწრაფად გავემზადე, ბებიაშ ფეხი დამიჭირა და სახედარზე შემსვა. ცული და ბაწრის შეკვრა მომაწოდა. შოლფანმა ჩვენი სამზადისი რომ დაინახა, ფეხები ააბაკუნა და ატირდა:

— მეც წამოვალ. მეც წამოვალ. მეც წამიყვანეთ.

— ფეხებში გამოგვებლანდები, რად გინდა? დარჩი დეიდა თაბიგასთან, რა უბედურებაა, კარგი. მოდი აქ...

ბებიაშ ჩემ უკან შემოსვა შოლფანი, რომელიც, ვითომდა წელან არც უტირიაო, ახლა გამხიარულდა და ცელქობა დაიწყო.

— არ გადმოვარდე, მაგრად მოკიდე ხელი.

დამ ხელები შემომხვია და ჩაჩუმდა.

— რა ქენი. მოეწყვე?

— მოვეწყვე.

ბებია ტყისაკენ წავიდა. ერთ ხელში ქეთმენი ეჭირა და მეორეში აღვირი. ნელ-ნელა ვშორდებოდით აულს, აი. გავიარეთ ტრიალი ადგილი და აულიც გორებს მოეფარა.

მალე ლელქაშებს შორის საცალფეხო ბილიკზე გავედით. ბებია თავისი გრძელი კაბის კალთით ხშირად ედებოდა ლელქაშს. აქ ქარი არ იგრძნობოდა, ბარდები აკავებდა და საოცარი სიჩუმე იდგა, მაგრამ ლელქაშის კენწეროები მაინც ირხეოდა. შოლფანი სულმთლად მიყუჩდა, ზურგზე მომეკრა. მისთვის ყველაფერი ახალი და უჩვეულო იყო. ლელქაშები რომ გავიარეთ ჩვენ წინ უზარმაზარი ვაკე ადგილი გადაიშალა, რომელიც შენგელის ბუჩქებით იყო დაფარული. სახლის სიმაღლე ბუჩქნარი გავიარეთ და შევჩერდით. ბებიაშ მე და შოლფანს სახედრიდან ჩამოსვლა გვიშველა. სახედარი კი ბუჩქზე მიაბა. თვითონ მკიდროდ შემოიკრა წელზე თავშალი, ქვედა კაბა აიკაპიწა და საქმეს შევუდევით.

— ერეკე, მოჩეხილი ტოტები ერთ ადგილზე დააღაგე. ბავშვს თვალი არ მოაშორო. აქ დაკარგვა ძალიან იოლია. ფრთხილად იყავი.

ბებია შენგელის ბუჩქთან მივიდა და ის იყო. ქეთმენის მოქნევას აპირებდა, რომ ბუჩქიდან თეთრი კურდღელი გამოვარდა. კურდღელი ბუჩქებს იოლად გადააბტა და მოკურცხლა, ჩვენ მხოლოდ მის ერთ ბეწო კუდს მოვკარით თვალი. ბებია შეკრთა მოულოდნელობისაგან და უკან დაიხია: „ბისმილა“, — თქვა თავისთვის.

— უყურე ერთი მაგას, რა ამბავშია! როგორ შემაშინა, მაგას კი გაუწყალდეს გული.

მე კარგა ხმამაღალი ტყაპატყუპით დავედევნე კურდღელს. ის კი მიჰქროდა და როცა მივხვდი, ვეღარ დავეწეოდი, ქუდი მოვიგლიჯე და გაქცეულ კურდღელს მთელი ძალდონით ვესროლე. ქუდმა რკალი მოხაზა და შენგელს კენწეროზე ჩამოეკიდა, კურდღელი კი გაქრა. უკან რომ გამოვბრუნდი, შოლფანს შევხვდეთ. იდგა და თვალები უბრწყინავდა. თან შეშინებული და თან გაოცებული იყო.

— ერალ. კატა იყო, ხომ?



— რა კატა, რის კატა, რას ამბობ, — გამეცინა მე. — კურდღელი იყო!

ბეზია მიყურებდა და იცინოდა:

— ვაი, ერეკლე, რა მოხდა? ვერ დაიჭირე, ხომ?

— რა იყო მერე? ძალიან რომ მყოლოდა, მაგის დაჭერას რა დიდი თავ-  
მე უნდოდა.

უეცრად თავში გამიელვა: „კუმაი! აი, ვინ არ გადაადგმევინებდა ჩემს კურდღელს! აფსუს! რატომ არ წამოვიყვანე? მაგრამ არა უშავს, მერე ვნახოთ...“

ოცნებამ წამილო. თავში რა გეგმები არ დამიტრიალდა. კუმაისთან ერთად კურდღელზე სანადიროდ უნდა წავიდე. აუცილებლად. შოლფანს არ ვეტყვი, რას გაიგებს. არც ბეზიას ვეტყვი — არ გამიშვებს. არც არავის არ ვეტყვი, ამის შესახებ მხოლოდ მე უნდა ვიცოდე. მერე ნახონ!

ბეზია ჩეხდა და ჩეხდა შენგელს. მე და შოლფანი კი ერთ ადგილზე ვაქუჩებდით. შოლფანი დააგროვებდა წვრილ ფიჩხებს, ფრთხილად შემოუვლიდა ბუჩქს და გროვაზე აწყობდა. ცოტაც და საცაა გამოგვიცხადებს: რალაც ძალიან დავიღალეო. დაჯდება მერე ტოტებზე და იჯდება ასე. მაგასაც დამხმარე ჰქვია რალა!

იჯდეს თავისთვის. მუშაობისათვის ჯერ კიდევ ძალიან პატარაა. კიდევ მოასწრებს შრომას. ოღონდ არ დაიკარგოს. ეგლა გვაკლია! დავათრევ მოჭრილ ტოტებს და ვფიქრობ, ნადირობაზეც ვფიქრობ, მოდი ხაფანგს ვსინჯავ. ყველაზე კარგი მაინც კუმაისთან ნადირობა იქნება. შინ რომ ნანადირევით დავბრუნდები, როგორ გაუკვირდება ბეზიას. მაგრამ ჯერჯერობით ჩუმად ვიქნები. ისე კი კურდღელზე სანადიროდ უსათუოდ წავალ.

მგონი, გვეყოფა. მეტს სახედარი ველარც ზიდავს. დიდხანს ვტყეპნეთ ფეხით ტოტები, ორი გუდურა შევკარით და სახედარს გადავკიდეთ. ბეზიამ ისევ სახედარზე შეგვსვა და უკან დავბრუნდით.

უკან დაბრუნებისას გზა უფრო გრძელი გვეჩვენა. ბუჩქნარი გავიარეთ და ის იყო ლელქაშებს ვუახლოვდებოდით, რომ შოლფანმა იყვირა:

— კურდღელი! კურდღელი! ერაღ, შეხედე! კურდღელი!

მართლაც ჩვენ წინ კოლბოხებს შორის გრძელი ნახტომებით მირბოდა ყურცქვიტა.

— პაიტ! პაიტ! — გატაცებით ვყვიროდი მე. ო, როგორ მინდოდა ფრენა შემძლებოდა და კურდღელს დავწეოდი! ის კი, ეტყობა, ძალიან დაფრთხა, გაიელვა და გაქრა, თვალის მოკვრალა მოვასწარი.

კურდღლებმა მთელი ღამე მოსვენება არ მომცეს. ვტრიალებდი, მოხერხებულად ვეწყობოდი. მაგრამ დიდხანს მაინც არ დამეძინა.

დილით ადრე ავდექი. ბეზია უკვე იცვამდა, ეუმაშთან აპირებდა წასვლას. უფრო სწორად თხის მოსაწველად მიდიოდა, თხა კი ეუმაშთან გვეყენა. იმიტომ რომ ფარდული არ გვქონდა. ბეზიას, რასაკვირველია, გაუკვირდა, მე რომ ასე ადრე ავდექი.

— ჩაის გამზადებამდე იწეკი, — მითხრა ბეზიამ.

— არ მეძინება.

— მაშინ დაიბანე და მერე წყალი გააცხელე. რომ დავბრუნდები, სამოვარში გადავასხამ. ყველაფერი სწრაფად იქნება, ოღონდ შოლფანი არ გააღვიძო.



ბებია კურკელი აიღო და ეუმაშთან წავიდა, მე სწრაფად შევუდექი ცეცხლის გაჩაღებას. ბებია დილაადრიახ თუ ჩაი არ დალია, მერე თავს ცუდად გრძნობს. შაკიკს უჩივის. მაშინ მთელი დღე ჩამწარებული გვაქვს. საღამოს გამზადებული შენგელის ხმელი ტოტები დავაქუცმაცე, კერიაში დარჩენილ წივაში ავურიე. წივა მთელი ღამე ენთო და ნალვერდალიც დარჩენილიყო. ახლა ისღა დარჩა, კერიაში თავი შემეყო და სული შემებერა რაც ძალი და ღონე მქონდა, სანამ ნაფოტებს ცეცხლი არ წაეკიდებოდა. ცეცხლს შევსვამდეს სახეც გაგიწითლდება, ცისფერ ბოლსაც ჩაყლაპავ და შინი სიმწარე ცრემლსაც გადენს.

ღამე დანა შევინახე ჯიბეში. კურდელი თუ დავიჭირე, ხომ უნდა დავკლა? თუ არ დავკალი, ბებია არაფრით არ შეჭამს, იტყვის, ლეშია ალბათო. ბაწარიც დამჭირდება, წავიღებ. ერთიც ვნახოთ, რამდენიმე კურდელი ჩამივარდა ხელში, მაშინ ფეხებს შევუკრავ და მხარზე ვადავიკიდებ. სკივრთან მივირბინე და მის უკან ხელის ფათურით დავუწყე თოკს ძებნა. ჩვეულებრივ ბებია აქ ინახავს ხოლმე გრძელ თოკებს და ვიპოვე. ხელში მაგარი და მოკლე ბაწარი მომხვდა. მეყოფა. გამოვარდი ეზოში და დავმალე. წასვლის დროს პალტოს ქვეშ ტანზე შემოვიხვევ. კიდევ ძალღისთვის პური იყო საჭირო. თუ მშიერი იქნება, კურდელს არ გამოეკიდება. პურის ამბავი უფრო რთული იყო: ბებია ზედმეტ ნაჭერს არ იძლევა. ამიტომ ჩემი წილი პურის წაღება მომიხდება.

ბებია რომ დაბრუნდა, კერიაში ცეცხლი გიზგიზებდა, ყაზანში წყალი ბუყბუყებდა და დუღდა. ბებია მდულარე სამოვარში გადაასხა და მილი ნაკვერჩხლებით გატენა. ჩაის შემდეგ გამოვაცხადე, სათამაშოდ მივდივარ-მეთქი, და პურის ნაჭრით გარეთ გამოვვარდი. ჯერ დეიდა თავიგასთან შევიხედე. ძალი ეზოში თვლემდა, ხელად მიცნო და კუდის ქიცინით შემხვდა. მე თავზე ხელი გადავუსვი. თურბაი მარტო იყო შინ.

— იცი, ტბასთან კურდლები გამრავლებულა. მე და ბებია გუშინ შეშაზე ვიყავით და ვნახეთ. წამოდი! კუმაიც თან წაიყვანოთ.

თურბაიმ არ დამიჯერა.

— ტყუი ყველაფერს.

— აი, — სწრაფი მოძრაობით ყელი გადავისერე ხელით. — შენ თვითონაც ნახავ. წამოდი.

თურბაი სამზადისს შეუდგა, მაგრამ უხალისოდ. მალე, კუმაისთან ერთად, გორა გადავიარეთ. რაც უფრო შორს მივდიოდით, თურბაი უფრო ყოყმანობდა. ხან განზრახ უკან რჩებოდა. ბოლოს სულ გაჩერდა და გამომიცხადა: „დედა გამიჯავრდება“. მინდოდა მშიშარა დამეძახა, მაგრამ შემეშინდა. ძალს უკან წაიყვანდა.

— წამოდი რა.

— ხომ გითხარი, დედა გამიჯავრდება-მეთქი.

— უკვე სულ ახლოსაა. მივიდეთ და მალე წამოვიდეთ.

— დედამ მითხრა, შინიდან ფეხი არ გაადგაო.

— კარგი, მაშინ მე მარტო წავალ. ოღონდ კუმაის ნუ დაუძახებ.

— არ დაუძახებ.

არ დაუძახებო. კი თქვა, მაგრამ მაინც არ ვენდე და სასწრაფოდ გავიქეცი.

— კუმაი! კუმაი! ჰაიტ! ჰაიტ! აგე კურდელი! კურდელი!

პურის პატარა ნაჭერი მოვტეხე და ზემოთ ავაგდე. ძალმა კბილების ქა-



ხუნიო ლუკმა ჰაერში დაიჭირა. კიდეც წავატებე პურს, მერე კიდეც, კუმაი უკან აღარ იფურებოდა. მაგრამ აღარც წინ მიიწევდა, როგორც ერთ ადგილზე მიზმული, ისე ტრიალებდა ჩემს ფეხებთან. მხოლოდ მაშინ მოვიხედე და დავინახე, რომ თურბაი ნელა მიბობლავდა აულისკენ. მართალია, ცოტათი მაგრამ მაინც ვიგრძენი საკუთარი ძალა. არ მეშინია, რისი უნდა მეშინოდეს. კუმაი ჩემთან არაა?!

ერეკუნული

აი, ის ბილიკიც, ჩვენ რომ გავიარეთ. ვინ იცის, ის კურდღელბნაგვანა დაფრთხეთ, წასვლის შემდეგ ისევ თავის ადგილას დაბრუნდა? კუმაის გუშინდელი ბუჩქები გადავაქექინე, მაგრამ კურდღელი არ გამომხტარა. კუმაი ისევ და ისევ ჩემთან ბრუნდებოდა. თვალეში შემომყურებდა და ილოკებოდა, მელოდა, როდის გავუმასპინძლდებოდი ისევ პურიო. მე თვითონაც მშობოდა, ამიტომ დარჩენილი პური ორად გავყავი და მალე მოვრჩით. მგონი, კუმაი ისევ ელოდა პურს, მაგრამ მეტი აღარ მქონდა.

— მეტი არ არის! თუ არ გჯერა, აი, ნახე! — პირი დიდზე დავაღე და ცხვართან მივუტანე.

წავედით. კუმაი პირდაპირ ბუჩქებთან მიმყავდა და ვაიძულებდი მოეძებნა კურდღელი. მაგრამ კურდღელი აღარსად ჩანდა.

გზა გავაგრძელეთ. მწევარი ჩემგან აღარაფერს ელოდა, ამიტომ წინ მიიჩქაროდა. ბუჩქებს შორის დაძვრებოდა და კვალს ეძებდა. ხან დიდი ხნით იკარგებოდა, მერე მოულოდნელად გამოძვრებოდა, მერე ისევ ხრიდა თავს და მაწას ყნოსავდა.

უცრად ძლიერი ფრუტუნი მოისმა. მერე ძალმა ხმამალა შეჰყვოდა. მე შიშისაგან გავისუსე. მთელი ტანი ერთბაშად გამეყინა. გაქცევა მოვინდომე, მაგრამ არ ვიცოდი, საით წავსულიყავი. ადგილიდან ველარ ვიძროდი. იქნებ ტახია? იქნებ მგელი? ირგვლივ ხელების ფათური დავიწყე, ნეტა რას ვტაცო ხელი? კუმაის დავუძახე — მაგრამ ხმა აღარ მქონდა. შენგელის ბუჩქის ძირს ამოვფარე, შიგ ღრმად შევძვერი. დაეწექი და უური მივუვდე, თოქოს არაფერი ისმოდა, თავი ფრთხილად გამოვყავი ბუჩქიდან და ამ ღროს ვილაც ტკაცანითა და ტყაპატყუპით გამოიქცა ჩემკენ. როგორც შემეძლო მოვკურცხლე, უკვე შორს რომ ვიყავი. მოვიხედე, მინდოდა გამეგო, მომდევდა თუ არა, და დაბორკილი ცხენი კი დავინახე.

ცხენი კუმაის დაეფრთხო, საწყალს ძალდი ხან ერთი მხრიდან მივარდებოდა და ხან მეორედან. მე ცოტა გონს მოვედი, სული მოვითქვი. ასე შეგეშინდეს და ისიც ვისი, ცხენის? სასაცილოა.

— კუმაი! კუმაი!

ენაგადმოვარდნილი მოვარდა კუმაი ჩემთან.

— წამოდი, ჩვენ აქეთ უნდა წავიდეთ. — იქით ვუჩვენე, სადაც ბუჩქნარი თავდებოდა.

— წამოდი, წამოდი, იქით უნდა წავიდეთ.

ძალიან დავილაღე. ხელები და ფეხები მიცახცახებდა. კუმაი ისევ წინ გარბოდა. შევხედე, როგორ გაიღევა კუმაის ზურგმა ბუჩქებში, ეტყობა, ვილაცას მისდევდა. წინ კი... უკანასკნელ ძალას იკრუფდა და ისე მირბოდა ვილაც თეთრზურგიახი. კურდღელი! მთელი ძალით უკან დავედევნე. მისდევს, მისდევს, მისდევს კუმაი ვილაცას. აი, უკვე აღარ ჩანს არც ერთი, მე კი ისევ გავრბივარ. მდელიოზე რომ გავვარდი, კუმაის უკვე ქვეშ მოექცია კურდღელი, ეს ის კურდღელი იყო ნამდვილად, ვიცანი.



— კუმაი! დააგდე! დააგდე-მეთქი, შენ გეუბნები!

სასწრაფოდ პალტო გავიძრე და ბალახზე აფართხალეულ კურდღელს გადავაფარე. კუმაი იმავ წუთს განზე გადგა. ფრუტუნს და ცემინებას მოჰყვა, ცვირსა და კბილებში გაჩრილ კურდღლის ბეწვს იშორებდა.

— ყოჩაღ, ყოჩაღ, კუმაი!

გული მძლავრად მიძგერდა, ამოვარდნას ლამობდა. ყველაფერზე მეტად სიხარულისაგან, კმაყოფილი ღიმილისაგან თავს ვუფრთხილებდი. აკი ვამბობდი, კუმაი აუცილებლად დაიჭერს-მეთქი კურდღელს! აკი ვამბობდი!

იქვე დასასვენებლად ჩამოვსხედით. როგორ გაოცდება ბებია. შეიძლება არც კი დაიჯეროს. კურდღელი პალტოში შეხვეული წავიყვანე. ჩქარა, ჩქარა, ბებია უნდა გავახარო!

ბებიას ჩემს დანახვაზე თვალები გაუფართოვდა.

— ჩემო წიწილავ, სად დაიკარგე? სად იყავი დილიდან? ეს რაღაა?

— კურდღელი!

— ვინ მოგცა?

— არავის არ მოუცია. მე და კუმაიმ დავიჭირეთ.

გაოცებისაგან ბებიას თვალები კიდევ უფრო გაუფართოვდა. ვედრო ხელიდან გაუვარდა.

— ჩემო თვალის სინათლე, მართლა დავიჯერო? შენ ვინ გაგაგზავნა ტბის გადაღმა? გზა რომ აგრეოდა? მეორედ უნებართვოდ ნაბიჯი არ გადაადგა.

გავჩუმდი. ბებიამ კარი გადარაზა. ხელები დაიკაპიწა, დანა გალესა და იმწამსვე დაიწყო კურდღლის გატყავება. ზის და დუდუნებს:

— ფუი, ფუი, თვალი არ ეცეს!

შოლფანი ახლოს მისვლას ვერ ბედავდა. შორს ჩამომჯდარი ათვალიერებდა კურდღელს.

— შოლფან, გენაცვალე, არავის უთხრა, ერეკემ კურდღელი რომ დაიჭირა. ღმერთმა დაიფაროს, გათვალავენ. შენ შემოგველოს ჩემი თავი. არ თქვა, კარგი?

— კარგი, ჩუმად ვიქნები.

— ეგრე, შვილო, ჩუმად იყავი.

მე ისევ ვიგრძენი სიამაყის მოზღვაება; ყაზანიდან, რომელშიც დიდი ხანია ხორცი აღარ მოხარშულა, ახლა გემრიელი სუნი ამოდიოდა.

ჭამას მოვრჩით, მაგრამ ბებია დიდხანს ბუტბუტებდა ლოცვას. გაუგებარ სიტყვებს შორის კარგად მესმოდა მამაჩემის სახელი „ამინ“, დაამთავრა ლოცვა.

X

— ბავშვებო, დღეს გაკვეთილს კიგაში ჩავიტარებთ. კოლმეურნეობამ ლელქაშის დაკრეფის გეგმა ვერ შეასრულა და ორი დღე უნად დავეხმართ. ხვალ დასვენების დღეა. დღეს ჩუმად უნდა ისხდეთ და მოუსმინოთ კიგაშს. თუ ვინმე ცუდად მოიქცევა, ხვალ მე მოველაპარაკები. ჭკვიანად იყავით, — თითო დაგვემუქრა მასწავლებელი, — ერმეკოვა, შენ აქ მოდი.

დაფასთან შავგრემანი გოგონა გავიდა. იგი მეოთხეკლასელი იყო, ფრიადოსანი, მაღალი და მოსული. უფრო დინჯი რომ გამოჩენილიყო, შუბლი მუდამ



შეკრული ჰქონდა. გაოცებისაგან პირი დავაღე, — როგორ უნდა მოახერხოს მასწავლებლობა? — გავიფიქრე.

მასწავლებელმა წინ სახელმძღვანელოები დაულაგა.

— აი, დღეს რა უნდა ასწავლო. პირველ კლასს — სუფთა წერა, მეორეს — არითმეტიკა, მესამეს — არითმეტიკა, მეოთხეში — რუსულის გაკვეთილს ჩაატარებ, გაიგე?

მასწავლებელი კარისაკენ წავიდა, თან ჩვენკენ იცქირებოდა. კი მასწავლებელმა კარი მიიხურა, კლასში ჩოჩქოლი ატყდა. ზოგი ჩურჩულებდა, ზოგი ამოქნარებდა, შეკავებული სიცილი და ხმაური ისმოდა, მერბები აჭრიალდა.

— აპაი, შეხედეთ. ეს ხელს მკრავს.

— აღიმკელოვა კი სარკეში იყურება.

— აპაი, მე რვეული სახლში დამრჩა. შეიძლება მოვიტანო?

— იჯექი. შენ ყოველდღე გრჩება რვეული სახლში.

— რაში ვწერო?

— ნუ დაწერ. ისე იჯექი. რვეულიც რომ გქონდეს, მაინც ჰკვიანურს შიგ ვერაფერს დაწერ.

— კარგი, ვიჯდები ასე. ჩემთვის უკეთესია.

კიგაშმა, როგორც ნამდვილმა მასწავლებელმა, შუბლი შეიკრა და მკაცრად გადმოხედა კლასს. უმცროსკლასელები ზედმეტი მონდომებისაგან სრუტუნებდნენ, ბეჯითად მეცადინეობდნენ. მეოთხეკლასელები ვერაფრით ვერ დამშვიდებულიყვნენ. ფხუკუნებდნენ. მასწავლებელი საკმაოდ დიდხანს ითმენდა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს შეატყო, ბავშვები, რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო თამამდებოდნენ და გაბრაზდა.

ყველაზე თამამს საყელოში ხელი წაავლო, კარგა მაგრად შეაჯანჯლარა და ისე უთაქა, ბიჭმა დაიკვნესა და ხმაამოუღებლად დაჯდა. მაგრამ ძალიან აღმაცერად კი იყურებოდა და გაუთაყებლად ბუტბუტებდა.

გაკვეთილის გაგრძელება უკვე შეიძლებოდა. ახლა სიჩუმის დარღვევას ველარავინ ველარ ბედავდა. ასე ალბათ საკმაოდ დიდხანს ვისხდებოდით, მაგრამ უეცრად უკანა მერხიდან ვილაცის ხვრინვა გაისმა. კაშერბაევი პლფრთოვანებისაგან შებზრიალდა, მუხლებზე ხელები დაირტყა და თან მძინარეზე გვანიშნებდა.

— აპაი, შეხედეთ! შეხედეთ! აპანყულოვს ძინავს!

ესეც მეოთხე კლასის მოსწავლე იყო. სქელი და ტლანქი ჟეტყეგენი. ბიჭი თბილ ლუმელს მისწოლოდა და ტკბილად ხვრინავდა.

კიგაშ მასწავლებელმა მძინარე ყურით წამოაყენა ფეხზე და კარში გაავდო. აბგა და ქუდი კლასში დარჩა. ყველანი მყის გამხიარულდნენ. ბავშვები ახმაურდნენ.

— დასვენებაა, გადიოთ — მკაცრი ხმით თქვა კიგაშმა. — შემდეგი გაკვეთილი — ყველასთვის სიმღერა იქნება.

აპაი მივიდა დაფასთან და ზარს შემოჰკრა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)





„სიცოცხლით სავსე სიცოცხლე“  
პირი II

„და მთელი დუნია იყოს დღეგრძელი“

(ლევ ტოლსტოის შესახებ)

„გერმანელმა გაიკინა, ბოსლის კარს მოსცილდა, ჩაჩი იშვლია, თავზემით ააფრიალა და დაიყვირა: Und die ganze Welt hoch!“

როსტოვმა გერმანელს მიბაძა, ქუდი თავზემით ასწია და სიცილით დაიძახა: Und vivat die ganze Welt!“ არც გერმანელისათვის, რომელიც ბოსელს ასუფთავებდა და არც როსტოვისათვის, რომელიც ათეულს თივის მოსატანად წამოჰყოლოდა, მაინც მაინც სასიხარულო არაფერი ხდებოდა. მაგ. ეს რი ადამიანი მაინც ბედნიერების შეგრძნებამ აიტანა: ერთმანეთს ძმური სიყვარულით შეავედეს თვალი, თავებზე დააკანტურეს ურთიერთსიყვარულის ნიშნად და სახელამილიანები დაშორდნენ ერთმანეთს. გერმანელი ბოაელში შებრუნდა, როსტოვი კი ქობისაყენ გაეწართა.

(„ომი და მშვიდობა“)

I

პრეტიანობა

მე. თაკარა, ეიკეთია მზე დაჰკაშკაშებს წალკოტს დედამიწაზე. ხაითაც არ უნდა გავიხედოთ, ყველგან ანაზღად იდუმალ-დიდმნიშვნელოვანი სიცოცხლე გვეცემა თვალში, ყველგან სიხარული და სილაღეა, ყველგან სინათლე და მარად უცვალელებელი, გაუხუნარი სილამაზე შემოგვლადლადებს, — თითქოს ქვესკნელის სიბნელიდან უცბად გაზაფხულის სიმწვანეში გადმოვინაცვლეთ: თამამად ვისუნთქავთ გულმკერდით ჰერს, შორეული, გარდასული ბავშვობა გვაგონდება: ეს მაშინ აღვიქვამდით ყველაფერს ნათელსა და სიწმინდეში: ეს მაშინ იყო

ჩვენს გარშემო ყველაფერი იდუმალი დიდმნიშვნელობით მოცული.

ცხოვრობს ადამიანი მშვენიერ სამყაროში, გარსმომხვეულ სიცოცხლის წიაღში მიხი სულის მასაზრდოებელი ფესვებია ბორცვადგმული და სიცოცხლესთან უწყვეტ, დაუშლელ ერთიანობის შეგრძნებად ჩაქირული.

„და მეც სულ მარტო ვიყავი, — მოგვითხრობს ნიკოლენკა „ქაბუკობაში“, — და მეჩვენებოდა, თითქოს იდუმალ-დიდებული ბუნება, მთვარის მიმზიდველი, ნათელი რკალი, მტრედისფერი ცის ერთხა და იმავე ადგილას რატომღაც გაჩერებული, მაგრამ, ამასთანავე, თითქოს მიუწვდომელ სივრცეში ყველგანმყოფი

<sup>1</sup> და მთელი დუნია იყოს დღეგრძელი!



ფიც და მე — ფუქსავატი ჭია — იმ წუთას თითქოს ერთი და იგივე ვიყავით“.

ჟღერა, ირმის ნაწოლზე, ოლენინი წამოწოლილა: „ჩემს ახლოს კოლოები დაფრენენ ფოთლებში, რომლებიც მათ უზარმაზარ კუნძულებად ეჩვენებათ, მაერში ტრიალებს და წუის მათი გუნდი და უველანი რატომღაც რაღაცას დამწუიან და უოველი მათგანი უველახაგან იმგვარადვე გამორჩეული დიმიტრი ოლენინია, როგორიც მე თვითონა ვარ. — ცხადლივ წარმოიდგინა, რას ფიქრობენ და რას წუიან კოლოებიო! „აქეთ, აქეთ ბიჭებო! აი, ვინ გვყოლია შესაბამელიო“. — წუიან ისინი და გარს მეხვევიანო. და მისთვის ნათელი შეიქნა: არც რუსი აწნაფრიშვილი ვარ, არც მოსკოვის საზოგადოების კაცი, არამედ, არც მეტი და არც ნაკლები, ისეთივე კოლო, ისეთივე ხოხობი, ანდა ირემი ვუოფილვარ, ახლა ჩემს გარშემო რომ ცხოვრობენო“.

დოსტოევსკის მიშკინისათვის გამაწამებლად უცხო და მიუწვდომელია „ბუნების მარადიული ზეიმი“. დაუპატიჟებელი სტუმარივით დაღვრემილი გამდგარა განზე ეს „უველახათვის უცხო, უდღეური და მოწყვეტილი ნაყოფი“. სიცოცხლის ხალისი გამოძახილს ვერ პოულობს მის უძლურ სულში. ტოლსტოისთვის კი ბუნების ზეიმი საჭუთარია — მშობლიური; ის ისე ჭაღად დანავარდობს ბუნების წიაღში, როგორც მერცხალი ძაერში.

„მე მიყვარს ბუნება. როცა ის უოველი მხრიდან გერტყმის გარს და მერე უხასრულოდ შორს არის გავრცობილი, — წერს ტოლსტოი, — ოღონდ მე უნდა ვიყო მის წიაღში. მე მიყვარს, როცა უოველი მხრიდან შემომტრიალებს ხორშაკი, ქარი, რომელიც ხოლქვებად მიიგრაგნება უხასრულო შორეთისაკენ; როცა მარტო თქვენ არ შემხარით და შეჭფრფნთ ბუნებას; როცა თქვენს მახლობლად აუარებელი მწერი ბზუის და ფუთფუთობს; ერთმანეთის მიუოხლებით მიდოლავენ ჭიამაიები; გარშემო უველგან ჩიტები ეღურტულებენ, ხოლო ეს (აღაური მწვერვალი) მოტიტვლებული, ცივი და უღიმღამო მონაკვეთია; ხადღაც შორეთის ბურუსით რაღაც ლამაზია დაფარული. ოღონდ ის ჩემგან შორს არის და ტბობასაც ვეღარ მანიჭებ, ამ მარად უხასრულო და მშვენიერი შორეთის ნაწილად ვეღარ ვბრძნობ ჩემ თავს, ამ შორეთთან მე არაფერი არ მისაძმება.“ (ტოლსტოის შვეიცარიისში მოგზაურობის შავად ნაწერი შთაბეჭდილებებიდან).

ადამიანის გარშემო სიცოცხლის ზღვა გამსკდარა: მოჭარბებული ცხოველები, ხარობენ მცენარეები, მართალია, მათ არ გააჩნიათ გონება, ვერ მეტყველებენ, მაგრამ მათში არის ის.

რაც უველაზე მეტად არის საჭირო, რაც თვითონ ადამიანშიც კი გონებასა და სიტყვებზე უფრო მნიშვნელოვანია:

„ერთხელ ამ გაზაფხულზე, — გვიამბობს ძია ეროშკა, — კი კოლტი მოვიდა, გადამაღრეს ის ადგილი: — „სახელითა შამსა და მისათა-მეთქი...“ — უკვე სროლა დავაპირე და ნეწვამაც შეჭმინა თავის გოჭუნებს ნეწვდამა საქმე, ბაღლებო: კაცი ჩავვსატყუარე, სიტყვანი მოწყდნენ და ბურქებში გაშპენ შლიგინით.

— ღორმა როგორ უთხრა გოჭებს, კაცია ჩა-საფრებულიო? — ჰკითხა ოლენინმა.

— აბა რა გეგონა? შენ ფიქრობ, რაზან ნადირია, სულელიაო? არბ, კაცზემ ჰპპიპიპი, ებბა, რომ ღორი ჰპპიპი, უველაფერს ზედება. აი სიტყვაზე ვთქვათ: კაცი კვალს ისე გაუვლის, ვერც შეამჩნევს, ღორი კი შენს ნაკვალევს თუ წაადგა, მაშინვე გვერდზე გაშპება; მაშ ჰქონია თუ არა ჰკუა? შენ საკუთარი სიმყრალე არა გცემს პირუტყვი კი გრძნობს. მართალია ღორია, მაგრამ შენზე ნაკლები მაინც არაა, ისიც შენსავით ღვთის გაჩენილია. ჰაი დედასა! რა სულელია კაცი, რა სულელი!“.

ვრონსკის ცხენის ფრუ-ფრუს შესახებ გვიამბობს ტოლსტოი: „ის ერთი იმ ცხოველთაგანია იყო, რომლებიც გეგონებათ მსოფლოდ იმიტომ არ ლაპარაკობენ, რომ პირის მიძანკური აბეზულება ამის საშუალებას არ აძლევსო“.

და ტოლსტოისთან ცხოველებს თითქოს უველგან მარტოოდენ ეს მექანიკური აგებულებაა მიჯნავს ადამიანისაგან.

„ბებერი ლასკა, რომელსაც ჭერაც არ განელებოდა პატრონის მოსვლით გამოწვეული ხიხარული, კუდის ქიციანით მობრუნდა ეზოდან, ლევინთან მიიძურწა, თავით ზელზე მიეგლასუნა და საწყალობლად აწკმუტუნდა, — მომეფერეო, სთხოვდა.

— ერთი ენის ამოდგმაღა აკლია, — თქვა აგაფია მიხაილოვნამ, — ძაღლიც ასეთი უნდა, ზედება, პატრონი დაბრუნდა და უხასიათოდააო, მაშ.“

ქარბუქში ქურანა ცხენი მიიკვლევს გზას შინისაკენ. „ნიკიტამ სადავე აკრიფა და მხოლოდ ეკავა იგი, ცდილობდა არ შეერხია მისი ტოტები და თავისი საყვარელი პირუტყვის ჰკუას შემხაროდა.

— ერთი ეგაა, რომ ენა არა აქვს, — თავისთვის ბუტბუტებდა ნიკიტა, — დახე რას იკეთებს! მიდი, მიდი, აბა შენ იცოი ეგრე, ეგრე... რა ჰკვიანია!.. ერთი შეხე, უჭრით რასა სჩადის. არაფერი ტელეგრაფი არ სჭირდება. ერთ ვერსზე გრძნობს უველაფერს.“

ძაღლებს მგელი დაუხსნტათ. „როდესაც თხრილთან მივირბინეთ, მგელი უკვე აღარხად



იყო და ორივე ძალიან ბრბანანი სხიმი დაბრუნდა ჩვენთან, კუდები აეფშიათ; ბუღა შემიღრენდა და თავით მეჭიკავებოდა, ეტყობა, უნდოდა რაღაც ეამზნა, მებრძო ვერ ახერხებდა.“ („ბუღა და მგელი“).

თუმცა, ბოლოს და ბოლოს, სიტყვები არც თუ ისე აუცილებელია. სულიერ არსებებს შორის სიტყვების გარეშეც შეიძლება მჭიდრო და განუწყვეტელი ურთიერთობა, — გამომხედვის, ინტონაციების, რაღაც თავისებური ინტუიციების მეშვეობით.

„ღევიშა ძალიან მიუშვა. კარგად ნაპატივები წაბლა ცხენი ძალის დანახვაზე აწრიალდა, სხვა ცხენებიც აბოჟირდნენ. ლასკა შეჩერდა, დაცინვით შეხედა ცხენებს და მერე კითხვის გამომხატველი მზერა შეაშტერა პატრონს. ღევიშა დაუსტვინა, რაც ნიშნავდა, უკვე შეიძლება“. ლასკამ ფრინველის სუნი იკრა. „იმ ადგილის მისაკვლევად უკვე გარშემოვლა დაიწყო, რომ უცერად პატრონის ხმამ მოიქცია მისი უურადლება.“

— ლასკა! აქეთ! — დაუძახა მან და მეორე მხარეს მიუთითა.

ლასკა ერთხანს შეეშინებოდა, პატრონს ეკითხებოდა, იქნება ასე სჯობია, რომ გორც მე ვაპატიებო, მაგრამ პატრონი შეუწყრა და ბრძანება გაუშეორა“.

ფრუ-ფრუ დოღშია. „სწორედ იმ წამს, როცა ვრონსკიმ გაიფიქრა, ახლა კი უნდა გავუხსნო მახოტინსო, თვითონ ფრუ-ფრუ მიუხვდა მხედარს ჩანაფიქრს, ყოველგვარი წაქეზების გარეშე კარგა გვარიანად უმატა ქენებას და სწორედ თოკის მხრიდან, საიდანაც ყველაზე ხელსაყრელი იყო, წამოეწია მახოტინს. მახოტინმა არ დაუთმო თოკის მხარე. ერთი კი გაიფიქრა ვრონსკიმ, გარეთა მხრიდანაც შეიძლება გავსწრო, რომ ფრუ-ფრუმაც ფახი იცვალა და სწორედ გარეთა მხრიდან შეიძლება გავსწრობას... ვრონსკი ირლანდიურ თარქს უახლოვდებოდა. ის ფრუ-ფრუსთან ერთად შორიდანვე ხედავდა ამ თარქს და ორივე, ცხენიც და მხედარიც, წუთით დაეკვდა. ვრონსკიმ ცხენს უურბავა გაუგებრობა შეატყუა და მათრახი შემართა, მაგრამ მაშინვე იგრძნო, რომ ეს ეჭვი უსაფუძვლო იყო; ცხენმა იცოდა რაც უნდა ექნა.“

ერთმა ჩემმა ნაცნობმა ქალმა მიაშხო: თურმე ჩვიდმეტი წლისა ისე შექმნილა, ქალაქიდან ფეხი არ გაუდგამს; ცხოველები, როგორც ყველა ქალაქელს, მახაც ცოტა ენახა, ხოლო ცოდნით კიდევ უფრო ცოტა იცოდა მათ შესახებ. როდესაც ტოლსტოის კითხვა პირველად დაუწყია და მისი მეშვეობით ცხოველებს გასცნობია, უცნაური ენით უთქმელი, თითქმის მისტიკური შიში დაუფლდებია. ამ შიშს ის იმ

ადამიანის ელდას ადარებდა, რომელმაც უცებ შენიშნა, რომ მის გარშემო ყველა უსულო საგანი ერთბაშად შეირბა, აჩურჩულდა და სულ სხვანაირი, იდუმალი ცხოვრება დაიწყო.

ტოლსტოისათვის მარტო ცხოველებში როდია ეს იდუმალი, მაგრამ ადამიანთა შორის ფახი სიცოცხლე — ის მცენარეებშიც არის ჩაბუდებული.

### პიკანსაპი

ტოლსტოი ბაღში ფრუ-ფრუს ფეხებიდან ამონაყარ ნორჩ ფშანებს ძირკვავდა. „ხანდახან კიდევ მენანებოდა, როცა ვხედავდი, როგორ ვჩებდით მიწაში მათ სლიკინა ფეხებს, როგორ ვეჭაჭურებოდით და ვერ კი ამოგვქონდა ფეხებჩაჩხილი ფშანები. ისინი გამწარებული ებლაუტებოდნენ მიწას და სიკვდილი არ უნდოდათ. ვიფიქრე, ამათ აღბათ კიდევ უნდა იცოცხლონ-მეთქი, რაკი ასე ძალუმად ჩაბლაუტებიან სიცოცხლეს... შემდეგში, როცა უკვე გვიანდა იყო, მივხვდი, არ ჰუნდა გამენადგურებინა ისინი. მე მეგონა ფშანები წვეწს სწოვდნენ ბებერ აღვის ხეს. პირიქით კი ყოფილა: მე მათ ვჩებდი, ბებერი აღვა კი თურმე კვდებოდა. უძვე ძარბა ხანი იყო, რაც კვდებოდა და მან ეს იცოდა, ამიტომ თავისი სიცოცხლე ფშანებისათვის ვაღაპცა“.

ხეებს სიარულიც შეუძლიათ, ცაცხვის ძირას შოთხვი ამოსულიყო. ცაცხვს დაეჩრდილა იგი. „შოთხვი, ცაცხვი არ მოგერიოსო და ბილიკზე გადასულა. როგორც ჩანს, შოთხვს უბრძვნიბ, მე ამ ცაცხვის ქვეშ დიდი დღე არ მიწერიო, მთელი ძალ-ღონით გაწეულა, მიწას კაპით ჩასქიდებია, ის კაპი გაუხდია ფესვად, ძველი ფეხვი კი დაუტოვებია.“ (ხაზავშვო შოთხრობები ბოტანიკაში: „როგორ დადიან ხეები“).

„აღვის ხემ იცოდა, რომ კვდებოდა“, „შოთხვმა იგრძნო, ამ ცაცხვის ქვეშ დიდი დღე არ მიწერიო“. ტოლსტოისთან ეს პოეტური ხაზები როდია, ეს არ არის უწყულო საგნებში ადამიანური გრძნობების შეტანა, როგორც ამას იგავთმწერლები შვრებიან ხოლმე. ვთქვათ, იმ ფორმით ვერა, რა ფორმითაც ადამიანი, მაგრამ თავისებურად აღვა და შოთხვიც გრძნობს და ხვდება რაღაცას. ტოლსტოის სული გაცხოველებით შეიგრძნობს მათ ამ იდუმალ სიცოცხლეს, — სიცოცხლეს, რომელიც ხეს ადამიანთან ანათესავებს.

ტოლსტოი ჭრის შოთხვს. „ყველა ხაქმის კეთება სახალისოა. ხის მოჭრაც თავისებურად სახალისოა. სახალისოა, ირიბულად, ღრმად რომ ჩააქდოზ ნაქახს და მერე კუთხედად ჩაჩხავ ანატექჩს, მერე მოუნაცვლებ და მოუნაცვლებ სიღრმეში. ვიღას ადარებდა შოთხვი, ახლა იმახლა ვფიქრობდი, რაც შეიძლება მაღე წამექცია იგი...“



ქოშინი რომ აშვიარდა, ნაჯახი ძირს დავდე, გლეხები მოვიშველიე და ზეს მივაწეკით, — წაქცევას შევეცადეთ. შევაქანეთ, ზეს ფოთლები აუთრთოლდა. თეთრი ყვავილების ზურ-ნელოვანი ფურცლები გადმოგვაყარა თავზე ამავე დროს, გეგონებოდათ შეძუვირაო, რაღაცამ დაიბრკილაა ხის გულში: წინ გადავწეკით, ხე თითქოს ატირდაო, ერთიკ გატკრციალდა შუაგულში და გადაიქცა. ის ამონაკოდთან გადახრა, დაცემისას ტოტები შეარხია და წუერებით და ყვავილებით ჩაწვა ბაღაბში.

— ეჰ, კარგი რამე კია, ეს დალოცვილი! — თქვა გლეხმა, — ცოდოა, ესეც ხომ ცოცხალია!

ბოლო მე ისე შემებრალა, ხაჩქაროდ მივა-შურე სხვა მუშებს...

კიდევ უფრო მტკიცეა ეს იდეალი, ცოცხალი დამოკიდებულება ადამიანებს შორის. გარეგნულად ისინი სიტყვებით ურთიერთობენ, მაგრამ რაღაცნაირი, განუზომლად ჟფრო ღრმა, მჭიდრო და სამართლიანი ურთიერთობის ძალით მათი სულები სიტყვების გარეშეც წამდა. უწყუმი თანხედებთან ერთმანეთს.

„ — რაო, მარიანა, უური მოვკარი, უფროსი დაუყენებიათ თქვენსა? — უთხრა ლუკამ და მისკენ მიიწია.

მარიანამ, როგორც ხჩევოდა, მაშინვე არ უპასუხა და წელა ახედა ყაზახებს. ლუკას თვალები უცინოდა. თითქმის რაღაც მნიშვნელოვანი, საუბართან აინუნშიც რომ არ იყო, ისეთი რამ ხდებოდა მასა და ბოგოს შორის“.

ნიკოლაი როსტოვი ომიდან შინ მობრუნდა და სონიას შეხვდა. „როსტოვმა ხელზე აკოცა მას და თქვა — მიმართა. მაგრამ მათმა თვალებმა, როცა ერთმანეთს შეხვდნენ, შენობით მიმართეს და ნაზად აკოცეს ერთმეორეს, სონია თავისი გამოხედვით პატიებას ითხოვდა იმის გამო, რომ ნატაშა მოციქულობისას გაკადნიერდა და შეითბა, პირობაზე როგორა ხარო. ნიკოლაი თავისი გამოხედვით მადლობას უხდოდა მას თავისუფლების შეთავაზებისათვის“.

თავადი ნებლიუდოვი შეხვდა დას. „მათ პირმცინარებმა გადაკოცნეს და შეათვალიერეს ერთმეორე, ის იდეალი, ენით უთქმელი და მრავლისმეტყველი მზერა ესროლეს ერთმანეთს, რომელშიც ყველაფერი სიმართლე იყო, ბოლო სიტყვებში, რომლებიც მერე ერთმანეთს უთხრეს, უკვე აღარ იყო ეს სიმართლე.“

მაგრამ ხშირად შეხედვაც კი არ არის საჭირო. ადამიანები ხწორედ რომ ბრძნობენ ერთმანეთს.

ნიკოლაი როსტოვი პარაკლისს ესწრება ეკლესიაში. „მან მაშინვე იცნო მარია, ოღონდ

იმდენად პროფილტო არა, რამდენადაც სიფრთხილის, შიშისა და სიბრალულის გრძნობით, უმაღლესი რომ დაეუფლა.“

ანდრეი ბალკონსკი: „ის ოდნავ აღმწებულ იყო და უაღრესად ნათელი თიქრები მასდოდა. სონია მაგიდას უჭდა. თავადი ანდრეიმ ჩათვლიდა, უცებ ბედნიერების შეგრძნება დაეუფლა.“

სიცოცხლით სავსე

— ა, ეს ნატაშა შემოვიდა! — გაიფიქრა მან. მართლაც, სონიას ადგილზე ახლახან ფეხაკრეფით შემოსული ნატაშა იჭდა. იმ დღიდან, რაც მას სონია უვლიდა, ის ყოველთვის განიცდიდა მისი სიბნელების ამ ფიზიკურ შეგრძნებას“.

უხეში, თავისი არსით სტემატური სიტყვა მხოლოდ ამაზინებებს იმ ნატიფ ურთიერთობას, რომელიც სულებს შორის მყარდება.

თავადი ანდრეი სიუვარულში გამოუტყდა ნატაშას. „ანდრეიმ მზერა მიაპყრო ნატაშას და ქალის სახის პირქუშმა, ვნებიანმა გამომეტყველებამ განაცვიფრა.“ „რა საჭიროა შეკითხვები? — ეუბნებოდა ეს სახე, — რად შეგაქვთ ექვი იმაში, რაც შეუძლებელია არ იცოდეთ? რა საჭიროა ლაპარაკი, როცა სიტყვები ვერ გამოხატავს რასაც გრძნობთ?“

თავადის ქალი მარია ბალკონსკია ჩამოდის მომავლადი ძმის სანახავად. „მან თვალები შეიმშრალა და ნატაშას მიუბრუნდა: გრძნობდა, რომ მისგან ყველაფერს შეიტყოდა და გაიგებდა.“

— როგორ... — შეკითხვა წამოიწყო მან, მაგრამ უცებ მოხშიპა, იგრძნო, რომ არც შეკითხვა და არც პასუხი სიტყვებით არ შეიძლებოდა, ნატაშას სახე და თვალები ყველაფერს ჟფრო ნათლად და მრავლისმეტყველად ეტყოდნენ“.



ნათელს გამოსცემს ქვეყანა. სიცოცხლის ყველგანგამწვდომი, განუწყვეტელი მაჭიხცემა მსჭვალავს სამყაროს. ადამიანის გულიც ბედნიერებით აღსავსე ფეთქავს ამის პასუხად.

„რა უნდა ისურვო, რა უნდა ინატრო ამაზე მეტი? — წერს ტოლსტოი „ლიუცერნში“ — აჰა, ყოველი მხრიდან სილამაზე და პოეზია შემოგზვევია. დაეწაფე მას სულმოუთქმელად, დაეწაფე რაც შეგიძლია, ინეტარე, — რა გინდა მეტი! შენია ყველაფერი, ყველა სიკეთე შენია!“

რაც უფრო ძალუბად ფეთქავს სიცოცხლე, რაც უფრო მეტად ბედნიერია ადამიანი, მით უფრო აღწევებულია და მშვენიერი იგი, მით უფრო ღრმად და სრულყოფილად გაეგება მას „ყველაფერი, რისი გაგებაც ღირს ცხოვრებაში“.



„ასეთი ბედნიერი ნატაშა არასოდეს უფიქრია მის სიცოცხლეში. ის ბედნიერების იმ უმაღლეს საფეხურზე იმყოფებოდა, რომ ცა აღამიანი სულის ბორცვებზე ამოიწრო და პარტი ხდებოდა და ბორცვების, უბედურებისა და სიმწუხარის არსებობა არა სჭერდა.“

ამასვე განიცდის პიერის.

„შემდეგში პიერს ხშირად გახსენებია უფუნურობის ეს ბედნიერი ხანა. უფელა თვალსაზრისი, რომელიც მან ადამიანებზე და გარემოებებზე დროის ამ მონაკვეთში შეიმუშავა, მისთვის სამუდამოდ ქვემარტ თვალსაზრისად დარჩა. მას არამცთუ არ გამოუცვლია ეს შეხედულებები ადამიანებსა და საგნებზე, არამედ პირიქით, შინაგანი დაეპყვებების და განხეთქილებების დროს სწორედ იმ აზრს მოიშველიებდა ხოლმე, რომელიც ამ უფუნურობის ხანაში შეეშუშავებინა და ისიც დასტურ მართებული გამოდგებოდა.

„მე მაშინ, — ფიქრობდა იგი, — ქვეიანი და გამჭრიახი ვიყავ ვიდრე ოდესმე და უმაღლესი ბაგმებოდა, რისი გაგებაც ღირს ცხოვრებაში, იმიტომ რომ... ბედნიერი ვიქნები.“

პიერის უფუნურობა ის იყო, რომ უწინდებურად აღარ ელოდებოდა პირადულ მიზეზებს (რომელთაც ის კაცურ ღირსებებს უწოდებდა). რათა ადამიანები შევარებოდა; მისი გული ისედაც პირთამდე სავსე იყო სიყვარულით და რაკი უმიზეზოდ უყვარდა ადამიანები იმ უიქველ საბაბსაც პოულობდა, რომლის გამოც ღირდა მათი შევარება.“

ბედნიერება და სიხარული საქვეყნოდ აშკარავენ ბოროტს ცხოვრებაში, თვალსაჩინოს ხდიან მის შემწარავობას.

„ჰო, ჰო, ჰო! ხა, ხა, ხა! უჰ, უჰ! — იხუფლა ქარისკაცებს შორის ქანმრთელმა და ხალისიანმა სიცილმა, რობრობით ჩაუყვარებებს და ფრანგებსაც გადაედო მათდაუნებურად. ამის მერე თითქოს ჩახმაზები უნდა დაეშვათ, უმბარები აეფეთქებინათ და თავ-თავიანთი სახლებსათვის მიეშურებინათ.

მაგრამ თოფები ისევ გატენილი „რჩებოდა, მებრძოლები ისევ პირგამებულები იმზირებოდნენ სიმაგრეებიდან, ხოლო საწევრებიდან გამოხსნილი, მოტრიალებული ქვემეხები ერთმანეთს ემიზნებოდნენ.“

თავისი ნათელი სხივებით ბედნიერება თვალსაჩინოდ აშუქებს ადამიანთა ყოფის სიძაბუნეს, სისაყრეს და ხელოვნურობას.

წვეულება თავად ვასილი კურაგინის კარზე. შევარებულები, პიერი და ელენი, ერთმანეთის გვერდიგვერდ სხედან. „თავადის მეუღლემ დაბღვერილმა გადახედა თავის ქალიშვილს, გვერდით მჭდომს ღვინო შესთავაზა და მწარედ ამოი-

ოხრა, — თითქოს ეუბნებოდა: „ეჰ, ჩემო კარგო, ამიერიდან მე და შენ შარბათები უნდა ვსვამთ. რა დაგვრჩენია მეტი, ახლა ამ ახალგაზრდების დროა, აწი მავათ შეშენით ასე კადნიერად, სხვების გულის გასაღებად იმედირონ“. — „ო, რა თავს ვოგდებ, რას ვუყვები, ვითომც მაინტერესებდეს!“ — ფიქრობდა სახეგადარული შევარებულები და დიპლომატი — „აი მესმის ბედნიერება“.

„იმ ნამცეც-ნამცეცა და გულისგარე ინტერესებს შორის, რომელიც ამ საზოგადოებას კრავდა, ლამაზ და ქანსად ახალგაზრდათა ურთიერთტოლვის უბრალო გრძნობაც გაერია, ამ ადამიანურმა გრძნობამ უველაფერი დაჩრდილა და მთელ ამ ნაძალადევ მუხაიფებზე გაბატონდა. ხუმრობა უკბილო იყო, ახალი ამბები — ფინტერესო, მზიარულება — აშკარად მოჩვენებითი; გეგონებოდათ ხანთლების შუქიც კი მარტო ამ ორი ბედნიერი არსების განათებას ლამობსო.“

ბოორნე ამბობს: „იყო ბედნიერი, ესეც ერთგვარი ხატოებაა“. ტოლსტოისათვის ეს უდიდესი ხატოება და უდიდესი დამსახურებაა.

გალოთებული მუსიკოსი ალბერტი ქუჩაში გდია და ითოშება: უცებ მოეყურა, თითქოს მეგობარი მუსიკოსი ბრბოს წინაშე ამართლებს მას: „მერე რა, თუ თქვენ გძულდათ იგი მერე რა, თუ ამცირებდით და აწამებდით მას, ის მაინც შეუდარებლად უფრო მაღალი იყო, არის და იქნება, ვიდრე რომელიმე თქვენთაგანი. ის ბედნიერია, ის კეთილია, ქედი მოიდრიკეთ მის წინაშე, დაიჩოქეთ!“ — დიას, ის უველაზე პარტი იყო, — უველაზე ბედნიერი!“ მისდაუნებურად ფიქრობდა ალბერტი გუნებაში... უახლოეს ეკლესიაში წარებს რეკდნენ და წარებიც იმეორებდნენ: „დიას, ის უველაზე კარგი იყო, — უველაზე ბედნიერი!“ სადღაც შორს წეცაში გუგუნით ამბობდა წარი: „თქვენ საბრალო გგონიათ იგი, არაფრად არ აგდებთ, ის კი უველაზე კარგია, — უველაზე ბედნიერი!“

დოხტოვესკისთან ასე იქნებოდა: „ის უველაზე კარგია, — უველაზე უბედური!“



ტოლსტოი მოგვითხრობს ნებლიუდოვის შესახებ: „იმ ზაფხულს, მაშიდებთან, მას პირველად დაეუფლა ის აღმაფრენა, როცა უმაწვილი კაცი დამოუკიდებლად შეიცნობს სიცოცხლის მთელ მშვენიერებასა და სიდიადეს და იმ საქმის მთელ მნიშვნელობას, რომელიც ადამიანს აკისრია ცოცხალ სამყაროში... ღვთივგაჩენილი საწუთრო მას იდუმალეზით აღსავსე



ეჭუტებოდა და სიბარულოთ ატანილი ესწრაფო-  
და ამ საიდუმლოს ამოცნობას.

თვითონ ტოლსტოისთვისაც წუთისოფელი  
ნათქმამაიდუმლოთი არის აღწილი. სიბარულოთ  
ატანილი ესწრაფვის ისიც ამ საიდუმლოს გა-  
გებამამოცნობას. რაშია სიცოცხლის ღირე-  
ბუტება? რაშია ბედნიერება? რისი გულისთვის  
ცხოვრობს ადამიანი?

## II

### შეცნობის წესი

ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს დოს-  
ტოევსკი გონებისა და ლოგიკის საზომით უდ-  
გება. რა გონივრული საყრდენი უნდა გააჩნ-  
დეს ადამიანს, რომ თავისი მოუვასი უყვარ-  
დეს. — ზნეობრივი და კეთილშობილი იყოს?  
რა ლოგიკა აიძულებს მას ცხოვრობდეს და  
პატივს სცემდეს სიცოცხლეს. თუკი გარდაუვა-  
ლი სიკვდილი ელის? მაინც რა აზრი აქვს ამ  
ბედშივ. საშინელებებით აღსავსე ცხოვრება?  
ვერც ერთ ამ კითხვაზე გონება ლოგიკურ პა-  
ხუბს ვერ გაგვცემს. სხვაზე უკეთ დოსტოევ-  
კის მოეხსენება. რომ გონებას არ უწერია, სა-  
კუთარი ძალებით გადაჭრას მსგავსი საკითხე-  
ბი: გონებას მარტოოდენ ის შეუძლია, რომ  
ცნობიერებას გადასცეს ღრმა და ფარული  
გულისთქმები, მაგრამ ეს გულისთქმები დოს-  
ტოევსკისთან სამარესავით დუმს; პანუხს ვერ-  
საიდან ვღებულობთ. და ამა, — ამოვბად იქცა  
სიცოცხლე, თავზარდამცემი და უაზრო შეიქნა,  
ურველგვარი შინაგანი ღირებულება დაკარგა,  
მხოლოდ გარეშე სანქციის წყალობით თუდა  
დაეძვრა მას რამენაირი ფასი.

საზოგადოდ, ტოლსტოი გონებას უადრესად  
უნდობლად ეკიდება, მიიჩნია, რომ რთულბუნე-  
ბივანი სიცოცხლე სიტყვების, აზრებისა და  
მრწამსების შეზღუდულ ჩარჩოებში ვერ ეტე-  
ვა. თვალსაზრისთა სიმტკიცე და გარკვეულო-  
ბა სიცოცხლესმოწვევითილობის საუკეთესო მოწ-  
მობაა.

„კოლიტიკის, ფილოსოფიის, ღვთისმეტყველე-  
ბის სფეროებში კარნინი ან დაეჭვდებოდა  
ხოლმე. ანდა თვითონ გამოიძიებდა რასმე, მაგ-  
რამ ბელოვნიებისა და პოეზიის, უფრო კი მუ-  
სიკის საკითხებში, რომელშიც ანა-ბანაც არ  
გაეგებოდა, ყველაზე გარკვეული და მტკიცე  
შეზღუდულებზე გააჩნდა“.

ლევინის უფროსი ძმა, მეცნიერ-თეორეტიკო-  
სი კოზნიშევი „არასოდეს არ იცვლიდა თავის  
შეზღუდულებებს ხალხის შესახებ და არც ადა-  
მიანებისადმი თანაგრძნობას დალატობდა“. ლე-  
ვინი გაცილებით ახლოს იცნობდა ხალხს. „მაგ-  
რამ მასთან კამათში კოზნიშევი უოველთვის გა-  
მარჯვებული გამოდიოდა, რადგან მას ხალხზე

მის ზნე-ხასიათსა და გემოვნებაზე, სრულიად  
გარკვეული შეზღუდულებები გააჩნდა. კონსტან-  
ტინ ლევინს კი არავითარი გარკვეული და  
უცვლელი შეზღუდულებები არა ჰქონდა. ასე  
რომ, მათ დავაში კონსტანტინს უოველთვის  
აუვედრიდნენ, წინააღმდეგობაში იხლართებოდა“.  
კიდევ უფრო ნაკლებხანდოვანობა უნდა  
ცხოვრების ძირითადი საკითხებზე გადამწყვეტ  
კისრულობს. ყველაფერი, რაც ცხოვრებას  
აცოცხლებს, ტოლსტოის სულ სხვა სიბრტყეში  
ეგულება და არა იქ, სადაც სიტყვებით და ჩა-  
მოყალიბებული აზრებით ოპერირებენ.

„სპერანსკის ჭკუის მთავარი ნიშანი, რომელ-  
მაც განაცვიფრა თავადი ანდრეი, ადამიანური  
გონების ძლევამოსილებისა და კანონიერების  
უიპველი, ჟრუჭვი რწმენა იყო. როგორც ჩანს,  
სპერანსკის თავში არასოდეს მოუვიდოდა თა-  
ვად ანდრეის საყვარელი აზრი: რაც არ უნდა  
იყოს, მაინც შეუძლებელია ყველაფერ იმის  
გამოხატვა, რასაც ფიქრობ კაციო. ეტყობა  
სპერანსკი არასოდეს არ შეეჭვდებოდა, ვაბოთ  
სისულელეა ყველაფერი, რაც მშაშს და  
მიფიქრიანო.“

საცოდავი და უმწეო ბდება ადამიანი, როცა  
გონების, ცნებების, მსჯელობების და დასკვ-  
ნების კოდექსის ამარა ეგებება ცხოვრებას.  
ასეთივე უმწეო იქნებოდა ის უფილოსოფიო მე-  
ვიოლინე, რომელიც თუნდაც ყველაზე მშვე-  
ნიერი, მაგრამ მაინც მარტოოდენ ხემის ამარა  
შეეცდებოდა დაკვრას, სიცოცხლის საზრისი  
რადაც განსაკუთრებული, არაგონებრივი გზით  
შეიცნობა. არსებობს ასეთი შეცნობის წესი  
და ჭკუა-გონებასაც ისევე ამოაბგერებს მისგან  
სრულყოფილ, ცოცხალ, მძლავრ მელოდიებს.  
როგორც ხემი ვიოლინოსაგან.

„და ნატაშაც საბავშვო ოთახში გადიოდა, რა-  
თა თავის დედისერთა პეტიახათვის ეწოვებინა.  
კაციშვილი იმდენ ჭავრს ვერ გაუქარვებდა და  
იმდენ ბონიპრულს ვერ ეტყოდა, რამდენსაც  
სამი თვის ღლაპი, როცა მკერდთან მიიწვენდა  
და მისი პაჭუა ცხვირის ქსუტუნს და ცმატუნს  
მიაუურადებდა. „შენ ჭავრობ, შენ ეჭვიანობ, —  
ამბობდა პაწაწა კაცი, — გინდა სამაგიერო მი-  
უწეო მას; შენ გეშინია, მე კი აგერ ვარ ა, მე  
კი აგერა ვარ. ... და რა გაეწუბოდა, ეს ხომ  
ხალასი სიმაროლე იყო“.

ასევეა კიტისთანაც. „კიტის გული უგრძნობ-  
და, რომ მისი ბავშვი არამცთუ გადიას იცნობ-  
და, არამედ ყველაფერი ბაბებოდა და  
ბივრს ისეთსაც ხვდებოდა, რაც პრაპინ  
პრ იცნობდა და თვითონ დედამაც მხოლოდ მისი  
წყალობით შეიცნო და გაიგო.“

ჭკვიანი კარნინი ან კოზნიშევი შემწუნარებ-  
ლურად გაიღიმებდა და ნატაშას ან კიტის  
ჭკითხავდა: „განა რა იცის რქვენმა ბავშვმა, რაც



სხვას არავის გაეგება, — რას ხვდებიან, რას ამბობს ასეთ ბონივრულს? — რა თქმა უნდა, ვერც ნატაშა და ვერც კიტი პასუხის გაცემას ვერ მოახერხებდა და ჭკვიანი კაცებიც მხრებს აჩქრდნენ.

ნიკოლაი ლევინი კვდება. კონსტანტინე ლევინი, კიტი და მომვლელი აგაფია მიხაილოვნა თავს დასტრიალებენ.

„რამეთუ დაჰფარე ესე ბრძენთაგან და მეცნიერთა და გამოუცხადე იგი ჩვილთა ერმათა.“ — ფიქრობდა ლევინი თავის მეუღლეზე იმ საღამოს. მასთან საუბრისას.

ლევინს იმითომ კი არ გახსენებია სახარების სიტყვები, რომ მას თავი ბრძნად მოჰქონდა, მაგრამ ის კი არ შეეძლო არ სცოდნოდა, უფრო პაპიანი რომ იყო, ვიდრე მისი მეუღლე ან აბაფია მიხაილოვნა; არ შეეძლო არ სცოდნოდა, რომ მთელი თავისი სულიერი ძალების დაძაბვით ფიქრობდა სიკვდილზე. ისიც იცოდა, რომ ბევრი ჭკვიანი კაცი, რომელთა ნააზრევსაც ის კითხულობდა, ასევე ფიქრობდა სიკვდილზე, მაგრამ მათ იმის მუდმივი არ გაუგებრობათ, რაც აბაფია მიხაილოვნას და მის მეუღლეს. ხომ ასე ძალიან განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან ეს ქალები, — აგაფია მიხაილოვნა და კიტი, — მაგრამ ამ ერთში უეჭველად მგავდნენ ერთმანეთს: ორივემ იცოდა რა იყო სიცოცხლე და რა — სიკვდილი. მართალია, ისინი არამცთუ პასუხს ვერ გასცემდნენ იმ კითხვებს, რომელიც ლევინის წინაშე წამოჭრილიყო, არამედ ვერც კი გაიგებდნენ მათ, მაგრამ სიკვდილის მნიშვნელობაში ეჭვი მაინც არ ეპარებოდათ და იზიარებდნენ რა მილიონობით ადამიანის შეხედულებას, ერთნაირად უყურებდნენ ამ მოვლენას.

რადაც გაეგება ამ საიდუმლო სფეროში მიაეროშკას. „მას უყვირდა: ეს რუსები ყველანი ასე მიამიტიები რამ გახადა, და ნახვავლები რომ არიან, რატომ მარცხ პრაფირი იციან?“ რუსმა წარჩინებულმა არ იცის, ნადირი კი ხვდება: „შენ ფიქრობ რაზე ნადირია, სულელიაო? არა, კაცზე ჭკვიანია, ყველაფერს ხვდება... რა სულელია კაცი, რა სულელი!“

მის გარდაცვალებამ ლევინზე ძალიან იმოქმედა. „სიკვდილს ისე არ შეუძრწუნებია, როგორც იმის სრულმა უცოდინარობამ თუ საიდან იწყება, რატომ და რისთვის არსებობს, ან რას წარმოადგენს სიცოცხლე“. ლევინმა გადასინჯა თავისი შეხედულებები, ფილოსოფოსები წაიკითხა, მაგრამ ვერსად პასუხს ვერ მიაგნო, პასუხის მიწამგვანიც კი ვერაფერი იპოვა. „იმ კაცის დღეში ჩავარდნილიყო, რომელიც სურსათ-სანოვაგეს სათამაშოების და იარაღის

მალაზიებში ეძებდა... თუკი განგებ გაიხამდა ხოლმე თავს ფილოსოფოსების ან თავისთავად დაგებული ბაღეში, მაშინ თითქოს რაღაცის ხვდებოდასავით. მაგრამ საკმარისი იყო აზრთა ეს ხელოვნური წყობა დაევიწყა და იმას მიბრუნებოდა, რაც ცხოვრებისეულ გამოცდილებას მგვრიდა, რომ ეს ნაცოდვილად ბუხულასავით უცებ ინგრეოდა და იწივს რწყმუნდებოდა, რომ ეს ბუხულაც იმ აზრუნდ-გაზრუნდებისაგან ეოფილა აგებული, რომელიც ბონივრულ უფრო მნიშვნელოვანს არაფერს ემშარბოდა“.

ცხოვრებამ ლევინისათვის უოველგვარი აზრი დაკარგა. გულში თვითმკვლელობის ჭია შეძვრომოდა, მაგრამ ამასთანავე ერთი უალრესად უცნაური მოვლენაც შეინიშნებოდა. „როცა ლევინი დაფიქრდებოდა, ვინა ვარ და რისთვის ვცხოვრობო, პასუხს ვერ პოულობდა და სასოევრთებოდა; მაგრამ, როცა ამ კითხვებით თავს აღარ იტკივებდა, მაშინ, თითქოს ისიც იცოდა, ვინ იყო და — ისიც, რისთვის ცხოვრობდა, ვინაიდან თავდაჯერებულად და მიზანშეწონილად საქმიანობდა. ამ ბოლო ხანებშიც კი ბევრად ჭეფრო თავდაჯერებულად და მიზანშეწონილად ცხოვრობდა, ვიდრე უწინ.“

ლევინი თითქოს რაღაც ძალიან დიდხა და მნიშვნელოვანს მიუახლოვდა. ცოტაც და ხეში უჩინარი ვიოლინოს სიმებს შეეხება; ლევინიც აღმოაჩენს იმას, რაც აგაფია მიხაილოვნამ და ცხვირქსუტუნა პეტეამ, მიაეროშკამ და ნადირებმა იცოდნენ.

და უეცრად...

### III

#### ნიკანორის საზრისი

უეცრად ლევინმა გლეხის სიტყვებს მოჰკრათური:

„— ფოკანია სულის საცხოვრებლად ცხოვრობს, ღმერთს ესავს, — ალაღ-მართალი კაცია, ღვთისნიერი.“

ამ სიტყვებმა ლევინის სულში ყველაფერი ყირაზე დააყენა. „შენი თავისთვის კი არ უნდა იცხოვრო კაცმა, არამედ — ღმერთისათვის.“ ურწმუნო ლევინი უცებ მიხვდა, მხოლოდ იმ ქრისტიანული რწმენის წყალობით რომ უცხოვრია, რომელშიც აღიზარდა. „რისი მაქნისი ვიქნებოდი, რწმენა რომ არ მქონოდა და არ მცოდნოდა, ღმერთისთვის რომ გვმართებს ცხოვრება — არა ჩვენთვის. ალბათ ერთი მძარცველი, თვალთმაქცი და მკვლელი გავხდებოდი.“ ის რადაც გაუცნობიერებელი, რომელიც სულის სიმტკიცეს უნარჩუნებს ლევინს ქრისტიანული ღმერთი აღმოჩნდა. „სიკეთის იმ სჭულისკანონით, გამოცხადებით რომ ეუწყა



ქვეყნიერებას.“ სწორედ ეს სძენს, ლევინის განმარტებით „სიკვდილ-სიცოცხლის ცოდნას აგაფია მიხარლოვნას და კიტის. მილიონობით ადამიანი ცხოვრობს და პოულობს სიცოცხლის საზრისს მხოლოდ და მხოლოდ ქრისტიანული რწმენის წყალობით.

მაგრამ ლევინის წინაშე, როგორც თვითონვე შეატყუო, „ხაზიფათო“ კითხვამ წამოყო თავი: „კი მაგრამ ებრაელები, შამადანიები, კონფუციანები, ბუდისტები, — ისინი რაღას წარმოადგენენ?“ ლევინი პასუხობს: „სხვადასხვა სარწმუნოების და ღვთაებასთან მათი დამოკიდებულების საკითხს მე ვერ გადავჭრი და არცა მაქვს ამის უფლება. თუ ასეა, ქრისტიანული რწმენის საკითხის გადაჭრის უფლება ვიღამ მისცა მას, რა უფლებით მიიჩნია, ადამიანება ერთადერთი მხოლოდ ქრისტიანობის მორალური შინაარსი ანიჭებს სასიცოცხლო ძალასო?

ამაოდ ველით ტოლსტოი-მხატვრისაგან ცოცხალ სახეებში დაგვიხატოს ლევინის მიგნებული სიცოცხლის საზრისი. „კიტის აღარასოდეს წავეჩხუბები და ვინც არ უნდა მესტუმროს, თავაზიანად მოვექცევი.“ მაგრამ კიტის ლევინი ისევ წაეჩხუბება და საბოლოო დასკვნასაც გამოიტანს: „მეეტლე ივანსაც ისევ გავუჭავრდები, ისევ ვიდავებ... მაგრამ ჩემი ცხოვრება ახლა არამცთუ უწინდებურად უაზრო არ არის, არამედ სიკეთის ექვემდებარებული საზრისი აქვს და მე უფლებამოსილი ვარ ცხოვრებას დავესაზო იგი“.

კი არ „დავუსაზო“ ან თუნდაც „დავუსაზავ“, არამედ უფლებამოსილი ვარ დავუსაზო!“ და მაინც რა უნდა დაუსაზოს? „კიტის აღარასოდეს წავეჩხუბები, ვინც არ უნდა მესტუმროს, თავაზიანად მოვექცევი“. და აქამდე უაზრო ცხოვრებას ერთბაშად საზრისის შუქი მოეფინება! აი ის მაცხოვრებელი პური, რომელსაც ბოლოს და ბოლოს მიაგნო ლევინმა. მაგრამ ეს პური ხომ პაპიემაშესგანაა გამომცხვარი. ლევინი საზრდოს სათამაშოების და იარაღის მაღაზიებში ეძებდა და, როგორც ჩანს, ერთ-ერთ მაღაზიაში შეაჩერეს კიდეც ეს პური.

მაგრამ როგორ ვერ მიხვდა ლევინი, რომ ეს პური პაპიემაშესგან იყო გამომცხვარი? დღესავით ნათელი ამბავია: ლევინი საზრდოს ეძებდა — მშიერი კი არ ყოფილა, ამიტომ პურის ნაცვლად პურის ტლანჭი მინამგვანი შეატყუებს იოლად. სიცოცხლის საზრისის საკითხი მისთვის წმინდა გონივრული საკითხი იყო; თავისი სულის არაცნობიერ სიღრმეში მან მტკიცედ იცოდა, „ისიც, თუ ვინ იყო ის და ისიც, თუ რისთვის ცხოვრობდა“. აი, რატომ დასჭერდა იგი ასე იოლად თავის ნაჩქარევ, მიფურჩეჩებულ, არაფრისმეტყველ პასუხს.

მაგრამ მართო ლევინი არ პოულობს ტოლს-

ტოისთან ცხოვრების აზრს სიკეთეში. მისი გმირების ჟმეტებსობა ამავე დასკვნამდე მიდის. მათანაც გამოვიძიოთ, რა საზრისია ეს საზრი-

... სიკეთე რომ ანიჭებს ცხოვრებას? ლევინი წევს ტყეში. მას ბედნიერების შეგრძნება დაეუფლა. მთელ გარეხინამდვილესთან ერთიანობის გრძნობამ აიტაცა გულში მყოფი ლევინის სიყვარულის განცდამდვილესთან გრძნობას ლევინი გონებით ანაწევრებს და აანალიზებს, ისეთნაირ ყალიბში უპირებს მოქცევას რომელში მოქცევაც მას არ უწერია.

„როგორ უნდა ვიცხოვრო, ბედნიერი რომ ვიყო, და ადრე რად არ ვიყავი ბედნიერი? და იგი გონებდა განვლილ ცხოვრებას და თავისი თავი შესძაგდა. საშინელ, ბირკეშულ ეგონის-ტად წარმოუდგა თავი; და სწორედ მაშინ ვიყავი ასეთი, როცა არაფერი მჭირდებოდაო... და უცებ თითქოს ახალი სამყარო იხილა“. აი რა ყოფილა ბედნიერება. — გულში იზრახა მან, — ბედნიერება ისაა, რომ სხვებისთვის იცხოვრო. ეს დღესავით ნათელია... რისი წადილის შესრულება შეგვიძლია ყოველთვის, თუნდაც ცხოვრება არ გვათამამებდეს? რისი? სიყვარულის, თავის დამდაბლების და მსხვერპლად მისვლის! „იგი ისე ააღელვა, როგორც მას ეგონა, ამ ახალი კეშმარიტების აღმოჩენამ, რომ ზეზე წამოხტა და სულმოუთქმელად მოჰყვა იმის გამოძიებას, ახლავე ვის ვემსხვერპლოო“.

გადაწყვიტა: „სიყვარულის აბლაბუდა უნდა გავაბა გარშემო: ვინც კი მოხვდება, ხელი უნდა ვტაცოო.“ მაგრამ, ვაი რომ, შიგ არავინ გაეხა. გარშემო მეტისმეტად დიდი მწერები დაფრენენ, ლაღად დაშხუილობენ პაერში, ნებაზე გადი-გამოდიან ლევინის ფარატინა აბლაბუდაში. ფხრეწენ და, ასე განსაჩეთ, ვერც კი ამჩნევენ მას და თვითონ სიყვარულის ობობაც ნელ-ნელა ხვდება, რომ აბლაბუდის კუთხეში ქდომას ათახწილად უჭობს პაერში ფრენა. „ხანდახან ლევინის ავიწყდებოდა ბედნიერების ახალი წამალი რომ ბჭონდა აღმოჩენილი, და ფიქრობდა. მეც ძალმიძს ძია ეროშკას შევეთვისოო: მაგრამ უმაღ მოეგებოდა გონს და მაშინვე მსხვერპლად მისცლის აზრს ჩაიდებდა გულში“.

გარშემო მყოფ ადამიანებს კი მისი წამალი არა სჭირდებოდათ. „აქ ადამიანები ისე ცხოვრობენ, როგორც ბუნების წესია: კვდებიან, იბადებიან, მამრი და მდედრი უღლდებიან, კვლავ იბადებიან, შუღლობენ, სვამენ, ჭამენ, იხარებენ და კვლავ იხოცებიან. და მათთვის არავის დაუსაზღვრავს რაიმე მიჯნა, გარდა იმისა, რაც ბუნებას უცვლელად დაუდგენია მზისა, ბაღახისა, ნადირისა და ხეთათვის. სხვა წესი მათ არ იციან... და ამიტომაც ერვენებოდა, ეს ადამიანები ჩემზე რაოდენ მშვენიერნი, ძლიერნი,



თავისუფალი არიანო, და მათ უცქეროდა, რცხვენოდა და ღონდებოდა, ასეთი რაღა ვარო."

ოლენინს ცხოვრების საღერდელი ზეშელება, — ლამაზი მარიანკას სიყვარულის ცეცხლი გაუძლიერდება, დაიმართლებს და ძალით ჩაკოცნის. „უველაფერი მიქარვია, რაც ადრე მიფიქრია: სიყვარულიც, მსხვერპლად თავის გადადებაც, ერთადერთი, რასაც წყალი არ გაუვა, ბედნიერება: ვინც ბედნიერია, მართალიც ისაა. — გაუელვა ოლენინს გულში."

მაგრამ ბედს მაინც ვერ ეწია. ნასკვის წვერის საპოვნელად ოლენინმა იხევ თავის წარსულს მიმართა. მაგრამ თუ უწინ უველაფერს იმას აბრალებდა, რომ „ჭირვეული ეგოისტი იყო“, ახლა ეს აღარ მიაჩნდა მიზეზად.

„უცადე უახლოვით მეცხოვრა, — წერს იგი. — და უფრო მძლავრად ვიგრძენი რა სუსტი ვიყავი! მარ, რამდენ დასახიჩრებულს უწევდა ჩემი პრესება, ვმრც ჩემი თავი დავივიწყებ და ვმრც დახლებულს, დასახიჩრებულს წარსულს... ჩემს უფაში უსაშინლესი და უტკბესი ისაა, რომ ვგრძნობ, მარიანასი მესმის-მეთქი, ხოლო თვითონ ვერასოდეს გამოგებს მე. იმიტომ კი არა, რომ ჩემზე ნაკლებია. პირიქით, ვერც უნდა გამოგოს, იგი ბედნიერია: ბუნებასული დაწონახორებოლია. მზვიდია და თავის თავშივეა დადგენილი. და მე, დამახინჯებულს, უძლურს პრესებას მინდა, რომ მან განიკითხოს ჩემი სიმახინჯე და ტანჯვა, შე მიუვარს ეს ქალი. აქ ტკბობის წადილი ნაკლებადია. ეს სულ სხვა რამ არის ამ სიუპარულით ჩემი თავის ღმერთის მოცემული ძვეანის განუყოფელი ნაწილი მბონია. ადრე გწერდით იმ ახალ მრწამსზე, მართლმეტა ცხოვრებამ რომ ჩამაგონა. ჩემ გულში ამ მრწამსზე ძვირფასი არაფერი ხადგურობდა. მაგრამ მოვიდა სიყვარული და იგი გაქრა, და სინანულიც არ მიგრძენია ამის გამო. ახლა ისიც კი მიკვირს, რომ რაღაც ფასს ვდებდი ასეთ ცალმხრივ, გაუინულ, გონებისმიარ რწმენას. მოვიდა მზვიდნიერება და მტვრად მიქცია ამდენი ხნის ასეთი კაპანწყვეთით გამოტანჯული აზრი და მრწამსი. და არც ვნანობ რაც გამოქარდა და რაც განვაგდე. მსხვერპლად თავის დადება სისულელეა, სიბიძება. ეს ამბარტანობაა, ამით სურს კაცს, რომ განმარდოს სამართლიანად მოვლენილ უბედურებას, ანდა სხვისი ბედნიერების შური ჩაიკლას გულში. სიკეთე ვქნა? რატომ? ახლა აღარ მიუვარან ეს სხვები, ჩემი ცხოვრება ჩემს ხელთ აღარაა. არის ჩემზე ძლიერი რამ, რომელიც წარმართავს ჩემს სიცოცხლეს. მართალია, ვიტანჯები. მაგრამ მკვდარი ვიყავი და გავცოცხლდი."

რომანი უღიმღამოდ და უგემურად თავდება მარიანა. ცოტას გაწუდა. ცოტუნებას არ აქუა და კონაღამ მდიდარ „იუნკერს" მიხთხოვდა. მაგრამ ლუკაშკას სიკვდილის შემდეგ ზურგი შეაქცია ოლენინს.

„— გამეცალე უკეთურო! — დაუპვირა გოგომ. იატაკს შექარით დამკრა ფეხი და მისკენ გაიწია. და იმგვარად შეხვედრეს მტრებს და გაბოროტება აღებუდა. [ხანძარი] [ხანძარი] ოლენინი უმაღლე მიხვდა, ერთი ბეწო იმედოც აღარ უნდა მქონდესო."

ის სამუდამოდ წავიდა ხტანიციდან. საცოდავი სანახავი იყო მისი გამგზავრება. უველა ძალიან გულგრილად მისჩერებოდა მიმავალს, თითქოს მას ამ ადამიანებს შორის არც უცხოვრიყო. და ცხადი ზდება: ოლენინი იმიტომ კი არ შეიქნა უველასათვის უცხო, რომ თავგანწირვის სიმაღლეზე დგომა ვერ შეძლო, არამედ იმიტომ, რომ მასში სიცოცხლე არ აღმოჩნდა. — ის სიცოცხლე, რომელიც ღვარად მოედინებოდა მის გარშემო მყოფ ადამიანებიდან: ლუკადან, მარიანადან, მია ეროშადან.

„მემაშულის დილაში" თავადმა ნებლიუდოვმა აღმოაჩინა, „მისი კკუით, სრულიად ახალი ქეშმარიტება": — ბედნიერება სიკეთესა და სხვისთვის თავგადაგებაშიაო. მაგრამ ისიც ოლენინივით დარწმუნდა, ეს ქეშმარიტება უღელური და ცხოვრებაში ურგები რომაა." ზოგჯერ თითქოს კმაყოფილიც ვარ ჩემი თავის, მაგრამ ეს რაღაც მშრალი, გონებისუელი კმაყოფილებაა. თუმცა რაღაც კმაყოფილი, სულაც უმადური ვარ ჩემი თავისა! უმადური ვარ, რადგან ბედნიერება ვერ მიგრძენია, არადა მინდა, გულით და სულით მწადია ბედნიერება."

ვრონსკის ღალატის შემდეგ კიტიმ საზღვარგარეთ სხვებისთვის თავგადასული ვარენკა გაიცნო. კიტიმ სხვებზე ზრუნვით და მოყვასის სიყვარულით მოგვრილი ბედნიერება იწვინა: ავადმყოფებს უვლიდა, სიყვარულსა და სხვებზე ზრუნვაში ეძებდა თავდავიწყებას. მაგრამ სულ მალე გაგულისებულმა მიახალა ვარენკას:

„— ეს ყოველივე თვალთმაქცობა იყო, უველაფერი მოგონილი იყო და გულიდან არ მოდიოდა. რა მესაქმებოდა უცხო ადამიანებთან, ამ, რა სისულელეა! რა საძაგლობაა!... არა, ახლა უკვე ამაზე აღარ წამოვეგები. ვიყო, ბატონო, ცუდი, ოღონდ პირფერი და მატყუარა ნუ ვიქნები! მაგათ როგორც უნდათ ისე იცხოვრონ, ჩემი საქმისა კი მე ვიცი, სხვისი აყოლა მე არ მარგია..."

კიტი ვარენკას შეურჩედა. „მაგრამ სამყარო, რომელშიც იგი ცხოვრობდა მთლიანად შეიცვალა. კიტის არ უარუყვია ყოველივე. რაც შეიცნო, მაგრამ მიხვდა, თავს იტუებდა. როცა



ეგონა შემიძლია ისეთი გავხდე, როგორც მინდოდა. ის თითქმის გამოფხიზლდა და სუფთა პერზე გამოხვდა მოუნდა საჩქაროდ.

„სიკეთის საზრისი“ პიერ ბეზუხოვმაც იპოვა მასონთა მოძღვრებაში. თურმე აქამდე მხოლოდ იმიტომ იყო უზნეო, როგორც თვითონ ეგონა, რომ, რაღაც ეშმაკად, გადაევიწყებინა, რაოდენ კარგია, ეწეოდნენ ქველმოქმედებას. ჩვენ ვნახეთ, როგორ გამოიჭაბა პიერი ტყვეობაში. ის უკვე უცხო, უარყოფელი გრძნობით იხსენებდა მასონობისდროინდელ აღმოჩენებს.

და ახლა სიკეთის საზრისის ყოველ მაძიებელთან, რომელიც კი ტოლსტოიმ მხატვრულად გამოსახა, „სიკეთის საზრისი“, რომელსაც ისინი ძალად ჩურთავენ ცხოვრებაში, ისე აშკარად უნაყოფოა, ისე უგვანი, რომ მხოლოდ გვაღიზიანებს, ღამის ზიზღიც მოგგვაროს. თავადმა ნებლიუდოვმა „აღდგომაში“ თავი კათიუსა მასლოვას ანაცვალა. ციმბირის გაუბერნატორთან კარგი ხადილის შემდეგ რბილ სავარძელში მოკალათებული ნებლიუდოვი ბეთშოვენის სიმფონიას ისმენდა. „როიალი თეთრია, საუცხოო, სიმფონიასაც კარგად უკრავენ. ნებლიუდოვი მშვენიერ ანდანტეს უსმენდა და უცებ იგრძნო, რომ ცრემლები აღჩაობდა: თავისი თავი და ყველა თავისი ნაკიკაცარი ენანებოდა.“ და ჩვენც მხურვალედ თანაუგრძნობთ მასლოვას, გაუფიქრებელი რომ ფიქრობს ამ ქველმოქმედებაზე: „მე ვიცნობ ამ კაცს და არ დავუთმობ, არ დავანებებ ხულიერადაც ისევე გამომიყენოს, როგორც ზორციელად გამომიყენა, — მისი სულგრძელობის იარაღად არ გადავიქცევი.“

ხანდახან შეიძლება მართლა ისე მოგვეჩვენოს თითქმის ტოლსტოი შეგნებულად გვიხატავდეს „სიკეთის საზრისი“ ასეთ მახინჯ ფორმებში, თითქმის მკითხველისათვის მართლა ამის თქმას აპირებდეს: არა, ბატონო, რაშიც ვნებავთ იმაში მოინახება სიკეთის საზრისი, სიკეთეში კი — არა!

მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ახე არ არის. პირიქით, ტოლსტოი მხურვალედ თანაუგრძნობს სიკეთის საზრისის სიკეთის სფეროში მაძიებლებს, ჭიუტად გვიხატავს მათ თავის თითქმის ყველა ნაწარმოებში „ყრმობით“ დაწყებული და „აღდგომით“ გათავებული; ძალღონეს არ იშურებს, რათა მკითხველსაც შთაუწეროს აზრი, სიკეთის საზრისი სწორედ სიყვარულსა და სხვისთვის თავგადადებაშიაო. მით უფრო ნიშანდობლივია მარცხი, რომელიც თან სდევს ტოლსტოის ამ საქმეში. თითქმის მხატვრის წინაშე რაღაც გადაუღალავი ჯლუდე აღმართულაო, ისევ და ისევ მოეჭანება იგი მის გადასალახად, მაგრამ ამაოდ.

მისი გმირების ხანიათი სრულიად არ შეე-

ხაბამება „სიკეთის საზრისი“, რომელსაც ისინი ცხოვრებას მიაწერენ. კიდევ უფრო ნიშანდობლივი ის არის, რომ ეს შეუსაბამოა სულ არავითარ ტრადიციას არ ქმნის მათ სულში. დოსტოევსკის კირილოვი ამბობს: „ღმერთი აუცილებელია და ამიტომაც უნდა იყოს, მაგრამ მე ვიცი, რომ ღმერთი არ არის და არც შეიძლება იყოს. ნუთუ არ გესმის, რომ ადამიანთა გაორებული ფიქრით არ შეიძლება ადამიანთა იცოცხლოს?“ ეს მართლაც რომ ნამდვილი, უსაშველო ტრაგედიით გამოწვეული შეშის ჯარია. არანაკლებ ტრაგიკული უნდა ყოფილიყო ტოლსტოის გმირების მდგომარეობაც. თითქმის ყველა მათგანს უნდა ეთქვა: „სიკეთის საზრისი, ცხოვრების საზრისი მხოლოდ სიყვარულსა და სხვისთვის თავგანწირვაშია, მაგრამ ჩემში არც სიყვარულია და არც სხვისთვის თავგანწირვა შემიძლია. ნუთუ არ გესმით, რომ ასეთი გაორებული ფიქრით არ შეიძლება ადამიანთა იცოცხლოს.“ მაგრამ ტოლსტოისთან ტრაგიზმის ნატამალიც არხადაა. თითქმის თავისი სულის არაცნობიერ სიღრმეში ის რაღაც ისეთს ატარებს, რომელზედაც ყოველგვარი ტრაგიზმი იმსხვრება და ცაშტვრდება.

1908 წლის აგვისტოს ტოლსტოის ვესაუბრე იასნაია პოლიანაში. საუბარმა მაშინ ძალიან განმაცვიფრა. სიტყვა სწორედ ამ ტრაგიზმზე ჩამოვარდა, — როცა ადამიანი ხვდება, რომ, ვთქვათ, უმადლესი ბედნიერება სიყვარულის ბედნიერებაა, მაგრამ არ ძალუძს განიცადოს იგი, არ არის მასში სიყვარული, — ის ერთდერთი რამ, რასაც ბედნიერების მონიჭება შეუძლია.

ტოლსტოიმ გაოცებისაგან მხრები აიჩეჩა. — მე თქვენი ვერ გამოვიგია. თუ ადამიანი მიხვდა ბედნიერება სიყვარულშიაო, მაშინ იცხოვრებს კიდევ სიყვარულით. თუკი მე ბნელ ოთახში ვდგავარ და შუქი მჭირდება, ხოლო გვერდით ოთახში შუქს ვხედავ, რანაირად არ წავალ სადაც შუქია?

— ლევ ნიკოლაევიჩ, აკი თქვენივე გმირების მაგალითზე ჩანს, რომ ეს არც ისე იოლია. ოლენინი, ლევინი, ნებლიუდოვი, ძალიან კარგად ხედავენ სადაცაა შუქი, მაგრამ იქ წახვლა არ ძალუძთ.

მაგრამ ტოლსტოი მხოლოდ მხრებს იჩეჩდა, ეტყობა მას გულწრფელად სურდა გავგოს ეს „ტრაგიზმი“; მეკითხებოდა. ყურადღებით, გულდასმით მისმენდა.

— მაპატიეთ, ვერ მივმხვდარვარ! თვით სიტყვა ტრაგიზმიც კი, ეტყობა, ყურს სჭრიდა, როგორც შუშაზე გახშული რკინის ბრაჟუნი. ტუჩები ღიმილმა მოუქცია.

— ტრაგიზმი! ჩამოვიდოდა ხოლმე ჩემთან



ტურგენევი და ისიც სულ გაიძახოდა: ტრპ-ბიზ-მონ. ტრპ-ბიზმონ...

ეს სიტყვა მან ისეთნაირად წარმოთქვა, რომ სადღაც სინდისის ქენჭნაც ვიგრძენი. უცნაურმა, ახირებულმა აზრმა გამიელვია: არსებობს კია, მართლა და მართლა, ცხოვრებაში რამენაირი ტრაგიზმი?

მე მგონია, მხოლოდ ახლა ვუღებ ალლოს ამ უცნაურ საუბარს; ახლადა ვუხვდები უკანასკნელი ათწლეულის ტოლსტოის იმას, რასაც ადრე ხრულიად ვერ ვუხვდებოდი.

ტოლსტოის გმირების უმრავლესობას საერთოდ არ გააჩნია ქველმოქმედების და სხვებზე ზრუნვის ცხოვრების უნარი. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც ნიადაგ ქველმოქმედებასა და სხვებზე ზრუნვაში ცხოვრობენ. ტოლსტოი-მხატვრის მათთან დამოკიდებულება არანაკლებ ნიშანდობლივია.

ჩერ ერთი, ასეთი გმირები საოცრად ცოტაა მასთან. თავადის ასულ მარია ბალკონსკაიასთვის რელიგიური სჯა-ბაასია დამახასიათებელი და არა ქმედითი სიყვარული. ქმედით სიყვარულში ის არც ცხელია, არც — ცივი. ნატაშა, მაგალითად, მზურვალედ უჭერს მხარს თავისი ქმრის პიერის განზრახვას, ილვანოს ხალხის საკეთილდღეოდ. მარია უარყოფითად ეკიდება ასეთ საქმიანობას და აი რატომ: „პიერი ამბობს, ყველანი იტანჯებიან, ყველანი ეწამებიან, ზნეობრივად ეცემიან და ჩვენი ვალაია, მოყვასს ვუშვებოთო. ცხადია, ის მართალია, ოღონდ ავიწყდება, რომ ჩვენ სხვა უფრო უანდოესი მოვალეობებიც გვაქვს, რომლებზეც თვით ღმერთმა მიგვიბრუნა. ჩვენ შემგვიძლია თავი გავვიმეტოთ, გავშვებოთ, გავშვებოთ უფლებს არა გვაძებს.“ (აქი ასე ნათლად და გარკვევით გვამცნო ღმერთმა: „მტერ იყვნენ კაცისა საბლუღლნი თვისი“.)

არის კიდევ „ალდგომაში“ ერთი კეკლუცი თვალმარლი რევოლუციონერი ქალი, მარია პავლოვნა. „როგორც მონადირეა დაინტერესებული ნადირის პოვნაში, ისე მისი ცხოვრების მთელი ინტერესი სხვებზე ზრუნვისათვის საბაბის შიგნება იყო, და ეს გატაცება ჩვეულებად, ცხოვრების მთავარ საქმედ აქცია.“ მაგრამ ეს ქალი უფერულად და სქემატურადაა დაბატული. ის დიდი და ვრცელი სურათის სიღრმეში ჩაკარგული მკრთალი სილუეტია.

დარჩნენ ვარენკა, „ანა კარენინაში“, და სონია, „ომსა და მშვიდობაში“.

ვარენკა სხვებზე თავგადაკლული ადამიანის ნიმუშია. ის არასოდეს თავის თავზე არ ზრუნავს, მუდამ იქ მიეშურება, სადაც შველა და

შემწეობა სჭირდებათ. ავადმყოფებს უვლის, მუდამ უშფოთველი, მშვიდი და მოუწყონარია. ვრონსკისგან ზურგშექცეულმა კიტიმ საზღვარგარეთ ვარენკა გაიცნო. „ვარენკას მაგალითზე კიტი მიხვდა, ოღონდ კი თავისთავი დაევიწყა და სხვა შეუვარებინა და გულშიც საგულეს ჩაუდგებოდა და მშვენიერ ბასილზეც იქნებოდა. კიტისაც ეს უნდოდა, მაგრამ კარგად შეიგნო, რა იყო უმბრძოლესი, უსულო და უღატაკი ამ ახალადმოჩენილ ცხოვრებას.“

მაგრამ უფერული, უღიმღამო და სიცოცხლენაკლული სულის პატრონია ვარენკა. ოდესღაც ვარენკასაც ჰყვარებია. შეუვარებულის დედა მათი შეუღლების წინააღმდეგი ყოფილა და ვაჟსაც სხვა შეურთავს. ვარენკა ამ ამბავს კიტის უყვებოდა. მას ოდნავ შეეფაკლა ლამაზსახე იმ ცეცხლით, რომელიც, როგორც კიტი გრძნობდა, ოდესღაც მთელ სახეს უციხროვნებდა ვარენკას. ახლა უკვე „მარტოსულს, გულდაწყვეტილს თბვისთვის არაფერი სურდა და სხვისთვის აღარაფერი ენანებოდა. ის მშვენიერ, ჯერ კიდევ ფურცლებს გაუცვინელ, მაგრამ უკვე შემშპნარ სურნელდაპარულ ხვავილს ვგავდა.“

მას აკლდა ის, რაც ესოდენ ჰარბად ჰქონდა კიტის: — სიცოცხლის დაუნჯებელი გზება.

შეურაცხყოფელი და დამამცირებელია ამ სასიცოცხლო გზების უქონლობა, რაც ვარენკას კოწიშევთან ტრაგიკომიკურ რომანშიც გამოვლინდა. სოკოს შესაგროვებლად ხეტილისას, ისინი ცდილობდნენ სიყვარული აეხსნათ ერთმანეთისათვის, მაგრამ მათ, როგორც კიტი ამბობს, „არ გამოუდით“.

„კოწიშევი გუნებაში იმ სიტყვებს იმეორებდა, რომლითაც ვარენკასთვის ხელი უნდა ეთხოვა. მაგრამ ამ სიტყვების ნაცვლად, რაღაც ეშმაკად, ასე ჰკითხა:

— რა განსხვავებაა თერთა სოკოსა და არყა სოკოს შორის?

ვარენკას მღელვარებისაგან ტუჩები უთრთოდა, როცა სუბასუბა:

— ქუდებით თითქმის არ განსხვავდებიან. მაგრამ ძირები აქვთ სხვადასხვა.

როგორც კი ეს სიტყვები ითქვა, ერთიც და მეორეც მიხვდა, რომ ყველაფერი გათავდა და სათქმელი უკვე აღარ ითქმებოდა. ისინი დარცხენილები დაბრუნდნენ უკან. ორივე ერთნაირ გრძნობას განიცდიდა, ისეთს, გამოცდაზე ჩაპრილი მოსწავლე რომ განიცდის. „ის საღამოს ლევანს და კიტის სიყვარულის გულდა გაუხსდათ და თავს მეტად ბედნიერად გრძნობდნენ. ისინი რომ ასე შემხაროდნენ ერთმანეთს ეს ერთგვარად უსიამოვნო იყო იმათთვის, რომელთაც იგივე სურდათ, მაგრამ არ გამოხდილათ, რის გამოც სირცხვილით იწვოდნენ.“



„იგივე სურდათ, მაგრამ არ გამოსდიოდით“... და შედეგადაც სხვისთვის თავგანწირვა, მბრძოლის დავიწყება და სხვისი სიყვარული მივიღეთ. ეს „შესაშურ სიმშვიდეს გვანიჭებს და ღირსებას გვმატებს.“ მაგრამ რა ფასი აქვს ასეთ თავგამეტებას? მხატვარი თითქმის უოქტუნაირად მზად არის იგივე გაიმეოროს, რაც ერთხელ უკვე თქვა ოლენინის პირით: „მხვერპლად თავის დადება სისულელეა. ამით სურს კაცს, რომ განერიდოს სამართლიანად მოვლენილ უბედურებას. ანდა სხვისი ბედნიერების შური ჩაიკლას გულში“.

სონია, ნატაშა როსტოვას მამიდაშვილი, ასევე სხვებისთვის თავშეწირული პიროვნებაა. ის მორჩილად ამბობს უარს ნიკოლაი როსტოვის ცოლობაზე, უოფილი საქმროს ოჯახში ცხოვრობს, მის შვილებსა და მოხუც ქალბატონს უფლის. „მაგრამ ძალაუნებურად უოველივე ამაში ნაკლებად ემადლიერებოდნენ.“ ნატაშამ რძალთან საუბრისას ასეთი აზრი გამოთქვა სონიაზე:

„— იცი, რას გეტყვი: შენ ხომ ბევრს კითხულობდი სახარებას; იქ ერთი ადგილია, სონიაზეა შედგამოჭრილი: „რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს: და რომელსა არა აქუნდეს და რომელსა-იგი აქუნდეს მოვედლოს მას“. ხომ გახსოვს? სონიაზეა ნათქვამი, რომელსა არა აქუნდესო. ნეტა რის გამო? არ ვიცი, ან იმნებ ეგონიშმი არ არის მასში, — ვერ გეტყვი. მაგრამ მას „მოელება“ და „მოედო“ კიდევ უველაფერი... ის უშუაშვაპილბა, მე მოვკვდე — აი. ხენდროზე რომ იცის, ხანდახან შემებრალემა ხოლმე, ხან კი მგონია, ის ვერცა გრძნობს ამას, როგორც, ვთქვათ, ჩვენ გიგრძნობდით მის ადგილას.“

არის კიდევ „ანა კარენინაში“ „საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე მზრუნველი“ ერთი კეთილშობილი კაცი. ეს არის კოზნიშევი, ლევი-ნის უფროსი ძმა.

„კონსტანტინ ლევინს ძმა კეთილშობილ კაცად მიაჩნდა, ამ სიტყვის უმაღლესი გაგებით, და თვლიდა, რომ მას საზოგადოებრივი მოღვაწეობის ნიჭი მქონდა მომადლებული, მაგრამ რაც უფრო ახლოს ეცნობოდა ძმას, მით უფრო ხშირად ფიქრობდა, რომ საზოგადოების საკეთილდღეოდ მისი ამ მოღვაწეობის უნარი, ვინძლო, ღირსება კი არა, ნაკლი უფრო იყო, სიკეთის, პატიოსნების, კეთილშობილური ზრახვების ან გემოვნების უკმარისობა კი არა, არამედ სასიცოცხლო ძალის ნაკლებობა, ანუ იმ მისწრაფების ნაკლებობა, რომელიც ცხოვრების უთვალავ გზებში ერთს აგვარჩევინებს და ერთს გვასურვებს. რაც უფრო ახლოს ეცნობოდა ძმას ლევინი, მით უფრო ამჩნევდა, რომ სერგეი ივანოვიჩიც და ბევრი სხვა საზოგა-

დოებრივი მოღვაწეც გულის ხმას კი არ მიეცვანა ხაერთო საქმისადმი სიყვარულთან, არამედ გონებით განეხატათ, ასეთი საქმიანობა კარგი უნდა იყოსო და მხოლოდ ამიტომ მისთვის მისთვის ხელი.“

მგონი სათითაოდ ჩამოვთვალეთ ტოლსტოის უველა ის გმირი, რომელიც უკვე უნდა გვხვდეს „დებს ცხოვრებაში, ანუ უკვე უნდა გვხვდეს რომ ჩადოს. ამ განხილვის შედეგი იმდენად გასაოცარია, რომ კითხვა გვებადება: კი მაგრამ, რანაირად შეიძლება სიკეთისადმი ასე პირწმინდად უარყოფითი დამოკიდებულება გააჩნდეს კაცს, რომელიც დაბეჭიბებით ქადაგებს, ცხოვრების საზრისი სწორედ სიყვარულსა და სხვისთვის თავგამეტებაშიაო? ადამიანები თავგამოდებით ნერჯავენ ცხოვრებაში“ სიკეთის საზრისს, „სხვაზე ამოსდით მზე და მთვარე“, მწერალი კი ამბობს: „ეს აღსასრულია, ეს სულთა ამოხდენაა“ ვარენკას „სიცოცხლის დაუწყებელი გზება“, აკლია, კოზნიშევის — „სასიცოცხლო ძალის ნაკლებობა სჭირს“, ხონიაში „ეგონიში არ არის“. გადაიგდო რა „სიკეთის საზრისის“ უღელი, ოლენინმა შესძახა: „მკვდარი ვიყავი და გავცოცხლდი!“

— სიკეთე! სიყვარული! სხვისთვის თავგამეტება! — იმეორებენ ტოლსტოის გმირები და მათთან ერთად ტოლსტოი — ქადაგი.

— სიცოცხლე! სიცოცხლე! სიცოცხლე! — ედავება მათ ტოლსტოი — ზელოვანი.

მაინც რა არის ეს სიცოცხლე?

#### IV

### სიცოცხლით სავსე სიცოცხლე

ტოლსტოი წერს: ჩემთვის რომ არჩევანის უფლება მოეცათ: დედამიწა ისეთი წმინდანებით დაასახლდნენ, როგორიც გერარიანება, ოლონდ იქ ბავშვების გაჭანება არ იყოსო, ანდა ისეთი ადამიანები შეარჩიე, როგორებიც დღესდღეობით ცხოვრობენ ოლონდ მათ ღვთის წყალობით ბავშვები ემატებოდნენ და ემატებოდნენო, — მე ამ უკანასკნელს ავირჩევდი.“

ეს დაიწერა 1902 წელს, როცა ტოლსტოი უკვე კარგა ხნის დარწმუნებული იყო თავის მოძღვრებაში, რომლის თანახმადაც, სიცოცხლის საზრისი სიკეთეშია. ისეთი წმინდანები, როგორიც ტოლსტოის „ეპარიანება“, რა თქმა უნდა, უველაზე უკეთ განაზოციელებენ დედა-მიწაზე „სიკეთის საზრისს“, რაზეც მწერალი ოცნებობდა. და ამის მიუხედავად, ის უპირატესობას თანამედროვე ცოდვილ საზოგადოებას ანიჭებს, ოლონდ ეგ არის, მათ ბავშვები უნდა იყლიდონ. აშკარაა, რომ ტოლსტოი ბავშვებში რაღაც ისეთს ამჩნევს, რაც უფროსების



რეთი იგაბიწიწედოშელ წმინდანობასაც კი აღ-  
მატებდა. მაჩნც რა შეამჩნია მან ბავშვებში ასე-  
რი?

ნიკოლოზმა ირტენიევმა დიდდილობით მდინარეზე დადგა, „იქ ჩრდილში წამოვწვებოდი ბალახზე და ვტკებოდი მდინარის ლილისფერი ზედაპირის ცქერით, ან კიდევ გაღმა მხარის მწიფე ქერის უანების ქვრეცით და ისეთ ნორჩი სიყვავილის ძაღვს ვგრძნობდი, როგორც რომელიმე გარშემო ბუნება ფრთქავდა.“

თავადმა ანდრეიმ სახვევ პუნქტში „გადატა-  
ნილი გაქირვების მერე ნეტარება იგრძნო.  
დიდი ხანია მსგავსი რამ არ განეცადა. მისი  
უბოვარების უველა საუკეთესო, ჭბედნიერესი  
წუთი, განსაკუთრებით უველაზე ადრეული ბავშ-  
ვობა, როდესაც ბაღში ჩამხობილი თავს  
ბედნიერად მარტო იმის შეგნებითაც  
გრძნობდა, რომ ცოცხალი იყო, ისე მკა-  
ფიოდ წარმოუდგა თავადწინ, თითქოს წარსულ-  
ში კი არ განეცადა ესენი, არამედ აწმყოში.“  
ახევრე ლევონიც გაფოთებული იხსენებს თავის  
ბავშვობას, თავის „სიციცხლის ხალისის წრე-  
გადასულ შეგრძნებას.“ და მომაცდავი ივან  
ილიჩიც იმავე ბავშვობას იხსენებს გუნებაში:  
„იქ, ბავშვობაში იყო რაღაც ისეთი, რითაც  
იცხოვრებდა კაცი თუ შესაძლებელი ყო-  
ფილიყო გავშვობის დაგრუნება“.

წიგნში „სიკოცხლის შესახებ“ ტოლსტოი წერს: „ბალისიანი სიკოცხლე შემოგვხვევია უოველი მხრიდან. ბავშვობის ხუთ პირველი მოგონებებიდან მოყოლებული ვგრძნობთ მის ჩვენში ხუფევას. რომელ ცოცხალ ადამიანს არ დაუფლებია ერთხელ მაინც. — თუნდაც ყველაზე ადრეულ ბავშვობაში, — გულაჩუხების ის ნეტარი გრძნობა, რომლის დროსაც გინდა ყველა და ყველაფერი გაუვარდეს: მახლობლებიც, ბოროტი ადამიანებიც, მტრებიც, ძაღლიც, ცხენიც, ბალახიც; ერთი, ერთადერთი რამ გინდებოდა მხოლოდ, — რომ ყველა კარგად იყოს, ყველა ბედს ეწიოს.“

შემთხვევით როდი უტრიალებს ტოლსტოი  
ჩიუტად სიცოცხლის შეგრძნებას, რომელითაც  
ბავშვები გამოირჩევიან. სიცოცხლის ამ შეგრძ-  
ნებაში მისთვის რაღაც დიდი სიმართლე იმა-  
ლება. უფროსებმა დაკარგეს ეს სიმართლე  
„ლიუცერნში“ ის წერს:

„უბადრუკია შენი ჭკუა, უბადრუკია ბედნი-  
ერება, შენ რომ გწადია, თვითონაც არ იცო-  
რა გინდა, შენ ბედშაფო... ხოლო საღად ბავშ-  
ვები უყურებენ ცხოვრებას. მათ უშვარტ  
და იცინან ის, რაც უნდა უშვარტის ადა-  
მის შვილს, რაც ბედნიერებას გვანიჭავს.  
თქვენ კი იმ ზომამდე წაგახდინათ ცხოვრებამ,  
ისე აგზინიანთ დავთრები, რომ აბუჩად იგ-  
დებთ იმას, რაც ასე გიუვართ. და იმასღა დაე-

ძეგო, რაც გეზიზღებათ და გაუბედურებთ.

პატარების სულში ჩაბუდებული ეს სიძარ-  
ღე ტოლსტოის მარტო იმ ბავშვებში კი არ  
ეგულება, რომლებსაც უკვე შეუძლიათ შეიგ-  
ნონ ცხოვრების ბედნიერება ანუ ნატაშას  
კიტის აღუა ბავშვი. ჩვილს ცნობიერების ნა-  
ხაშიც კი არ გააჩნია, უკველი კაცი იტყვის:  
ზორცის ნაჭერიაო. ტოლსტოი, განა-  
ცარი დამაჭრებლობით გვიჩვენებს, რომ ა  
ზორცის ნაჭერს „უველადიერი გაეგება და ბიშრს  
ისეთსაც ხვდებდა, რაც სხვამ არაბინ  
იცის.“ ასეთივე დამაჭრებლობით გვიჩვენებს  
იგი, რომ ნადირმა და, ასე განსაქეთ, ბებერმა  
აღვაშაც კი იცის.

ამ ბოლო დროს საყოველთაო ყურადღება მიიპყრო ფრანგმა მოაზროვნემ — ანრი ბერგსონმა. ბევრი რამ არის მასთან სადავო, ბევრ რამეში ძნელად დაეთანხმები კაცი, მაგრამ ზოგიერთი მისი ძირითადი მოსაზრება უაღრესად მნიშვნელოვანია. ყოველი გონიერი, გულისხმობი ადამიანი რა ხანია ბუნდოვნად გრძნობს ზღვივს, რასაც ბერგსონი ამბობს. ნაოლად, მკაფიოდ და ღრმად გრძნობდა ამას ლევ ტოლსტოი. ბერგსონი ამბობს: „ჩვენ ოდენ გონიერი არსებები როდი ვართ. ჩვენს გონებაჰყვრებით და ლოგიკურ აზრებს გარს იმავე არსებისაგან წარმოქმნილი გაუმშვირალი ბურუსი ახვევია. რომელი არსების ხარჯზეც ბრწყინვალე ბიოთვი, ჩვენი გონებაა აღმოცენებული. ამ ბურუსში კიდევ არის ძალები, რომლებიც გონების დანაშაუად გვევლინება: ჩვენ მხოლოდ ბუნდოვნად ვგრძნობთ ხოლმე მათ, როცა თავს გაუღდასმით ჩავუყვრდებოდით“.

ერთ-ერთი ასეთი ძალთაგანი ინსტიტუტია. გონების წინამორბედ საფეხურად მიხი მიჩნევა, დიახაც დიდი შეცდომაა. ეს ორი ძალა ინტენსივობით როდი განსხვავდება ერთმანეთისგან მათ შორის საერთოდ არ არის ბარიზობრივი სხვაობა, არამედ თვით მათი არსებებია განსხვავებული. მათ სიცოცხლის შეცნობის სრულშია სხვადასხვაგვარი წესები გააჩნიათ. რომელიმე ცხენის ზღმურდლას ან ნებვის ზოკოს სრულშია არა აქვს ინტელექტი; არადა მათი ინსტიტუტის სიბრძნე გასაოცარია. შეუძლებელია ამ სიბრძნის ინტელექტთან დაკავშირება. ასევე შეუძლებელია ინტელექტის მისგან გამოყვანაც. იგი სიცოცხლის შეცნობის სრულშია განსხვავებული სახეა — ინტუიციური. „ის, რაც ინსტიტუტში არსებითია, ინტელექტუალური ტერმინებით ვერ გამოიხატება და, მაშასადამე, ვერც გაანალიზდება.“ ვითარდებოდა რა ინტელექტის მიმართულებით, ადამიანმა გზადაგზა ბევრი სხვა უნარი ჩამოიცილა, ცხოველებში კი, რომლებიც სხვა მიმართულებით განვითარდნენ, ეს უნარები ძლიერია. გონებაში ადამიანს ძალა



უფლება და ქვეყნის მეუფება მინიჭა, მაგრამ ამავე დროს დაავიწროვა კიდევ იგი, ცალკეა არსებად აქცია და მისი სხვა მიმართულებით განვითარება შეაფერხა. „საზოგადოოდ, ევოლუცია ცდილობს რაც შეიძლება პირდაპირი გზით იაროს, მაგრამ ყოველი სპეციალური განვითარება წრიული პროცესი გახლავთ. მონაბერი ქარისაგან ატეხილი მტვრის კორიანტელივით ტრიალებენ თავისივე თავის გარშემო სიცოცხლის დიდ მდინარეებს ჩამორჩენილი ცოცხალი არსებები.“ ასევე ტრიალებს ადამიანი თავისი გონების გარშემო და სიცოცხლის დიდი მდინარე გვერდზე ჩაუდის.

ჩვენ ჩვენის მხრივ დავსძენთ, რომ დროდადრო ადამიანში ისევ წამოყვავს ბოლმე თავს იმ დაკარგული უნარების ნაშთები, რომელთა შესახებაც ბერგსონი ლაპარაკობდა. გონება უცაბედად დაიხვეს უკან და წინ სხვა ძალა წამოიწევს. თავისებური, ცნობიერებას და უმორჩილებელი გზებით ის ისე ღრმად ხწვდება და ისე ხავსებით ეუფლება გარემომცველ სიცოცხლეს, ისეთი თავდაჭერებით და სიზუსტით მოქმედებს, რომ გონება ამაზე ვერც კი იოცნებებს, სახლის მოაჯირზე მთვარეული მიბოდილობს, ღრმა ძილშია მისი ინტელექტი. ყოველი მოძრაობა მიზანშეწონილია და ზუსტია. მაგრამ ვაი მის წარსულს, თუ უცებ ინტელექტმა გამოიღვიძა და ინსტინქტის ხასწაულებრივ არაცნობიერ საქმიანობაში წაეჩინრა: რაც აქამდე საადვილო იყო, ახლა შეუძლებელი გახდება. ზოგჯერ დიდი საფრთხის წუთებში, ადამიანში უცაბედად გაიღვიძებს ინსტინქტის თავდაჭერებული, მშვიდი და გამჭრიახი ძალა, ჟღერს არათხოვებს თავგზააბნეულ გონებას, აინუნშიაც არ ჩააგდება, ზედმიწევნით ზუსტად აულებს აღდგომის ვითარებას და განსაცდელს აარიდებს ადამიანს. ერთი ორჯერ მაინც ყოველი ჩვენგანი გაოცებულა და ნეტარება უგრძნია ცნობიერების ფარგლებს გარეთ მოქმედი ამ მძლავრ, იდუმალი ძალის გამოღვიძებისაგან, იმავე საფრთხის დროს იქნებოდა ეს, მუშაობისას თუ თამაშისას.

ლევინი სწავლობს თიბვას. „გახურებულ მუშაობაში ლევინს ისეთი წუთებიც დაუდგებოდა, როცა საქმეს ყურს აღარ უგდებდა და მუშაობაც მაშინვე უიოდებოდა. ამ წუთში თითქმის ტიტხავით სწორი და კარგი სვრული გაქონდა. მაგრამ, როგორც კი გაიხსენებდა, რასაც იქმოდა და უკეთ გაკეთებას მოინდომებდა, მაშინვე თავისი საქმიანობის მთელ სიმძიმეს შეიგრძნობდა და სვრული უფუჭდებოდა... სულ უფრო ხშირად დგებოდა არაღნობიერი მოქმედების წუთები... ახლა უკვე ბელები კი აღარ იქნევდნენ ცეცხლს, არამედ ხეითონ ცეცხლს აეყოლებინა სიცოცხლით სავსე

სხეული, რომელიც სულ უფრო უკეთ უღებდა აღდგომის თავის თავს, და თითქოს რაღაც გადოსნობის წყალობით, საქმეზე ფიქრის გარეშე ხწორად და პირწმინდად ითიბებოდა ბაღახი. ეს ყველაზე სანეტარო წუთები იყო“.

დავუბრუნდეთ ბერგსონს: ინსტინქტის შესახებ, — ამბობს ის, — „უცხოებად იქნება უფრო ღრმად აღწევს სიცოცხლის უფრო უკეთ იმეცნებს მას, ოღონდ ეს შემეცნება ცხოველებთან ცნობიერების სახეს არ ღებულობს და მხოლოდ უახლოეს პრაქტიკულ სარგებელზეა მიმართული. ინტელექტს კი, რაკი სიცოცხლეს მხოლოდ გარეგნული თვალსაზრისით განიხილავს, საკითხის დასმა სიცოცხლის ყველაწიერი სიღრმის შესახებ შეუძლია. „სამბობს საბნებო, რომლის ძირზეა მხოლოდ ინტელექტს შეუძლია, მაგრამ მართლმაც. ტელექტი მათ ვერასოდეს ვერ იკმვის. მათი პოვნა მხოლოდ ინსტინქტს ძალუძს, ოღონდ ის არასოდეს არ დაიწყებს მათ ძებნას.“

ინტელექტი ბუნებით მოკლებულია სიცოცხლის გაგების უნარს. ინსტინქტი — პირიქით, სიცოცხლის ფორმების მიხედვითაა ჩამოსხმული. როცა ინტელექტი ყველა საგანს შექანიკურად განმარტავს, ინსტინქტი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ორგანულად მოქმედებს, რომ შეიძლებოდეს მასში მიძინებული ცნობიერების გაღვიძება და გარეგნული ნაცვლად მისი შიგნით, შემეცნებისკენ შეტრიალება, ჩვენ რომ შეგვეძლოს შევეკითხოთ, მან კი პასუხი გავცეს. მაშინ ის სიცოცხლის ყველაზე ღრმა საიდუმლოებას გაგვიმხილავნება... ინტუიცია ანუ ინსტინქტი, რომელსაც პრაქტიკული ინტერესი არ ექნებოდა და თავის თავის შეცნობა შეეძლებოდა, რომელსაც უნარი ექნებოდა ეაზროვნა თავის ობიექტზე და უხასრულოდ გაეფართოებინა იგი, — ასეთი ინსტინქტი შიგ სიცოცხლის წიაღში შეგვიყვანდა.“

მაგრამ ასე არ ხდება. ინსტინქტი — ეს უკვე ჩვენ გამოგვყავს დასკვნები ბერგსონიდან — ინსტინქტი ყველა თავისი ფესვით უბრალოდ იჭრება სიცოცხლის სიღრმეში, უფრო დედა და ერწყმის მას. გვიცავს, გვაიძულებს ვიცოცხლოთ, სიკვდილს გვაფიწებინებს, იბრძვის სიცოცხლისათვის. იბრძვის მის გასაგრძელებლად, მაგრამ ამასთან დუმს კიდევ და გაუმეღავენელად იმარხავს თავისი საქმიანობის საზრისს. ჩვენ კი ისე სუსტი ძაფებით ვართ მასთან დაკავშირებული, რომ, თუმც მხოლოდ მისით გვიდგას სული, ვერც მასა და ვერც თვითონ სიცოცხლეს ვირ ვბრძნობთ. ჩვენ გონების მეშვეობით ვაყენებთ კითხვებს სიცოცხლის შესახებ, ნაირ-ნაირ, ორკოფულ, წინააღმდეგობრივ პასუხს ვიძლევიან და გვგონია,



თითქმის პასუხების წყალობით მივათრევთ წუთისოფლის უღელს. როცა ცხოვრებას ზურგს ვაქცევთ, როცა ვკიცხავთ და წყევალა-კრულვას ვუგზავნით მას, მაშინაც ვფიქრობთ, ეს იმიტომ ხდება, რომ ცხოვრება პასუხს ვერ გვაძლევს ჩვენს მიერ დასმულ კითხვებზე. არადა მიზეზი სხვაა. მიზეზი ისაა, რომ ჩვენ საბოლოოდ მოვწყდით სიცოცხლეს, რომ ჩვენში სიცოცხლის ინსტიქტის უკანასკნელი ნიშატიც ჩაჯდა.

მხოლოდ ბავშვებშიღაა ძლიერი სასიცოცხლო ინსტიქტი, ეს „ცინცხალი, ახალთახალი ძალა სიცოცხლისა, რომლის შემწეობითაც ხუნთქავს მთელი გარემომცველი ბუნება“. სწორედ ამ ძალის წყალობით „გაეგება ბავშვს ყველაფერი და ბევრს ისეთსაც ხვდება, რაც სხვამ არაფერ იცის.“ ის გონებით კი არ იმეცნებს — მთელი თავისი არსებით შეიგრძნობს თვითმკმარი სიცოცხლის ღრმა და ამოუწურავ ღირებულებას. სიცოცხლით არის სული აღსავსე, სიცოცხლე მსჭვალავს ირგვლივ ქვეყანას და სწორედ გაუგებრობა, ახირება იქნებოდა გვეფიქრა: „რისთვის არსებობს სიცოცხლე?“ მხოლოდ ადამიანის სასიცოცხლო ინსტიქტის შემადრწუნებელმა გაბრწყინებამ მოიტანა ასეთი შეკითხვა, უაზრო და საცინოდ აღგადები რომ არის სიცოცხლის ინსტიქტის არსებობისა და გონების ვერა ძალისხმევით რომ ვერ გაეცემა პასუხი ამ ინსტიქტის ნაკლებობისა.

ასევე უაზროა საკითხი მოსალოდნელი სიკვდილის შესახებ. როგორც მზე ვერ დაინახავს ჩრდილს, ისე ვერც სიცოცხლე გრძნობს, დასადუჟად განწირული რომაა. „სერიოჟას (ანა კარენინას ვაჟიშვილს) სულ არ სჭეროდა სიკვდილი, რომელსაც ასე ხშირად უხსენებდნენ, არ სჭეროდა, რომ მისი საყვარელი ადამიანები შეიძლება დახოცილიყვნენ, მეტადრე იმის დაჭერება არ შეეძლო, რომ თვითონაც მოკვდებოდა, ეს მისთვის მთლად შეუძლებელი და გაუგებარი რამ იყო.“

ჩვენთვის კი სწორედ პირიქითაა: სიკვდილის მტკაცრელ გეწამს, შეგნებული გვაქვს, რომ მოკვდავები ვართ, გამუდმებით შევიგრძნობთ ამას, — სიცოცხლისთვის კი აღლო ვერ აგვიღია. ვერ შეგვიგრძნვია იგი და აზრადაც არ მოგვდის, რომ შეიძლება მისიც გვჭეროდეს. ხოლო ბავშვებს რომ სწამთ სიცოცხლის — ამას მათ უბრალოდ ვაბრალებთ. ყველაზე უფრო კი იმის გაგება გავგძნელებია, რომ სიცოცხლისადმი ეს ჩვენი სიბრძნე თვითონ გონების ბრალი არ არის, არამედ იმის, რომ სასიცოცხლო ძალის მარაგი მხოლოდ პირველ ორ ათწლეულში გვეოფნის ადამიანებს, ამის შემდეგ კი ეს ძალა კვდამას იწყებს.

ცოცხლები ბავშვები, ბავშვები არიან,

ჩვენ უკვე სიცოცხლე აღარ გვიხარია.

სიცოცხლისადმი ეს სიბრძნე და უგრძნობლობა ჩვენ დოსტოევსკისთან ვნახეთ. ღრმა, ლეტარგიული ძალით ხშირად მასთან სიცოცხლის ინსტიქტს. რა გონებრივი საფუძველი უნდა გააჩნდეს ადამიანს, რათა ეცხოვროს, უვარდეს, იმოქმედოს მუდმივად წუთისოფელი გაათრიოს? გონივრული საფუძველი არ არის და სიცოცხლეს მკარგავს შინაგან, მის წილიდანვე გამოსული ღირებულებას.

მხოლოდ იშვიათ წუთებში თუ გაიღვიძებს სიცოცხლის ინსტიქტი ამ ლეტარგიული ძალისაგან და წუნარად ჩახსურჩულებს დოსტოევსკის გონებითვერსაწვდომ ქეშმარიტებას.

„გაზაფხულის ღო“ — წებია ფოთლები მიყვარს, ლურჯი ცა — ქვარს, აი რა, ძმაო, — ამბობს ივანე კარამაზოვი, — აქ არც ჭკუაა და არც ლოგიკა, — გუმანით ხვდება, გულგვამით გიყვარს... გაიგე რამე, ალიოშა, ამ აბდაუბდის თუ ვერა?

— ძალიანაც კარგად გავიგე, ივანე; გუმანით ხვდება, გულგვამით გინდა რომ შეიყვარო, — მშვენივრადა ხოჭვი... მე მგონი, ქვეყნად ყველაზე უწინ სიცოცხლე უნდა გვიყვარდეს ყველას.

— სიცოცხლე უფრო უნდა გვიყვარდეს, ვიდრე სიცოცხლის ხაზრისი, არა?

— ასეა, ასე, ლოგიკის უწინ უნდა გვიყვარდეს, ხოლო მის საზრისს ამის მერედა თუ შევიმეცნებთ.“

ალიოშას ივანი ამ მიზანთან ახლოს მგონია. მაგრამ ჩვენ უკვე ვნახეთ, ალიოშა მწარედ ტყუვდება. გაცივებულ ფერფელში გამომბეჭავი სიცოცხლის უკანასკნელი ნაპერწკალი მას ის ცეცხლი ეგონა, სულის მკაფიოდ განათება და აგიზგივება რომ შეუძლია.

თვითონ ალიოშასათვის სიცოცხლის მარადიული საიდუმლო ისევე უცხო და შორეულია, როგორც ივანისათვის. რომანში ერთი შემადრწუნებელი სცენაა. ალიოშა გამწარებული ღოშნის მისთვის უცხო დედამიწას. მისი ეს სიზმაგე კიდევ უფრო შემზარავია ვიდრე მიწასმოწყვეტილი იპოლიტის ანდა თავადი მიშკინის წუხილი.

„ალიოშა სწრაფად ჩამოვიდა მარმალიდან. აღფრთოვანებისაგან გული საგულეს აღარა მქონდა. სულს გახაქანი. შურისგება და თავისუფლება მოსწყურებოდა; თავზე უზარმაზარი, თვალუწყვდენელი ცარგვალი გადმოშობოდა და უჩუმრად მოკაშკაშე ვარსკვლავებით გაჰედოლიყო... მიწიერი მღუშარება თითქოს ციურს ერწყმოდა. მიწიერი საიდუმლო ვარსკვლავიერს სწვდებოდა... იდგა ალიოშა, ცას შემყურებდა; უცებ მოცდელილივით დაემხო მიწაზე.“



მან არ იტოვდა, რისთვის ეკვროდა გულში დედამიწას, ან რად მოუწონდა ასე გამწარებით ეკონა იგი, უნდოდა მთელი დედამიწა დაეკონა, ატირებული, აწმუვლებული ლოწინდა მას. — ცრემლებით აღტობდა: გაშმაგებული იფიცებოდა, ეყვარებოდა, უკუნითი უკუნიხამდე ეყვარებოდა იგი. „სიხარულის ცრემლებით გააღტვე მიწა და ეს ცრემლები გიყვარდეს...“ ზარით გაიხმა მის სულში. რასა სტიროდა იგი? ო, ის ესოდენ აღტყინებული, იმ ვარსკვლავებსაც სტიროდა, უკუნ ბნელიდან რომ უნათებდნენ და ამ სიშმაგის არა რცხვენოდა...“

განცვიფრებული მიაჩერდებოდნენ ატირებულ ალიოშას ნატაშა როსტოვა ან ძია ეროშკა. როდენ უცხო და გაუგებარი იქნებოდა მათთვის მისი ფიცნილები უკუნითი უკუნიხამდე მუვარებოდა მიწა და სიცოცხლე! სული სიხარულით უერთდებოდა და ერწყმის მსოფლიო სიცოცხლეს, განა რა ფიცი და მტკიცია აქ საკირო, რის მაქნიხია იგი, ხომ არ მოჰყვება ბავშვი თავის თავის წინაშე ფიცილს, დედა მეყვარებაო, მაგრამ გერი კი ალიოშას გაშმაგებით დაიფიცებს, ჩემი მშვენიერი დედინაცვალი მეყვარებაო, რაკი შეძრწუნებული იგრძნობს, რომ არა აქვს სულში ეს სიუვარული.

როგორც ელვა ქარიშხლიან, ბნელ ღამეში, ისე წამიერად გაკრთება ხალხე დოსტოევსკის სულში „მიწის საიდუმლოს“ ჩაწვდომით აკიაფებული შუქი. ერთს გაიჭიატებს და ისევ გაქრება საიდუმლო, გარშემო წუვდიადი უფრო ჩამუქდება, უკუნი ბნელი ჩამოწვება და სულშიც შუქის გაქრობით აღძრული უსახრულო სევდა გაღვივდება.

ალიოშა ამბობს: „გულგვამით ბინდა რომ შეიყვარო“, „სიცოცხლე უფრო უნდა გიყვარდეს, ვიდრე იმისი საზრისი“. ტოლსტოი არ იტყვის „გინდა“ და „უნდა“, ის ისედაც ვერ ძლება სიცოცხლის სიუვარულით, დიახაც რომ გულგვამით უყვარს იგი, დიახაც რომ სიცოცხლე უფრო უყვარს, ვიდრე იმისი საზრისი. თუ ვცოცხლობთ, მაშასადამე, ყველაფერიც გვაქვს. კოხვები სიცოცხლის საზრისისა და მიწის შესახებ ზედმეტ რეჩოსავით შემოტმასნია სიცოცხლით სავსე სიცოცხლის მბრწყინავ შიდა-სკნელს.

თიბვის აღო. „ყველაფერი ხალისიანი, ერთობლივი შრომის ზღვაში ჩაიძირა, ღმერთმა დღე გაგვითენა, ღმერთმა ძალა მოგვცა, დღეც და ძალაც შრომას ეძღვნება და თვითონ მათშივეა მათი ჯილდო. თუ რისთვის ვშრომობთ, ან რა ნაყოფს მოგვცემს — ეს ყურიით მოთრეული, უმნიშვნელო კითხვებია.“

მუსიკოსი ალბერტი ვიოლინოს უკრავს. „ალ-ფრთოვანებულს საზე გაუნელებელი სიხარულით უბრწყინავდა, თვლებში ნათელი, ბრკილა შუქი უელავდა, ნესტოები დაბერვოდა, მთელი სხეული ზეშთაგონებით ტკბობით გაუშაძღრობას გამოხატავდა. თმზე თავის ერთი გადაქნევით დაილაგა, ვიოლინო დაუშვა და მედიდური, ბედნიერი ღიმილით მთავრად წყნარი დაშფრეებს...“

— ბევრი რამ სჭირდება ზელოვნებას, მაგრამ მთავარი ცეცხლია! — თქვა თვლებგაბრწყინებულმა და ორივე ხელი მაღლა შემართა.

და მართლაც, მთელი სხეული საშინელი შინაგანი ცეცხლით იდაგებოდა.

მთვრალი ალბერტი საროსკიპოს შესასვლელთან იყინება. სიშმარს ხედავს: თითქოს ასა-მართლებენ, ხალხი ამბობს:

— რით არის ის დიდი? ან რატომ უნდა მოვიყაროთ მუხლი მის წინაშე? სამართლიანობასა და პატიოსნებაზე რომ მწუხრალად იპოვო? ნათუ მანაც რამე არბო საზოგადოებას? განა არ ვიცით, როგორ სესხულობდა ფულს და მერე ვალს აღარ ისტუმრებდა?

— გაჩუმდით, გრცხვენოდით! — გაიხმა მხატვარ პეტროვის ხმა, — თქვენ რა უფლება გაქვთ გაამტყუნოთ იგი? ბიცხოვრიათ თქვან მისი ცხოვრებით? გამოგიცდიათ მისი აღმაშრინებელი ზელოვნება ძლევაშოსილების უმაღლესი გამოვლინებაა ადამიანში, მას ისეთ სიმალღეზე აჰყავს თავისი რჩეულები, რომ კაცს თავბრუ ეხვევა, ძნელია იქ სად-საღამათი დარჩე... დაე, დაამცირეთ, გეზიზღებოდეთ, — ის მაინც საუკეთესოა, მაინც ყველაზე ბედნიერია თქვენ შორის.“

აი, მამა-შვილის, ორი ჰუნარის ისტორია, გრაფი ტურბინი-მამა მფლანგველი, დარდი-მანდი, ჩხუბისთავი და დუელიანტია. მაგრამ ყველაფერი, რასაც ის აკეთებს, სიცოცხლით ანთია. ციგნის ქალებში ნებივრობს თუ შუღერს უსწორებს ანგარიშს ამხანაგის გაყვლიფისათვის, — ყველაფერში ზელოვნებით, თავდაუზოგავად ცოცხლობს. პროვინციულ ქალაქში გამართულ მეჭლისზე გრაფმა ერთი ლამაზი ქვრივი გაიცნო და შეიყვარა. „გრაფს თვალი არ მოუშორებია ქვრივისათვის, ის არ თვალთმაქცობდა, როცა ეუბნებოდა, შენი გულისთვის თუნდაც ყინულის ნაპრალში გადავეშვებო. ეინი იყო, სიუვარული, სიჭიუტე თუ შეუპოვრობა, მაგრამ ერთი კია, რომ ამ ხალამოს მთელი მისი სულიერი ძალები მიმართული იყო მხოლოდ ერთი სურვილისადმი: ეხილა ანა ფიოდოროვნა და ეტრფილა მასთან“.

როცა სტუმრები აიშალნენ, მას ქურქის ჩაცმაც არ მოჰგონებია, ისე გაიქრა გარეთ.



მუხლამდე თოვლი ამკვლია. ქვრივის ეტლს მივარდა, შიგ ჩასაფრდა და კოცნა-აღერებით შეეგება გულგახეთქილ ქალს. იმავე ღამეს იტრფიალა მასთან და სამუდამოდაც წავიდა ქალაქიდან.

ოცნა წლის შემდეგ მისი ვაჟი ლაშქრობისას შემთხვევით იმავე ქვრივთან, ანა ფიოდოროვნასთან, მოხვდებოდა. გრაფი ტურბინი-შვილი კეთილგონიერი, უპირატესი და წინდახედული უმაწვლილი კაცი: უველადიდან შეუძლია აკურატულად, მისხალ-მისხალ ამოკრიფოს მისთვის სანუკვარი სიამოვნება. ანა ფიოდოროვნას ლამაზი ქალიშვილი ჰყავს, — ლიზა. გრაფი ცდილობს „ინტრიგის“ ქსელი გააბას მასთან. მაგიდის ქვეშ ფეხით ფეხზე ეხება. ლიზა ეტუვის ღამლამოხით ღია ფანჯარასთან ჯდომა მიუვარსო. გრაფი ამას ნართაულად ნათქვამში ჩამოართმევს და მის ფანჯარას მიადგება. გოგონას შეეშინდება. გრაფი კი გაიქცევა. თავის ოთახში ის ღიმმორეული უყვება ამ მარცხის შესახებ ამხანაგს, რომელიც მასთან ერთად ათევდა ოთახში ღამეს.

„კორნეტი პოლევოვი ისევ გადაბრუნდა ზურგით კარისაკენ და ერთი ათი წუთი ხმა არ ამოუღია. ისე იწვა; ხოლო როცა კვლავ გადაბრუნდა, სახეზე ტანჯვა და გადაწყვეტილება ეხატებოდა.

— გრაფო ტურბინო! — თქვა და ხმა ჩაუწყდა.

— რა მოგივიდა, ხომ არა ბოდავ? — მშვიდად გახცა ხმა გრაფმა. — რას მიბრძანებ კორნეტო პოლევოვო?

— გრაფო ტურბინო! თქვენ უნამუსო კაცი ხართ!.. შეძვირა პოლევოვმა და ლოგინიდან წამოხტა.

უნამუსო?.. რატომ? გრაფი ტურბინი-მამა არ არის ვითომ უნამუსო? ორივეში ერთნაირად წამით იფეთქა ლამაზი ქალის დაუფლების სურვილმა. ორივე ერთნაირად თავხედურად ესწრაფვოდა მიზანს. მაგრამ ტურბინი-ფეროსი თავისი ვნებით ცოცხლობს, რაღაც ერთადერთი, განსაკუთრებული რამ ხდება, რომელსაც რომელიმე გარკვეული სიტუაციით ვერ გამოვთქვამთ და გარკვეული საზომით ვერ მივუდგებით. უმცროსმა ტურბინმა კი მშვიდად, გულცივად გამოთვალა „სიამოვნება“. უნამუსი სიტყვა „ინტრიგა“ მთლიანად მიესადაგა მის უნამუსოვან განზრახვას და რაღაც უხიცოცხლო სისაძაგლე გამოვიდა.

ჩვენ ვხედავთ, შინაარსით არ განისაზღვრება ცხოვრების სიცოცხლიანობა. შინაარსი ერთი და იგივეა: ტურბინ-მამასთან არის სიცოცხლე, ტურბინ-შვილთან კი — სისაძაგლე და უხიცოცხლობა.

ოლეგინმა და ნეხლიუდოვმა დაასკვნეს: სი-

ცოცხლე სიკეთეში მდგომარეობსო, ვარცა ნიადაგ სხვებზე ზრუნავს და სიკეთეს ჩადის. ტოლსტოი გვიჩვენებს, რომ სიკეთისქმედება ცხოვრება კი არა სიკვდილია, ნიშნავს ეს იმას, რომ თვითონ სიკეთე უარყოფა სიცოცხლით ხავსე სიცოცხლის მიერ.

ქარის წახვლის შემდეგ როსტოვები მოსკოვს ტოვებენ. სასტუმროს მფლობელი მათი სიძე, პოლკოვნიკი ბერგი, მათსა და ლიზას ნამდვილ რუს-უცხოტომელთა უშუალო წინაპარის აღფრთოვანებულია „რუსეთის ლაშქრის ოდიტგანდელი მამაცობით“. მოხუც გრაფს კი დიდის მოწიწებით სთხოვს, ერთი საზიდარი დამითმე, შემთხვევის წყალობით შეძენილ, უარესად მშვენიერ, ინგლისურხაიდუმლოსაყვითან შიფონერს გადავიტანო. ეზოში საზიდრებს განძეულით ტვირთავენ. ქალაქში დასარჩენად განწირული დაჭრილები კი დაბოღმილები ადვენებენ თვალს ამას. იქვე თავის ძმასთან, პეტრასთან, ნატაშა დგას.

— მე თუ მკითხავ, — ლამის იყვირა ნატაშამ, — და უცებ იბრუნა პირი პეტრასაკენ, — მე თუ მკითხავ, ეს ისეთი სისაძაგლეა, ისეთი საზიზღრობაა, ისეთი... არ ვიცი, ვიღაც ოხერი გერმანელები ხომ არა ვართ?

მოდლებული ქვითინისაგან უიყვები უელში ეჩრებოდა. დაგროვილი ბოღმა არ გამინდლებს ან ტუჩილად არ გამეფლანგოსო და შურდულივით აიქროლა კიბეზე.

ბერგი გრაფის მეუღლესთან იქდა და ნათესაურად ანუგეშებდა, გრაფი ბოლთას სცემდა ჩიბუხით ხელში ამ დროს ქარიშხალივით შემოიჭრა ოთახში ბრაზისაგან სახეგაყუშებული ნატაშა და დედას მიაშურა.

— ეს საზიზღრობაა! ეს სისაძაგლეა! — და იყვირა მან, — შეუძლებელია, თქვენ ეს უბრძანოთ.

ბერგი და გრაფის მეუღლე გაოცებული და შეშინებული მიაჩერდნენ მას, გრაფი ფანჯარასთან შედგა და ყური მიუგდო.

— დედიკო, ეს არ შეიძლება: შეხედეთ რა ამბავია ეზოში! — დაიყვირა მან, — ისინი რჩებიან.

— რა მოგივიდა შენ? ვინ ისინი? რა გინდა?

— ვინ და დაჭრილები! ეს არ შეიძლება, დედიკო; სად გაგონილა ასე... არა დედიკო, შენი ქირიმე, არ ვფეკადრება, მაპატიე გეთავანე, შენი სულის ქირიმე... დედიკო, რის მაქნისია ჩვენთვის, რაც მიგვაქვს. შეხედეთ ერთი, ეზოში რა ხდება... დედიკო! ეს შეუძლებელია!..

გრადი ფანჯარასთან იდგა და უკანმოუხედავად ისმენდა ნატაშას ლაპარაკს. უცებ ცხვირით დაიქსუტუნა და სახე ფანჯარას მიუახლოვა.



გრაფის მეუღლემ ქალიშვილს შეხედა, დედის გამო დარცხენილი მისი სახე დაინახა, დაინახა მისი მღელვარება, მიხვდა რატომ აღარ უყურებდა ახლა ქმარი და დაბნეული ადამიანის სახით მიმოიხედა გარშემო.

— მერე, გააკეთეთ, როგორც თქვენ ვინდათ! ხელს გიშლით მე ვინმეს თუ? — თქვა მან, რაკი ერთბაშად არ უნდოდა დანებებულიყო.

— დედიკო, შენი სულის კირიმე, მაპატიე... მაგრამ გრაფის მეუღლემ ქალიშვილი ხელით მოიცვალა და გრაფთან მივიდა.

Moncher, უბრძანე შენ როგორც საჭიროა... აბა, მე რა ვიცი ამ ხეყმის, თქვა მან, და თვალები დამნაშავესავით დახარა.

— შვილიშვილი ბებიას ძველ დროს ასწავლიდაო, — ჩაილაპარაკა სიხარულისცრემლებ-მორეულმა გრაფმა და გულში ჩაიკრა ცოლი, რომელმაც სიამოვნებით მიმალა მის მკერდში ხირცხვილით გაწითლებული სახე.

„სიკეთე“, რომელიც აქ ნატაშამ გამოავლინა, რაღა თქმა უნდა, არ უარიყოფა სიცოცხლით. პირიქით. ის სწორედ რომ თვითონ არის სიცოცხლით სავსე სიცოცხლე. და ამის გამო დიანაც უცნაურია იმის ფიქრი, თითქოს ნატაშას სული სიკეთით ცოცხლობდეს. სიკეთით რას მიქვიათ? ნატაშა სიცოცხლით ცოცხლობს და არა სიკეთით. სიკეთე ისევ თავისუფლად და გარდაუვლად იზადება ნატაშას ცხოვრებაში, როგორც მისი სიმღერები და სილაღე. და აი, სწორედ ის, რაც ვარენკასთან დამჟღანარი, ხურნელგასული უვავილია, ნასხასა ხურნელოვან, ტყეში ახალმოწყვეტილ შროშნად იქცევა.

ჩვენთვის ნათელი ხდება, თუ რა უსახურ, ბუნების საწინააღმდეგო საქმეს იქმიან სიკეთის მიმართ ოლენინები, ლევინები, ნეხლიუდოვები. ისინი მიწაში ფლავენ სიცოცხლის უფაქიზებს, უმშვენიერეს უვავილს და ამბობენ: აი, რა უნდა იყოს მცენარის ფესვიო. კოლსტო-შე-მოქმედი გალახულ-გასრესილ უვავილს ამო-თხრის, მიწას შემოაცილებს და იტყვის: შეხედეთ, რა უქენით მას, ეს სულაც არ არის მცენარის ფესვი, მცენარე სხვა რამით ცოცხლობს და ბმომ სიცოცხლე მას არ შეუძლია. მაგრამ ეს მცენარის უმადლესი გამოვლენა და გვირგვინია, გახარება და აუვავება მას მხოლოდ ნამდვილი, მიწისქვეშა ფესვებით შეუძლია, ამ ფესვებს სასიცოცხლო ძალა ეწოდება.

„აღდგომაში“ გარკვევით უპირისპირდება ერთმანეთს სიკეთის ორი „უვავილი“. ერთი ვითომ ფესვიანო, უმსგავსოდაა ჩაფლული მიწაში — ეს ნეხლიუდოვია. მეორე ღაღად იზრდება პაერზე, — ეს კათიუშა მახლოვია.

კათიუშა საბოლოოდ ამბობს უარს ნეხლიუდოვთან ქორწინებაზე და გადაწყვეტს გადახატუბამისცილ სიმონსონს მისთხოვდეს. ამ ამბავმა ნეხლიუდოვს გული დასწყვიტა. მას არა მარტო არ ეპიტნავა ეს, არამედ მტკივნეულადაც განიცადა, რადგან იგრძნო, რომ სიმონსონის მიერ კათიუშას ხელის თხოვნა ნეხლიუდოვის საქციელს მადლს უკარგავდა და თავისიანების თუ სხვების თვალში მის მიერ გაღებული მსხვერპლის მნიშვნელობას აკნინებდა: თუ ასეთ კარგ კაცს, არაფრით კათიუშასაგან რომ არ უოფილა დავალებული, მასთან ბედის გაერთება სურდა, მაშინ ნეხლიუდოვის მსხვერპლი ისე მნიშვნელოვანი აღარ გამოდიოდა.

კათიუშა კი აინუნშიაც არ აგდებდა, მნიშვნელოვანი მსხვერპლი გაიღო მან თუ უმნიშვნელო.

— რა ვქნა, ბოდიში უნდა მოგიხადოთ, დიმიტრი ივანოვიჩ. თუკი იმას არ ვაკეთებ, რაც თქვენა გსურთ, — თქვა და თავისი ელამი მზერა მიაპყრო, — მოო, ასე აეწყო და. თქვენც ხომ გინდათ ცხოვრება... ისედაც რამდენი გააკეთეთ ჩემი გულისათვის; თქვენ რომ არა... — მას რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ხმა აუკანკალდა.

— თქვენგან კი მართლა არ მეთქმის მადლობა, — თქვა ნეხლიუდოვმა.

— ნუ გამოვუდგებით ანგარიშების სწორებას. ღმერთი გაგვისწორებს ანგარიშებს, — ჩაილაპარაკა მან და მოძალეებულმა ცრემლებმა შავი თვალები აუბრკილა.

— რა კარგი ქალი ხართ თქვენ, — უთხრა ნეხლიუდოვმა.

— ეს მე ვარ კარგი? — თქვა თვალცრემლიანმა კათიუშამ და სახე გულხაკლავად გაეხადრა.

ნეხლიუდოვი კათიუშას ემშვიდობება.

— მაპატიეთ, — ოდნავ გასაგონად თქვა კათიუშამ. მათ მზერა მიაპყრეს ერთმანეთს. უცნაურ, ელამ გამოხედვასა და გულხაკლავ ღიმილზე, რომლითაც კათიუშამ „ნახვამდის“ ნაცვლად „მაპატიეთ“ წარმოთქვა ნეხლიუდოვი მიხვდა, რომ ამ ქალს უყვარდა, მიხვდა, რასაც ფიქრობდა კათიუშა: თუ მას გავყვები, ცხოვრებას გავუმწარებ, ხოლო თუ სიმონსონზე ვიქორწინებ, მაშინ ნეხლიუდოვსაც ხელ-ფეხი გაეხსნებაო, — ფიქრობდა ის და უხაროდა, ხაწადელს რომ ეწია, ოღონდ ახლა ნეხლიუდოვთან გამოთხოვება ეძნელებოდა.

და ისევ იზადება კითხვა: ნუთუ სიკეთე, რომელსაც კათიუშა სჩადის, მისი ცხოვრების საფუძველია? ეს სიკეთე მისი ცხოვრების გამოვლენაა და არა საფუძველი.





# სიმბოლოს სემანტიკური სტრუქტურა რ. მუზილის ნაწარმოებში „მოზარდ თიორელის სულიერი ავთორიაჰება“

(ტექსტის ტიპოლოგიის საკითხისათვის).

**ტ**ექსტი“ და კვლავ „ტექსტი“, — ასე შეიძლება ეწოდოს დღეს ენათმეცნიერების კვლევის ძირითად ობიექტს, რომელსაც ფონემიდან მოყოლებული სიტყვამდე, ხოლო შემდეგ სიტყვებიდან ტექსტამდე საკმაოდ სოლიდური ბიოგრაფია ჩამოუყალიბდა.

ტექსტის, როგორც საკვლევი ენობრივი ერთეულის, ტიპი ორ დიდ ჯგუფად გაიყო: 1. ტექსტი, სიღრმისეული მონოსტრუქტურით (საგაზეთო, მეცნიერული და სხვა), რომელიც ექვემდებარება ზედაპირული სტრუქტურის საერთო მაჩვენებლებით ტიპოლოგიზაციას და 2. მხატვრული ტექსტი, სიღრმისეული პოლისტრუქტურით, რომლის გაერთმნიშვნელობა გაცილებით მეტ სირთულესთან არის დაკავშირებული. თუმცა მისი უანობრივი კლასიფიკაცია დასაბამიდან არსებობს.

ენათმეცნიერების ესოდენ პოპულარული და, თუ შეიძლება ასე ეწოდოს, „მოღური“ განხრა — „ტექსტის ლინგვისტიკა“ ტექსტის ამ ორი სახეობის შემსწავლელ მეცნიერებად გვევლინება. მაგრამ მხატვრული ლიტერატურის მატარებელი ტექსტი ვერ ამოიხსნება მხოლოდ ენათმეცნიერული მეთოდებითა და მიდგომით. მისი პოლიფონიური ზედაპირული და სიღრმისეული სტრუქტურა და მის მიღმა მდგომი შემოქმედი ინდივიდი ქმნიან მონოლითურ სტრუქტურას, რომლის ინტერპრეტაცია პირველ რიგში შინაარსის ინტერპრეტაციას ეფუძნება, ხოლო გამოხატულების პლანის შესწავლა მხატვრული ნაწარმოების საერთო აზრის ამოხსნისათვის ერთგვარ გარდამავალ ეტაპს წარმოადგენს.

„მხატვრული“ და „არამხატვრული“ ტექსტის სიღრმისეული სტრუქტურის არაერთგვარობის მიუხედავად, კვლევის შედეგები მოწმობენ საერთო კანონზომიერებების არსებობას, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ ტექს-

ტის ორივე სახეობის შემსწავლელი დისციპლინა „ტექსტის ლინგვისტიკის“ საერთო სახელწოდებით გავაერთიანოთ.

სიტყვიერი ხელოვნება წარმოადგენს მუდმივად ცვალებად სემიოტიკურ სისტემას, განსაკუთრებულ ენას და ამდენად თითოეული მხატვრული ნაწარმოები მკითხველს „თავის ენაზე“ თავისებურად ებაახება. ავტორის ინტენცია და ამ ინტენციის გამოსახატავად გამოყენებული ენობრივი საშუალებები წარმოადგენს კვლევის თვალსაზრისით ამოუწურავ მასალას, მითუმეტეს როდესაც საქმე დიდ ხელოვანს ეხება.

კ. ა. დოლინინი გამოყოფს ტექსტის მნიშვნელობის ოთხ სახეობას:

1. ექსპლიციტურს, ანუ ენობრივი ნიშნებით უშუალოდ გამოხატულ შინაარსს;

2. იმპლიციტურს, ანუ ქვეტექსტს.

3. აქტუალურს, ცენტრალურს, ანუ ავტორის ინტენციის შესაბამისად აქცენტირებულს, რომელიც საგულდაგულოდ სიტუაციურია და სუბიექტური.

4. გლობალურ ანუ ინტეგრალურ შინაარსს, რომელიც განისაზღვრება, როგორც პოტენციური ქვეტექსტისა და შინაარსის ერთობლიობა. მისი კვლევა, ავტორის აზრით, ტექსტის ინტერპრეტატორს ევალება. რა ენობრივი საშუალებებითაა წარმოადგენილი მხატვრულ ტექსტში მნიშვნელობის ეს ოთხი სახეობა და რა ნიშნითაა გაერთიანებული მნიშვნელობის მეოთხე — „გლობალურ-ინტეგრალური“ შინაარსი? მხატვრული ლიტერატურა ბოძ სიმამდვილის შემეცნების განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს და ამავდროს მწერლის მიერ მაკროსამყაროს მიკროსამყაროში მოქცევის ცდას. როგორ იქმნება მიკროსამყაროს საშუალებით მაკროსამყაროს განზოგადოებული სურათი? რითი იწყებს და რით ამთავრებს



მწერალი მხატვრული მიკროსამყაროს წონაში მოქცეულ გმირთა ამბავს?

ასეთი და სხვა მრავალი საკითხი წამოიჭრება მკვლევარის წინაშე, როდესაც საქმე დიდი მწერლის ნაწარმოებს ეხება.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ ექსპერიმენტს ტექსტის ზედაპირული და სიღრმისეული სტრუქტურის ინტერპრეტაციის სინთეზის გზაზე, რადგანაც ეს ორი შრე მხატვრულ ნაწარმოებში ერთმანეთისაგან გამომდინარე და ურთიერთდამოკიდებულია. შინაარსით იქმნება ფორმა, მაგრამ შემოქმედების პროცესში თვით ეს ფორმაც შინაარსის მოდელირებას, გარკვეულ უაღიბში ჩამოსხმას ემსახურება. დერძი და შემკვრელი მხატვრული ნაწარმოებისა, მისი სემანტიკური ეპიცენტრი არის სიმბოლო, სიმბოლოს დონეზე აყვანილი გმირები, სიმბოლოდ ქცეული ენობრივი საშუალებები და ბოლოს, ასევე საგანგებოდ, სიმბოლოდ ქცეული სასაზღვრო სიტუაციები.

სიმბოლო (თუ სიმბოლოები) არის ის ჩონჩხი, რომლის ხორცშესხმაც მიკროსტრუქტურის მიკროსტრუქტურაში მოქცევის საშუალებას იძლევა. სწორედ სიმბოლოს სტრუქტურის და მხატვრულ ნაწარმოებში მის ფუნქციონირებას ეძღვნება წინამდებარე სტატია.

ნიმუშად გამოყენებულია ცნობილი ავსტრიელი მწერლის რ. მუზილის „მოზარდ თიორლესის სულიერი აფორიაქება“, რომლის შექმნიდან 80 წელზე მეტი გავიდა, მაგრამ გენიოსის თვალსაწიერი მისთვის სასიცოცხლოდ მოხაზულ წრეს არამც თუ ათეული, არამედ ათასწლეულებით გასცდება ხოლმე და მწერალი თითქმის მეექვსე გრძნობით აფიქსირებს ჩანახაზ მდგომარეობაში მყოფი რაიმე მოვლენის მომწიფების საშიშროებას. „თიორლესი“ 1908 წელს გამოქვეყნდა და მაშინვე მოუტანა მწერალს აღიარება. რ. მუზილს ხაპათიო ადგილი უკავია ისეთი ტიტანების რიგში, როგორებიც იყვნენ თ. მანი, რილკე, ჰესსე და სხვები. მართალია, წინამდებარე ნაშრომი არ ეხება მწერლის ცხოვრებასა და მთლიან შემოქმედებას, მაგრამ იმ ფაქტმა, რომ მუზილი ტექნიკური მეცნიერებიდან, მათემატიკის დრმა ცოდნით მოევლინა გერმანულენოვან მწერლობას, თავისებური დაღი დაასვა მის მსოფლმხედველობას და ნაწარმოების სიმბოლიკას.

ნიშანთა თეორეტიკოსების ნაშრომებში ტერმინებმა „სიმბოლომ“ და „სიმბოლისციამ“ საკმაოდ არაერთგვაროვანი გამოყენება პოვეს. ამიტომ ვიდრე ნაწარმოების განხილვაზე გადავიდოდეთ, მკაფიო წარმოდგენა უნდა გვქონდეს სიმბოლოს რაობაზე მხატვრულ ტექსტში და იმ ტექსტობრივ მაჩვენებლებზე, რომლებიც მხატვრულ ნაწარმოებს სიმბოლოდ აქცევენ.

დავიწყოთ იქიდან, რომ თვით ნაწარმოები „მოზარდ თიორლესის სულიერი აფორიაქება“ სიმბოლოა იმისა, თუ როგორ იღვიძებს მოზარდში სხვათა დათრგუნვის სურვილი, სხვათა გათელვით საკუთარი პარაზიტუტის გრძნობა. მან თითქმის წინასწარმ განგაში ატება მოსალოდნელი უბედურების (ფაშისმის) გამო. მუზილის სიცოცხლეში ფაშისმი ჩანახაზის სახით თუ არსებობდა მხოლოდ მაგრამ „მოზარდ თიორლესის სულიერი აფორიაქება“ საოცარი წინასწარმეტყველებითა და ადამიანში ხასიათის ხაშიში შტრიხების ხაზგასმით XX საუკუნის აქტუალური პრობლემის სიმბოლოდ იქცა. ამიტომაც შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ 1988 წელს დასავლეთგერმანელმა რეჟისორმა ფოლკერ შლენდორფმა სწორედ ეს ნაწარმოები გამოიყენა ფაშისმის თემაზე შექმნილი, შემდგომში ორგზის პრემირებული ფილმის სცენარად ისე, რომ სიუჟეტი თითქმის არ შეუცვლია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ აზრობრივი მახვილის ზოგიერთ გადაადგილებას.

ა. კ. ლოსევი სიმბოლოს ლოგიკას და სტრუქტურულ-სემანტიკურ დახასიათებას შემდეგნაირად იძლევა:

სიმბოლო საგნის საზრისია, სინამდვილის არაპასიური ამსახველი, არამედ ცნობიერებაში გადამუშავებული, შემთხვევითისაგან და არაარსებულისაგან დაცლილი, სინამდვილის ძირითადი კანონზომიერების გამომსახველი. სწორედ ეს არის ისეთი სიღრმეების წვდომა სადაც ერთეული გამოხატავს საერთოს და საერთო ერთეულს, ამდენად საგნის სიმბოლო მისი განზოგადებაა, მისი კანონზომიერი მოწესრიგება, მისი შინაგანი და გარეგანი გამოხატულებაა, მისი ნიშანია, სხვა მრავალ ნიშანთა წარმომშობი და ა. შ.

უმეტეს შემთხვევაში სიმბოლო ცხოვრების ალტერნატივაა და ტიპიც, აგრეთვე მითიც, რომელიც ცხოვრების სიღრმეებზე მოგვითხრობს. ამავდროს ის უანგარო და თვითკმარი სიდიდეთა მხატვრული პრაქტიკისა. ყოველი ცოცხალი სიმბოლოს თავისებურება მრავალზომიანობაა, რომელიც სხვადასხვა სტრუქტურულ-სემანტიკური კატეგორიების განუყოფელ მთლიანობას წარმოადგენს. „მხოლოდ ამ სახით, — წერს ლოსევი, — ინარჩუნებს იგი რეალურ-შემტყნებით მნიშვნელობას.“

სიმბოლოს ლოსევისეული ახსნა იმდენად სრულყოფილი და ამომწურავია, რომ ამ პრობლემაზე მომუშავე მკვლევარისათვის აღარ წარმოადგენს სირთულეს სიმბოლოს გამოჩენა ისეთი ტერმინებისაგან, როგორებიცაა მხატვრული ხატი, ემბლემა, მეტაფორა, ტიპი, ნატურალისტური კოპია, მითი და სხვა. თითოეული მათგანი დიდი ზელოვანის ძალისხმევით აღ-



ვიღაც იქცევა სიმბოლოდ, უფრო სწორად, სიმბოლოს ფორმების ერთ-ერთ განსაზღვრებად.

სამყარო სიმბოლოთა სამეფოა. მხატვრული და მითოლოგიური სიმბოლოების გარდა არსებობს მეცნიერული, ფილოსოფიური, რელიგიური, ტექნიკური და, ბოლოს, ადამიანურ გამომხატველობითი სიმბოლოები.

მხატვრული სიმბოლოს არსის, მისი სოციალურ-ისტორიული განპირობებულობის ნათესაყოფად ავტორი იძლევა პრობლემებს მითის ურთივ ინტერპრეტაციას. ამ ერთ მაგალითზე წარმოჩინდება სიმბოლოს აზრობრივი ფუნქციის დაქვემდებარება სოციალურ-ისტორიულ ვითარებაზე და ამასთან დაკავშირებული აზრობრივი მახვილის სახეცვლა. დონ კიხოტი, ფაუსტი და მეფისტოფელი, დონ-ჟუანი და ჩაილდ-ჰაროლდი არასოდეს არ აღიქმებოდნენ, როგორც მხოლოდ მხატვრული ნაწარმოების გმირები. ისინი იყვნენ დატვირთულნი უდიდესი სიმბოლური მნიშვნელობით, რითაც დროთა ვითარებაში კულტურული კაცობრიობის გრანდიოზულ სიმბოლოებად იქცნებოდნენ.

კ. ა. სვასიანი, ლოსივის დებულებიდან გამომდინარე, სიმბოლოს ბუნებას სამი მიმართებით აღწერს:

1. სიმბოლოს, როგორც ფორმისა და შინაარსის დიალექტიკას.
2. სიმბოლოს, სინამდვილესთან მიმართებით.
3. სიმბოლოს გოეთეს „პროტო-ფენომენთან“ მიმართებით.

სიმბოლოს ფორმა, ავტორის აზრით, მისი მორფემა, ხოლო შინაარსი — მეტამორფემა. ეს ორი შრე სინთეზურია, მაგრამ კვლევა ყოველთვის ანალიზურია და ამიტომ შრეთა განხილვა მაინც განცალკევებით ხდება. სიმბოლოს ცხოვრების ყველა სფეროსთვის არის დამახასიათებელი, მაგრამ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში (მათემატიკაში, ხელოვნებაში და სხვა) ამ სფეროსთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდება: მათემატიკაში ის სინამდვილის აბრივიატურაა, ხელოვნებაში კი — რეალობის ინტენსიფიკაცია. თითოეული მათგანი სიმბოლოს ფორმებად წარმოგვიდგება, მაგრამ მთლიანად არც ერთ მათგანზე არ დაიყვანება. ამრიგად, თუ ერთის მხრივ ის კერძო შემთხვევის (სიმბოლური ფორმის) იგივეურია, მეორეს მხრივ სიდიდით მისგან განსხვავდება, ანუ მისი ფორმულა გამოიხატება როგორც „ფორმა პლუს რაღაც უფრო მეტი“.

ა. ლოსივი და კ. სვასიანი სიმბოლოს არსის საბოლოო დადგენისათვის იშველიებენ გოეთეს სწავლებას „პროტო-ფენომენის“ შესახებ და მის სიმბოლოს ექვივალენტურ კატეგორიად მიიჩნევენ.

„პროტო — ფენომენი“, გოეთეს გაგებით,

არის უმარტივესი ფაქტი, მაგრამ ტიპური და ამდენად მრავალ კანონთა და კანონზომიერებათა შემცველი და გამომხატველი. ის ბუნებაში ჩვენ თვალწინ, მაგრამ მისი აღმოჩენა შეუძლებელია არა „ხედვით“ არ „ცქერით, არამედ „დანახვით“. „დანახვა ის, რაც შენს თვალთა წინ იმყოფება“, სწორედ ამაშია შემოქმედების დასაბამი, არა „უფრო ადრე“ არამედ „დანიახო“ და ხედვის „საკუთარ პრინციპში“ გარდატეხო და განაწოვადო რეალობა. საკუთარი „ხილული გამოცდილების“ გარდა გოეთესათვის არც არსებობდა სხვა კრიტერიუმები. მისი „პროტო — ფენომენი“ ბუნების კანონების აღმოჩენას გულისხმობს: გალილეიმ მოქანავე ლამპის „დანახვით“ აღმოაჩინა ფიზიკაში კანქარის კანონი, არქიმედემ კი, როგორც ცნობილია, აბაზანაში — „კუთრი წონის“ კანონი. თითოეული მათგანი (ამგვარი შემთხვევების სამაგალითოდ მოყვანა უსასრულოდ შეიძლება) მილიონი სხვა მსგავსი შემთხვევის ზოგად ფორმულად იქცა. გოეთემ პროტო-ფენომენის პრინციპს სრულიად მარტივი, მაგრამ გენიალური ფორმულირება მოუწია, რა არის საერთო? ცალკეული შემთხვევა.

რა არის კერძო შემთხვევა?

მთლიონი შემთხვევა.

თუ მოვახდენთ ამ დებულების ენათმეცნიერებაში ექსტრაპოლაციას, მაშინ იგი „მეტონიმიით“ აღინიშნება, რაც ნაწილით მთელის გამოხატვას ნიშნავს. „ხელოვნება ყოფს საგნებს და იძლევა ნაწილს მთელის მაგივრად, ერთ ნაკვეთს მთელის ნაცვლად, — წერს ჟელოვსკი, და რა დაწვრილებითაც არ უნდა აღვწეროთ ეს ნაკვეთი, ის მაინც ხაზის გამომხატველ პუნქტირად რჩება. ჩვენ მას ვირჩევთ მთელის გადმოსაცემად.“ სწორედ ამგვარი პუნქტირი ქმნის მხატვრული ნაწარმოების სიღრმისეულ შრეს „დედააზრს, რომლითაც ავტორი ტვირთავს არა მარტო ნაწარმოებს მთლიანობაში, არამედ სიმბოლური ხატის ჩამოსახსნელად აუცილებელ ნაწილებს, ტექსტის მონაკვეთებს, მონაკვეთში შემავალ სიმბოლოდ ქცეულ სიტყვებსა და შესიტყვებებს. დ. ტოლსტოი წერდა: „უვლელაფერში, რაც კი დამიწერია, მამოძრავებდა ერთადერთი მოთხოვნა — მომეკრიბა აზრები ერთმანეთთან გადაბმული ერთმანეთის გამოსახატავად. მაგრამ განსაკუთრებული სიტყვით გამომხატული აზრი კარგავს მნიშვნელობას იმ გადაბმის გარეშე, რომელშიც ის იმყოფება, თვით გადაბმა ხორციელდება არა აზრით (მე ვფიქრობ), არამედ რაღაცით, რაც გამოითქმება არა სიტყვით უშუალოდ, არამედ გაშუალებულიად, სიტყვებით, ხატით, მოქმედებით, მდგომარეობით“.

სწორედ სიტყვისა და ხატის ფუნქციონირებას, ტექსტის სიღრმისეული და შედაპირული



სიღრმეების შესწავლას მიეძღვნა ბოლო წლების საინტერესო მონოგრაფიები (ტურაევა, დოლინინი, გალაბერინი და სხვ.) ს. უორდანიას პირველმა სკადა საინტერესოდ წარმოედგინა მეტაფორული სიმბოლოს ტექსტში ფუნქციონირება და მისი ზოგადი მოდელი. ჭერ კიდევ ვ. ვინოგრადოვმა მოაგნო ანა ახმატოვას პოეზიის კვლევისას პოეტის მიერ გამოყენებული ენობრივი საშუალებების დაქვემდებარებას ფრაზა-სიმბოლოს სამსახურთან მოდელზე. ამგვარად, სიმბოლო, რომლის კვლევა უხსოვარ დროში იღებს სათავეს (პლატონთან და არისტოტელესთან), დღესაც მუშაობს ტარული და ტექნიკური მეცნიერებების კვლევის საგნად რჩება. ამის მიზეზია ურთიერთმიმართება ფორმასა და შინაარსს, რეალობასა და მის სიმბოლურ ექვივალენტს შორის (გავიხსენოთ პროტეუს ურიცხვი ინტერპრეტაცია).

ჩვენ ვემბრობით იმ აზრს, რომ სიმბოლო „ნიშნის განვითარების უმაღლესი საფეხურია“, რომ იგი სინამდვილის არა პასიური ამსახველია, არამედ ცნობიერაში გადასწავლებული, შემთხვევითისაგან და არა — არსებულისაგან დაცლილი, სინამდვილის ძირითად კანონზომიერებათა გამომხატველი (ფ. დოსევი), მაგრამ მისი ფორმების მრავალსახეობა ტექსტში ისევე ვლინდება, როგორც ზოგადად ცხოვრების ხვდასხვა სფეროში. მხატვრული ტექსტის განსაზღვრისას ამოსავლად რჩება ის, რომ მხატვრული ტექსტი „ხაერთოსა და ერთეულის“ გაგებით, მიკროსამყაროში მოქცეული მაკროსამყაროა, ტექსტის თითოეული კომპონენტი, დაწყებული სათაურიდან და ეპიგრაფიდან, სიმბოლური ფორმების ნაირსახეობებია, რომლებიც იმავე ტექსტის დედააზრს მაქსიმალურად კომპრესირებული სახით წარმოგვიდგენენ.

„როგორც კი რაიმეს გამოვთქვამთ, ის (რაიმე — ნ. ჯ.) საოცრად უფასურდება. ჩვენ გვჭერა, რომ უფსკრულის ძირში ჩავყვინთეთ, და როდესაც ზედაპირზე ამოვდივართ, წვეთებს ჩვენი ფერმკრთალი თითების ბოლოებზე აღარაფერი უგავთ ზღვას, რომელმაც ისინი წარმოშვა. ჩვენ მცდარად წარმოვიდგენთ, რომ განძეულობის ორმოს მივაგენით, მაგრამ როგორც კი დღის სინათლეზე მოვდივართ, თურმე მხოლოდ უბრალო ქვები და შუშის ნამსხვრევები მოგვაქვს.

და მაინც ბრწყინავს განძი უკუენეთში უცვლელად.“ — მეტერლინკის ეს სიტყვები აქვს წამდგარებული რ. მუზილის ნაწარმოებს „მოზარდ თიორლესის სულიერი აფორიაქება“.

ზ. ტურაევა ეპიგრაფს შემდეგნაირად განსაზღვრავს: 1. სათაურს და ეპიგრაფს უკავიათ ე. წ. ძლიერი პოზიცია. ისინი უპირისპირდებიან ტექსტის მთელ კორპუსს და ამით იპუ-

რობენ მკითხველის ყურადღებას. 2. სათაური და ეპიგრაფი მკაფიოდ გამოხატავენ პოეტური სიტყვის შთაგონებით ძალას, ინტერპრეტაციის მრავალფეროვნებას, სიტყვის სემანტიკურ სტრუქტურაში ისეთი დამატებითი მნიშვნელობების ჩართვას, რომლებიც არ განეკუთვნებიან ძირითად აზრობრივ ბირთვს.

აქ ჩვენ შევიტანდით მცირე ეპიგრაფიკული ავტორის განსაზღვრებაში: ეპიგრაფი მთლიანი ტექსტის ქარაგმაა და ამდენად ზედაპირული სტრუქტურით სრულიად განსხვავებული. მაგრამ ავტორი მას იმიტომ უმძღვარებს ტექსტს, რომ მასში სწორედ ძირითადი აზრობრივი ბირთვია წარმოდგენილი რედუცირებული სახით, ე. ი. ეპიგრაფის სიღრმისეული სტრუქტურა და ტექსტისა ექვივალენტურია, ბოლო ქარაგმა, ხატი და მეტაფორა ეპიგრაფიკისათვის ყველაზე უფრო ნიშანდობლივი.

მუზილის მიერ ეპიგრაფად გამოყენებული მეტერლინკის ციტატა ავტორის შემოქმედებითი მოდელის გამომხატველია. ეს არის ფსიქოლოგიზმის ტექნიკით და ქვეცნობიერის ამოცნობით ახალი ადამიანის ძებნა.

თვით ავტორი ამ „ქვეცნობიერს“ „არარაციოდულ სფეროს წვდომას“ უწოდებს. (nicht ratiödes Gebiet და არა „irrationales“). „არაციონალურისაგან“ განსხვავებით მუზილი გამოყოფს „არარაციოდულის“ ცნებას, რომელიც, თუმცა გონების კომპეტენციაში არ შედის, პოეტური წარმოსახვით ამოიცნობა და, ამგვარად პოეზიის სფეროს პრეროგატივაა.

ეპიგრაფში სწორედ ამ ქვეცნობიერის წვდომის ქარაგმაა მოცემული. დიდი გაწბილება, რომელიც წილად ხვდა ნაწარმოების გმირს, თავისებური კატარსიზი მის სულში, არ გამოირიცხავს მომავალში კიდევ მრავალჯერ მიუწვდომლის წვდომის სურვილით იმავე ეკლიანი გზის გავლას და ამიტომ „მაინც ბრწყინავს განძი უკუენეთში უცვლელად“. აღსანიშნავია, რომ „თიორლესი“ თბრობის მანერით არ არღვევს ტრადიციულ ტონალობას. ნაწარმოები იწყება და მთავრდება თიორლესის ცხოვრების მოკლე პერიოდის აღწერით, რომელიც მან სასწავლებელში გაატარა. გმირის „სულიერ აფორიაქებას“ (Verwirrung) პირველივე გვერდებიდან ვეცნობით. მისი მიზეზები სხვადასხვაგვარია: 1. მშობლებთან განშორება. 2. პირველი უნაყოფო მეგობრობით მიღებული ტკივილი. 3. სქესობრივი მომწიფება და ამ ფონზე გაშლილი ნაწარმოების ძირითადი დრამა, მოხვედრა გარეწრების წრეში, რითაც იკვრება კიდევაც ნაწარმოების კვანძი.

დასაწყისშივე გვეუფლებს ავტორის ნათვრამობა, რასაც ავტორი ლექსიკური საშუალებების მაქსიმალური აზრობრივი დატვირთ-



ვით აღწევს. მშობლებთან განშორების სცენა ქმნის ატმოსფეროს, რომელიც მთელ ნაწარმოებს შემდეგ ლაიტმოტივად გასდევს: იმ დროის „ხევდიან ფერებს“, „მე“ თან, ძალაგამოცლილ, ბოლისაგან სინათლემოკლებულ შუადღის მზეს“, „საგნებს და ადამიანებს თან ახლდათ რაღაც გულგრილი, უსიცოცხლო, მექანიკური, როგორც თოქინების თეატრის გმირებს“. „მშობლოდ დროდადრო სამუშაო ოთახიდან გამოდგოდა სადგურის უფროსი, თავის ერთნაირი მოძრაობით დარაჯის ქოხს გაზედავდა მზის გაყვლებით, რომელიც რატომღაც ჩქარი მატარებლის მოახლოებას არ აუწყებდა... ხედის ერთნაირი მოძრაობით საათს ამოიღებდა, თავს დააკანტურებდა და გაქრებოდა, ისე როგორც რომელიმე კოშკურის საათიდან გამოდგოდა ფიგურები დანიშნულ დროს“. „უღიმღამო და ხევდიანი ფერები“, ცხადია, სასწავლებლის ატმოსფეროს სიმბოლოა და იგი ნაწარმოებში ხაზგასმით ხშირად მეორდება.

სასწავლებელში ყოფნის პირველ პერიოდში თიორლესი მშობლებთან მიწერ-მოწერით სულ-დგმულობს. „ნაცრისფერ ფერებს“ კონტრასტულად უპირისპირდება მშობლიური სახლის „ნათელი სიმბოლოები“ — „შესანიშნავი მზისა და ფერების კუნძული ამოზიდული განწყობის ნაცრისფერი ზღვიდან“. ყოველ საღამოს ის ყველაზეგან ნამალავად მშობლებს წერილით აუწყებს სასწავლებელში გატარებულ მორიგ დღეს და „თითქოს უნილავ ძეწკვზე დაკიდებული ოქროს გასაღებით ზღაპრული ბაღებს კარიბჭეს აღებს“.

ბავშვობის ნათელი სურათები დროთა ვითარებაში ფერმკრთალდებიან და მის სულში ამოუვსები სიყვარული ჩნდება. „როგორც შიშველი ხე, რომელიც უნაყოფო ყვავილობის შემდეგ პირველად წამთრობს“.

უნდა აღვნიშნოთ, რომ შედარება როგორც ხატის აგების მთავარი ხერხი „თიორლესის“ მთელ ზედაპირულ და სიღრმისეულ სტრუქტურას გასდევს და ერთგვარი კანონზომიერების სტატუსს იძენს. როგორც ვთქვით, ნაწარმოების სიუჟეტი არ არღვევს თხრობის ტრადიციულ ნორმებს და მკითხველი ქრონოლოგიურად მიყვება გმირის სულში მომხდარ ძვრებს.

სასწავლებელში ყოფნის პირველი პერიოდისგან ერთადერთი ძლიერი შთაბეჭდილება იყო მეგობრობა დიდგვაროვან თავადიშვილთან (პრინციან). ეს მეგობრობა მისთვის „ფსიქოლოგიური ტკბობის ერთგვარ წყაროდ იქცა“. მიუწვდომლის (ირაციონალულის) წვდომის ხორცილი სწორედ აქ იღებს სათავეს. პრინცის თავდაპირა, დახვეწილობა, ღრმა რელიგიურობა მოწარდისათვის სულიერობის უმაღლესი გამოვლენაა და პრინცის უპირატესობის მარვე-

ნებელი. „პრინცის ზაზოგადობაში ის თავს გრძნობდა მყუდრო სამლოცველოში და აღიარება იმისა, რომ ის იჭაურობას არ განეუთვნებოდა, ტკბობას უქარწყლებდა. მასაც სურდა ერთხელ მაინც ეკლესიის ფანჯარიდან ეხილა დღის სინათლე და თვალი გაერკოლებინა უზრო, მოკპოვილი ორნამენტისათვის სადღეობადებულიყო იმ ადამიანის ხედი“. ეს ხორცილი ისე მძაფრდებოდა, რომ თიორლესის ცნობიერებაში ბუნდოვნად ინახებოდა სურათი თუ როგორ აეღებს ის ხედს საოცარი კანონებით აგებულ ჩუქურთმას. მაგრამ, საწყუბაროდ, „რაციონ“ მაინც გადაწონა და თიორლესის მიერ ხუმრობის საგნად ქცეულმა პრინცის რწმენამ ისინი სამუდამოდ გათიშა.

მკითხველის შემზადება წინასწარ, ნაწარმოების დედაზრის შესაბამისი ატმოსფეროს შექმნით მხატვრული ტექსტის ერთ-ერთ ტიპოლოგიურ ნიშანს წარმოადგენს. ამგვარად, ტიპოლოგიური ნიშანი შეიძლება იყოს ბუნების აღწერა და გმირის დახასიათებისათვის მისი სხეულის რომელიმე ნაწილის აქცენტირება, ან გარეგნობის აღწერა, ისე რომ მკითხველის დამოკიდებულება გმირისადმი ან ნაწარმოების მთლიანი ატმოსფეროსადმი წინასწარ არის დეტერმინირებული.

„თიორლესის“ თემა მოგვიანებით, ისტორიული ვითარების შესაბამისად, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, საუკუნის პრობლემად იქცა. ადამიანის ღირსების გათვლვის, ძალადობის, საკუთარი უპირატესობის განმტკიცების ის პროცედურა, რომელსაც ატარებენ თიორლესის თანაკლასელები ბაინებერგი და რაიტინგი, მხატვრულ ლიტერატურაში მრავალჯერ აღსახა ფაშიზმთან დაკავშირებით.

გავიხსენოთ თ. მანის მოთხრობა „მარიო და ქადოქარი“.

ნაწარმოების დასაწყისშივე იქმნება ავბედი-თობის მომასწავებელი ატმოსფერო: ოჯახი დასასვენებლად იმ დროს ჩადის პატარა ქალაქში, როდესაც ფაშიზმს უკვე საკმაოდ ღრმად აქვს გადგმული ფეხები. ერთმანეთს ენაცვლება თითქოს უბრალო ყოფითი უსიამოვნო შემთხვევა, რომელიც მკითხველის თავისებური შემზადებაა იმ სცენისათვის, შემდგომ ხეიბარმა „ქადოქარმა“ რომ გაითამაშა. პიანოტიზირი ჩიპოლა (ქადოქარი) სიმბოლოა ფაშიზმის გამაბრუებელი წარმატებისა და მწერალის რ. მუწილისაგან სრულიად განსხვავებული ხერხებით აგებს თითქმის ანალოგიურ სურათს.

თიორლესის ცხოვრებაში იწყება სქესობრივი მომწიფების ასაკი. ავტორი ამ პერიოდის დაწყებას „წარების რეკით“ გვამცნობს: „ახლა მის ყურებს წარების რეკვა ჩაწვდა. მას არაფრის ისე არ ეშინოდა, როგორც ამ წარე-



ბის ხმისა, რომელიც კატეგორიულად აუწყებდა დღის გასრულებას, თითქოს დანით უღიმობდად რაიმე ჩამოკეთესო. მას არაფერი განეცადა და მისი ცხოვრება გაბმულ გულგრილობაში ბინდებოდა. ზარებზე კი ამას კიდევ ირონია ემატებოდა და თიორლესს, სიბრაზისაგან გასავათებულს საკუთარ თავზე, საკუთარ ბედზე და დამარბულ დღეზე ურუანტელი უფლიდა. აქედან იწყება თიორლესის წამებოთ აღსავსე საკუთარი თავის ძებნის გზა. კ. კარლესკი აღნიშნავს, რომ ფაუსტიდან მოყოლებული, გერმანული ლიტერატურისათვის ნიშანდობლივია, გმირის მოწამებრივი გზა საკუთარი თავისაკენ.

მოგვიანებით ის თვითონ იტყვის ბაინბერგთან საუბარში: „მე ვემეზ არა ზებუნებრივს, არამედ ბუნებრივს. არა ჩემს გარეთ, არამედ ჩემში, ჩემში რაღაცას ბუნებრივს, მაგრამ არ მესმის რა არის ეს“.

ყოველ ეპიკურ ნაწარმოებში ფაბულის სივრცე თავისთავად კი არ არსებობს, არამედ პერსონაჟებში განსახიერდება — ისინი მოქმედებენ ან როგორც ერთმანეთის საწინააღმდეგო, ან ერთნაირი სტატუსის, პოზიციის, სწრაფვის მატარებლები, გმირის მახასიათებლებიდან კ. დოლინინი გამოყოფს ორს:

1. გმირი კონფლიქტური სიტუაციის (კოლიზიის) მთავარი სუბიექტია.

2. გმირი, როგორც წესი, აქტიურია. ის არის ტექსტის სტრუქტურის „აგენსი“ და ამიტომაც არის მოქცეული ნაწარმოების ცენტრში. მ. ბახტინის აზრით, მხატვრულ ნაწარმოებს მართავს ორი კანონზომიერება: გმირისა და ავტორის, რომელიც ერთობლიობაში შინაარსობრივ და ფორმალურ კანონზომიერებას ქმნის.

ი. ლოტმანი კი გმირების შემდეგ სახეობებს წარმოგვიდგენს: მოქმედს და უმოქმედოს. მოქმედი გმირი განსხვავებული ქცევით გამოირჩევა და, უმოქმედო გმირთან შედარებით, მხოლოდ მას აქვს თავისუფალი არჩევანის უფლება მოქცეის გმირულად, მორალურად, არამორალურად, უცნაურად და სხვა.

„თიორლესი“, რამდენადაც ცნობილია, რ. მუზილის ავტობიოგრაფიული ნაწარმოებია. ცხადია, მხატვრული გარდასახვისა და აზრობრივი მასშტაბურობის მინიკებისათვის (ანუ გასიმბოლოებისათვის) ნაწარმოები მრავალი კომპონენტით შეივსო, მაგრამ სასწავლებლის ძირითადი მოდელის შექმნას, კოლიზიებითა და კონფლიქტით, ავტორს საკუთარი გამოცდილება უკარანახებდა. ნაწარმოების ყოველი გმირი მოქმედი გმირის ტიპური მაგალითია. ბაინბერგის გამოჩენა ავანსცენაზე იწყება იმით, რომ ის გენერალი მაშის ინდოეთში მოგზაუ-

რობით და მისგან ყურმოკრული ინდური ფილოსოფიის ცოდნით გულმედიდობს ამხანაგების წინაშე. თანაც „ყურმოკრულს“ სხვებისათვის „მოუწვდომელი საიდუმლოებით“ მოხავეს და თავის ადგილს ცხოვრებაში შემდეგ სატყვე-ბით განსაზღვრავს: ადამიანი ნებისმიერი გზით უნდა გამოირჩეს სხვებისგან, განსაკუთრებით, მაგრამ აუცილებლად, გამოირჩეს და თვითონვე დარწმუნდეს თავის უპირატესობაში. ეს პრინციპი ამოძრავებს რაიტინგსაც. მის თანამოაზრეს, და მისი ერთგულნი ისინი ბოლომდე რჩებიან.

კვანძი ადვილად იკვრება: რაიტინგი და ბაინბერგი მცირეოდენ დანაშაულში გამოიკერენ თანაკლასელ ბაზინის და იწყებენ მის უმოწყალო დამცირებას. სატანჯველს თიორლესი უღებს ბოლოს იმით, რომ მიუთითებს ერთადერთ გზას ხსნისაკენ — სასწავლებლის დირექციას. საქმე სააშკარაოზე გამოდის და ბაზინი სასწავლებლიდან მიჰყავთ.

როგორ აგებს მწერალი ამ თითქოსდა მარტივ სიუჟეტზე შთამბეჭდავ და ექსპრესიულ დრამატიზმს? რა სიმბოლიკითაა შეკრული ტექსტი და როგორ ხდება მკითხველის თვალწინ მხატვრული ტიპის ან ხატის სიმბოლოდ ინკარნაცია?

ეპიკური ტექსტის მთლიან არქიტექტონიკაში გმირის გარეგნობას მ. ბახტინი წამყვან როლს ანიჭებდა. „გარეგნობა — წერდა ის, — ეს არის ადამიანის სხეულის უველა ექსპრესიული და მეტყველი მომენტების ერთობლიობა“. გარეგნობით იწყება ჩვეულებრივი მკითხველის ნაცნობობა პერსონაჟთან და ავტორი მოხერხებული შედარებით, სხეულის რომელიმე ნაწილის ხაზგასმით გმირისადმი დამოკიდებულების „წინასწარ ატმოსფეროს“ ქმნის, რომელიც, ჩვეულებრივ, ან დადებითია ან უარყოფითი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „შედარება“ — კომპარატიული მოდელი შემაკავშირებელი ექსპლიციტური ნაწილაკით „wie“ — „როგორც“ ან იმპლიციტური კომპონენტით „tertium comparationis“ რ. მუზილისთვის არის ხატის აგების ძირითადი ხერხი. ბაინბერგს მკითხველი დასაწყისშივე აღიქვამს ბოროტების სიმბოლოდ, რადგანაც მწერალი მკითხველის უურადლებას ამახვილებს ერთი მხრივ მის ხედებზე, ხოლო მეორეს მხრივ მის შედარებაზე „დამურასთან“ — ბნელეთის მოციქულთან, ხისხლის მსმელ „ობობასთან“ (გავიხსენოთ, რა ხშირად ხედავენ დოხტოევსკის გმირები სიზმარში ობობას, როგორც სიკვდილის სიმბოლოს). ამ სიმბოლოების ერთგვარ ექსპლიკაციას — ტექსტად გაშლას წარმოადგენს შემდგომში ბაინ-



ბერგის ღამესთან დაკავშირებული საქმიანობა. მოვიყვანო რამდენიმე მაგალითი:

„წვრილი მუქი ხელები, რომლებიც მოხერხებულად ახვევდნენ ქაღალდში თამბაქოს, თხელი თითები, ოვალური, ღამაზედ მომრგვალებული ფრჩხილებით — მათში გარკვეული არისტოკრატიზმი გამოხატავდა. მუქ უავისფერ თვლებშიც, მთელი სხეულის ხაზგასმულ სიგამბდრეშიც, მაგრამ უურები საკმაოდ განზე ჰქონდა გამდგარი და სახეც პატარა და უსწორმასწორო, ისე რომ თავი მთლიანობაში ღამურას მოგაგონებდათ... „სწორედ ხელებში, რომლებიც მისი სხეულის მთავარ სილამაზეს შეადგენდნენ, დაგუბებულიყო უდიდესი ზიზღი — მათ რაღაც ბიწიერებისა ახლდათ თან“... „სხეულის მოხერხებულ მოძრაობაშიც იყო რაღაც იმ ბიწიერებისა, ხოლო ხელებში ამას თითქმის თავი მოეყარა და ისინი ხელშეხების იმგვარ წინათგმობას ასხივებდნენ, რომ თიორღებს ზიზღისაგან ზარავდა“... „ამ გრძნობით ის გაკვირვებული იყო, რადგანაც იმ დღეს მასში მეორეჯერ, ყოველგვარი ურთიერთკავშირის გარეშე, მოულოდნელად შემოიჭრა სქესობრივი იმპულსი“.

აქ იწყება კალაჟური კავშირი თიორღის შიდა მძრულ იმპულსსა, ანუ „ირაციონალურსა“, და საკუთარ თავში მის ამოხსნას შორის, რასაც მოყვება კავშირი გარეწრებთან.

ძალაუნებურად, ანალოგიის სახით და გმირის ტიპის მსგავსების გამო გვახსენდება დოსტოევსკის მიერ „ეშმაკებში“ პიოტრ ვერხოვენსკის აღწერა: „გამოთქმა მას ხაოცრად სუფთა აქვს. სიტყვები თანაბრად, მარცვლებივით ცვივა — საგანგებოდ შერჩეული და მუდამ მზადყოფნაში. დასაწყისში ეს თითქმის გზიბლავთ კიდევ, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ზიზღის გრძნობა გეუფლებათ სწორედ იმ მეტისმეტად სუფთა გამოთქმისა და სიტყვების მძივთა მუდმივი მზადყოფნის გამო. ძალაუნებურად წარმოგიდგებათ, რომ ენა მის პირში განსაკუთრებული ფორმისაა, უჩვეულოდ გრძელი და წვრილი, შიშისმომგვრელად წითელი და ზედმიწევნით წაწვეტილებული, უნებურად და გამუდმებით მბრუნავი წვერით“. დოსტოევსკისთან პარალელური არ არის შემთხვევითი: დოსტოევსკი ახალგაზრდობიდანვე მუზიკის გატაცება იყო და ის მას მრავალჯერ უბრუნდებოდა უკვე მოწიფულ წლებში.

ეპიკური ტექსტის ტიპოლოგიურ ნიშნად გვესახება აგრეთვე ექსპრესიული დრამატიზმით დატვირთული სიმბოლიზირებული სიტუაცია, რომელსაც ჩვეულებრივ კვანძის გახსნა მოყვება, ასეთია „თიორღისში“ ბაზინის გაუპატიურების სცენა, „ეშმაკებში“ კი — შატოვთან ანგარიშსწორების სცენა, რომელსაც პირველ

შემთხვევაში ბაინებერგი“ და რაიტინგი, ხოლო მეორეში — პიოტრ ვერხოვენსკი ერთნაირი გულგრილობით, გაანგარიშებული გეგმით ჩაატარებენ, თუმცა მიზეზს შატოვის მოკვლისას პირადი შეურაცხყოფის გრძნობაც ემატება — შატოვმა ოდესღაც ვერხოვენსკის მიაფურთხა.

თ. მანის „მარიო და ჯადოქარში“ ჩიპოლას ხეიბრობა, შევარდნის შერდნი და ცალმხრივად ამოზრცული ზურგი, წინასწარ ქმნის გმირისადმი უნდობლობის ატმოსფეროს, ხოლო ბოროტების მოქმედ სიმბოლოდ ფუნქციონირებს ჩიპოლას „მათრახი“ — „ყოვლისშემძლე კვერთხი“. რომლის შემოკვრითაც სცენაზე ამოხული ნებადაკარგული ხალხი ჩიპოლას მარიონეტებად იქცევა.

ბაინებერგისა და რაიტინგის მიერ ბაზინის წვადება ფანტასმაგორიულ, კაფკასეულ მანშტაბებს ღებულობს. ბაზინის მონაყოლიდან ირკვევა, რომ მწვადებლები არ ჭერდებოდნენ პატივყრას და ყოველი პროცედურა მთავრდებოდა ბაზინის „გაპირუტყვების“ სცენით: „ჭერ ჩუმად, უფრო წყმუტუნით, მძინარე ძაღლივით უნდა მიუყვება, ღორივით ღრუტუნსაც მიბრძანებდა და თან მიმტკიცებდა, რომ ჩემში რაღაც ამ ცხოველისაგან არის ჩამალული“.

ბაინებერგიც და რაიტინგიც მოქმედებენ წინასწარ შემუშავებული გეგმით, რომელიც მათი ცხოვრებისეული პოზიციის გამომხატველია. „ადამიანი შემთხვევითი მოვლენაა, — ხსნის ბაინებერგი, — ის ალბათ „რაღაცას“ ნიშნავს, მაგრამ ის „რაღაც“, ისეთივე განუსაზღვრელია, როგორც გზაზე დაგდებული ქვა ან კიბეა, რომელსაც არ იცი როგორ მოექცე, ჩაუარო თუ გახრისო...“

„მსხვერპლი“ ბაინებერგისათვის მისი კაცობის დასტურია, რაიტინგისთვის კი — ძალაუფლება და საკუთარი თავის ნაპოლეონთან იდენტიფიკაცია, აქედან აღმოცენდება ბაინებერგის შედარება ობობასთან — „მას თვლები მოეხუჭა, მხოლოდ მცირე ნაპრალეზილა უჩანდა თვლების ნაცვლად და საზარელ ქსელში მშვიდად ჩასაფრებულ ობობას ჩამოგავდა“.

თვით თიორღისის პოზიცია შექმნილ კოლოზიაში შემოიფარგლება ირაციონალულის წვდომის ხურვილით, ცნობისმოყვარეობით, რომელსაც მასში სქესთან დაკავშირებით ეს სიტუაცია აღძრავს. სიუვარულისადმი დამოკიდებულებაც მეძავ ბოვენათი დაწყებული სქესით იზღუდება. ხოლო გრძნობა, რომელიც ასე მკიდროდ ამდენი ხნის მანძილზე აკავშირებს თიორღისის მშობლებს, მისთვის ერთ-ერთი ამოუცნობი საიდუმლოა.

თიორღისი მათემატიკით არის გატაცებული



(ეს გატაცება ავტორისეულია) და როდესაც ამოუცნობის ამოცნობის წყურვილი მძლავრობს, ტექსტი იკვრება მთავარი სიმბოლოებით „ირაციონალური რიცხვითა“ და ვითომური რიცხვით  $\sqrt{-1}$  „მე მადღევენს პარადღელურ ხაზთა ირაციონალობის ცნება, რომლებიც სადღაც უსასრულობაში გადაიკვეთებიან. — ამბობს ის, — როდესაც ამას ვუფიქრდები თავში ჩარტყმულივით ვბრუვდები“.

აქ ჩვენ კვლავ მოვიშველიებთ  $\sqrt{-1}$  სვასიანის აზრს, სადაც ავტორი სწორედ  $x = \sqrt{-1}$  სიმბოლოზე ამახვილებს ყურადღებას და მას მეტაფორული სიმბოლოების ტოლფას სიმბოლოდ აცხადებს: „სიმბოლოს პირობითობის თვისი თვითშეგნებულ კულტურის ნამდვილ აღმოჩენად იქცა. ყოველგვარი, მოდელირება თავისი არსით შეფარდებითია: საბავშვო თამაშების მარტივი ფანტაზიებიდან დაწყებული და მათემატიკური ვითომური სიდიდით დამთავრებული, ყოველდღიური სამეტყველო კონსტრუქციით დაწყებული და ურთულესი პოეტური მეტაფორით დამთავრებული.“

ბავშვი, რომელიც ჯობით ცხენობანას თამაშობს და მაკუპარიკოსი, რომელიც ოპერირებს  $x = \sqrt{-1}$  ტიპის ფორმულით, ხმარებადი გამოთქმა „მზე ჩავიდა“ და მაიაკოვსკის ხატი — „შენში ფარანების ცეცხლოვან ტუჩებს ჩავკოცნი“ წარმოადგენენ გამონაგონის სხვადასხვა დონეებს, ანუ შესაბამისი დონის, ხფეროს თანასწორუფლებიან სიმბოლოებს.

მათემატიკური განათლება, ესოდენ არატიპური მწერლისათვის, რ. მუშილს გარკვეულ პრიორიტეტს ანიჭებდა და ამას მწერალი თვითონაც უხვამდა ხაზს. მხატვრულ ტექსტში მათემატიკური სიმბოლოს შემოყვანა და მისი საშუალებით გმირის ქვეცნობიერის წვდომის სურვილით გამოწვეული სულიერი აფორიაქების გამოხატვა სიმბოლიკის თვალსაზრისით სიბლეს წარმოადგენს, მითუმეტეს, როდესაც მას ტექსტში ინფორმაციის გადმოცემის ძირითადი პრაგმატული და მხატვრული ფუნქცია აკისრია, ლოსევი ამის თაობაზე წერს: „ყველაზე ზუსტი მეცნიერებაც კი, როგორცაა მათემატიკა, იძლევა სიმბოლოს დასრულებულ ხატს. მხოლოდ მათემატიკის არამცოდნეს წარმოუდგენია სწორი მონაკვეთი რაიმე სიგრძის ჩხირის სახით, რომელიც გარკვეული რაოდენობის მონაკვეთებად დაიყოფა. სინამდვილეში კი, ნამდვილი რიცხვების სიმრავლეს, მათემატიკის ძირითადი დებულებების თანახმად, გააჩნია კონტინუუმი სიმძლავრე და, რადგანაც მონაკვეთი შეიცავს წერტილების სიმრავლეს, რომელიც შეესატყვისება ყველა ნამდვილ რიცხვთა სიმრავლეს, აუცილებელია ვაღიაროთ, რომ სასრული მონაკვეთი ამ თვალსაზ-

რისით წარმოადგენს ყველა ნამდვილი რიცხვის (ანუ ყველა რაციონალური და ირაციონალური, რიცხვის) უსასრულობის ერთ-ერთ სიმბოლოს. ყოველი  $\sqrt{2}$ ,  $\sqrt{3}$ ,  $\sqrt{5}$  ტიპის რიცხვი წარმოადგენს, ჩვენი გაგებით, სიმბოლოს, რადგანაც ყოველი ირაციონალური რიცხვი არის ურიცხვი რაოდენობის ათეული ნაშნის წარმოშობის მეთოდი... ამიტომ, მათემატიკური ანალიზის კატეგორია ვერ აუვლის გვერდს სიმბოლოს ცნების თანმიმდევრულ გამოყენებას“.

ამგვარად „ირაციონალური რიცხვი“ ტექსტში ხდება „ირაციონალულის“ ზოგად-მეტაფორული სიმბოლო. ხოლო ვითომური  $\sqrt{-1}$  „ირაციონალულის გერწვდომის“ სიმბოლოდ „რატომ არ შეიძლება უარყოფითი რიცხვიდან კვადრატული ფესვის ამოყვანა? ცხადია, ამას არ ექნებოდა ნამდვილი მნიშვნელობა და ამიტომაც ეძახიან მას „ვითომურს“. ეს შემდეგ სიტუაციას მაგონებს: დავუშვათ, აქ ყოველთვის ვიღაც იჭდა. ამიტომ ჩვენ დღესაც ვუდგამთ მას სკამს და, დღეს ის რომ მოკვდეს, ჩვენ მაინც ისე მოვიქცევით, თითქოს ის მოვა“, — ასეთია თიორლესის გონებაში ასოციაციური პარადელი.

„ნამდვილსა“ (რაციონალურსა) და „წარმოსახვითს“ (ირაციონალურს) შორის იქმნება უფსკრული, სიყარიელე და ამ ორ ბოლოს (რაციონალულისა და ირაციონალულის) თუშვ შემაკავშირებული ხიდი არ გააჩნია, ჩვენ მას „ვითომურად“  $\sqrt{-1}$  ის სახით წარმოვიდგენთ. აქ იკვრება წრე ნაწარმოების ეპიგრაფსა და ავტორის შემოქმედებით მოდელს შორის: ირაციონალულის წვდომა, როგორც დასაწყისში აღვნიშნავთ, მხოლოდ პოეზიისა და ინტუიციის, პრეროგატივაა და ამიტომ „ჩვენ მცდარად წარმოვიდგენთ, რომ განძეულობის ორმოს მივაგენით. მაგრამ როგორც კი დღის სინათლეზე მოვდივართ, მხოლოდ უბრალო ქვები და შუშის ნამსხვრევები მოგვაქვს“. ყოველი მხატვრული ტექსტის სიმბოლოს საკუთარი სისტემა და სტრუქტურა გააჩნია, რომელიც თავის მხრივ მრავალი სემანტიკური კომპონენტისაგან შედგება. „თიორლისში“ ირაციონალური“ და „ვითომური“ რიცხვის მხატვრულ ექსპლიკაციას წარმოადგენენ ურიცხვი მეტაფორები, რომლებიც მთავარი სიმბოლოს ასოციაციურ ველს განეკუთვნებიან.

მაგალითად, სიტყვა „ხული“ (Seele) ტექსტში ისეთი სიზშირითაა მოდიფიცირებული ვარიანტებით ნახმარი, რომ ტექსტის მონაკვეთების სიღრმისეული და ზედაპირული სტრუქტურის შემკვრელ „ღერძულ სიტყვად“ აღიქმება, როდესაც რაიტინგი „პიანოზით სულის განწმენდის“ თეორიას ავითარებს, ის, შეიძ-



ლება ითქვას, ამ სიტყვაზე აგებს თავის მონოლოგს: „სულის სიცოცხლე“ (Seelenleben), „სულის ამოცანა“ (Seeleaufgabe), „სულის მაგია“ (Seelenmagie), „არსებობა სულისა“ (Das Dasein einer Seele) და სხვა.

მთავარი სიმბოლოს ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია ასევე სიტყვა „კედლის“ მეტაფორა — „გამთიშავი უფსკრული“ რაციონდულსა და ირაციონდულს შორის („როგორც შავი, შეუვალი, ეული, ბნელი კედელი“), რომელიც აგრეთვე ტექსტის ძირითადი აზრის მატარებელი მთელი რთვი | მონაცემების „ღერძულ სიტყვად“ აღიქმება: „მან შეათვალიერა ნაცრისფერი, უხარკმლო კედელი, რომელიც მის უკან ამოზიდულიყო. ის თითქმის მისკენ გადმოხრილიყო და მდუმარედ შეხედა. დრო და დრო კედელში რაღაც მოწანწაქარებდა და მის მიღმა ხაზარელი ცხოვრება იღვიძებდა... მის გვერდით ბნელ კუთხეში ღვიოდა ვირისტერფა და თავისი ფოთლებით ღრკოკინებისა და ჭიკუყლების თავშესაფარს ქმნიდა“. თიორღესის საბოლოო აღსარებაში „ირაციონალური რიცხვისა“ და „კედლის“ მეტაფორები ერთ მთლიან სიმბოლო-მეტაფორად იკვრებიან, „არსებობენ ისეთი მოვლენები, — ამბობს თიორღესი, — რომლებიც ორგვარი ფორმით ივრებიან ჩვენს ცხოვრებაში (ორგვარი სიმბოლოს სახით — ნ. ჯ.). ასეთებად ვპოვებ მე ადამიანები, მოვლენები, ბნელი დამტვერილი კუთხეები, მაღალი, ცივი, ჩუმი, მოულოდნელად გაცოცხლებული კედელი... „ირაციონალური რიცხვები“.

„ირაციონალური რიცხვების“ — უსახრულობის მხატვრულ ექსპლიცირებულ მეტაფორად გვევლინება სიტყვა „ცა“, რომელიც თიორღესმა მოულოდნელად აღმოაჩინა თავისთ-

ვის, უეცრად შენიშნა „როგორ სიმაღლეა ცა... ეს გრძნობა შიშს წააგავდა. სწორედ მის შემოთ ანათებდა პატარა, ცისფერი გამოუთქმელად ღრმა ხვრელი ღრუბლებს შორის. მას ეჩვენებოდა, რომ გრძელი, გრძელი კიბით შეიძლებოდა შემოთ ასვლა, მაგრამ რაც უფრო აკვირდებოდა, მით უფრო სიღრმეში უკან მიიწევდა ცისფერი განათებული სივრცე“.

რ. მუწილის შემოქმედება ამომწურავ მასალას სთავაზობს მკვლევარს სიმბოლიკის თვალსაზრისით (ასეთივეა მისი მოთხრობების ციკლი „გრიჭია“, „პორტუგალიელი ქალი“, „ტონკა“) და, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მხოლოდ „მოზარდ თიორღესის სულიერი აფორიაქებით“ შემოვიფარგლეთ, მაინც შეუძლებლად მიგვაჩნია ერთ სტატიაში ჩავატოთ ამ ტექსტის სიმბოლური პრობლემატიკა.

ჩვენ შევეცადეთ მაქსიმალურად რედაქცირებული სახით წარმოგვედგინა სიმბოლოს წარმადი ფორმულა, სადაც მთავარი სიმბოლოა „ირაციონალური რიცხვი“ და „ცა“ — ირაციონდულის სიმბოლო-მეტაფორა, ხოლო მისი ამოხსნის შეუძლებლობა, უფსკრული სიცარიელე გვირის სულში, გამოხატულია მეტაფორად ქცეული ვითომური რიცხვით, V—1. სწორედ ამ სიმბოლოების სემანტიკური სტრუქტურის ტექსტში ექსპლიცაიტით იქმნება ნაწარმოების მხატვრული ქარგა. სემანტიკური ველი მთლიანად შეფერილია „მუქი“, „შავი“, „ბნელი“, „ნაცრისფერი“ ფერებით, რაც ტექსტის სივრცის პერმეტიულობის შთაბეჭდილებას ქმნის.

ეს აზრის ნაწარმოები, სადაც ყოველი საკვანძო სიტყვა სიმბოლო — მეტაფორად იზმარება და სწორედაც რომ მათემატიკური განგარიშებითა და სიზუსტით იგება მაკროსამყაროს ექვივალენტური მიკროსამყაროს სურათი.



„ხუან დე მაიკანა. მახვილზონივრული სენტენციები, ესაიზები  
და მოგონებები ერთი ავოკადოზული პროფესორისა“

(ანტონიო მაჩადოს გარდაცვალების 40 წლისთავთან დაკავშირებით)  
(26. V. 1875—21. II. 1939).

პრისდროს უძებნია სახელი და დიდება: მეოცნებე, ფილოსოფოსი, ცნობილი განდევნილი, მარტოობასთან შეხმატებული, სიტყვაძუნწი, დაღუპული სიყვარულის მომღერალი; პროვინციის თავმდაბალი მასწავლებელი. მუდამ ძველმოდურად ჩაცმულ-დახურული, დაღვრემილი; დაღლილი სახე. მიმჭრალი თვალები... „ნელა დაუყვებოდა ქუჩას, ფიქრებში ჩაფლული, მთვარეულივით მიაბიჯებდა გეგონებოდათ, სადღაც სხვაგან იყო, ვერ ამჩნევდა ვერც ამ დილას, ვერც ქუჩას, არ ესმოდა ჩიტების ფივილ-ხივილი...“ ანტონიო მაჩადოს ასეთი პორტრეტი დაგვიხატა პოეტმა რაფაელ ალბერტიმ, ასეთი დაამახსოვრდა იგი გარსია ლორკას, მიგელ დე უნამუნოს, ყველამ იცოდა მისი ჩვევა, უყვარდა ქალაქის ქუჩებსა და გარეუბნებში ხეტიალი და ამ ხეტიალში იკვერებოდა „ცნობილი განდევნილის“ ლირიკული გმირი — ყარიბი, და, იკვეთებოდა მისი მრწამსი — „ოცნება მხოლოდ ფხიზელი მწამს, ჩვენ არ უნდა ვკმნიდეთ განსაკუთრებულ სამყაროს, სადაც ეგოისტურად დავტაბებოდით ჩვენივე საკუთარი თავით, არ უნდა ვკმნიდეთ რაღაც განსაკუთრებულ ცხოვრებას, სხვათათვის რომ მიუწვდომელი იქნებოდა...“

დღეს, როცა დიდის გულისყურით შეუდგნენ პოეტის ინტელექტუალური ევოლუციის ეთიკური მხარის შესწავლას, უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა ბოლომდე თავისუფალი, ღრმად პატიოსანი მხატვრისა და მოაზროვნის მაღალზნობრივმა პირადმა სუ-

ლიერმა ცხოვრებამ. როცა თანამედროვე ახალგაზრდობა აცხადებს — „დღეს ჩვენ გვკირდება არა მარტო მეტაფიზიკური ანდა განზოგადებულ-აბსტრაქტული პასუხები, არამედ გაკვეთილი, თუ როგორ ეიცოვროთ და როგორ მოვეცდეთ ღირსეულად“ — და მოძღვარს, გზის მაჩვენებელს წარსულში ეძებს, კრიტიკოსთა და ისტორიკოსთა უმრავლესობა ასეთ მოძღვრად ერთხმად ასახელებს ანტონიო მაჩადოს თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით და მიგელ დე უნამუნოს თავისი პიროვნებითა და მოღვაწეობით.

1956 წელს, როცა ხუან რამონ ხიმენესს ნობელის პრემია მიანიჭეს, საგანგებოდ აღინიშნა, რომ მისი სახით ნობელის პრემიით აჯილდოვებდნენ სიკვდილის შემდგომ ანტონიო მაჩადოსა და გარსია ლორკას, რადგან სამივე ერთად წარმოადგენს ესპანეთის უდიდეს პოეზიას და ესპანური პოეზიის აღმავლობა, უწინარეს ყოვლისა, მათ სახელთანაა დაკავშირებული; რომ ანტონიო მაჩადოს მიიჩნევენ არა მარტო ახალი თაობის მოძღვრად და მასწავლებლად, არამედ ესპანეთში ყოველივე უკეთესის, კეთილშობილის, სათნოების, საკუთარი ღირსების შეგნების, ზალხისა და პოეზიის უანგარო სამსახურის სიმბოლოდ, სამშობლოსთვის თავდადებულ პატრიოტად, მაღალი ეთიკური და მოქალაქეობრივი ღირსებებით გამორჩეულ პიროვნებად.

მეტად დრამატული იყო პოეტის პირადი ცხოვრება, კიდევ უფრო დრამატული იყო ეპოქა, როდესაც მას მოუხდა მოღვაწეობა.



ანტონიო მაჩადო ი რუისი დაიბადა ანდალუსიის ქალაქ სევილიაში 26. V. 1875 წელს, ინტელიგენტის ოჯახში; მისი პაპა იყო სევილიის უნივერსიტეტის პროფესორი და რექტორი. მამა კი ცნობილი ფოლკლორისტი. მისი პირველი სახელმძღვანელო ხალხური რომანსეროს კრებული იყო: ცხრა წლისა მადრიდის თავისუფალი განათლების ინსტიტუტში მიაბარეს. პირველი კრებული 1903 წელს გამოაქვეყნა — „განმარტოებანი“, მეორე „განმარტოებანი, გაღერებები და სხვა ლექსები“ — 1907 წელს. იმოგზაურა ევროპაში. სადაც გაიცნო ოსკარ უაილდი და დიდი მოდერნისტი რუბენ დარიო. ძალზე გაიტაცა ფრანგულმა სიმბოლიზმმა. განსაკუთრებით ვერლენის პოეზიამ; სცადა ჟურნალისტობა, მსახიობობა, სელამოებს კაფეებში ატარებდა პოეტებისა და მხატვრების წრეში; ამავე დროს დაუახლოვდა ესპანეთის გამოჩენილ მწერლებსა და მოღვაწეებს, მიგელ დე უნამუნოს, ხუან რამონ ხიმენესს, რამონ დელ ვალიე-ინკლანს; სიცოცხლის ბოლომდე „შემოქმედებითი დიალოგი“ პქონდა მიგელ დე უნამუნოსთან და მის დიდ გავლენასაც განიცდიდა. ამ ატმოსფეროში იქმნებოდა მისი საკუთარი პოეტური სამყარო და მისი განუმეორებელი პოეტური სახეები.

1907 წელს იგი კასტილიის პატარა ქალაქ სორიაში გაამწესეს ფრანგული ენის მასწავლებლად. აქ „მთის ცივ სორიაში“ შეხვდა იგი თავის პირველ მუზას, პატარა, 14 წლის, სუსტ, ცისფერთვალა ლეონორს. მოგვიანებით წერდა: „თუ ბედნიერება არის რაღაც შესაძლებელი და რეალური, როგორც ზოგჯერ მგონია ზოლმე, მაშინ მე მას ფიქრებში ვაიგივებ სორიაში ჩემი ცხოვრების წლებთან და ჩემი ცოლის სიყვარულთან...“ ანდალუსიაში აღზრდილ პოეტზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა კასტილიის დიდებულმა და ასკეტურმა ბუნებამ, ხალხის თავისებურებამ, მათი მკაცრი ცხოვრების წესებმა, ხასიათმა. ამ ტერიტორიაზე, ისტორიული მდინარის ღუეროს ნაპირებზე შეიქმნა დიდებული „სილის სიმღერა“: აქ ყველაფერი პოეტური იყო და აღარ სჭირდებოდა ფანტაზიის ძალით მოეხმო სახეები, პიპერბოლები, მეტაფორები თუ სხვა პოეტური ბერბები. მხოლოდ უნდა დაენახა და აესახა. მის თვალწინ იყო ცოცხალი ისტორია, ცოცხალი პოეზია. ეს კარგად შენიშნა მიგელ დე უნამუნომ: „მაჩადო ყველაფრით პოეტია, მაგრამ სორიამ მასში გააღვიძა სულის სიღრმეში მთვლემარე გრძნობები, რაც ასევე მთვლემარე დარჩენბოდა, სორიაში რომ არ მოხვედრილიყო...“ აქ შექმნილმა მისმა შედეგებმა „კასტილიის ბინდურებმა“ და „ალვარგონსალესის მიწამ“

ეროვნული პოეტის სახელი მოუპოვეს 1912 წელს. მაგრამ მისი ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელბულა, ამავე წელს გარდაიცვალა მისი სათაყვანო მეუღლე, სსსოწარკვეთილ პოეტს თავის მოკვლაც კი უყვლია; მისი ტრაგიკული სიყვარულის ამბავი დღემდე ლეგენდადია დარჩენილი. სორიაში კარ შეძლო ცხოვრება და მალევე ანდალუსის ქალაქ ბაესაში გადასახლდა, შერე სეგოვიამი, სასოწარკვეთილებამ იგი მოხეტიალედ აქცია. ლეონორის სიკვდილმა კიდევ უფრო გაამძაფრა მისი მტკივნეული მოტივები — სიკვდილისა, უსასოობისა, გააღრმავა მისი პესიმიზმი. ამ დროს გაიტაცა სწორედ უნამუნოს ეგზისტენციალისტურმა ფილოსოფიამაც: „შენი ფილოსოფია, დონ მიგელ, აკი ჩემიც არის!“ — წერდა იგი. მისივე გავლენით გაჩნდა მაჩადოს პოეზიაში „საკუთარი ღმერთის“ იდეა, საკუთარი რელიგიის შექმნის ცდა, რომელსაც ყოველი ადამიანი თავისთვის ქმნის სასოწარკვეთილებასთან ბრძოლაში. ღმერთი, რომელსაც ჩვენ ვატარებთ, ღმერთი, რომელსაც ჩვენვე ვქმნით, რომელსაც ვეძებთ და ვერიოდეს ვპოულობთ...“ ზოლო როდესაც იგი პაიდგეგარის ფილოსოფიას გაეცნო, აღნიშნა, ესპანელებისთვის ამ ფილოსოფიაში ახალი არაფერი არ არის, ჩვენთვის ყოველივეს წარმავლობის, სიკვდილის ეთიკურ-რელიგიური გაგება ბუნებრივია და ეს თემა ჩვენი ხელოვნებისთვის ტრადიციულია. მხოლოდ 1928 წელს, თეატრალურ წრეებში შეხვდა იგი თავის მეორე მუზას, უკანასკნელ სიყვარულს, რომელიც ესპანურ ლიტერატურაში ცნობილი გახდა პირობითი სახელით „გიიომარ“. ამ სახისა და სახელის გარშემო ფრიცხვი ლეგენდა შეიქმნა, მისი რეალური არსებობაც კი სადომ გახდა; ხალხს ენანებოდა პოეტის რომანტიკულ სიყვარულთან განშორება. მაგრამ მაჩადოს სიკვდილის შემდეგ მწერალმა ქალმა კონჩა ესპინამ გამოაქვეყნა მაჩადოს პირადი წერილები „გიიომარისადმი“, ოღონდ მისი ნამდვილი სახელი საიდუმლოდ დარჩა, რადგან იგი სხვისი მეუღლე გახლდათ. წერილებიც კუპიურებით დაიბეჭდა. ეს ლექსები „სიმღერები გიიომარისადმი“ და „სხვა სიმღერები გიიომარისადმი“ მსოფლიო სამიჯნურო პოეზიის ერთ-ერთ ბრწყინვალე და ძლიერ ნაწარმოებთა რიცხვს მიემატა.

„ლირიკული პოეზიის წამყვანი მოტივია დრო, დრო და ხალხის ცხოვრება“. წერდა მაჩადო. ზოლო დრო, როცა იგი ცხოვრობდა მეტად მძიმე იყო ესპანელთათვის, ამ პერიოდში ხდებოდა ყველაზე უფრო დიდი ძვრები ესპანეთის პოლიტიკურ, სოციალურ თუ კულტურულ ცხოვრებაში — 1898 წლის ეს-



პანეთ-ამერიკის ომში ესპანეთის დამარცხება, მონარქიის დაცემა, რევოლუციური აღმავლობა, პრიმო დე რივერას დიქტატურა, რესპუბლიკისთვის ბრძოლა, სამოქალაქო ომი, ფაშისტური ამბოხი. აი, ამ მოვლენების ქართულში პოეტმა უყოყმანოდ აირჩია თავისი პოზიცია: „მე ძველი რესპუბლიკელი გახლავართ და ხალხის ნება ჩემთვის წმიდათა წმიდაა!“ იგი უკანასკნელ დღემდე დარჩა რესპუბლიკელებთან და სიტყვითა და საქმით ბოლომდე ემსახურა მას; მალაზნეობრივი ავტორიტეტი აძლევდა უფლებას გამოსულიყო მიტინგებზე, გამოექვეყნებინა მწვავე პუბლიცისტური სტატიები და ღრმად პატრიოტული ლექსები. ფაშისტური ამბოხის დროს იგი მადრიდში ცხოვრობდა, ფრონტზეც უნდა წასვლა, მაგრამ რესპუბლიკის მთავრობამ ნება არ მისცა, გაუფრთხილდა პოეტს. მოხუც დედასთან და ძმასთან ერთად ვალენსიაში გადაიყვანეს, ხოლო ჯოცა ფრონტი ვალენსიასაც მიუახლოვდა, ბარსელონაში გახიზნეს; მაგრამ ფრანკისტებმა ბარსელონასაც შეუტყეს და მაშინ ოჯახთან ერთად სანიტარული მანქანით საფრანგეთის საზღვრისკენ გაამგზავრეს. გზაში მანქანა წყობიდან გამოვიდა და იგი ღრმად მოხუც დედასთან ერთად წვიმაში ფეხით გადავიდა საზღვარზე. ეს იყო 28 იანვარი, ხოლო 22 თებერვალს სულიერად გატეხილი და ფიზიკურად დაუძლურებული გარდაიცვალა საფრანგეთის პატარა ქალაქ კოლიურში.

„სამშობლო არ არის მარტოოდენ მემატიანობით ნაანდერძევი მამაბაბისეული აღგილ-მამული, რომელიც ჩვენგან მოითხოვს მხოლოდ მტრისაგან დაცვას. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ სამშობლო იქმნება მარადიულად და შემოგვრჩება კულტურისა და დიდი გარჯის წყალობით...“ — წერდა ანტონიო მაჩადო. ამ სიტყვების ნათელი სურათია მისი ცხოვრება და შემოქმედება, მისი ცხოვრების ეპოქა ესპანეთის ისტორიაში ცნობილია „მეორე ოქროს საუკუნედ“ (პირველი „ოქროს საუკუნე“ სერვანტესის, კალდერონის, ლოპე დე ვეგას, კევედოს ეპოქა), ამ დროსაც ტალანტების ასეთი კოპორტი სასწაულებრივი მოვლენა იყო ქვეყნად — ორტეგა ი გასეტი, მიგელ დე უნამუნო, რამონ დელ ვალიე-ინკლანი, ანტონიო მაჩადო, ხუან რამონ ხიმენესი, გარსია ლორკა; მაგრამ როგორი იყო ამ კოპორტის ბედი — ორტეგა ი გასეტი ემიგრაციაში გადაიხვეწა, არგენტინაში, საიდანაც 1945 წელს დაბრუნდა და ისიც უმეტესად პორტუგალიაში ცხოვრობდა, ხუან რამონ ხიმენესი ემიგრაციაში წავიდა და ფრანკისტულ ესპანეთში დაბრუნებაც აღარ ისურვა, პუერ-

ტო-რიკოში გარდაიცვალა, გარსია ლორკა პირველი მსხვერპლი გახდა, უნამუნო სრულ იზოლაციაში, რეჟიმის მკაცრ პირობებში გარდაიცვალა, რაფაელ ალბერტი ემიგრაციაში იყო, ერნანდესი ციხეში მოკვდა და ენ მორტელის კიდევ რამდენი მსხვერპლი შეიწირა ფრანკისტულმა რეჟიმმა, სუდუკუნი უბედულად ლორკა, მაჩადო, უნამუნო, კორდალ, წიგნთა ინდექსში რომ შეიტანეს, ეს იყო საყოველთაო ურწმუნობის, უარყოფის, ცინიზმის დრო. „გაიყიდა ესპანეთი მდინარიდან მდინარემდე, მთიდან მთამდე, ზღვიდან ზღვამდე“ — წერდა შეძრწუნებული პოეტი. ეკვე ესპანეთშიც შემოაღწია ევროპულმა მოტივებმა — ყოველივეს მსხვერვის წინასწარმეტყველება — რელიგიის, მორალის, სახელმწიფოს, ოჯახის; ესპანეთშიც გაისმა დადაისტთა გამოძახილი — განთავისუფლდეს სიტყვა აზრისგან, ადამიანი პასუხისმგებლობისგან! კუბიზმაც ნახა აქ ნიადაგი, ულტრაისტები აცხადებდნენ — ძირს ყოველგვარი პირობითობა, წინ დინამიზმისკენ, სიახლე სიახლისთვის! ურიცხვი ლოზუნგი — სანდოა მხოლოდ ინსტინქტი, ადამიანი სათამაშოა აუხსნელი და გაუგებარი ძალების ხელში! ავანგარდისტულ მიმდინარეობათა ტალღამ მძლავრად გადაუარა ესპანეთს — კრეა-სიონიზმი, სიურრეალიზმი, ულტრაიზმი, ჰერმეტიზმი და ამ დროს „1898 წლის თაობა“, რომელიც მისი ბელადის მიგელ დე უნამუნოს პირით აცხადებს „მე მტკივა ესპანეთი“ და მოუწოდებს ქვეყნის აღორძინებისკენ, ანტონიო მაჩადო ღვება თაობის გვერდით. მათი პროგრამა — ესპანეთის ისტორიული ბედი, მისი ცხოვრება, მომავალი გახდა პოეტის ტიკვილიც. „ყველაზე საწყენი ისაა, რომ ვერ ვხედავ აღშფოთებას, პროტესტს დღევანდელი ვითარების წინააღმდეგ. ასე გეგონება, რომ ყველა ყველაფრით კმაყოფილია. მაგრამ მინდა ვიწამო, რომ ეს გაყუჩება და კმაყოფილება მხოლოდ ცუდი სიზმარია და ჩვენ მაინც გამოვფხიზლდებით.“ მის შემოქმედებაში მთელი სისავსით გამოვლინდა ქვეყნის ისტორია, ხალხი, პეიზაჟი, ფოლკლორი. ხალხური ხელოვნება, მისი სულიერი ფასეულობა პოეტის შემოქმედების მთავარი მასაზრდოებელი იყო. მან აითვისა და შემოქმედებითად გადაამუშავა თითქმის ყველა ენარი ესპანური ფოლკლორისა, ლირიკული რომანსი, კანტე ხონდო, სოლეარი, კოპლა და სხვა. აქ განსაზღვრდა კასტილიის მკაცრი პეიზაჟი, ძველი ქალაქების გარინდებული ქუჩები, ნახევრად დანგრეული ციხე-სიმაგრეები, თეთრი გზები, გზისპირა მაყვლის ბარდები, ალვის ხეების რიგები, მთელი ეს მელანქოლიური სილამაზე, ესპანეთის გული, ესპანეთის კერა. „იქ, წარ-



სულში, შორს, გარდასულ დროთა გმირების ციხე-სიმაგრეები... აქ, ამ მოედანზე ლარიბ-ლატანი, ნაფლეთების ორგია..." აზრის და ლექსის არაჩვეულებრივი მუსიკალური ერთიანობა, მხატვრობისა და ისტორიულობის შერწყმა მისი განმასხვავებელი ნიშანი და კარგად უწოდა რუბენ დარიომ მის ზეშთაგონებულ პოეზიას „იდუმალი“.

ანტონიო მაჩადოს ჩვენი მკითხველი უფრო პოეზიით იცნობს, თვით ესპანეთშიც მისი პროზის დიდი ნაწილი ბოლო დროს ქვეყნდება; გვიან შეუდგნენ მაჩადოს ფილოსოფიური, ესთეტიკური, პოლიტიკური სტატიების შესწავლა-კომენტირებასა და ინტერპრეტაციას. დღევანდელი ესპანეთის ინტელიგენცია განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს მისი პროზაული მემკვიდრეობის მიმართ, რომელშიც ნათლად ჩანს მწერლის შემოქმედებითი და შემეცნებითი ევოლუცია, მრწამსი, დღემდე ინარჩუნებს ძალას მისი ნათქვამი: „დადგა დრო, ან შეიძლება ჯერ არც წასულა დრო, როცა ჩვენ, ესპანელებმა საფუძვლიანად უნდა გამოვიკვლიოთ ჩვენი შემეცნება. საით მივდივართ? საით მივდიოდით? ამ კითხვებს კი ასეთი კითხვაც მოსდევს: ვისთან ერთად მივდივართ? ვინ გახდება მომავალში ჩვენი თანამგზავრი ისტორიის გზაზე?...“ ამ კითხვების პასუხს დღემდე ეძებს ესპანელი ახალგაზრდობა. დიდის გულისყურით კითხულობენ მაჩადოს პროზაულ თხზულებას „ხუან დე მაირენა, მახვილგონივრული სენტენციები. ესკიზები და მოგონებები ერთი აპოკრიფული პროფესორისა“, ამ ნაწარმოებს პოეტი ცალკე თავებად აქვეყნებდა ეურნალ-გაზეთებში 1934-36 და 1937-38 წლებში („დიარიო დე მადრიდ“, „ელ სოლ“, „ორა დე ესპანია“ და სხვ.), ხოლო წიგნად გამოიცა 1936 და შემდეგ წლებში. ამ ნაწარმოების იდეა გამოხატულია შემდეგი ფრაზით: „მთავარი ის კი არ არის, რომ პოეტმა ეძებოს საკუთარი „მე“, მან უნდა ეძებოს „შენ“, უნდა ვეძიოთ ჩვენს სარკეში სხვა, ის ვინც გვერდით გვიდგას. ნაწარმოების გმირი ხუან დე მაირენა — სექტიკოსი, კეშმარიტების მაძიებელი, რომელიც ისწრაფვის პიროვნების სრულქმნილს, მისი ბუნებრივი თვისებების განვითარებისკენ, ამ მიზნით ჩაიფიქრებს შექმნას უმაღლესი სიბრძნის სკოლა ხალხის გასაანათლებლად; „ეკლესია და ხელისუფლება შეთანხმებულად იცავენ დოგმებს და უფრთხილდებიან მასთან ერთად ყველა ტაბუს... ჩვენი სკოლის მიზანია, დავანახოთ ხალხს, ე. ი. დედამიწის ყველა ბინადარს მისი აზრის ყველა შესაძლებელი რადიუსი. სკოლის მთელი უკიდვანო ზონა, რომელიც შეგვიძლია კიდევ გავანათოთ და

კიდევ დავაბნელოთ: ჩვენ უნდა ვასწავლოთ ადამიანს კვლავ და კვლავ ჩაუფიქრდეს იმას, რაზეც მანამდეც უფიქრია, დაივიწყოს ის, რაც იცოდა და დაეკვდეს საკუთარ ეჭვში, რამეთუ ეს არის ერთადერთი საშუალება მივიდეთ რალაცის რწმენად...“ ნაწარმოების მეორე გმირია აბელ მარტინი ფილოსოფოსი, პოეტი, ხუან დე მაირენას მასწავლებელი. ამ ორ გმირს მაჩადომ თავთავიანთ ბიოგრაფიებიც კი შეუქმნა. აბელ მარტინი უფრო განზოგადებულია და მარადიული სახე, მაირენა — თანამედროვე, ლიტერატურული და პოლიტიკური. ხუან დე მაირენა თვით მაჩადოს ორეულია, ხშირად ამ სახელითაც კი აქვეყნებდა თავის წერილებსა და პუბლიცისტურ სტატიებს, რითაც კიდევ უფრო უსვამდა ხაზს თავის იგივეობას გმირთან. მაჩადო სწორედ მას ათქმევინებს თავის ყველაზე სანუკვარ ფიქრებსა და აზრებს: მას ალაპარაკებს თავის მრწამსზე, „შეხედულებებზე, მსოფლგანგებზე, მისი საუბრებოდან ვიგებთ პოეტის განცდებს, ნაფიქრსა თუ ნაზრევს, მის ეჭვებს, მერყეობასა და სექტიციზმს, ეხედავთ კეშმარიტების ძიების ეკლიან გზებს, რაც ნაწარმოებს თავისებური აღსარების იერს აძლევს. „დაუკაცუნეთ ყოველი ადამიანის გულის კარს, ყველა შემეცნებას, ადამიანი კი არ არის კულტურისთვის, არამედ კულტურაა ადამიანისთვის და თან ყოველი ადამიანისთვის, ყველა ადამიანისთვის საერთოდ...“ წინამდებარე ნაწარმოებს უმეტესად დიალოგის ფორმა აქვს. მაირენა ხშირად იმოწმებს თავის აღმზრდელს და მასთან შეძენილ გამოცდილებაზე აგებს საკუთარ გაკვეთილებს. უფრო სწორად, საუბრებს თავის მოწაფეებთან. იგი იღვწის ადამიანის შინაგანი თავისუფლებისა და თვითმყოფადობის ჩამოყალიბებისთვის, მისი მიზანია აღზარდოს ძლიერი და თავისუფალი „მე“, რომელიც დაძლევს სოციალურ ბარიერებს და კონკრეტულ ვითარებაზე მალლა დადგება. „ხუან დე მაირენა“ დაწერილია თავისუფალი კომპოზიციით: ერთმანეთთან ერთი შეხედვით დაუკავშირებელი თავები, გაერთიანებულია ერთი იდეით — სრულქმნილი პიროვნების ჩამოყალიბების იდეით. განსაკუთრებით საინტერესოა ხუან დე მაირენას სტილი — მასწავლებლისთვის დამახასიათებელი მეტყველება, გამეორებები, მახვილები, თავისუფალი საუბრის ინტონაცია, რაც ლამის აშიშვლებს აზროვნების პროცესს, თითქოს მაირენა ხმამაღლა ფიქრობს და თან მოწაფეებთან ერთად მსჯელობს; ამით ასწავლის მათ თავისუფალ აზროვნებას უნერგავს დაეკვების



უნარს საკუთარ თავში და საერთოდ. ქედან გამომდინარეობს ნაწარმოების ირონიული ინტონაცია, პარადოქსულობა, პოლემიკური იერი. პარაბოლურობა და სხვა. მაგრამ უწინარეს ყოველისა, — მიიჩნევა მათ ასწავლის ხალხის სიყვარულსა და პატივისცემას.

თანამედროვე ესპანეთში პოეზიის აღმავლობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დიდადაა დავალებული მაჩადოს შემოქმედებით. სტატიაში „როგორ ეხედავ ესპანეთის მომავალ ახალგაზრდობას“, წერს: „მე ვაგებდავ და ვტრჩევე მათ, რაც შეიძლება მეტი სიმკაცრე გამოიჩინონ საკუთარი თავის მიმართ. მწვავედ და ნათლად გაიზრონ თავიანთი ხელოვნების პრობლემები.“

#### მთარგმნელისაბან

კეშმარიტება მაინც კეშმარიტებად დარჩება, ვინდა ავაშემნონმა წარმოთქვას და გინდა მეღორემ.

ავაშემნონი: ვეტანხმები.

მეღორე: შეეპება.

ბატონებო, დღითიდღე ლიტერატურა უფრო და უფრო წერილობითი ხდება და ზეპირი სიტყვა იკარგება. ამის შედეგი კი ისაა, რომ დღითიდღე უარესად და უარესად ვწერთ: პროზა ციფრა, ულაზათო, თუმცა სწორებას არც საპიროებს მჭევრმეტყველება დავიდა წერილობითი სიტყვის გადმოზრუნებამდე. რომელშიც ზეპირი სიტყვა დაიმარხა; მთავარი კი მაინც სახიამოვნო საუბრის უნარია; ცოცხალი, ლოგიკური და ლაღი საუბრისა; უველაფერი დანარჩენი შეიძლება მერც დაერთოს.

ბატონებო, ადამიანური კეშმარიტება იქ იწეება, — უთხრა მაირენამ თავის მოწაფეებს რიტორიკის გაფეთქებზე. — სადაც მთავრდება მისი სისუფელი. მაგრამ ადამიანის სისუფელი ამოუწურავია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ. ორატორებად იზადებიან, პოეტური ნიჭი კი ღვთის წუადობაა.

მკრებელობა ხალხური რელიგიის ერთი ნაწილია. ნუ ენდობით ხალხს, ვინც არ მკრებელობს; ახეთი ხალხი ათეისტურადაა განწყობილი. მკრებელობის აკრძალვა, სასჯელითა და სასტიკი კანონებით მათი დაშინება იმას

ნიშნავს, რომ გული მოუწამლო და აიძულო ღვთის წინაშე ითვალთმაქცოს. მაგრამ განა ღმერთი, გულთამხილველი, კაცს თავს მოატყუებინებს? ჭგი უმაღლესმაღლა გამოთქმულ მკრებელობას მოითმენს, ეპიკარ შეგუპაროთ. — ვინემ ხულის სიღრმეში ფარისევლურად მიჩქმალულ ანდრეას უფრო უარესი, — მლიქვნელად დაუბრუნებდა ლოცვას.

მაგრამ მკრებელობაში უველაფერი ფოლკლორი როდია, — იტყოდა ზოლმე ჩემი მახწავლებელი აბელ მარტინი, — კარგად მოწყობილ ქოროგის ფაკულტეტზე მკრებელობის კათედრა აუცილებელიც კია, — რაღა თქმა უნდა, დოქტორის ხარისხის მაძიებელთათვის, — რომელსაც თუ შესაძლებელი იქნებოდა, სოფით სატანა უბელმძღვანელებდა.

ინდივიდუალობა უველაფრის მომცველია! — ინდივიდუალში უველაფრია, მაშინ საზოგადოება რაღა უოფილა? უბრალოდ ინდივიდუალთა ჯამი, (ახლა ვცადოთ და დავამტკიცოთ, რომ ჯამიცა და საზოგადოებაც უსარგებლოა.)

რაც არ უნდა ვიმტვიროთ თავი, — იტყოდა ზოლმე მაირენა, — ვერაფრით ვერ დავაქამებთ ინდივიდუალს.

ცოდნის სპეციალიზაციას მივყავართ კულტურის საერთო მოცულობის გაზრდამდე. ამ ილუზიით ინუგეშებენ თავს სპეციალისტები, მაგრამ მაინც რა ვიცით უველამ ერთად? ომ, ეს არის ის, რაც არავინ იცის!

ეგებ უოფელი ადამიანის ზული წარმოადგენს უკარფანჯრო, ურუდ დაგმანულ თავისებურ მონადას, — ასე აცნობდა ზოლმე მაირენა მოწაფეებს თავისი მახწავლებლის აზრებს, — ანდა პოეზიის ენით რომ ვთქვათ, მელოდიას, რომელიც თვითონვე უკრავს და თვითონ უსმენს. მაგრამ სხვა, თუნდაც მსგავსი, თუნდაც განსხვავებული მელოდიის, სხვისი სულის ქმნილების მიმართ კი ურუ და გულგრილია. ცხადია, ამ დროს დირიჟორის ქობიც უსარგებლოა. მაშინ ლაიბნიცის გენიალური ჰიპოთეზა მოვიშველიოთ წინასწარდადგენილი პარამონიის შესახებ და ვივარაუდოთ, რომ, ურსებობს გრანდიოზული უური რომელიც გულდასმით უსმენს ასევე გრანდიოზულ სიმფონიას, ანდა რატომ კაკოფონიას არა?



(სკეპტიციზმისთვის)

სკეპტიკოსთა საწინააღმდეგოდ ასეთი გამა-  
ნადგურებელი არგუმენტი მოჰყავთ ხოლმე:  
„ვინც ამტკიცებს ჭეშმარიტება არ არსებობ-  
სო, იმასაც აცხადებს ეს უკვე თავისთავად  
ჭეშმარიტებააო და თვითონვე ვარდება წინა-  
აღმდეგობაში“. ამის მიუხედავად, არც  
ერთი სკეპტიკოსი ამ მტკიცე არგუმენტს არ  
დაურწმუნებია, რამეთუ სკეპტიკოსის უპირა-  
ტესობა სწორედ ის არის, რომ ვერაფრითარ  
არგუმენტი ვერ დაარწმუნებს, ესეც არ იყოს,  
თავადაც არ ცდილობს სხვათა დარწმუნებას.

ღმერთი ან არსებობს, ან არ არსებობს. ეს  
შეიძლება კიდევ დაამტკიცო და კიდევ უარ-  
ყო, მაგრამ ეჭვით კი არ უნდა შეეჭვდე.

სწორედ ეს არის თქვენი რწმენაც.

— არსებული ღმერთი, — იტყოდა ხოლმე  
ჩემი მასწავლებელი, — ალბათ საშინელება  
იქნებოდა. ღმერთო კი გვაშორე იგი!

პროვინციული ცხოვრება, — იტყოდა ხოლ-  
მე ჩემი მასწავლებელი, რომელიც არახდროს  
არ ეთანხმებოდა დედაქალაქურ წინასწარ-  
დადგენილ აზრებს, — მადრიდული ცხოვრე-  
ბის ერთი გახუნებული ასლია: ესეც იგივე  
ცხოვრებაა, ოღონდ პროვინციული კაფეს წლო-  
ბით დასკონტლულ სარკეში არეკლილი; მერე-  
და თქვენც აიღეთ ჩვარი, ერთი მუჭა ფხვნი-  
ლი და... აჰა, უკვე პუერტა დელ სოლზეც  
ბრძანდებით.

არასდროს, არაფერი, არაფერი! აი, სამი  
შემაძრწუნებელი სიტყვა, განსაკუთრებით ბო-  
ლო. (აქი არაფერი პერსონიფიცირებული არა-  
ფერი). აღაჰიანი, ეჭვი არ შეგეპაროს, ად-  
რე თუ გვიან მაინც შეეჩებება მას პირდაპირ  
და ბოლოს კიდევ შეურიგდება... დონ არა-  
ფერი დონ ხუან მარია არაფერი მისი უდი-  
დებულესობა სენიორ დონ არაფერი! და  
ჩვენც გვინდა თუ არ გვინდა, მაინც ვერვით  
ხოლმე ამ აზრს მავანსა და მავანზე და ბო-  
ლოს ასეთადაც წარმოვიდგენთ! — უთხრა  
მთრეულმა თავის მოწაფეებს, — ამაზე უკეთეს  
სავარჯიშოს პოეზიაში კაცი ვერ მოიფიქრებს.  
ნახვამდის!

ესპანეთში, — ნუ დაგავიწყდებათ, — პრო-  
ვინციული მიმართულების პოლიტიკა იმითმ  
არის სუსტი, რომ ორიგინალუბა აკლია; ეს  
არის წმინდა წყლის მიმეტიზმი, რაც მხოლოდ  
რეაქციული ძალების გამაღიზიანებელი საშუ-  
ალებაა. ჩვენს სოციალურ მექანიზმში გარკ-  
ვეული სიზუსტითა და სისწრაფით მართლ რე-  
აქციული ზამზარა მუშაობს. პოლიტიკოსებმა,  
რომლებიც აპირებენ ქვეყანა მომავლისკენ მი-  
მართონ, ანგარიში უნდა გაუწიონ სიღრმისეულ  
წინააღმდეგობასაც. რაც ესპანეთში აუცილებ-  
ლად თან სდევს ხოლმე უოველგვარ წინსვ-  
ლას, ჩვენი პოლიტიკოსები, მემარცხენეებს რომ  
ეძახიან, საკმაოდ ქარაფშუტები არიან, —  
სხვათაშორის შევნიშნოთ, — თავიანთ ფუტუ-  
რისტული რიტორიკით დატენილ თოფებს რომ  
იხდრიან, არ ითვალისწინებენ იმას, რომ კონ-  
დახის უკუცემა, გასაოცარი კია, მაგრამ ჩვეუ-  
ლებრივ გასროლაზე უფრო ძლიერია ხოლმე.

მაკიაველის რჩევა: ეცადეთ, არ გააღიზიანოთ  
თქვენი მტერი.

მაკიაველს დაავიწყდა რჩევა: ეცადეთ, რომ  
თქვენი მტერი მართალი არ იყოს.

ცხადია, პოლიტიკის, ამ ყველაზე უფრო  
ზედაპირულსა და მოჩვენებითს სფეროში, გა-  
მარჯვებას მიაღწევს მხოლოდ ის, ვინც თავის  
იალქანს ქარის მიმართულებით დააყენებს; მაგ-  
რამ გამარჯვების იმედი ნუ ექნება იმას, ვინც  
იფიქრებს, ქარი იმ მიმართულებით დაუბერავს,  
საითქნაც ჩემს იალქნებს მივმართავო.

XIX საუკუნე არსებითად მებრძოლი საუკუ-  
ნეა. მან მეთისმეტად სერიოზულად მიიღო დარ-  
ვინის „ბრძოლა არსებობისთვის“. სინამდვილე-  
ში კი აი, რა ხდება: ქერ აღნიშნავენ რაიმე  
ფაქტს, მერე მას ფატალურ გარდუვალობად  
დასახავენ და ბოლოს დროშად ააფრიალებენ.  
მაგრამ თუ ერთ მშვენიერ დღეს ეს ფაქტი  
მაინცდამაინც სარწმუნო არ აღმოჩნდა, სულ-  
ერთია, დროშა მაინც იფრიალებს, რაც არ  
უნდა გახუნებული იყოს.

ვგონებ ურიგო არ იქნებოდა ტრადიციონა-  
ლისტებისთვის კიდევ ერთხელ შეგვხსენე-



ბინა მათ გასაგონად არა ერთხელ ნათქვამი: პირველი: თუ ისტორია, დროის მსგავსად შეუქცევადია, მაშინ არც წარსულის აღორძინება შეიძლება.

მეორე: თუ ისტორიაში ძევს ის, რაც დროს არ ექვემდებარება, მარადიული ფასეულობანი, მაშინ ისიც წარუვალია და არც მისი აღორძინება შეიძლება.

მესამე: თუ დღევანდელ ტალახს გუშინდელი მტვერი წარმოშობს, მაშინ არც აწმყო უნდა განვსაჯოთ და არც წარსული გავამართლოთ.

მეოთხე: თუ კვლავ გუშინდელ მტვერს მივუბრუნდებით, მაშინ ისევ დღევანდელ ტალახში ჩავდგებით.

მეხუთე: ყოველგვარი თანმიმდევრული რეაქციულობა მთავრდება ან გამოქვაბულით, ან არადა ოქროს საუკუნით, რომელიც მართლაც უნდა რუსოს ზნაშიდა და ისიც ხანახევროდ.

— ოპ, ბატონებო, — დაიწყო მაირენამ პოლიტიკური ორატორიის სავარჯიშო. — განაგრძეთ თქვენ, სენიორ როდრიგეს და გაშალეთ თემა.

— ოპ, ბატონებო, ექვი არ შეგეპაროთ, ეს პანეთი, ჩვენი საუვარელი ესპანეთი ღირსია, რომ მისი პრობლემები სახიკეთოდ გადაწყდეს. განვაგრძო?

— კმარა, სენიორ როდრიგეს, რაც თქვით, ლამის უკვე მთავრობის დეკლარაციაა, თითქმის სეფე-ხიტყვაა.

(მაირენას გაკვეთილები)

ზუან დე მაირენა თავის მოწაფეებს მეტისმეტად მარტივ რამეებს ასწავლიდა. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ისინი ჭერ ძალიან ახალგაზრდები, თითქმის უმწველილები იყვნენ, დამწყები ბაკალავრები. მაირენა პირველ მერხზე მუდამ უფრო გონებაზეზღუდულებს სვამდა და მუდამ მათ მიმართავდა ზოლმე.

საზოგადო მოღვაწე, განსაკუთრებით კი პოლიტიკოსი, დაქილდობილი უნდა იყოს საზოგადო მოღვაწის თვისებებით, ზოლო ყველა ეს თვისება გაერთიანებული უნდა იყოს ერთ თვისებაში: საკუთარი ნიღბის ერთგულებაში. საზოგადო მოღვაწე იტყუადა ზოლმე ჩემი მასწავლებელი აბელ მარტინი, — ამას ეუბნებოდა თავის მოწაფეებს სოფისტების გაკვეთილზე მაირენა, — რომელმაც არ იცის საზოგადოების წინაშე თავის დაჭერა, გაცილებით უარესია მეძავზე, რომელმაც არ იცის თავის დაჭერა ინტიმურ ვითარებაში. ზუმრობა

იქით იყოს და, — განაგრძობდა იგი, — პოლიტიკური ინტრიგა წარმოუდგენელია სიცრუის გარეშე, ნიღბების არევ-დარევისა და კომედიის ჩაშლილი რეპეტიციის გარეშე, როცა არავინ არ იცის თავისი როლი.

მაგრამ თქვენ, ვინც აირჩიეთ პოლიტიკოსის გზა, ეცადეთ რომ თვითონვე გაგვეჩუქოთ ნიღბები, თორემ, სულერთია, სხვებზე დაქრულდებით თუ მოყვარე და გაგიკეთებენ ძალით. ოღონდ ისიც უნდა იცოდეთ, მეტისმეტად ხისტს, გაუმტარსა და ულტობს ნუ გაიკეთებთ, რომ სული არ შეგიგუბდეთ და თქვენივე ხელით არ ჩამოიგლიჯოთ, თუმცა ადრე თუ გვიან მაინც მოგიწევთ საკუთარი, ნამდვილი სახე გამოაჩინოთ.

(პოეტური დროისათვის)

პოეზია არის დიალოგი ადამიანისა, — იტყუადა ზოლმე მაირენა, — საერთოდ ადამიანისა, თავის დროსთან. ეს არის ის, რასაც პოეტი დროის მდინარეებიდან ამოწიდავს და მარადიულობას მიანიჭებს; მძიმე შრომაა და დიდ დროსაც მოითხოვს, ლამის პოეტის მთელ წილზედარ დროსაც კი. პოეტი მეზადურსა მგავს, ოღონდ იგი ჩვეულებრივ თევზს როდით იჭერს, იგი იჭერს ოქროს თევზს, კარგად გამოიგეთ, ისეთ თევზს, წყლიდან რომ ამოიყვან და მაინც იცოცხლებს.

სენიორ მარტინეს, გამოდით დაფასთან და დაწერეთ, რასაც გიკარნახებთ, ისე რომ ყველამ გადაიწეროს:

„მე ვიცნობდი ერთ პოეტს, ბუნების საოცრებას, რომელიც იმდენს შლიდა და ჩხაპნიდა, თავის დაწერილს თვითონვე ძლივს არჩევდა, ის კი არადა გადაწერაც კი შეუძლებელი იყო. და ნუ ენდობით, ლაურენსიო, პოეტს, ვინც არც შლის და არც ჩხაპნის“.

ახლა კი, ჩემო შვილებო, ყურადღებით მომისმინეთ, დაიმახსოვრეთ, რასაც გეტყვით, ამ სტრიქონების ავტორი და პოეტი, ვინცდაც ვსაუბრობდით, გახლავთ ბუნების საოცრება, იმპროვიზაციის სახწაული, რომლის სახელია ლოპე ფელიქს დე ვეგა კარპიო.

ოპ, დედაქალაქო, ვინც შენსკენ მოილტვისი აი, ეს არის უპირატესად ქალაქური ლექსი. დადგება დღე, — იტყუადა ზოლმე ჩემი მასწავლებელი, — როცა გამოჩენილი პიროვნებე-



ბი, ყველა უკლებლივ, სოფლად გადასახლ-  
დებიან, დედაქალაქს რიგით ადამიანებს დაუ-  
ტოვებენ, თუკი რიგითი ადამიანები შეუძლე-  
ბელს არ გახდებიან გამოჩენილ ადამიანთა არ-  
სებობას.

ღმრთისადმი ჩვენი სიყვარული, — უთქვამს  
სპინოზას, — ღმრთისადვე საკუთარი თავის  
სიყვარულის ნაწილიაო. რამდენად იცინებდა  
უფალი. — იტყუადა ბოლშე ჩემი მასწავლებე-  
ლი — ამ მახვილგონიერულ და მოარულ ქეშ-  
მარიტებაზე, აბსურდამდე რომ დაშვავს თვით  
სიყვარულის იდეა! დიდი ფილოსოფოსები  
უფალს მახსარებდად მუყავს!

ნუ ვიცრუებთ საკუთარ თავთან. ჩვენი სიყ-  
ვარული სოფლისადმი უფრო პეიზაჟის სიყვა-  
რულია, ბუნებისა, ვითარცა ხანაზაობისა. ჩე-  
მი დაკვირვებით, სოფლისა და პეიზაჟისგან  
ყველაზე უფრო დაშორებული პეიზაჟისტია.  
ქალაქური სულით გაბეზრებული შენეველი  
უან-უაკ რუსოს შემდეგ გაქრა სოფელური, არ-  
სებითად, ბუკოლიკური ემოციები, მიწა რომ  
აღძრავს ბოლშე, მიწა, გლეხი რომ ხნავს.  
გაქრა ცერგილიუსისა და ლოპე დე ვეგასე-  
ული ემოციები. თანამედროვე ხელოვნებაში  
სოფელი ქალაქმა გამოიგონა და ქალაქურმა  
მოწყენილობამ, ბრბოს წინაშე მზარდმა შეშმა  
წარმოშვა.

ბუნების სიყვარული? ვის როგორ ესმის.  
თანამედროვე ადამიანი სოფლად განმარტო-  
ებას ეძებს, რაც ნაკლებად ბუნებრივია. სხვა-  
ნი იტყვიან, საკუთარ თავს ვეძებთო. მაგრამ  
ადამიანის ბუნებრივი თვისებაა თავისი მეზო-  
ბელი და თავისი მოყვანის ეძიოს, როგორც  
იტყუადა უნამუნო, სალამანკის უნივერსიტეტის  
ახადგაზრდა, ბრძენი რექტორი, მე კი მჭე-  
რჯ, რომ თანამედროვე ადამიანი სწორედ სა-  
კუთარ თავს გაურბის და სიმწვანება და ქვა-  
ლორღისკენ თავისივე ცხოველური საწყისის  
სიძულვილი მიაქანებს, რასაც ქალაქი უფრო  
უმცაფრებს და უფორიაქებს. ექიმები კი სულ უბ-  
რალოდ იტყუადა, ქანმრთელობაზე წარუწვაცაა  
ამის თავი და თავი მიზეზიო და ხწორიცაა,  
ვერ შეედავები.

თანამედროვე რომანი ჯერ კიდევ არ ჩამო-  
ყალიბებულია, არ გამოკვეთილა. ისიც დასაშ-  
ვებია, რომ პურაცხელი ფაქტების მორევში  
თვით მკვლევარიც კი დაინთქეს. ეს უანრი

ნამდვილად დადგენილიც კი არ არის და უფ-  
რო დიდაქტიკისკენ იხრება, ვიდრე პოეზიისკენ.  
ესეც არ იყოს, მას უფრო მეტი კალატოზი ეტ-  
მასნება, ვიდრე ხუროთმოძღვარი. საშინაო,  
ეს შენობა დამთავრებამდე არ დაინგრეს.

ბოლოს და ბოლოს, ჩვენ სოფლისკენ გარკვე-  
ულწილად ერთგულად ვიცავთ პრეტაგორას  
პრინციპს: „ადამიანი არის ყველაფრის საზო-  
მი“. უკეთ რომ ვთქვათ, ადამიანი არის საზო-  
მი, რომელიც თავადვე ზომავს საკუთარ თავ-  
საც და იმასაც იჩემებს, რაკი საკუთარ თავს  
ვზომავ, მაშასადამე, ყველაფრის გაზომვას  
შევძლებ, თვით უთანაბრო სიდიდეებისაცო,  
რამეთუ საკუთრივ ადამიანობის მაჩვენებელია  
არა იმდენად ის, რომ იგი არის საზომი, რამ-  
დენადაც ყველაფრის გაზომვის მისი სწრაფვა.  
ადამიანი არის ის, ვინც ყველაფერს ზომავს;  
საბრალო ბრმა ნაშეირი ყოვლისმხილველისა,  
ქეთილშობილი ლანდი ყოვლისმცოდნისა.

რამეთუ ადამიანის ღირსებები არახდროს და-  
მიყენებია ეტეკვეშ და ნურც თქვენ მოელით,  
რომ მოყვანის ლანძღვას გახწავლით. ეს არის  
ჩვენი მორალის ურყევი პრინციპი. კანტილია-  
ში იტყვიან „არავინ არავიზე მეტი არ არი-  
სო“; ჯერ ერთი ამით იმას ამბობენ, რომ არ-  
ახდროს არავინ ამაღლებულა სხვებზე მეტად,  
თუკი იგი დროითა და ადგილით არ ყოფილა  
შემოფარგლული, რადგან მართლაც მჭობნის  
მჭობნი არ დაიღვეა და მეორეც, რარიგ დიდი  
ღირსებები არ უნდა მქონდეს ადამიანს, მისი  
ყველაზე დიდი ღირსება მაინც ის არის, რომ  
იგი არის ადამიანი. ამ პრინციპის ერთგულე-  
ბაში გავლიეთ ჩვენ, ესპანელებმა ჩვენი დღე-  
ნი და არცთუ პატარა საქმენი ვქმენით, სხვამ  
რაც უნდა, ისა თქვას.

პროლეტარული ხელოვნება? ჩემთვის ეს  
სულაც არ წარმოადგენს პრობლემას. ყოვე-  
ლი ქეშმარიტი ხელოვნება პროლეტარული უნ-  
და იყოს. ამით იმის თქმა მინდა, რომ ყოვე-  
ლი ხელოვანი განურჩევლად ქმნის ადამის  
მოდგმისათვის. მაგრამ სენიორიტოსთვის საგან-  
გებოდ ხელოვნების შექმნა კი მართლაც ძნე-  
ლი იქნებოდა, ასეთი რამ არც არსებულა.

პოეტია ის, ვინც ან ამტკიცებს, ან უარყოფს  
რაიმეს, მაგრამ დაეკვებულა კაცი, ბუნებრი-



ვია, პოეტი ვერ იქნება. ასე უთქვამს ერთ  
ბრძენს, ოღონდ არ მახსენდება სად და რო-  
დის. უფრო სწორად, ეს უთქვამს ერთ  
Savaht-ს, რომელსაც იხევე ესმოდა პოე-  
ზია, როგორც ჩვენ ბაყაყის კასტრაციის საქმე.

ბატონებო, პოლიტიკოსი ის კაცია, რომელიც რამდენჯერმე წამოკრავს ფეხს ერთსა და იმავე ქვას და საკუთარი მწარე გამოცდილებითაც კი ვერ იხსნავლის ჭკუას დაღაბვრის შემთხვევაში!

კაცს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ თვითონ უფრო მაღლა დგას, ვინც მისი ქმნილება თუშცა კი შეიძლება კეშმარიტება სრულიად საპირისპიროც აღმოჩნდეს. ამიტომ გირჩევთ, თქვენ თქვენს რწმენაზე მტკიცედ იდგეთ, მაგრამ თან ექვიც გეპარებოდეთ, ვაითუ, არც ასეაო, ოღონდ ერთი პირობით. თუ თქვენ თვითონვე არ იქნებით კმაყოფილი არც საკუთარი თავით და, მით უმეტეს, საკუთარი ქმნილებით!

პოეტი და ხალხი

(სიტყვა, წარმოთქმული ვალენსიაში მწერალთა  
საერთაშორისო კონგრესზე კულტურის დაცვისა  
და გავრცელებისთვის )

ამ რამდენიმე წლის წინათ ასეთი კითხვა დამისვენს — როგორ ფიქრობთ, პოეტმა ხალხისთვის უნდა წეროს, თუ ჩაიკეტოს „სპილოს-ძულის კოშკში“, — მაშინ ეს გამოთქმა დიდ გასაგებში იყო, — და კულტურის მაღალ სფეროში, მარტოოდენ რჩეულთა მიხედვით, არსებობდა კიდეც მოღვაწეობისთვის გადახდის თავი. ჩემი პასუხი ბევრმა ისე გაიგო, თითქოს მე თავი ავარიდე კითხვას, ზოგმაც გულუბრყვილობაში ჩამომართვა. „ხალხისთვის წერა? — იტყოდა ხოლმე ჩემი მასწავლებელი. — ამაზე უკეთესი რა უნდა ინატრო კაცმა. ისე შემიძალო ამ სურვილმა, რომ მთელი მონღოლთა დავიწყე იმისი სწავლა, რაც მათ იცოდნენ, მაგრამ უხადია, მათი ცოდნის უზიარებელი ნაწილი თუ შევითვისე. ხალხისთვის წერა იმას ნიშნავს, რომ წერო ჩვენი დროის, ჩვენი მიწისა და ჩვენი ენის ადამიანებისთვის. ეს არის ის სამი მთავარი და ამოუწურავი წყარო. რომელსაც აღბათ ბოლომდე ვერასოდეს ჩავწვდებით. უფრო მეტსაც ვიტყვი, ხალხისთვის წერა გვავალებს გავცდეთ ჩვენი სამშობლოს საზღვრებს და ვწეროთ სხვა რასის, სხვა

მე ისე ვუპასუხე, როგორც უნდა ეპასუხა  
კეშმარიტ ესპანელს, რომელიც გამსჭვალუ-  
ლია თავისი ეროვნულობის, ესპანელობის შეგ-  
ნებით და კარგად იცის, ან კარგად უნდა  
იცოდეს, რომ თუკი რაში შექმნილა, ესპანეთ-  
ში, ისევ და ისევ ხალხის მიერ შექმნილა და  
ხალხისათვის შექმნილა, რომ კეშმარიტად არის-  
ტოკრატიულია ის, რაც გარკვეული აზრით, ხალ-  
ხურია. ეს სიტყვები დავწერე ომის პირველ  
თვეებში, ომისა, რომელშიც ესპანეთი დღემდე  
სისხლისგან იცლებს. როცა შეიარაღებული  
ბრძოლა რატომღაც ინარჩუნებს უბრალო  
სამოქალაქო ომის იერს და დავწერე იმ მიზ-  
ნით, რომ დამემტკიცებინა დემოკრატიისადმი  
ჩემი ერთგულება და პრივილეგირებული  
კლასების წინაშე ხალხის უპირატესობის ჩემი  
რწმენა.

გოყვარდეთ და პატრის სცემდეთ თქვენს მოძღვრებას, ვინც ალალი გულისთ იღუწის თქვენი სულიერი ჩამოყალიბებისთვის. მაგრამ მათი ამგავი რომ ჭეროვნად დააფასოთ, დიდ ბნის ღოდინი მოგვიწევთ. შესაძლოა მთელი ცხოვრებაც კი და საბოლოო განაჩენის გამოც-  
ტანა თქვენს შთამომავლობასაც კი შეიძლოს. გულახდილად გეტყვით, რომ თავად მე, ჩემი მახწავლებლების მიმართ ხშირად გამომიჩენია უმადურობა, — ძალზე კი ვნანობ, — რადგან როგორანად არც შეხმოდა, თუ რა რიგად წაგავს ჩვენი შენაგანი სამყარო რუღერს, რომელიც ტრიალებს ფსონის სიდიდისაგან დამოუკიდებ-  
ლად და სანამ ჩვენი მახწავლებლის მიერ აღ-  
ალებდზე გაგორებული ბურთი დარბის, არა-  
ვინ იცის, რითი დამთავრდება თამაში. მოგე-  
ბით თუ წაგებით, გამარჯვებით თუ მარცხით.  
იმასაც გეტყვით, რომ ცოტა ფრთხილად უნდა იყვეთ საქუთარ თავთან. გულახდილად გეუბნებით, რა შეიძლება იყოს უველაზე უფ-  
რო ჩაყოფიერი თქვენს სულში, ამასთან, სა-  
კუთარი თავიდან გამოვდივარ, რაკი მაინც



ვიცო, რა იყო ნაყოფიერი ჩემს ხულში. მაგრამ ეს ცალკე შემთხვევაა და თანაც შეცდო-  
მებით სავსე. მერედა ეს მაგალითიც იმითომ  
მომყავს, რომ სხვა უკეთესი არ მახსენდება.  
მე თქვენგან მოვითხოვ ხულ მცირე მეგობ-  
რულ დამოკიდებულებას და ასევე მცირე პა-  
ტიფიცებას. ისეთს, რაც საჭიროა ადამიანთა  
თანარსებობისთვის, თუნდაც რამოდენიმე საა-  
თის განმავლობაში. მაგრამ ნურც მეტისმეტად  
ხერხოვნულად მიმიღებთ, ისიც დაუშვით, რომ  
არც მე ვარ მუდამ დარწმუნებული საკუთარ  
ნათქვამში და თუმცა კი თქვენი მასწავლებე-  
ლი გახლავართ, არც იმაში ვარ დარწმუნებუ-  
ლი, მე თქვენზე ბევრად უკეთ ვარ აღზრ-  
დილი. ჩემთვის ხულაც არ არის ასე იოლი  
გასწავლოთ ლაპარაკი, წერა, სწორად აზროვ-  
ნება, რადგან მე თავიონ შეცდომების გან-  
ხილვებზე მგონია ჩემი თავი, თითქოს ჩემი  
ხული შავად იყოს ნაწერი, ნაჩხაპნი, აღ-  
ხავს მერყეობოდა და ხინანულით. თითქოს  
გულგვამში ეშმაკი მიწის, — სოკრატესეული  
დემონი კი არა, არამედ პატარა ეშმაკუნა,  
რომელიც ჩემს დაწერილს შლის და ხულ  
სხვა, ხაწინააღმდეგოს მიწერს, ხან ჩემს მა-  
გივრადაც ლაპარაკობს, ხან კი მე ვლაპარა-  
კობ მის მაგივრად, ხანაც ორივე ერთად, ერთ  
ხმაში ვლაპარაკობთ, მაგრამ ერთმანეთის სა-  
წინააღმდეგოს ყოველგვარ ვამბობთ. ნამდვილი აზდა-  
უბდა გამოგვდის კი, მართალია მომავალში  
ჯობია სხვა მასწავლებელი აირჩიოთ, რადგან  
მე მართო ის შემძლია გასწავლოთ. რაც  
არ უნდა გცოდნოდეთ ცხოვრებაში — საკუ-  
თარი თავისადმი უნდობლობა. მომავალი კი  
თქვენგან მოითხოვს სწორედ რწმენას, რად-  
გან აზროვნება დრო ბრძოლისა და თქვენ  
არჩევანის წინაშე დგახართ. ამ, გესმით, რას  
ნიშნავს ეს? თქვენ უნდა უარყოთ მოსაზრე-  
ბები, რომელიც შეიძლება წამოგიყენონ თქვენ-  
მა მოწინააღმდეგეებმა, ხოლო ეს გავალებთ  
თქვენი მოსაზრების გაორმაგებულ რწმენას.  
რაც გაცხადებთ უფრო რთულია, ვიდრე  
გგონიათ, ადამიანთა აზრი, როგორც ფიქრო-  
ბენ, ერთმანეთთან დავაში კი არ შობილა,  
არამედ მუდამად დიალოგებში, როცა ცდი-  
ლობენ ერთად მიაგნონ აბსოლუტურ თუ შე-  
დარებით ქვეშარითებებს, მაგრამ, ყოველ  
შემთხვევაში, ცალკეული ინდივიდუულის გან-  
წყობილებისგან დამოუკიდებლად, არჩევანის  
გაკეთება ნიშნავს არა მართო თქვენს მოწინა-  
აღმდეგეთა მოსაზრებების უარყოფას, არამედ  
თქვენივე საკუთარისაც. რაკი უარს ამბობთ  
დიალოგზე, ბოლოს ადამიანურ აზრზეც კი  
ნუ აჩქარდებით, წარმოიდგინეთ თქვენი მო-  
მავლის პრობლემების სირთულე. თქვენ, გო-  
ნიერი ადამიანები იმულებული გახდებით უკან

დაიხიოთ მარჯროსობისკენ. ეს არის ჩვენი  
მოდგმის ბედის ტრაგედია და უფერულობაც.  
აბა, თქვენ, ხენიორ როდრიგეს, რას ფიქრობთ  
ამ საკითხზე.

იმას ვფიქრობ, რომ — დარწმუნო როდრი-  
გესმა და განაგრძო მასწავლებლობა, —  
ჩვენ უნდა გავაკეთოთ არჩევანი, მივყვეთ  
სტანდარტს, ერთი რამე — მისთვის ქვეშ  
დავდგეთ და მოვცდეთ [ ] სწავლებლად.  
აკი ცხოვრება უფრო ბრძოლაა, ვინემ გული-  
თადი დიალოგი, ცხოვრებით კი უნდა ვიცხოვ-  
რობო.

— უეჭველად, ოღონდ თუ იმ დიდ ეშმაკ-  
თან, ვოლტერთან ერთად არ ვიფიქრებთ: „ჩვენ  
ამაში აუცილებლობას ვერ ვხედავთ!“

(პოეზიისთვის, ლექსის ფრაგმენტი)

არსებობს ისეთი პოეზია, აღმატებითი ბა-  
რისებრით რომ საზრდოობს. პოეტი ისწრაფვის  
აღმაღლოს თავისი გული იქამდე, სანამ გა-  
იყვანს დროის მიღმა იდეის „უციურ სფეროში“  
 („topos urani OS“). ასეთი პოეზია, რომელ-  
საც ზოგჯერ თან სდევს მისთვის დამახასიათე-  
ბელი ემოცია, ამასთან, ემოცია აღმატებით  
ხარისხში, შეიძლება იყოს ქვეშარითი პოეზია,  
სანამ პოეტი არ მიიღტვის მიწისკენ, ამით  
იმის თქმა მინდა, რომ მიწანი, ყოველ შემთ-  
ხვევაში, ანტიპოეტურია. თუ წაიკითხავთ  
კანტს, — ხოლო კანტის კითხვისა და გაგე-  
რისთვის გაცილებით ნაკლები ფოსფორი იხარჯე-  
ბა, ვიდრე ეშმაკური სისულელეებისა და უსუსუ-  
რი კონცეფციების ხლართების გამოგებისას, —  
მასთან თქვენ ნახავთ ცნობილ პარაბოლას  
მტრედზე, რომელმაც, თავისი ფრთებით გაე-  
რის წინააღმდეგობა რომ იგრძო, იფიქრა, სი-  
ცარიელეში უფრო გამიადვილდება ფრენაო.  
ასე ასურათებს კანტი თავის გადამწყვეტ არ-  
გუმენტს დოგმატური მეტაფიზიკის წინააღ-  
მდეგ, რომელსაც განუზრახავს აფრენა აბსო-  
ლუტისკენ ცარიელ სივრცეში, სადაც არ არის  
უშუალო ანტილექტუალური აღქმა. დიდი  
ფილოსოფოსების სახეებს შემეცნებითი მნიშ-  
ვნელობის გარდა, უეჭველი პოეტურობაც  
გააჩნიათ და ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ კვლავ  
მივუბრუნდებით მას. ახლა კი მინდა მართო  
ის დავაზუსტოთ, რომ — ჩემის აზრით, —  
არსებობს ლირიკული მტრედი, რომელიც გაე-  
რიდება დროს, რათა ადვილად აფრინდეს მა-  
რადისობაში და კანტის მტრედივით არად მი-  
იჩნევს ფრენის კანონებს.



რამეთუ განა პოეტი კი შესძლებდა სიმღერას, რომ არ არსებობდეს დროის სარბილის მწვავე შეგრძნებით შობილი სევდა, არ არსებობდეს ფატალური კანონზომიერება, რომლის მიხედვითაც ჩვენს წინაშე მოვლენები ერთბაშად როდი წარმოხდგება, ვითარცა ღმერთის წინაშე, არამედ ერთი მეორის მიყოლებით, თანდათანობით, როგორც ტუფები ცვივა ხოლმე მჭიდრიდან სათითაოდ, რიგ-რიგობით. ჩვენ ველოდებით, სანამ არ მოიხარშება კვერცხი, სანამ არ გაიღება კარი, სანამ არ შემოვა კიტრი, და აქ, სენიორებო, ზდება რაღაც, რაც ჩვენ უნდა გავიაროთ. ეს რაღაცა არის დრო, საბოლოო რეალობა, რაც ლოგიკის თილისმას არ ემორჩილება, გამოუსწორებელი, გარდუვალი, ფატალური ცხოვრება სწორედ ის არის, რომ შთანთქა დრო, ელოდო და, რაც არ უნდა დიდი მნიშვნელობის მოვლენას არ უნდა ველოდებოდეთ, მაინც მუდამ დაველოდებით ლოდინს. რამეთუ თვით ნეტარი ცხოვრება, მართალი ცხოვრებაც კი, განა შეიძლება აღმოჩნდეს დროის მიღმა, რაკი მაინც ცხოვრებაა, გათავისუფლდეს ლოდინისგან? საგანგებოდ ვერიდები სიტყვას „იმედი“, ერთ იმ მაღალფარდოვან სიტყვას,

რითაც მივანიშნებთ ხოლმე უმაღლესი სიკეთის ლოდინზე, სიკეთისა, რომელსაც მივაღწევთ და მერე აღარაფერი გვრჩება, რასაც უნდა დაველოდოთ. ამ სიტყვას აქვს თეოლოგიური აზრი, მაგრამ ახლა ჩვენ მხოლოდ რიტორიკასა და პოეტიკაში ვვარჯიშობთ. ასევე არ მინდა ვახსენო ქოჩოხეთიც, ~~რადგან ჩვენ~~ მინდა თქვენს წარმოსახვაზე დამტკიცებული ჩვენა მოვახდინო. მაგრამ მაინც მინდა გაგაფრთხილოთ, ქოჩოხეთში უარს ამბობენ იმედზე თეოლოგიური აზრით, მაგრამ დროზე კი არა, რამეთუ იქ ბოლო წრეში ზის სატანა და სატთარი ზელით მართავს საათს.

ერთხელ უკვე ვცადეთ პოეზიის განსაზღვრა, როგორც ადამიანის დიალოგისა დროსთან და „წმინდა პოეტი“ ვუწოდეთ მას, ვინც დრო მიიღო წმინდა სახით და შესძლო მასთან პირისპირ ანდა თითქმის ცალკე ხაუბარი. ვითარცა საკუთარ უფროს შუილთან, რაც არა მხოლოდ ერთი უბრალო ბგერითი გამოხატულებაა დროის ნაკადისა. ახლა თუ შევაჯამებთ, ასე ვთქვათ, რამდენადაც პოეზია არის სიტყვა დროში, მაშინ პოეტიკის მახაფლეულობის მოვალეობა ის უნდა აყოს, რომ თავის მოწაფეებს შეაგონოს, უფრო მეტად გააძლიერონ ლექსში შეგრძნება. ამ ამოცანას პასუხობდა ჩვენი პრაქტიკული მეცადინეობაც...

(გაგრძელება იქნება შემდეგ ნომერში)





გერმანულიდან  
თარგმნა პერა კაპანაძემ

## არნოლდ ბიოკლინი

მოცდაათი წლის წინათ ბერლინში, უნგერ დერ ლინდერის ძველ აკადემიაში, მხატვარ არნოლდ ბიოკლინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად, მისი პირველი და უკანასკნელი დიდი გამოფენა მოეწყო. სასურველი იქნებოდა, ხელოვნების მოყვარულთ აღნიშნულ კმნილებებზე ხელახალი მუშაობის საშუალება რომ მისცემოდათ.

ბევრს ახლაც ახსენდება აკადემიის დარბაზში ხალხის მოზღვაება, მათი საყოველთაო განცვიფრება და აღტაცება. იმ ათწლეულებში, ერთგვარი გაუგებრობის გამო, ბიოკლინს ბევრი უსიამოვნებანი შეხვდა; მხატვარი დიდხანს ითმენდა მავანთა დაცინვას, და ბოლოს მისი დიდების ვარსკვლავმა მაინც გამოანათა, მაგრამ ამ გამობრწყინების შემდეგ, კვლავ სწრაფი ქრობა იწყო.

დაახლოებით იმავე დროს ჩუდიმ ეროვნული გაღერვის დარბაზებში ფრანგ მხატვართა ახლადშეძენილი სურათების გამოფენა მოაწყო, რამაც უფროსი თაობის ბერლინელ მხატვართა და ხელოვნების მოყვარულთა უკმაყოფილება გამოიწვია. გავლენიან მხატვართა, ვაჰართა და მწერალთა მიუღმივი შეცადინეობის წყალობით, იმპრესიონიზმს ბერლინში უფრო მეტი აღიარება და გაქანება მიეცა, ვიდრე თვით პარიზში. გერმანიაში იმპრესიონიზმის ასეთ დიდ აღიარებას, სამწუხაროდ, მისი უძლიერისი მხატვრების დამარცხება მოჰყვა, რომელთა შორის იყო არნოლდ ბიოკლინიც.

მხატვართა ახალმა ცვლამ, ეგრეთწოდებულმა იმპრესიონისტებმა, ბუნების გასულდგმულება მოახდინეს. არა არის რა იმაზე უფრო ღირსეული, ვიდრე სურათის ფორმირება — რითში, ხაზებში, მოცულობაში, ფერებსა და მახასიათებლებში, იმპრესიონისტთა წყნარი შთაგონება უფრო ნაკლები მნიშვნელობისაა ვიდრე თვით მათი სურათის ასახვის ხაიდუმლო.

ბიოკლინის ფერწერის დიდი სიზუსტე მხატვართა ახალი ცვლისათვის ერთობ აუტანელი იყო, თუმცა პრინციპში მათ ხელოვნებას ბევრი რამ აერთიანებდა. ასე იქნა დაშვებული ერთგვარი შეცდომა.

მოწინააღმდეგეთა ადგილი თანდათან გულგრილობამ დაიკავა. მწერლები დუმდნენ. მაღაზიის ფერწერულ კმნილებათა განყოფილების გამყიდველნი ბიოკლინის სურათებს არა თუ აჩენდნენ, მაღუღად გვერდზედაც კი ყრიდნენ. მუწეუშთა და კოლექციონერთა უმეტესობა მისგან თითქმის არაფერს არ იძენდა ზოგიერთ მათგანს იმისაც კი რცხვენოდა, რომ იგი ბიოკლინის ნახატების მფლობელი იყო.

ამ საზოგადოებრივმა აზრმა ხელოვნების ყველა მოყვარულს როდი დაუბნია თავგზა. ხელოვნებათმცოდნე ფრიდლენდერი და მწერალი ფრიც შტალი თავიანთ პრინციპზე იდგნენ და კვლავაც სჭეროდნენ, რომ ბიოკლინი ერთ-ერთი უდიდესი მხატვართაგანი იყო, თვით ბაზელშიაც. ერთგვარი მერყეობის შემდეგ, თანდათან პატივს მიაგებდნენ ამ ქალაქის უნივერსეს შვილს.

ეროვნული გაღერვის ხელმძღვანელობა არასოდეს შემცდარა ბიოკლინის შეფასების დროს. გაღერვის პირველმა დირექტორმა მაშინვე დაიწყო ბიოკლინის ნახატებზე მუშაობა, როდესაც ამ ნახატებმა საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. ეს იყო 70-იანი წლები, ხხენებული გაღერვის დაარსების დროს. მისმა ხელმძღვანელმა შერობის გახსნამდე შეუკვეთა მხატვარს „ტრიტონი და ნერაიდე“, რაც იმთავითვე უარყო კომისიამ.

ამ გადაწყვეტილების მიუხედავად უკვე მინისტრის პირადი თანხმობით, შესყიდულ იქნა „კიეტა“, „მიცვალებულთა მინდორი“, როცა კომისიას ესკიზები უჩვენეს. მაშინვე აღშ



ფოტების ქარიშხალი ატუდა. ამის შემდეგ გა-  
ლერეის დირექტორმა მაინც შეიძინა ბიოკლი-  
ნის ერთ-ერთი უველაზე ღირსეული. მაგრამ  
ამავე დროს საექვო სურათი — „განდგეგელი“.

1898 წელს ჩუდომ დაწერა პირველი წე-  
რილი. რომელიც წარმოადგენს ბიოკლინი-  
ხადში თხოვნას. მიეხმაროს მას ნახატების შე-  
ძენაში. მან შეისყიდა კიდევ ათი სურათი. მათ  
შორის, ბრწყინვალე ქმნილება — „აისი“,  
„ნიმფათა მოტაცება“, „ავტოპორტრეტი სიკვ-  
დილთან“, „ქალბატონ ფიდლერის პორტრეტი“,  
„მოქანდაკის თავი“, „მოხეტიალე მუსიკოსი“,  
„ანუელია და რუბერო“, „ხორენები“, „ზღვის  
ღელვა“, „გაზაფხულის დღე“, და „დათირება  
ჯვართან“.

ჩუდის ამ მოქმედების შემდეგ, ხმა აღა-  
რავის ამოუღია: ამან საშუალება მისცა მას,  
ადრეული 90 ქმნილების გარდა, დამატებით  
შეიძინა რიგი უძვირფასესი ნახატებისა: „ცო-  
ხის ნანგრევები“ (1847), „რომის მიდამოების  
ოთხი ლანდშაფტი“ (1851), „კამპანას ხედი“  
(1860), „მეუღლის პორტრეტი“ (1868), „ბერძ-  
ნული ღმერთები“ (1868), „ტრიტონი და ნე-  
რაიდე“ (1875) — ადრე გალერეისათვის და-  
ხატული და კომისიის მიერ უარყოფილი სურ-  
ათი; ტოსკანის ხედი (1878), ავტოპორტრე-  
ტი მაიერის კოლექციიდან, ერთი ტრიტიტი  
და მოგვიანო წლების სურათები.

ასე შეიქმნა ბიოკლინის ნახატების კოლექ-  
ცია, რომლებიც დარბაზებში მოთვასდა, რო-  
გორც მათი მუდმივი ფონდი. იგი წარმოადგე-  
ნას გვიქმნის მხატვრის უველა დროის შემოქ-  
მედებაზე.

ომის დამთავრების შემდეგ, როცა ეროვნულ-  
მა გალერეამ უფრო მეტი თავისუფლება  
მოიპოვა, მოეწყო ახალგაზრდა მხატვართა  
მთელი რიგი გამოფენა, რომელთა მნიშვნელო-  
ბა და მიზანდასახულობა მაშინაც კი შეიცვა-  
ლა, როცა საქმე აღიარებულ მხატვრებს ეხე-  
ბოდა.

ბიოკლინის ნახატებში მაღალოსტატურ  
ქმნილებებთან ერთად, ცივი, კომპოზიციურად  
არასრულყოფილი ტილოებიც გვხვდება. ამათ-  
გან ერთმა ნაწილმა ხალხის აღტაცება, მეორე  
ნაწილმა კი მნახველთა რისხვა გამოიწვია. მა-  
შინ მხატვარი თავის დასაცავად ჭერ კიდევ  
არ იყო მზად. დაბნეულ ხელოვნების მოყ-  
ვარულთა შორის ერთი მითქმა-მოთქმა შე-  
იქმნა.

იმ დროს არც თუ იშვიათად მხატვრის შე-  
მოქმედებას ჯეროვნად ვერ აფასებდნენ. ეს  
სულიერი დაცემა მე-19 საუკუნის საბჭიოთმა  
ხელოვნებამ მოუტანა ხალხს. მაშინ მოკლედ  
და მკაფიოდ ითქვა: ხელოვნება კოლექტიუ-  
რი ცხოვრების გამოსახვის მტკიცე ფორმებს

გულისხმობს; იგი დამწყებ ხელოვანთ სუ-  
ლიერ გამძლეობას ანიჭებს. ადრეულ საუ-  
კუნეებში ცხოვრებას ასეთი ძლიერი ფორმე-  
თი და სულიერი სიმტკიცე გააჩნდა... თუ  
ხუროთმოძღვრება და ხელოვნება ჩვენი  
დროის სამსახურში არ ჩადგება. თუ ცხოვ-  
რება თავის შინაგან დანიშნულებას დაკარგავს,  
როგორც ეს მე-19 საუკუნის ბოლოში (ბო-  
ნიფაციო, პარის ბორდონი) და მომდევნო გა-  
ბურულებულ პოლანდიაში მოხდა, წარმოშვა  
უქნარათა მუდამ მზარდი ტალღა: ამ მხრივ  
მუსიკამ უველზე დიდხანს გაუძლო ცხოვრე-  
ბას, ვინაიდან მისი საიდუმლო უდრეკად გა-  
დაცემოდა თაობიდან თაობას.

მას შემდეგ რაც ღინჯად მიმავალი გლერე-  
ტერი თავის საურდენ ნიადაგს მოწყდა; რაც  
ცხოვრების უინულოვანი ლოდები შავი ტალ-  
ღებიდან ამოსხლტდნენ და ოკეანის ნაპი-  
რებს მიაწყდნენ; რაც 1800 წლიდან მხატვრო-  
ბა საკუთარ საურდენს ჩამოშორდა, გამოჩნ-  
დნენ დიდი მხატვრები და ამ ნიაღვრებიდან  
შეაღმართნენ საკუთარი შემოქმედებით. არის  
გამონაკლისიც: ჩვენ არაფერი ვიცით მინდე-  
რეს ფონ მანეტზე; არც ფრიდრიხ ლაიბლის  
შესახებ. ახალგაზრდობაში ბევრ მხატვარს არც  
კი უფიქრია სურათების გაყიდვაზე; სამხატვ-  
რო ბაზრის ზრდასთან ერთად, საჭირო იყო  
მტკიცე გადაწყვეტილების მიღება. სწრაფვა  
საკუთარი მაღალი მიზნის მისაღწევად. მარესი  
თავისი მეგობრის ფრიდლერისაგან მუდმივ  
რენტას იღებდა. მას საშუალება მქონდა, სუ-  
რათებთან ჩაკეტილიყო, არ გაეყიდა ისინი;  
ბიოკლინს კი მუდმივად უნდა გაეყიდა თავისი  
ნამუშევრები, რათა ამით მრავალსულიანი ოჯა-  
ხი გამოეცვლა. შიმშილით რომ არ მომკვდა-  
რიყო, შვეიცარიის ნეაპოლიტანურ გვარდიაში  
შესვლა მქონდა გადაწყვეტილი. ეს რომ ასე  
მომხდარიყო, ველარ დახატავდა ჩვენთვის  
ესოდენ ბედნიერების მომტან სურათებს.

ხალხის მიერ ბიოკლინის უარყოფას ღრმა  
და არსებითი მიზეზი თვით მათი ჩამოუყალიბე-  
ბობა და მღვრიე მორევში უფრუშმალე იყო.  
ბიოკლინმა არაერთი ისეთი სრულქმნილი ნახა-  
ტი შექმნა, რომლებიც ჩვენი სიამაყე, სიხა-  
რული და სულიერი კმაყოფილებაა.

ძველი ხელოვნების დაცემის შემდეგ, მხატ-  
ვრობა ორ სფეროდ გაიყო: ერთნი სულიერ  
საწყისებს ეძებდნენ მასში, მეორენი — ეკო-  
ნომიურ მხარეს... ბურჟუაზიას ნამდვილი შე-  
მოქმედება არ მოსწონდა, ის უფრო მდარე  
ხელოვნებას მიეღებოდა. ბიოკლინმა ნამდვი-  
ლი სასწაული მოახდინა და, ხელოვნებათმცოდ-  
ნეებზე უფრო, უბრალო და პატიოსანი დამთ-  
ვალეირებელი მოხიბლა.



და კიდევ ერთი: ლიბერმანმა ძველი სიბრძნე ახლებურად გამოხატა: ბელოვანი მარტო საშუალომდე კი არა, უფრო ზევით უნდა ამაღლდეს, უფრო ძლიერი უნდა გახდესო. ეს ჩვეულებრივი კანონია, რომელსაც ის იცავს და რომლის შესახებაც ჩვენ ხაკმაოდ ბევრი რამ გვსმენია. მხატვარი თავდაპირველად იმას ქმნის, რაც მის გონების მიღმა არსებობს, მეორეს — რაც თავად ხურს. უცხოელ მხატვართა კრიტიკიუმები ქეშმარიტებისაკენ ლტოლვია, ლუკა ჭორდანოს უფრო მეტი გემოვნება და მსუბუქი ხელი მქონდა, ვიდრე რემბრანდტს, მაგრამ ამის გამო რემბრანდტისა ხულაც არ გვრცხვინია.

ფრანგულ მხატვრობას მხოლოდ ერთი საზომით შეიძლება მივუდგეთ, ვინაიდან საუკუნეთა მანძილზე იგი კარჩაკეტილად ვითარდებოდა, ვითარდებოდა ერთნაირი ხელოსნური გემოვნებით. გერმანიაში შემოქმედების ერთიანი ცენტრი არ ყოფილა, არც ერთნაირი გემოვნების ხალხი ცხოვრობდა ერთიმეორის გვერდით; ეს კი ბელოვანების მრავალფეროვნებას ქმნიდა.

მთელი სიცოცხლის მანძილზე ბიოკლინს არ უყვარდა პარიზის სულიერი ცხოვრება და სიმდიდრე, ბელოვანება. ფრანგთა აზრით, მათი ბელოვანება შორს გამიზნული, მაღალი ხაზოგადობის გემოვნებისათვის იყო შექმნილი, რაც, თავის მხრივ, ვერ იტანდა ბიოკლინის ფერსა და მხატვრობას. ასეთივე განწყობა სუფევდა სხვა ქვეყნის ხელოვანთა და თვით გერმანიის ბელოვანების მოყვარულთა შორისაც, რომელთაც უველაფერი ფრანგული ევროპული ცხოვრების ძვირფას მარგალიტად მიაჩნდათ. და არათუ მარგალიტად, თვით ყოველგვარი სრულქმნილების საზომადაც კი.

ეს ჩვენთვის ცნობილია, მაგრამ არსებითი როდია.

წარხული დროის მუდმივ წინსვლას თავისი მყუდრო ეპიკი მქონდა, როცა იგი საკუთარ თავს თავად ასაზავდა, თავად იღებდა ხელში უველაფრის საღავეს. ეს შეცდომა კი არა, ბედი იყო. მას შემდეგ, რაც თაობიდან თაობაზე გადასაცემი დაკანონებული ჩვევები და წესები მოიშალა, უკვე უველას შეიძლო, ნებისმიერად აერჩია ესა თუ ის სურათი, ერთი რუბენს აძლევდნენ მეტ მნიშვნელობას, მეორენი — კლასიკოსებს, მესამენი — მოლანდიელებს, მეოთხენი — ველასკესსა და გოიას. სულიერად მრავალწახნაგოვან გერმანიაში წარსულთან დამოკიდებულებაც მრავალგვარი იყო. თუ ახალგაზრდა მხატვარი ამა თუ იმ სკოლაში თავის შესაფერ ნიადაგს ვერ მოკვებდა, იქით მიიღტვოდა ანუ იმ ნიადაგს ეძებდა, სადაც თავისუფლად გაიდგამდა ფესვებს. ხაქმე

ის კი არ იყო, თუ რა მანძილი არსებობდა იმ ნიადაგამდე, არამედ მთავარი ქცობისაგან თავის დაღწევა იყო, აგრეთვე იმ ადგილის მონახვა, რომელიც მას საკუთარი მიზნის აუვაფებაში მოეხმარებოდა.

1848 წელს, როდესაც კარტი ბიოკლინი პარიზში ჩავიდა, მან არაფერი უწყოდა იქაურ მხატვრობაში ~~ახალი~~ <sup>მხატვრული</sup> ~~მხატვრული~~ <sup>მხატვრული</sup> დამკვიდრების შესახებ, რაც შემოქმედების თავისუფლებაში გამოიხატებოდა. აშკარად ჩანდა, რომ იგი თავად ეძებდა საკუთარ გზას, რათა ამით თავისი შთანაფქრისათვის შეენსა ფრთები. მისი პირველი შედეგები ეძღვნება დიდი პუზინის წმინდა სახელს. სიცოცხლის შუა წლებში პომპეის ფრესკებმა კრიზისული მდგომარეობიდან იხსნეს იგი. მხატვარზე დიდ გავლენას ახდენს ძველი ხელოვნების არაერთი ნიმუში. უშუალოდ კი ფენეციანელთა შემოქმედება... იმის გამო, რომ ესპანეთში არ იყო ნამყოფი, ვერ გაეცნო ველასკესისა და გოიას შემოქმედებას; ამიტომ ვერც ვუხაუვედურებთ მას. გასაოცარი ის არის, რომ ბიოკლინი არავის არ ბაძავდა, არც მთლიანობაში და არც ნაწილობრივ. ძველ ხელოვანთაგან მხოლოდ ზოგადი მიღწევები და საინტერესო რამ აიღო და გაითვალისწინა. მისი შემოქმედება თვითმყოფადი დარჩა. უველაფერი, რაც ბელოვანებაში დიდებული და უკვე მიღწეული იყო, შეერწყა და შეენივთა მის გამოსახვის საშუალებებს. მხოლოდ გაწვრთნილი თვალი თუ შეამჩნევდა ყოველივე ამას.

ახალგაზრდა მხატვართა მიერ ბელოვანებაში გაკვალულ გზას მძაფრი და შეგნებული წინააღმდეგობა შეზდა. ანტიკური ხამყარო და შემდეგ რენესანსი ცხოვრების ახახვას ერთნაირად მოითხოვდნენ. ლუვრის შედეგები ფრანგ მხატვრებს გარემომცველ ბუნებაზე ნაკლები ღირსებისად როდი მიაჩნდათ. ბიოკლინი თავის დროისათვის არც გამოჩენილი და არც ინდივიდუალისტი არ ყოფილა, როგორც ეს შემდეგში იმპრესიონისტებს ეგონათ.

ინდივიდუალისტები სწორედ იმპრესიონისტები იყვნენ, რაც 70-ან წლებში მათ მიერ შექმნილი შედეგებელთაც დასტურდება. იმ დროს იტალიითა და მისი რენესანსით აღტაცება ქეშმარიტად ზენიტში იმყოფებოდა. ინგლისელები, ფრანგები და გერმანელები გატაცებით უიღულოდნენ იტალიურ ნახატებს, ქანდაკებებსა თუ ავექს; ბელოვანების უველა დარგი და ბელოვნობა რენესანსს ბაძავდა. აღნიშნულ ხანაში შექმნა ბიოკლინმა თავისი სახელგანთქმული ნაწარმოებები, თუმცა მისმა შემოქმედებამ ბევრად ადრე იწყო აუვაფება; ეს იყო მისი-იანი წლები, როდესაც რომში



მისი უახლოესი მეგობარი ბურჟუაზიული ცი-  
ცერონის სახეს ქმნიდა.

მხოლოდ ნაწევარი საუკუნის შემდეგ, და-  
ახლოებით 1900 წელს, გაიმარჯვა ხელოვ-  
ნების საპირისპირო მოძრაობამ. ახლა ლიხტ-  
ვერკი გაიტაცა სასახლის ფანქრებმა და ორ-  
კარედებმა. ხუროთმოძღვრება და ხელოსნობა  
საკუთარ ფორმებს იძენდნენ. მხატვრები ხან  
ველასკესზე, ხან კი გრეკოზე ღოცულობდნენ.  
ლაიბლი და მენცელი დღის სინათლეზე გა-  
მოიყვანეს; მათ საპირისპიროდ, ლენბახი და,  
საერთოდ ყველა ის მხატვარი, ვინც ადრე  
ალორმინების ხელოვნებით იყო გატაცებული,  
ჩრდილში მოექცნენ. ამ მხატვართაგან განხ-  
ვავებით, ბიოკლინიმ თავისებურად გადაზარ-  
შა საუკუნეთა შეხედულება და საკუთარი  
სრულყოფილი ფორმა შექმნა, და, მიუხედა-  
ვად გაცამტვერებისა, მხატვარი მაინც არ  
წყვეტდა მუშაობას. 1900 წელს ამ ნახატებზე  
უკვე დიდი მოთხოვნილება იყო. და ეს იმ  
დროს, როცა ბერლინში იმპრესიონიზმისათვის  
მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობდა. ეს იყო  
გამრიყავი და ხელისშემშლელი დაბრკოლება  
ხელოვნების ახლადმოკვლეულ გზებზე. ფო-  
იერბახის ფერმართალი არისტოკრატია და  
მარტოსულ მარქსის ბრძოლა მხოლოდ მცო-  
რედისათვის თუ იყო ცნობილი, მხოლოდ  
ერთ ნაწილში თუ ცოცხლობდა.

ძველი ტრადიციის მიმდევარი მხატვრები-  
სა და მათი თანამედროვეებისათვის უწინდე-  
ლი ფორმები უფრო მნიშვნელოვანი იყო.  
მხატვრებს შინაარსის სრულყოფილად წვდო-  
მისა და მისი ფორმირებისათვის მადლობას  
უხდოდნენ, და სულშიერ მოძღვრებად ნათლავ-  
დნენ. ასეთმა მოქმედებამ, განსაკუთრებით 1800  
წელს მიაღწია უმაღლეს დონეს. მე-18 საუ-  
კუნის მუსიკოსთა მსგავსად, ხუროთისათვის  
შესაფერისი შინაარსის მიცემას ცდილობდნენ.  
ხელოვნება დღესაც ასე ფასდება, თუმცა 100  
წელზე. მეტია, რაც ამ მოვალეობას აღარ  
ასრულებს, ვინაიდან საამისო პირობები აღარ  
გააჩნია... ბურჟუაზიული მოღალდიის - მხატ-  
ვრობაში სიუჟეტი განდევნილ იქნა. თვით  
რემბრანდტის პირადმა სულშიერმა სიმდიდრემა  
შინაარსს მოუხშო და ამით თანამედროვეობას  
გვერდი აუარა.

სადღეისოდ საკითხები ისტორიულმა თემებ-  
მა გადასძალეს. ზოგიერთი სოციალური  
მრწამსის უარყოფითი ზნეობის ამაღლებას  
ცდილობდნენ და ნატურმოკრებებსა და ბუნე-  
ბას ადამიანთა გარეშე ხატავდნენ ან ტილოზე  
ისეთ სახეებს ქმნიდნენ, რომ ისინი მნახველ-  
თა ყურადღებას არ იქცევდნენ. ეს მოვლენა  
მწერლებმა მხატვრობის ღირსებად მიიჩნიეს.  
მათ თითქმის თვალემა უბრმავდებოდათ ნამდ-

ვილი შედეგების წინაშე და ერთგვარ განც-  
ვიფრებასაც კი გამოხატავდნენ მათი მდიდარ-  
ი პალიტრის გამო.

ბიოკლინი თვით ბალ-მახკარადების ორმოცთრე-  
ალის გადმოცემის დროსაც კი თავისთავად და  
დამოუკიდებელი იყო. სურათის შინაარსს  
მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ნახატის  
ყოველ დეტალს, ფერს, ნაწილს და მთლიანობაში  
საგანი უნდა ჰქონოდა. მხატვრობაში იყო მიღებული.

რამე საგნისთვის თვალის ერთი შევლება,  
მისთვის სურათის შექმნის მიზეზი ხდებოდა.  
ერთხელ რომში ხეირნობის დროს, ხალამოს  
ცის მიმართულ და ხელოვნურ სინათლეთა თა-  
მაშხ შეავლო თვალი. ეს გახდა მისი „პოე-  
ტის“ ანუ მხატვრის საოცნებო ფერთა მარ-  
მონიის შექმნის საბაბი. ხშირად სინამდვილის  
რადაც უმცირეს ნაწილს მთელის გრძნობითა  
და თავდავიწყებით აღიქვამდა, რაც შემდეგ  
ადამიანთა გამოსახულებებად ან ზღაპრულ სა-  
ხეებად კრისტალდებოდნენ. შირმეს თანახ-  
მად, ბიოკლინი თავდაპირველად წმინდა ბუ-  
ნებას ხატავდა, მაგრამ შემდეგ მათზე ადამი-  
ანებიც გამოჩნდნენ მკრთალად. გავიხსენოთ მისი  
მოზრდილი სურათი, რომელზედაც მზით გა-  
ნათებული ადგილია გამოსახული. ნიმიფა და  
ფერია ამ სინათლიდან სიბნელისაკენ ისწრაფ-  
ვიან, სადაც მათი ფარული ცხოვრებაა. საბე-  
ები და თვით ბუნებაც კი, ფორმის მხრივ,  
სრუქმნილია.

შემდეგ თანდათან იზრდება ტილოებზე ადა-  
მიანთა გამოსახვის სურვილი. ფერები მხატვარს  
ამოუწურავი აქვს. პოეტურ და ზღაპრულ შე-  
საძლებლობათა შორის ზღვარს ბიოკლინი  
დიდი ზიმკაცრით იცავდა. მას შეეკეთები იშ-  
ვიათად ჰქონდა. სურათების უმეტესობას ისე  
ხატავდა, რომ წინასწარ არც კი იცოდა, ვინ  
იქნებოდა მათი მფლობელი. ბიოკლინის ტი-  
ლოებს ხუთ სხვადასხვაგვარად აფასებდნენ.  
ბევრი აქებდა, ბევრიც თავს ეხსმობდა. ოს-  
ტატის სახელი მის თაყვანისმცემელთა შორის  
საკუთარი ნახატების შინაარსით განისაზღვრე-  
ბოდა. ფორმას ჰაიმარად თუ შეავლებდნენ  
თვალს. მხატვრის ტილოებიდან საგნები უფ-  
რო მეტ გავლენას ახდენდნენ, ვიდრე ეს  
თვით ამ ნაწარმოებთა მხატვრული დონით უნ-  
და მომხდარიყო. ხელოვანმა უთუოდ დროის  
კვალდაკვალ უნდა იაროს. დეგა ბალეტსა და  
ქირითს ხატავდა, ტულოზე ლოტრეკი—მონ-  
მარტრს, მაგრამ ნი-იან წლებში როდესაც ბი-  
ოკლინი თავისი გზა აირჩია, პროვინციული  
გერმანია ამ დონემდე ქერ კიდევ არ იყო  
მისული. დაქუცმაცებული რელიგიის პირო-  
ბებში, ღირსებებით სავსე გონების გარდა,  
პუმანისტური მემკვიდრეობაც არსებობდა.



დღეს უკვე აღარ აფასებდნენ იმას, გიმნაზი-  
ის დამთავრების შემდეგ, ჩვენმა ბებებმა და  
ბაბუებმა ლათინური ენა მართლა რომ იცოდ-  
ნენ. ბიოკლინიმა ტილოებზე გადაგვიშალა ამ  
ქვეყნის სახალღეთა და წალკოტთა საუკუნოვანი  
სიკაცხე, მერე კი ტორვალდსენის სამყარო-  
ში გადასახლდა. განათლებულ საფრანგეთში  
უმეტესწილად ანტიკურ თემებს ხატავდნენ;  
ინგლისში ეს მოვლენა გაცილებით დიდხანს  
გრძელდებოდა. ბიოკლინი აცოცხლებდა უო-  
ველივე იმას, რაც თაბაშირში თეატრალურად  
იყო გადმოცემული. იგი ინამდვილეს ზუს-  
ტად კი არ ასახავდა, არამედ მხატვრული თა-  
ვისუფლება შემკონდა მასში. რუბენსმაც მხატ-  
ვრული სიმღერით გადმოსცა ცხოვრებისე-  
ული სინამდვილე, მაგრამ ის შემკვიდრობი-  
თობიდან თავისუფალი მაინც არ ყოფილა.

ბიოკლინს, ისე როგორც არავის, უყვარდა  
სამხრეთის ბუნება და მისი ცხოვრება. ვაი-  
მარის პროფესიონალიდან და მომავდინებელი  
გაჭირვებიდან თავდახსნილმა, იტალია უძვირ-  
ფასეს ადგილად მიიჩნია და წავიდა კიდეც  
იქ. იტალიაში მპოვა მან ხაზები, ფერები და  
რითმი, რომელთაც ფერწერის ენით გადმოს-  
ცემდა ხოლმე ტილოებზე. მან ფოიერბახივით  
ბუნება კი არ იხილა, როგორც მარტოდუნ  
პირველქმნილი, ცოცხალი და, შეიძლება ითქ-  
ვას, წარმართული რამ. ამით იგი თავს დაეს-  
ხა მხატვრობის ტრადიციული გამოსახვის ფორ-  
მებს და აღთქმულ ქვეყანაში მოგზაურობით  
გამოწვეული სიუვარული ისე წარმოგვიდგინა,  
როგორც ეს პირველქმნილ ბუნებასთან ახ-  
ლო მყოფ სულს შეეძლო.

არჩეულ თემებზე უფრო, ჩვენ მათი სახელ-  
წოდებანი გვაფიქრებს. თავად განსაჩეთ: „შე-  
ხედე, მინდორი იცინის“, „საქორწილო მოგზა-  
ურობა“, „დუმილი ტყეში“ და ასე შემდეგ,  
რომელთა უმეტესობა თავად მხატვარს არც  
კი ეკუთვნის. იგი სახელოსნოში სახელებს  
მხოლოდ შერჩევისათვის თუ არქმევდა პი-  
რობითად, ძირითადად კი მაღაზიის გამყიდ-  
ველნი არქმევდნენ. სახელი — „მიცვალებულ-  
თა მინდორი“ სხვამ დაარქვა... აი, დგანან  
დამთვალეირებლები ბიოკლინის ნახატების  
წინ და ფიქრობენ, რომ ეს კუნძული უნდა  
იყოს. ხოლო ეს — ქაღალდისკენი, ახალი  
გარდაცვლილი, რასაც იქ მყოფი გედები ადას-  
ტურებენ. ხელოვნებაში ბუნების ასახვა და  
ფორმის გადმოცემის კანონები მტკიცედ  
უკავშირდებოდა ერთმეორეს. ისტორიული  
გამოცდილება გვასწავლის, რომ ფორმისადმი  
მომთხოვნმა და თავისუფლად მოაზროვნე  
მხატვრებმა ბუნება განსაკუთრებულად ზუსტად  
აღიქვეს, ეს ითქმის ბიოკლინზედაც, არ არ-  
სებობს მეორე მხატვარი, რომელსაც ბუნება

და დედამიწა — მის მცენარეთა სამყაროსთან  
ერთად ისე ახლებურად გადმოეცეს, და ასე  
ზუსტად ცოდნოდეს, როგორც მას.

ბიოკლინი ბუნებას ახალგაზრდობის წლებ-  
შიაც დიდი სიუვარულით ხატავდა. ამას მოწ-  
მობენ მისი ურიცხვი ნახატები და 1851  
წელს ზეთის ფერებით შექმნილი ტილოები.  
სწორედ აქედან *დუმილი ტყეში* სამხრეთის  
ფერთა და ხაზთა *პრედატორი ქმნილები* მხატ-  
ვარი დგას, რომელიც ძლიერად აღიქვამს სამხ-  
რეთულ ბუნებას და ამით, მენცელს გარდა  
უკან იტოვებს სხვა გერმანელ მხატვრებს.  
შემდეგში ბიოკლინი იშვიათად ხატავდა, ცდი-  
ლობდა რა გარკვეულიყო სურათის კომპო-  
ზიციასა და ცალკეულ დეტალებში. ფართო  
მონახმები იმაზე მიგვითითებენ, თუ როგორ  
ამთავრებდა იგი ნახატს, რაც მან თავდაპირ-  
ველად მოკრძალებით დაიწყო.

სიმწიფის ასაკში ღრმად და დაწვრილებით  
შეხედა სინამდვილეს, ბუნების მოვლენები  
მეხსიერებაში ჩაიბეჭდა, კარგად შეისწავლა მი-  
სი კანონები და შემდეგ ზუსტად გადაიტანა  
ტილოზე.

ასეთი გრძნობით შეიძლო მოდელთა შექმ-  
ნა: ამიტომაც ყველაფერი ეს უშუალოდ განც-  
დილის შთაბეჭდილებას გვიქმნის. ბუნების  
ეტიუდები მის ხელში მხატვრულ ქმნილებე-  
ბად იქცევიან. მის ნახატებს ცოცხალი ბუნე-  
ბისაგან გერ ანსხვავდნენ, რაც მხატვარში  
ლიმილსა და გაოცებას იწვევდა. თავდაპირვე-  
ლად მართლაც ბუნების წიაღში ქმნიდა იგი  
ტილოებს, შემდეგ უკვე ზეპირად ხატავდა.  
აქი კიდეც ამბობდა იგი: თუ ვინმეს მოდელი  
ესაჭიროება, გვერდით ოთახში ნახავსო.

თუ ნატურალისტები ბუნებას შეძლებისდა-  
გვარად ზუსტად ასახავენ, მაშინ რა გასაკ-  
ვირია, რომ ნიჭიერმა მხატვრებმაც უოველივე  
ეს ტილოზე თავად განსაზღვრონ და განა-  
წილონ! მაგრამ ისინი მუდამ შემთხვევით მო-  
მენტებს ეძებენ, რასაც შემდეგ ხელოვნების  
ქუჩაში გაატარებენ ხოლმე, ამ მხრივ მენ-  
ცელი გენიალურია. ბიოკლინი სურათს ძი-  
როთადად ისე ქმნის, როგორც მარესი და  
წარსული დროის მისთვის სპონტანური  
მხატვრები.

მისი ნახატების კონსტრუქციის სწორი წარ-  
მოდგენისათვის ახეთი რამ სავარაუდო ზერხი  
გახლავთ, რაც ადრინდელ ნახატებში შეღავნ-  
დება და მშ-იან წლებში სრულქმნილ სახე-  
ილებს. ტილოზე უოველი დეტალი მიჯრიითაა  
მიწყობილი... აქ შემთხვევითი არაფერია. ბუნე-  
რივ, რეალურ სიტუაციებს მეორე — ორგა-  
ნული, მხატვრული კავშირი ენაცვლება, რაც  
მხოლოდ შემოქმედი ადამიანის თვალთახედ-  
ვითა და მხატვრული ზერხებით მიიღება.



პირველი ეს ადგილის განსაზღვრა, რაში-  
აც მას ვერცერთი მხატვარი ვერ შეედრება,  
ვერც პუშინი და ვერც კლავდი. საგნის მრავალი ფორმა და მდგომარეობა ერთიან, ნათელ მთლიანობაშია მოცემული; და ეს უვე-  
ლადფერი ხელოვანის დიდი გამოცდილებისა და უსუსტი მოფიქრების წყალობით არის მიღ-  
წეული. იგი შეუდარებლად მრავალფეროვან სამყაროს ქმნის, ვიდრე ეს ადრინდელ მხატვ-  
რებთანაა მოცემული.

ამავე დროს ეს ფორმები ძლიერ მოქმე-  
დებენ მნახველზე. ისინი ჩახლართულ-ჩანასკ-  
ვული არიან ერთმეორეში. ერთი ეფექტი მეორეს აძლიერებს და პირიქით. ეს გან-  
უცნებელად კი არ არის დაბატული, არამედ  
ლრუბლებთან ერთად მოქმედებს და ხან თა-  
ვისუფლად ხუნთავს, ხან კი უჭირს. მოფიქ-  
რებისთანავე უოველი ფორმა ბუნების ახახვა-  
სა და საგნობრივის განსაზღვრასთან არის და-  
კავშირებული.

ფერსა და სინათლეს ბიოკლინი მასზე ნაზი  
ზემოქმედებისა და აღქმის უზუსტესი ცოდ-  
ნით ქმნის. ფერთა რითმული დამუშავება უფ-  
რო მდიდრულია, ვიდრე სინათლისა.

დაახლოებით 1500 წლამდე, რომაულ, პომ-  
პეურ ფრესკებსა და გოთურ ქმნილებებში  
ემოციური ღირსება ბრწყინვალე, კაშკაშა ფე-  
რებს ენიჭებოდა; გამოსახვის ეს საშუალება  
თავდაპირველად ფლორენციაში, — კერძოდ,  
ლეონარდოსთან მიიფერფლა.

გორკონეს ღირსება ის იყო, რომ მან და-  
ამკვიდრა ჩრდილთა და კაშკაშა ფერთა მონა-  
ცვლეობა. ზოგიერთი მხატვარი ძირითადად  
უავისფერს ხმარობდა, რაც თვით რემბრანდტ-  
მაც კი აიტაცა. მასთან გაქრა ფერთა ბრწყინ-  
ვალეობა. მე-19 საუკუნეში ფერებთან დამოკი-  
დებულება მრავალგვარი იყო... ტინტორენტომ  
და რემბრანდტმა ერთმანეთს დაუპირისპირეს  
სივრცის განსაზღვრა და ფერთა ემოციურო-  
ბის საკითხი. იმპრესიონისტებმა ფერი ჩრდ-  
ლისაგან გაათავისუფლეს. უოველი წერტილი  
გაამდიდრეს, გააბრწყინეს და ფერებით ააუ-  
ვავეს. ასე იქცეოდნენ თვით პატარა უვავი-  
ლის ფოთოლის დაბატვის დროსაც კი; ფუნ-  
ქის ერთი მოხმით ქმნიდნენ უოველივე ამას,  
რასაც ტრადიციისა და ფერთა დაპირისპირე-  
ბის მზარდი ცვლის შემცირებით ახდენდნენ.

ბიოკლინი სხვა გზით წავიდა, მან ნახატის  
განსაზღვრულ ადგილას კრიალა და შთამბეჭ-  
დავი ფერი დაადო. ეს უფრო გლუვ ფონზე  
მოახდინა მან. მხატვარმა თანდათან უარყო  
ბუნების ფონზე მოდელის გამოსახვა ძლიერი  
სადებავებით. წებოსა და ფერს თავად აწა-  
ვებდა დიდი მონდომებით. ფერთა რეცეპ-  
ტებს ძველი წიგნებიდან სწავლობდა და ცდი-

ლობდა ადრინდელ საიდუმლოებათა შეცნო-  
ბას. ვიდრე ხეს, წებოსა და ფერს გამოიყუ-  
ნებდა, დიდხანს სინჯავდა მათ მზეზე და ღია  
ცის ქვეშ, ამოწმებდა მათ მდგომარეობას. ახა-  
ლი დროის არც ერთი ხელოვანი ისეთი დი-  
დი ოსტატი არ უოფილა, როგორც ბიოკლი-  
ნი. მისი ფერები ერთბაშად, მიჯრით კი არ  
ფარავენ ტილოს ზედაპირს, არამედ ყველაფერ  
ფარვენ, როგორც თვალთათვის დასაშვად  
ლი ძვირფასი ქვები.

მხატვრის ადრეული სურათები მკვეთრი უა-  
ვისფერითაა შექმნილი. ძირითად ფერს განზ-  
რახ წარმოაჩენს დამუშავებული შუქით ისე,  
როგორც ბერლინის ლურჯი ბუნების ფონზე —  
ნიმფებს. პომპეის ფრესკებმა ძვირფასი ფე-  
რებით გაამდიდრეს მისი პალიტრა. მათი  
განწყობით, 1888 წელს წითელ თავხაზურავში  
გამოსახა თავისი მეუღლე.

ამას მოჰყვა სხვა შედეგები, კერძოდ 1888  
წელს მომაჩადობელი, კაშკაშა ფერებით  
შექმნა ნახატი — „შეუვარებული წყვილი“.

70-ან წლებში ბიოკლინის ნახატების სა-  
ერთო ტონი მთლიანად მუქი გახდა, ხოლო  
მიუნჰენში უოფნის შემდეგ, უფრო კონტრას-  
ტული. მხატვრის მიერ ტოსკანაში შექმნილი  
ტილოები გვატკბობენ ტალღების გამოსახვის  
ბრწყინვალე და კეთილშობილი ფერებით.

მხოლოდ ძველ მხატვრებთან თუ შევხედებით  
ისეთ კრიალა ცახ, როგორც ეს მან „მიცვა-  
ლებულთა მინდორზე“ მოგვცა. ქვემოთ კრიალა  
წყლის სილურჯე არეკლილი, იქვე ლურჯ  
ტანსაცმელში გამოწყობილი კაბუკი ზის. არის  
წითელი ფერისაგან შექმნილი უფრო ძლიე-  
რი ეფექტებიც, უეჭველად უფრო ძლიერი,  
ვიდრე ეს ბაზელის სურათზეა, მოცემული.  
ფერთა ასეთი უცნაური და ბრწყინვალე ახახ-  
ვა ლამის გონებას არუევს, გზაბნეული ოდისევ-  
სის ტანსაცმლის მუქი ფერი დაპირისპირებუ-  
ლია კაშკაშა წითელ და ნაკვერჩხალივით  
ბრდღვიალა ფერთან; მსგავსი რამ მუგო ვან  
დერგოეს შემდეგ არავის აღარ დაუხატავს.  
ამბობდნენ, რომ ასეთი ეფექტი მხატვრობას  
კი არა, მოზაიკას უფრო შეეფერებო.

ბიოკლინი თანდათან გაემიჯნა თავისი  
დროის მხატვრულ თვალსაზრისს და თავისთვის  
ჩაიკეტა. უველამ თავისი მიზანი დაისახა, ფო-  
ნერბახი უკვე აღარ იყო. ციურისს, სადაც 1888  
წელს მხატვარი შვილთა აღსაზრდელად გადა-  
ვიდა, აკლდა ძველ მხატვართა ინიციატივა და  
შემოქმედების ზოგადი მასშტაბები... ბიოკლი-  
ნის სახელი თანდათან შორს გავარდა, გაი-  
ზარდა შეკვეთები მის ნახატებზე, სამხრეთში —  
რომსა და ფლორენციაში უოფნის დროს, ქმნი-  
და ნახატების ნამდვილ, აფეთქებულ ზაფხულს,  
ჩრდილოეთში — გაიმართა და მიუნჰენში უოფ-



ნის დროს კი ეცემოდა მისი შინაგანი ძალა და სწრაფვა, ვიდრე ეს ადრე იყო.

შინაგანი დისციპლინის მოშლამ დადი დაასვა ბიოკლინის ნახატებს. კავშირმა საგანთა და ფერთა შორის აზრი დაკარგა და დაიქსაქსა. გამოფენაზე ხწორედ ისეთ ნახატებს ეძებდნენ, რომელთაც ძველ მხატვრობასთან საერთო არა ჰქონდათ რა. მუზეუმებმა მათი შესყიდვა დაიწყეს. რამდენადაც იმპრესიონისტებმა ფები მოიკიდეს, იმდენად უფრო გაძლიერდა მათ დამცველთა და თაყვანისმცემელთა რიგი.

დამბლადაცემული მხატვარი იტალიაში დაბრუნდა და ფლორენციის სიახლოვეს დასახლდა. ხანდაზან კიდევ შეძლებდა ხოლმე ბებერი ღომა ძლიერი ნახტომების გაკეთებას. სამხრეთულმა სამყარომ უკანასკნელად მოუყარა თავი მის შინაგან ძალებს... ბიოკლინის ნახატებში სრულიად ახალი ფერები აელვარდნენ; აქ ყველაფერი თავიდან ბოლომდე დიდის შთაგონებითა და აზრით, მდიდრულად და თანმიმდევრულად არის დალაგებული. და ეს ყველაფერი ისეთი გრძნობითაა შექმნილი, რომ ყოველ დეტალშიაც კი მაღალ ხელოვანს ვხედავთ, როგორც არაჩვეულებრივი სიუზვის, სულის სინაზისა და შემოქმედებითი ძალის განმაცვიფრებელ და გამაყვითელშობილებელ ასახვას.

ჩვენმა გამოფენამ ეს თვალსაზრისი უნდა გაამართლოს და ცრუ შეხედულებანი განგვიჰარწყლოს. საყოველთაო კანონები ხელოვნებაში ისე არსებითი არ არის, როგორც მათემატიკაში, მათი მიზანი ცოცხალი არსის მიკვლევაში მდგომარეობს.

ბიოკლინის ისეთი ნახატები, როგორიცაა „ოქტომბრის დღესასწაული“, ან „ძველი რომაული სამიკიტო“, შესრულებულია დიდი სულიერი განცდებითა და საკუთარი ხელწერით.

ჩვენ აქ ვხედავთ, თუ როგორ იღწვის ბიოკლინის შემოქმედებითი გენია. ერთ-ერთ

პეიზაჟში ღია ფერის მონასმები ქმნიან რითმულ, უკიდვანო სივრცის განწყობას. 1884 წლიდან შექმნილ ნახატებში ფერთა სრულიად ახალი განლაგება ჩანს. საგნებს მეტად თავისებურად არიან გამოსახულებული ტილოებზე: ზოგნი — მაღლივად, მიჯრით, განფენილად; მძიმე, მსუბუქი, ფართოდ და ვიწროდ; გლუვ თუ ჩატებიდ, მკვრივ კვანძურად და საგნებად; რამდენადაც ღრმად ჩავწვდებით ნახატის საერთო რითმს, იმდენად გაცეხებული ვრჩებით მისი სრულქმნილებით.

ნახატის ყოველ ცალკეულ ფორმას განსაკუთრებულად გამჭვირვალე შუქი ქმნის, როგორც არაჩვეულებრივი ხელწერითაა მოცემული ტილოზე. ნათელ ტაქტებად დაუოფილი მწირი აღმართები შორეთის დასასრულზე მიგვანიშნებენ.

აგერ მზითა და მცენარეთა მრავალფეროვნებით გასხვივსნებული და გამდიდრებული ტილო. რაოდენ დიდი სინაზე, მოქნილობა და მხატვრის წარმოსახვა ჩანს ადამიანთა თუ საგანთა წარმოსახვაში და ფერთა დაუფრსულობაში. ადამიანი გრძნობს ანტიკური მხატვრობის გავლენას და ამასთან თავს ახსენებს მისი დიდი მომაჯადოებელი ძალაც.

ბნელი და დანისლული ფერებიდან სინათლეზე გამოვდივართ. გვაოცებს საგანთა მრავალფეროვნება, ტანსაცმელი კეთილშობილი ქვებივით ბრჭყვიალებს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მხატვრისთვის ეს დრო არც ოქროს ხანა და არც ხალისით აღსავსე არ ყოფილა. და თუ ეს ასეა, მაშინ როგორ შეძლო ბიოკლინმა ტაძრის ესოდენ საამო ფერებით შექმნა ან სიკაცხლით აღსავსე ცეკვის წარმოჩენა გამჭვირვალე ფოთლებით შემოსილ ხესთან.

ქორჯონეს შემდეგ აღარც შექმნილა ესოდენ მსუბუქად, ნაზად, მდიდრულად, მაღალ-ოსტატურად, ცოცხლად და მაღალმხატვრულად დიდმშვენიერი ტილო.



## რეზო (ბუბა) ყარალაშვილი



თავზარდამცემად, მოულოდნელად და უდ-  
თოდ ნადრევად შეწყდა ქართულ-საბჭო-  
ტურათმცოდნეობისა და გეტმანისტიკის ინტერნე-  
ნალესი წარმომადგენლის, ევროპული მასშტა-  
ბის ლიტერატორის, პერმან ჰესეს მსოფლიოში  
ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნის რეზო ყარა-  
ლაშვილის სიცოცხლე.

... ბატონ რეზოს დიდი პაპა იყო ქართულ  
ეკლესიას და საერთოდ საქართველოს ისტო-  
რის ლეგენდარულ შემოქმედს, საქართველოს  
თალიკოსი კალისტრატე ცინცაძე, რომლის სა-  
ახლოვეს გაატარა მან თავისი აღრეული ბავშ-  
ვობა ქაშუეთის ეკლესიის ეზოში...

რეზოს ძალიან მძიმე ბავშვობა ბქონდა. პაპა-  
მისი დედის მხრიდან ერთ დროს განთქმული  
გერმანული სკოლის დირექტორი გახლდათ. რე-  
ზო ბავშვობაშივე შეესწრო დედის მხრიდან უვე-  
ლა ნათესავის დაპატიმრებასა და გადასახლება-  
ს, დედაც დაუპატიმრეს, დიდხანს უდევდოთ იზრ-  
დებოდა. ამან სამუდამო კვალი დააჩნია მის  
პიროვნებას — ეს იყო მისი ცხოვრების მუდ-  
მივი სტრესი და დაუძლეველი ტრავმა (ბევრ-

რატომ ვყოფილვართ მოწმე, თუ როგორ აძაგდაგებდა რეზოს შიშისა და სიძულვილისაგან გარ-  
კვეული უნიფორმების დანახვისას).

ღირსეულად დაათვა ბატონ რეზოს ღვაწლი მამამისის შემოკმედების შესწავლის საქმეში  
პერმან ჰესეს ვაჟმა, ჰაინერ ჰესემ, რომელიც საგანგებოდ ჩამოვიდა საქართველოში მეუღლეს-  
თან ერთად რეზოს გასაცნობად. მეგობრობდა რეზო ნობელის პრემიის ლაურეატთან, მწერალ  
ჰაინრიხ ბიოლთან და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამორჩენილ რომანისტთან, ერვიმ  
შტრიტმატერთან და მის მეუღლესთან, პოეტ-ქალთან, ევა შტრიტმატერთან.

ახლა მწარედ გვაგონდება და სიმძიმით გვეკუმშება გული, როცა ვიხსენებთ საერთო შეტ-  
ვედრებსა და დაუვიწყარ საუბრებს ჰაინრიხ ბიოლთან თბილისსა და მცხეთაში, პანს მაგნუს  
ენცენსბერგერთან მთაწმინდაზე, პეტერ პანდესთან მცხეთის მახლობლად, ერვინ და ევა შტრიტ-  
მატერებთან ხშირ სტუმრობას სოფელ შულცენბოფსა და აღმოსავლეთ ბერლინში, ფრანკ-  
ფურტერალე — 22 ნომერში და ა. შ. და ა. შ. ასევე ვერ ამოიშლება მეხსიერებიდან ჩვენი  
ერთად ყოფნა ბალტიის ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე, პლდენზეზე მდებარე სოფელში, კლოს-  
ტერში, სადაც გერმარტ პაუპტმანი დასაფლავებული, ჩვენ გაგვაოცა პაუპტმანის საფლავის  
უბრალოებამ: შემოურაგველ სამარეს თითქმის დაუმუშავებელი ღოღი ადევს, რომელზედაც  
წარწერილია: გერმარტ პაუპტმანი.

... ძნელი წარმოსადგენია უნივერსიტეტის დერეფნები ბუბას კოლორიტული ფიგურის გა-  
რეზე. მაღალი, მხარზე ჩანთაგადაკიდებული, სწრაფი, ენერგიული ნაბიჯით თითქოს მიქროდა იგი  
სადღაც და ზოგჯერ ხელით უნდა შეგერებინა, მასთან საქმე თუ გქონდა. მაშინ საოცრად  
თბილი და მორიდებული ღიმილი გაუნათებდა სახეს, უურადღებით მოგისმენდა, გირჩევდა, გა-  
გესაუბრებოდა, მაგრამ თუ დაუკვირდებოდი, მისი არსების რაღაც ნაწილი, ძირითადი ნაწილი,  
თითქოს ცალკე რჩებოდა ჩაკეტილი, გულჩათხრობილი, სევდიანი...

იგი ერთგვარად მის უხაყარლეს მწერალს პერმან ჰესეს დამსგავსებოდა თითქოს (ცხადია,  
არა გარეგნულად, არამედ შინაგანი სამყაროთი, თუმც მის გარეგნობაშიც იყო უჩვეულო და  
მიმზიდველი), არ უყვარდა საზემო თავყრილობები, საჯარო გამოსვლები, პრესის ფურცლებზე  
იაფფასიანი პოპულარობის მოხვეჭა.

გვეჩვენება, რომ ბუბა „ზიდმარტას“ აზრისა იყო, რომ „წყალი კლდეზე მაგარია, სიყვარუ-  
ლი სიძულვილზე უფრო მძლავრი“, პ. ჰესეს გმირბივით ისიც სამყაროსა და საკუთარ თავსაც



უმჯერდა წილის გარეშე, აღტაცებითა და პათივისცემით. იყო უაღრესად მომთხოვნი საკუთარი თავისადმი, დამფასებელი კეთილშობილებისა და ინტელიგენტობის უკველი უმცირესი გამოვლინებისა.

მისთვის მაინც მთავარი იყო საქმე. კათედრის გამგეობა რომ იტვირთა, კონფუციუსის სიტყვები გაიხსენა: „კვიანი კაცი თანამდებობას არ უნდა დახარბდეს, ხოლო თუ დათანხმდა, უნდა იცოდეს, რომ შერაფერს შეცვლის“. ხუმრობით ნათქვამს თვითონვე აბათილებდა. სულ მოკლე ხანში „გოეთეს კაბინეტი“ იშვიათი ლიტერატურით შეავსო, არ დაიწარა მოსკოვში გამგზავრება, ბუკინისტებთან სირბილი, რათა საინტერესო კოლექცია შექმნილიყო. ღინმე თუ კაბინეტს წიგნს მიუძღვნოდა, უზომოდ გაიხარებდა ხოლმე, თითქოს პირველ-ვერსიის კრებულებით იტვირთავსი რამ.

ბუბას საქმე გაგრძელდება, კათედრასაც და კაბინეტსაც მისი უახლოესი კოლეგები და მოწაფეები ზრუნვას არ მოაქლებენ, მაგრამ ვაი რომ დიდი დრო დასჭირდება ვაიმარში, ნიცშეს გარდაცვალების ოთახში შეწყვეტილი მუშაობის გაგრძელებას. ის ჩვენში სრულიად შეუსწავლელი პრობლემატიკა თანამედროვე რომანის პოეტიკისა, წიგნისა და მკითხველის მიმართებისა, ესოდენ წარმატებით რომ შეეჭიდა რეზო უარალაშვილი. დიდხანს დარჩება ამოუვსებელ ხარვეზად ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში...

ალექსანდრე გვახარია, 1 თებერვალი 1989 წელი.

როგორც მთელი ქართველი ინტელიგენცია, ისე დაამწუხრა აღმანახ „საუნჯის“ რედაქცია რეზო (ბუბა) უარალაშვილის უეცარმა დაღუპვამ. ბრწყინვალე მეცნიერი და ლიტერატორი, ნათელი, სპეტაკი სულის ადამიანი, ვისაც არასოდეს უდალატნია თავისი მრწამსისთვის. ბატონი ბუბა იყო აღმანახ „საუნჯის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, მუდამ მისი დამხმარე და თანამდგომი, პიროვნება, ვის ნათელ ხსოვნას არასოდეს დაივიწყებს „საუნჯის“ რედაქცია.


1989 წლის ცხრა აპრილს თბილისში დატრიალებული საშინელი ტრაგედიით გამოწვეულ ქართველი ხალხის წუხილსა და აღშფოთებას ვუერთებთ ჩვენს ხმას და სამძიმარს ვუცხადებთ უდანაშაულო მსხვერპლთა ოჯახებს.

აღმანახ „საუნჯის“ რედაქცია და რედაქლეგია იზიარებს იმ მწუხარებას, რაც მთელმა საქართველომ განიცადა აჭარაში მომხდარი სტიქიური უბედურების გამო.

აღმანახ „საუნჯის“ რედაქცია და რედაქლეგია.

«САУНДЖЕ»  
ДВУХМЕСЯЧНЫЙ АЛЬМАНАХ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ  
На грузинском языке  
1989 № 3  
СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ  
ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ  
ПЕРЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ





არნოლდ ბიოკლინი. მიცვალებულთა კუნძული



არნოლდ ბიოკლინი. ნახე, მინდორი იცინის



651/140

საქართველოს  
ბიბლიოთეკა



ალექსანდრე გიპიუსი. გაზაფხულის პიკნიკი